ქართული ემიგრაცია

9/2020-2021

სარედაქციო
კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე
რედაქტორი

ლაშა ბაქრაძე
რუსუდან დაუშვილი
გიორგი მამულია
მალხაზ მაცაბერიძე
პაატა ნაცვლიშვილი
დავით ყოლბაია

© ქართული ემიგრაცია

შინაარსი

ქართული ემიგრაციის ისტორია 7

პაატა სურგულაძე / ირაკლი წერეთლის პოლიტიკური პორტრეტისათვის .. 7

ავთანდილ ნიკოლეიშვილი / მეორე მსოფლიო ომის დროს
გერმანულ არმიაში მებრძოლი ქართველი ლეგიონერი პოეტები 19

ბელა გზირიშვილი / ლევილის ბინადარნი: ლევილის მამულის ისტორიის
კვლევისათვის 37

დიანა ზადურა / ვიტალი უგრეხელიძე (1902-1983) –
პოლონეთის არმიის ოფიცერი 52

ნოდარ გრიგორაშვილი / ოთხი ქართველი ემიგრანტი მოღვაწის
ემიგრაციამდელი ბიბლიოგრაფია 67

რუსუდან ნიშნიანიძე / იაკობ გოგებაშვილი –
ესთეტიკური ფორმულა თუ იდეოლოგიური კრედო 88

რუსუდან დაუშვილი / საქართველოს მეგობართა ასოციაციები
ევროპაში (1920-1930-იანი წლები) 97

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის 106

დავით ყოლბაია, შორენა მურუსიძე / იოსებ სალაყაია (1881-1940) –
საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენელი
პოლონეთში. წერილები 1925-1931 106

ალექსანდრე სულხანიშვილის მიმოწერიდან
ახალი მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის /
პუბლიკაცია მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და
საძიებლები დაურთო **ლალი ცომაიამ** 145

მაია ცერცვაძე / აკაკი ბელიაშვილის არქივიდან –
ამერიკული შეხვედრების ფოტომატიანე 177

კონსტანტინე გამსახურდიას წერილები
თამარ და აკაკი პაპავებს / დასაბეჭდად მოამზადა,
წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო **პაატა ნაცვლიშვილმა** 180

სტუდენტური დებიუტი 192

სალომე საცერაძე / სიდამონ-ერისთავების ოჯახი
ამერიკის შეერთებულ შტატებში 192

ლიკა ბუჩუნტელი / ვასილ დუმბაძე 199

თეკლე ჩხაიძე / გივი გაბლიანი 205

ლუკა ლოლუა / გიორგი ლოლუა 210

ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობა 215

კარლო ჩხეიძე /ვარლამ ჩერქეზიშვილის ხსოვნას 215

გუშაგი (აკაკი ჩხენკელი) / ვარლამ ჩერქეზიშვილი. მოგონება 217

ვარლამ ჩერქეზიშვილი / წერილი ჩიჩერინს 221

რეცენზია 223

როსტომ ჩხეიძე / ბედისწერის დანაღმულ ველზე
(ქეთევან ტომარაძე – მეგზურად კატი დადეშქელიანისა) 223

ახალი წიგნები ქართულ ემიგრაციაზე 228

ჟურნალის ავტორები 229

პაატა სურგულაძე

ირაკლი წერეთლის პოლიტიკური პორტრეტისათვის

12 წლის განმავლობაში, 1996-დან 2008 წლამდე ვიმუშავე საქართველოს პარლამენტის სრულუფლებიან და მუდმივ წარმომადგენელად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მონაწილე სახელმწიფოთა საპარლამენტო ასამბლეაში. მე ვიყავი მეორე და უკანასკნელი საქართველოს პარლამენტის მუდმივი წარმომდგენელი ამ ორგანიზაციაში.

ეს რეგიონული საერთაშორისო საპარლამენტო ორგანიზაცია სანქტ-პეტერბურგში, თავრიდის სასახლეში არის განთავსებული. იმ სასახლეში, სადაც მუშაობდა რუსეთის ოთხივე მოწვევის სახელმწიფო სათათბირო. ეს იყო განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, რომ, დსთ-ს საპარლამენტო დედაქალაქად, მასპინძელი ქვეყნის მხრივ, სწორედ პეტერბურგი იქნა შერჩეული.

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვიცოდი რომ ოთხივე სათათბიროში ოპოზიციური სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარეები ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ისიც ვიცოდი რომ, მეორე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში, სოციალ-დემოკრატების ოპოზიციურ ფრაქციას ირაკლი წერეთელი თავკაცობდა. იმ ისტორიული მოღვაწეებიდან, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რუსეთის დუმასთან, ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს ყოველთვის ირაკლი წერეთელი იწვევდა. მინდოდა მის შესახებ უფრო მეტი მცოდნოდა. ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივი წარმომადგენლობა განთავსებული იყო სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ ბიბლიოთეკაში (დარბაზი N14); არაერთხელ მიფიქრია და ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ შემოდიოდა და მუშაობდა კაკი წერეთელი ამ ბიბლიოთეკაში. როდესაც სასახლის სხდომათა დარბაზში მიწევდა ხოლმე ყოფნა და ტრიბუნას შევხედავდი, თვალწინ წარმომიდგებოდა როგორი მგზნებარე სიტყვით გამოდიოდა ჯერ რუსეთის მეორე დუმის ახალგაზრდა დეპუტატი, ხოლო მერე რუსეთის დამფუძნებელი კრების ციმბირმოვლილი და ნაკატორღალი დეპუტატი – ირაკლი წერეთელი. აქედან გამომდინარე, ამ პოლიტიკოსისა და მოღვაწის მიმართ ინტერესი სულ უფრო და უფრო მიღვივდებოდა.

ჩემი პეტერბურგში ყოფნის პერიოდში, საშუალება მქონდა გარკვეული დროის განმავლობაში არქივებსა და ბიბლიოთეკებშიც მემუშავა. მინდოდა უფრო სიღრ-

მისეულად გავრკვეულიყავი ამ ადამიანის პოლიტიკურ მრწამსსა და ფსიქოტიპში. დამენახა, რა იყო განმსაზღვრელი და უმთავრესი ირაკლი წერეთლის მოღვაწეობაში. ჩემს გონებაში ამ მოღვაწის გარკვეული პორტრეტი გამოიკვეთა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

მას „რევოლუციის არწივად“ მოიხსენიებდნენ და ლექსებს უძღვნიდნენ. პოეტმა რევოლუციონერმა ვარლამ რუხაძემ საკატორღო ციხის პატიმარ ირაკლი წერეთელს ლექსი „ტყვე არწივი“ მიუძღვნა: „გაგლეჯს, გაგლეჯს გალიასა, ის არწივი, დღეს რომ ტყვეთ ზის“.[1]

1917 წლის 5 ოქტომბერს გაზეთი „ერთობა“ წერდა: „დღეს თბილისში ჩამოდის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი რუსეთის რევოლუციისა, სახელოვანი წევრი კავკასიის დემოკრატიისა – კაკი წერეთელი.

ვინ არ იცნობს ამ სახელს? ვინ არ იცნობს კაკი წერეთელს, ამ წრფელ და თავდადებულ მუშაკს, უხვი ნიჭით დაჯილდოვებულს, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს? ...

ათი წლის შემდეგ ციხე-ციმბირს გამოვლილი, გამარჯვებული რევულიუციის მიერ ციმბირის ტყვეობიდან განთავისუფლებული, იგი მთელი რუსეთის დემოკრატიის სიყვარულით და ნდობით აღჭურვილი, მთელი რევოლუციონერი დემოკრატიის საუკეთესო ბელადათ ცნობილი, ბრუნდება სამშობლო მხარეში.

სალამი რევოლიუციის ახალ არწივს!

სალამი რევოლიუციონური დემოკრატიის საუკეთესო ბელადს.[2] ამ დროს ირაკლი წერეთლის პოპულარობა მართლაც ზენიტში იყო.

ირაკლი წერეთელი გამორჩეულ ქართულ ინტელიგენტურ ოჯახში 1881 წლის 20 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის სოფელ გორისაში დაიბადა. მამამისი, გიორგი წერეთელი გამოჩენილი ქართველი კლასიკოსი მწერალი და პუბლიცისტი იყო. დედა – ოლიმპიადა ნიკოლაძე კი, ნიკო ნიკოლაძის უმცროსი და გახლდათ.

გიორგიმ და ოლიმპიადამ ერთმანეთი საზღვარგარეთ გაიცნეს და იქვე დაქორწინდნენ. ირაკლის ყავდა უფროსი და-ძმა, ელენე და ლევანი. ირაკლის დაბადებიდან ორი წლის შემდეგ, დედამისი ოლიმპადა გარდაიცვალა. შვილების აღზრდა დეიდების დახმარებით გიორგის მოუწია.

გიორგი წერეთელი შვილებთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. აქ მან ცოლად შეირთო ცნობილი მწერალი, საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი, რომელიც დედობრივ ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა დაობლებულ ბავშვებს.[3]

სამშობლოს უანგარო სიყვარული და საზოგადო საქმეებისადმი თავდადებით სამსახური ირაკლის ბავშვობიდან ჩაუნერგეს.

ირაკლი წერეთელი 1900 წელს თბილისის პირველ გიმნაზიას ოქროს მედლით ამთავრებს და უმაღლესი განათლების დასაუფლებლად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე შედის. რუსეთში ამ დროს სტუდენტური მღელვარებები იყო დაწყებული. პირველი კურსიდანვე ქართველი სტუდენტი აქტიურად ერთვება ამ მოძრაობაში და მალე მისი ერთ-ერთი ლიდერიც ხდება.

---

1 გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 6 ოქტომბერი.
2 გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 5 ოქტომბერი.
3 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II თბ., 1993, გვ. 6.

რუსეთის იმპერატორი ნიკოლაი II აპირებდა ამბოხებული სტუდენტები ჯარისკაცთა ყაზარმებში სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაეგზავნა. მთავრობას ამით სტუდენტების დაშინება სურდა, თუმცა ხელმწიფის ამ განზრახვამ სტუდენტებში უკურეაქცია გამოიწვია.

ამ დროს ირაკლი სტუდენტური ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო და მთავრობის წინააღმდეგ მათ ახალ გამოსვლებს სათავეში სწორედ ის ჩაუდგა.

ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ბრალდებით მთავრობამ 1000-ზე მეტი სტუდენტი დააპატიმრა, მათ შორის მათი ლიდერი, ირაკლი წერეთელიც. სასამართლომ მას მკაცრი სასჯელი, აღმოსავლეთ ციმბირში 5 წლიანი გადასახლება მიუსაჯა, თუმცა მთავრობის მიერვე სასჯელი შეუმსუბუქდა და 1903 წელს იგი ციმბირიდან თბილისში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე ირაკლი წერეთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაწევრიანდა, რომელიც უკვე გაყოფილი იყო ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ირაკლი მენშევიკურ პლატფორმაზე დადგა და აქტიურად იცავდა ამ ფრაქციის პოზიციებს ბოლშევიკებთან დისკუსიებში.

თბილისში ირაკლი მამამისის მიერ დაარსებული გაზეთ „კვალის“ ფაქტობრივი რედაქტორი გახდა. ამ დროს გაზეთს წინანდელი ეროვნული შინაარსი უკვე დაკარგული ჰქონდა და მესამე დასის პარტიულ ორგანოდ იყო გადაქცეული. ირაკლის რედაქტორობით გაზეთმა ახალი სიცოცხლე შეიძინა. იგი „ყვირილელის“ ფსევდონიმით გაზეთში აქტიურად ბეჭდავდა წერილებს, იყენებდა ასევე ფსევდონიმებს „ი. წ-ლი“, „ირ. წ.“, „კ კ-კი“.

1904 წლის თებერვალში მთავრობამ „კვალი“ დახურა. ხელახალი დაპატიმრების თავის ასარიდებლად, 1904 წლის გაზაფხულზე ირაკლი ევროპაში, კერძოდ გერმანიაში გაემგზავრა და სწავლა ბერლინის უნივერსიტეტში განაგრძო. 1905 წელს წერეთელი მონაწილეობას იღებს მენშევიკთა ჟენევის კონფერენციაში.

ბერლინში ირაკლი ტუბერკულოზით ავადდება. მძიმე ავადმყოფი დას, ელენეს ქუთაისში მიჰყავს. ავადმყოფობა ირაკლისგან სიმშვიდესა და წყნარ ცხოვრებას ითხოვდა, თუმცა ამ დროს, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ იგი ქუთაისის გუბერნიიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრობის (დეპუტატობის) კანდიდატად წამოაყენა. კაკიმ ექიმთა რჩევები ყურად არ იღო და პოლიტიკურ ბრძოლებში აქტიურად ჩაერთო. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის მას ჯერ კიდევ არ შესრულებოდა კანონით განსაზღვრული დეპუტატობისთვის სავალდებულო ასაკი – 25 წელი, მაგრამ რაკი მეორე სახელმწიფო სათათბირო 1907 წლის მარტამდე არ მოუწვევიათ, მისი არჩევა სადავოდ არ გამხდარა.[4]

რუსეთის მეორე დუმაში უმრავლესობაში მემარცხენეები იყვნენ. სხვა ფრაქციებთან ერთად სათათბიროში სოციალ-დემოკრატების 65 კაციანი ფრაქციაც ჩამოყალიბდა. მის თამჯდომარედ 25 წლის ირაკლი წერეთელს ირჩევენ. სადეპუტატო მოღვაწეობისას კარგად წარმოჩნდა მისი განსაკუთრებული ორატორული ნიჭი და პოლიტიკური დებატების წარმართვის უნარი. თავისი კომპეტენტურობის, შეუვალი პრინციპულობის და გამორჩეული მჭევრმეტყველების გამო ირაკლი წერეთელი მთელი იმპერიის მასშტაბით საყოველთაოდ ცნობილი და ხალხში მეტად პო-

4 ჟურნ. „კავკასიონი“, XV, პარიზი, 1971, გვ. 153.

პულარული პოლიტიკოსი გახდა. ახალგაზრდა დეპუტატი ასევე აქტიურად ჩაერთო სათათბიროს აგრარული კომისიის მუშაობაში.[5]

დუმაში მისი გამოსვლა, რომელმაც, ირაკლი წერეთელი ხალხის ტრიბუნად აქცია, სათათბიროს 1907 წლის 6 მარტის სხდომაზე შედგა. საქართველოდან არჩეული სახალხო წარმომადგენელი მაშინ რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს პეტრე სტოლიპინს დაუპირისპირდა. ამ უმაღლესმა სახელმწიფო მოხელემ ფართე გასაქანი მისცა შავრაზმულ იდეოლოგიას, რომელიც განსაკუთრებით არარუსი ეროვნების მოსახლეობას და მათ წარმომადგენლებს ებრძოდა. სტოლიპინი ხალხის უკმაყოფილების ჩახშობას მკაცრი რეპრესიებით ცდილობდა. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთის გავსება სამხედრო-საველე სასამართლოებით, რომლებსაც ასეულობით ჩამოხრჩობის განაჩენი გამოჰქონდათ.

„ეს ცხარე ბრძოლა ახალგაზრდა მგზნებარე ორატორის სასარგებლოთ გათავდა. იმ დღიდან ის გახდა უკვე დიდათ მნიშვნელოვანი ფიგურა მთელი საზოგადოებრივი მოძრაობისა რუსეთში, ერთსულოვნად შეფასებული, როგორც დიდი პოლიტიკური მებრძოლი, ვეფხვივით შემართული და დაუცხრომელი“.[6]

სტოლიპინის რეაქციამაც არ დააყოვნა. მან პოლიციას მისცა საიდუმლო დავალება, რათა შეეგროვებინათ მასალები და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ანტისახელმწიფოებრივი ფარული საქმიანობის შესახებ ბრალდება შეეთითხნათ.[7]

„ოხრანკის“ აგენტებმა ვითომც მათ მიერ მოპოვებული მამხილებელი დოკუმენტები თავადვე შეაგდეს დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სამუშაო ოთახში და იქვე იმავე დღეს თვითონვე „აღმოაჩინეს“.

1907 წლის 1 ივნისს სტოლიპინმა დუმისგან პეტერბურგის სასამართლო პალატის გადაწყვეტილების საფუძველზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 55 დეპუტატისათვის ხელშეუხებლობის იმუნიტეტის მოხსნა მოითხოვა. 16 მათგანი შეთქმულების ბრალდებით დაუყონებლივ დაპატიმრებას ექვემდებარებოდა.[8] მათ შორის იყო ირაკლი წერეთელიც.

წერეთელი თავის იმდროინდელ გამოსვლებში აღნიშნავდა, რომ, მთავრობა ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას. იგი ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა სათათბიროს 1907 წლის 2 ივნისის სხდომაზე და მთავრობის გადაწყვეტილებას დუმის გარეკვის თაობაზე ფარდა ახადა.

ირაკლი წერეთელი იმ ღამესვე დააპატიმრეს. მას 5 წლით კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო ეს მძიმე სასჯელი 6 წლიანი ციხით და აღმოსავლეთ ციმბირში ჩასახლებით შეუცვალეს. ციხეში 6 წლის პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ირაკლი წერეთელი აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის ახლოს სოფელ უსოლიეში ჩაასახლეს.

ირაკლი გადასახლებაშიც პოლიტიკურად აქტიური დარჩა. აქ მან თეოდორ დანთან ერთად გააერთიანა სოციალ-დემოკრატები. შემდგომში ამ ორგანიზაციას

---

5 საქართველოს ეროვნული არქივი/National Archives of Georgia 26 ივლისი, 2018. https://www.facebook.com/page/115293058488180/search/?q=%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98

6 ჟურნ. „ჩვენი დროშა“, N31, პარიზი, 1959, გვ. 6.

7 ა. სურგულაძე, რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში, თბ., 1983, გვ. 192.

8 Б. Грызлов, Восемь российских парламентов, Санкт-Петербург, 2006, с. 39.

„ციმბირელი ციმერვალდისტები“ შეარქვეს. ისინი ორ ადგილობრივ ჟურნალს – „ციმბირის ჟურნალს“ და „ციმბირის მიმომხილველს“ გამოსცემდნენ.

თებერვლის რევოლუციას ირაკლი ციმბირში შეხვდა. მას ამნისტია შეეხო და 1917 წლის 19 მარტს, – რევოლუციის ლიდერთაგან ერთ-ერთი პირველი – პეტროგრადში ჩავიდა.

დედაქალაქში დაბრუნებისთანავე ირაკლი წერეთელი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს. ამ საბჭოს თავმჯდომარე წერეთლის თანაპარტიელი, ასევე ცნობილი მენშევიკი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე გახლდათ. მაშინ რუსეთში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა არსებობდა და დროებით მთავრობასთან ერთად ხსენებული საბჭო ძალაუფლების მქონე მეორე ორგანოს წარმოადგენდა.

გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ირაკლი წერეთლის სახელი დღევანდელ რუსეთში კერენსკის დიდ სახელობას ეჯიბრება. თუ უკანასკნელი რევოლუციის „ნერვად“ არის მონათლული, პირველი რევოლუციის „ტვინად“ არის დასახული. ...იგი რევოლუციური დემოკრატიის რაინდად გამოდის“.[9]

წერეთელი მონაწილეობდა რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების I ყრილობის მუშაობაში, სადაც ომისადმი დამოკიდებულების თემაზე მოხსენებით გამოვიდა. მას მიაჩნდა, რომ, ომის დასრულების საქმეში მნიშვნელოვანი როლი მასში ჩართული ქვეყნების სოციალისტების გაერთიანებას უნდა ეთამაშა.[10] წერეთელი ყოველთვის მწვავედ აკრიტიკებდა ვ. ლენინს. მან არც მისი „აპრილის თეზისები“ დაინდო და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

ამ პერიოდში ირაკლი წერეთელმა ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის გადაწყვეტაში მიიღო მონაწილეობა: 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმა ეროვნული ძალების მხარდაჭერით დასვეს საკითხი, რათა გაუქმებულიყო უმაღლესი სინოდის 1811 წლის გადაწყვეტილება და ქართული ეკლესიისათვის დაებრუნებინათ წართმეული ავტოკეფალია.[11] 1917 წლის თებერვალში ცარიზმის დამხობის შემდეგ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის განახლებისათვის ხელსაყრელი მომენტი დადგა. რახან რუსეთში მეფის მთავრობის სამართალმემკვიდრეს დროებითი მთავრობა წარმოადგენდა, შესაბამისად, ქართული ეკლესიის შემდგომი ბედიც მისი გადასაწყვეტი იყო.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განახლების კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსეთის ეკლესია. მისი წარმომადგენლები დროებით მთავრობასთან აგიტაციას ეწეოდნენ, რათა მას სეპარატისტი და ურჩი ქართული ეკლესიის მიმართ გარკვეული ზომები მიეღო. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ პეტროგრადში მთავრობასთან მოსალაპარაკებლად თავისი დელეგაცია გაგზავნა. ირაკლი წერეთელმა და კარლო ჩხეიძემ შეძლეს და დელეგაცია დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრ კერენსკის შეახვედრეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რუსეთის სარწმუნოების მინისტრი და სინოდის ობერპროკურორი.

ხსენებული შეხვედრიდან რამდენიმე ხანში დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი დებულება. ამ ეროვნული

---

9 გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 10 ოქტომბერი.

10 Политические деятели России, 1917, Биографический словарь, главный редактор П.В. Волобуев, М., 1993, с. 339.

11 ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 184-185.

საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში პეტროგრადში მცხოვრებ სხვა ქართველებთან ერთად (ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი), დიდი როლი ითამაშეს ნიკოლოზ ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა.

1917 წლის 5 მაისს ირაკლი წერეთელი პირველი კოალიციური დროებითი მთავრობის წევრი გახდა და რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პორტფელი ჩაიბარა.[12] ამ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნით მას საშუალება მიეცა უშუალოდ მიეღო მონაწილეობა რუსეთში დემოკრატიის მშენებლობის საქმეში და პრაქტიკულად განეხორციელებინა ის იდეალები, რომლისთვისაც მთელი ცხოვრება ასე შეუპოვრად იბრძოდა. წერეთელი ყველაფერს აკეთებდა, რათა შენარჩუნებული ყოფილიყო რუსეთის ერთიანობა და ქვეყანაში არ გაჩაღებულიყო სამოქალაქო ომი.[13]

1917 წლის 4 ივნისს სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა გაიმართა. ყრილობას პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე თავკაცობდა. ყრილობაზე, როგორც დროებითი მთავრობის წევრი, მოხსენებით გამოვიდა ირაკლი წერეთელი. ყრილობას ვ. ლენინი და ი. სტალინიც ესწრებოდნენ. მოხსენებაში კაკი წერეთელი საუბრობდა ყველა დემოკრატიული ძალის გაერთიანების აუცილებლობაზე, რათა თავიდან აეცილებინათ ახალშობილი რესპუბლიკის დაშლა და სამოქალაქო ომი. ამ კონტექსტში ორატორმა აღნიშნა, რომ, რუსეთში არ არსებობდა პოლიტიკური პარტია, რომელიც მზად იყო ხელისუფლების ხელში ასაღებად. სწორედ ამ მომენტში დარბაზში წამოდგა ვ. ლენინი და წერეთელს მიმართა, რომ იყო ასეთი პარტია და ეს იყო ბოლშევიკების პარტია. რევოლუციის ბელადის წერეთლისადმი მიმართული ეს შეპასუხება ისტორიულ ფრაზად იქცა და მას ხშირად უსვამდნენ ხაზს საბჭოთა ლიდერები და იდეოლოგები. ყრილობის ამ მომენტს ეძღვნება ცნობილი რუსი მხატვრის კონსტანტინე იუონის ნახატი, „არის ასეთი პარტია“, სადაც კარგად ჩანს ტრიბუნაზე მყოფი ირაკლი წერეთელი.

1917 წლის 8 ივლისს ირაკლი წერეთელს შეთავსებით რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულებაც დაევალა. 13 ივლისს მან ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც პეტროგრადში ყოველგვარ ქუჩის შეკრებებსა და მსვლელობებს კრძალავდა.

1917 წლის 24 ივლისს წერეთელი გამოვიდა დროებითი მთავრობის შემადგენლობიდან და მთელი არსებით საბჭოების მუშაობაში ჩაერთო. აგვისტოში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობაზე წერეთელი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

მას შემდეგ, რაც 1917 წლის 31 აგვისტოს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, ხელისუფლების საბჭოების ხელში გადაცემის შესახებ, წერეთელმა პროტესტის ნიშნად დატოვა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა.

1917 წლის 14 სექტემბერს ირაკლი წერეთელი სიტყვით გამოვიდა პეტროგრადში გამართულ რუსეთის დემოკრატიულ თათბირზე. აღსანიშნავია, რომ თათბირის

---

12 Политические деятели России, 1917, Биографический словарь, главный редактор П.В. Волобуев, М., 1993, с. 239.

13 დ. ჭუმბურიძე, ირაკლი წერეთელი: ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონცეპტები, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული მიძღვნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი. თბ., 2018, გვ. 15.

მუშაობაში ასევე მონაწილეობას იღებდა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს დელეგაციაც აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით.

1917 წლის სექტემბერში წერეთელი საქართველოში გამოემგზავრა. რუსეთის რევოლუციის გმირად შერაცხულმა სახალხო ტრიბუნმა თბილისში საჯარო ლექციები ჩაატარა.

ბოლშევიკების მიერ განხორციელებული ოქტომბრის გადატრიალების დროს ირაკლი წერეთელი საქართველოში იმყოფებოდა. ამ გადატრიალებასთან მიმართებით მისი პოზიცია მკვეთრად უარყოფითი იყო.

1917 წლის ნოემბერში ირაკლი წერეთელი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის სიით რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატი გახდა და გაემგზავრა პეტროგრადში, რადგან, სწორედ მაშინ და იქ, უნდა გადაწყვეტილიყო რუსეთის და მასში შემავალი ხალხების ბედი.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და დემოკრატიულად არჩეულ დამფუძნებელ კრებას ხიშტები დაუპირისპირეს.

1918 წლის 5 იანვარს თავრიდის სასახლეში გაიხსნა რუსეთის დამფუძნებელი კრების პირველი და უკანასკნელი სხდომა. ამ ისტორიულ თავყრილობას საქართველოში არჩეულ დეპუტატთაგან მხოლოდ ირაკლი წერეთელი ესწრებოდა. და აი, იმ ტრიბუნაზე, რომლიდანაც ირაკლი წერეთელს არაერთხელ ჩაუტარებია ორატორული ხელოვნების მასტერკლასები, კვლავ ადის რუსული პოლიტიკის მძიმეწონოსანი და მგზნებარედ აცხადებს: „რევოლუცია რუსეთში ერთია – ის თებერვლის თვეში დაიწყო და მას მერე მძიმე გამოცდა გადაიტანა, თუმცა ყველაზე მძიმე გამოცდას ის ამ წუთას გადის. მას მხრებზე მძიმე ტვირთი აწევს, რომელმაც შესაძლოა ის ხანგრძლივი დროით გასრისოს ... რუსეთი ორ მტრულ ბანაკად იყოფა ... სამოქალაქო ომის ხაზმა დემოკრატიის გულზე გაიარა“. წერეთლის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვა დამფუძნებელი კრების და რუსეთის ხანმოკლე დემოკრატიის დამამშვენებელი გახდა. მისი გამოსვლის ტექსტი შემდეგ ცალკე ბროშურადაც დაიბეჭდა.

მორე დღეს, ანუ, 1918 წლის 6 იანვარს, ბოლშევიკებმა რუსეთის დემოკრატიული საზოგადოების პირმშო – დამფუძნებელი კრება ძალის გამოყენებით გარეკეს. ირაკლი წერეთელი გაეცლება პეტროგრადს და საქართველოში საბოლოოდ დაბრუნდება.

ეს ის დროა, როდესაც თბილისში უკვე მუშაობს მხარის მმართველობითი ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატი და მას ევგენი გეგეჭკორი თავკაცობს. ამ ორგანოს გადაწყვეტილებით, ამიერკავკასიიდან არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან იქმნება „ამიერკავკასიიის სეიმი“. ირაკლი წერეთელი სეიმის წევრი ხდება და მის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას უდგება სათავეში. სეიმში წერეთელი ბრესტის საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოდის.

1918 წლის 26 მაისს, სწორედ ირაკლი წერეთელს მოუწია ამიერკავკასიის სეიმის დაშლის გამოცხადება, რაც დიდი გულისტკივილით გააკეთა. ცნობილია, რომ ამ განცხადებით გამოსვლისას ის ატირდა.[14]

ისიც ცნობილია, რომ, იმავე დღეს, როდესაც ეროვნულ საბჭოში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ემზადებოდნენ, წერეთელი სასოწარკ-

14 დ. ჭუმბურიძე, ირაკლი წერეთელი: ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონცეპტები, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული მიძღვნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი. თბ., 2018, გვ. 15.

ვეთილი ამბობდა: „რას შვებით?! თქვენ ანგრევთ რუსულ დემოკრატიას!“[15] მიუხედავად ამისა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მისი ხელმოწერაც ამშვენებს. სასახლის წინ შეკრებილმა მოზეიმე ხალხმა წერეთლის სიტყვით გამოსვლა მოითხოვა. მანაც არ დააყოვნა და საზოგადოებას სიტყვით მიმართა: „დღეს დიდი ისტორიული დღეა: დღეს იშვა ახალი სახელმწიფო. ქართველი ხალხი დღემდე არ ყოფილა დამოუკიდებელი, მაგრამ თავისი ეროვნული სახე მაინც გამოაჩინა იმ მოძრაობაში, რომელიც რუსეთში თებერვლიდან მოხდა – ეს არის დემოკრატიული ხალხის სახე. ...ამ მოძრაობაში ქართველი ხალხი სათავეში უდგას მთელს რუსეთის დემოკრატიას. ჩვენ ვაარსებთ საკუთარ სახელმწიფოს. ...დამოუკიდებლობის გამოცხადება ძნელი არ იყო, ძნელია მისი დაცვა! ...ქართველი ხალხის ისტორიული ვალია, იბრძოლოს როგორც საკუთარი სახელმწიფოსათვის, ისე საკაცობრიო იდეალებისათვისაც. ქართველმა ხალხმა თავის ინტერესების დაცვასთან ერთად არ უნდა დაივიწყოს სხვა ერთა გამოქომაგება.“[16]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ირაკლი წერეთელი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ჯერ საქართველოს ეროვნულ საბჭოში, შემდეგ კი – საქართველოს პარლამენტში ხელმძღვანელობდა.

1919 წელს ირაკლი წერეთელმა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი გახდა.

ამ პერიოდში საგარეო პოლიტიკის მიმართულებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების უმთავრეს საზრუნავს გამოცხადებული დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება და ცნობა წარმოადგენდა.

ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგი პარიზის კონფერენციას უნდა განესაზღვრა. იქვე უნდა მომხდარიყო ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ცნობა-აღიარება. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო თავყრილობისათვის მზადებას დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, პარიზის კონფერენციაზე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის ხელმძღვანელობით ოფიციალური დელეგაცია გაიგზავნა. დელეგაციის წევრი ზურაბ ავალიშვილთან ერთად ირაკლი წერეთელიც იყო. ირაკლი წერეთლის ოფიციალურ დელეგაციაში ჩართვის გადაწყვეტილება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, რომელთაგან უმთავრესი მისი დიდი გამოცდილება და საერთაშორისო ავტორიტეტი გახლდათ. წერეთელს კარგად იცნობდნენ ევროპის სოციალისტურ წრეებში, ეს კი საქართველოს პირველ რესპუბლიკას სერიოზული მოკავშირეების მოძიებასა და მათი დახმარებით საერთაშორისო აღიარების მოპოვებაში უნდა დახმარებოდა. თუმცა, პარიზში ახლად ჩასულმა წერეთელმა ფრანგ სოციალისტთა გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ახლო მომავალში საქართველო შეიძლებოდა კვლავ თავისი ნებით შეერთებოდა რუსეთს, ოღონდ დემოკრატიულს. ამის გამო მან თანაპარტიელების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. მისდამი განსაკუთრებით

15 ბ. კობახიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი.
http://pirvelirespublika.blogspot.com/2015/07/normal-0-false-false-false-en-us-x-none.html
16 გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 28 მაისი.

მკაცრი აკაკი ჩხენკელის ტონი იყო. აი, რას წერდა იგი წერეთელს: „შენთვის საქართველოს ისტორია იწყება რუსეთთან შეერთებიდან...შენ არ აფასებ ეროვნულ თავისუფლებას, როგორც ასეთს, ამიტომ ჭკუაში არ მოგდის ჩამოთვალო რუსეთის ბატონობის ცოდვები: მისი სასკოლო, საეკლესიო, საკოლონიზაციო პოლიტიკა, რომ ამით ნათლად გაიგონ ევროპელმა ამხანაგებმა თუ რას მოასწავებს ჩვენთვის თავისუფლება“. ამის შემდეგ, საქართველოს, თუნდაც დემოკრატიულ რუსეთთან მიმართების პრიზმით, ირაკლი წერეთლის პოზიცია საგრძნობლად შეიცვალა.

ირაკლი წერეთელი ევროპის წამყვან პოლიტიკოსებთან შეხვედრისას ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ისინი დაერწმუნებინა, რომ, საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფო ნამდვილად იმსახურებდა საერთაშორისო აღიარებას. ამას ადასტურებს მისი მონაწილეობა ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებში. ამავე პერიოდში ირაკლი წერეთელი მონაწილეობდა 1920 წელს ჟენევაში გამართული მეორე ინტერნაციონალის კონგრესის მუშაობაშიც. იგი ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახლდათ და შესაბამისად ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში მის მოსაზრებებს დიდ ანგარიშს უწევდნენ.

1920 წლის შემოდგომაზე საქართველოს მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია ეწვია. ცნობილი ევროპელი სოციალისტები საქართველოში პარიზიდან გამოსამგზავრებლად სწორედ ირაკლი წერეთელმა შეკრიბა.

ქართველ წარგზავნილთა სერიოზული ძალისხმევის მიუხედავად, საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობა პარიზის კონფერენციაზე წარმატებით ვერ დასრულდა. ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა მათთვის ჩვეული თავაზიანობით უხვი დაპირებები გაიღეს, საქართველოს მიმართ დიდი სიმპათიებიც გამოავლინეს, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან.[17]

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ირაკლი წერეთელი ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ემიგრაციაში ყოფნის დროს იგი ხშირად ბეჭდავდა სტატიებს სხვადასხვა ქვეყნის გაზეთებსა და ჟურნალებში. მონაწილეობდა სხვადასხვა დონის შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში. სიტყვით გამოდიოდა საერთაშორისო სოციალისტურ ყრილობებსა და კონფერენციებზე, სადაც შეუდრეკლად იცავდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში და იქაურ საზოგადოებას საქართველოში განვითარებულ პროცესებს აცნობდა.

ცნობილია, რომ, კაკი წერეთელი არ მიემხრო 1924 წლის აჯანყების მოწყობის იდეას. აფასებდა რა აჯანყების შედეგებს, თვლიდა, რომ, ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის იარაღით ბრძოლა შეცდომა იყო, რამაც დიდძალი მსხვერპლი გამოიწვია. წერეთელი სკეპტიკურად იყო განწყობილი ევროპის მხრიდან რეალური დახმარების მიღების შესაძლებლობის მიმართაც. ნაშრომში „ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი“, რომელიც პარიზში 1927 წელს გამოიცა ი. წერეთელი წერდა: „როგორც მეგობარი სოციალისტები, ისე ბურჟუაზიის... მოღვაწენნი ...ყოველთვის გვაფრთხილებდნენ, ევროპის დახმარებაზე იმედებს ნუ აგებთო“ და ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სწორი აღმოჩნდაო.[18] ირაკლი წერეთლის აზრით,

17 ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 223.

18 ი. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი. პარიზი, 1927, გვ. 20-27.

რუსეთში თავად უნდა მომწიფებულიყო სიტუაცია მის დასაშლელად და საქართველოს მაშინ უნდა ეფიქრა მისგან განთავისუფლებაზე.

1926 წელს ირაკლი წერეთელი პარიზის სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. ის ამ დროს 45 წლის ხდებოდა. 1931 წელს წერეთელმა სორბონის უნივერსიტეტი წარმატებით დაასრულა. ამის შემდეგ მან საადვოკატო საქმიანობა ჯერ ევროპაში დაიწყო, შემდეგ კი ამერიკაში განაგრძო, როდესაც 40-იანი წლების ბოლოს საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა. აქ მან კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების თხოვნით, გააგრძელა მუშაობა ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაწყებულ ორტომიან ნაშრომზე „მოგონებები თებერვლის რევოლუციაზე“, რომლის ბოლომდე დამთავრებაც აღარ დასცალდა.

მოგონებებზე მუშაობა ირაკლიმ 1924 წელს დაიწყო. შემდეგ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მოუწია მუშაობის შეწყვეტა, თუმცა, 1927 წელს შვედეთის სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „Nytid“-ის შეკვეთით დაწყებულ საქმეს კვლავ დაუბრუნდა. 1928-1929 წლებში ხსენებულ გაზეთში ყოველ კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა მისი მოგონებების ნაწყვეტები.

მოგონებებში, ავტორს თხრობა 1917 წლის ივლისამდე აქვს მიყვანილი. მასში სიღრმისეულადაა აღწერილი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა 1917 წლის მარტის შუა რიცხვებიდან რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. წერეთელი ამ მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებდა და მისი, როგორც უშუალო მონაწილის მოგონებები, დაინტერესებული მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო და ღირებულია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების პერიოდში იგი აქტიურად ჩაერთო „ბოლშევიზმისგან განმათავისუფლებელი ამერიკული კომიტეტის“ (ყოფილი „რუსეთის ხალხთა განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი“) საქმიანობაში. მისი უშუალო ხელშეწყობით დაარსდა რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია.

ირაკლი წერეთელი მაღალი დონის პოლემისტი იყო. მისით აღფრთოვანდებოდნენ თანამებრძოლები და დიდ ანგარიშს უწევდნენ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი. პოლიტიკური ოპონენტების მიმართ წერეთელს პრინციპულობა, შეურიგებლობა და სიხისტე ახასიათებდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, თანამედროვენი მას, როგორც კეთილშობილ და დიდი ქარიზმის მქონე პიროვნებად ახასიათებდნენ. ეს კი მისდამი ადამიანური სიმპათიის გაჩენას განაპირობებდა.

აღნაგობით ირაკლი წერეთელი წარმოსადეგი ადამიანი ყოფილა. „გარეგნულად ის იყო იშვიათი შეხედულობის, არაჩვეულებრივი გამომეტყველების თვალები ჰქონდა. იყო უდიდესი ორატორი. ...მისი მჭერმეტყველება იყო მომჯადოებელი. ირაკლი გონებრივად იყო დიდათ პატიოსანი. როდესაც გაიცინებდა, ეს ნიშანი იყო სიკეთისა და პატივისცემისა „მოწინააღმდეგის“ მიმართ.[19] ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ რიდმა მას „მშვენიერი სულისა და ნატიფი მჭერმეტყველების“ ორატორი უწოდა“.

ირაკლი წერეთელი 1959 წლის 20 მაისს ნიუ-იორკში კიბოთი გარდაიცვალა. ჩაუტარდა კრემაცია. 1973 წლის 17 ნოემბერს მისი ფერფლი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადაასვენეს და იქ დაკრძალეს. მის გარდაცვალებას გამოეხმაურნენ ამერიკისა და ევროპის ჟურნალ-გაზეთები.[20] ფრანგი სოციალისტი სენატორი და

19 გ. წერეთელი, ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი, 1971, გვ. 64-65.

20 ჟურნ. „ჩვენი დროშა“, N31, პარიზი, 1959.

ყოფილი მინისტრი მარიუს მუტე წერდა: „წერეთლის სიკვდილი დიდი და საგრძნობი დანაკლისია სოციალიზმისათვის. დიდი რევოლუციონერი, რომელიც გახდა სახელოვანი თავისი ბრძოლებით რუსეთის რევოლუციის წიაღში, დიდი და ერთგული მებრძოლი იყო ქართული საქმისათვის.[21]

1974 წლის 16 ივნისს ლევილში მის სასაფლაოზე გრანიტის ძეგლი დაიდგა. „ძეგლის გახსნისას ქართული გუნდის ტკბილი გალობა ედება ლამაზად გამშვენებულ სასაფლაოს... პირველი სიტყვა მოძღვარმა ილიამ წარმოსთქვა ფრანგულ ენაზე და თავისი დინჯი, მაგრამ გრძნობიერი შთამბეჭდავი მეტყველებით დაახასიათა ირაკლი წერეთელი, როგორც სიმართლისა და სოციალური სამართლიანობისთვის თავდადებულ ბრძოლაში ამაღლებული დიდი ქართველი".[22]

როგორ შეიძლება შევაფასოთ ირაკლი წერეთელი და მისი მოღვაწეობა? ირაკლი წერეთელი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი დემოკრატი ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იყო რა რუსეთში ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, მას ჰქონდა რეალური შესაძლებლობა პრაქტიკულად ხორცი შეესხა და განეხორციელებინა თავისი პოლიტიკური იდეები და ქმედითი მონაწილეობა მიეღო ამ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. მას ეს შანსი უხეში ძალის გამოყენებით მოუსპეს, როგორც პოლიტიკოსი გაანეიტრალეს და ამ ქმედებებით რუსეთში დემოკრატია კარგა ხნით დაასამარეს.

შემდეგ მას მიეცა შანსი საქართველოში ყოფილიყო ნამდვილი დემოკრატიის მესაძირკვლე და შემოქმედი. გამოცდილ პოლიტიკოსს უნდოდა, რომ ახლადშობილი ქართული რესპუბლიკა დემოკრატიის თვალსაზრისით მისაბაძი გამხდარიყო არა მარტო რეგიონისათვის, არამედ, მთელი მაშინდელი მსოფლიოსათვის. იგივე ძალამ ეს შანსიც მოუსპო. მისი ტრაგედიაც სწორედ ეს გახლდათ: დემოკრატიის აშენება მას არ აცალეს არც დიდ რუსეთში და არც პატარა, მაგრამ მაინც მშობლიურ საქართველოში. ამის მიზეზი კი ორივე შემთხვევაში წერეთლისათვის ყოვლად მიუღებელი რუსული ბოლშევიზმი იყო.

თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ: ირაკლი წერეთელს ევროპის რომელიმე ქვეყანაში რომ ეცხოვრა და ეღვაწა, პოლიტიკურ სარბიელზე დიდი სიმაღლეების დაპყრობას შეძლებდა. მაგალითად შვედეთში, თავისი სოციალისტური შეხედულებებითა და მრწამსით, იგი შეიძლებოდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის რანგშიც კი გვეხილა.

ირაკლი წერეთლის სახელი თანამედროვე საქართველოში დაუმსახურებლად, ერთგვარად ჩრდილში დგას; მცირე გამონაკლისის გარდა, ჩვენი ისტორიკოსები მის პერსონასთან შეხებას თითქოსდა ერიდებიან კიდეც. ვერც მასმედიაში შეხვდებით ხშირად მის სახელს. საბჭოთა ისტორიოგრაფია, გასაგები მიზეზების გამო, ყველანაირად ცდილობდა წერეთლის სახელის მიჩქმალვას, თუმცა მაშინაც კი, სერიოზულ გამოკვლევებში მას გვერდს ვერ უვლიდნენ.

არავინ კამათობს იმაზე, რომ, ირაკლი წერეთელი იყო კოსმოპოლიტი და რუსოფილი. მეტსაც ვიტყოდი: თავისი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში ის, წარმომავლობით ქართველი, მაგრამ თავისი პოლიტიკური მრწამსითა და შეგნებით, უბრალოდ, რუსი პოლიტიკოსი იყო. მაგრამ, მას შემდეგ, რაც აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, წერეთელი ერთგულად ჩადგა თავისი ქვეყ-

21 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 2, თბ., 1993, გვ. 46.

22 ჟურნ. „ჩვენი დროშა", N82, პარიზი, აგვისტო, 1974, გვ. 20-26.

ნის სამსახურში და ბევრი გააკეთა პირველი რესპუბლიკის საერთაშორისო ცნობისა და საერთოდ მისი გადარჩენისათვის.

ის დიდი ავტორიტეტის მქონე, საერთაშორისოდ აღიარებული მოღვაწე იყო, რომლის მოსაზრებებსაც სერიოზულ ანგარიშს უწევდნენ. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ზოგადად პარლამენტარიზმის, მათ შორის პირველ რიგში, ქართული პარლამენტარიზმის განვითარებაში. წარმოადგენდა რა ქვეყნის პარლამენტს პარიზის საერთაშორისო კონფერენციასა და უმაღლესი დონის მოლაპარაკებებში, განუხრელად იცავდა რესპუბლიკის საგარეო პრიორიტეტებს. ამ მიმართულებით ირაკლი წერეთელმა თავი წარმოაჩინა ასევე, როგორც დიპლომატმა.

ირაკლი წერეთელი ნამდვილად იმსახურებს მეტ ყურადღებას მკვლევარებისაგან და საზოგადოებაც ჯერ კიდე ელის მისი მოღვაწეობის პირუთვნელ შეფასებას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ირაკლი წერეთელი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გამორჩეულ და არაორდინალურ პოლიტიკოსად გვესახება, რომელმაც სერიოზული კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში.

PAATA SURGULADZE

Creating the political portrait of Irakli Tsereteli

Summary

The article deals with creating portrait of the outstanding politician and a public figure Irakli (kaki) Tsereteli. Various stages of his life and activities are discussed Followed by the author's personal estimation. It is designated that, while activities in Russia Tsereteli appeared as a politician fighting for democratic and united Russia. During activities in this period of time he was not only cosmopolitan, but a Russian politician by his political faith as well. However, returning to Georgia finally, he served his country faithfully and deserved well of his homeland in the international recognition and generally rescuing young Georgian Democratic Republic. Irakli Tsereteli steadily protected the interests of his country and its Foreign priorities at Paris international conference and other high level negotiations.

The author considers him as a distinguished and extraordinary figure having authority over international circles and thinks that Irakli Tsereteli left indelible and serious trace in the history of Georgia.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულ არმიაში მებრძოლი ქართველი ლეგიონერი პოეტები

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა ტყვედ აყვანილ და მათ მხარეზე გადასულ საბჭოთა მებრძოლთაგან სპეციალური ლეგიონები შექმნეს, რომელთაც სათანადო მომზადების შემდეგ აქტიურად აღებინებდნენ მონაწილეობას საომარ ოპერაციებში. უმთავრესი მოტივაცია, რაც ყოფილ საბჭოთა მოქალაქეთა მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას ედო საფუძვლად, მოსალოდნელი სასჯელისგან მათი, როგორც სამშობლოს მოღალატეებად შერაცხული ადამიანების, დახსნა და გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული მათი ქვეყნების განთავისუფლება იყო.

სწორედ ამ ნიშნითა და მოტივაციით შექმნეს გერმანელებმა მაშინ მათ ტყვეობაში მყოფი კავკასიელებისაგან „ბერგმანის“ სახელით ცნობილი ლეგიონები. ამ პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, ცნობილი ქართველი ემიგრანტის გივი გაბლიანის განმარტებით, „ეს სამხედრო შენაერთი შედგებოდა კავკასიური წარმოშობის ყოფილი ტყვეებისაგან და მოხალისე ქართველი ემიგრანტებისაგან (პარიზიდან). მათი რაოდენობა მალე კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო... „ბერგმანი“ მიზნად ისახავდა კავკასიელ ხალხთა და მათ სახელმწიფოთა განთავისუფლებას“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ „ბერგმანის“ შემადგენლობაში გაერთიანებულ მებრძოლებს სათანადო გაწვრთნისა და მომზადების შემდეგ ნებისმიერ ადგილებში გამართულ საომარ ბატალიებში აღებინებდნენ მონაწილეობას, მისი შექმნის უმთავრესი მიზანი ასეთი იყო: „როცა გერმანელები კავკასიონის ქედებს მიადგებოდნენ და კავკასიაში შესასვლელად გაემზადებოდნენ, მაშინ უნდა გამოეყენებინათ ეს (ქართული, სომხური და აზერბაიჯანული – ა. ნ.) ბატალიონები. ამიტომაც ერქვა მათ „ბერგმანი“ ანუ სამთო ბატალიონები“.[2]

ლადო სულაბერიძის თქმით, გერმანელთა ამგვარმა სტრატეგიულმა საომარმა გეგმამ მას და ტყვეობაში მყოფ მის თანამებრძოლებს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან მათი ქვეყნების განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი გაუჩინათ. სწორედ ეს ფაქტორი გახდა ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი მათ მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებისა, ხსენებული ლეგიონის წევრები რომ გამხდარიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ გერმანელთა მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განხორციელებულ საომარ ბატალიებში.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მათი საბრძოლო სულისკვეთების გასაძლიერებლად გერმანიის ხელისუფლება ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ მხარეზე გადასულ არარუს მებრძოლთა ეროვნული ცნობიერების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას. სწორედ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ფართოდ დამკვიდრებულ საშუ-

1 გ. გაბლიანი, ჩემი მოგონებანი, I, ქუთაისი, 1998, გვ. 136.
2 ლ. სულაბერიძე, ცხადსიზმარიანა, ჟურნ. „მნათობი“, 1992, # 7-8, გვ. 155.

ალებას წარმოადგენდა ისეთი ღონისძიებები, როგორებიც იყო ლეგიონერთა მშობლიურ ენაზე პერიოდული გამოცემების დაარსება და წიგნების დაბეჭდვა, მათი ეროვნული დღესასწაულებისა და ცნობილი მოღვაწეების საიუბილეო თარიღების საზეიმოდ აღნიშვნა, პატრიოტული შინაარსის ლექცია-საუბრების გამართვა და ა. შ.

ხსენებული პროცესის თანამონაწილეებად მაშინ გერმანელთა ტყვეობაში მყოფი ქართველი მებრძოლებიც იქცნენ. სწორედ მათ საფუძველზე შეიქმნა 1942 წლის დასაწყისში ქართული ლეგიონი, რომლის შემადგენლობაშიც შემავალ ქართველ მებრძოლთა რაოდენობა დროთა განმავლობაში იმდენად გაიზარდა, რომ სამი ათას ხუთას კაცსაც კი გადააჭარბა.

მათი საბრძოლო მოტივაციისა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების განსამტკიცებლად გერმანიის სამხედრო ხელისუფლება 1942-1945 წლებში ბერლინში ქართულ ენაზე სცემდა ყოველკვირეულ ქართულ გაზეთს „საქართველო," გერმანელ მაღალჩინოსანთა მონაწილეობით საზეიმოდ აღნიშნავდა როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს – 26 მაისს, ისე დიდი ქართველი მოღვაწეების საიუბილეო თარიღებს, ლეგიონერებს ახვედრებდნენ გრიგოლ რობაქიძეს, მიხაკო წერეთელსა და ემიგრაციაში მყოფ სხვა დიდ ქართველ მოღვაწეებს და ა. შ.

აღნიშნული მიმართულებით აქტიურობა გერმანელებს არც იმის შემდეგ შეუწყვეტიათ, რაც ომის მსვლელობაში მათთვის არასასურველი გარდატეხა მოხდა.

ქართული ლეგიონის ერთ-ერთი წარმომადგენლის, პოეტ ლადო სულაბერიძის თქმით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური იმედი, რომელიც ახალ ვითარებაში აღმოჩენილ ქართველ ლეგიონერთა ცნობიერებაში განახლებული ძალით გაცოცხლდა, გერმანული არმიის შემადგენლობაში მყოფ ჩვენს მებრძოლებს პირველ ყოვლისა სწორედ „რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლების იდეის ირგვლივ აერთიანებდა."

მათ ეროვნულ ოპტიმიზმს მეტი სიმტკიცე იმ ფაქტმაც შესძინა, რომ გერმანული სარდლობის გადაწყვეტილებით, ქართველ მებრძოლებს უფლება მისცეს, ფიცის მიღება ქართულ ენაზე მომხდარიყო, საზეიმო მარშად კი ქართული სიმღერა შეერჩიათ.

იქიდან გამომდინარე, რომ ქართული ლეგიონის შემადგენლობაში მყოფ პოეტთა შემოქმედების უდიდესი ნაწილი გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა, რამდენიმე სიტყვა ამ პერიოდული ორგანოს შესახებაც მინდა ვთქვა. ეს ყოველკვირეული ქართულენოვანი გაზეთი 1942-1945 წლებში გამოდიოდა ბერლინში ქართველ ემიგრანტთა გარკვეული ნაწილისა და გერმანული მხარის აქტიური მხარდაჭერით. ამასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან გაზეთის გამომცემელნი მისი მეასე ნომრის გამოსვლის აღსანიშნავად 1944 წლის 12 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიაში – „ასე დაიბადა ჩვენი გაზეთი".[3]

მათი ინფორმაციით, გაზეთი „საქართველო" „შექმნეს უცხოეთში გადმოხვეწილმა ქართველმა მამულიშვილებმა. მისი სახელმწოდებელი და პირველი რედაქტორი იყო გ. ფრონელი (გიორგი მაღალაშვილი (1904-1969 წწ.), გარკვეული პერიოდის განმავლობაში გერმანიაში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე – ა. ნ.). მასში თანამშრომლობდნენ უცხოეთში მყოფი ჩვენი მეცნიერული და კულტურული ძალები: პროფ. მ. წერეთელი, პროფ. ზურაბ ავალიშვილი, გ. რობაქიძე, გ. დიასამიძე,

3 ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბ., 1994, გვ. 429.

კ. სალია და სხვ. მათ სათანადო მუშაობა გასწიეს ქართველ ლეგიონერებში პატრიოტული, ნაციონალური გრძნობის გასაღვივებლად.

გაზეთის ხელმძღვანელობა შემდეგ თვით ლეგიონერებმა იკისრეს. ჩვენივე რიგებიდან შეიქმნა მცირე კოლექტივი, რომელიც დღესაც, განსაკუთრებული უმძიმესი პირობების დროს, ემსახურება თავის საქმეს".[4]

იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი მასალების ავტორთა ოჯახებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან საშიშროება არ შეჰქმნოდა, უკლებლივ ყველა პუბლიკაცია, გარდა რამდენიმე ემიგრანტი ავტორისა, გაზეთში მხოლოდ ინიციალებითა და ფსევდონიმებით იყო გამოქვეყნებული. სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილი დღესდღეობით გაშიფრული არ არის და გაზეთის ავტორ-თანამშრომელთა უმეტესობის ვინაობა დაუზუსტებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ლეგიონერთა პოეტური შემოქმედების დიდი ნაწილი ნაკლებად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულების მქონე ტექსტებს წარმოადგენს, ეს ლექსები დღევანდელი მკითხველისათვის გარკვეულწილად მაინც საინტერესოა იმ თვალსაზრისით, უფრო ნათლად და სიღრმისეულად რომ გავიაზროთ გერმანელთა ტყვეობაში მყოფი ქართველი ლეგიონერების იმდროინდელი მისწრაფებანი.

წინამდებარე ნარკვევის დაწერის მიზანია, მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ხსენებულ მწერალთა ლიტერატურული მოღვაწეობის იმ პერიოდზე, როცა გერმანელთა ტყვეობაში მყოფი ეს პიროვნებანი ქართული ლეგიონის რიგებში ირიცხებოდნენ და თავიანთი მხატვრული შემოქმედების მაშინდელ ნიმუშებს სისტემატურად აქვეყნებდნენ გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე.

ლადო სულაბერიძე. ლადო სულაბერიძის (დაიბადა 1919 წელს) ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ტყვეობის დროინდელ პერიოდზე მსჯელობა მინდა 1992 წელს ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნებული მისი ბიოგრაფიული რომანის – „ცხადსიზმარიანას" შესახებ საუბრით დავიწყო. მაღალი ლიტერატურული ღირებულების მქონე ამ მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტით, რომელიც რუსთაველის პრემიაზეც იყო ნომინირებული, ლ. სულაბერიძემ ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გვიამბო თავისი ომისდროინდელი დრამატული თავგადასავალი. კერძოდ, ავტორისეული მონათხრობის შედეგად ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმ უმძიმეს მდგომარეობაზე, რომელშიც პოეტს მოუხდა ყოფნა როგორც გერმანელთა ტყვეობაში, ისე სამშობლოში დაბრუნების შემდგომ ციმბირში გადასახლების პერიოდში.

ამ თვალსაზრისით, ლ. სულაბერიძის „ცხადსიზმარიანა" ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს, როგორც დოკუმენტური სიმართლით წარმომჩენი მატიანე მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი დროის საბჭოთა კავშირსა და ევროპაში, პირველ ყოვლისა კი გერმანიაში, განვითარებული ურთულესი ეპოქალური მოვლენებისა.

ავტორისეული მონათხრობის ამ მხარეს ყურადღება ამჯერად იმის ნათელსაყოფად მინდა მივაქციო, რა გახდა საფუძველი იმისა, გერმანელთა ტყვეობაში მოხვედრილი ათასობით ჩვენი თანამემამულე მაშინ საკუთარი ნებით რომ აღმოჩნდა

---

4 გ. შარაძე, გრიგოლ რობაქიძის უცნობი ნაწერები გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე. იხ: გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1991 წ., 15 ნოემბერი.

იმ ლეგიონის რიგებში, რომელიც გერმანული არმიის შემადგენელ ნაწილად იქცა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანელების მიერ განხორციელებულ საომარ ბატალიებში.

ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული, შემდგომში კი ციმბირში გადასახლების შედეგად სასჯელმოხდილი მწერალი საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივია, შეგნებულად არიდებდა თავს საკუთარი ბიოგრაფიის ამ მხარეზე საუბარს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დანგრევისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მას უკვე შეუზღუდველად მიეცა საამისო შესაძლებლობა. თავისი ცხოვრების ამ ეპიზოდის გასაჯაროებითა და ტყვეობის დროინდელი თავგადასავლის მოთხრობით ლ. სულაბერიძემ ფართო საზოგადოებას არა მარტო საკუთარი ბიოგრაფიის ამ მხარეზე შეუქმნა ნათელი წარმოდგენა, არამედ მისი ბედის მქონე ათასობით ადამიანის ტრაგიკულ ყოფასთან დაკავშირებითაც მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები.

ლ. სულაბერიძის ცხოვრების ხსენებულ პერიოდზე საუბარი მინდა იმ ფაქტორის ავტორისეული განმარტებით დავიწყო, რომელსაც მწერალი ქართული ლეგიონის შექმნის უმთავრეს საფუძვლად მიიჩნევდა. აი, რას წერს ის ამასთან დაკავშირებით: ერთ დღეს გერმანელთა ტყვეობაში მყოფ ქართველებთან „მოვიდა ვინმე ემიგრანტი ქართველი და მოგვიწოდა, ნუ ჩაკვდებით ამ ლაგერებში ასე უაზროდ, თქვენი სიცოცხლე მომავალში ძალიან დასჭირდება მშობლიურ საქართველოს, გადაარჩინეთ თქვენი სიცოცხლე, სტალინისათვის თქვენ მაინც არ არსებობთ, წამოდით გერმანელებთან სამუშაოდ, ჩაგაცმევენ, გამოგკვებავენ, გადარჩებით და მალე უსტალინო სამშობლოსაც გამოადგებითო“.[5]

ლ. სულაბერიძის თქმით, გერმანელთა ამგვარმა სტრატეგიულმა საომარმა გეგმამ მას და ტყვეობაში მყოფ მის თანამებრძოლ ქართველებსა და კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან მათი ქვეყნების განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი გაუჩინა. სწორედ ეს ფაქტორი გახდა ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი მათ მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებისა, ეროვნული ნიშნით შექმნილი ამ ბატალიონების წევრები რომ გამხდარიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ გერმანელთა მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განხორციელებულ საომარ ბატალიებში.

ლადო სულაბერიძე ქართული ლეგიონის წევრი მისი შექმნისთანავე გახდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანელთა მიერ გამართულ საომარ ოპერაციებში. იმდროინდელ მის მეომრულ ბიოგრაფიას დიდ მასშტაბებს ისიც სძენდა, რომ იგი ხსენებული ლეგიონის უბრალო წევრი კი არ იყო, არამედ მისი სამეთაურო შემადგენლობის წარმომადგენლადაც ითვლებოდა. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ლადო სულაბერიძის ცხოვრების ტყვეობისდროინდელ პერიოდზე, მოკლედ გავიხსენებ ამ ტრაგიკული მოვლენასთან დაკავშირებულ უმთავრეს ეპიზოდებს.

ლ. სულაბერიძე ომში 1941 წლის 5 აგვისტოს გაიწვიეს და მონაწილეობას იღებდა ბელორუსიაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. 1942 წლის 18 მაისს მძიმედ დაჭრილი პოეტი გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს პოლონეთის ქალაქ ვრეშნესთან. სხვა ქართველი ტყვეების მსგავსად, პოეტმა გადაწყვიტა ქართული ლეგიონის წევრი გამხდარიყო. მისი თქმით, იმ სიტუაციაში ფაქტობრივად ეს იყო გადარჩენის

5 ლ. სულაბერიძე, ცხადსიზმარიანა, ჟურნ. „მნათობი“, 1992, # 7-8, გვ. 145.

ერთადერთი შანსი. ასე ჩაირიცხა იგი „ქართულ ეროვნულ ბატალიონში, სადაც ჯერ ოცმეთაურად, შემდეგ კი ასმეთაურად დაინიშნა," რის შედეგადაც მისი „ბედისწერის ბორბალი სხვანაირად დაბრუნდა".[6]

ქართულ ლეგიონში ჩარიცხულმა პოეტმა ერთ დღეს შეიტყო, რომ ბერლინში ლეგიონერებისათვის განკუთვნილი ქართული გაზეთი „საქართველო" გამოდიოდა, რამაც იმდენად აღაფრთოვანა, რომ თავადაც დაიწყო მასში თანამშრომლობა.

ლ. სულაბერიძის ტყვეობის დროინდელ ლექსებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა იმ შეფასებაზეც მინდა ვთქვა, რომელიც მას იმხანად გერმანიაში მცხოვრებმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ მისცა. მის ამ შეფასებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ გრ. რობაქიძის, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, შემოქმედება იმ დროისათვის მთელს ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში იყო საკმაოდ პოპულარული. ამას ემატებოდა ისიც, რომ გრიგოლი გერმანიის უმაღლეს სახელისუფლებო წრეებთანაც დაახლოებულ პიროვნებას წარმოადგენდა.

ქართველ ლეგიონერთა პატრიოტული სულისკვეთების გასაძლიერებლად გერმანული არმიის ხელმძღვანელობა გრ. რობაქიძეს დროდადრო ახვედრებდა ჩვენს მებრძოლებს. გარდა ამისა, მწერალი გაზეთ „საქართველოში" მათ მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოებების შემფასებლის როლშიც გვევლინებოდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „საქართველოს" 1944 წლის 12 ივნისის მეასე, საიუბილეო, ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „წყაროს თვალი," რომელშიც ავტორისათვის ჩვეული ფრაზეოლოგიური მაღალფარდოვნებითაა მოთხრობილი ქართველ ლეგიონერებთან გამართული მისი ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ და კონკრეტულად აქვს შეფასებული მირიანის, მ. ჩ-ძის, ჟ. ქ-ს, ვ. ურდოელის, ტ. ბარათელის, ამურის, გ. ს-ს, ნ. ს-ს, გელას, პ. კორინთელის, გ. ს-ლის, ლ. ლინი.ს ნაწარმოებები. გრ. რობაქიძის წერილში დასახელებულ ავტორთაგან დღეს მხოლოდ სამი მათგანის ვინაობაა გაშიფრული. ესენი არიან: ამური – ლადო სულაბერიძე, ვ. ურდოელი და ტ. ბარათელი – ტერენტი ყიფიანი, ლ. ლინი – ლეო ხუროძე.

გრ. რობაქიძის შეფასებით, განსახილველი მხატვრული ნაწარმოებებიდან მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ლადო სულაბერიძის ლექსს „სიყვარულის საფლავი". მისი თქმით, ამ „შაირში მუსიკალურ არხეულია გულისხმიერი ხილვა ლეგ. ამურისა".

გრ. რობაქიძე გამონაკლისი არ ყოფილა და ლადო სულაბერიძის პოეტურ შემოქმედებას მაშინ ისეთი მოწონება დაუმსახურებია, რომ გაზეთ „საქართველოს" გამომცემელთ მისი ლექსების ცალკე კრებულად გამოქვეყნებაც კი გადაუწყვეტიათ. როგორც უკვე ითქვა, ბერლინში გამომავალი ამ გაზეთის რედაქციამ ქართველი მებრძოლებისათვის „ლეგიონერის საველე ბიბლიოთეკის" შესაქმნელად 1943 წლიდან მხატვრული ნაწარმოებების რამდენიმე კრებულიც გამოსცა.

ლადო სულაბერიძის ცხოვრების გერმანული პერიოდი პოლონეთის ქალაქ პოზნანში დამთავრდა 1944 წლის შემოდგომის ბოლოს. გერმანელთა არმიის უკან დახევის შემდეგ იგი თავის საბრძოლო შენაერთს ჩამოშორდა და საბჭოთა ჯარის მიერ კონტროლირებად ამ ქალაქში დარჩა მარტოდმარტო.

1945 წლის თებერვალში პოეტი ქალაქ კოზელსკის ტყვედყოფილთა ბანაკში მოხვდა, საიდანაც მისი საბუთები მოსკოვში გააგზავნეს. მოსკოვიდან ტყვეობაში

---

6 ლ. სულაბერიძე, ცხადსიზმარიანა, ჟურნ. „მნათობი", 1992, # 7-8, გვ. 150.

ყოფნის დამადასტურებელი საბუთის მოსვლის შემდეგ კი, 1945 წლის დეკემბერში, დემობილიზაციით თბილისში გამოუშვეს.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ დროიდან მოყოლებული 1948 წლამდე პოეტს თავისუფლად და შეუზღუდველად ცხოვრების უფლება ჰქონდა მიცემული, მისი ბიოგრაფიის ეს პერიოდი საკმაოდ წარმატებული გამოდგა შემოქმედებითი თვალსაზრისით. კერძოდ, 1947 წელს იგი მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს, 1948 წელს, დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, კი მისი ლექსების პირველი წიგნიც დაიბეჭდა „ყირიმის ღამეების" სახელწოდებით. თუმცა თავად პოეტი სამზეოზე წიგნის გამოსვლას დაპატიმრების გამო ვერ მოესწრო – მხოლოდ სტამბაში ნახა ის დაპატიმრებამდე რამდენიმე საათით ადრე – წიგნის მთელი „ტირაჟი უკვე შეკერილი იყო. ყდაში ჩასმაღა აკლდა".[7]

სამწუხაროდ, როგორც შემდეგ გაირკვა, სპეცსამსახურები ამ ხნის განმავლობაში პოეტის ტყვეობასთან დაკავშირებულ მასალებს საგულდაგულოდ იძიებდნენ, რის საფუძველზეც ხსენებული წლის 7 მარტს იგი სამშობლოს მოღალატეობის ბრალდებით დააპატიმრეს და 1950 წელს სასჯელის მოსახდელად ციმბირში, კერძოდ კი მაგადანის ოლქის დაბა კალიმაში, ავტორის მიერ „დედამიწის გაყინულ გვერდად" სახელდებულ იმ მხარეში, გადაასახლეს ოცდახუთი წლით, რომლის შესახებაც შემდგომში ერთ-ერთი რუსული ფოლკლორული ლექსის ამგვარი თარგმანი მიაწოდა მკითხველს:

კალიმა პლანეტაა სხვაგან არსად ნახული,
თორმეტი თვე ზამთარია, დანარჩენი – ზაფხული.

ციმბირის სატუსაღოებში ლ. სულაბერიძემ რვა წელიწადი გაატარა და თავისი მაშინდელი სულიერი სასოწარკვეთა იმხანად დაწერილ ერთ-ერთ ლექსში ამგვარად გამოხატა:[8]

მეც იქნებ მალე მოვკვდე და ჩქარა ჩაქრეს სიცოცხლე ღვთის ნაბოძები,
გურამიშვილი მონახეს, მარა სულაბერიძეს ვინღა მოძებნის?!

პატიმრობაში ყოფნის ციმბირულმა პერიოდმა, ბუნებრივია, უმძიმესი დაღი დაასვა პოეტის სულს, რაც საკმაოდ შთამბეჭდავად აისახა როგორც იმხანად, ისე შემდგომ წლებში შექმნილ მის ნაწარმოებებში.

საბედნიეროდ, ლ. სულაბერიძეს მისთვის მისჯილი პატიმრობის ოცდახუთწლიანი ვადის მოხდა არ დასჭირდა და იგი 1956 წლის იანვარში გაათავისუფლეს. განთავისუფლების საფუძველი 1955 წლის 17 სექტემბერს ხელისუფლების მიერ მიღებული ის ამნისტია გახდა, რომელიც ითვალისწინებდა სამამულო ომში ყოფნის დროს გერმანელებთან თანამშრომლობაში ბრალდებული საბჭოთა მოქალაქეების განთავისუფლებას სასჯელისაგან.

ტყვეობაში მყოფი პოეტის შემოქმედების ძირითადი თემა, ბუნებრივია, იმ ნოსტალგიური განცდების გამოხატვა გახდა, რითაც მისი იმდროინდელი სულიერი სამყარო იყო დათრგუნული. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ უმძაფრესი

---

7 ლ. სულაბერიძე, ცხადსიზმარიანა, ჟურნ. „მნათობი", 1992, # 5-6, გვ. 108.

8 ლ. სულაბერიძე, ცხადსიზმარიანა, ჟურნ. „მნათობი", 1992, # 4, გვ. 99.

ტკივილის ექო ლ. სულაბერიძის მაშინდელ პოეტურ შემოქმედებაში მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებითაა გამოხატული.

ამ თემაზე შექმნილი მისი იმდროინდელი ლექსებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მათი ავტორი ახალბედა შემოქმედი კი არა უკვე მხატვრული სიტყვის პროფესიონალი პოეტია. იმის ნათელსაყოფად, მშობლიურ წიაღსა და უახლოეს ადამიანებს მოწყვეტილი მწერალი როგორი ემოციური სიმძაფრით განიცდიდა თავისი ცხოვრების ტრაგედიად ქცეულ ამ დიდ სულიერ ტკივილს, დავიმოწმებ დედისადმი მიძღვნილ ლექსს:[9]

გადაიკეტა ცხრა ცის კარები, სიზმარს მოვყვები ახლა შენამდე...
იმ ძველისძველი ნაციხარებით, ეჰ, საქართველო, კვლავ მომელანდე!
წილად მხვდა შენი ძუძუს მოწოვა და შენ შვილობას ვიჩემებ კვეხნად.
მოვკვდები სადმე? მე ისევ მოვალ, მე ხელმეორედ გავჩნდები ქვეყნად.
ალბათ, დედაჩემს ცრემლი სდის ახლა და შენს ბალახებს ნამად სხურდება...
ნუ სტირი, დედი, მე მალე გნახავ და მალე ისევ გაზაფხულდება!
კვლავ გაიხსნება ცხრა ცის კარები, მოვიტან ახალ ვარდების გროვას.
ქართლის მირონით ნაზიარები მე ისევ მოვალ, მე ისევ მოვალ!

მშობელი ქვეყნისა და უახლოესი ადამიანების მძაფრი მონატრების ეს გრძნობა, რომელიც ესოდენი გულწრფელობითა და მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებითაა გამოხატული დამოწმებულ ლექსში, ლ. სულაბერიძის ტყვეობის დროინდელი შემოქმედების უმთავრესი თემა იყო. ფაქტობრივად იმხანად დაწერილი მისი ყველა ლექსი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ მძაფრი და დაუცხრომელი სულიერი ტკივილის წიაღიდან იყო აღმოცენებული.

იმ ათასგვარ ხიფათსა და განსაცდელს, რომელიც ლადო სულაბერიძეს არა მარტო გერმანელთა ტყვეობის დროს გადახდა თავს, არამედ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც, პოეტი ფიზიკურად, მართალია, გადაურჩა, მაგრამ ამ მოვლენათა დანაშრევი მის სულსა და ცნობიერებას წარუშლელ დაღად და დაუცხრომელ ტკივილად შემორჩა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ლ. სულაბერიძის მწერლურ წვლილს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ ტკივილის მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით გამოხატვა წარმოადგენს.

ტერენტი ყიფიანი. გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსების ლეგიონერ ავტორთაგან ყველაზე მეტად პოპულარული ვ. ურდოელისა და ტ. ბარათელის ფსევდონიმებით ცნობილი პოეტი ტერენტი ყიფიანი იყო, მეტად დრამატული ბიოგრაფიის მქონე ის პიროვნება, რომლის ლექსები ყველაზე ხშირად იბეჭდებოდა ხსენებული გაზეთის ფურცლებზე. გარდა ამისა, იგი ერთადერთი ლეგიონერი პოეტია, რომლის ლექსები ცალკე კრებულადაც გამოიცა ბერლინში 1943 წელს.

სამწუხაროდ, ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ამ ნიჭიერი და ტრაგიკული ბედის მქონე პოეტის ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა ისე წარიმართა, რომ მან თავისი პოეტური შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლინება ვერ შეძლო და ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ საქართვე-

9 „საქართველო“, ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი,1942 წ., 16 აგვისტო, 1945 წ., 12 მარტი. ლექსები. შეკრიბა და გამოსცა კარლო ინასარიძემ, მიუნხენი, 1979, გვ. 29.

ლოში დაბრუნების შემდგომ არა თუ საკუთარი ლექსების წიგნად გამოცემა ვერ მოახერხა, არამედ რომელიმე პერიოდულ გამოცემაშიც კი არ გამოუქვეყნებია თავისი ნაწარმოებები. საქართველოში ტ. ყიფიანის ერთადერთი პოეტური კრებული მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსცა მისმა ქალიშვილმა ნანი ყიფიანმა 1996 წელს.

ტერენტი ყიფიანის პოეტური შემოქმედების შესახებ საუბრის დაწყებამდე რამდენიმე სიტყვა მის დრამატულ ბიოგრაფიაზეც მინდა ვთქვა. პირველი მკვლევარი, რომელმაც ლიტერატურული საზოგადოებისათვის ფაქტობრივად სრულიად უცნობი ამ ნიჭიერი პოეტის ცხოვრებასთან დაკავშირებული ცნობები მოიძია და გახადა საცნაური, ქართული ემიგრაციის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გურამ შარაძე იყო. კერძოდ, 1993 წელს გამოცემული მისი ნარკვევების – „უცხოეთის ცის ქვეშ" მესამე წიგნში შეტანილ წერილში, რომელიც ტერენტი ყიფიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება, მან ფაქტობრივად პირველმა გააცნო ფართო საზოგადოებას მისი ცხოვრება და შემოქმედება. ხსენებულ ნარკვევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ტ. ყიფიანის ბიოგრაფიასთან და შემოქმედებით მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები მკვლევარმა მაშინ თავად ამ პიროვნებისაგან მოიპოვა წერილობითი ფორმით.

1991 წლის 15 აგვისტოს გაზეთ „ქართველ ერში" ნანა ფაჩულიამაც დაბეჭდა ტერენტი ყიფიანისგან აღებული ინტერვიუ. როგორც ხსენებული პუბლიკაციებით ირკვევა, ტ. ყიფიანი იმჟამად სენაკში ცხოვრობდა და იქ არსებულ ერთ-ერთ სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

როგორც ითქვა, გერმანელთა ტყვეობის პერიოდში ტერენტი ყიფიანის ლექსების უმეტესობა ბერლინში გამომავალ გაზეთ „საქართველოში" ვახტანგ ურდოელის (კონსტანტინე გამსახურდიას დაუმთავრებელი რომანის – „ევროპა გალიაში" მთავარი პერსონაჟის) ფსევდონიმით იბეჭდებოდა. რაც შეეხება მის მეორე ფსევდონიმს – ტ. ბარათელს, იგი მისთვის გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ხელმძღვანელებს შეურჩევიათ იმ მიზნით, მათი გაზეთის პოეტ თანამშრომელთა რაოდენობა ხელოვნურად რომ გაეზარდათ.

ტ. ყიფიანი დაიბადა 1918 წლის 1 ივნისს სენაკში. 1935 წელს, სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1939 წელს და მუშაობა დაიწყო აბაშის რაიონში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1941 წლის ივნისში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. ომში ყოფნის დროს მონაწილეობას იღებდა ქერჩის ნახევარკუნძულზე გამართულ საბრძოლო ოპერაციებში. 1942 წლის მაისში, ათასობით საბჭოთა ჯარისკაცთან ერთად, გერმანელებმა ისიც დაატყვევეს და ამ დროიდან მოყოლებული 1945 წლამდე ტყვეობაში მყოფი პოეტი, როგორც ქართული ლეგიონის წევრი, მონაწილეობას იღებდა გერმანელების მიერ განხორციელებულ საბრძოლო ბატალიებში. მისი თქმით, იგი ასე იმიტომაც მოიქცა, რომ მაშინ, მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის, სწორედ ეს იყო „ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზა."

1942 წლიდან 1945 წლამდე, ბერლინში გამომავალ გაზეთ „საქართველოს" არსებობის განმავლობაში, ტ. ყიფიანი ამ პერიოდული გამოცემის აქტიური თანამშრომელი იყო. პოეტსა და გაზეთის გამომცემლებს შორის დროთა განმავლობაში ახლო პიროვნული ურთიერთობაც დამყარდა, რამაც ტ. ყიფიანის იქაურ ყოფაში კეთილისმყოფელი როლი შეასრულა.

გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფი ათასობით საბჭოთა მებრძოლის მსგავსად, ტ. ყიფიანი 1946 წელს სამშობლოში იმის პირობით დაბრუნდა, რომ მას დანაშაულს აპატიებდნენ და არ დააპატიმრებდნენ. მაგრამ ხელისუფლებამ ეს დაპირება არ შეასრულა და პოეტი 1952 წელს დაიჭირეს. სამშობლოს ღალატში ბრალდებული მწერალი სასჯელს სამი წლისა და რვა თვის განმავლობაში იხდიდა რუსთავის კოლონიაში, შემდეგ კი ხელისუფლების მიერ გამოცემული ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს და მუშაობის უფლება მისცეს.

ამ დროიდან მოყოლებული, სასჯელმოხდილი პოეტი სენაკში დამკვიდრდა და გარდაცვალებამდე იქ მდებარე მეორე საშუალო სკოლაში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ტერენტი ყიფიანი გარდაიცვალა 1995 წლის 8 ნოემბერს. დაკრძალულია სენაკში.

ლექსების წერა ტ. ყიფიანს მოწაფეობის წლებშივე დაუწყია და შემოქმედებითი მოღვაწეობა მისი ცხოვრების უმთავრეს საქმედ დაუსახავს. თუმცა საკუთარ თავს ამ მიმართულებით იმდენად დიდ მოთხოვნებს უყენებდა, რომ გაზეთ „საქართველოში“ თანამშრომლობის დაწყებამდე არც ერთი ლექსი არ ჰქონია გამოქვეყნებული. სამწუხაროდ, მანამდე შექმნილი მისი ლექსები დაკარგულია, გარდა იმ რამდენიმე ტექსტისა, რომლებიც ავტორმა ზეპირად აღადგინა და ბერლინში 1943 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულში დაბეჭდა.

პირველი ავტორი, რომელმაც ტერენტი ყიფიანის პოეტური შემოქმედების შესახებ პოზიტიური მოსაზრება წერილობითი ფორმით გამოთქვა და დაბეჭდა, გრიგოლ რობაქიძე იყო. მხედველობაში მაქვს ბერლინში გამომავალ გაზეთ „საქართველოს“ 1944 წლის 12 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „წყაროს თვალი,“ რომელშიც ამ გაზეთში დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოებებია განხილული.[10]

ხსენებული ტექსტების ავტორთაგან გრ. რობაქიძემ განსაკუთრებული ყურადღება მაშინ ვ. ურდოლის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ლექსებსაც მიაქცია და მათ ამგვარი შეფასება მისცა: „ლეგ. ვ. ურდოლი ღრმად გრძნობს საქართველოს წარსულს (შაირები: „გამოცხადება,“ „ლომის ბოკვერი,“ „კვართი უფლისა“). ძველს საქართველოს შეცნევაში „წარსული“ „მარად მყოფადი“ იყო. სასიხარულოა, რომ ჩვენი დროის ახალგაზრდა ქართველში საქართველოს შორეული ფესვები ასე ცოცხლად ირხევიან... ლეგ. ტ. ბარათელი (როგორც ითქვა, ესეც ტ. ყიფიანის ფსევდონიმია – ა. ნ.) ცდილობს ქროლვაში დაიჭიროს სუნთქვა ბედისწერისა („შაირი „წუხელის მთელი ღამე იქროლა“)“ (ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, 1994: 423).

შემდეგი ავტორი, რომელმაც ტ. ყიფიანის პოეტურ შემოქმედებას ასევე წერილობითი ფორმით მისცა მაღალი შეფასება, ბერლინში 1943 წელს გამოცემული მისი კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა ვარძიელი (მიხეილ მამულაშვილის ფსევდონიმია) იყო. მხედველობაში მაქვს ხსენებული წიგნის მისეული წინასიტყვაობა. პ. ვარძიელის შეფასებით, ვ. ურდოლი „უდაოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მგოსანი“ იყო, რომელმაც „მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც შინაარსის, ისე ლექსის ტექნიკის მხრივ. ვ. ურდოლი ორი წლის

10 გ. რობაქიძის ხსენებული წერილი – „წყაროსთვალი“ იხ: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ., 15 ნოემბერი.

მანძილზე ისე დავაჟკაცდა, რომ თამამად შეიძლება მისი ამოყენება თანამედროვე ცნობილ ახალგაზრდა ქართველ პოეტთა გვერდით".[11]

თავისი ცხოვრებისეული ხვედრიდან გამომდინარე, ტერენტი ყიფიანის შემოქმედების უმთავრეს თემად ავტორის პატრიოტულ და ნოსტალგიურ გრძნობათა გამოხატვა იქცა. ამ მოვლენის მისეულ გააზრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც სძენდა, რომ აღნიშნულ თემაზე შექმნილი თავისი ლექსებით იგი მარტო მის პიროვნულ ფიქრებსა და ემოციებს კი არ წარმოაჩენდა, არამედ მისი ბედის მქონე ათასობით ქართველი ლეგიონერის გულისთქმასაც გამოხატავდა სენტიმენტალიზებული ფორმით.

ამ მიმართულებით გამოვლენილი ავტორისეული ნააზრევის შეფასების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო, რომ გერმანელთა ტყვეობაში მყოფი პოეტი საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავლის ძიებას აქტიურად უკავშირებდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მიმდინარე სისხლისმღვრელ ომში გერმანელების გამარჯვებას. საამისო იმედს მას და იმხანად მისებური თვალთახედვის მქონე ათასობით ქართველ ლეგიონერს ის აქტიური თანადგომაც განუმტკიცებდათ, რომელიც გერმანიამ გამოიჩინა ჩვენი ქვეყნის მიმართ 1918 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებში.

იქიდან გამომდინარე, რომ ქართველი ლეგიონერები გერმანელთა ტყვეობაში მოქცევამდე საბჭოთა არმიის მებრძოლები იყვნენ, მათ იმის შესაძლებლობაც მიეცათ, ერთმანეთისთვის შეედარებინათ ის ყოფითი რეალობები, რაშიც დაპირისპირებულ მხარეთა მეომრებს უხდებოდათ ყოფნა. როგორც მათეული მონათხრობებით ირკვევა, ამ თვალსაზრისით გერმანელთა დროშის ქვეშ მებრძოლი ლეგიონერები საბჭოთა ჯარისკაცებთან შედარებით ამ ომის ბოლო პერიოდამდე გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ტ. ყიფიანის ტყვეობის დროინდელი ლექსების უმთავრესი თემა ავტორის ნოსტალგიურ გრძნობათა გამოხატვა იყო, სამშობლოს მონატრებით განპირობებული ტკივილის ემოციური ფორმით წარმოჩენა. ნათქვამის ნათელსაყოფად ღრმად შთამბეჭდავი არაერთი ლექსის გახსენება შეიძლება მისი შემოქმედებიდან. ამ სიყვარულის გამოხატვას ავტორი მეტ სიმძაფრეს იმითაც სძენს, რომ მას იმ რეალობასთან შეპირისპირებული ფორმით წარმოსახავს, რაც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შედეგად იყო აქ დამკვიდრებული. მაგალითად:[12]

> გვიყვარს, ვუმღერით ხშირად მიტომაც, სამშობლო ჩვენი ყოფნის ფესვია,
> გული იქითკენ მუდამ ილტვოდა, სადაც მამულის წმინდა თესლია,
> გამაგებინეთ – რისთვის გვინდოდა ქვეყანა, სადაც ყინვა თესია?!

ტ. ყიფიანის პოეტური შემოქმედებისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ პოეტმა „ყინვის მთესველი" ამ ქვეყნის მიერ მიტაცებულ მის სამშობლოში არსებული სწორედ ეს რეალობა აქცია პოეტური წარმოსახვის საგნად. განსხვავებით საბჭოთა ეპოქაში მცხოვრები მისი

---

11 ვ. ურდოელი, ლექსები, ბერლინი, 1943, გვ. 4.

12 ვ. ურდოელი, ლექსები, ბერლინი, 1943, გვ. 34.

კოლეგებისაგან, რომლებიც მაშინდელი ხელისუფლების მიერ გატარებული უმკაცრესი მმართველობითი პოლიტიკის გამო არსებულ რეალობას კონიუნქტურული სახით წაროაჩენდნენ, ტ. ყიფიანი, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამგვარი შებოჭილობისაგან თავისუფალი იყო, რაც შესაძლებლობას აძლევდა ყოველგვარი შეზღუდვისა და შელამაზების გარეშე ეთქვა თავისი სათქმელი. აქედან გამომდინარე, იგი მკვეთრად ნეგატიური ფორმით გამოხატავდა თავის პროტესტანტულ დამოკიდებულებას დიქტატორული საბჭოთა რეჟიმის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისადმი. მაგალითად:[13]

ჩამონგრეულან ციხე-კოშკები, ქარი დაჰკივის ცოდვილ თაობას
და თავდახრილი ჩვენი დროშები სტირიან თავის არარაობას!..
საქართველოში ახლა თბილისი უფსკრულებს შუა დაკიდულია:
კრწანისის ველის ბრძოლა და სისხლი მოსკოვში ოქროდ გაყიდულია!..

მკითხველისათვის ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, გერმანიის, როგორც ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვის მიმდინარე ბრძოლაში ქართველთა აქტიური თანამდგომი ძალის, მხარდაჭერას ტ. ყიფიანი სხვა ლექსებშიც არაერთგზის უსვამს ხაზს. მაგალითად, აკაკის „განთიადის“ აშკარა ზეგავლენით შექმნილ ლექსში „სამშობლო“.[14]გერმანიისადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას პოეტი მშობელი ქვეყნისადმი მიმართული ამ სიტყვებით გამოხატავდა: „შორიდან გიძღვნი დიდებას, ფირუზო არე-მარეო, ჯალათებისგან დევნილი გერმანეთს შევეფარეო!“

მიუხედავად აშკარად გამოხატული ამგვარი პროგერმანული პოზიციისა, რასაც პოეტსა და მის ბედში მყოფ ქართველ ლეგიონერებს კიდევ უფრო მეტად განუმტკიცებდათ გერმანელთა მხრიდან მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი გამოვლენილი მხარდამჭერი დამოკიდებულება, ტ. ყიფიანის ლექსებში მძაფრად ვლინდებოდა უცხოობაში ცხოვრების შედეგად გაჩენილი სულიერი ტკივილის განცდა, რასაც პოეტი საკმაოდ ეფექტური სიტყვიერი ხელოვნებით გამოხატავდა. მაგალითად:[15]

ეს მზე მეხურა ქართლის მიწაზეც, ეს თეთრი ნისლი, ცა – მთვარეული,
მაგრამ მზე აქ გულს ვეღარ მინათებს, მთვარეც ნისლშია გამოხვეული.
ასე მგონია: ეს ვარსკვლავებიც სხვა ფერის იყო თბილისის ცაზე,
სხვა თვალი ჰქონდა, სხვა წამწამები, სხვა სინარნარე და სილამაზე!

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ტ. ყიფიანმა რამდენიმე პოეტური თარგმანიც გამოაქვეყნა. ერთ-ერთი მათგანია ქართული ლეგიონის გერმანელი ოფიცრის, ლეიტენანტ მილკეს ლექსი „საყვარელ მეუღლეს,“ რომელიც პოეტს ქართულად რედაქციის დავალებით უთარგმნია. როგორც ლექსისთვის წამძღვარებული სარედაქციო კომენტარიდან ვგებულობთ, გერმანელი ავტორის მიერ დაწერილი ამ ლექსის თარგმნა გაზეთის გამომცემელთ იმიტომ გადაუწყვეტიათ, რომ მისი გერმანელი ავტორი ამ პოეტური ტექსტით მადლობას გამოხატავდა იმ ქართველი მებრძოლე-

13 იქვე, გვ. 51.

14 „საქართველო“, ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი,1942 წ., 16 აგვისტო, 1945 წ., 12 მარტი. ლექსები. შეკრიბა და გამოსცა კარლო ინასარიძემ, მიუნხენი, 1979, გვ. 46.

15 ვ. ურდოელი, ლექსები, ბერლინი, 1943, გვ. 50.

ბისადმი, რომლებმაც გმირულად გაწირეს თავი გერმანიისათვის.[16] გერმანელი ავტორის შეფასებით, „ისინი მოკვდნენ, როგორც გმირები, და გახდნენ ღირსი ამ დიდებისა, ჩვენი შვილი და შვილიშვილები მათ დაიფარეს საზარ მტრისაგან, ქალებო, მოდით და ყვავილებით მორთეთ საფლავი ამ გმირებისა!“

ასეთია უმთავრესი შტრიხები ტერენტი ყიფიანის ტყვეობის დროინდელი პოეტური შემოქმედებისა. როგორც ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ლიტერატურული მოღვაწეობა სამშობლოში დაბრუნების შემდგომაც გააგრძელა, ამ დროს შექმნილი მისი ნაწარმოებები მას თავის სიცოცხლეში აღარსად გამოუქვეყნებია, რაც იმ დიდი ფსიქოლოგიური ტერორის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა, რომლის ზემოქმედების ქვეშაც გაატარა მან მთელი მაშინდელი ცხოვრება.

მართალია, საქართველოში დაბრუნების შემდგომ სამშობლოს მოღალატეობის ბრალდებით ერთხელ უკვე სასჯელმოხდილი პოეტი მეორედ აღარ დაუჭერიათ, მაგრამ საამისო შიში მას საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სდევდა თან, რაც შემოქმედებით თავისუფლებას უზღუდავდა და საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევის სამზეოზე გამოტანისთვის გზას უღობავდა.

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ტ. ყიფიანი მაინც რომ დარჩა არსებულ სახელისუფლებო რეჟიმთან შეურიგებელ და შინაგანად მეამბოხე პიროვნებად, ეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შექმნილი მისი ლექსებითაც თვალნათლივ ჩანს. სწორედ ამის დაუეჭვებელ დადასტურებას წარმოადგენს საქართველოში დასტამბული მისი ერთადერთი პოეტური კრებული, რომელიც პოეტის ქალიშვილმა ნანი ყიფიანმა გამოსცა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1996 წელს. ხსენებული კრებულისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში ავტორის მიერ ტყვეობის პერიოდში შექმნილი ლექსების გარდა სამშობლოში დაბრუნების შემდგომ შექმნილი პოეტური ტექსტებიცაა დაბეჭდილი.

როგორც მკითხველი ხსენებული ლექსებიდანაც თვალნათლივ დაინახავს, ტ. ყიფიანი კვლავაც დარჩა არსებულ სახელისუფლებო რეჟიმთან შინაგანად დაპირისპირებულ პიროვნებად. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად იგი მორჩილი და ბედს შერიგებული ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი იმდროინდელი შემოქმედებიდან აშკარად ჩანს, რომ ტყვედნამყოფი პოეტი მსოფლმხედველობრივად ქედს მაინც არ იხრიდა და ამჯერად უკვე თავისი ლექსებით გამოხატავდა მწვავედ პროტესტანტულ დამოკიდებულებას იმ რეალობისადმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იყო დამკვიდრებული ეროვნული და სოციალური თვალსაზრისით.

სწორედ ამ გარემოების შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტ. ყიფიანის იმდროინდელი შემოქმედების ჩვენთვის ცნობილ ნიმუშებში არანაირი ფორმით არ გამოვლენილა მაშინდელი ჩვენი მწერლობისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიზებული ტენდენციები. როგორც მკითხველი პოეტის მიერ ომის შემდგომ პერიოდში შექმნილი ლექსებიდან თვალნათლივ დაინახავს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქვეყნის მოღალატეობის ბრალდებით სასჯელმოხდილი, იგი სულიერად მაინც არ გატყდა და კვლავაც დარჩა არსებულ სახელისუფლებო რეჟიმთან უკომპრომისოდ დაპირისპირებულ პიროვნებად.

ტ. ყიფიანის მოქალაქეობრივი მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე პოეტურ ფრაგმენტს იმ

16 „საქართველო“, ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი,1942 წ., 16 აგვისტო, 1945 წ., 12 მარტი. ლექსები. შეკრიბა და გამოსცა კარლო ინასარიძემ, მიუნხენი, 1979, გვ. 60.

პერიოდის მისი შემოქმედებიდან. მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევდა იგი თავის სულიერ მარტოობასა და საზოგადოებისგან იზოლირებულად ცხოვრებას 1954 წელს დაწერილ ერთ-ერთ მათგანში – „ლექსო, შენ მაინც მეძმე“:[17]

ხალხმრავალ ხმელზე მარტო ვარ, კაცი ვარ, მარტო ვერ ვძლებ,
ყველა მოკეთემ დამტოვა, ლექსო, შენ მაინც მეძმე.

ერთ-ერთი უმთავრესი გარემოება, რომელიც პოეტის ასეთ სულიერ სასოწარკვეთილებას არსებითად განსაზღვრავდა, საბჭოთა პერიოდის საქართველოში შექმნილი მდგომარეობა იყო. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე მეოცნებე პოეტი ვერაფრით ეგუებოდა იმ რეალობას, რომელიც საბჭოთა კავშირად სახელდებული რუსული იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოში არსებობდა და ამ მოვლენისადმი თავის პროტესტანტულ დამოკიდებულებას ასე გამოხატავდა:[18]

საქართველოს ვერ ვახსენებ ახლა:
საქართველო წარსულშია მხოლოდ!..
ოჰ, როგორ მკლავს და რარიგად მტანჯავს
ჩემი ქვეყნის საშინელი ბოლო!..

დამოწმებული სტრიქონები გამონაკლისი არ არის და ომის შემდგომ პერიოდში ტ. ყიფიანმა საკმაოდ მრავლად შექმნა მსგავსი ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი ისეთი ლექსები, რომლებშიც საბჭოთა პერიოდის საქართველოში შექმნილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რეალობა მეტად პესიმისტურად იყო წარმოსახული. პოეტის ამგვარ თვალთახედვას მეტ სიმძაფრეს ავტორი იმითაც სძენდა, რომ ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი მას ქართველი ხალხის დიდი შვილების მამულიშვილურ ღვაწლთან შეპირისპირებული სახით ჰქონდა გააზრებული. მაგალითად:[19]

ეს ლამაზი ქვეყანა, ნეტავ, ვიღამ არია?
ცა სუფთაა და მაინც შავზე შავი დარია!..
თამარის დრო წავიდა, ერეკლე არ არისო,
ტრფობის წმინდა ყვავილი ქვეყნად აღარ ჰყვავისო!..
ვინა მღერის? – ჩვენი მწყემსი თუა,
რამ მოუკლა გული ასე მწარედ?!
მონობას ხომ ვერვინ შეეგუა?
მშობელ მიწას წმინდა სისხლით რწყავენ!

ომის შემდგომ პერიოდში დაწერილი ლექსებით ტ. ყიფიანმა მისნაირი ბედის მქონე იმ ადამიანთა შინაგანად მეამბოხე სულიერი პროტესტანტიზმიც შეგვაგრძნობინა, რის გამოც ეს პიროვნებანი საბჭოთა რეჟიმის დამამკვიდრებელთა მიერ იყვნენ იმხანად რეპრესირებულნი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამგვარ სასჯელს

17 ტ. ყიფიანი, ლექსები, თბ., 1996, გვ. 19.
18 იქვე, გვ. 22.
19 ტ. ყიფიანი, ლექსები, თბ., 1996, გვ. 26.

ომის შემდგომ პერიოდში ვერც ის გადაურჩა და სამშობლოში დაბრუნებული პოეტი ხელისუფლებამ სამშობლოს ღალატის ბრალდებით ციხეში გამოკეტა რამდენიმე წლის განმავლობაში.

ომის შემდგომ პერიოდში შექმნილ თავის ლექსებში ტ. ყიფიანმა სამშობლოს თავისუფლებისა და ქვეყნად სამართლიანობისათვის ბრძოლის გამო რეპრესირებული ადამიანების დასაცავადაც აღიმაღლა ხმა და ამ უსამართლობისადმი თავისი პროტესტანტული დამოკიდებულება ერთ-ერთგან ამ ფორმით გამოხატა:[20]

> როდესაც ირგვლივ ბორკილების ჩხრიალი ისმის
> და მწუხრის ნისლი ფარავს მიწას, დასუდრულს ერთობ,
> ამაყი აზრი იდევნება ან ცეცხლში იწვის, –
> თავისუფლების ბრწყინვალება მაშორე, ღმერთო!
> ბორკილს მონას არ დაადებენ... ხოლო მებრძოლებს
> ის ალამაზებს... უფრო აწრთობთ, მხნედ, კლდეგულიანთ,
> დიდია ფასი ბორკილისა კაცისთვის, როცა
> თავისუფლება ქვეყნად ბორკილდადებულია!...

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ ტერენტი ყიფიანის მოკრძალებულ წვლილს საბჭოთა პერიოდის ჩვენი მწერლობის ისტორიაში პირველ ყოვლისა ის ფაქტი განსაზღვრავს არსებითად, თავისი პოეტური შემოქმედებით მან არა მარტო საკუთარი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა რომ გამოხატა ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, არამედ მის ბედში მყოფი ათასობით იმ ქართველი ლეგიონერისაც, რომლებიც მათდა უნებურად გერმანული დროშის ქვეშ აღმოჩნდნენ დარაზმულნი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გამართული მეორე მსოფლიო ომის დროს.

სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანი. ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლის, გამორჩეულად ნიჭიერი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის – სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანის შემოქმედებიდან ქართველ ლეგიონერთა გაზეთ „საქართველოში“ მხოლოდ ერთი ლექსი – „მგოსანი“ იყო გამოქვეყნებული. ამისდა მიუხედავად, წინამდებარე ნარკვევში მის შესახებ რამდენიმე სიტყვის თქმა მაინც მივიჩნიე აუცილებლად იმის გამო, რომ ხსენებული გაზეთი სპეციალური წერილით გამოეხმაურა ამავე გაზეთის მიერ 1943 წელს „საველე ბიბლიოთეკის“ სერიით ბერლინში გამოცემულ ამ ნიჭიერი პოეტის წიგნს „ნაწერები“. მხედველობაში მაქვს ლეგიონერ შ. ა-ს წერილი, რომლითაც ავტორი გაზეთის მკითხველებს საგულისხმო ინფორმაციას აწვდიდა ს. ბერეჟიანისა და მისი კრებულის შესახებ.[21]

„საქართველოს“ რედაქციის მიერ ს. ბერეჟიანის წიგნის გამოცემა მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართული ემიგრანტული მწერლობის ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე იყო გერმანელთა მხრიდან. სამწუხაროდ, წიგნი ამ ომში მისი დაღუპვის შემდეგ მომ-

---

20 იქვე, გვ. 30.

21 „საქართველო“, ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი,1942 წ., 16 აგვისტო, 1945 წ., 12 მარტი. ლექსები. შეკრიბა და გამოსცა კარლო ინასარიძემ, მიუნხენი, 1979, გვ. 16.

ზადდა და გამოიცა, რის გამოც მისმა გამომცემლებმა პოეტის შემოქმედებითი მეკვიდრეობიდან მხოლოდ მცირე ნაწილის მოძიება შეძლეს.

ს. ბერეჟიანისა და მისი წიგნის შესახებ ხსენებულ წერილში ნათქვამი იყო: „ახლახან გამოვიდა ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკის მორიგი წიგნი სიმ. ბერეჟიანის „ნაწერები.“ წიგნში მოთავსებულია თხუთმეტი ლექსი, ერთი პოემა, მოგონებანი ვაჟაზე და მოთხრობა „ნიკალას“ ნაწყვეტები. კრებულს უძღვის ვ. ნოზაძის პატარა წერილი „სიმონ ბერეჟიანი“ და მ. ტუღუშის კრიტიკული მიმოხილვა „სიმონ ბერეჟიანი და მისი შემოქმედება...“

ამ კრებულით ლეგიონერებს საშუალება აქვთ ახლოს გაეცნონ ს. ბერეჟიანის პოეტურ აღმაფრენას, უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას მამულისადმი, მშობელი მიწისადმი. იგი იბრძოდა საქართველოსათვის არა მარტო კალმით, არამედ იარაღით ხელში აღმოსავლეთის ფრონტზე.“

სიმონ ბერეჟიანი განათლების მისაღებად გერმანიაში ჯერ კიდევ 1920 წელს წავიდა და საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ ემიგრანტად დარჩა ევროპაში. გარდა ხსენებული კრებულისა, 1982 წელს პარიზში მისი მეორე წიგნიც დაიბეჭდა „ლექსების“ სახელწოდებით. ს. ბერეჟიანის ლექსების ამ წიგნის გამოცემას კრებულის გამომცემელნი რამდენიმე გარემოებით ხსნიდნენ. პირველი, იმით, რომ ომის დროს გერმანიაში ცუდ ქაღალდზე დასტამბული მისი წიგნიდან იმხანად მხოლოდ „გაცრეცილ-გაყვითლებული და დაზიანებული რამოდენიმე ცალიღა მოიპოვებოდა“;

და მეორე, წიგნის გამომცემელთა ხაზგასმით, ს. ბერეჟიანის შემოქმედებისადმი ესოდენი ყურადღება მარტო იმიტომ კი არ უნდა გამოგვეჩინა, რომ „უცხოეთში გარდახვეწილი პოეტის დავიწყება დაუშვებელია, არამედ იმიტომ, რომ ეს პატარა კრებული... სრულებითაც ზედმეტი არ არის ქართული პოეზიისათვის – მიუხედავად ამ პოეზიის დიდი სიმდიდრისა და მესამე გარემოება ის არის, რომ ეს პატარა წიგნი ამავე დროს პოეტის ძეგლია, რადგან მისი საფლავიც კი დაკარგულია.“

როგორც ვხედავთ, ს. ბერეჟიანის შემოქმედებისადმი ქართველ ემიგრანტთა ესოდენი ყურადღება ავტორის განსაკუთრებული ნიჭიერებით იყო განპირობებული. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შეფასებით, იგი მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ყოფილა, ყველასთვის საყვარელი კაცი. ვ. ნოზაძის თქმით, „ეს სიყვარული მისი გულის ნიჭიდან იყო წარმოშობილი; მთელი მისი არსება შეპყრობილი და მოჯადოებული იყო სამშობლოს სიყვარულით და ამ სიყვარულის სხივებს იგი ჰფენდა ყველას და ყველაც იმავე გრძნობით უპასუხებდა. იგი გულით ატარებდა საქართველოს და იყო თავდავიწყებული მიჯნური სამშობლოსი.“

ს. ბერეჟიანი დაიბადა 1899 წელს საქართველოში. მისი ნამდვილი გვარი თაყაიშვილი იყო. მის მშობლებს ხუთი შვილი ჰყოლიათ. ერთი წლის სიმონიკა უშვილო დეიდას უშვილებია. ახლად შეძენილმა მშობლებმა ბავშვი საცხოვრებლად თბილისში წაიყვანეს და სიმონ ბერეჟიანად მონათლეს. აქ ის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, ზაფხულობით კი გურიაში დაჰყავდათ, სადაც ბერეჟიანებს კარგი მამული და სახლ-კარი ჰქონიათ სოფელ ახალშენში.

პოეტის ბიოგრაფის – შოთა ბერეჟიანის ცნობით, სიმონიკა ბავშვობიდანვე თურმე მრავალმხრივ ნიჭიერებას იჩენდა – წერდა, ხატავდა, მახვილსიტყვაობდა და დეკლამატორობდა. მართალია, მოგვიანებით მას თავისი ნამდვილი ვინაობაც შეუტყვია, მაგრამ ძველი გვარის აღდგენა საჭიროდ აღარ ჩაუთვლია.

1918-20 წლებში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ხანაში, ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებებით გულანთებულ მწერალს აქტიური მონაწილეობა მიუღია იმ ბრძოლებში, რომელთაც ქართული ჯარი აწარმოებდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად.

1920 წელს ს. ბერეჟიანი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში მიემგზავრება. "საქართველოს დაპყრობის შემდეგ იგი ორი თუ სამი წელი კიდევ დარჩა ბერლინში, მაგრამ ცხოვრება გაუძნელდა და საფრანგეთში გადასახლდა. აქ იგი მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება".[22]

პარიზში დამკვიდრებული მწერალი ენერგიულად ჩაერთო ქართველ ემიგრანტთა პატრიოტულ საქმიანობაში. კერძოდ, ის იყო 1924 წელს გენერალ ლეო კერესელიძის მეთაურობით შექმნილი ქართული პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანიზაცია "თეთრი გიორგის" ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი და აქტიური წევრი.[23] ს. ბერეჟიანის ლიტერატურული ნაწარმოებები და მხატვრული კარიკატურები სისტემატურად იბეჭდებოდა ამ ორგანიზაციის პერიოდული ორგანოების – გაზეთ "თეთრი გიორგისა" და ჟურნალ "ქართლოსის" ფურცლებზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს ს. ბერეჟიანი ფრონტზე გაიწვიეს. მაგრამ ომში მყოფ მწერალს სულიერი დაავადების ნიშნები დაეტყო. თანდათანობით მდგომარეობა იმდენად გაურთულდა, რომ საავადმყოფოში მისი მოთავსებაც გახდა აუცილებელი. ეს რუმინეთში ყოფნის პერიოდში მომხდარა. სიმონიკა საავადმყოფოში დაუწვენიათ და ამის შემდეგ მისი კვალიც დაკარგულა.

შ. ბერეჟიანის ცნობით, უკანასკნელ ხანებში მიუნხენის რადიოს გადაუცია ცნობა იმის შესახებ, თითქოს ს. ბერეჟიანი ქ. შტუტგარტში გარდაცვლილიყოს. "თუ ეს ცნობა რომელიმე სერიოზულ წყაროს ემყარება, – აღნიშნავს მწერლის ბიოგრაფი, – მაშინ უფრო ზუსტი ცნობის მიღებაც არ უნდა იყოს ძნელი. შტუტგარტი ომის დროს არ განადგურებულა და გერმანული არქივების მეთოდურობა ცნობილია. მხოლოდ თუ ვინმე ამ საქმის გამორკვევას შეუდგება, სიმონ ბერეჟიანი არ უნდა ეძებოს. სიმონიკას მესამე გვარის ტარებაც ხვდა წილად. მის სამხედრო წიგნაკში ეწერა: – სიმონ ბერგერ. მას ბედმა სამშობლოს გარეთ სიკვდილი არ აკმარა – ქართული გვარით დამარხვაც არ ეღირსა".

ს. ბერეჟიანის პოეზიაში ფაქტობრივად ერთადერთი თემაა გაბატონებული, ერთადერთი მიზანსწრაფვა და სულისკვეთება – გამძაფრებული სიყვარული მონობის ხუნდებით დათრგუნული სამშობლოსადმი. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა პირველ ყოვლისა სწორედ ამ სიყვარულით იყო განპირობებული. სხვა ფიქრი და მისწრაფება, გარდა თავისი ქვეყნის თავისუფლებასა და ბედნიერ მომავალზე ოცნებისა, მას თითქოს არც კი ჰქონია. ავტორისეული სათქმელის სწორედ ამგვარი წარმოჩენის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს გაზეთ „საქართველოში გამოქვეყნებული ს. ბერეჟიანის ზემოთ ხსენებული ლექსი „მგოსანი".[24]

როგორც ამ ლექსიდანაც თვალნათლივ ჩანს, ს. ბერეჟიანი თავის უპირველეს მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა, თავგანწირვით ებრძოლა „ზეცით დარგუ-

---

22 ს. ბერეჟიანი, ნაწერები, ბერლინი, 1943, გვ. 6.

23 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, 3, თბ., 1993, გვ. 202.

24 „საქართველო", ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი, ბერლინი,1942 წ., 16 აგვისტო, 1945 წ., 12 მარტი. ლექსები. შეკრიბა და გამოსცა კარლო ინასარიძემ, მიუნხენი, 1979, გვ. 33.

ლი და ქართული სისხლით მორწყული მაისის ვარდის“ გადასარჩენად. მკითხველისათვის ალბათ უკომენტაროდაც ნათელი იქნება არსი მაისის ვარდის სახე-სიმბოლოთი ნაგულისხმევი აზრისა. პოეტი შეძრწუნებული გოდებდა იმის გამო, რომ “დაწყევლილმა ახალმა ხანამ” “ტყვიით გადახნა” ქართული მიწა, თავად ის კი “ეკლიანი რკინის მავთულის” ტყვეობაში მოაქცია, მაგრამ ამ გარემოებას იგი არათუ სულით არ დაუცია, არამედ კიდევ უფრო მეტად აუნთია შურის საძიებლად:

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობს ჩემი ბუკი-ნაღარა!
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჭაღარა!

ს. ბერეჟიანის პატრიოტული მისწრაფება ლექსის ბოლოს იმდენადაც კი მძაფრდება, რომ ავტორისეული თვალთახედვა მკვეთრად გამოვლენილ აზრობრივ რადიკალიზმამდეც მიდის და ასეთ სახეს იღებს:

ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!

სიმონ ბერეჟიანის ამ ლექსს ესოდენ დიდი ყურადღება აქ არა მარტო იმიტომ მივაქციე, რომ იგი გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული მისი ერთადერთი ნაწარმოები იყო, არამედ იმიტომაც, რომ მისი ავტორი მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით გამოხატავს ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ თვალთახედვასა და პატრიოტულ სულისკვეთებას.

* * *

გარდა წინამდებარე ნარკვევში წარმოდგენილი პოეტების შემოქმედებისა, გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე 1942-1945 წლებში 50-ზე მეტი სხვა ლეგიონერი ავტორის ლექსებიც იყო გამოქვეყნებული. იქიდან გამომდინარე, რომ მათი პოეტური ნააზრევი არც მხატვრული ოსტატობითაა გამორჩეული და თემატურ-შინაარსობრივი თვალსაზრისითაც იმავე საკითხებს მოიცავს, რასაც უკვე განხილული პოეტური ტექსტები, მათზე საგანგებო ყურადღების გამახვილება საჭიროდ აღარ მიმაჩნია.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმას, რომ ქართველ ლეგიონერ ავტორთა უმეტესობა მოყვარული შემოქმედი იყო და სენტიმენტალიზებული ფორმით ცდილობდა ლექსად გამოეხატა თავისი ნოსტალგიური გრძნობები მონატრებული სამშობლოსა და საყვარელი ადამიანებისადმი, უცხო მიწაზე ხანგრძლივად მყოფობის შედეგად წარმოქმნილი მარტოობისა და ტკივილის განცდა და იმედი იმისა, რომ ომში გერმანიის გამარჯვების შედეგად ისევ აღდგებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ისინიც გახდებოდნენ ამ ისტორიული მოვლენის თანაშემოქმედნი.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Georgian Legionnaire Poets Having Faught in the German Army During the Second World War

Summary

During the Second World War, the Germans formed special legions out of captured Soviet fighters that took an active part in military operations. The main motivation behind this decision by the former Soviet citizens was the liberation of their countries occupied by the Soviet Russia in case of German victory. On this basis the Georgian Legion was formed in 1942 which included Georgian poets as well. In particular: Lado Sulaberidze, Terenti Kipiani, Simon Berezhiani and others. Their poems were regularly published in the weekly Georgian newspaper of the Legion "Sakartvelo" (Georgia), which was issued in Berlin in 1942-1945.

The poetic creativity of the Georgian legionnaires allows us to understand more deeply the aspirations of the Georgian legionnaires captured by the Germans. In order to demonstrate them more clearly the paper analyzes the poetic works of that time by Lado Sulaberidze, Terenti Kipiani and Simon Berezhiani. Along with these poets, the poems by more than 50 other legionnaires were published in the newspaper "Sakartvelo" (Georgia) in 1942-1945. But artistically regarded, their poetic thoughts are not valuabe enough to focus much of my attention.

ბელა გზირიშვილი

ლევილის ბინადარნი: ლევილის მამულის ისტორიის კვლევისათვის

„ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“, – ვკითხულობთ ლევილის ქართველთა პანთეონში განსვენებული ნიკოლოზ (კოკი) დადიანის საფლავის ეპიტაფიას. და ეს სიტყვები, ალბათ, „ყველაზე უფრო მჭევრმეტყველურად გამოხატავს სამშობლოდან მოწყვეტილი და ბედის უკუღმართობით უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართული ეროვნული ემიგრაციის ტრაგიკულ სვეს“[1]. საქართველოს მონატრება ყველაზე დიდ გრძნობად გაჰყვა ქვეყნიდან იძულებით გახიზნულ და სხვის მიწაში დამიწებულ უამრავ ლტოლვილს.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოში განვითარებული დრამატული მოვლენების შემდეგ, საფრანგეთში ემიგრაციაში წასულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საკუთარი რეზიდენცია სჭირდებოდა და ამიტომ მან 1922 წელს თავის სახელზე სახელმწიფო სახსრებით ლევილის შატო შეიძინა.

ქართველებისთვის ლევილის მამულს განსაკუთრებული მისია დაეკისრა – მისია საქართველოს განთავისუფლების ფორპოსტისა. მამია ბერიშვილი (ლევილის ქართული კერის ასოციაციის თავჯდომარე) ასე განმარტავდა ემიგრანტებისათვის მამულის მნიშვნელობას: „ჩვენი სამიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში, მრავალი, უმთავრესად, რელიგიური კერა გაგვაჩნდა უცხოეთში, რომელთაგან, დღესდღეისობით, მხოლოდ „ივერიონის“ ქართული მონასტერი...თუ „ჯვარის მონასტერი შემოგვრჩა“... საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დაკარგვას 1921 წლის თებერვალში კი მოჰყვა ახალი საერო კერის დაარსება თავისუფლების მოყვარულ საფრანგეთის, პარიზის ახლო დაბა ლევილში, რომელიც არამარტო პოლიტიკურ დევნილობაში მყოფი ქართველობის ეროვნულ ცენტრად იქცა, დროთა განმავლობაში დაწყებული 1922 წლის 24 ივნისიდან, როცა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით, – იყიდა ლევილის შატოს მამული“.[2]

ლევილი ფრანგულ საისტორიო წყაროებში ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნიდან ლუნვილად მოიხსენიება, ხოლო მეთხუთმეტე საუკუნიდან უკვე ლევილად იწოდება და ეკუთვნოდა ოლივიერთა გვარს. მან რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა, საფრანგეთის რევულუციის შემდეგ კი კომუნა გახდა. 1884 წლის 5 აპრილს გამოცემული კანონის ძალით, ლევილის გამგებელი კომუნის მუნიციპალიტეტი იყო. დღესაც მას მართავს ადგილობრივი თვითმმართველობა ხმოსნების დახმარებით და მონაწილეობით. აქ მდებარეობს „ლევილის შატო.“

---

1 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ., 1991, გვ. 3.

2 მ. ბერიშვილი, „ლევილობა“, ლევილის ქართული კერის ასოციაციის ადმინისტრაციის საუბილეო გამოცემა, 1987, გვ. 3-4.

მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები[3].

ლევილის სასახლე ცაცხვების ხეივნის მიღმა მდებარეობდა (იხ. დანართი **#1**). აქ ქართველი ემიგრანტები უსასყიდლოდ ცხოვრების უფლებით სარგებლობდნენ. იქვე იყო სასახლის დამხმარე ნაგებობებიც, სადაც ინახავდნენ სასუქს, ჰყავდათ ფრინველი და შინაური ცხოველები. შატოს უკან, გალავანზე პატარ-პატარა ნაგებობები იყო ჩამწკრივებული, სტამბისა და საწყობის ფუნქციას რომ ასრულებდა. თავიდან იქვე ინახებოდა საქართველოს მთავრობის არქივიც. 20-30-იან წლებში ლევილის სასახლეში იმდენი გაღატაკებული ქართველი ცხოვრობდა, რომ ნოე ჟორდანია თავის ოჯახთან ერთად მამულში ღამის გასათევადაც ვერ რჩებოდა და ბინა ჰქონდა ნაქირავები[4].

მამულის შატოში მისი შეძენისთანავე პირველი ბინადარნი იყვნენ კარლო ჩხეიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, გრიგოლ ვეშაპელი, ბატონინი ლეპრანი, ვალოდია გოგუაძე, რაჟდენ არსენიძე, გიორგი ერაძე, არჩილ არავიაშვილი და სხვები[5].

ლევილის არქივის საქმე #3-ში დეტალურადაა მოცემული მამულის შატოში და შატოს ეზოში მცხოვრებთა (ექვთიმე თაყაიშვილის, კარლო ჩხეიძის, ნოე რამიშვილის, კონსტანტინე კანდელაკის, გრიგოლ ვეშაპელის, ბატონი ლეპრანის, ვალოდია გოგუაძის, რაჟდენ არსენიძის, გიორგი ერაძის, და არჩილ არავიაშვილის) ბინებში არსებული მამულის კუთვნილი ავეჯეულობისა და სამეურნეო იარაღის სია (იხილეთ დანართი **#2**). ეს სია მეტად მეტად მწირი და ღარიბული იყო და ალბათ ყველაზე მცირედით აკმაყოფილებდა შეხიზნულთა მოთხოვნილებებს, ხელნაწერი შედგენილია გიორგი ერაძის მიერ. იგი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ემიგრანტების ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების შესახებ, თუ როგორ დაიწყო მამულის ახალი ემიგრანტული ისტორია მისი პირველი ბინადრებიდან, რომელთაც ელემენტარული ნივთების გარდა, არაფერი ებადათ, მაგრამ მათ ჰქონდათ ყველაზე განსაკუთრებული რამ – დიდი იმედი, რომ აქ ცხოვრება დროებითი იყო, რომ მსოფლიო პროგრესული ძალების მხარდაჭერით მოხდებოდა საქართველოს განთავისუფლება რუსული ოკუპაციისგან და ისინი სულ მალე დაუბრუნდებოდნენ საყვარელ სამშობლოს.

ამ რწმენით აღსავსე ხიზნები აგრძელებდნენ აქტიურ საქმიანობას როგოც პოლიტიკაში, ისე კულტურულ სარბიელზე და ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ საბოლოოდ „სათაყვანებელი ქვეყნის ნაცვლად ხელში მხოლოდ ლევილის სასაფლაო შერჩებოდათ, ...დევნილი ქართველების საბოლოო ნავთსაყუდელი“[6] და მათგან მხოლოდ ერთეულები შეძლებდენ მშობლიურ მიწაში დამიწებას.

დრო გავიდა და ლევილის მცხოვრებლებიც მეტ-ნაკლებად „შეეგუვნენ“ ახალ პირობებს. სიცოცხლე გრძელდებოდა და მათაც ფეხი უნდა აეწყოთ ცხოვრების ფერხულისთვის. მაგრამ ეს ყველამ ვერ შეძლო. ზოგიერთისთვის მეტად ტრაგიკული გამოდგა სამშობლოდან დაშორება, მაგალითად ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძისთვის, „რუსეთის რევოლუციის ბებერი არწივისთვის“, – როგორც მას ცნობილმა ამერიკელ-

---

3 გ. შარაძე, „ჩვენ-ქართველნი“. „ლევილის ქართული მამული და მისი დაბრუნების გზები“, თბ., 1998, გვ. 96.

4 ი. ჩუბინიძე, დაკარგული სამოთხე, ეპიზოდი, 2011, #1, გვ. 67.

5 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2126, ანაწ. 1, საქმ. 3, ფურც. 1.

6 ც. ჯერვალიძე, პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით, თბ. 2010, გვ. 25-26.

მა მწერალმა ჯონ რიდმა უწოდა.[7] ის ქართველთა მამულში მეუღლესთან და უმცროს ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა მამულის შეძენის პირველივე დღიდან და განიცდიდა დიდ მატერიალურ სიდუხჭირეს. ეს კარგადაა ასახული მის პირად არქივში (# 2115) დაცულ წერილებში, რომლის ადრესატებიც სხვადასხვა პირები არიან. საქმე #84 არის 1923 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული წერილი ვინმე გრიშასადმი, საიდანაც ვიგებთ, რომ კარლო ჩხეიძეს საფრანგეთში ემიგრაციისას საქართველოში დარჩა ორი ქალიშვილი ნატა და ლიდა, რომელთაც „ეგონათ, რომ ბოლშევიკურ რეჟიმს გაუძლებდნენ და ამიტომ არ დატოვეს საქართველო. ...ახლა დარწმუნდნენ, რომ ეს შეუძლებელია“ და დარდიანი მამა სთხოვს აიოლას (გრიშას), დაეხმაროს მისი შვილების პრაღაში გადმოყვანასა და იქაურ უნივერსიტეტში მოწყობაში.[8]

1924-1925 წლებით დათარიღებულ სხვა წერილებში, რომელიც კარლო ჩხეიძემ გაუგზავნა ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელს და კონსტანტინე კანდელაკს, იგი მთელი სიცხადით აღწერს თავის საშინელ ეკონომიკურ გაჭირვებას. ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „წელიწადზე მეტია, რაც შიმშილის ხანას განვიცდი. არაფერი მითქვამს დღემდის ამაზე. მითუმეტეს, რომ ეს მთავრობამაც იცოდა, მათ შორის ვინც ლევილში მთავრობისგან დახმარებას ღებულობს. მე შედარებით ყველაზე ნაკლები მეძლევა. ამით სრულიად არ მინდა ვსთქვა, რომ სხვები გადაჭარბებულს ღებულობენ. დღეს დამიდგა საკითხი ცოლის მძიმე ავადმყოფობის. ამ ხანად ის საავადმყოფოში წევს და სამ ოპერაციას მოელის. ამით იძულებული ვარ, მთავრობა შევაწუხო, მე მას ვსთხოვ 1000 ფრანკ დახმარებას“.[9]

შიმშილი, უსახსრობა, უიმედობა მის ფიზიკურ და სულიერ კრიზისს აძლიერებდა, რამაც საბოლოოდ მიიყვანა ტრაგიკულ ფინალამდე. ჟურნალ „ბრძოლის“ 1926 წლის 12-ე ნომერი საზოგადოებას ამცნობდა, რომ „7 ივნისს (1926 წ) დილის 8 საათზე, სოფელ ლოვილში... საკუთარ ბინაზე ლოგინში მწოლიარე კარლო ჩხეიძემ სცადა უბრალო მაგიდის დანით მალულათ საბნის ქვეშ ყელის გამოჭრა. მის გვერდით მყოფი მეუღლე მხოლოდ რამოდენიმე ხანში გაერკვა, თუ რა საშინელებას სჩადიოდა კარლო, ეცა დანის წასართმევათ. ...როგორც იყო წაართვა და გადაისროლა იატაკზე. ...გაფითრებული, თვალებგაფართოებული კარლო იძახოდა: „სიკვდილი მწყურია, სიკვდილიო“![10]

ორი ქართველი ექიმის – ანტონ ჟორჟოლიანისა და იოსებ ცინცაძის გადმოცემით, კარლო ჩხეიძის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „ვფიცავ ჩემ სამშობლოს, მე მინდა სიკვდილი. მინდოდა მენახა ჩემი დედა სამშობლო, მარა ვერ ვეღირსე. არ დამივიწყო, ჩემო ქვეყანავ, შენი უღირსი შვილი! ერთი ბახმაროდან გადმომახედა – ზევით რომ მზეა და ძირს – ღრუბლები“![11]

იგი გარდაიცვალა 11 ივნისს. თვალები ევგენი გეგეჭკორმა დაუხუჭა. დაკრძალეს პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

ლევილში მცხოვრებთაგან „შიმშილის შვილი“ იყო დიდი ექვთიმე თაყაიშვილიც, რომელსაც დაევალა საფრანგეთში გატანილი საგანძურის მოვლა-პატრონობის საქმე. მეტიც, ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი ევროპელ ანტიკვარებთან მოხვედრი-

---

7 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, გვ. 38.

8 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2115, ანაწ. 1, საქმ. 84, ფურც. 1.

9 იქვე, საქმ. 86, ფურც. 9.

10 გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, თბ, 2001, გვ. 208-211.

11 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, გვ. 56.

ლი ქართული ძეგლების შეძენაზეც კი ზრუნავდა და კბილებთ იცავდა ქართულ საუნჯეს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებისა და ათასგვარი ავანტიურისტისგან. „მეცნიერის თავდადებამ 1945 წელს ნიადაგი შეამზადა, რათა სამშობლოს ეროვნული საგანძური დაბრუნებოდა“.[12]

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ნახევრად მშიერი აღამებდა, ექვთიმეს სახლის კარი ღია იყო ყველა გაჭირვებულისთვის. მანანა ვასილის ასული მჭედლიშვილი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიყვარულით იხსენებდა მოხუც მეცნიერს. იგი ამბობდა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ეხმარებოდა იმ ქართველებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში. მანანა იყო წითელი არმიის ექთანი ჩრდილო კავკასიის ფრონტზე. იგი 1943 წლის ივლისში ტყვედ იგდეს გერმანელებმა და გააგზავნეს საფრანგეთში. პარიზში ჩასვლისას მან გაქცევა და პარიზელი ქალების, განსაკუთრებით ელენე ფერაძის დახმარებით დამალვა მოახერხა. იგი ფერაძემ ჩაიყვანა ლევილში მოხუცი პროფესორის ექვთიმეს მომვლელად 1943 წლის 11 დეკემბერს და აქედან ექვსი თვის მანძილზე მანანა მჭედლიშვილი იყო მეცნიერის მეთვალყურე, მომვლელი, მწერალი. იგი აღნიშნავდა, რომ ექვთიმესთან ბევრი ტყვე დაიარებოდა.[13]

ლევილში ყოფნისას მანანა მჭედლიშვილი დაუკავშირდა „რუსი პატრიოტების კავშირს“. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეული საბჭოთა ტყვეების გაქცევისათვის ხელშეწყობა, მათი დამალვა-გამოკვება. მანანა ექვთიმესთან სამსახურისას ერთდროულად ასრულებდა პარტიზანთა დავალებებსაც.

1944 წლის აგვისტოში პარიზში დიდი ანტიფაშისტური აჯანყებისას იგი გამოეთხოვა ექვთიმეს და ბრძოლებში მონაწილეობდა როგორც ექთანი და მოკავშირე. იგი მთელი სიცოცხლე მადლიერებითა და სიყვარულით იგონებდა დიდ მეცნიერს.[14]

ლევილში დაიდო ბინა თავისი ოჯახით საქართველოს მთავრობის პირველმა თავჯდომარე ნოე რამიშვილმაც, რომელიც „ცხოვრობდა ძლიერ გაჭირვებულად, სანოვაგეს ხშირად ნისიად ყიდულობდა.“[15] ნიკოლოზ ჩხეიძის პირადი არქივის გაცნობისას, წავაწყდით ერთ საინტერესო ფაქტს: როცა ემიგრანტები ლევილის შატოში დასახლდნენ, ნოე რამიშვილის ოჯახმა შატოში დაიკავა კარლო ჩხეიძის ოთახის თავზე არსებული საცხოვრებელი და სულ მალე ისეთი სერიოზული კონფლიქტი წარმოიშვა ამ ორ ოჯახს შორის, რომ ყოფილი თანამებრძოლები კინაღამ ერთმანეთის მტრებად იქცნენ: რამიშვილის მეუღლე ნინომ, თავის საცხოვრებელში დაამონტაჟა საქსოვი და სართავი დაზგები და მათი ამუშავებით გაიჩინა დამატებითი შემოსავლის წყარო. წარმოშობილმა ხმაურმა ძალზე შეაწუხა ნიკოლოზ ჩხეიძე და მისი ავადმყოფი მეუღლე. ამის საფუძველზე წარმოიქმნა დავა ორ ოჯახს შორის, რომელიც საკმაოდ გამძაფრდა. აღნიშნული ფაქტი დაწვრილებითაა აღწერილი კარლო ჩხეიძის პირადი არქივის საქმე #87-სა და საქმე #88-ში ასახულ წერილებში, რომლის ადრესატებიც არიან ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი და კონსტანტინე კანდელაკი. ამ წერილებიდან ჩანს, რომ კონფლიქტს ძალზე სერიოზული სახე მიუღია,

---

12 თ. ქართველიშვილი, გ. კალანდია, მ. მიქელაძე, ნ. სანადირაძე, ექვთიმე, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, 150, UNESKO, 2012-2013, გვ. 25-26.

13 გ. ჟორდანია, დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983, გვ. 124-125.

14 გ. ჟორდანია, დაბრუნებული საუნჯე, გვ. 130-131.

15 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, გვ. 56.

საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულა და მხოლოდ გარეშე პირების ჩარევის შემდეგ დამთავრებულა.

ნოე რამიშვილის ოჯახი 1929 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა პარიზთან ახლოს. ასევე ტრაგიკული გამოდგა მისი ბედიც: იგი 1930 წლის 7 დეკემბერს მოკლა ქართველმა ემიგრანტმა ჭანუყვაძემ.[16] ამბობდნენ რომ, ამაში საბჭოთა სპეცსამსახურების ხელი ერია.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ გაჭირვება არ იყო მიზეზი ყოფილი თანამებრძოლების ასე სასტიკად ურთიერთგადამტერების. ამაში უდიდესი როლი შეასრულა იმ პესიმისტურმა განწყობამ, რომელიც დაეუფლათ ლტოლვილებს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ განვითარებული პოლიტიკური მოვლენებით, დედასამშობლოს დატოვებით, უცხო მიწაზე მძიმესი ყოფითი პრობლემებით და გაუსაძლისი ნოსტალგიით. ჩვენს ამ მოსაზრებას ერთგვარად ამყარებს 1926 წელს კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობაც, რომელიც მართლაც დიდი შოკი აღმოჩნდა მისი თანამებრძოლებისთვის. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ რაიმე მდგომარეობას შეეძლო მორალურად გაეტეხა ასე აქტიური, პიროვნულად ძლიერი, უამრავ ბრძოლაგადატანილი და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანი, მაგრამ მოსახდენი მოხდა. ამაში არავის ადანაშაულებდა ჩხეიძე, რაც აისახა კიდეც მის სიკვდილის წინ დაწერილ ერთ წინადადებაში: „ჩემ სიკვდილში ბრალი არავის დასდვან“.[17]

ლევილის მამულის ბინადრების და მათი ყოვედღიური ცხოვრების შესახებ საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენს ჟაკლინ (ვენერა) ხაბულიანის წიგნი „უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები“. ავტორი იყო შვილი ცნობილი ემიგრანტის, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე ჯაბა ხაბულიანისა, რომელიც საფრანგეთში წასვლის შემდეგ ლევილის მამულში, ექვთიმე თაყაიშვილის ყოფილ ბინაში, დასახლდა ოჯახით და ვენერაც თვითმხილველი და მომსწრე აღმოჩნდა ყველა იმ ამბის, ასე დაწვრილებით და დიდი სიყვარულით რომ აღწერა საკუთარ წიგნში. ჯაბა ხაბულიანი მთელი სიცოცხლე შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ემიგრაციაში მოხვედრილ ქართველებს და იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს.[18]

ჟაკლინ ხაბულიანი საინტერესოდ და დეტალებში მოგვითხრობს ლევილის ხიზნების ყოველდღიური ცხოვრების პერიპეტიებს, რომელიც აღსავსე იყო ერთმანეთის სიყვარულის, გვერდში დგომის თუ ურთიერთდაპირისპირების მაგალითებით. მისი გადმოცემით, მამულის ბინადრებს შორის ყველაზე მგრძნობიარე და საკამათო იყო „პოლიტიკურ საკითხებზე დავა, რაც ქართველების საყვარელი თემა იყო“, ხოლო „პირადული უთანხმოება, თუ მიწების განაწილება, ნამდვილი ომის სახეს იღებდა, ხშირად აფორიაქებდა შატოს ცხოვრებას,“[19] – მოგვითხრობს ვენერა ხაბულიანი.

ლევილის მუდმივი ბინადრები იყვნენ ნამო და ვალოდია გოგუაძეები, გრიგოლ ურატაძე, პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი, ერმალო ებრალიძე, კახელაძეები, ალექსანდრე ხაბულიანი, ლიდა და გოგი ნოზაძეები, სქელი კოლა, ევგენი გეგეჭკორი, ვახტანგ მაჭავარიანი და სხვები.

---

16 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, გვ. 63-64.

17 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2115, ანაწ. 1, საქმ. 2.

18 გ. შარაძე, ფრანგული დღიური, თბ.1990, გვ. 33.

19 ჟაკლინ (ვენერა) ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები, თბ., 2013, გვ. 34.

„ორანჟერეის პირდაპირ, 400 მეტრით ჩრდილოეთით მდებარე შენობაში საბჭოთა არმიას გამოქცეული და გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფი პოლკოვნიკი შარაბიძე ცხოვრობდა. მისნაირნი სხვებიც ჩამოვიდნენ ლევილში და ცხადია, მათ ტყვეები შეარქვეს."[20] თავის დროზე შარაბიძის აქ დაბინავებაზე თავი არ დაიშურა ლევან ზურაბიშვილმა.

ჟაკლინ ხაბულიანი განსაკუთრებული სიყვარულით საუბრობს შატოს ფერმაში მცხოვრებ ნამეტია გოგუაძეზე – ლევილის მამულის ცენტრალური ფიგურაზე: ის იყო ყველა გაჭირვებულის დამხმარე (მან შეიფარა სიცოცხლის ბოლოს სიმონიკა კეკელიძე და უპატრონა), მამულის ყველა ღონისძიების და დღესასწაულის ორგანიზატორი, ხოლო მისი სახლი „ემიგრანტი ქართველების თავშეყრის ადგილი იყო".

ნამეტიასთვის შატო საქართველოსთან ასოცირდებოდა: „ნამოს უყვარდა შატო და ზრუნავდა მასზე, რადგან ამ სიყვარულს სამშობლოს სიყვარულთან აიგივებდა. უფრო მეტიც, ხშირად უხდებოდა მისი დაცვა შატოსა და პარიზის „კოლონიებს" შორის შეფარულ ომში," – წერს ხაბულიანი და ხაზს უსვამ ამ ადამიანის დიდ ღვაწლს თანამემამულეთა მიმართ.

ვენერა ხაბულიანის მიხედვით, შატოს პირველ სართულზე სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ გიორგი ერაძე ოჯახით, რაჟდენ არსენიძე, რომელმაც „მიუნხენი და რადიო თავისუფლება დათოვა, სიცოცხლე ლევილში რომ დაესრულებინა", ლიდა და გიორგი ნოზაძეები, რომელთა ოჯახიც მასპინძლობდა „საფრანგეთში ჩამოსულ ინტელექტუალებსა და მსახიობებს, რომლებიც გაოცებულნი რჩებოდნენ ამ მეორე საქართველოთი, რომელიც სუფთად ამოვიდა უფსკრულიდან, რომელმაც შთანთქა საქართველოს დამოუკიდებლობის ოთხი წელი. უკვირდათ, რომ ეს ხალხი მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, შეინარჩუნა თავის ადათ-წესები..."[21]

ჟაკლინ ხაბულიანი განსაკუთრებით შთამბეჭდავად აღწერს „შატოს სალონს" პირველ სართულზე, რომლის კედლებსაც ამშვენებდა ყოფილი მთავრობის წევრების ფოტოები: „თავდაპირველად თვალში მოგხვდებოდათ პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას პორტრეტი. ...იქვე ეკიდა საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორის ფოტო, მისეული ღიმილით, ასევე მთავრობის პირველი თავჯდომარის, ნოე რამიშვილის და დამფუძნებელი კრების წევრების – კონსტანტინე კანდელაკის, კარლო ჩხეიძის, ელჩების – გრიგოლ ურატაძის და სოსიპატრე ასათიანის ფოტოები..."[22]

ლევილი გახდა ნავთსაყუდელი მეორე თაობის ემიგრანტებისთვისაც. მის წიაღს შეეხიზნა მამია ბერიშვილიც, მომავალში ქართული კერის ასოციაციის თავჯდომარე. ერთობ დრამატულია მისი ბიოგრაფია და თავგადასავალი: იგი, თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, გაიწვიეს სევასტოპოლში ექიმად, სადაც 9 თვიანი სამსახურის შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, გამოიარა აუშვიცისა და ორანიენბურგის ტყვეთა ბანაკების საშინელებანი და იქიდან დაიხსნა ნოე ჟორდანიამ, რომელიც აკაკი ჩხენკელის შუამავლობით იღებდა ქართველ პატიმართა სიებს. 1943 წლის 21 მაისს მამია ბერიშვილი უცხოელებისათვის განკუთვნილი გერმანული პასპორტით საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც მას ბიცო-

20 ჟაკლინ (ვენერა) ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები, გვ. 74.
21 იქვე, გვ. 90.
22 იქვე, გვ. 29-30.

ლამ – მარო რამიშვილმა (მამია ბერიშვილი იყო ნოე რამიშვილის დისშვილი), მისცა თავშესაფარი.[23]

1944 წლის 6 სექტემბერს მამია ბერიშვილი დრაგუნთა მე-8 პოლკში ირიცხება, როგორც დამხმარე ექიმი. მონაწილეობს სხვადასხვა ოპერაციაში და თავისუფლდება ჯარიდან 1946 წელს. რადგან მას საბჭოთა კავშირში დაბრუნება არ უნდოდა, პოლიტიკური თავშესაფარი საფრანგეთს სთხოვა და აქ გატარებული მთელი ცხოვრება საქართველოს ინტერესების დაცვაში განვლო.

მამია ბერიშვილი 1953 წლიდან თავისი ოჯახით (მეუღლე-ქრისტინე ლეკლერი, შვილი – ტიერი ბერიშვილი) საცხოვრებლად ლევილ-სიურ-ორჟში გადავიდა. მას თავისი ცხოვრება ვერ წარმოედგინა „თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს“ სიმბოლოს – ლევილის ქართული მამულის – კედლებს მიღმა. იქ 50 წელზე მეტი გაატარა და მთელი ძალები შეალია მამულის მოვლას და მოამზადა პირობები ლევილის საქართველოსათვის გადასაცემად.

1962 წლის მარტში, საბჭოთა ლიდერის, ნიკიტა ხრუშოვის მოგზაურობისას საფრანგეთში, მამია ბერიშვილი სხვა 56 ემიგრანტ ქართველთან ერთად კუნძულ კორსიკაზე გადაასახლეს. როგორც ჩანს, ამ ადამიანების სია, როგორც არასაიმედო პირების, საბჭოთა სპეცსამსახურებმა გადასცეს ფრანგ ძალოვანებს, რომ საბჭოთა კავშირის პირველი პირის ვიზიტს რაიმე საფრთხე არ შექმნოდა. იგივე განმეორდა 1971 წელს ლეონიდ ბრეჟნევის საფრანგეთში სტუმრობისას, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად მხოლოდ ორი ქართველი გააგზავნეს კვლავ კორსიკაზე – მამია ბერიშვილი და მისი მეგობარი ჯაბა ხაბულიანი.

მამია ბერიშვილი 1996 წლამდე თავისი ბიძაშვილების, ნინა რამიშვილისა და ნათელა ჟორდანიას მხარდაჭერით შატოს მართვას აგრძელებდა, როგორც „ქართული კერის“ ასოციაციის პრეზიდენტი. მოგვიანებით, აკაკი რამიშვილთან დაპირისპირების მიზეზით, რომელზედაც ქვემოთ უფრო ფართოდ ვისაუბრებთ, მამიამ დატოვა დაკავებული თანამდებობა. იგი გარდაიცვალა 2003 წლის 30 იანვარს. დაკრძალულია მეუღლესთან ერთად ლევილ-სიურ-ორჟის სასაფლაოზე.[24]

ასეთია მამია ბერიშვილის მოკლე ბიოგრაფია, ადამიანის, რომელსაც უდიდესი როლი მიუძღვის ლევილის არქივის დოკუმენტების სამშობლოში დაბრუნებისა და მამულის საქართველოსთვის გადაცემის საქმეში. ამ საქმის შესახებ ჟაკლინ ხაბულიანი წერდა, რომ ყველა ემიგრანტი არ იყო მომხრე მამულისა და არქივის საქართველოთვის გადაცემის და ამ პროცესს ნაადრევად მიიჩნევდა. „წლების შემდეგ მამიას საქართველოში ჩასვლამ და მჭიდრო კავშირმა იქაურ ხელმძღვანელობასთან, მათ შორის ედუარდ შევარდნაძესთან, უცხოეთში მცხოვრები ქართველების მისდამი უნდობლობა გამოიწვია. როცა დადასტურდა, რომ არქივი საქართველოს გადასცა, პროტესტის მიუხედავად, იგი სამუდამოდ გარიცხეს საკრებულოდან.[25]

გურამ შარაძე კი აღნიშნულ საკითხს განსხვავებულად აშუქებს. იგი აღნიშნავს, რომ ლევილის პირდაპირი მემკვიდრენი და სხვა ემიგრანტები არათუ წინააღმდეგნი წავიდნენ მამულის და არქივის სამშობლობლოსთვის დაბრუნების, არამედ თვითონვე იყვნენ ამ დიდი საქმის მესვეურები და ხელისშემწყობნი, რაც შემდეგ წარმატებით დაგვირგვინდა კიდეც.

---

23 მ. ბერიშვილი, რკინის რიდე, თბ., 2018, გვ. 15-16.

24 იქვე, გვ 16-17.

25 ჟაკლინ (ვენერა) ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები, გვ. 73-74.

ლევილის მცხოვრებლებზე საუბრისას ნამდვილად გვერდს ვერ ავუვლით მის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს გიორგი ერაძეს, რომელმაც თავი არ დაზოგა მამულის მოვლა-პატრონობის საქმეში. იგი მარტო ქართული კერის გამგე კი არ იყო, არამედ მამულის ჭირისა და ლხინის გამზიარებელიც, რაც კარგად ჩანს კიდეც მის ჩანაწერებში. მაგრამ როგორც ზოგადად ქართველებს გვჩვევია, ეს კარგი ადამიანიც ვერ ასცდა ემიგრანტების მხრიდან მისადმი უსამართლო დამოკიდებულებას, დაცინვას და ჭორებს. ამას ადასტურებს 1970 წლის 25 ივლისს სოციეტესა და ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე კერის ახლად არჩეული გამგის პავლე სარჯველაძის სიტყვა, სადაც იგი აფასებს რა გიორგი ერაძის მოღვაწეობას ყოველმხრივ დადებითად, იქვე საგანგებოდ აღნიშნავს: „ჩვენ მოწამენი ვიყავით, თუ როგორი თავდადებით უვლიდა იგი მამულს. არა ერთი უმართებულო საყვედური და უსიამოვნება შეხვედრია მას ამ ხნის მანძილზე, მაგრამ ყველაფერი გადაჰქონდა მოთმენით, საქმის სიყვარულით. ვფიქრობ გამოვთქვამ ყველას სურვილს, რომ ბ-ნ გიორგიმ არ მოაკლოს თავის გამოცდილება მომავალშიც ეროვნულ მამულის მოვლა-პატრონობას.“[26]

ლევილის მამული თავშესაფართან ერთად ემიგრანტული კულტურის კერაც გახლდათ. მამია ბერიშვილი ბროშურა „ლევილში“ წერდა: „ნოე ჟორდანიას მთავრობამ... დააარსა ქართული კერა, სადაც თავი მოიყარა არა მარტო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთმა ნაწილმა, არამედ ამ ქართულ მამულში დაარსებულ იქნა სტამბა, წიგნთსაცავი, და რაც მთავარია, ლევილის ქართული მამული გახდა უცხოეთში მყოფი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა კერა“.[27]

გარდა იმისა, რომ აქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ ცნობილი პუბლიცისტები (მაგალითად, გიორგი წერეთელი, რაჟდენ არსენიძე, რომელმაც მიუნხენი და რადიო „თავისუფლება“ დატოვა, სიცოცხლე ლევილში რომ დაესრულებინა და სხვები), აქ გიორგი ნოზაძის ძმა – ვიქტორ ნოზაძე დასახლდა: „მაშინ ის ცნობილი რუსთველოლოგი იყო, განსაკუთრებით შვეიცარიაში, სადაც კიტა ჩხენკელი ცხოვრობდა (თანამედროვე ქართული გრამატიკის ავტორი) და არგენტინაში, სადაც რამდენიმე ქართველი ცხოვრობს, ზოგი ძალიან განათლებული, მაგალითად პაპავები, ...რომლებიც დაინტერესებულნი არიან „ვეფხისტყაოსნით“... შატოს ღარიბ სტამბას არ შეეძლო მისი ნაშრომების გამოცემა და ეს პაპავებმა ითავეს.“[28]

ვიქტორ ნოზაძე გარდაიცვალა 1975 წლის 24 აპრილს და, მისივე ანდერძის თანახმად, დაკრძალეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.[29]

რაც შეეხება გიორგი ნოზაძეს, მას გამოქვეყნებული ჰქონდა წერილები ქართულ ხელოვნებაზე. ის და მისი მეუღლე ფლობდნენ ცნობილ ქართველ მხატვართა (ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ვერა ფაღავას და სხვათა) ნახატების ძვირფას კოლექციას, რომელიც შემდეგში ანდერძით დაუტოვეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.[30]

---

26 თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-642/ბერ-635, ფურც. 1-2.
27 მ. ბერიშვილი, „ლევილობა“, 1987, გვ. 2.
28 ჟაკლინ (ვენერა) ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები, გვ. 91-92.
29 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, გვ. 375.
30 გ. შარაძე, ფრანგული დღიური, თბ., 1990, გვ. 27-28.

როგორც გურამ შარაძე აღნიშნავდა, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მწერალთა და სწავლულთა ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა და ღვაწლი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული ქართველების მიერ. „არადა ყოველი ქვეყნის ყოველ ეპოქას დაამშვენებდა მხატვრული და მეცნიერული აზროვნების ისეთი გიგანტები, როგორიც იყვნენ გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ თამარაშვილი, ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი, გრიგოლ ფერაძე, მიხეილ თარხნიშვილი ვიქტორ ნოძაძე, გნებავთ კიტა ჩხენკელი ...ან კალისტრატე სალია.“[31]

სხვადასხვა დროს ლევილის ბინადარნი იყვნენ პავლე ვაშაძე, რუბენ გვეტაძე, სიმონ კეკელიძე. მამულის გალავნის გარეთ ლევილში საკუთარი სახლები ჰქონდათ კოლია სარალიძეს და შოთა ბერეჟიანს. ამათ გარდა, ზოგიერთი ქართველი, მართალია, პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ ლევილის ქართულ მამულშიც ჰქონდათ სადგომი. ესენი იყვნენ ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის ასულები – ნათელა ჟორდანია და ნუცა რამიშვილი, შალვა თაყაიშვილი, პროფესორი გიორგი შარაშიძე, ნოე ჟორდანიას სიძე ლევან ფაღავა, ნუცა და ორესტ გორდელაძეები.[32]

ლევილში მცხოვრებთაგან 1989 წლის სექტემბერში ცოცხალი იყო 90 წელს მიტანებული ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი ნიკო ურუშაძე. იგი ემიგრაციაში წავიდა 1926 წელს, პარიზში ჩასული შეხვდა სამსონ ფირცხალავას, 1927 წლიდან დაიწყო მასთან თანამშრომლობა მისი რედაქტორობით გამომავალ „სახალხო საქმეში“. მას შემდეგ ნიკო ურუშაძის წერილები არ დაკლებია ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებს.[33]

ლევილის მამულში თავს აფარებდნენ ჩვენი ისტორიისთვის „დაკარგული პირებიც“, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თუმცა ისინი უცნობნი დარჩნენ შთამომავლობისთვის და მათ შესახებ მხოლოდ საარქივო დოკუმენტები ღაღადებენ. ასეთი პიროვნებაა ლადო შარაბიძე, ყოფილი კომბატანტი, რომელიც ემიგრაციაში დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა და როცა მეტი გზა აღარ დარჩა, გადაწყვიტა ლევილის შატოში დასახლება თავისი პატარა ოჯახით, რაც მოხერხდა კიდეც მისი დიდი ძალისხმევის შემდეგ.

ლევილში მცხოვრებ უცნობ ადამიანებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მამულში არსებული ოქმები, სიები (იხილეთ დანართი #3), გამგეების ჩანაწერები და განსაკუთრებით კერის ადმინისტრაციის წერილები, რომლებიც მამულში ცხოვრების უფლების მიცემის ნებართვას ეხება.

1964 წლის 4 ოქტომბერს ლევილში, რაჟდენ არსენიძის ბინაზე, შედგა საზოგადოება ქართული კერის კრება, რომელმაც სხვა საჭირო საკითხებთან ერთად განიხილა დიმიტრი ანანიაშვილის თხოვნა, მიეცათ მისთვის მამულში ცხოვრების უფლება კიდევ ერთი წლით, იმ პირობით, რომ იგი გადაიხდიდა თავის წილ „Cofisution“-ს, როგორც მიმდინარე, ისე მომავალი წლისას, ხოლო ვახტანგ მაჭავარიანს დართეს ნება მის სარგებლობაში არსებულ მიწაზე ხეხილის განახლების. ამ უკანასკნელს ყველა წვრილმანი უნდა შეეთანხმებინა მამულის გამგესთან.

---

31 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, გვ 449.

32 გ. შარაძე, ფრანგული დღიური“, თბ., გვ. 27-28.

33 გ. შარაძე, ფრანგული დღიური, გვ. 73.

ამავე კრებაზე გამოტანილი იყო ალექსანდრე კინწურაშვილის მოხსენება, „ქართველ ყოფილ კომბატანტებისთვის მოხუცთა თავშესაფრის სახლის აშენების საქმეში დახმარების შესახებ“. თავშესაფარი ვერ აშენდა, რადგან ქართველ მებრძოლთა კავშირმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სამოქმედო გეგმა.[34]

1982 წლის 5 ივლისითაა დათარიღებული ემიგრანტ სიმონ კეკელიძის წერილი ასოციაციის გამგეობისადმი, სადაც იგი გამგეობას სთხოვს მათე ბოლქვაძის ნაქონი ორი ოთახის დაკავებას, რომლის შეკეთებასაც, თანხმობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით აპირებს.[35]

როგორც ჩანს, კერის ასოციაციისგან მან ნებართვა მიიღო და დამკვიდრდა მამულში. მოგვიანებით, როცა 1991 წლის მარტში საქართველო უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის – რეფერენდუმისათვის ემზადებოდა, სადაც მის ყოველ მოქალაქეს ევალებოდა პასუხის გაცემა კითხვაზე, „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად“, უკვე მხცოვან ემიგრანტ სიმონ კეკელიძეს უზენაესი საბჭოს თავჯდომარის ზვიად გამსახურდიასთვის გამოუგზავნია წერილი, რომელშიც ითხოვდა დაერთოთ მისთვის რეფერენდუმში მონაწილეობის ნება. წერილიდან ჩანდა, რომ მოხუცის ბაგეებიდან სამშობლოს მონატრებული ჭეშმარიტი პატრიოტის და მამულიშვილის სიტყვები ღაღადებდა. იგი ზვიად გამსახურდიას წერდა: „მე ამჟამად მაქვს საბუთი, რომლის ძალითაც უახლოეს ხანში, 68 წლის შემდეგ ვბრუნდები მუდმივ საცხოვრებლად სამშობლოში. მე სრულიად ახალგაზრდამ განვიცადე საქართველოს დამოუკიდებლობით გამოწვეული ბედნიერება ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისს. რადგანაც შესაძლებელია მეორედ მოვესწრო საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, ნუ მეტყვით უარს ჩემს თხოვნაზე მივიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. თანახმა ვარ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იმ აქტის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!“[36]

აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. ეს სიტყვები გამომხატველია იმ დიდი სიყვარულის, რასაც სამშობლოს მიმართ განიცდიდა ქვეყნიდან იძულებით განდევნილი თითოეული ემიგრანტი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამშობლოს მონატრულები ლევილის მამულს საქართველოს ამსგავსებდნენ და სამშობლოსავით ეფერებოდნენ. 2000 წელს, როცა საფრანგეთში ყოფნისას ისრაელში მოღვაწე ქართველი ებრაელი, ისრაელში რუსთაველის საზოგადოების თავჯდომარე და იქაური ქართულენოვანი გაზეთის – „ალია საქართველოდან“ რედაქტორი აბრამ სეფიაშვილი ლევილის მამულში იმყოფებოდა სტუმრად, განცვიფრებული აღნიშნავდა: „როცა სასაფლაოდან სათვისტომოს მამულისკენ გავეშურეთ, ჩემთვის საინტერესო აღმოჩენა იყო, რომ ლევილის ბუნება თითქოს ზუსტი გამეორება იყო საქართველოს ბუნებისა.“

---

34 თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-762/ბერ-755.

35 თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-1090/ბერ-1083.

36 https://lessonsgeo.wordpress.com/ დამოუკიდებლობის გაკვეთილებით, ეკა წამალაშვილის ბლოგი, შეხვედრა საქართველოს დამოუკიდებლობასთან 68 წლის შემდეგ.

მან მოინახულა ლევილის შატო და შეხვდა იქ მცხოვრებ პენსიაში გასულ ადამიანებს. ა. სეფიაშვილს მეგზურობას უწევდნენ გიორგი წერეთელი და ლევან ფაღავა. მისთვის დაუვიწყარი აღმოჩნდა ის შთაბეჭდილება, რაც მასზე მოახდინა პატარა საქართველომ საფრანგეთში, საიდანაც ემიგრანტები „აწარმოებდნენ თავიანთ პოლიტიკურ ბრძოლას სამშობლოს განთავისუფლებისათვის რუსეთის უღლისაგან."[37]

ზოგიერთი ქართველი ლტოლვილისთვის საერთოდ მიუწვდომელი და შეუძლებელი აღმოჩნდა ლევილის მამულში ცხოვრება. ეს საკითხი დაპირისპირის მიზეზიც იყო ემიგრანტებში, მაგალითად, აქ ვერ შეძლო თავშესაფრის მიღება საქართველოს ეროვნულმა გმირმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, ხოლო შარაბიძის ბინით უძრუნველყოფა დიდი ბრძოლის ფასად დაუჯდა ლევან ზურაბიშვილს.

ქართული სათვისტომო ლევილში იკრიბებოდა დასაფლავებებზე, ქორწილებსა და ნათლობებზე. აუცილებლად ერთად აღნიშნავდნენ რამდენიმე დღესასწაულს: ეს იყო 26 მაისი და შობა მართლმადიდებლური კალენდრით და აგვისტოს ავჯანყების წლისთავები. ქართველ ემიგრანტთა შვილებისთვის ლევილში გატარებული დრო საუკეთესო დღეებად ითვლებოდა. ამას აღნიშნავს კიდეც თავის მოგონებებში ჟაკლინ ხაბულიანი.

ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების იმედი იმედად დარჩა. ზოგიერთმა, კარლო ჩხეიძის მსგავსად, მძიმედ გადაიტანა ქვეყანასთან განშორება. ამიტომ ჟურნალ „ბრძოლის" 1926 წლის ივლისის ნომერში კარლო ჩხეიძის გარდაცვალებისადმი დაწერილი სიტყვები, ზოგადად გამოხატავდა ყველა სამშობლოდაკარგული ემიგრანტის განცდებს და მთელი სიცხადით ასახავდა მათ უდიდეს ტკივილს. ჟურნალი წერდა: „ვისაც კარლო ახსოვს 1921 წლის თებერვალ-მარტში, ემახსოვრება, რომ არც ერთ ჩვენთაგანზე – არც საქართველოში დარჩენილთა და არც უცხოეთში გადმოხიზნულთა შორის მტრის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის ისეთი ღრმა, მძიმე შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც კარლოზე მოახდინა. ორი-სამი კვირის განმავლობაში კარლო რამდენიმე წლით მოხუცდა... უცხოეთში ემიგრაციაში, ის მთავარი გულის იარა არამც თუ არ მოუშუშდა, პირიქით, ყოველწლობით უფრო და უფრო მწვავდებოდა ჩვენი ქვეყნის ახალ-ახალ უბედურებათა და პირად ცხოვრების სიმწარეთა გავლენით.[38]

BELA GZIRISHVILI

Residents of Leuville: For the study of the history of the Leuville estate

Summary


The history of the Leuville's Georgian estate is organically connected with the new and recent history of Georgia. Soviet Russia occupied-annexed Georgia in February-March 1921.The government of the Democratic Republic was forced to immigrate to France.

37 ა. სეფიაშვილი (საპირი), პარიზი, ბონი, ნიუ-ორკი (თელავივი, 2000 წ.) , ნოსტალგია, 2009, #6, გვ. 7-8.
38 გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.1, გვ. 311-312.

Emigrants bought the Leuville Chateauwith state funds near Parisin 1922. The Leuville estate became the main headquarters of the struggle for Georgia's independenceand was established as a shelter for internally displaced Georgians.

This article is about the inhabitants of theLeuville , on those unfamiliar aspects of their emigrant lives,which we found in archival documents.From this, we get a clear idea,howNew Emigrant History of the Leuville's Estatestarted from its first inhabitants, who had nothing even the elementary things except the great hope that life here was temporary and soon, with the support of the world's progressive forces, Georgia would be liberated from Russian occupation, their exile would end and they too would return to their beloved homeland.But, unfortunately, the emigrants' hopes were dashed:They could not even imagine that, in the end, "instead of a place of worship, only the Leuville's Cemetery would be selected ... the final shipyard of the displaced Georgians."

ლევილის მამულის გეგმა







ლევილის მამულის ინვენტარი (საქმე#3)

ინვენტარი ლევილის მამულის	შედგენილია 6 იანვარს, 1923 წ. (კ. ჩხეიძის ბინაზე)
1) სასადილო სტოლი-1 (ერთი)	14) საბანი პატ. – 3 (სამი)
2) პატარა „–“ 2 (ორი)	15) ბალიში – 6 (ექვსი)
3) პირსაბანი „–“ 1 (ერთი)	16) მუთაქა – 5 (ხუთი)
4) ტუალეტის „–“ 1 (ერთი)	17) ფარდა წითელი – 3 (სამი)
5) საწოლთან დასადგამი – 1 (ერთი)	18) ფარდა ჩითის – 6 (ექვსი)
6) სავარძელი – 3 (სამი)	19) ნოხი (პატ) – 8 (რვა)
7) ნახევარ-სავარძელი – 1 (ერთი)	20) სალამანდრა – 1 (ერთი)
8) სკამი – 5 (ხუთი)	21) კალორიფერი – 1 (ერთი)
9) კრავატი – 2(ორი)	22) სარკე – 1 (ერთი)
10) დასადგამი ვეშალკა – 1 (ერთი)	24) ვედრო ნახმარი – 1 (ერთი)
11) სამზარეულოს შკაფი – 1 (ერთი)	25) „–წყლის – 1 (ერთი)
12) მატრასი – 2 (ორი)	26) თუნგი – 1 (ერთი)
13) ლეიბი – 3 (სამი)	27) ტახტი – 1 (ერთი)


ლევილში მცხოვრებთა სიები
(თსუ, სდრ-630/ბერ-623)

1. ნ. ჟორდანია
2. ინა ჟორდანია
3. რამიშვილი ნ.
4. რამიშვილი მარო
5. გეგეჭკორი ევ.
6. გეგეჭკორი ოლია.
7. ჩხენკელი კ.
8. ჩხენკელი მაკ.
9. კანდელაკი
10. თაყაიშვილი
11. თაყაიშვილი ცოლი.
12. ფირცხალავა
13. გვარჯალაძე
14. გვარჯალაძე ბაბულია
15. ურატაძე გრ.
16. ურატაძე არიანა.
17. ურატაძე მედუნია
18. წერეთელი სიმონ
19. შარაშიძე დავით
20. შარაშიძე ცოლი
21. ჩხეიძე კარლო
22. ჩხეიძე ცოლი
23. ქავთარაძე კალე
24. ჟღენტი გიორგი
25. ნიჟარაძე
26. ბერიძე შერიფა
27. ფალავა ლევან
28. ფალავა ოტია
29. ახვლედიანი ბიჭიკო
30. ყავრელიშვილი
31. ყიფიანი ტუსია
32. ყიფიანი ირენ
33. ჟღენტი გ.
34. მოსალოვა
35. კალანდაძე ნესტან
36. ჩიჩუა
37. ანანიაშვილი
38. არსენიძე
39. ბერიშვილი მ.
40. ბერიშვილი ქრ.
41. ბოკუჩავა
42. ბოლქვაძე გ.
43. ბოლქვაძე მ.
44. ბოლქვაძე გ.
45. შარაშიძე ვლად.
46. შარაშიძე ცოლი
47. შარაშიძე გოგი
48. შარაშიძე თამარა
49. შარაშიძე ფილიპე
50. დალაქიშვილი
51. დათიაშვილი დ.
52. დათიაშვილი შ.
53. ჯიბლაძე ვალია
54. ერაძე გ.
55. ერაძე ოლგა
56. გოგვაძე ვ.
57. გოგვაძე ნ
58. გორდელაზე ორესტი
59. გორდელაძე რ
60. გვეტაძე რ.
61. გვეტაძე.
62. ინასარიძე კ.
63. პატარიძე თინა
64. ხაბულიანი ჯ.
65. ხაბულიანი ჟ.
66. ქარსელაძე
67. ყიფიანი რუბენ
68. ლაბაძე
69. ლაბაძე ცოლი
70. მაჭავარიანი ვახ.
71. მაჭავარიანი ქეთო
72. მელია ილია
73. მელია ცოლი
74. მუსხელიშვილი
75. მუსხელიშვილი ძმა
76. ნოზაძე გოგი
77. ნოზაძე ლიდა
78. ნოზაძე ვიქტ.
79. ორაგველიძე ნ.
80. ურუშაძე ნ.
81. ურუშაძე ცოლი
82. რამიშვილი ნინა
83. რამიშვილი ბენო
84. რამიშვილი მამია
85. სარჯველაძე პ.
86. სარჯველაძე თინა.
87. სტურუა მ.
88. სტურუა მათიკო
89. სტურუა რუს.
90. თაყაიშვილი ილია
91. თაყაიშვილი თამარ
92. თაყაიშვილი ეთერ
93. თაყაიშვილი შალვა
94. ტატიშვილი
95. ტიტვინაძე ლევან
96. ტიტვინაძე მად.
97. წერეთელი გრ.
98. წერეთელი ცოლი
99. წერეთელი გოგი
100. წერეთელი ეთერი
101. ცინცაძე ნოე
102. ვაშაძე
103. ზაქარიაძე ვალია
104. ქრისტინე ბულეზ.
105. ჭელიძე ანტ.
106. ჭელიძე ვალიკო
107. ბენარ
108. ბრიშნერ
109. საღირაშვილი
110. საღირაშვილი ნ.
111. ჯაყელი
112. ფავლენიშვილი
113. ფავლენიშვილი
114. ჟორდანია ნათელა
115. დავრიშაშვილი
116. დელონ როი
117. დელონ ეთერ
118. ასთიანი ვანიჩ.
119. ასათიანი ქეთო
120. ერქომაიშვილი
121. ერქომაიშვილი ანა
122. უჩაძე
123. კედია ვალია
124. დუე ჟაკ
125. ეთერი ფალიავ დუე
126. ილიმბარაშვილი
127. კვიტაიშვილი

მემარცხენე – 25%
სხვები 75%

ვიტალი უგრეხელიძე (1902-1983) – პოლონეთის არმიის ოფიცერი

1921 წ. ვიტალი უგრეხელიძე ჩამოვიდა პოლონეთში იუნკრებისა და ოფიცრების ჯგუფთან ერთად, რომლებმაც საქართველოს დაცემის შემდეგ პოლიტიკური ელიტის გარკვეულ ნაწილთან ერთად დასავლეთ ევროპაში ემიგრირება გადაწყვიტეს. იმ დროს, როცა საფრანგეთში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური კერა შეიქმნა, პოლონეთი გახდა ქართველი ოფიცრების მასპინძელი და იუნკერების სამხედრო მომზადების მთავარი მფარველი. პოლონეთის ჯარში სტუმრობას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან ჯერ კიდევ არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის სწრაფი აღდგენის იმედი.



ვიტალი უგრეხელიძე გახდა ერთ-ერთი საკონტრაქტო ოფიცერთაგანი, რომელიც დიდი ომების შუა პერიოდში პოლონურ ჯარში მსახურობდა. ამ დროს პოლონურ არმიაში მყოფ საკონტრაქტო ოფიცერთა შორის ყველაზე დიდი იყო ქართველთა ჯგუფი. ქართველები აღტაცებულნი იყვნენ პოლონეთის სამხედრო გამარჯვებით ბოლშევიკებთან ომში, პოლონელები კი დაინტერესდნენ დაცემული საქართველოს რესპუბლიკის ბედით, რის დასაბუთებასაც მრავლად ვხედავთ იმდროინდელ პოლონურ პრესაში. არასდროს პოლონურ-ქართული ალიანსის იდეას არ მიუღია ისეთი კონკრეტული ფორმა, როგორც ეს იყო ომთაშორის პერიოდში.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში პოლონურ არმიაში მომსახურე ქართველი ოფიცრების საკითხი უფრო და უფრო ხშირად შუქდება ქართულ-პოლონური ურთიერთობების ისტორიის ასპარეზზე. პოლონურ ისტორიოგრაფიაში ამ ჯგუფის გაშუქება სამხედრო ისტორიის ფარგლებში, პოლონეთის ე.წ. აღმოსავლური პოლიტიკის და პრომეთეისტული მოძრაობის ფარგლებში ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის როლი პოლონეთის ისტორიაში სრულიად სიმბოლურია, ამ ჯგუფმა მოიპოვა საკმაოდ დიდი სიმპატია და პოპულარობა საზოგადოებაში. ჯერ კიდევ ოფიცრების სიცოცხლეში, მათი საჯარო გამოჩენა შესამჩნევი და დადებითად მიღებული იყო. ამჟამად კი იმდროინდელი ქართულ-პოლონური ალიანსი რჩება კარგი ურთიერთობების საინტერესო მაგალითად.

ამავე დროს საკმაოდ მცირეა ბიოგრაფიული კუთხით დაწერილი ნაშრომი მიძღვნილი კონკრეტული ოფიცრებისადმი[1]. პოლონელ ქართველთა ოფიცრების ჯგუფში, უგრეხელიძე ჩნდება როგორც მთარგმნელი, პუბლიცისტი და მედოლე და როგორც ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი პიროვნება. უგრეხელიძე იყო აგრეთვე ერთ-ერთი იმ ოფიცერთაგანი, რომელთა ბედიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლონეთთან, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ემიგრაციის მიუხედავად. წლების შემდეგ აღმოჩენილი მისი მთარგმნელობითი და პუბლიცისტური საქმიანობის მასშტაბი აშკარად გვაჩვენებს, რამდენად ზერელედ არის გამოკვლეული პოლონელი ქართველების ბიოგრაფიები. ავტორი დარწმუნებულია, რომ ცალკეული ბიოგრაფიების შესწავლა გასაღებია მთელი ოფიცერთა ჯგუფის უკეთ გასაცნობად.

პოლონურ ისტორიოგრაფიაში უგრეხელიძე დღემდე ფართოდ ჩნდებოდა მხოლოდ სამხედრო ლექსიკონების მცირე ბიოგრაფიულ ცნობებში. უგრეხელიძის ბიოგრაფიის ერთადერთი და ძალიან ზედაპირული მონახაზის მცდელობა გურამ შარაძეს ეკუთვნის[2]. ეს სტატია წარმოადგენს მისი ცხოვრების უფრო სრული აღწერილობის მცდელობას, რაც შესაძლო გახდა პოლონეთის და დიდი ბრიტანეთის საარქივო მასალების შესწავლის შედეგად. ავტორმა ძირითადად გამოიყენა პოლონური სამხედრო არქივის ფონდები, სასარგებლო აღმოჩნდა ასევე სამხედრო ტყვეთა ცენტრალური არქივის, ემიგრაციის არქივის, პოლონური წითელი ჯვრის და პოლონეთის ეროვნულ ბიბლოთეკაში დაცული მასალები. დიდ ბრიტანეთში კი ავტორმა შეისწავლა სამხედრო სამინისტროს არქივში დაცული ოფიცრის პირადი საქაღალდე და პოლონური საემიგრაციო არქივების მასალები. ოფიცრის პუბლიცისტიკის სიის შედგენის იმედით ავტორი სტუმრად იყო თბილისის ემიგრაციის

---

1 გამოვიდა ბიოგრაფიული სტატიები გენ. ალ. ჩხეიძის, იოსიფ ზაუტაშვილის, გიორგი თუმანიშვილის, ნიკოლოზ მათიკაშვილის და წიგნი ვალერიან თევზაძის შესახებ. Z. G. Kowalski, *Pamięci generała Aleksandra Czcheidze w osiemdziesiątą rocznicę śmierci, «Rocznik Przemyski» 2002, z. 3.* Z. Karpus, M. Wołos, *Polityka władz komunistycznych wobec emigrantów gruzińskich na przykładzie sprawy mjra Józefa Zautaszwili*, [w:] *Opór społeczny i konspiracja w województwie pomorskim (bydgoskim) w latach 1945-1956*, red. T. Chinciński, Z. Karpus, Bydgoszcz 2007. *J. Romanowicz, Kontradmirał w stanie spoczynku Jerzy Tumaniszwili (1916-2010), «Przegląd Historyczno-Wojskowy» 2011, nr 2.* R. Karabin, Podchorąży, oficer kontraktowy piechoty, żołnierz Armii Krajowej: w kręgu biografii majora Nikoloza Matikaszwilego. W: Oddanie Służbie bez reszty: studia z dziejów Wyższej Szkoły Wojennej w Warszawie w stulecie jej utworzenia (1919-2019). – Warszawa, 2020. *J. Kresa, Tewzadze: gruziński obrońca Warszawy, Dzierżoniów 2012.*

2 გ.შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 3, თბილისი, 1993 გვ. 221-227.

მუზეუმში[3]. კვლევის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასევე ოფიცრის ერთადერთი შვილის მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში ნაგროვებმა ვრცელი მოგონებების ჩანაწერმა მამაზე[4].

ვიტალი უგრეხელიძე დაიბადა ქუთაისში, ვექილის ოჯახში. დაამთავრა იქაური ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, რის შემდეგაც 1919 წ. სწავლა დაიწყო ახლადშექმნილ ქართულ სამხედრო სკოლაში, რომლის მიზანიც იყო თავისუფალ საქართველოში ოფიცერთა პირველი თაობის მომზადება. 1921 წ. თებერვალში სკოლის სხვა კურსანტებთან ერთად მონაწილეობდა კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლაში. თბილისის დაცემის შემდეგ აღმოჩნდა ბათუმში, საიდანაც იუნკერ-ოფიცერთა ჯგუფში ზღვით გადავიდა სტამბოლში. იქ ექვსი თვე მოლოდინში გაატარა, სანამ პოლონეთიდან ცნობა არ მოუვიდა სამხედრო სკოლაში მიღების დასტურით.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში უგრეხელიძეს შეხება ჰქონდა პოლონურ ლიტერატურასა და პოლონური ჰუსარიის ეთოსთან. პოლონელების ეროვნული აჯანყებების შედეგად და კავკასიაში გადასახლებულ პოლონელ მხედრებთან დაკავშირებით, ქართველებში პოლონეთი წინაალმდეგობის განსაკუთრებულ სიმბოლოდ იქცა. ეროვნული ბედისწერის მსგავსება, კეთილი ურთიერთგანწყობილება და ანტიბოლშევიზმი კარგი საფუძველი გადმოდა პოლონეთში დასახლებული ქართველი ემიგრანტისთვის.

ემიგრაციის პირველი წლების, პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში სწავლისა და ჯარში სამსახურის შესახებ უგრეხელიძემ ლონდონში დაწერა მოგონებები, რომელიც გამოქვეყნდა პოლონურ ჟურნალში.

„იუნკერთა სკოლა განლაგებული იყო [ვარშავაში] უიაზდოვის გამზირზე. ჩვენი ასეული დაასახელეს 1/41, ქართველთა ოცეული. სამხედრო წვრთნაში დიდი განსხვავება არ იყო, პრობლემად აღმოჩნდა ენა. ამიტომ ვახშმის შემდეგ პოლონური ენის გაკვეთილები გვქონდა“.[5]

უნიტარული სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ, უგრეხელიძემ სამხედრო ხელობის დარგად აირჩია მხედრობა. ქ. გრუდზიონდში მხედართა გაწვრთნის ცენტრში ისწავლა არა მარტო პოლონეთის ისტორია, არამედ შეითვისა პოლონური პატრიოტიზმი, რაზეც თვითონ წერდა:

„გრუდზიადზ!... ჯადოსნური, საყვარელი, დაუვიწყარი ქალაქი. აქ იყო მხედრობის გაწვრთნის ცენტრი – პოლონური რაინდობის ბუდე. აქ აღორძინდა ხმლით მოგებული, ხელახლა დაბადებული სახელმწიფოს ძველი, პოლონელ ულანთა სული. ...მე გახლავართ ამ საყვარელი სკოლის პირველი მშვიდობიანი კურსის 1922-1923 წწ. კურსდამთავრებული. მშვენიერი ხელმძღვანელები და სამხედრო ხელოვნების მასწავლებლები მყავდა. მანდ ვუყურებდი გამოჩენილი ცხენოსნების გამოსვლებს... ამაზე უფრო წარმტაცი რა შეიძლება იყოს მსოფლიოში? ამას ყველაზე მშვენიერი ბალეტიც კი ვერ შეედრება. ...გრუდზიადში ამსრულებია ჩემი ბავშვობის ოცნებები, რაც ძალზე იშვიათად ხდება ადამიანის ცხოვრებაში[6]. ...მხედართა სკოლამ ბევრი რამ მასწავლა, უამრავ სფეროში. მეტად მიყვარდა ჩემი რაინდული ხელობა. როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა 1923 წ. სექტემბერში მივდიოდი სადმე რეჩ პოსპოლი-

3 ლონდონსა და თბილისში გამოკვლევა ჩატარდა 2016 წ.

4 მიმოწერა ოფიცრის ქალიშვილთან ჩატარდა 2016-2019 წლებში, ლონდონში ინტერვიუ – 2016 წ.

5 W. Ugrechelidze-Ugorski, *Pierwsze kroki,* «Orzeł Biały» 1978, N 169.

6 W. Ugrechelidze-Ugorski, *W kochanej szkole,* «Orzeł Biały» 1979, N 174.

ტის ყველაზე აღმოსავლური კუთხის, სრულიად უცნობ ქ. Ostróg-ში, მეცხრამეტე ულანთა პოლკში მოსამსახურედ".[7]

რაკი ქართველი ოფიცრების საქმის ფორმალური მოგვარება დაგვიანდა, კონტრაქტი 1924 წ. მარტში გაფორმდა. უგრეხელიძის ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი დავალება იყო სახელმწიფო საზღვრის პატრულირება და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა ბოლშევიკთა ბანდების შემოსევებისაგან.

„დავდივარ საზღვრის გასწვრივ და სოფელში დივერსანტებს ვდევნი. ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ბრძანებების წინაშე ვდგავარ, რადგან როგორც ჯარისკაცი, სამხედრო სამინისტროს ვექვემდებარები, როგორც შინაგან საქმეებით მივლინებული კი – შინაგან საქმეთა სამინისტროს. არაერთხელ მოვხვდი ბრძანებებთან კონფლიქტში. ...არავინ ბოლომდე არ გამაცნო, რა უფლებები და პასუხისმგებლობა მაქვს, ამიტომ საკუთარი ფანტაზიით დავფრინავდი. ...ახლა დადგება წესრიგი საზღვარზე-მეთქი. მალე ყველანი კარგად გამიცნობდნენ და სოფელში რომ შევიდოდი, ბავშვები იყვირებდნენ: „გამხდარი ლეიტენანტი ჩამოდისო!", ეს იყო მათი გამაფრთხილებელი სიგნალი".[8]

სასაზღვრო ზოლის დაცვითი კორპუსის[9] შექმნის შემდეგ, 1924 წ. ოქტომბრიდან, უგრეხელიძე დაუბრუნდა თავისი პოლკის რეგულარულ საქმიანობას. ვოლინელი ულანების მე-19 პოლკში ათი წელი მსახურობდა. ამ დროიდან ერთ-ერთ რიგითი ჯარისკაცი, რომელსაც უგრეხელიძე იმ პერიოდიდან ახსოვდა, მას ცხენოსნობის მკაცრ ინსტრუქტორად იხსენებს:

„ახალწვეულებში ყველაზე დიდ შიშს იწვევდა მეორე ლეიტენანტი – უგრეხელიძე, წარმოშობით ქართველი. მაღალი, გამხდარი ოფიცერი, შავი ულვაშით, რომელიც ხშირად მიმართავდა მეფის ჯარში ათვისებულ გინებას. ცხენის გასახედნად წკეპლით შეიარაღებული მოდიოდა და სასტიკად წკეპლავდა თუ რაიმე არ მოსწონდა".[10] მიუხედავად იმისა, რომ უგრეხელიძემ რუსეთის არმიაში სამსახური ვერ მოასწრო, აქ მოყვანილი ხასიათობრივი აღწერილობის სიზუსტე დასტურდება მის არქივში დაცულ სამხედრო საქაღალდეში. მისი უფროსების დადებით შეფასებებთან ერთად, ჩნდება ცნობები ქართველის იმპულსურ, ტემპერამენტიან და ჩამოუყალიბებელ ხასიათზე. მის პირად საქაღალდეში შედის სასამართლო გარჩევების საბუთები, რომლებშიც ადანაშაულებდნენ ძალაუფლების გადაჭარბებაში და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში.[11]

მისი ცხოვრების ერთ-ერთ საინტერესო სიუჟეტად იქცა სადოღე საქმიანობა. მისი ქალიშვილის გადმოცემიდან ვიცით, რომ პოლონეთში ჩამოსვლის შემდეგ, უგრეხელიძე ცხოველებისადმი სიყვარულის გამო ცდილობდა ჯარიდან უნივერსიტეტში სავეტერინარო განყოფილებაზე გადასვლას, თუმცა გენერალმა ზაქარიაძემ მისი ეს თხოვნა უარჰყო.

პირველი ცნობა, რომელიც უგრეხელიძის შესახებ პოლონურ პრესაში ვიპოვეთ, ჩნდება 1924 წ. სამხედრო სადოღე შეჯიბრებასთან დაკავშირებით.[12] ოციანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო დოღებში მონაწილეობა, როგორც ერთ-ერთმა ხუთი

---

7 W. Ugrechelidze-Ugorski, *Pierwsza jesień*, «Orzeł Biały» 1979, Nr 176.

8 W. Ugrechelidze-Ugorski, *Zanim granicę objął KOP*, «Orzeł Biały» 1980, Nr 185.

9 პოლონურად Korpus Ochrony Pogranicza.

10 Franciszek Korczyński, *Pamiętnik, cz.1*, «Kresowe Stanice» 2007, nr 3.

11 მასალები დაცულია პოლონეთის ცენტრალურ სამხედრო არქივში.

12 *Zawody konne, 19 p. ułanów wołyńskich*, «Polska Zbrojna» 1924, nr 230.

ქართველი მხედრიდან და როგორც ერთი ოთხთაგან სადოღე ცხენები ჰყავდა.[13] სადოღე საქმიანობა მხედართა წრეში, ბუნებრივია, იშვიათობა არ იყო, ამ საქმიანობას ხშირად უკავშირდებოდა მოგების იმედი. მიუხედავად იმისა, რომ უგრეხელიძე იყო ცხენების მფლობელი და მწვრთნელი, წყაროების მიხედვით, ზოგჯერ გამოდიოდა, როგორც ჟოკეი თავის (მე-19 ულანთა) პოლკის ან ამხანაგების პირადი ცხენებით.

გაზეთების სპორტის რუბრიკისა და „სადოღე უწყებანის" საფუძველზე შესაძლებელია ნაწილობრივი რეკონსტრუქცია იმ დოღებისა, რომლებშიც კარგ შედეგებს მიაღწია. სხვათა შორის: 1926 წ. ქ. ვილნოსთან 3 კილომეტრიან დოღში წინალობით და 1929 წ. ქ. პოზნანში დაიკავა პირველი ადგილი.[14] ცხენოსანთა გამოსვლების სტატისტიკის მიხედვით, პოლონეთის იპოდრომებზე 1926 წ. გამოვიდა 9-ჯერ, 1929 წ. კი 18-ჯერ[15]. 1930 წ. მაისში პრესა იტყობინებოდა, რომ ქ. ლუცკის დოღების დროს მხედარი უგრეხელიძე ცხენიდან გადმოვარდა და მისმა ცხენმა კისერი მოიტეხა.[16] ერთი წლის შემდეგ, ქ. პოზნანთან ახლოს, 8 კილომეტრიან დოღისას ისევ გადმოვარდა ცხენიდან.[17] სავარაუდოდ, ამით დასრულდა მისი სპორტული ცხენოსნობა, რადგან მომდევნო წლებში გამოქვეყნებულ სტატისტიკებში მისი გვარი აღარ ჩნდება. ცხენები კი მაინც ჰყავდა და მისი ქალიშვილის ნაამბობის თანახმად, პირადი ცხენები გერმანელებმა წაართვეს 1939 წ. სექტემბერში, პოლონეთში შემოჭრის დროს.

როგორც წლების შემდეგ თვითონ ვიტალი უგრეხელიძე იხსენებდა: „ქვეყანაში საცხენოსნო შეჯიბრებაში (კონკურში – დაბრკოლებათა გადალახვაში) გამოვედი მხოლოდ 5-ჯერ და ერთხელაც კი ვერ გავიმარჯვე. ცხენოსნის ოქრო ტვიფარი მხოლოდ დოღებში მიღებული შედეგებით დავიმსახურე".[18] უგრეხელიძემ მიიღო პოლონეთის ცხენოსანთა კავშირის მიერ გაცემული ორი ტვიფარი: „ოქრო" და „დიდი ოქრო", რომლებიც მის ოჯახში ინახება. სავარაუდოდ, ორივე მიღებულია 1937-1939 წლებში.

1934 წელს უგრეხელიძე დაქორწინდა, მისი მეუღლედ გახდა რუსეთში გაზრდილი პოლონელი ჰალინა ტროიცკა, რომელიც ამ დროს ქ. ვარშავაში მედდად მუშაობდა. როგორც იგონებდა მათი ქალიშვილი, მშობლებმა გაიცნეს ერთმანეთი ვარშავაში ბარბარე და ალექსანდრე ბაგრატიონებთან[19], რომელთა სახლიც ღია იყო რუსეთის იმპერიიდან წამოსული ემიგრანტებისთვის. ვარშავის მართლმადიდებლური ეკლესიის საარქივო მასალებში შემონახულია ცნობა იმის შესახებ, რომ

---

13 გაზეთ „Wiadomości Wyścigowe" (საცხენოსნო უწყებანის) ინფორმაციით, ცხენოსნებად დოღებში გამოდიოდენ საკონტრაქტო ოფიცრები: გიორგი ტურაშვილი, დავით ჩხეიძე, გიორგი იაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი. კერძო ცხენებს კი ფლობდა დავით ჩხეიძე, გიორგი იაშვილი და დავით ვაჩნაძე.

14 „Słowo", 1926, N 129, 5 czerwca (Wilno); „Wiadomości Wyścigow"», 1929, N 11.

15 „Wiadomości Wyścigowe", 1929, N 11; „Wiadomości Wyścigowe", 1926, N 65.

16 *Wypadek na wyścigach (Łuck),* „Kurier Warszawski", 1930, N 131.

17 *Wyścigi konne*, „Kurier Poznański", 1931, N 221.

18 Witaliusz Ugrechelidze-Ugorski, *Kilka uwag i sprostowań*, „Przegląd Kawalerii i Broni Pancernej", 1971, N 73.

19 ალექსანდრე ბაგრატიონი (1877-1955) – საკონტრაქტო პოდპოლკოვნიკი პოლონურ არმიაში, დასაფლავებულია ლონდონში. მისი ოჯახის ბედზე ოკუპირებულ ვარშავაში დაწერილა სტატია: J. Ostapczuk, *Z życia prawosławnej emigracji gruzińskiej w międzywojennej Polsce na przykładzie rodziny Bagrationich*, „Rocznik Teologiczny" 2016, LVIII, p. 2.

ახალგაზრდა წყვილს ჯვარი დაწერა ქართული დიასპორის სულიერმა მამამ გრიგოლ ფერაძემ, მეჯვარედ კი იყვნენ ძმები გიორგი და ჟერომ მამალაძეები[20].

მალე უგრეხელიძე გადაიყვანეს ქ. ლვოვში, მე-14 ულანთა პოლკში, სადაც დაიკავა მწყობრის (ოცეულის) უფროსის ადგილი და სავარაუდოდ, მიანიჭეს როტმისტრის ჩინი. ლვოვშივე 1935 წ. დაიბადა მისი ერთადერთი შვილი – სევდია დარეჯანი.[21] 1937 წელს გადავიდა მე-7 ცხენოსან მსროლელთა პოლკში, ბედრუსკში, ქ. პოზნანთან ახლოს, სადაც ესკადრონის უფროსის თანაშემწედ მუშაობდა.

ქართველ ოფიცერთა გაფანტულობის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად, იგი მონაწილეობდა ქართული დიასპორის ცხოვრებაში. პერიოდული პრესის ცნობებიდან ვიცით, რომ 1937 წელს შოთა რუსთაველის დიდი იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტების დეკლამაციით.[22] ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანოში „მხედარი" დაიბეჭდა მისი სტატია ცხენზე, რომელიც წარმოჩენს ავტორის მიერ წლების განმავლობაში ნაგროვებ ცოდნას[23] (სტატიაში აღწერს ცხენის როლს ცივილიზაციების ისტორიაში, მერე კი სადოღე ცხენის აღზრდის და გამრავლების წესებს აშუქებს). მცდარია თვალსაზრისი, რომ ვითომდა უგრეხელიძე იყო ჟურნალ „მხედარის" მთავარი რედაქტორი, როგორც გენერალ შალვა მაღლაკელიძის მოგონების საფუძველზე იმეორებდა გურამ შარაძე.[24]

მიუხედავად იმისა, რომ ომში მონაწილეობა საკონტრაქტო ოფიცრების მოვალეობა არ იყო, ქართველთა უმეტესობამ მონაწილეობა მიიღო 1939 წ. სექტემბრის კამპანიაში პოლონეთის დასაცავად. საომარ მომზადებასთან დაკავშირებით უგრეხელიძე მივლინებული იყო სარეზერვო ცენტრში ქ. კრასნიკში, სადაც 17 ულანთა პოლკის სათადარიგო ესკადრონის უფროსად დანიშნეს[25]. სექტემბრის კამპანიაში ქ. ლუბლინის სამხრეთით ბრძოლებში მონაწილეობდა. მისი რაზმის ჯარისკაცმა ფეხსაცმელში შეინახა დაჯგუფების უფროსის დაწერილი უგრეხელიძის საბრძოლო ღვაწლის მტკიცებულება, რის შედეგადაც მისი რაინდობა ყველაზე მაღალი პოლონური სამხედრო ჯილდოთი Virtuti Militari-ს მეხუთე ხარისხის ორდენით დაფასდა. როდესაც წითელმა არმიამ პოლონეთის საზღვარს მიაღწია (17 IX 1939), როგორც თვითონ იხსენიებდა[26], ქართველებს მიუღიათ ბრძანება, რომ სასწრაფოდ გადასულიყვნენ გერმანიის ტყვეობაში[27].

---

20 J. Ostapczuk, *Emigracja gruzińska w księgach metrykalnych parafii prawosławnej św. Trójcy przy ulicy Podwale 5 w Warszawie w latach 1922-1944*, „Pro Georgia", 2014, N 24. გიორგი მამალაძე (1895-1940) – პოლონეთის არმიის ოფიცერი, კატინის ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი, მისი ძმა ჟერომი ინჟინერი იყო.

21 სევდია დარეჯან უგრეხელიძე, S. D. Ugrechelidze-Ugorska, გათხოვების შემდეგ S.D. Lukac.

22 *Akademia gruzińska w sali Rady Miejskiej*, „Gazeta Polska", 1937, N 344.

23 ვ. უ-ძე, *ცხენი*, „მხედარი", 1936 N 20; ცხენთა ჯიში, „მხედარი", 1937 N 21.

24 ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბილისი, 2003.

25 J.Tym, *Dzieje 7 pułku strzelców konnych wielkopolskich*, Warszawa, 2020.

26 W. Ugrechelidze-Ugorski, *Z działań O/Z Wielkopolskiej B. K. w Kampanii Wrześniowej*, „Przegląd Kawalerii i Broni Pancernej", 1972, N 65 (London).

27 იმავე რაზმში იყვნენ ივანე ბაქრაძე და მიხეილ კვალიაშვილი. პოლონელ ოფიცერთა დიდი ნაწილი, რომლებიც სექტემბრის კამპანიაში საბჭოეთის ტყვეობაში ჩავარდა, 1940 წ. კატინის ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლად იქცა. იგივე ბედი ეწია გიორგი მამალაძეს, არკადი სხირტლაძეს, ალექსანდრე ტაბიძეს ვაჟიშვილთან, და სავარაუდოდ, კაპიტან რუსიაშვილს.

როგორც დადგინდა პოლონური წითელი ჯვრის და სამხედრო ტყვეთა ცენტრალური არქივის მონაცემებით, ტყვეობის დროს ჯერ ქ. კრაკოვის ერთ-ერთ ბანაკში, მერე კი არნსვალდის ოფლაგში იმყოფებოდა, სანამ სხვა პოლონელ ქართველებთან ლუკენვალდეს ბანაკში არ მოხვდა.[28] ტყვეთა ბანაკში ისწავლა გერმანული,[29] ერთი წლის შემდეგ მიიღო მოქალაქეობის არმქონე პირის მოწმობა და ბანაკიდან გაათავისუფლეს.

1940 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთში, ოჯახთან ერთად ვარშავაში დასახლდა და იატაკქვეშა ეროვნული ჯარის მოქმედებაში ჩაერთო.[30] ეროვნული ჯარი, ისე როგორც მთელი იატაკქვეშა სახელმწიფო, ექვემდებარებოდა პოლონეთის დევნილ მთავრობას ლონდონში. საიდუმლო მოღვაწეობა, თავისი ბუნების გამო, არ გვაწვდის ბევრ საარქივო მასალას, რომელიც ხშირად არც იყო წარმოებული, ან დღემდე არ შენარჩუნდა. პოლონელი ქართველების შემთხვევაში ეს თემა შეუსწავლელი რჩება, ამიტომ მათი ოკუპაციის დროინდელი კონსპირაციული მოღვაწეობის შესახებ ძალიან ზერელე ცნობები გვაქვს და ყველაზე ხელმისაწვდომი წყარო არის მემუარები.

უგრეხელიძის ქალიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „როგორც ქართველი, [მამა] საკმაოდ უსაფრთხოდ იყო, მეორე მხრივ კი, როგორც გენო ხუნდაძის მაგალითმა[31] გვაჩვენა, რომელიც გერმანელებმა დახვრიტეს – არავინ იყო ხელშეუხებელი. დამატებითი პრობლემა ის იყო, რომ ქართული კომიტეტის მდივანი დოქტორი ალშიბაია და მისი მარჯვენა ხელი პოლკ. კანდელაკი სულით და გულით გერმანელების მხარეს იდგნენ და ქართველებს არწმუნებდნენ, რომ გერმანულ ჯარში ჩაწერილიყვნენ. გესტაპოს შტაბ-ბინის ახლოს ვცხოვრობდით და [მამა] არაერთხელ იყო დაკითხვაზე, ზეწოლის და მეთვალყურეობის ქვეშ მოხვდა, მაგრამ უშედეგოდ. მაინც განაგრძო თავისი საქმიანობა: ხვდებოდა იატაკქვეშა ჯარისკაცებს, საბოტაჟის აქტებს ამზადებდა, ებრაელებს მალავდა და ა.შ." [32]

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიასა და საფრანგეთში მცხოვრებმა უამრავმა ქართველმა ემიგრანტმა გადაწყვიტა ომში მონაწილეობის მიღება გერმანიის მხარეს. ბევრი ჰიტლერის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, რაც საბჭოთა კავშირის დამორჩილების და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედს აძლევდათ.

ამ საქმისადმი უგრეხელიძის დამოკიდებულებაზე შეგვიძლია ვივარაუდოთ მისი ქალიშვილის სიტყვებიდან: „ძალზე მცირე იყო რიცხვი იმ პოლონელი ქართველებისა, ვინც ჩაიცვა გერმანული მუნდირი.[33] მამაჩემის ნაცნობებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს უფრო პატრიოტული მოწოდებით, ვიდრე უპრინციპობის გამო. ...მამაჩემი არ გმობდა მათ არჩევანს, მაგრამ არც მოსწონდა და მოითხოვ-

---

28 Oflag II B – Arnswalde (ომის შემდეგ პოლონეთში, ქ. შჩეცინთან ახლოს), Oflag III A – Luckenwalde, ქ. ბერლინთან 60 კილომეტრით.

29 ვ. უგრეხელიძის პირადი ანკეტა (Ministry of Defence, National Archives, London)

30 პოლონურად: Armia Krajowa.

31 გედეონ ხუნდაძე (1901-1943) – საკონტრაქტო ოფიცერი, იატაკქვეშა პოლონური არმიის მოქმედებაში ჩართული, დაიღუპა საიდუმლო ოპერაციის დროს.

32 Sewdia Daredžan Lukac, *Witalis Ugrechelidze-Ugorski, „Pro Georgia", 1999, N 8.*

33 გერმანულ არმიაში ჩარიცხეს: დიმიტრი შალიკაშვილი, ივანე ბაქრაძე, მიხეილ დადიანი, ვასილ ინჯია, სხვა სახით გერმანელებთან თანამშრომლობდნენ სიმონ კობიაშვილი, ალექსანდრე კონიაშვილი, დავით კლიმიაშვილი და ნიკოლოზ კანდელაკი.

და, რომ მასთან შეხვედრებზე და ჩვენ სახლში გერმანულ ფორმაში ჩაცმულნი არ მისულიყვნენ.[34]

მიუხედავად იმისა, რომ პოლონელ ქართველ ოფიცერთა უმეტესობა პოლონეთისადმი ლოიალური დარჩა, ოკუპირებულ პოლონეთში ქართული დიასპორის ცხოვრებაში ლოიალობის კონფლიქტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რაზეც გროგოლ ფერაძის ხვედრიც მოწმობს.

პოლონურმა საიდუმლო არმიის დაზვერვამ კარგად იცოდა ქართული ემიგრაციის გერმანელებთან თანამშრომლობის შესახებ და მით უმეტეს, პატივს სცემდა იმ ქართველებს, რომლებმაც პოლონეთისადმი ლოიალობა მოქმედებით დაადასტურეს. ზუსტად ამ თემაზე მოულოდნელ ცნობას ვნახულობთ ლონდონში დაცული პოლონეთის იატაკქვეშა სახელმწიფოს სპეცსამსახურის ოფიცრის **Tomasz Reutt**-ის გადმოცემაში. უგრეხელიძე დასახელებულია ყოფილ საკონტრაქტო ოფიცრებთან ერთად, რომლებიც ერთგულად მსახურობდნენ პოლონეთის საიდუმლო არმიაში.[35] ხასიათობრივი კუთხით გადმოცემამ უგრეხელიძე სრულიად ახალ შუქში გვაჩვენებს, რადგან საიდუმლო არმიის დაზვერვაში მოღვაწეობა განსაკუთრებულ პირად თვისებებს მოითხოვდა.

1960-იან წლებში დაწერილ გადმოცემის მიხედვით: „როტმისტრი უგრეხელიძე მუშაობდა ჩემთან სადაზვერვო დაჯგუფებებში, (რომლებიც რჩებოდა საიდუმლო არმიის შტაბის მეთაურობის ქვეშ, – დ. ზ). ქართულ კომიტეტში აგენტად იყო, მისი პატაკების საფუძველზე ვიცოდით, რა ხდებოდა მათთან. როცა კომიტეტში გერმანულ არმიაში ჩარიცხვა შესთავაზეს, კატეგორიული უარი უთქვამს. ამის გამო კომიტეტის მდივანი ალშიბაია ვითომდა მის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, ბოლოს კი დამთავრდა მისი გერმანული სასურსათო ტალონების ჩამორთმევით. იგივე უგრეხელიძე თავის ბინაში მალავდა ჩვენს გაქცეულ ოფიცრებს. შესაძლოა, ამაში თავისი როლი ითამაშა მისმა პოლონელმა ცოლმა. ამ ოჯახის დადებითი მხარე ასევე ისაა, რომ თავიანთი ქალიშვილი პოლონელ პატრიოტად გაზარდეს.[36]

ამ ადგილას მართებულად მიგვაჩნია, გავიხსენოთ უგრეხელიძის ომამდელი სამხედრო უფროსის ერთ-ერთი შეფასება: „საბრძოლო ველზე კარგად ორიენტირებული, სირთულეების ამტანი, ადამიანი, რომელიც სწრაფად და სწორად იღებს გადაწყვეტილებას, პარტიზანის ტიპი".[37] პოლონურ იატაკქვეშა სტრუქტურებში თავისი ორმაგი ფუნქცია ომის შემდგომ სამხედრო სამსახურის წიგნაკში აღიარა. საინფორმაციო ოფიცრის მოვალეობის გარდა, საიდუმლო არმიაში ულანთა მე-**17** პოლკის მეთაურის როლს ასრულებდა და **40**-მდე მებრძოლს მეთაურობდა (გასაგებია რომ რაზმი ფაქტობრივად არ იყო პოლკი. პოლონეთის არმია **1939** წ. სექტემბერში წაგებული კამპანიის შედეგად დაიშალა. ოკუპაციის დროს საიდუმლო, იატაკქვეშა არმიაში პოლკების სიმბოლური რეკონსტრუქცია ხდებოდა და ძველი დასახელებები იხმარებოდა). იატაკქვეშეთში უგრეხელიძე ყველაზე ხშირად ფსევ-

---

34 S. D. Lukac, *Losy polskich Gruzinów*, „Tydzień Polski", 1995, 9 IX (London).

35 სიაში მოხვდნენ: ვალერიან თევზაძე, არტემ არონიშიძე და გენო ხუნდაძე. არსებობს ცნობები საიდუმლო ჯარში მიხ. კვალიაშვილის, პლატონ თაყაიშვილისა, ნიკ. მათიკაშვილის, ალ. ალავიძისა და გ. თურაშვილის აქტიურობის შესახებ.

36 T. **Reutt**-ის გადმოცემა დაცულია ლონდონში იატაკქვეშა პოლონეთის არქივში (**Studium Polski Podziemnej**).

37 ოფიცრის შეფასება ინახება პოლონეთის სამხედრო არქივის პირადი საქაღალდეში.

დონიმს „უგორსკი" იყენებდა.[38] წლების შემდეგ მას იატაკქვეშა მოღვაწეობისათვის საიდუმლო არმიის ჯვარი მიანიჭეს.

1944 წ. ზაფხულში გერმანიის დაცემა მოსალოდნელი გახდა, წითელი არმია უახლოვდებოდა პოლონეთის დედაქალაქს და გერმანელებმა დაიწყეს ვარშავის დატოვება. პოლონეთის საიდუმლო არმიის სარდლობამ საყოველთაო აჯანყების გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ერთერთი ყველაზე საკამათო და ტრაგიკულ სამხედრო გადაწყვეტილება აღმოჩნდა. სარდლებმა გასცეს ბრძანება, რომ წითელი არმიის შემოსვლის შემთხვევაში გერმანელების წინააღმდეგ საბჭოთა რაზმებთან ეთანამშრომლათ.

უგრეხელიძემ, მისი ქალიშვილის გადმოცემით, საბჭოთა ჯართან თანამშრომლობაზე უარი თქვა, რითაც ბრძანების შესრულება უარყო, რაც ექვემდებარებოდა სამხედრო სასამართლოს. საბოლოოდ კი მისმა უფროსმა გამოსავალი მოიფიქრა და გააგზავნა უგრეხელიძე იტალიაში, გენერალ ანდერსის მე-2 კორპუსში.[39] ამის შედეგად უგრეხელიძე აჯანყებაში აღარ მონაწილეობდა და, შეიძლება ამის წყალობით, სიკვდილსაც კი გადაურჩა. წითელი არმია არ შეუერთდა აჯანყებულ პოლონელებს და მდ. ვისლის მეორე ნაპირიდან უყურებდა ქალაქის განადგურებას. ვარაუდების თანახმად, აჯანყების მსხვერპლად პოლონეთის მხარეს გახდა 150-180 ათასი ადამიანი.

ვარშავიდან და საერთოდ პოლონეთიდან გამგზავრებით, ქართველ-პოლონელი ოფიცრის ცხოვრებაში ახალი ეტაპი აღინიშნა. იმავე გზით, წითელი არმიის მიერ ოკუპირებული პოლონეთი რამდენიმე სხვა ქართველმა ოფიცერმა მიატოვა.[40] რამდენიმე ჯერ კიდევ ომის დროს ან საბჭოური რეპრესიების შედეგად დაიღუპა, რამდენიმე დარჩა პოლონეთში, ორი მათგანი ახალმა ხელისუფლებამ ციმბირში გადაასახლა, დიდი ნაწილი კი დასავლეთში გაემგზავრა და არასდროს დაბრუნებულა არც პოლონეთში და არც საქართველოში.

ავსტრიის გავლით, ოჯახთან ერთად უგრეხელიძე წავიდა ჯერ ქ. მილანში, სადაც შეხვდა გერმანიის კაპიტულაციას, მერე ქ. ანკონაში გამოცხადდა პოლონურ მე-2-ე კორპუსში, რომელსაც გენერალი ანდერსი ხელმძღვანელობდა. ერთეული ე. წ. დასავლეთში განლაგებული პოლონეთის შეიარაღებული ძალების ნაწილი იყო და დიდი ბრიტანეთის სარდლობას ექვემდებარებოდა. დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს არქივში დაცული პირადი ანკეტების მიხედვით, უგრეხელიძე ჯერ მე-2-ე კორპუსის საინფორმაციო განყოფილებაში მსახურობდა, შემდეგ ქ. გალიპოლში ჯავშნოსანი ჯარების გაწვრთნის ცენტრში ინსტრუქტორად, ბოლოს კი – მომარაგების ერთეულებში.

---

38 Szlakiem Ułanów Chrobrego: zarys historii 17 Pułku Ułanów Wielkopolskich im. Króla Bolesława Chrobrego /pod red. Stanisława Zakrzewskiego i Zygmunta Godynia, Londyn 1973, s. 179.

39 ვლადისლავ ანდერსი (1892-1970) – გენერალი, 1941 წ. საბჭოთა რუსეთის თანხმობით შექმნა და ხელმძღვანელობდა პოლონელ გადასახლებულთა და ტყვეთაგან შედგენილ ჯარს საბჭოთა კავშირში, რომელიც მერე ახლო აღმოსავლეთის გზით გადაიყვანა იტალიაში, სადაც პოლონურმა არმიამ მონაწილეობა მიიღო იტალიის განთავისუფლებაში. ამ ჯარის ნაწილი იწოდებოდა პოლონეთის საზღვარგარეთ განთავსებული შეიარაღებული ძალების მე-2-ე კორპუსად.

40 P. Adamczewski, *Listy dotyczące osób pochodzenia kaukaskiego służących w Wojsku Polskim i działaczy ruchu prometejskiego przechowywane w polskich archiwach w Londynie*, „Studia z Dziejów Rosji i Europy Środkowo-Wsch odniej", 2015, T. 50, z. 2.

იტალიაში თავის გვარს მეორეც დაურთო – „უგორსკი“, რომლითაც პოლონეთის იატაკქვეშეთში იცნობდნენ და ამ დროიდან საბუთებში ხშირად ჩანს როგორც უგრეხელიძე-უგორსკი. ცხოვრების ბოლომდე იყენებდა გვარის ამ ფორმას, ყოველთვის როცა პოლონურად წერდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოლონური გვარის მიღება პოლონური საქმისადმი ერთგულებისა და ღვაწლის თავისებურ სიმბოლოდ იქცა.

1946 წლის ნოემბერში მე-2-ე კორპუსთან ერთად ევაკუირებული იყო დიდ ბრიტანეთში. იმ დროს ევროპაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ბევრად ართულებდა პოლონეთის საზღვარგარეთ მყოფი შეიარაღებული ძალების მდგომარეობას. 1945 წლის ივლისში დიდმა ბრიტანეთმა შეწყვიტა ლონდონში განთავსებული პოლონეთის დევნილი მთავრობის მხარდაჭერა და ცნო პოლონეთის ახალი სოციალისტური მთავრობა. პოლონეთმა, რომლის ჯარისკაცებიც დასავლეთ ევროპის ყველა ფრონტზე გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ხუთწლიანი მძიმე ოკუპაციის შემდეგ, დიდი იმპერიების მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად, დამოუკიდებლობა ფაქტობრივად დაკარგა და საბჭოთა კავშირის თანამგზავრი ქვეყანა გახდა. ამის გარდა, აღმოსავლური საზღვრის შეცვლის შედეგად, პოლონეთმა დაკარგა თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.[41] ამ მოვლენებმა უზარმაზარი ეროვნული მარცხის გრძნობდა და სიმწარე მოუტანა ხალხს, ისე ქვეყანაში როგორც ემიგრაციაზე. პოლონური პოლიტიკური და სამხედრო ემიგრაცია მოკავშირის მხრიდან ნაღალატევად გრძნობდა თავს. ამის ფონზე ერთგვარი შეთანხმების ფარგლებში, ბრიტანულმა მთავრობამ შექმნა პოლონელთა გადასახლების კორპუსი,[42] რომლის მიზანიც იყო დემობილიზებულ ჯარისკაცთა მომზადება არასამხედრო ცხოვრებისთვის, ახალი პროფესიის და ინგლისური ენის შესწავლის გზით. ამგვარად დაცულნი იყვნენ, სანამ გადაწყვეტდნენ შემდგომ ნაბიჯებს. ერთდროულად ბრიტანეთის მთავრობა პოლონეთის ახალ კომუნისტურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით ცდილობდა, ნაომარი პოლონელი ჯარისკაცები ქვეყანაში დაბრუნებაზე დაეყოლიებინა. ჯარისკაცების გარკვეული ნაწილი დაბრუნდა პოლონეთში, ზოგიერთმა შეიცვალა დანიშნულების ქვეყანა, დიდ ბრიტანეთში კი ბოლოს დასახლდა 86 ათასი პოლონელი ჯარისკაცი-ოფიცერი.[43] ჯერ კიდევ დეკოლონიზაციის წინ, პოლონელები დიდ ბრიტანეთში გახდნენ პირველი დიდი ეროვნული უმცირესობა, რაც ხშირად მოსახლეობის წინააღმდეგობას იწვევდა.

უგრეხელიძე ფიქრობდა არგენტინაში ან სამხრეთ აფრიკაში ემიგრაციაზე, მაგრამ ბოლოს მაინც ინგლისში დარჩა. პოლონელთა გადასახლების კორპუსში მსა-

---

41 პოლონეთის ტერიტორიის 48 პროცენტის საბჭოეთთან მიერთებით (სხვათა შორის ქ. ვილნიუსისა და ლვოვოის დაკარგვასთან ერთად), შეიცვალა პოლონეთის დასავლური საზღვარი, სადაც პოლონეთმა შეიძინა გერმანიის მიწები. ამ კომპენსაციის მიუხედავად, ომამდელ ტერიტორიასთან შედარებით, ომის შემდეგ პოლონეთი მაინც 20%-ით შემცირებული ტერიტორიას შეიცავდა და დღემდე შეიცავს.

42 Polish Resettlement Corps არსებობდა 1946-1949 წლებში და ფორმალურად ექვემდებარებოდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს. PRC-ში ჩარიცხვა ნებაყოფლობითი იყო და დიდი ბრიტანეთის პოლონელ დემობილიზებულ ჯარისკაცთათვის დახმარების მთავარ ფორმას წარმოადგენდა. PRC-ის რეესტრში აღმოჩნდა 120 ათასი ადამიანი, მათ შორის ქართველი საკონტრაქტო ოფიცრები.

43 Jerzy Adam Radomski, Demobilizacja Polskich Sił Zbrojnych na Zachodzie w latach 1945-1951, Kraków, 2009, s.102.

ხურობდა (1947-1949) როგორც ბრიტანეთის არმიის კაპიტანი, ხოლო დროებით ბანაკებში ზემდეგის ფუნქციას ასრულებდა. იგივე ბანაკებში (Matapan, Penrhos) ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, 1949 წელს კი ლონდონში დასახლდა. ომის შემდგომ შევსებულ ანკეტაში, შეკითხვებზე: „1. რომელ საქმიანობას აირჩევდით შესაბამისი პროფესიული კურსის გატარების შემთხვევაში? და 2. რომელ არასამხედრო პროფესიას აირჩევდით დემობილიზაციის შემდეგ?“ უგრეხელიძემ კითხვის ნიშანი დატოვა, ქვემოთ კი კომენტარში დაწერა: „მინდოდა დასაქმებული ვყოფილიყავი ცხენოსნობის მწვრთნელად ან და ცხენოსნად“.[44]

თითქმის 50 წლის ყოფილმა ოფიცერმა ცხენოსნობასთან დაკავშირებული საქმიანობა ველარ დაიწყო. მისი პირველი არასამხედრო სამსახური იყო დამლაგებლის თანამდებობა, ლონდონის Earl's Court-ის მეტრო სადგურზე, Kensigton-ის შუაგულში, რომელიც მაშინ იყო პოლონური დიასპორის კერა. მომდევნო წლებში მუშაობდა საღეჭი რეზინის და Wall's ნაყინის ქარხნებში. მუშად გახდომა იმ რთული ომის შემდგომ პერიოდში, სამხედრო პოლონელი ემიგრანტისთვის ჩვეულებრივი ბედი იყო. უცხო ქვეყანაში, დეკლასირებული პოლონელები, რიგითი ოფიცრებიდან გენერლებამდე, იძულებული იყვნენ მუშად, მსახურად ან ფერმერად გადაქცეულიყვნენ.

ძირითადად პოლონურ სამხედრო ემიგრაციის წრეში ტრიალებდა, ცდილობდა მოეძებნა ომში დაკარგული მეგობრები, დაეზუსტებინა მათი ბედი, განეახლებინა კონტაქტი. მისი ყველაზე ახლო გარემოცვიდან ბევრი დაიღუპა 1939 წ. სექტემბრის კამპანიაში, კატინის ხოცვა-ჟლეტაში (1940), ან ვარშავის აჯანყებაში (1944). პოლონური ემიგრანტული პრესისა და ლონდონის პოლონური არქივის მასალების საფუძველზე, ვიცით, რომ უგრეხელიძე ხშირი სტუმარი იყო თავისი პოლკების ყოფილ ოფიცერთა გაერთიანებების კლუბებში.[45] 1962 წ. დააწინაურეს მაიორის რანგით, რაც, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ომის დროს, იატაკქვეშა საქმიანობისას მიღებული ხარისხის მტკიცებულება იყო.[46] მისი ქალიშვილის თქმით, უგრეხელიძე არ დათანხმდა პოდპოლკოვნიკის ჩინის მიღებაზე, რადგან სამხედრო დაწინაურებას სამსახურის გარეშე არ ცნობდა. 1967 წ. მიიღო დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა.

თავისუფალ დროს კითხულობდა ლიტერატურას და მონაწილეობას იღებდა პოლონური ლონდონის კულტურულ ცხოვრებაში. 1955 წ. პრესა იტყობინებოდა ადამ მიცკევიჩის სიკვდილის მეასე წლისთავთან დაკავშირებული პოლონელი მგოსანისადმი მიძღვნილი ზეიმის შესახებ. უგრეხელიძე მოვიდა საზეიმო კომიტეტში და განაცხადა, რომ მიცკევიჩის „პან თადეუშის“ ქართული თარგმანი „ბატონი თადეოზის“ სათაურით მზად აქვს. როგორც მოკლე შესავალში დაწერა, პოლონური ეროვნული ეპოსის თარგმნით სურდა მადლიერება გამოეხატა პოლონელებისადმი მრავალწლიანი თავშესაფრისთვის.[47] ლონდონის პოლონურ ინსტიტუტში მოწყობი-

---

44 ანკეტები დაცულია ლონდონში: Ministry of Defence/ National Archives.

45 მასალები დაცულია ლონდონის პოლონური ინსტიტუტის არქივში. Piotr Laskowski, 50-lecie 17 Pułku Ułanów Wielkopolskich, „Dziennik Polski i Dziennik Żołnierza", 1969, N 138 (ლონდონი).

46 Dziennik Ustaw RP, Londyn, dnia 30 czerwca 1969 roku, Nr 4. მაიორისთვის 1951 წ. დათარიღებული დაწინაურების შუამდგომლობა დაცულია ლონდონის პოლონურ ინსტიტუტში.

47 Polskie życie kulturalne: Pan Tadeusz po gruzińsku, «Orzeł Biały» 1955, Nr 28 (ლონდონი). Trzech tłumaczów Mickiewicza: na angielski, francuski, gruziński, «Dziennik Polski i Dziennik Żołnierza» 1956, N 455 (ლონდონი). Przekłady z Mickiewicza, „Wiadomości", 1956, N 14-15 (London).

ლი ზეიმის ფარგლებში წარმოადგინა თავისი თარგმანი და აქ პირველად მოგვევლინა მთარგმნელის როლში.

მისი „პან თადეუშის“ თარგმანი, სავარაუდოდ, ამ ნაწარმოების პირველი ქართული თარგმანი იყო.[48] მთარგმნელმა დამატების სახით მოამზადა ვრცელი ასგვერდიანი კომენტარი, რომ ქართველი მკითხველი პოლონურ სათავადაზნაურო ეპოსის რეალობაში უკეთ შეეყვანა. პოლონურ პრესაში ვარაუდები იყო იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ქართული ანბანით დაბეჭდილი თარგმანის გამოქვეყნება. ერთ-ერთ საკვირველ კომენტარში ვკითხულობთ, რომ „როცა საბჭოთა ხელისუფლებამ გაიგო მისი ქართული თარგმანის შესახებ, ცდილობდნენ შეეძინათ, რაზეც უგრეხელიძემ კატეგორიული უარი თქვა“.[49] სამწუხაროდ მეტი არაფერი ვიცით ამ უცნაურ და არშემდგარ წართმევაზე.

მისი ქალიშვილის გადმოცემით, 1950-იანი წლების ბოლოს თავის თარგმანთან დაკავშირებით უგრეხელიძემ ინტერვიუ მისცა მიუნხენში დაფუძნებულ რადიო თავისუფალი ევროპის პოლონელ ჟურნალისტს. სამწუხაროდ, ინტერვიუს ჩანაწერი არ შემორჩენილა და ალბათ ველარც გავიგებთ, როგორ დაიწყო ყოფილი ოფიცრის პირველი ლიტერატურული მცდელობა. „პან თადეუშის“ ქართული თარგმანი ორმოცდაათი წლის მერეც დავიწყებული იქნებოდა, იგი რომ არ გამოქვეყნებულიყო პოლონეთში 2011 წელს.[50]

მომდევნო წლებში უგრეხელიძემ ქართულად თარგმნა თავისი საყვარელი პოლონელი ავტორების ნაწარმოებები: ალექსანდრე ფრედროს კომედიები „შურისძიება“, „მანდილოსანი-ჰუსარები“ და იან პარანდოვსკის პეტრარკას ბიოგრაფია. 1966 დაამთავრა ინგლისურიდან ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმის“ თარგმანი, „პირუტყვების მამულის“ სათაურით. ამას გარდა, დაწერა ვრცელი ნაშრომი ინგლისური პარლამენტარიზმის შესახებ. პოლონური პრესის ერთ-ერთი ცნობიდან ვიცით, რომ სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ პოლონურ თარგმანზეც მუშაობდა.

არ ვიცით რამდენად შესაძლებელი იქნებოდა უგრეხელიძის თარგმანების გამოცემა საბჭოთა საქართველოში, მაგრამ არსებობს საბუთი, რომ მთარგმნელი ცდილობდა თავისი შემოქმედება უფრო ფართო აუდიტორიამდე მიეწვდინა. 1957 წელს „შურისძიების“ თარგმანთან დაკავშირებით პრესა იტყობინებოდა, რომ მთარგმნელი მოლაპარაკებას მართავს, რათა მისი თარგმანით პიესა დაიდგა ქუთაისის თეატრში[51] (სავარაუდოდ მოლაპარაკებები ქუთაისში მიდიოდა მთარგმნელის ძმის გურამ უგრეხელიძის მეშვეობით.) ოჯახის საარქივო მიმოწერიდან ცხადი ხდება, რომ „პეტრარკას“ თარგმანის გამოცემის მიზნით, მთარგმნელმა კონტაქტი დაამყარა წიგნის ავტორთან, რომელიც იმ

---

48 პირველი ქართული თარგმანი „პან თადეოზისა“ გამოქვეყნდა ანთოლოგიაში, როგორც თარგმანი რუსულიდან: რჩეული თხზულებანი/ადამ მიცკევიჩი, [დამუშ. ი. ქემერტელიძე], თბილისი, 1986.

49 „Pan Tadeusz" po gruzińsku: bolszewicy chcieli wykupić rękopis, „Dziennik Polski i Dziennik Żołnierza", 1955, N 163 (London).

50 Nina Taylor-Terlecka, Mickiewicz na Kaukazie: dzieje zagubionego rękopisu: Pan Tadeusz po gruzińsku, „Pro Georgia", 2012, N 22. ადამ მიცკევიჩი, პან თადეოზი, თარგმნა ვ. უგრეხელიძე, ტექსტი დედანთან შეადარა, ბოლოთქმა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა დავით ყოლბაიამ. ვარშავა, 2011. (მეორე გამოცემა, 2015).

51 *Polskie życie kulturalne : dożynki i mikrofony*, «Orzeł Biały» 1957, Nr 36.

დროს პოლონურ პენკლუბის თავმჯდომარე იყო ვარშავაში.[52] ორივე ცდა უშედეგოდ დასრულდა.

მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად, უგრეხელიძემ დაიწყო ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთებისთვის წერა. ამ საქმიანობაშიც გამოვიდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პირი ყოფილ იუნკრებთა ჯგუფიდან. მისი პირველი სტატიები, სავარაუდოდ, პოლონური პრესის ქართველ-პოლონელი ოფიცრის მიმართ ინტერესის გამომჟღავნების შედეგი აღმოჩნდა. მისი „პან თადეუშის" (1955-1956) და „შურისძიების" (1957) თარგმანების გამოხმაურების შემდგომ, ლონდონის პოლონურ პრესაში საჭორაო სტილში საუბრობდნენ, უგრეხელიძე ვისთან ლაპარაკობს ქართულად ემიგრაციაზე, დეივიდ ლენგთან მისი მეგობრობის შესახებ[53] და მის სამუშაო ადგილას მომხდარ უბედურ შემთხვევაზე, რომელშიც ხელი სერიოზულად დაიზიანა, რის შედეგადაც გარკვეული ხნით ვიტალის არ შეეძლო წერა.

1957 წელს უგრეხელიძემ გამოსცა ორი სტატია, რომლებშიც საქართველოს ისტორიასთან შეხება საბჭოთა მთავრობის აქტუალური პოლიტიკის ემოციური კრიტიკის მიზეზი ხდება[54]. პოლონურმა გაზეთებმა ლონდონში დაბეჭდეს მისი ათზე მეტი წერილი რედაქციისადმი. ერთ-ერთ წერილში ხსნის საბჭოთა კონსტიტუციის მანკიერებას[55], იქიდან გამომდინარე, რომ ის ითვალისწინებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიდან გამოსვლას, მაგრამ მსგავსი ნაბიჯი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ დროსაც ყურადღებას აქცევდა ჟურნალებში მოთავსებულ მეორე მსოფლიო ომის ყოფილ ოფიცერთა მოგონებებს. თვითონაც დაბეჭდა ტყვეთა ბანაკში სხვა ოფიცრიდან მოსმენილი ამბავი (ყოფილ იუნკერის) კაპიტან გიორგი რატიშვილის 1939 წლის სექტემბრის კამპანიის დროს ჩადენილი გმირობისა და სიკვდილის შესახებ.[56]

ამავდროულად, რა თქმა უნდა, კითხულობდა ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკას, მათ შორის მისი ნაწერები გამოქვეყნდა პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში" და „თავისუფლების ტრიბუნაში". „კავკასიონში" დაბეჭდილი ფელეტონი ნუმიზმატიკის თემას ეხება, ერთმანეთს ადარებს ძველ კოლხურ მონეტებსა და კვიპროსის მუზეუმში ნანახ ძველ ბერძნულ მონეტებს.[57] კიდევ უფრო საინტერესოა მისი სტატია „თავისუფლების ტრიბუნაში", რომელიც ვიტალი ბობოთელის ფსევდონიმით გამოსცა,[58] (ბავშვობაში რაჭის სოფელ ბობოთში ატარებდა ყოველ ზაფხულს). სტატიაში გამოხატავს სიყვარულს და პატივისცემას ქართული ენისადმი და საბჭოთა საქართველოში გამოცემულ წიგნ-ჟურნალების მაგალითზე ემოციურად აკრიტიკებს და ეწინააღმდეგება რუსული სიტყვებით ქართულის გაღარიბებას და

---

52 ამ მიმოწერის ნაწილი დაცულია იან პარანდოვსკის პირად არქივში და ინახება პოლონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

53 David Marshall Lang (1924-1991) – ბრიტანელი კავკასიოლოგი, ქართული ენის ლექტორი.

54 *W. Ugrechelidze-Ugorski, Jeszcze słowo o Gruzji, «Orzeł Biały» 1957, N 40. W. Ugrechelidze -Ugorski, Święci książęta argutyńscy, „Orzeł Biały", 1957, N 51.*

55 W. Ugrechelidze-Ugorski, *Sowiecka konstytucja*, „Wiadomości", 1976, N 19 (Londyn).

56 W. Ugrechelidze-Ugorski, *Zapomniany bohater broni pancernej,* „Przegląd Kawalerii i Broni Pancernej", 1972, N 65 (კავალერიის და ჯავშნიანი პოლკების საისტორიო ჟურნალი გამოცემული 1963-2000 წლებში ლონდონში).

57 ვიტალი უგრეხელიძე, *ერთი სურათის გამო*, „კავკასიონი", 1967, XII. ადამ მიცკევიჩ, *ბატონი თადეოზი: ეპილოგი*, პოლონურიდან თარგმნა ვიტალი უგრეხელიძე, „კავკასიონი", 1965, X.

58 ვიტალი ბობოთელი, *დავიცვათ ქართული*, „თავისუფლების ტრიბუნა", 1974, N 6.

წაბილწვას. როგორც წერდა 1974 წელს: „ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი სახსარი და საშუალებაა სიტყვის არ დათმობა, ჩვენი ენის უმანკოების დაცვა. სურვილით მისი სიყვარული და მის დასაცავათ სადარაჯოზე დგომა.... დავიცვათ ჩვენი ბრძოლის ასპარეზი. ქართული სიტყვის დაცვა არის ჩვენი მოგერიებითი ბრძოლის უკანასკნელი ხაზი. თუ აქედან მტერმა აგვყარა, უკან დასახევი ველი აღარ გვაქვს, მაგრამ აქ ჩვენი სანგრები მეტად მაგარია და მტერი ვერას გვავნებს. აქ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა და აქ მტრის დამარცხებაც ადვილია, თუ შეგნება გვაქვს“. რაც საინტერესოა, სტატიის თავდაპირველი ვერსია სათაურით „დავთიროთ ქართულს“ შეამოკლეს რედაქციაში, რომ არ განაწყენებინათ მკითხველი, რადგან ავტორის მკაცრი კრიტიკა შეიცავდა არა მარტო საბჭოთა ოკუპაციის პირობებში მცხოვრებ ქართველებს, არამედ ავტორი გადაგვარებაში ადანაშაულებდა ქართულ ემიგრაციას. უგრეხელიძემ დაიწყო სტატია ძველ რომაული თქმულებით: Quem amo castigo – ვინც მიყვარს, ვტუქსავ.

ბოლოს კი 1978-1980 წლებში ყოფილ ოფიცერთა ჟურნალში „Orzeł Biały” გამოსცა განსაკუთრებული ნიჭით დაწერილი (და ფრაგმენტულად, ზემოთ ციტირებული) მოგონებები 1921-1924 წლებიდან.[59] ქართულ ენაზე კი „თავისუფლების ტრიბუნაში” დატოვა მემუარული ხასიათის პატარა წერილი, რომელში აკაკი წერეთლის ერთ-ერთი იუბილეს მომზადებასთან დაკავშირებულ ანეგდოტურ ამბავს ჰყვება.[60]

ვიტალი უგრეხელიძის ცხოვრებისეული ამბის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს მისი ერთადერთი შვილი, რომელიც პოლონეთს დაუტოვა ათი წლის ბავშვად და რომელიც დღემდე პოლონელ პატრიოტად რჩება, ინგლისური განათლების და ინგლისში გატარებული მრავალი წლის მიუხედავად. სევდია დარეჯან უგრეხელიძე-უგორსკა თავისი ქართული სახელს ს.დ.-ს შემოკლებით მხოლოდ ოფიციალურად იყენებს. ქართული ენა არასოდეს უსწავლია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რადიო თავისუფალი ევროპის მიუნხენის პოლონურ ოფისში დაიწყო მუშაობა. უცხო ენების ცოდნის და ჟღერადი ხმის წყალობით მთარგმნელად და წამყვანად მუშაობდა. კითხულობდა რადიო-პიესებს და პოლონური სამსახურის ხელმძღვანელის Jan Nowak-Jeziorański-ს პირადი მთარგმნელი გახდა.

ვიტალი უგრეხელიძის ცხოვრებაში ვხედავთ საქართველოს და პოლონეთის ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ მომენტებს. მან გაიზიარა როგორც ქართველ, ისე პოლონელ ემიგრანტთა ბედი, ორჯერ დატოვა ქვეყანა, ორჯერ დაკარგა სამშობლო. ასევე, გადაურჩა საბჭოთა რეპრესიებს, რომლებიც ემუქრებოდა როგორც პირველი რესპუბლიკის ჯარისკაცს და როგორც პოლონეთის არმიის ოფიცერს.

პოლონეთში ემიგრაციის დროს აისრულა თავისი ოცნება მხედრობაზე, ინგლისში, სრულიად სხვა და უცხო რეალობაში, ცდილობდა სულის სიმშვიდე მწერალ-მთარგმნელის საქმიანობაში ეპოვნა. დღემდე ვიტალი უგრეხელიძე რჩება პოლონური ლიტერატურის ერთადერთ მთარგმნელად, რომლის ცხოვრება პოლონეთისაგან განუყოფელი აღმოჩნდა. ქართულ-პოლონური ურთიერთობის ისტორიის ფონზე უგრეხელიძე განსაკუთრებით საინტერესო პიროვნებად რჩება. მთარგმნელობითი

---

59 Orzeł Biały (თეთრი არწივი) – ჟურნალი გამოცემული 1941 წლიდან როგორც მე-2 კორპუსის ორგანო. 1945-დან 2001 წლამდე გამოვიდოდა ლონდონში, როგორც ყოფილ ოფიცერთა ჟურნალი.

60 ვიტალი უგრეხელიძე, *ჩემი ბავშვობის სასოწარკვეთილება: აკაკი წერეთლის დაბადების წლის თავი*, „თავისუფლების ტრიბუნა”, 1981, N 34.

დებიუტიდან მრავალი წლის შემდგომ, მისი ქართული „პან თადეუშის" თარგმანი გამოსცეს და პირველად წარადგინეს პოლონეთში და საქართველოში. როგორც გამოცემა ისე მისი მთარგმნელი საქართველოში პოლონეთის პრომოციის და პოლონურ არმიაში მომსახურე ქართველ ოფიცერთა ისტორიის პოპულარიზაციის საბაბად იქცა. რაც მთავარია, უგრეხელიძე დაუბრუნდა ქართულ საზოგადოებრივ მეხსიერებას და სიმბოლურად დაბრუნდა საქართველოში. 2014 წელს მისი ფერფლი დიდუბის პანთეონში გადმოასვენეს.[61]

DIANA ZADURA

Vitali Ugrekhelidze (1902-1983) – The Officer of Polish Army

Summary

Vitali Ugrechelidze-Ugorski was one of Georgian contract officers serving in midwar Polish Army, after the independent 1st Republic of Georgia was defeated by bolsheviks in 1921. The paper is an attempt of a possibly full biographic sketch of the character, whose connection to Poland turned out to be a lifelong story. After over twenty years of living in Poland he took his conspiracy nickname used during the German occupation time as his second surname. Aside from his military career, we are able to follow his hobbies which were exactly what made him a distinguished and a vivid personality on the background of Georgian-Polish military diaspora. We are given details of his prewar horse riding carier, as well as a story of his postwar journalistic and literary activity. The rich life of a double emigrant (a Georgian in Poland and a Polish army ex-officer in United Kingdom) make him an exceptionally interesting case in the history of the XX century Polish-Georgian relations.

61 სტატიის პოლონური ვერსია 2019 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „Pro Georgia". თარგმანი – ავტორის.

ნოდარ გრიგორაშვილი

ოთხი ქართველი ემიგრანტი მოღვაწის ემიგრაციამდელი ბიბლიოგრაფია

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი ერთ-ერთი უმდიდრესი სიძველეთსაცავია საქართველოში. არაერთი უნიკალური გამოცემა, ქართული ჟურნალებისა და გაზეთების არაერთი ნომერი სხვაგან არსად არის დაცული. აქაური მასალების საფუძველზე ბიბლიოთეკა-მუზეუმის ხელმძღვანელმა ნოდარ გრიგორაშვილმა შეადგინა წიგნი „ძველი ქართული პრესის მოღვაწენი (გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით“), რომლის გამოცემას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აპირებს.

წიგნში წარმოდგენილია XIX-XX საუკუნეების ქართული პრესის ათეულობით მოღვაწე – ცნობილი, დავიწყებული თუ უცნობი; მოცემულია მათი მოკლე ბიოგრაფიები და მეტ-ნაკლებად სრული ბიბლიოგრაფიები; გაშიფრულია არაერთი ფსევდონიმი, კრიპტონიმი თუ ინიციალი, დადგენილია ხელმოუწერელ ტექსტთა ავტორები.

ავტორმა გამოსაცემად გამზადებული წიგნიდან ჩვენი ჟურნალისთვის ოთხი პიროვნება შეარჩია: შალვა ამირეჯიბი, რევაზ გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე და გრიგოლ ურატაძე.

მოხდა ისე, რომ მრავალი წლის მანძილზე პირველი ტალღის ქართველ ემიგრანტთა სახელები აკრძალული, მათი საქმეები კი მიჩქმალული იყო. ხოლო როდესაც აკრძალულ სახელებს ტაბუ ახსნეს, მკვლევართა ინტერესი და ყურადღება ძირითადად ტაბუახსნილთა ემიგრანტული მოღვაწეობისაკენ იქნა მიმართული, მათი ემიგრაციამდელი მემკვიდრეობა კი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არათუ ნაკლები, უფრო მეტიცაა და მნიშვნელოვანიც, უყურადღებოდ დარჩა. პირველი ტალღის ემიგრანტთა დიდი ნაწილი ხომ არანაკლებ გამოჩენილი ფიგურა იყო ემიგრაციამდე, ვიდრე ემიგრაციაში. ნოდარ გრიგორაშვილის წიგნში წარმოდგენილი მასალა მყარ საფუძველს ქმნის ამ ხარვეზის შესავსებად. იგი საინტერესო იქნება ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია სრული წარმოდგენა შეექმნას ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის ამა თუ იმ მოღვაწეზე.

ჩვენს პუბლიკაციაში ოთხი მათგანია წარმოდგენილი.

შალვა ამირეჯიბი

ცნობილი პოეტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი შალვა გიორგის ძე ამირეჯიბი დაიბადა 1887 წელს, გორის მაზრის სოფელ ხურვალეთში.

წერა-კითხვა ოჯახში დედამ შეასწავლა. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1906 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ვენაში გაემგზავრა. მატერიალურად შევიწროებული, ნახევრად მშიერი, მაგრამ სწავლას და ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა ლექციებს ისმენდა იქაურ უნივერსიტეტში.

1909 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო პოლიტიკური, ლიტერატურული და ჟურნალისტური მოღვაწეობა. იყო ეროვნული მიმართულების, ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ალმანახის „ჩვენი ერის“, 1909 წ. № 2-ის გამომცემელი (სულ ორი ნომერი გამოვიდა). შ. ამირეჯიბი იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი და მუდმივი თანამშრომელი ეროვნულ-დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთებისა: „კლდე“, „სამშობლო“, „საქართველო“, „იმერეთი“ და სხვათა, სადაც თავისი გვარ-სახელით, ინიციალებითა თუ ფსევდონიმებით აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, ლექსებს, თარგმანებს, თეატრალურ-კრიტიკულ, პოლიტიკურ-პუბლიცისტური შინაარსის წერილებს. მისი ნაწერები გაბნეულია ჟურნალებში: „საქართველოს მოამბე“, „ერი“, „მათრახი“, „მეოცნებე ნიამორები“, „შინაური საქმეები“, „საქართველო“, „ნიშადური“ და ა.შ.; გაზეთებში: „ახალი ივერია“, „ბახტრიონი“, „თემი“, „ივერია“, „ტრიბუნა“ და სხვა.

1920 წელს დაიბეჭდა შ. ამირეჯიბის ლექსების კრებული სათაურით „მინანქრები“. 1922 წელს გამოსცა წიგნი „ვასილ აბაშიძე“. მსახიობის 50 წლის მოღვაწეობის გამო.

1925 წელს, წინა წლის ცნობილი ამბოხების შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა და აგრძელებდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. ლექსებს, პროზაულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა იქაურ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

გარდაიცვალა 1943 წლის ივლისში, პარიზში.

ქვემოთ ქრონოლოგიურად წარმოდგენილია საქართველოში ცხოვრების პერიოდში შალვა ამირეჯიბის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ ნაწერების ბიბლიოგრაფია გვარ-სახელით – ცალკე და ფსევდონიმებით და ინიციალებით – ცალკე.

1. შალვა ამირეჯიბის მიერ პრესაში საკუთარი სახელ-გვარით გამოქვეყნებული ნაწერების ბიბლიოგრაფია:

1_a. ჟურნალებში:

შ. ამირეჯიბი. რომანსი. ლექსი. ჟ. „ერი“, 1910, № 2, გვ. 8;

შ. ამირეჯიბი. თარგ. ველიჩკოდან, „ჯილდო მეფისა“, 1910, ჟ. „ერი“, № 5, გვ. 13-14;

შ. ამირეჯიბი. კეისრის ცოლის ძეგლი, 1910, ჟ. „ერი“, № 8, გვ. 11-12;

შ. ამირეჯიბი. „შუანეთა“, ჟ. „ერი“, 1910, № 25, გვ. 3-4;

შ. ამირეჯიბი. (პოლიტიკურ-პუბლიცისტური წერილები), „ჩვენი საჭიროება“, ჟ. „კლდე“ 1913, № 1, გვ. 1-2;

შ. ამირეჯიბი. „სახალხო გაზეთის“ ვიწრო და მთავრობის ფართო შეხედულობა, ჟ. „კლდე“, 1913, № 12, გვ. 3-4;

შ. ამირეჯიბი. (წერილი) შოთა რუსთაველი, ჟ. „კლდე“, 1913, № 16, გვ. 10-13;

შ. ამირეჯიბი. საქართველოს ეკლესიის საკითხი, ჟ. „კლდე“, 1913, № 17, გვ. 1-2;

შ. ამირეჯიბი. საქართველოს ეკლესიის საკითხი, ჟ. „კლდე“, 1913, № 18, გვ. 1-2;

შ. ამირეჯიბი. ღია წერილი დრამატიულ საზოგადოების გამგეობისადმი, ჟ. „კლდე“, 1914, № 4, გვ. 10-11;

შ. ამირეჯიბი. კეთილი სიტყვის გება, ჟ. „კლდე“, 1914, № 5, გვ. 9-10;

შ. ამირეჯიბი. ლექსი – *** „ახ, გურული ახალგაზრდა“, ჟ. „მათრახი“, 1912, № 3, გვ. 4;

შ. ამირეჯიბი. 1. თბილისის ოფორტი, 2. მწვანე კაკადუ, ჟ. „მეოცნებე ნიამორები“, 1919, № 3, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. ლექსი – ბავშვის ტირილი, ბალადა, ვუძღვნი ნ. ნათიძეს, ჟ. „საქართველო“, 1908, № 11, გვ. 4-6;

შ. ამირეჯიბი. ლექსი – (გეტედან) ვიდოდი ტყეში, ფიქრთა ამარა, ჟ. „საქართველოს მოამბე“, 1909, № 3, გვ. 6;

შ. ამირეჯიბი. ღამის სიმღერა, ჟ. „საქართველოს მოამბე“, 1909, № 6, გვ. 4;

შ. ამირეჯიბი. ლექსი – გულო, რა არის სიყვარული, ფრიდრიხ პალმიდან (ეძღვნის კნ. ნ. ამირეჯიბს), ჟ. „საქართველოს მოამბე“, 1909, № 7, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. ლაურა, ჟ. „საქართველოს მოამბე“, 1910, № 10, გვ. 10-11;

შ. ამირეჯიბი. ლექსი – ტურფავ ზღვაა შენი თვალი, ჟ. „საქართველოს მოამბე“, 1919, № 11, გვ. 8-9;

შ. ამირეჯიბი. ლტოლვა ირაკლისი, ალმ. „ჩვენი ერი“, 1909, № 1, გვ. 7.

შ. ამირეჯიბი. დონნა კლარა (ჰეინედან), ჟ. „ცხოვრება და ხელოვნება“, 1911, № 7, გვ. 3-4.

1_b. გაზეთებში:

შ. ამირეჯიბი. თეატრალური რეცენზია „ნაგავი“, გაზ. „ახალი ივერია“, 1914, № 5, 5/IX, გვ. 3, 10/X;

შ. ამირეჯიბი. [პოლიტიკური წერილი] დიდი და პატარა ერები, გაზ. „ახალი ივერია“, 1914, № 11, გვ. 3;

შ. ამირეჯიბი. ლექსი – სიმღერები. პროლოგი, გაზ. „თემი“, 1912, № 58, 13/II, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. წერილი. ნინო ჩხეიძე, გაზ. „ივერია“, 1919, № 33, 21/XII, გვ. 1;

შ. ამირეჯიბი. ქართული თეატრი, გაზ. „მსახიობის დღე“, 1920, № 1, 2/I, გვ. 3-6;

შ. ამირეჯიბი. ვაჟა ფშაველა [მეთაური წერილი], გაზ. „სამშობლო“, 1915, № 141, 27/VII, გვ. 8;

შ. ამირეჯიბი. ეროვნული მქადაგებელი [ვაჟა ფშაველაზე], გაზ. „სამშობლო“, 1915, № 145, 31/VII, გვ. 3;

შ. ამირეჯიბი. [პოლიტიკურ–პუბლიცისტური წერილები] ბრიყვნი ხელოვნებისა, [ქართველ მსახიობთა შევიწროებულ მდგომარეობაზე], გაზ. „საქართველო“, 1915, № 128, 28/X, გვ. 1;

შ. ამირეჯიბი. რევოლუციის ნაციონალიზაცია [ბოლშევიკების წინააღმდეგ], გაზ. „საქართველო“, 1916, № 267, 3/XII, გ.ვ. 1–2;

შ. ამირეჯიბი. ავტოკეფალისტები, გაზ. „საქართველო“, 1917, № 20, 27/IV, გვ. 1;

შ. ამირეჯიბი. წერილი, ვ. გუნია, გაზ. „საქართველო“, 1917, № 22; 29/IV, გვ. 2-3;

შ. ამირეჯიბი. [პოლიტიკური წერილები] შედეგი მკათათვის რევოლუციისა, გაზ. „საქართველო“, 1917, № 149, 10/VII, გვ. 1;

შ. ამირეჯიბი. დაღესტან-ჩეჩნეთი [მთიელთა ყრილობაზე], გაზ. „საქართველო“, 1917, № 270, 12/XII, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. ქართული ჯარი, გაზ. „საქართველო“, 1917, №279, 12/XII, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. ქართული ჯარი და ბოლშევიზმი [ბოლშევიკების წინააღმდეგ], გაზ. „საქართველო“, 1917, № 275, 15/XII, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. პარონ შაუმიანი [ლანძღავს ს. შაუმიანს], გაზ. „საქართველო“, 1917, №276, 19/XII, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. წერილი კიტა აბაშიძის გარდაცვალებაზე, გაზ. „საქართველო“, 1917, № 277, 20/XII, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. მენშევიკების საქანელა [მენშევიკების კრიტიკა], გაზ. „საქართველო“, 1918, № 9, 12/I, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. შეიცოდეთ ძაღლები სეიმში, გაზ. „საქართველო“, 1918, № 31, 8/II, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. ვ.გაბაშვილი [არჩევა ქართული ლაშქრის სარდლათ], გაზ. „საქართველო“, 1918, № 47, 3/III, გვ. 1-2;

შ. ამირეჯიბი. წარსულის ნაშთნი [კავკასიის დამოუკიდებლობა და რუსეთი], გაზ. „საქართველო“, 1918, № 57, 15/III, გვ. 1;

შ. ამირეჯიბი. დაშნაკცუტიუნი, გაზ. „საქართველო“, 1918, № 66, 25/III, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. გიორგი მაჩაბელი [ტრაგიკული სიკვდილი], გაზ. „საქართველო“, № 69, 29/III, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. კათაკმეველნი [გაზეთ „კლდის“ კრიტიკა], გაზ. „საქართველო“, 1918, № 176, 24/IX, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. ირაკლი მეფე, გაზ. „საქართველო“, 1919, № 230, 24/X, გვ. 3;

შ. ამირეჯიბი. თ-დ ალექსანდრე ბიძინას-ძე ერისთავის გარდაცვალებაზე, გაზ. „საქართველო, 1920, №59, 18/III, გვ. 3;

შ. ამირეჯიბი. წერილები თეთრი დარბაზიდან [პარლამენტის შესახებ], გაზ. „საქართველო, 1921, № 33, 12/III, გვ. 2;

შ. ამირეჯიბი. წერილები თეთრი დარბაზიდან [პარლამენტის შესახებ], წერილი მეორე, გაზ. „საქართველო, 1921, № 37, 17/III, გვ. 2.

2. შალვა ამირეჯიბის მიერ პრესაში ინიციალებით და ფსევდონიმებით გამოქვეყნებული ნაწერების ბიბლიოგრაფია:

2_a. ჟურნალებში:

ფარსმან-ფარუხი. [პოლიტიკურ-პუბლიცისტური სტატიები], საარჩევნო სტილი, ჟ. „კლდე“, 1912, № 6, გვ. 7–9;

ფარსმან-ფარუხი. დიდებული ადამიანი [აკაკიზე], ჟ. „კლდე“, 1912, № 8, გვ. 6–8;

ფარსმან-ფარუხი. ქართველ სომეხთა სოლიდარობა და სრულიად საქართველოს „დურაკები“, ჟ. „კლდე“, 1912, № 10, გვ. 9-11;

ფარსმან-ფარუხი. გაგრძელებანი კ.რ-გზისა [კახეთის რკინიგზის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1912, № 13, გვ. 6-7;

ფარსმან-ფარუხი. ქართული „ტიმირიაზევი“, ჟ. „კლდე“, 1912, № 14, გვ. 11-14;

ფარსმან-ფარუხი. ნახევარ-მუჭა დიპლომატები, ჟ. „კლდე“, 1913, № 5, გვ. 9-10;

ფარსმან-ფარუხი. კლუბის არჩევნები, ჟ. კლდე“, 1913, № 10; გვ. 15-16;

ფარსმან-ფარუხი. პოლიტიკა და კრიტიკა, ჟ. „კლდე“, 1913, № 12, გვ. 9-11;

ფარსმან-ფარუხი. მუნიციპალური პრესა, ჟ. „კლდე“, 1913, № 17, გვ. 10-11;

ფარსმან-ფარუხი. პატარა ციკლოპები, ჟ. „კლდე“, 1913, № 18, გვ. 13-14;

ფარსმან-ფარუხი. ჭირიანი ქათამი, ჟ. „კლდე“, 1913, № 20, გვ. 14;

ფარსმან-ფარუხი. მონტეკი და კაპულეტი, ჟ. „კლდე“, № 29, გვ. 7-8;

ფარსმან-ფარუხი. მუნიციპალური კრება, ჟ. „კლდე“, № 38, გვ. 7-8;

ფარსმან-ფარუხი. მეფე ლევონის ბარონები (სომხური ბალადა) [აკრიტიკებს ლ. მელიქ-სეთბეგის გამოკვლევას], ჟ. „კლდე“, № 40, გვ. 7;

ფარსმან-ფარუხი, ქართველთა შორის პორნოგრაფიის მომსპობი საზოგადოება, ჟ. „კლდე“, 1914, № 38, გვ. 8-10;

ფარსმან-ფარუხი, პროზა, თამარის ქვეყანა [თამარ მეფეზე], ჟ. „შინაური საქმეები“, 1914, № 5, გვ. 2-3.

შ. ა. ქუთაისი, ჟ. „კლდე“, 1914, № 3, გვ. 11-12;

შ. ა. პრესა, ჟ. კლდე“, 1914, №6, გვ. 5;

შალვა. იდეები I [გრძელი ლექსი, თავებად დაყოფილი რიცხვებით], ჟ. „ნიშადური“, 1908, № 52, გვ. 2-3;

შალვა. იდეები II, გაგრძელება, ჟ. „ნიშადური“, 1908, № 53, გვ. 2;

2_b. გაზეთებში:

ფარსმან-ფარუხი. [პოლიტიკურ-პუბლიცისტური წერილები], „უკიდურესის წერილებიდან“, გაზ. „იმერეთი“, 1914, № 25, 6/IV, გვ. 2;

ფარსმან-ფარუხი. მოვიდა!? გაზ. „იმერეთი“, 1914, № 27, 11/IV, გვ. 2;

ფარსმან-ფარუხი. [სატირულ იუმორისტული პროზა], ღალატი, გაზ. „იმერეთი“, 1914, № 29, 14/IV, გვ. 3;

ფარსმან-ფარუხი. [მინიატურა] უნდა მოვიდნენ [აჭარაზე], გაზ. „სამშობლო“, 1915, № 110, 21/VI, გვ. 3;

შ. ა. ლექსი – მასკარადი, გაზ. „საქართველო“, 1919, №5, 7/I, გვ. 2;

შ. ა. [რეცენზია] თეატრი და ხელოვნება, „ცხვრის წყარო“, პიესა ლოპე დე ვეგასი. დადგმა კ. მარჯანიშვილის, გაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 356, 29/XI, გვ. 3.

შ. ა. ქართული დრამისათვის, გაზ. „ბახტრიონი“, 1922, № 18, 6/XI, გვ. 2;

შენიშვნა: ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდებში დაცულია შ.ამირეჯიბის ერთი ხელნაწერი ლექსი „სტანსები სონასთან“, I-3031.

რევაზ გაბაშვილი

მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე რევაზ ალექსანდრეს ძე გაბაშვილი დაიბადა 1892 წლის 6 ნოემბერს თბილისში. 1902 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად ბელგიაში გაემგზავრა. შევიდა ქ. ლიეჟის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც სამი წელიწადი დაჰყო. იმ დროს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი, რასაც რევოლუცია მოჰყვა. 1905 წელს მიატოვა ლიეჟის ინსტიტუტი, დაბრუნდა თბილისში და ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. რეაქცია ძლიერდებოდა და რ. გაბაშვილი დაჭერას რომ გადარჩენოდა, საზღვარგარეთ, პარიზში გაიხიზნა.

1907 წელს სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1911 წელს დაბრუნდა სამშობლოში და ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

1912 წელს რ. გაბაშვილმა დააარსა ყოველკვირეული საზოგადო ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი „კლდე“, ქართველი ნაციონალისტების ორგანო, რომელიც 1912-1915 წლებში გამოდიოდა. ის იყო ამ ჟურნალის წამყვანი მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რედაქტორი, კორექტორი. შესანიშნავად ფლობდა ათ ენას, წერდა მრავალ სხვადასხვა საკითხზე. გაოცებას იწვევს მისი ცოდნა და ერუდიცია.

რევაზ გაბაშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან. 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა და პარიზში დასახლდა. იგი საზღვარგარეთაც აგრძელებდა პოლიტიკური შინაარსის სტატიების წერას, მუშაობდა აგრეთვე ისტორია-არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. დაიბეჭდა მისი შრომები: „სერვანტესი და რუსთაველი“, ილია ჭავჭავაძის ეკონომიური მოღვაწეობა; მოგონებათა წიგნი „რაც მახსოვს“; გამოქვეყნდა ისტორიული ხასიათის წერილები: „კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“, „ამბავი სამოთხისა“, „მცირე შენიშვნა“, „ურარტუ“, „ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“ და ა. შ. გამოუქვეყნებელი დარჩა ხელნაწერი შრომები საქართველოს ისტორიასა და არქეოლოგიაზე.

რევაზ გაბაშვილი გარდაიცვალა 1969 წელს პარიზში, 87 წლის ასაკში.

ქვემოთ ქრონოლოგიურად წარმოდგენილია ემიგრაციამდელ პერიოდში რევაზ გაბაშვილის მიერ საკუთარი სახელ-გვარით, ფსევდონიმებითა თუ ინიციალებით პრესაში გამოქვეყნებული პოლიტიკური, პუბლიცისტური, პოლემიკური, ეკონომიური, ისტორიული, იუმორისტული შინაარსის წერილების, მწერლებზე, კომპოზიტორებზე, ხელოვნებაზე, თეატრზე და ა. შ. სტატიების ბიბლიოგრაფია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული მასალის მიხედვით:

1. ჟურნალებში:

რაე. თეატრი და ხელოვნება [რეც. ფილარმონიული საზოგადოების მიერ გამართული კონცერტის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 19, გვ. 15-16;

რაე. ილია ჭავჭავაძის დღე [ქართ. თეატრში გამართული ი. ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოს შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 20, გვ. 12-14;

რაე. ქართული თეატრი [რეცენზია ქართ. თეატრში ვ. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი ვ. შალიკაშვილის „უპრეტენზიო კომედია“ და ოპერეტა „მეჯლისი იტალიელე-

ბით“, მუსიკა ოფენბახისა, თარგ. ვ. აბაშიძისა], ჟ. „კლდე“, 1913, № 36, გვ. 14-15;

რაე. ქ-ნ ჩიტო შარაშიძის ლექციაზედ [ლექციის მიმოხილვა], ჟ. „კლდე“, 1914, № 10; გვ. 14;

რაე. ნარევი „სახალხო გაზეთში“ ჩვენ-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებული „წკიპურტების“ კრიტიკა, ჟ. „კლდე“, 1914, № 16, გვ. 15;

რაე. ქართული თეატრი 1913 წელს, ჟ. „კლდე“, 1914, № 1, გვ. 18-19;

რაე. წერილ.ი სარქისიადა [სარგის კაკაბაძეზე], ჟ. „კლდე“, 1915, № 15, გვ. 13;

რაე. წერილი. იოქსიმოვიჩის ლექციაზედ [ლექცია პირველ მსოფლიო ომზე და ომის შედეგებზე], ჟ. „კლდე“, 1914, № 36, გვ. 15;

რაე. ქართულ კულტურის მოყვარულ კრებაზედ (პ. ინგოროყვას რეფერატი). [შ. რუსთაველის შესახებ], ჟ. კლდე“, 1913, № 16, გვ. 16;

რაე. დიმიტრი არაყიშვილის კონცერტი, ჟ. „კლდე“, 1913, № 25, გვ. 16;

რაე. ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეი, ჟ. „კლდე“, 1913, № 8, გვ. 2-4;

რაე. [რეცენზია], მეფე ედიპე ქართულ თეატრში, ჟ. „კლდე“, 1913, № 15, გვ. 15-16;

რაე. რეცენზია ქუთაისის თეატრში ქართული დასის მიერ წარმოდგენილ ვ. შალიკაშვილის პიესაზე „გადაჭრილი მუხა“, ჟ. „კლდე“, 1914, № 32, გვ. 14-15;

რ. გ. თეატრი და ხელოვნება [თეატრალური რეპერტუარის მიმოხილვა], ჟ. „კლდე“, 1912, № 1, გვ. 15;

რ. გ. ქართული თეატრი [ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი ტრაგედია „ანტიგონეს“ რეცენზია], ჟ. კლდე, 1912, № 5, გვ. 13-15;

რ. გ. ბალკანეთის ომი [ომის მიმოხილვა], ჟ. „კლდე“, 1912, № 7, გვ. 3-4;

რ. გ. სიღნაღი-ბაქოს რკინიგზა [რკინიგზის მნიშვნელობა. პრობლემები], ჟ. „კლდე“, 1912, № 8, გვ. 1-4;

რ. გ. ბალკანეთის გარშემო [ოსმალეთის იმპერიის დამარცხება და ევროპის ქვეყნები], ჟ. „კლდე“, 1912, № 9. გვ. 7-9;

რ. გ. ისევ კახეთის რკინის გზა, ჟ. „კლდე“, 1912, №11, გვ. 4-6;

რ. გ. ქართული თეატრი [ქართულ თეატრში ა. სუმბათაშვილის დრამის „ღალატის“ რეცენზია], ჟ. „კლდე“, 1912, № 11, გვ. 14;

რ. გ. კახეთის რკინის გზა და თვით „მიუდგომელი“ ბატონი გ. გვაზავა, ჟ. „კლდე“, 1912, № 12, გვ. 2-6;

რ. გ. ქალთა საკითხი [ქალების მდგომარეობა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში], ჟ. „კლდე“, 1913, № 1, გვ. 11-13; № 2, გვ. 7-10;

რ. გ. თავ. პ. ი. თუმანიშვილის „განმარტებანი“ [კახეთის რკინისგზის შესახებ პ.თუმანიშვილის გამოთქმული სიტყვის წინააღმდეგ], ჟ. „კლდე“, 1913, № 4, გვ. 7-10; № 5, გვ. 5-9;

რ. გ. ჩვენი ეკონომიკა, I [თანამედროვე საქართველოს განვითარების შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 6, გვ. 4-5;

რ. გ. ჰომრული [ირლანდიელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის], ჟ. „კლდე“, 1913, № 7, გვ. 12-14; № 8, გვ. 9-12; № 9, გვ. 12-14;

რ. გ. ს. კაკაბაძის სახსოვარი [შ.რუსთაველის შესახებ ს. კაკაბაძის მოხსენების კრიტიკა], ჟ. „კლდე“, 1913, № 13, გვ. 15-16;

რ. გ. ისევ კახეთის რკინისგზა, ჟ. „კლდე“, 1913, № 14, გვ. 10-13;

რ. გ. ბალკანეთის ომი და მეზობელი სახელმწიფონი [ევროპის ქვეყნების განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან], ჟ. „კლდე“, 1913, № 15, გვ. 13-15;

რ. გ. დაავადებული დემოკრატიზმი [არჩ. ჯავჯანაშვილის ხიზნების შესახებ დაწერილი წერილის კრიტიკა], ჟ. „კლდე“, 1913, № 18, გვ. 8-13;

რ. გ. ქართლ–კახეთის თავადაზნაურობის საქმენი [დეპუტატთა საკრებულოს მუშაობის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 19, გვ. 11-13; № 20, გვ. 14-16;

რ. გ. თავად-აზნაურობის საგანგებო კრება [თავად-აზნაურობის წვლილ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში], ჟ. „კლდე“, 1913, №21, გვ. 13-15, № 22, გვ. 2-4;

რ. გ. საადგილ-მამულო კომისია და მისი მომავალი მუშაობა, ჟ. „კლდე“, 1913, № 24, გვ. 15-16;

რ. გ. დიდებულ ადამიანთა ხსოვნა [დ. ყიფიანისეული მამულის ბედის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 26, გვ. 7-9;

რ. გ. დიდი საქმე [თავად-აზნაურთა მიერ კახეთის რკინიგზის მეურვეობა], ჟ, „კლდე“, 1913, № 27, გვ. 2-4;

რ. გ. მორიგი საკითხი [საადგილ-მამულო კომისიის მუშაობის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 28, გვ. 1-3;

რ. გ. ილია ჭავჭავაძე და ფილიპე მახარაძე [პოლემიკური წერილი ფ. მახარაძის წინააღმდეგ], ჟ. „კლდე“, 1913, № 29, გვ. 3-4;

რ. გ. მუღანის ველი და ჩვენი სარწყავი წყლები [წყლის გაყვანა მდინარეებიდან არხებით უდაბნოს მოსარწყავად], ჟ. „კლდე“, 1913, № 30, გვ. 6-7;

რ. გ. ჩვენი სკოლის ბედ-იღბალი [თანამედროვე ვითარების შესაბამისად ახალი ტიპის სკოლების დაარსების შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 31, გვ. 13-14;

რ. გ. პასუხი თ. ღლონტს [პოლემიკა თ. ღლონტთან ხიზნობის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 32, გვ. 14-16;

რ. გ. ორი ილია [ილია ჭავჭავაძის და ილია წინამძღვრიშვილის მოღვაწეობაზე], ჟ. „კლდე“, 1913, №33, გვ. 5-7; № 34, გვ. 9-10;

რ. გ. რა გვმართებს [ტერიტორიალური საკითხის გარშემო], ჟ. „კლდე“, 1913, № 39, გვ. 2-3; № 40, გვ. 2-4; 1914, № 2, გვ. 6-8;

რ. გ. კომერციული სასწავლებელი [საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელი „ვაჭართა საზოგადოების“ სურვილი ქუთაისში კომერციული სასწავლებლის დაარსებისა], ჟ. „კლდე“, 1914, № 3, გვ. 5;

რ. გ. პროგრამის შესახებ [სოც. ფედერალისტების ეროვნული პროგრამის კრიტიკა], ჟ. „კლდე“, 1914, № 5, გვ. 5-6;

რ. გ. ისევ ტერიტორიაზედ [ტერიტორიალური საკითხის გარშემო], ჟ. „კლდე“, 1914, № 12, გვ. 3-7;

რ. გ. პასუხი „სახალხო გაზეთს“ [ფედერალისტების კრიტიკა ტერიტორიული საკითხის ირგვლივ], ჟ. „კლდე“, 1914, № 13, გვ. 11;

რ. გ. მცირე შენიშვნა [პრესის როლი ერის გამთლიანების საქმეში], ჟ. „კლდე“, 1914, № 18, გვ. 10-11;

რ. გ. „სახალხო გაზეთი“ და ჩვენი დაწესებულებანი [„სახალხო გაზეთის“ საქმიანობის კრიტიკა], ჟ. „კლდე“, 1914, № 22, გვ. 4-6, № 23, გვ. 10-11;

რ. გ. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის კრებაზედ [კახეთის რკინიგზის საკითხები, დეპუტატთა საკრებულოს ღვაწლი, „საადგილ-მამულო“ კომისიის პროექტი და მისი მნიშვნელობა; სათავად-აზნაურო სკოლის მდგომარეობა და ა.შ.], ჟ. „კლდე“, 1914, № 24, გვ. 2-5;

რ. გ. მეცნიერების ტაძარის კართან [ქართული საისტორიო და საეთნოგრ. მუზეუმის დიდი ეროვნული მნიშვნელობა], ჟ. „კლდე“, 1914, № 24, გვ. 2-5;

რ. გ. პასუხი გაზეთ „იმერეთს“ [ეროვნულ-კულტ. საქმიანობაში ჩაბმა პოლიტიკური ნიშნის გარეშე], ჟ. „კლდე“, 1914, № 26, გვ. 3-4;

რ. გ. კახეთის რკინისგზა, ჟ. „კლდე“, 1914, № 28, გვ. 13-14;

რ. გ. ეკონომიური კრიზისი ჩვენში [ღვინით ვაჭრობის განვითარება და ღვინის ბაზრის გახსნა], ჟ. „კლდე“, 1914, № 30, გვ. 2-4;

რ. გ. ქართლი [კოოპერატიული მაღაზია „ქართლის“ გახსნის გამო], ჟ. „კლდე“, 1914, № 32, გვ. 3-4;

რ. გ. ბ-ნ ნ. დუბროვსკის [კამათი „Кавк. Слово“-ში გამოქვეყნებული ნ. დუბროვსკის წერილის გამო], ჟ. „კლდე“, 1914, № 32, გვ. 12-13;

რ. გ. წერილი. ქ.შ.წ-კ.გ.ს. [საზოგადოების წევრთა კრების შესახებ], ჟ. „კლდე“, 1914, № 33, გვ. 10-11;

რ. გ. წერილი. საერობო საქმე. ჟ. „კლდე“, 1914, № 35, გვ. 1-2;

რ. გ. წერილი. გადასახადები [გადასახადები სხვადასხვა ქვეყნებში], ჟ. „კლდე“, 1914, № 37, გვ. 2-4;

რ.გ. წერილი. მოუსავლობა [მოუსავლობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში], ჟ. „კლდე“, 1914, №38, გვ. 3-5;

რ. გ. წერილი. საერობო საქმე და დეპუტატთა საკრებულო, ჟ. „კლდე“, 1914, № 40, გვ. 3-4;

რ. გ. წერილი. ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიკა, ჟ. „კლდე“, 1915, № 1, გვ. 1-3;

რ. გ. წერილი. მელიორაცია [ამიერკავკასიაში სამელიორაციო საქმის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1915, № 2, გვ. 5-6;

რ. გ. წერილი. გამოქცეულები [გამოქცეულთა ბუნების შესახებ], ჟ. „კლდე“, 1915, № 3, გვ. 11-12;

რ. გ. წერილი. სევასტოპოლის დეპეშის გამო [პირველ მსოფლიო ომში ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1915, № 10, გვ. 12-13;

რ. გ. წერილი. „ქართლი“ და „კახეთი“ [კახეთის მევენახეთა საზ-ბა „კახეთის“ და ამხანაგობა „ქართლის“ საქმიანობის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1915, № 11, გვ. 4-6; № 12, გვ. 4-6;

რ. გ. წერილი. „ომი და რუსეთის საეკლესიო საკითხი“ [ომი და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ბედი], ჟ. „კლდე“, 1915, № 14, გვ. 4-6;

რ. გ. წერილი. მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“ [საზ-ბა „მეურნეს“ დაარსება და მისი მნიშვნელობა მოსახლეობისათვის], ჟ. „კლდე“, 1915, № 15, გვ. 4-5;

რ. გაბაშვილი. ღია ბარათი გრიგოლ დიასამიძეს [გრ. დიასამიძის ცილისმწამებლობის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1913, № 2, გვ. 16;

რ. გაბაშვილი. ვინმე კალმოსანს [პოლემიკა გაზ. „თემში“ „ვინმე კალმოსანის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილის გამო], ჟ. „კლდე“, 1913, № 39, გვ. 9;

რ. გაბაშვილი. ბატონი გრიგოლ დიასამიძე [პოლემიკა გრ. დიასამიძესთან], ჟ. „კლდე“, 1913, № 40, გვ. 12-15;

რ. გაბაშვილი. გიორგი სააკაძე და მისი დრო [ამ სათაურით გამოქვეყნებული მ. ჯანაშვილის წიგნის კრიტიკა], ჟ. „კლდე“, 1914, № 24, გვ. 12-15;

ღამურა. ლექსი. საახალწლო მილოცვები, ალმ. „ჭინკა“, 1910, № 1, გვ. 2-4;

ღამურა. ლექსი-პროზა საახალწლო სიზმარი, ალმ. „ჭინკა“, 1910, № 1, გვ. 4-7;

ღამურა. ლექსი. ქუთაისის ქალაქის მამები, ალმ. „ჭინკა“, 1910, № 2, გვ. 1-2;

ღამურა. ლექსი. მინდა ჩავბერო ქამანჩას, ალმ. „ჭინკა“, 1910, № 3, გვ. 9-10.

ღამურა. [პუბლიცისტური მოთხრობები] ფინაჩი „ჩიტი-ბოლო“, ჟ. „კლდე“, 1912, № 1, გვ. 5-8;

ღამურა. თანამედროვე ანექდოტები [ზოგიერთი პიროვნების დაუმსახურებული ქების შესახებ], ჟ. „კლდე“, 1912, № 13, გვ. 5-6;

2. გაზეთებში:

რაე. პუბლიცისტური წერილი. პატარა ფელეტონი. აქა ამბავი დარბაზისა, რომელსაც შიგან ჩაქჩაქებს ცხენი, გაზ. „კლდე“, 1918, № 5, 13/X, გვ. 3;

რაე. წერილი. მონოპოლია მატყლზე, გაზ. „კლდე“, 1920, № 5, 1/II, გვ. 1-2;

რაე. ჩვენ რკინიგზის გზებზედ, გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 24, 5/II, გვ. 1-2;

რაე. მინიატურები. სოციალ-დემოკრატიული ქეიფი. გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 51, 9/VI, გვ. 2-3;

რაე. წერილი. უძრავ ქონების ჩამორთმევის კანონი. გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 57, 21/VII, გვ. 1-2;

რაე. მუნიციპალური მზრუნველობა სიძვირეზედ. გაზ. „საქართველო“,1916, № 10, 14/I, გვ. 3;

რაე. ძველი ამბავი ახალ ფორმებში [თანამედროვე პოლიტიკური ვითარება და ეროვნული საკითხი], გაზ. „საქართველო“, 1917, № 62, 18/III, გვ. 2;

რაე. გონს მოდით! [ბოლშევიზმის წინააღმდეგ], გაზ. „საქართველო“, 1918, № 72, 4/IV, გვ. 1-2;

რაე. სადღეისო [სოციალ-დემოკრატების მმართველობის კრიტიკა], გაზ. „საქართველო“, 1918, № 82, 15/IV, გვ. 1-2;

რაე. თეატრი და ხელოვნება. სულხანიშვილის კონცერტი, გაზ. „საქართველო“, 1918, № 116, 13/VI, გვ. 3;

რაე. სოციალ-დემოკრატიის თვალთმაქცობა, გაზ. „საქართველო“, 1918, № 121, 20/VI, გვ. 2;

რაე. ჩვენ თუ თქვენ! [სოც. დემოკრ. წინააღმდეგ], გაზ. „საქართველო“, 1918, № 130, 5/VII, გვ. 1-2;

რ. გაბაშვილი. პასუხად რკინიგზის უფროსს ინჟ. ა.კანდელაკს. გაზ. „კლდე“, 1918, № 2, 22/IX, გვ. 4;

რ. გაბაშვილი. თბილისის გაქართულება, გაზ. „კლდე“, 1918, №5, 13/X, გვ. 1;

რ. გაბაშვილი. წერილი. ირაკლი წერეთლის „ფინანსური მოსაზრებანი“, გაზ. „კლდე“, 1918, № 6, 20/X, გვ. 1;

რ. გაბაშვილი. წერილი. სომეხ-ქართველთა ბრძოლა [პარლამენტის სარკეში]. გაზ. „კლდე“, 1918, № 10, 17/XI, გვ. 1;

რ. გაბაშვილი. წერილი. რა არის საჭირო ომისათვის, გაზ. „კლდე“, 1918, № 23, 21/XII, გვ. 1;

რ. გაბაშვილი. წერილი. ჩვენი აზრი ომზე, გაზ. „კლდე“, 1918, № 27, 26/XII, გვ. 1-2;

რ. გაბაშვილი. წერილი. თფილისი, იანვარის 3 სამარცხვინო ზავი, გაზ. „კლდე“, 1919, № 2, 3/I, გვ. 1-2;

რ. გაბაშვილი. ტეხნიკური „სიტყვარის“ გამო [რეცენზია], გაზ. „კლდე“, 1920, № 5, 1/II, გვ. 2;

რ. გაბაშვილი. რუსეთთან ხელშეკრულობა [რუსეთის და საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტიების წინააღმდეგ], გაზ. „კლდე“, 1920, № 24, 13/VI, გვ. 1;

რ. გაბაშვილი. პოლიტ. წერილი. ჟერონტინას ზნეობა, გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 8, 17/I, გვ. 2-3;

რ. გაბაშვილი. გაზ. „კლდე“ და „საქართველო“, გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 16, 26/I, გვ. 1-2;

რ. გაბაშვილი. თბილისი, თებერვლის 5. ახალი ომი და არჩევნები, გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 24, 5/II, გვ. 1;

რ. გაბაშვილი. ღია წერილი სამს ნოეს (ბ-ნ ჟორდანიას, რამიშვილს და ხომერიკს), გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 38, 10/III, გვ. 2;

რ. გაბაშვილი. წერილი. ეროვნულ-დემოკრატების კონფერენციისათვის. გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 57, 21/VII, გვ. 2-№;

რ. გაბაშვილი. საზ. „კახეთში“ მომხდარ გაფიცვის გამო. გაზ. „საქართველო“, 1917, № 8, 11/I, გვ. 3-4; № 9, 12/I, გვ. 3-4;

რ. გაბაშვილი. სიყალბე თუ სიმართლე (პასუხად „კახეთის“ საზ-ბის მუშა-მოსამსახურეთა კომისიას), გაზ. „საქართველო“, 1917, № 27, 4/II, გვ. 3-4;

რ. გაბაშვილი. მცირე განმარტება [საზ-ბა „კახეთის“ საქმიანობაში მისი ღვაწლის, დამსახურების წინააღმდეგ დაწერილი წერილის გამო], გაზ. „საქართველო“, 1917, № 84, 20/IV, გვ. 4;

რ. გაბაშვილი. მევენახეობის კრიზისი, გაზ. „საქართველო“, 1917, № 87, 23/IV, გვ. 3-4;

რ. გაბაშვილი. მიწის სოციალიზაცია და „რეალური მოსახლეობა“, გაზ. „საქართველო“, 1917, № 110, 25/V, გვ. 1-2;

რ. გაბაშვილი. „სახალხო საქმე“ (პრესის მაგიერ), გაზ. „საქართველო“, 1917, № 155, 18/VII, გვ. 1-2;

რ. გაბაშვილი. ვინ დამარცხდა [პარტიების დაპირისპირებაზე], გაზ. „საქართველო“, 1918, № 119, 18/VI, გვ. 1;

რ. გაბაშვილი. ღია წერილი სამსონ დადიანს [სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის მიერ მაროდიორობა ტრაპიზონში და ამ პარტიის ლიდერი სამსონ დადიანი], გაზ. „საქართველო“, 1918, № 130, 5/VII, გვ. 3;

რ. გაბაშვილი. უცნაური მოვლენა [საომარი მდგომარეობის ვითარება], გაზ. „საქართველო“, 1921, № 39, 19/III, გვ. 2;

რ. გაბაშვილი. რუსულ-სომხურ ბოლშევიკურ ომზე [ტაბახმელა-კოჯრის ფრონტზე], გაზ. „საქართველო“, 1921, № 41, 22/II, გვ. 1;

რ. გ. ეროვნული სიმდიდრე [გაზ. „სახ. ფურცელში“ „ეროვნული სიმდიდრის“ შესახებ გამოქვეყნებული წერილის კრიტიკა], გაზ. „საქართველო“, 1915, № 106, 1/X, გვ. 3;

რ. გ. შენიშვნები კოოპერაციაზედ, გაზ. „საქართველო“, 1916, № 1, 1/I, გვ. 3;

რ. გ. პასუხად „დათმობისტებს“ [ეროვნული საკითხის შესახებ გაზ. „სახ. ფურცელში“ № 472 გამოქვეყნებული ნ. თავდგირიძის წერილის კრიტიკა], გაზ. „საქართველო“, 1916, № 5, 8/I, გვ. 2-3;

რ. გ. სომხეთის დრამა და დაშნაკცუტიუნის მოლაპარაკება ახალგაზრდა ოსმალებთან, გაზ. „საქართველო“, 1916, №14, 19/I, გვ. 3; №15, 20/I, გვ. 2; № 19, 26/I, გვ. 3-4;

რ. გ. ჩვენ და რუსები [ომი ბოლშევიკებთან], გაზ. „საქართველო“, 1921, № 43, 24/II, გვ. 1;

რევაზ გაბაშვილის გაუხსნელი ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწერების ბიბლიოგრაფია:

ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1905-1907), ტ. VII.

ღამურა. № 2037, გვ. 104. დ. ლანჩხუთი (გურია) [რევოლუციური სულის განელება. ჯაშუშ-რეაქციონერთა ამოქმედება], გაზ. „ლამპარი“, 1906, 14 მაისი, № 24, გვ. 3;

ღამურა. №8865. გვ. 444. სიღნაღი [მიტინგი. თანასწორი და პირდაპირი კენჭის ყრით დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნა. თავისუფალი სასამართლოს დაწესება. ახალწვეულთა გაფიცვები. მამასახლისისა და ბოქაულის გადაყენება]. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, 16 ნოემბერი, № 2951, გვ. 3-4.

დავით ვაჩნაძე

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე დაიბადა 1884 წელს სოფელ დიდ ლილოში. სწავლობდა თბილისის კადეტთა კორპუსში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში. მსახურობდა სამხედრო მოსამსახურედ ვარშავაში, თბილისსა და დაღესტანში. შემდგომ შეიცვალა სამსახური და მუშაობდა თბილისის საადგილმამულო ბანკში. ჟურნალისტური საქმიანობა დაიწყო 1911 წლიდან. თავდაპირველად სოციალისტ-ფედერალისტებთან თანამშრომლობდა და 1911-1912 წლებში ამ პო-

ლიტიკური მიმართულების გაზეთ „სახალხო გაზეთში“ აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს.

1912 წლის სექტემბრიდან ჟურნალისტური მოღვაწეობა გააგრძელა მისივე მონაწილეობით დაარსებულ ქართველ ნაციონალისტების ორგანოში, ყოველკვირეულ საზოგადო ეკონომიურ და სალიტერატურო ჟურნალში „კლდე“, სადაც ათავსებდა პოლიტიკურ-პუბლიცისტური, სამეურნეო-ეკონომიური შინაარსის წერილებს.

ჟურნალ „კლდის“ დახურვის შემდეგ, 1915 წლიდან საქმიანობა განაგრძო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთ „საქართველოში“.

1918-1920 წლებში დავით ვაჩნაძის წერილები იბეჭდებოდა დამოუკიდებელი ნაციონალური პარტიის ორგანოებში – გაზეთებში „კლდე“ და „სალი კლდე“.

1921 წლის მოვლენების შემდეგ იგი ვერ შეეგუა ახალ რეალობას, ეთანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან და ბრძოლის გზას დაადგა. დაუკავშირდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს. 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა და დავით ვაჩნაძემ ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა. ცხოვრობდა თურქეთში, საფრანგეთში, სიცოცხლის ბოლო წლებში კი – ბავარიაში (გერმანია), სადაც გარდაიცვალა 1962 წელს.

1918 წელს თბილისში გამოიცა დ. ვაჩნაძის წიგნი „მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“. დ. ვაჩნაძე საზღვარგარეთაც აგრძელებდა პოლიტიკურ-შემოქმედებით საქმიანობას. მისი ნაშრომი „ილია ემიგრანტთა თვალით“ დაიბეჭდა თბილისში 1996 წელს. 1957 წელს მიუნხენში დასტამბული წიგნი „ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი“ (მოკლე მიმოხილვა) 2004 წელს თბილისშიც გამოიცა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართულ პრესაში საკუთარი გვარ-სახელით, ფსევდონიმებით, ინიციალებით თუ კრიპტონიმებით გამოქვეყნებული დავით ვაჩნაძის ემიგრაციამდელი პოლიტიკურ-პუბლიცისტური, სამეურნეო-ეკონომიური შინაარსის წერილების ბიბლიოგრაფია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით:

1. ჟურნალებში:

დ. ვაჩნაძე. კოოპერაცია და ეკონომიური ცხოვრება, ჟ. „კლდე“, 1912, № 3, გვ. 11;

დ. ვაჩნაძე. საფუძველი დანიის აგრარულ რეფორმისა (1769-1861), ჟ. „კლდე“, 1912, № 4, გვ. 10.

დ. ვაჩნაძე. საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი საქართველოში, ჟ. „კლდე“, 1912, № 9, გვ. 2-4;

დ. ვაჩნაძე. სოპინოს საკრედიტო ამხანაგობა, ჟ. „კლდე“, 1913, № 7, გვ. 8-10;

დ. ვაჩნაძე. სამელიორაციო კრება თბილისში, ჟ. „კლდე“, 1913, № 13, გვ. 3-5;

დ.ვაჩნაძე. სასოფლო ბანკები, ჟ. „კლდე“, 1913, № 20, გვ. 1-2;

დ. ვაჩნაძე. გლეხთა კავშირები, ჟ. „კლდე“, 1913, № 22, გვ. 1-2; № 23, გვ. 12-13, № 24, გვ. 12-13;

დ. ვაჩნაძე. სად უნდა მოეწყოს კახეთის სასოფლო ბანკების კავშირის მმართველობა, ჟ. „კლდე“, 1913, № 38, გვ. 10-11;

დ. ვაჩნაძე. გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ, ჟ. „კლდე“, 1914, № 11, გვ. 9-10;

დ. ვაჩნაძე. წყალი, წყალი... ჟ. „კლდე“, 1914, № 26, გვ. 6-7;

დ. ვ. ჟურნალი „შრომის კავშირი“, № 1, ჟ. „კლდე“, 1912, № 10, გვ. 11;

დ. ვ. სამეურნეო სწავლა-განათლება ბულგარეთში და სერბიაში, ჟ. „კლდე“, 1912, № 12, გვ. 13-14;

დ. ვ. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში, ჟ. „კლდე“, 1913, № 23, გვ. 13-14;

დ. ვ. კოოპერატიული მოძრაობა. სასოფლო ბანკების კავშირები, ჟ. „კლდე“, 1913, № 31, გვ. 15-16;

დ. ვ. მიწის გარშემო, ჟ. „კლდე“, 1914, № 14, გვ. 10-11;

დ. ვ.-ძე, გლეხ მერძევეთა ამხანაგობა „ლილო“, ჟ. „კლდე“, 1913, № 1, გვ. 10-11;

დ. ვ.-ძე. საშინელი ბოროტებანი, ჟ. „კლდე“, 1913, № 32, გვ. 5-6;

დავით კახელი. ახალი მოძრაობა, ჟ. „კლდე“, 1913, №30, გვ. 4-6;

დავით კახელი. შავი ჯვარი, ჟ. „კლდე“, 1912, № 2, გვ. 3;

დავით კახელი. მწვავე საკითხი, ჟ. „კლდე“, 1913, №4, გვ. 11-18; № 5, გვ. 1-3; № 7, გვ. 3-5;

დავით კახელი. ვისი ბრალია, ჟ. „კლდე“, 1913, № 6, გვ. 6-7;

დავით კახელი. უკუღმართობა, ჟ. „კლდე“, 1913, № 8, გვ. 12-14;

დავით კახელი. სად უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი, ჟ. „კლდე“, 1913, № 9, გვ. 3-4;

დავით კახელი. ქართული მეურნეობა და ბაზარი, ჟ. „კლდე“, 1913, № 15, გვ. 5-7;

დავით კახელი. არჩილ ჯორჯაძე და ხიზნობა, ჟ. „კლდე“, 1913, № 17, გვ. 5-7;

დავით კახელი. 1875 წელი, ჟ. „კლდე“, 1913, № 27, გვ. 8-9;

დავით კახელი. კარგი ახალგაზრდის ხსოვნას, ჟ. „კლდე“, 1913, № 34, გვ. 5;

ეკალი. იყო და არა იყო რა!.. ჟ. „კლდე“, 1912, № 1, გვ. 4;

ეკალი. ვიცინი და ვმღერი, ჟ. „კლდე“, 1912, № 3, გვ. 3;

ეკალი. ივანე ჯაბადარი. ჟ. „კლდე“, 1912, № 7, გვ. 11-12;

ეკალი. სიცრუის მორევში, ჟ. „კლდე“, 1912, № 11, გვ. 6-8;

ეკალი. სიყვარული, ჟ. „კლდე“, 1912, № 15, გვ. 7-8;

ეკალი. ნაპერწკლები, ჟ. „კლდე“, 1913, № 3, გვ. 8-9;

ეკალი. შორს საზოგადო საქმეებისაგან, ჟ. „კლდე“, 1913, № 6, გვ. 12-19;

ეკალი. ზომიერება, ჟ. „კლდე“, 1913, № 10, გვ. 12-13;

ეკალი. აბა დელი დელია, ანუ ახალი ამბები, ჟ. „კლდე“, 1913, № 17, გვ. 13-14;

ეკალი. ყვავილები, ჟ. „კლდე“, 1913, № 25, გვ. 4-5;

ეკალი. გულუბრყვილო გენერალი, ჟ. „კლდე“, 1913, № 26, გვ. 10;

ეკალი. ტრაღიკული ბედი, ჟ. „კლდე“, 1913, № 28, გვ. 6-7;

ეკალი. საზარელი დღეები, ჟ. „კლდე“, 1913, № 30, გვ. 11-12;

ეკალი. ყვარლის კოშკი; ჟ. „კლდე“, 1913, № 33, გვ. 3-4;

ეკალი. ორი ისტორიული სკოლა, ჟ. „კლდე“, 1913, № 32, გვ. 5;

ეკალი. ცინიზმი, ჟ. „კლდე“, 1913, № 35, გვ. 4-5;

ეკალი. ისინი და ჩვენ, ჟ. „კლდე“, 1913, № 36, გვ. 4-5;

ეკალი. რეაქცია, ჟ. „კლდე“, 1913, № 38, გვ. 5-6;

ეკალი. ფინანსიური მოსაზრება, ჟ. „კლდე“, 1913, № 40, გვ. 4-5;

ეკალი. რისთვის მიულოცო, ჟ. „კლდე“, 1914, № 1, გვ. 11-12;

ეკალი. წიხლები, ჟ. „კლდე“, 1914, № 4, გვ. 5;

ეკალი. სოდომი, ჟ. „კლდე“, 1914, № 6, გვ. 4;

ეკალი. პრესა. ორი საყურადღებო წერილი, ჟ. „კლდე“, 1914, № 7, გვ. 12-13;

ეკალი. ამაო შრომა და ოფლი (ბიბლიოგრაფიის მაგიერ), ჟ. „კლდე“, 1914, № 12, გვ. 12;

ეკალი. საჭირო ორგანიზაცია, ჟ. „კლდე“, 1914, № 12, გვ. 11-12, № 13, გვ. 4-6, № 15, გვ. 3-8;

ეკალი. ძვირფასი სამარე [არჩ. ჯორჯაძის გარდაცვალების გამო], ჟ. „კლდე“, 1914, № 13, გვ. 13-14;

ეკალი. ქრისტე აღსდგა! ლეგენდა, ჟ. „კლდე“, 1914, № 14, გვ. 4-6;

ეკალი. ქვა და კონდახი, ჟ. „კლდე“, 1914, №18, გვ. 14;

ეკალი. უცნაური იუბილე, ჟ. „კლდე“, 1914, № 19, გვ. 3-4;

ეკალი. მე არ მიკვირს, ჟ. „კლდე“, 1914, № 20, გვ. 12;

ეკალი. განიერი ნაბიჯი, ჟ. „კლდე“, 1914, № 21, გვ. 12-13;

ეკალი. რას ამბობენ ციფრები, ჟ. „კლდე“, 1914, № 26, გვ. 8-9;

ეკალი. საათმა დაჰკრა, ჟ. „კლდე“, 1914, № 27, გვ. 11;

ეკალი. მიხურული კარები, ჟ. „კლდე“, 1914, №28, გვ. 2-6;

ეკალი. მილიონები [ომში დაჭრილების დასახმარებლად მეფის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის შესახებ], ჟ. „კლდე“, 1914, № 35, გვ. 10-11;

ეკალი. რუსეთის პრესა და ქართველობა, ჟ. „კლდე“, 1914, № 36, გვ. 12-13;

ეკალი. აჭარის კლდეებიდან „კლდეს“, ჟ. „კლდე“, 1915, № 16, გვ. 2-4.

2. გაზეთებში:

დ. ვაჩნაძე. ბრძოლა მიწისათვის ქართლ-კახეთში, გაზ. „კლდე“, 1918, № 10, 17/XI, გვ. 1;

დ. ვაჩნაძე. სოციალ-დემოკრატიული სამხედრო დუალიზმი, გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 51, 9/VI, გვ. 1-2;

დ. ვაჩნაძე. საქართველო განსაცდელშია, გაზ. „საქართველო“, 1917, № 283, 30/XII, გვ. 1-2;

დ. ვაჩნაძე. რატომ არა გვყავს ჯარი. გაზ. „კლდე“, 1918, № 2, 22/IX, გვ. 2;

დ. ვაჩნაძე. ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებანი კახეთში [საქონლის გატაცება საბჭოთა აზერბაიჯანისკენ], გაზ. „საქართველო“, 1921, № 33, 12/II, გვ. 1-2;

დ. ვ. განჯის დაღუპვა და საქართველო [ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ], გაზ. „კლდე“, 1920, № 24, 13/VI, გვ. 1;

დავით კახელი. ინტერვიუ პ. ნ. მილიუკოვთან, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912, № 568, 7/IV, გვ. 2.

დ. კახელი. ძვირფას კახეთს, გაზ. „საქართველო“, 1915, № 108, 4/X, გვ. 3;

დ. კახელი. „ახალი პოზიცია“ დაშნაკცავანებისა, გაზ. „საქართველო“, 1915, № 155, 29/XI, გვ. 3-4;

დ. კახელი. გილოცავთ! [ახალი წელი], გაზ. „საქართველო“, 1916, № 1, 1/I, გვ. 2;

დ. კახელი [პოლემიკა „ზვირთის“ ჟურნ. ს.დადიანთან. „კლდის“ ყოფილ თანამშრომელთან], გაზ. „საქართველო“, 1916, № 36, 16/II, გვ. 3;

დ. კახელი. წერილი. შედარებითი ცხრილი [სტატისტიკური ცნობა საქართველოს ტერიტორიების შესახებ], გაზ. „საქართველო“, 1917, № 1, 1/I, გვ. 2;

დ. კახელი. ორ ნახევარი მილიონი უქმად! [თბილ. გუბერნ. სოფლებში სასოფლო-სამეურნეო თანხების შესახებ], გაზ. „საქართველო“, 1917, № 10, 13/I, გვ. 2-3;

დ. კახელი. პროკრუსტის რეფორმა (მიწის მიმღებ კომისიების მოღვაწეობიდან), გაზ. „კლდე“, 1918, № 7, 27/X, გვ. 1-2;

დ. კახელი. დამარცხებული და გამარჯვებული პარტია, გაზ. „სალი კლდე“, 1919, № 38, 10/III, გვ. 2;

ეკალი. რეც. კავკასიური საღამო [საკუთარი კორესპონდენტისაგან], გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, № 210, 19/I, გვ. 3.

ეკალი. ჩვენი წვრილმანები, გაზ. „საქართველო“, 1915, № 104, 25/IX, გვ. 3-4;

ეკალი. პროვინციის ქრონიკა. ს. ახაშენი (სიღნაღის მაზრა), გაზ. „საქართველო“, 1915, № 108, 4/X, გვ. 3;

ეკალი. აუტანელი უბედურება [არაგვისპირის სოფლების გაჭირვებაზე], გაზ. „საქართველო“, 1915, №153, 27/XI, გვ. 3;

ეკალი. დრამატული წარმოდგენა, გაზ. „საქართველო“, 1916, № 12, 17/I, გვ. 2-3;

ეკალი. წერილი. „აღსდექით“! [ლაზების სოფელზე], გაზ. „საქართველო“, 1916, № 80, 10/IV, გვ. 2;

ეკალი. პატარა ფელეტონი. პროზა. „ერთობა“, გაზ. „საქართველო“, 1917, № 83, 18/IV, გვ. 3;

ეკალი. [მინიატურა]. საქართველოს ისტორია (სურათის ახსნა), გაზ. „საქართველოს სურათებიანი დამატება“, 1915, № 1, 1/I, გვ. 3;

გრიგოლ ურატაძე

გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძე დაიბადა 1874 წლის 10 თებერვალს ოზურგეთის მაზრის სოფელ აცანაში, გლეხის ოჯახში. სოფლის ოთხკლასიანი სასწავლებლის შემდეგ სწავლა განაგრძო სამასწავლებლო სემინარიაში, რომლის დასრულებაც ვერ შეძლო. სწავლობდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში, თუმცა კურსი აქაც არ დაუსრულებია. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, 1905 წლიდან მენშევიკური ფრაქციის წევრი. 1900 წლიდან მუშაობდა სახალხო მასწავლებლად ლანჩხუთის სკოლაში და პარალელურად, ჩარ-

თული იყო რევოლუციურ მოძრაობაში. პირველად დააპატიმრეს 1903 წელს. იჯდა ქუთაისის ციხეში, გადაასახლეს ორენბურგს, საიდანაც გაიქცა და საქართველოში დაბრუნდა. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში გურიაში. იყო გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. რევოლუციის დამარცხების და რეაქციის წლებში ეწეოდა პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას გურიაში, ქუთაისსა და თბილისში.

გრ. ურატაძე იყო 1906 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სტოკჰოლმის ყრილობის დელეგატი. მეორედ დააპატიმრეს 1909 წლის 6 მაისს. 1911 წელს არალეგალურად გაემგზავრა საზღვარგარეთ. ცხოვრობდა შვეიცარიასა და საფრანგეთში, ჩართული იყო რუსეთის იმპერიიდან დევნილ სოციალისტების პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეფის ხელისუფლების დროს კიდევ სამჯერ იყო დაპატიმრებული პოლიტიკური საბაბით და გაძევებული კავკასიის საზღვრებიდან. დაბრუნდა 1915 წელს.

იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის ევრი, 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებში ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1922 წელს არალეგალურად გაემგზავრა ემიგრაციაში, აქტიურად მონაწილეობდა ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესაში. 1925-1936 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოს“. ცალკე წიგნებად რუსულ ენაზე გამოაქვეყნა პოლიტიკური შინაარსის ნაშრომები: Г. И. Уратадзе, Образование и консолидация Грузинской демократической республики. Мюнхен, 1956; Г. Уратадзе, Воспоминания грузинского социал-демократа. Стенфорд, 1968.

ქვემოთ წარმოდგენილია ემიგრაციამდელ პერიოდში გრიგოლ ურატაძის მიერ პრესაში საკუთარი სახელ-გვარით, ფსევდონიმებით, ინიციალებითა თუ კრიპტონიმებით გამოქვეყნებული პოლიტიკურ-პუბლიცისტურ წერილების, თეატრალურ რეცენზიების, თარგმანებისა თუ კორესპონდენციების ბიბლიოგრაფია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით:

1. ჟურნალებში:

გრ. ურ. ლანჩხუთი [ადგილობრივი ორკლასიან სკოლის სამოქალაქო სასწავლებლად გადაკეთების გამო] კორესპ. ჟ. „კვალი“, 1902, № 27, გვ. 435-436;

გრ. ურ. რა მოხდა? [პოლიტ. წერილი] ჟ. „იალქანი“, 1909, № 1, გვ; 7-8;

გრ. ურატაძე. წერილი რედაქციის მიმართ [„კვალის“ 37 №-ში დაბეჭდილი კორესპონდენცია ლანჩხუთიდან და მისი ავტორის ვინაობა], ჟ. „კვალი“, 1899, № 39, გვ. 684;

გრ. ურატაძე. ბატონო ახლად გადმოსახლებულო [მის მიერ გადმოგზავნილი კორესპონდენციის წინააღმდეგ] წერილები რედაქციის მიმართ], ჟ. „კვალი“, 1900, № 35, გვ. 568;

გრ. ურატაძე. ს. აცანა (გურია) [მამულების სივიწროვე და ეკონომიური გაჭირვება], კორესპ. ჟ. „კვალი“, 1901, № 5, გვ. 73-74;

გრ. ურატაძე. წერილი რედაქციის მიმართ [აცანის სამკითხველოს შესახებ], ჟ. „კვალი“, 1902, № 9, გვ. 156;

გრ. ურატაძე. ლანჩხუთი [შემნახველ-გამსესხებელი ამხ-ბის ანგარიში] კორესპ. ჟ. „კვალი“, 1902, № 13, გვ. 208;

გრ. ურატაძე. სოფ. აცანა [მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა. სკოლა და სამკითხველო] კორესპ. ჟ. „კვალი“, 1902, № 23, გვ. 368-369;

გრ. ურატაძე. სოფ. აცანა [ქალთა სკოლის დაარსება] კორესპ. ჟ. „კვალი“, 1902, № 25, გვ. 394;

გრ. ურატაძე, ს. ჭაგანი [წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნა], ჟ. „კვალი“, 1903, № 3, გვ. 37;

გრ. ურატაძე. ლანჩხუთი. კორესპონდენცია, ჟ. „კვალი“, 1903, № 14, გვ. 218;

მასწ. გრ.ურატაძე. პასუხათ ბ. 40-ძეს. წერილი რედაქციის მიმართ, ჟ. „კვალი“, 1901, № 46, გვ. 958-959;

ღ-ა. [ღალღა]. თეატრი. ჭიათურის თეატრი. რეცენზია პ. ერვიეს 3 მოქმ. დრამის „ბრჭყალები“ წარმოდგენის შესახებ. ჟ. „სალამური“, 1911, № 3, გვ. 11-19;

ღ-ა. [ღალღა]. სალიტერატურო საღამო ქუთაისში, ჟ. „სალამური“, 1911, № 4, გვ. 13;

ღ-ა. [ღალღა]. მოწერილი ამბები. პროვინცია [ჭიათურაში სამუშაოდ ჩამოსული ახალგაზრდა, წვრილშვილის პატრონის ვლადიმერ ლომიძის მკვლელობის შესახებ], ჟ. „სალამური“, 1911, № 5, გვ. 15;

ღ-ა. [ღალღა]. ჭიათურის თეატრში წარმოდგენილი ტრ. რამიშვილის 3 მოქმ. დრამის „ექიმი ამირბაჯიანი“ რეცენზია, ჟ. „სალამური“, 1911, № 5, გვ. 16;

ღ-ა. [ღალღა]. თეატრი. ჭიათურა. ჭიათურის თეატრში წარმოდგენილი ნათარგმნი პიესის „სამხედრო ბანაკში“ რეცენზია. ჟ. „სალამური“, 1911, №8, გვ. 13-14;

1. გაზეთებში:

გრ. ურ. ქართული თეატრი. წერილი. გაზ. „ახალი დროება“, 1909, № 2, 22/IV, გვ. 3;

გრ. ურ. ქობულეთი [კორესპ. ქობულეთის თეატრის შენობის შესახებ], გაზ. „ეკალი“, 1908, № 1, 23/VIII, გვ. 2;

გრ. ურ. „ივერიელების“ სიხარული [პოლიტ.პოლემიკ. წერილი] 1909 წ. გამოც. „ივერიაზე“, გაზ. „ჩანგი“, 1909, № 1, 21/VI, გვ. 1-2;

გრ. ურ. გადასახადი მემკვიდრეობაზე გერმანიაში, გაზ. „ჩანგი“, 1909, № 3, 24/VI, გვ. 2-3;

გრ. ურ. მუშათა კლუბი პეტერბურგში. გაზ. „ჩანგი“, 1909, № 7, 28/VI, გვ. 2-3;

გრ. ურ. ჩვენ ოთხნი ვიყავით. სევერიანეს [ჯუღელი] სახსოვრათ, გაზ. „ჩანგი“, 1909, № 34, 13/VIII, გვ. 2;

გრ. ურ. ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) 1859-1894, გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 15, 17/V, გვ. 1-2;

გრ. ურ. ფემინისტკები, გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 17, 21/V, გვ. 3; № 18, 22/V, გვ. 2-3;

გრ. ურ. სამხედრო წესების მოხსნა, გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 45, 2/VII, გვ. 1;

გრ. ურ. თავ. გ.ამილახვარი და თავ. გ. ამირაჯიბი (გაკვრით), გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 49, 7/VII, გვ. 3;

გრ. ურ. ქართული საღამო პეტერბურგში. გაზ. „ჩვენი საქმე“, 1909, № 6, 19/II, გვ. 3;

გრ. ურ. საჭიროა დახმარება [პარლამენტალურ მუშაობაზე], გაზ. „ჩვენი საქმე“, 1909, № 20, 25/III, გვ. 2;

გრ. ურ. პარტიათა შორის ბრძოლა ოსმალეთში, გაზ. „ჩვენი საქმე“, 1909, №30, 10/IV, გვ. 2-3, № 3, 11/IV, გვ. 3;

გრ. ურ. მცირე შენიშვნა „დროების“ საპასუხოთ [ფედერალისტების კრიტიკა], გაზ. „ჩვენი საქმე, 1909, № 3, 19/IX, გვ. 3;

გრ. ურატაძე. სოფ. აცანის უფასო სამკითხველოს შემომწირველთა შესახებ, გაზ. „ივერია“, 1899, № 87, 27/IV, გვ. 4;

გრ. ურატაძე. ლანჩხუთი [სკოლის დაარსება], გაზ. „ივერია“, 1900, № 45, 3/III, გვ. 2;

გრ. ურატაძე. ლანჩხუთი [სამკითხველოს დაარსების შესახებ], გაზ. „ივერია“, 1900, № 273, 16/XII, გვ. 3-4;

გრ. ურატაძე. გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ უკანასკნელი კრება (წერილი ლანჩხუთიდან), გაზ. „ივერია“, 1902, № 30, 6/II, გვ. 2-3;

გრ. ურატაძე. ღია წერილი „ცნ.ფ“ რედაქტორს, გურიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „შუამავლის“ მმართველად ს.ჭეიშვილის გამოცხადების გამო, გაზ. „ივერია“, 1902, № 107, 23/V, გვ. 3;

გრ. ურატაძე. ვლ. ქუთათელაძე და სხვ. ბ-ნო რედაქტორო! ლანჩხუთის ქალთა სკოლის სახელოსნოს განყოფილების შესახებ პასუხი ი. გოგიჩაიშვილის წერილზე, გაზ. „ივერია“, 1902, № 120, 11/VI, გვ. 3-4;

გრ. ურატაძე. ს. აცანა. ბიბლიოთეკის დაარსება. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898; № 528, 8/V, გვ. 2-3;

გრ. ურატაძე. ს. აცანა. მადლობის გამოცხადება წიგნსაცავისათვის ფულის შემომწირველებს, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 535, 18/V, გვ. 3;

გრ. ურატაძე. ს. აცანა. სამრევლო სკოლის ახალი მზრუნველები, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 542, 27/V, გვ. 2;

გრ. ურატაძე. ლანჩხუთის ბიბლიოთეკის შემომწირველებს მადლობა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, № 743, 6/II, გვ. 2;

გრ. ურატაძე. ლანჩხუთი. ქართულ-რუსული წარმოდგენა ქალთა სამრევლო სკოლის სასარგებლოდ, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1481, 1/VI, გვ. 4;

გრ. ურატაძე. პასუხად ლანჩხუთელ მეთვალყურეს (ლანჩხუთის სამკითხველოს ფულების დახარჯვის შესახებ), გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1874, 22/VII, გვ. 1-2;

გრ. ურატაძე. ჭაგანის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს ანგარიში, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2190, 24/VI, გვ. 4;

გრ. ურატაძე. გადმოხვეწილ-გადმოხიზნულთა საყურადღებოთ, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916, № 62, 17/III, გვ. 3;

გალიორკა. შთაბეჭდილებანი (ქალაქის საბჭოს 12 დეკემბრის სხდომის გამო), „ბათუმის გაზეთი“, 1911, № 125, 17/XII, გვ. 2-3;

გალიორკა. შთაბეჭდილებანი [ერობის საკითხებზე], გაზ. „მომავალი“, 1909, № 34, 8/X, გვ. 3;

გალიორკა. წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრება. შთაბეჭდილება. გაზ. „მომავალი“, 1909, № 86, 9/XII, გვ. 3;

გალიორკა. დღეს. პოლიტ. წერილი. გაზ. „ახალი კვალი“, 1915, № 1, 4/V, გვ. 1;

გალიორკა. როგორ მოგწონთ. გაზ. „ახალი კვალი“, 1915, № 5, 1/VI, გვ. 2;

გალიორკა. მორიგი იერიში [ფედერალისტების წინააღმდეგ. იცავს პ. გელეიშვილს], გაზ. „ახალი კვალი“, 1916, № 5, გვ. 4;

დოროშევიჩი. სტუმრათ. პატარა ფელეტონი. მთარგმ. გრ. ურ. გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 34, 10/VI, გვ. 3; № 39, 16/VI, გვ. 2-3;

დოროშევიჩი. პარლამენტში. ფელეტონი. მთარგმ. გრ. ურ. გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 41, 18/VI, გვ. 3;

ვ. პ. დახმარება დაშავებულ მუშას. პოპულარული ახსნა-განმარტება 1912 წ. 22 ივნისის კანონის. მთარგმ. რუს. გალიორკა, გაზ. „ჩვენი აზრი“, 1914, № 2, 23/VII, გვ. 3; № 3, 24/VII, გვ. 3;

ზვონარიოვი. ჩამოხრჩობის წინ. მოთხრ. მთარგმ. გრ. ურ. გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 26,31/V, გვ. 2-3;

ღალღა. თეატრი. ბაქო [ბაქოში გამართული ქართული წარმოდგენის შესახებ], გაზ. „ეკალი“, 1908, № 21, 25/IX, გვ. 3-4;

ღალღა. ბაქო. [ბაქოს ქართველი მუშების მდგომარეობა], გაზ. „ეკალი“, 1908, № 25, 30/IX, გვ. 4;

ღალღა. მუშათა შორის სახალხო თეატრის ჩანასახი ბაქოს ქართველ მუშებში. გაზ. „ახალი დროება“, 1909, № 6, 28/IV, გვ. 3;

ღალღა. მუშათა შორის. ბალახანა [მუშების მდგომარეობაზე], გაზ. „ჩანგი“, 1909, № 17, 23/VII, გვ. 4;

ღალღა. კაპიტალისტების ნაციონალისტობა – ქველმოქმედება. წერილი ბაქოდან, გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 19, 23/V, გვ. 4;

ღალღა. ბაქო [ბაქოს მუშებზე], საკუთარი კორესპონდენტისაგან, გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 30, 5/VI, გვ. 3-4;

ღალღა. ბაქო [ბაქოს მუშებზე], გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, № 45, 2/VII, გვ. 4; №46, 3/VII, გვ. 3;

ღალღა. თეატრი და ხელოვნება. ბაქო. ქართული საღამო. რეცენზია. გაზ. „ჩვენი საქმე“, 1909, № 1, 5/II, გვ. 4;

ღალღა. ნავთის სამრეწველო პროლეტარიატი (პროფესიონალური ბრძოლის წარმოება), გაზ. „ჩვენი საქმე“, 1909, № 24, 3/IV, გვ. 2-3; № 25, 4/IV, გვ. 2-3; № 34, 15/IV, გვ. 3; № 35, 16/IV, გვ. 3-4;

ღალღა. აკაკის იუბილე ბაქოში. გაზ. „ჩვენი ხმა“, 1909, № 1, 1/I, გვ. 3;

ღალღა. პატარა შენიშვნა (ილიას საღამოს გამო ქუთაისში), გაზ. „საქმე“, 1910, № 34, 6/XI, გვ. 2;

ღალღა. პასუხად ვაჟა-ფშაველას. გაზ. „ახალი საქმე“, 1911, № 23, 1/IV, გვ. 2;

გრიგოლ ურატაძის აქამდე გაუხსნელი ფსევდონიმები:

ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში (ტ. III, ნაკვეთი I, თბ., 1963) გაუხსნელია გრ. ურატაძის ფსევდონიმი:

აცანელი № 775, გვ. 73, ჩოხატაური (ოზურგეთის მაზრა). მომრიგებელი მოსამართლის ნიკოლოზ ივანეს-ძე ზავადოვსკის გარდაცვალება. გიორგი ბოკერიას სიტყვა. გაზ. „ივერია", 1890, № 268, 16/XII, გვ. 2-3;

ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში (ტ. V, ნაკვეთი 11, თბ., 1972) გაუხსნელია გრ. ურატაძის ფსევდონიმი::

აცანელი, № 4177, გვ. 281, სოფ. აცანა (ოზურგეთის მაზრა), დაკარგული ფული (მამასახლისის მიერ ფულის გაფლანგვა), გაზ. „ცნობის ფურცელი", 1898, № 172, 18/IV, გვ. 3.

NODAR GRIGORASHVILI

Bibliography of four Georgian emigrant public figures before emigration

Summary

The article contains short biographies of four famous Georgian emigrant public figures – Shalva Amirejibi, Revaz Gabashvili, Davit Vachnadze, and Grigol Uratadze, as well as their more or less complete bibliographies; Their numerous pseudonyms, cryptonyms, or initials have been deciphered.

These people were no less prominent public figures before emigration than in emigration. The reader will get acquainted with their pre-emigration legacy scattered in the Georgian periodical press, which combines articles of political and publicist content with their works of literature (Sh. Amirejibi).

იაკობ გოგებაშვილი - ესთეტიკური ფორმულა თუ იდეოლოგიური კრედო

„აი ია“ - ყოველი პატარა ქართველი ასე იწყებს მშობლიურ ანბანთან ზიარებას, არა აქვს მნიშვნელობა საქართველოში იზრდება თუ უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოში.

1931 წელს პარიზში პირველად დაიბეჭდა ყველა ქართველისათვის „აუცილებელი“ **„დედა ენა“.** წიგნს მარჯვენა კუთხეში, ჩარჩოში ჩასმული ასეთი მინაწერი აქვს: „სამშობლოს გარეშე პირველად გამოცემულ „დედა ენას“ ვუძღვნი ჩემს დაუვიწყარ **დედას.** დავით ხელაძე“.[1] წიგნის ბოლო გვერდზე გამომცემელი მიმართავს ქართველ ემიგრანტებს:

„ჩვენ მიერ გამოცემული, დაუვიწყარი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, პირველი ნაწილი გადმობეჭდილია 1904-1909 წლების გამოცემიდან. ჩვენი მიზანია, მივაწოდოთ ქართველ ნორჩს თავობას პირველი დაწყებითი სახელმძღვანელო მშობლიური ენის შესასწავლად და გასაკვეთად.

მრავალი ბავშვი იზრდება უცხოეთში გადმოხვეწილი, მოკლებული ქართულს სკოლას, წიგნს, წრეს და მათი მშობლები მწვავე ტკივილებს ჰგრძნობენ, რომ სათანადო საშვალების უქონლობის გამო მათ არ ძალუძთ შეასწავლონ შვილებს დედა ენა, გააცნონ სამშობლოს ბუნება, ცხოვრება და ისტორია.

ამ უცხო მხარეს ქართული წიგნი ძნელი საშოვარია, კიდევ უფრო გაძნელებულია წიგნის გამოცემა, განსაკუთრებით საბავშოსი, რომელიც მოითხოვს სხვა და სხვა გვარს შრიფტს. დიდი დაბრკოლებანი შეგვხდა ჩვენი განზრახვის განხორციელებისათვის და სავსებით ვერ მივახწიეთ მიზანს. მაგრამ იმ სახითაც, როგორც მოვახერხეთ ამ წიგნის გამოცემა, დარწმუნებული ვართ ერთგვარ სამსახურს გავუწევთ ქართველ მშობლებს და დავეხმარებით, მისცენ თავიანთ შვილებს ქართული აღზრდა და განათლება“.

წიგნის **მთავარი აქცენტებია** – საქართველოს ბუნება, ცხოვრება, ისტორია.

საბავშვო კრებული სასურველია, ფერადი იყოს, ნახატებიანი, რათა პატარას თვალი მიიზიდოს. მით უფრო ის წიგნი, რომელიც ხელში ხშირად უნდა ეჭიროს, დაათვალიეროს, თან უამრავი რამ ისწავლოს. ეს რასაკვირველია, უფროსებმაც იციან, მაგრამ უცხოეთში ანკი ამას როგორ ახერხებენ. შავ-თეთრი „დედა ენა“ არცთუ რიგიან ფურცელზეა დაბეჭდილი. პირველ ნაწილშია გასავლები ხაზები, ოთხკუთხედები, გეომეტრიული ფიგურები, საგნები. მერე იწყება ანბანი. დაცულია ოთხი ხაზის პრინციპიც: ასოების სწორად გამოსაწერად. ამას მოჰყვება ანდაზები, ციფრები, ლექსები. როცა ლექსი ხალხურია, ყველგანაა მითითებული, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, ლექსის ავტორი მიწერილი არაა. წიგნის 58-ე გვერდი უნდა გამოვარჩიო – ორი პოეტური ნიმუშია დაბეჭდილი: პირველი ხალხური ლექსია, სათაურით: „გუგული“, ხოლო მომდევნო ლექსს ჰქვია „დილა“. ავტორი, როგორც ვთქვი, მითითებული არაა:

1 იაკობ გოგებაშვილი, „დედა ენა“, დ. ხელაძის სტამბა, პარიზი, 1931, გვ. 3.

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვევოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.
ტროლა მაღლა - ღრუბლებში
წკრიალ - წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.“[2]

შეამჩნიეთ, ალბათ, ამ პოპულარული ლექსის ბოლო სტროფში „ივერთ მხარე“ შეცვლილია „ქართველთ მხარე“-დ. იმხანად, როცა წიგნი საფრანგეთში იბეჭდებოდა, 1931 წელს მისი ავტორი მსოფლიოში ცნობილი ფიგურა გახლდათ; თუმცა მაშინ, როცა იოსებ ჯუღაშვილს, ლიტერატურული ფსევდონიმით - სოსელოს ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ ლექსი დაუბეჭდა, ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო. სწორედ ეს ლექსი შეიტანა დიდმა იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში“. საინტერესოა, იქ, უცხოეთში რომელიმე მოწაფეს კითხვა რომ დაესვა: ვის ლექსს სწავლობდა ასე გულმოდგინედ, რა პასუხს გასცემდნენ?! ფაქტია, ტყუილს არ ეტყოდნენ! არადა, როგორი სათქმელი იყო: გარკვეულწილად, ვის გამოც სამშობლოდან შორს იყვნენ და მშობლიურ სკოლაში არ დადიოდნენ, ის კაცი „ქართველთ მხარის“ აყვავებას ნატრობდა და ეს „ნატვრა“ ამ პატარა ქართველებს უცხოეთში უნდა გაეზეპირებინათ.

პარიზში ქართულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, რომლის რედაქტორებიც სხვადასხვა პერიოდულობით იყვნენ: იოსებ გობეჩია, გრიგოლ ურატაძე, სამსონ ფირცხალავა. 1939 წელს არაერთი საინტერესო პუბლიკაციის გვერდით დაიბეჭდა ბ. გელ-ა-ს (*ფსევდონიმით*) ხელმოწერილი წერილი „იაკობ გოგებაშვილი“. ის არაერთი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

„იაკობ გოგებაშვილი მამამთავარია ჩვენი ეროვნული სკოლის, მისი შემქმნელი და ფუძემდებელი, დამაარსებელი ქართულ-ეროვნულ მეცნიერული პედაგოგიკის; იგია დიდი ეროვნული მოღვაწე, რომლის დროშაზე მარადის დიდი ასოებით სწერია: „თავისუფლება ერის!“[3]

ავტორის მოსაზრებით, გოგებაშვილის პუბლიცისტური და პედაგოგიური მოღვაწეობა განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვდა და სხვადასხვა რანგში – მეცნიერულ, ეროვნულ-კულტურულ სივრცეში განსახილველი თემები გახლდათ. უცხოეთში, უფრო ზუსტად, როგორც თავად იტყვის, „დღევანდელ ჩვენს დაბორკილ ვითარებაში“ ამ შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ. თუმცა შეუძლებლად ჩაუთვლია იაკობის გარდაცვალების 25 წლისთავს შეძლებისამებრ არ გამოხმაურებოდა. იხსენებს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ეპოქას, 60-იან წლებს და იმ დროის მოღვაწეებს: ილიას, აკაკის, თანამედროვეთაგან – ნოე ჟორდანიასა და არჩილ ჯორჯაძეს, იაკობ გოგებაშვილზე კი დაწერს:

---

2 იაკობ გოგებაშვილი, „დედა ენა“, დ. ხელაძის სტამბა, პარიზი, 1931, გვ. 58.

3 ბ. გელ-ა, „იაკობ გოგებაშვილი“, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, #153, პარიზი, 1939.

„მათ შორის ის ტიპური საზოგადო მოღვაწეა, რომელიც ქართველი ერის ერთერთ დიდს კულტურულს პოტენციალურ ძალას ასახიერებს“. მისი „მთავარი წიგნების“: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, „ბუნების კარი“, „დედა ენა“, „კოკორი“, „კონა“, „ხომლი“, კუნწული“, ‚რუსსკოე სლოვო“ – I და II ნაწილი, ჩამოთვლის შემდეგ იტყვის:

„გოგებაშვილის ნიჭიერ კალამს ეკუთვნის ბევრი საისტორიო და საბელეტრისტო ნაწარმოები“.

ბ. გელა-ა-ს არაერთგზის მოაქვს დიდი პედაგოგის გამონათქვამების ამონარიდები, სხვა ავტორებისაც და ერთგან ასეთ ფაქტს დაწერს, რომელიც საგანგებოდ მინდა მოვიტანო:

„ამ სტრიქონების დამწერი მოწამეა ასეთი მაგალითის: კავკასიის მზრუნველი ზავადსკი ბათუმის ერთ პირველდაწყებით სკოლაში 8 წლის ქართველ ბავშვისაგან მოითხოვს დაიძახოს, რომ ის (ქართველი ბავშვი) რუსია და არა ქართველი!“

მით უფრო საჭიროდ მიაჩნია ქართული სკოლის განვითარება და შესაბამისად, იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის დაფასება:

„გოგებაშვილის პედაგოგიკა არის უაღრესად ეროვნული, მეცნიერული! ეს არის მისი უდიდესი დამსახურება ქართული ეროვნული სკოლის წინაშე“.

ისტორია. ეპოქალური მოვლენები და გმირები. თაობების აღზრდა ისტორიული სიმართლით და ამის გამო გამართული არაერთი დისკუსია. არა მხოლოდ გამორჩეული პედაგოგი და დაკვირვებული მეცნიერი, არამედ თავადაც მწერალი, საბავშვო მწერალი. ისტორიულ თემაზე დაწერილი მისი ცნობილი მოთხრობებია: „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ცოტნე დადიანი“, „ასპინძის ომი“, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ და ა. შ. სწორედ ამ ბოლო ნაწარმოებზე ვისაუბრებ. ბავშვებისათვის წასაკითხი სასწავლო ტექსტი. იაკობ გოგებაშვილის კრედო, რომელიც მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თავის მნიშვნელობას და იდეურ დატვირთვას იძენს.

და მაინც, საჭიროა თუ არა ისტორიის ე .წ. „შელამაზება?“ აქვე დავსძენ, ამ მოთხრობამ ცხარე კამათი გამოიწვია. იმდენად შორს წავიდა დისკუსია, რომ როგორც როსტომ ჩხეიძე დაწერს:

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა მოსთხოვდა, ან ეს პასაჟები ამოშალე ისტორიული მოთხრობიდან, ანდა მის გამოცემას ჩვენი სახელი ნუ წაეწერებაო“.[4]

და კიდევ, ამავე წიგნიდან:

„თავი გამოედოთ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრებს და ცენზორის უფლებაც მიეტაცებინათ მკაცრი მოთხოვნით: ან ამოშლი და ან უჩვენოდ მიხედე საქმესო“.[5]

განსაკუთრებით რუსუდან დედოფლის პერსონაჟს გამოეწვია დიდი ვნებათაღელვა. მოკლედ შეგახსენებთ ამ ვრცელი ტექსტის სიუჟეტს:

მეფე ლაშა-გიორგიმ დიდხანს ვერც იმეფა და ვერც იცოცხლა. დაწერა ანდერძი, რომელშიც ითხოვდა, რომ მის შემდეგ მისი და, რუსუდანი გაემეფებინათ, ხოლო როცა მისი ვაჟი, დავითი სრულწლოვანი გახდებოდა, ის ასულიყო ტახტზე. ვაჟი, „ნაშობი...ხასისაგან“. მწერლის მიერ რამოდენიმეგზის გამოყენებული სიტყვა „ხასა“, ხაზს უსვამს ლაშას ახირებას და ურთიერთობას დაბალი წოდების ქალ-

4 რ. ჩხეიძე, „დარდი ფარული“, „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2013, გვ. 36.

5 იქვე, გვ. 37.

თან და ეს შეფასებითი კატეგორიიდანაცაა. რუსუდანი გამეფდა და მოსიყვარულე მამიდა უცებ იქცა ტახტზე მოფიქრალი მზაკვრული გეგმების ავტორად და არა მხოლოდ ავტორად, არამედ შემსრულებლადაც. ახალი მეფე ფიქრადაც კი არ უშვებდა უკანონოდ შობილი მემკვიდრის გამეფებას. გადაწყვიტა, ამ საქმეში თავისი ქალიშვილი და სიძე ჩაერთო. გაგზავნა ძმისშვილი მათთან და თან თავისი თხოვნა ფარულად აახლა. თავდაპირველად, მათ ამ სურვილს ყურიც არ ათხოვეს, მაგრამ რუსუდანმა ბინძურ ხერხს მიმართა, როცა მან საკუთარ ქალიშვილს, თამარსა და ძმისშვილს მრუშობა და სულთნის ღალატი დააბრალა. აი, ეს კი ირწმუნა ქმარმა; და ამან არაერთი უბედურება დაატრიალა როგორც თამარის, ისე სასიკვდილოდ განწირული ტახტის მემკვიდრის თავზე. აბობოქრებული ზღვის ტალღებს დავითი ღვთისმშობლის ხატმა გადაარჩინა გულზე რომ ჰქონდა ჩამოკიდებული, ნაპირზე გამორიყული კი ვაჭარმა შეიფარა. მოგეხსენებათ, ასეთი ამბები დიდხანს არ იმალება. მისი გადარჩენის ამბავმა ნახევარი წლის შემდეგ სულთნის ყურამდეც მიაღწია. შემარცხვენელი ბნელ, ღრმა და ნოტიო ხაროში ჩააგდო, „დახშვეს იგი ვეებერთელა ლოდით და ცოცხლად დამარხეს“. წლები გადიოდა და დავითის შესახებ აღარაფერი ისმოდა; მის სიკვდილში ყველა დარწმუნდა. მოთხრობის მეექვსე თავი ამგვარადაა დასათაურებული: „ტანჯვა და სიკვდილი დედოფლისა“. მწერალი დეტალურად აღწერს, როგორ განიცდის დედოფალი ჩადენილ საქციელს, ამდენი ადამიანის დაღუპვას.

„რუსუდანმა იგრძნო ქეჯნა სინდისისა; ხოლო სინდისი იმისთანა მიუდგომელი და მოუსყიდველი მოსამართლეა, რომელიც სტანჯავს და სჯის დამნაშავეს დღე და ღამ და ყველა გარეგანს სასჯელზე უარესია... რუსუდანი ახლა ძლიერ ცხადად, ძლიერ აშკარად გრძნობდა, რომ უღალატა თავისს ძმასაც, დედობრივ მოვალეობასაც, ქრისტეს მცნებასაც და დაიმსახურა საუკუნო სასჯელი. გაქრა, სრულიად გაქრა რუსუდანისათვის მოსვენება, მშვიდობა, იმედი და სიხარული“.[6]

ამ ტანჯვისაგან გარდაიცვალა კიდეც თბილისში. მოთხრობა უკვე ისტორიის შემდეგი ეპიზოდით გრძელდება - ორივე დავითი მონღოლთა კარზე კარგა ხანს ალოდინეს. ამასობაში უმეფოდ დაუძლურდა ქვეყანა. როგორც იქნა, ორივე გამოისტუმრეს და ორივე აღიარეს მეფედ. ქართველთა მხრიდან უფრო მეტი მომხრე ლაშა-გიორგის ვაჟს ჰყავდა, თუმცა გარკვეული ნაწილი რუსუდანის ძეს უჭერდა მხარს. პირველ ხანებში ერთად მართავდნენ ქვეყანას, რომელიც მოძლიერდა, მოღონიერდა, მაგრამ აქ ავტორს ერთი ანდაზა მოაქვს:

„თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყარე, მტერს გაიჩენო“ და აქვე გააგრძელებს, რომ ეს „სავსებით აღსრულდა საქართველოზე. გაყრილი ძმები იმერ-ამერნი აჰყვნენ შინაურს განხეთქილებას, შურსა და მტრობას და იმის მაგიერ, რომ წინანდებურად გარეშე მტრებთან ებრძოლათ ძმურად, შეერთებული ძალით, ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთსა და აუძლურებდნენ ამერეთსაცა და იმერეთსაც“.[7]

აქ გამოტოვებულია საუკუნეები, მეფეები, ომები... მოთხრობას მწერალი ამგვარად დაასრულებს:

„ამის გამო განცალკევებული საქართველო თავის მრავალს მტრებს ვეღარ გაუმაგრდა, დამოუკიდებელი არსებობა ვეღარ დაიცვა და ბოლოს თავისი ბედი

---

6 ი. გოგებაშვილი, საგანძური, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, გამომც. „განათლება“, თბ., 1982, გვ. 333.

7 იქვე, გვ. 340.

შეუერთა ერთმორწმუნე რუსეთს იმ იმედით, რომ მოიპოვებს სრულს მშვიდობას, დაიცავს თავის სარწმუნოებას, ენას, ეროვნულს თავისებურებას, სრულს შინაურს თვითმართველობას, ამრავლებს ყოველგვარს ეროვნულს სკოლებს, ააღორძინებს თავის ლიტერატურას და კულტურას, ისარგებლებს ძმური თანასწორობით რუსებთანა და უშფოთველად ივლის წარმატების გზაზე".[8]

ასე მთავრდება ეს ვრცელი ტექსტი.

მიაქციეთ ალბათ, ყურადღება, **ყველა ზმნა მომავალ დროშია:** „მოიპოვებს", „დაიცავს", „ააღორძინებს" და ა.შ.

და მაინც, რატომ მაინცადამაინც საქართველოს ისტორიის ეს ეპიზოდი? რუსუდან დედოფლის პირქუში ისტორია. თან რამხელა წყვეტაა. მართალია, როცა ეს ნაწარმოები იწერება ჯერ კიდევ ისეთი საშიშროება არაა, როგორიც მერე დადგება, როცა წარსულის ინტიმი დაიკარგება.

მთავარი: რომელ გმირს ან საქციელს სჭირდება ტირაჟირება, ან რა უნდა ახსოვდეს ქართველს? ნერგავს თუ არა ამგვარი ამბების შეხსენება ეროვნულ ნიჰილიზმს ან გაუცხოებას საკუთარ იდენტობასთან? მით უფრო მაშინ, როცა დამოუკიდებელი არ ხარ, ან როცა მუდმივად ცდილობენ ამ ისტორიის გაყალბებას. და კიდევ ერთი შეკითხვა: ეს ესთეტიკური პოზიციაა - გადმოსცე მძაფრი, დასამახსოვრებელი სიუჟეტი თუ იდეოლოგიური კრედო: არ ასცდე „ქართლის მატიანეს". თქვა სიმართლე და ფაქტი არ შეალამაზო. რაღაცეები ეგებ დაამატო კიდეც *(მაგალითად, რუსუდანის განცდები),* მაგრამ ამბავი სწორად მოყვე. დატოვო ისტორია ისეთი, როგორიც არის, საყმაწვილო ასაკიდანვე ისწავლო საკუთარი ისტორია ისეთი, როგორიც იყო. აკი იაკობ გოგებაშვილი ძირითადად მოზარდებისთვის წერს (და არა მხოლოდ).

„ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეოთხე ტომში *(გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1974)* დაბეჭდილ თავში: „იაკობ გოგებაშვილი" (ავტორი: გ. თავზიშვილი) ორი ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებაა, არადა, დამოუკიდებლად ორივე მართალია.

პირველი – „იაკობ გოგებაშვილი, ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ქართველი ხალხის სხვა დიდი მოამაგენი საქართველოს წარსულს მეტად აქტუალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ხალხის ისტორიას ისინი იყენებდნენ თავისი დროის სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაჭრელად. ერთ-ერთ საამისო ხერხად მიაჩნდათ საქართველოს წარსულიდან რომელიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის ან გამოჩენილ მოღვაწეთა როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო თვისებებისა და ღირსების კაზმულ ფერებში აღწერა და მიმზიდველი დასურათება, რაც ხშირად იდეალიზაციის ხასიათს იღებდა. მოვლენის ან მოღვაწის შესახებ მოთხრობილი ხშირად აჭარბებდა უტყუარ, ისტორიულ ცნობებს, მაგრამ ეს კეთდებოდა სრულიად შეგნებულად".[9]

მეორე – „იაკობმა მშვენივრად იცოდა, რომ თემის მასალის მხატვრული დამუშავება და მისი გამოყენება გარკვეული პედაგოგიური მიზნისათვის სრულებითაც არ ნიშნავს ამ მასალის არსებითად შეცვლას, გადაკეთებას. განსაკუთრებული სიზუსტით იცავდა ამ პრინციპს იგი ისტორიული თემების დამუშავებისას. ასეთი სიფრთხილე ზოგჯერ გადაჭარბებულიც იყო. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება,

---

8 იქვე.

9 ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. 4, გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბ., 1974, გვ. 314-315.

რომ იაკობს ისტორიულ მოთხრობათა ზოგიერთი მასალა, ამოღებული „ქართლის ცხოვრებიდან“ და სხვა პირველწყაროებიდან, ნედლი სახით აქვს გამოყენებული“.[10]

როგორ იწერება ამ ყაიდის ტექსტები? ვფიქრობ, განსჯისას ეპოქაა გასათვალისწინებელი; ის დრო, როცა „ისტორიას“ მხატვრული სიტყვით უახლოვდები. აქ საშიშია ე.წ. „ტალღის ეფექტი“. ერთი შთაბეჭდილება – როცა ქება გადამდებია, ის ხიბლი, რომელიც არ გავიწყდება და მეორე – იჭვი, წლების შემდეგაც ირონიულად რომ გაგახსენებს ამა თუ იმ რეალობაში არსებულ, ახლა ლიტერატურულ პერსონაჟად ქცეულ პირს.

საქართველოს ისტორიის ზემოხსენებულ პერიოდს დავუბრუნდეთ. ეს რთული ისტორიული ეპოქა სხვა ნაწარმოებების მთავარი დროისმიერი სივრცე გახდება. და სათქმელი?! ერთი ლიტერატურული პარალელი.

1958 წელია. უამრავი ადამიანი შეკრებილა. გრიგოლ აბაშიძის რომანს, „ლაშარელას“ განიხილავენ. სიტყვას იღებს კონსტანტინე გამსახურდია. შეუძლოდ მყოფმა მოსვლა აუცილებლად ჩათვალა. შეხვედრას ახალგაზრდობაც ესწრებოდა. მწერალმა ისინი წინასწარ გააფრთხილა, რომ ტაშით არ შეეშალათ ხელი, ანუ დარწმუნებული გახლდათ, ისეთი სათქმელი ჰქონდა, ტაშს რომ დაიმსახურებდა. რა თქვა, სწორედაც ყურადსაღები და ყურსაგდები, ამაზე ქვემოთ. მანამდე, მისი გამოსვლის ფინალს მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება, რომელიც ცოტა არ იყოს და ისევე შეაცბუნებდა დარბაზში მსმენელს, როგორც ახლა, ამ გამოქვეყნებული სიტყვის წაკითხვა მკითხველს:

„მე ერთხელ გამოვედი მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების განხილვისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე და მას გავუსწორე 194 სტრიქონი. ამის გამო მიხეილს არსად არ დავუბეზღებივარ, მხოლოდ მითხრა:

– გეთაყვა, ამ შენიშვნებს მე მივიღებ და გავასწორებო და გაასწორა კიდეც. მე იმედი მაქვს, რომ იმ შენიშვნებს, რომლებიც გავაკეთე თქვენი წიგნის მიმართ, მიიღებთ“.[11]

ყურს ჭრის: „არ დავუბეზღებივარ.“

ვისთვისაა ნათქვამი?! ერთი ავტორის მაგალითი მოჰყავს მეორე თანამოკალმის გასაგონად თუ დარბაზში მყოფი ვინმე ეგულება? არადა, კონკრეტულად ამ რომანთან დაკავშირებით ერთადერთი დადებითი წინადადებაა – მოწონებულია ლილეს პორტრეტი, ბუნების აღწერა და ძალიან ზოგადი ნათქვამი: „ზოგ-ზოგი ექსკურსები“-ო; ეს ყველაფერი ერთ ფრაზაშია მოქცეული. ახლა **მთავარი:**

„როცა ისტორიაზე ვლაპარაკობთ, არ არის საჭირო ადამიანების ყველა ცუდი ვნებების გამოვლინება“.[12]

და კიდევ: „მე მგონია, რომანი მოიგებს, თუ რუსუდანს, თამარსა და ლაშას მოაცილებთ იმ ლაქებს, რომლებიც თქვენ მათ მიანიჭეთ“.[13]

იმავე სიტყვიდან: „მე უნდა ვუთხრა ჩემს კოლეგას, ძვირფას მეგობარს –გრიგოლ აბაშიძეს იმის შესახებ, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ისტორიულ გმირს ზედმეტი

---

10 ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. 4, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974, გვ. 323-324.

11 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებები, რვატომეული, ტ. 7 გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1965, გვ. 542.

12 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებები, რვატომეული, ტ. 7 გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1965, გვ. 540.

13 იქვე, გვ. 542.

სიკეთე მივაწეროთ, მაგრამ ზედმეტი ცუდის მიწერის უფლება არა გვაქვს".[14]

ნათქვამის დასტურად იმხანად, ანუ იმ საუკუნეებში სრულიად გაუგონარი მოვლენა – რეალური, საოცარი ამბავი – რუსუდანის შვილის (თამარის შვილიშვილის) სახელზე რუმის სასულთნოში მოჭრილი მონეტის ისტორია მოაქვს. ეს ფაქტი ნუმიზმატიკის სფეროშიც გამორჩეულ შემთხვევად ითვლება.

აქ კი:

ვსარგებლობთ წიგნით: გრიგოლ აბაშიძე „ლაშარელა" (გამომც. „ნაკადული", თბილისი, 1969 წ.);

ამონარიდები:

„შალვა ატირებული მეფის დანახვაზე შეჩერდა, სახეზე უსიამოვნება აღებეჭდა, ძმას მკლავში სტაცა ხელი, შებრუნდა და თან გაიყოლა".

ან: „ჯიუტი და თავნება ლაშა ზოგჯერ სრულიად მოეშვებოდა ხოლმე, წონასწორობას კარგავდა, ნებისყოფის ნატამალს ველარ ინარჩუნებდა და მზად იყო, მის ყველაზე უსაშინლეს მტერსაც კი ფეხქვეშ ჩავარდნოდა, ბალღივით ეტირა და შებრალება ეთხოვა".

ან კიდევ: „ – რა ჩაიდინე, უგუნურო! – შესძახა მეფეს ათაბაგმა და ცხენი ზედ მიაგდო. ლაშამ დაბნეულად შეხედა, ჯერ მხარგრძელს და მერე და სარდლებს: ყველას სახეზე რისხვა და შეშფოთება ამოიკითხა...

. . . . . .

– შემინდე უმეცრების ქმნილისათვის. არღარა ვყო დღეიდან თვინიერ თქვენის განზრახვისა!"

გრიგოლ აბაშიძე, „ლაშარელა", „დიდი ღამე" XIII საუკუნის ქართული ქრონიკა" (გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1965)

ამონარიდები:

„ლაშას უდროო სიკვდილი დიდი უბედურება იყო საქართველოსთვის. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა სუსტი და უნებისყოფო ქალი, რომელსაც დიდი თამარისა არც სიბრძნე გამოჰყვა, არც სიმტკიცე და ნებისყოფა".

ან: „რუსუდან დედოფალმა თბილისი საქართველოს საზღვრებთან მონგოლების გამოჩენისთანავე დასტოვა... მეფემ და მისმა ხელისუფლებმა სრულიად საქართველოს ლაშქრის მოკრება და მტერთან შებრძოლება ვერ შესძლეს, სამეფოს უდიდესი ნაწილი ბედის ანაბრად დასტოვეს...

...შეშინებულმა და დაბნეულმა რუსუდანმა თბილისის ციხისთავს ბრძანება დაუგდო, თუ მტერი დმანისამდე მოვიდოდა, თბილისი გადაეწვა".

ან კიდევ: „რუსუდან მეფეს ერთი წლის წინათ თავისი მემკვიდრე ყარაყორუმს გაეგზავნა. ისედაც ბედგამწარებულ დედოფალს შვილის უცნობლობის ჯავრი ვერ აეტანა და მიცვლილიყო".

რომანში „დიდი ღამე" რუსუდანის პერსონაჟი ძალიან ფრაგმენტულადაა დახატული. დეტალურად მხოლოდ მისი გარეგნობაა ხაზგასმული, თუმცა აქაც სხვა პერსონაჟი – ცაგო სჯობნის. ლიტერატურულ ტექსტში მთავარი მოქმედი გმირები უფრო სხვანი არიან – ვაჩე, ცაგო, პავლია კუტი, გოჩი მუხასძე, თურმან თორელი, თვით ჯალალედინის თავგადასავალიც საინტერესოდ არაერთ გვერდზე იკითხება. თუკი რუსუდან დედოფლის პერსონაჟს გარკვეული ისტორიული თვალთახედვით განვიხილავთ, აქ მისი გამეფებაც ფრაგმენტულადაა, ქმართან გაცილებაც, ვაჟზე – დავითზე სულ

14 იქვე.

ორიოდ სიტყვაა, ხოლო ძმისშვილზე, დავითზე საერთოდ არაფერია ნათქვამი. XIII საუკუნის ქართულ „მხატვრულ ქრონიკაში“ დავით ულუ ნახსენებიც არაა.

იდეალიზება ისტორიას ვნებს. ეს ყველაზე უკეთ იცის გენიოსმა მწერალმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, მაგრამ ის იმ ეპოქაში ცხოვრობს, სადაც „უმცროსი ძმის“ ისტორიის არც რეალური მბობა შეიძლება, და სადაც მუდმივად საუბარია ამა თუ იმ *(განსაკუთრებით რუსულ)* სამწერლობო გავლენაზე, რომელსაც „განიცდის“ ქართული მწერლობა. როგორც დიდოსტატს სჩვეოდა, ამაზე დაურიდებლად და არა მხოლოდ იქ მყოფთა გასაგონად ხმამაღლა განაცხადებს:

„საქართველოს ისტორიის მიმართ აგდებული დამოკიდებულება არახალია, ძველია. მას ენერგიულად ცეცხლს უნთებდნენ სწორედ ისინი, ვინც რუსთაველს, ილიას, მთელს ჩვენს წარსულს ნაციონალისტურად ასაღებდნენ. ასე რომ, ყოველი გადახედვა ქართველი ხალხის ბრძოლითა და გმირობით სავსე წარსულისაკენ ითვლებოდა ფეოდალური საქართველოსადმი ტრფიალად, წარსულის იდეალიზებად და ბაგრატიონების კვლავ ტახტზე დასმის დონკიხოტურ გალიმათიად“.[15]

დარბაზში მსხდომ მის არაერთ კოლეგას გაახსენდებოდა სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა და იქ გამართული ერთი დიალოგი.

1926 წელი. 22 თებერვლის სხდომა. *(სტენოგრაფიული ანგარიში)* ფრაგმენტი კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლიდან:

„თუ აიღე ბაგრატიონების ხანა, იტყვიან, ბაგრატიონების მომხრეა, როიალისტიაო. თუ მენშევიკების ხანას შეეხე, იტყვიან – ეს შინაური ემიგრაცია არისო. თუ დღევანდელზე დაწერე, აქ ეჭვის თვალით შემოგხედავენ ზოგიერთები... ერთხელ მე... ვარდინმა წამომაძახა: გამსახურდია თამარ დედოფლის პარტიისააო, როიალისტი არისო (ხმა: შოთასაც უყვარდა თამარი). თამარს ჩვენ ვეტრფით, როგორც უმშვენიერეს ქართველ ქალს, საქართველოს პოეტების და ხელოვნების მფარველს, დამოუკიდებელ საქართველოს კულტურის სიმბოლოს... და განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე არსებულ საქართველოს თოფს ვესვრი?“[16]

ისე, კაცმა რომ თქვას, თუკი არსებობდა რუსთაველის პარტია ვინმე ევგენი დვალის თავმჯდომარეობით, რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო თამარის პარტიაც?! იმავე მწერლის ერთი რეპლიკაც: „ამ გმირებს ქომაგი და პატრონი სჭირდება“. **ქომაგი და პატრონი!**

დავსვათ კითხვა: არის თუ არა სხვადასხვა ფუნქციისა და მოტივაციის სახელმძღვანელოში შეტანილი ისტორიული ამბავი და მასშტაბური მკითხველისათვის გათვალისწინებული მონათხრობი – ქვეყნის ღირსეული, ამაყი თავგადასავალი, ულამაზესი (ფიზიკურად თუ სულიერად) გმირები, ცოდვილი საქციელის ჩამდენნი, დანაშაულის წინასწარ დამგეგმავნი და არცთუ იშვიათად აღმასრულებელნი, საქართველოსათვის თავშეწირულები, ისეთი პირადი ფათერაკებითა და სიყვარულით, რომელთა ამბავი მსოფლიოს ნებისმიერ წიგნის თაროს დაამშვენებდა.

ისევ იაკობ გოგებაშვილს დავუბრუნდეთ.

„ისტორიულ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიყვარული თავისი ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მისი სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის,

---

15 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებები, რვატომეული, ტ. 7 გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1965, გვ. 538.

16 კ. გამსახურდია, ქართველ მწერალთა ყრილობა, სახელგამი, თბ., 1926, გვ. 50.

უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდ თაობას შორის მაღალი ზნის პრინციპებისა", – მიიჩნევდა დიდი პედაგოგი.[17]

„თავისი სარგებლობის დავიწყება" ქვეყნის საკეთილდღეოდ და მისი წარმატებისთვის. როგორც მწერალი თავად არ ცვლიდა ფაქტს, ისტორიას, თუმცა გმირს მონანიების შესაძლებლობას აძლევდა. ეს ორგვარად შეგვიძლია, წავიკითხოთ: მონანიება ხომ დანაშაულის, ცოდვის აღიარებაა; თან უნდა ისწავლო, რომ შეცდომის აღიარება რთულია, მაგრამ საჭირო. ასე „ალამაზებდა" მხატვრულ პერსონაჟად ქცეულ ისტორიულ გმირს და არა ამბავს. ვფიქრობ, ეს იდეური ფორმულა იქცეოდა ხოლმე მის ტექსტებში ესთეტიკურ კრედოდ.

RUSUDAN NISHNIANIDZE

Iakob Gogebashvili – Aesthetic formula or Ideological credo

Summary

Iakob Gogebashvili is the author of great and important books. Georgian scientific as well as literary criticism has been repeatedly analyzed for its merits and literaty heritage. This time, I want to focus on the historical storyes. More precisely, on one of them.

The literary letter presents articles written in emigration dedicated to the merits of a great teacher. In discussing the historical narrative, literary parallels are cited several decades later, from texts written in the same era. The critical opinions expressed on them are analyzed.

Iakob Gogebashvili's great contribution to the development of Georgian artistic speech and pedagogical science.

17 ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. 4, გამომც. „საბჭოთა საქართველო" თბ., 1974, გვ. 315.

საქართველოს მეგობართა ასოციაციები ევროპაში (1920-1930-იანი წლები)

1921 წლის ოკუპაციის შემდეგ საქართველოდან ლტოლვილებს დახმარება გაუწიეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა: „ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა“, „შრომის საერთაშორისო ბიურომ“, „წითელმა ჯვარმა“ და სხვა. ოკუპაცია ბევრმა ევროპელი მოღვაწემ და სახელმწიფომ გააპროტესტა, ლტოლვილებს ბევრიც დაეხმარა. ყველაზე მეტი საფრანგეთმა მიიღო, მათ შორის მთავრობის წევრები, სცნო დამოუკიდებელი სქართველოს ლეგაცია პარიზში და საერთაშორისო ასპარეზზე დიდი მფარველობა გაუწია. ოკუპაციისთანავე საქართველოს მთავრობამ და საპარლამენტო პარტიებმა სხვადასხვა ორგანიზაციების სხდომებზე, სამშვიდობო, სამხედრო, ეკონომიკურ კონფერენციებზე, კონგრესებზე დაიწყეს ოკუპაციის საკითხის გახმაურება. გამოდიოდნენ სიტყვით, აცნობდნენ საქართველოს ოკუპაციის საკითხს, უცხოური პრესაში ბეჭდავდნენ წერილებს, გამოსცემდნენ ბროშურებს, წიგნებს. საქართველოს მხარდამჭერი არაერთი რეზოლუცია მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციებმა. 1930-იან წლებში რუსეთმა ბევრ მათგანში და ერთა ლიგაშიც შეაღწია, მაგრამ, მრავალი მხარდამჭერის წყალობით, II მსოფლიო ომამდე საქართველოს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.[1]

საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად მნიშვნელოვანი იყო ისეთ ორგანიზაციათა მოღვაწეობა, რომლებშიც საქართველო შედიოდა როგორც ასოციაცია ან სექცია: „ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებაში“ შემავალი „ქართული ასოციაცია ერთა ლიგისათვის“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ ქართული სექცია, „მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის“ ქართული სექცია, „მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს სასარგებლოდ“. ქართულ ემიგრაციას ასევე მხარში უანგაროდ ედგნენ „დამხმარე კომიტეტები“: 1921 წელს ინგლისში სერ ს. ე. მორისის მიერ შექმნილი „საქართველოს დამხმარე კომიტეტი“, 1924 წელს შვეიცარიაში ერთა ლიგასთან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის ხარიტონ შავიშვილის და „Journale de Geneve“ რედაქტორ ჟან მარტენის ინიციატივით და თავმჯდომარეობით დაარსებული, სხვადასხვა ეროვნების პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტებისგან შედგენილი „საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი“. „დამხმარე კომიტეტის“ ფუნქციები შეასრულა ნიუ-იორკში მორგანების ბანკის ფინანსისტ ვასილ დუმბაძის ინიციატივით დაარსებულმა და ცნობილი ამერიკელი მოღვაწეებიგან შემდგარმა „ამერიკულმა საზოგადოებამ კავკასიისათვის“, სენატორ ჰენრი ვილსონის (1926) და „საქართველოს უფლებათა დაცვის ამერიკულმა კომიტეტმა“ (1929) დიპლომატ ლეონ ვილსონის ხელმძღვანელობით.[2]

---

1 რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ. 2007, გვ. 48-79.

2 იქვე.

ეს კომიტეტები ახმაურებდნენ საქართველოს ოკუპაციის საკითხს ერთა ლიგის და სხვადასხვა ორგანიზაციების ტრიბუნიდან; უგზავნიდნენ მათ საქართველოს მხარდამჭერ მიმართვებს ან რუსეთის წინააღმდეგ საპროტესტო მემორანდუმებს; იწვევდნენ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს და ლტოლვილი მთავრობის წევრებს, ისმენდნენ მათ გამოსვლებს; მართავდნენ საზეიმო სხდომებს, მიღებებს, ბანკეტებს, ქართულ კონცერტებს, ატარებდნენ საქართველოს დღეებსა და კვირეულებს, ზეიმობდნენ 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და ა.შ. ყველა ამ საქმიანობაზე ინფორმაციას აწვდიდნენ ინგლისურ, შვეიცარულ, ფრანგულ, ამერიკულ პრესას და რადიოს. მორგანების ბანკის ფინანსისტ ვასილ დუმბაძის მცდელობით „ამერიკულმა საზოგადოებამ კავკასიისათვის“ მიიწვია ცნობილ იურისტთა კომისია, განიხილა საქართველოს საკითხი, დაასკვნა მისი დამოუკიდებლობის უდაო უფლება და ევროპაში გახიზნულ დემოკრატიულ მთავრობის კანონიერება, ამერიკის სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ კი ორჯერ განიხილა საქართველოს საკითხი. 1926 წელს ამ სხდომათა ოქმებით, 22 დამატებით, 17 ფოტოთი, საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა. 1929 წელს „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტის“ მცდელობით საქართველოს საკითხი კონგრესში ისევ დადგა. „ბილი“ კანონმდებლებს მოუწოდებდა გამოესწორებინათ წინამორბედთა შეცდომა: ეცნოთ ქართველი ერის დამოუკიდებლობის უფლება. კანონის მიღების შემდეგ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლად ვასილ დუმბაძე დამტკიცდა[3] და ამერიკის ხელისუფლებამ ამით ფაქტობრივად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც არ გააკეთა 1920 წელს.

ყველა ამ აქტივობას თვალყურს ადევნებდა ქართული ემიგრანტული პრესა, ეხმაურებოდა, ბეჭდავდა და აცნობდა ქართველ ემიგრანტებს. ამ მხრივ განსაკუთრებულია პარტიათა გაერთიანების ჟურნალ „დამოუკიდებელი საქართველოს“ როლი, რომელიც 1926-1939 წლებში გამოდიოდა პარიზში.

„საქართველოს დამხმარე კომიტეტების“ გვერდით გაჩდნენ „საქართველოს მეგობართა“ კომიტეტები და ასოციაციები. პირველი ასეთი ორგანიზაცია შვეიცარიაში „ფრანგულ-აღმოსავლეთის კომიტეტში“ შეიქმნა. ეს იყო „კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ერების მეგობართა კომიტეტის“ ფრანგული სექცია, რომელშიც საქართველოს წარმოადგენდა ლტოლვილი მთავრობის სრულუფლებიანი მინისტრი კაკი ჩხენკელი. კომიტეტის მიზანი იყო ამ ერთა დაახლოება მოხსენებებით, საღამოებით, ბანკეტებით, წიგნაკების, ფურცლების გამოშვებით. კომიტეტს სურდა დასავლეთ ევროპაში სსრკ ყველა ჩაგრული ერის ცენტრი გამხდარიყო ისე, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედი „პრომეთე“. მასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და ხშირად აწყობდნენ ერთობლივ ღონისძიებებს. 1932 წლის 5 დეკემბერს იენის დარბაზში სხდომას ესწრებოდნენ კავკასიელები, უკრაინელები, თურქესტანელები, ფრანგები. მოხსენებები „ჩაგრულ ერებს“ შეეხებოდა. გამოფენილი იყო 4 ერის სამხატვრო და სამწერლობო ნიმუშები. სხდომის შემდეგ ბანკეტი საუზმე მოეწყო, სადაც ამ ერების ქალ-ვაჟთა წყვილებმა ეროვნული ცეკვები და სიმღერები შეასრულეს.[4] 1936 წელს მიიწვიეს ჟან მარტენი. მან წაიკითხა მოხსენება „კავკასიაში მოგზაურობა“ და აჩვენა მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოები. კრება „ფრანგულ-აღმოსავლეთის კომიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტმა ვიკონტ

3 რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბ. 2014, გვ. 46-49.

4 კავკასია-უკრაინის დღე, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1932, N84, გვ.13

დე ლეზიმ დახურა.[5] 1937 წელს ასოციაციის მიწვევით, უკრაინელმა პროფესორმა სლავინსკიმ სსრკ-ს ერთა პრობლემებზე ლექცია წაიკითხა. მანამდე ყველას ჰქონდა გამოსვლები, მათ შორის რუსებსაც, მაგრამ ეს იყო შემაჯამებელი და ყველა ერს ეხებოდა.[6] 1938 წელს „ჩაგრულ ერებზე" საინტერესო მოხსენება წაიკითხა „Journale de Geneve"-ს საგარეო პოლიტიკის რედაქტორმა ბრიკემ. მან განსაზღვრა ამ ერთა იურიდიული სტატუსი და დაასკვნა, რომ ერთა ლიგა ვალდებულია მათი უფლებები დაიცვას.[7]

„კავკასიის, თურქმენეთისა და უკრაინის ერების მეგობართა კომიტეტი" საპროტესტო პოლიტიკურ განაცხადებებსაც აკეთებდა: 1936 წლის 25 სექტემბერს ერთა ლიგას გადასცეს მემორანდუმი, რომ შეუძლებელია მშვიდობის უზრუნველყოფა თუ აღმოსავლეთ ევროპაში არ იქნება დაცული საბჭოების მიერ დაჩაგრული ერთა ინტერესები, 28 სექტემბერს კი – მემორანდუმი კავკასიის პრობლემებზე.[8] 1938 წელს კომიტეტმა ყველა სახელმწიფოს მთავრობებს მემორანდუმი დაუგზავნა 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუციის გამო, რომელმაც კიდევ უფრო შეზღუდა ეროვნულ სახელმწიფოთა უფლებები.[9]

ყველზე ქმედითი საფრანგეთში არსებული „საქართველოს მეგობართა ასოციაციის" საქმიანობა იყო, რომელიც 1928 წლის 25 თებერვალს პარიზის სოციალურ მუზეუმში შეიქმნა. კრებას 140 კაცი ესწრებოდა: ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები. ასოციაციის პრეზიდენტად საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი, ქართველთა ძველი მეგობარი აბელ შევალიე აირჩიეს; ვიცე-პრეზიდენტად – პრინცესა აშილ მიურატი (სალომე დადიანი); საპატიო თავმჯდომარეებად – სოციალური მუზეუმის დირექტორი გეორგ რისლერი, ჟან მარტენი და საქართველოს სიძველეთა აღმწერი ბარონი დე ბაი; გენერალურ მდივნად – სტუდენტთა საზოგადოების მზრუნველი თელიკო კოკე-ნიკოლაძის მეუღლე პოლკოვნიკი ლუი კოკე (შემდეგ – მიშელ ფლორიზოლი, საქართველოში იტალიის ყოფილი კონსული), ხაზინადრად – „ლიონ ბანკის" დირექტორი პერე, მდივნად – ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი არნაულ დანდიუ. ასოციაციის წევრები იყვნენ: ჯონ ვილემსი, ჟიულ კლაინი, გენერალი პატე, ალბერ დემოლონი, ვიქტორ ბაბე, პიერ ფორესტი, ჯეიმს სტეფენსი. 1928 წლის 15 ივლისს მიიღეს სტატუტი და ორგანიზაცია ახლი წევრებით შეივსო. 1929 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა საზოგადოების წესდება, 15 აგვისტოს კი აღმასრულებელი ორგანოები შეიქმნა. ასოციაცია 20-30-კაციან კომიტეტს ირჩევდა, კომიტეტი – ბიუროს. მიზანი იყო ქართველებთან ურთიერთობის გაღრმავება და მათი მხარდაჭერა, საქმიანობის ფორმა – ლექცია-მოხსენებები, გამოცემები, ინფორმაცია, სტუდენტთა დახმარება და ა.შ.[10]

1930 წელს „საქართველოს მეგობართა ასოციაციამ" საქმიანობა დადგენილი გეგმით დაიწყო: 26 იანვარს წმ.ნინოს პატივსაცემად, კათოლიკური საზოგადო-

---

5 ჟან მარტენის მოხსენება, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1936, N121, გვ.11-13.

6 ალ-ნი, პროფესორ სლავინსკის მოხსენება, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1937, N135, გვ.12-13.

7 ერთა ლიგა და დაჩაგრული ერები, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, N134, გვ.15-16.

8 ერთა ლიგის კრება და კავკასიის ერები, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, N128, გვ.3-5.

9 მემორანდუმი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, N143, გვ.15.

10 საქართველოს მეგობართა საზოგადოება, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1929, N39, გვ. 16.

ების ინიციატივით წირვა გადაიხადეს. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო – ქართველებიც და ფრანგებიც. გამგეობის წევრმა მღვდელმა შანუან ქენემ წმ. ნინოსა და ქართულ კულტურაზე ისაუბრა.[11] დიდი წარმატებით ჩატარდა „ქართული საღამოები". 8 თებერვალს გაიმართა ღონისძიება ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა სასარგებლოდ. 11 თებერვალს ასოციაციის გამგეობამ, აბელ შევალიეს შესავალი სიტყვით, მოისმინა თავმჯდომარის მოადგილე მაგდა მიურატის (სალომე დადიანის რძალი) მოხსენება „ოქროს ვერძის ქვეყანაში". პროექტორით ნაჩვენები იქნა საქართველოს ცხოვრების ამსახველი სურათები. „საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის" მიწვევით, 29 მაისს მან ეს ლექცია ჟენევაშიც წაიკითხა; აუარებელი ხალხი დაესწრო და დიდი ყურადღებითაც მოისმინეს. მოხსენების შინაარსი ჟენევის გაზეთებმა გამოაქვეყნეს. მაგდა მიურატი კი შემოდგომისათვის ამ მოხსენების წასაკითხად ლოზანაში მიიწვიეს.[12] 27 თებერვალს ჩატარდა „ნინოობა", 4 მარტს – ბალი. როგორც აღნიშნავდნენ, წინა წლებზე უკეთესი და უფრო ბრწყინვალე. მაშინ, როცა პარიზში 10.000 ემიგრანტია და მათგან ქართველი მხოლოდ 1.000, ასეთი ბალი არავის, ფრანგებსაც არ გაუმართავთო. ზეიმს ესწრებოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, პოლონელები, უკრაინელები, კავკასიელები. „დარბაზი ახალი სტილის, პარიზის საუკეთესო უბანში, მოწყობილობა, ჩასაცმელი მდიდრული, მუსიკა სულ პირველი, ქართული შნო და ზომიერება. დივერტისმენტებში: დარბაისლური ლეკური (2 წყვილი), მარდი ნაურსკი, ქართული ჰანგები (ბ. ნანობაშვილი), უცხოური რომანსები (ქ.ბ. მაკ-კორმიკ), აღმტაცი ბალეტი (11 წლის თუმანიშვილის ასული, დიდი ოპერის ვარსკვლავი), პარიზის წლევანდელი „სილამაზის დედოფლის" გამოჩენა", – წერდა ბალზე დამსწრე და ხაზს იმასაც უსვამდა, რომ წვეულებამ, საქველმოქმედო მიზნების გარდა, ქართულ ეროვნულ საქმეს დიდი სამსახური გაუწია.[13]

იმავე წლის 12 ივნისს გეოგრაფიული საზოგადოების დარბაზში მრავალრიცხოვანი მსმენელს წინაშე შანუან ქენემ წაიკითხა მოხსენება „ქრისტიანობა და რელიგიური ხელოვნება საქართველოში" ეკლესიების და საეკლესიო მხატვრობის ამსახველი სურათების პროექციით. მას თითქმის არ დაუტოვებია საქართველოს და ეკლესიის ისტორიის არც ერთი ღირსშესანიშნავი ეპოქა: წმ. ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გელათი და მისი აკადემია, ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსთა რუსიფიკატორული პოლიტიკა, ბრძოლა ავტოკეფალიისათვის, დამოუკიდებლობის აღდგენა, ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა, ოკუპაცია, კათალიკოს ამბროსის თავდადებული ბრძოლა და „მოსკოვის მიერ დღევანდელი განადგურებული საქართველოს ეკლესია". მოხსენება დიდი ინტერესით მოისმინეს და მომხსენებელი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.[14]

1931 წლის 20 იანვარს პარიზში, „საკრე კიორის" ტაძარში წმ. ნინოს ხატი დაასვენეს. უამრავი ხალხი დაესწრო. შეკრებილთ შ. ქენემ მიმართა, ქართველთა სახელით სამადლობელი სიტყვა წარმოქვა აკ. ჩხენკელმა.[15] წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსების შემდეგ ხატი იქ გადაიტანეს და ყოველ

---

11 ქართველები საფრანგეთში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1930, N49, გვ. 16.

12 ქ-ნ მ. მიურატის მოხსენება „ოქროს ვერძის ქვეყანაში", ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1930, N50, გვ. 11-12, N51, გვ. 16.

13 ქართული ტრადიციული ბალი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1930, N54, გვ. 15.

14 ინ-განი, მოხსენება შანუან ქენესი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1930, N54, გვ. 16.

15 მეგობარი, ქართული ეკლესია პარიზში, გაზ.„თეთრი გიორგი", პარიზი, 1931, N41, გვ. 8.

27 იანვარს ნინოობას დიდი ზეიმით და ქართული ბალით აღნიშნავდნენ. იმავე წლის 11 ოქტომბერს, საქართველოს შესახებ პრინცესა დადიანის ინიციატივით მოწყობილ ფრანგულ კონფერენციაზე შალვა ბერიძემ წაიკითხა მოხსენება „გველის მჭამელი“ ქართული პოემა“, შემდეგ მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ განხილვა.[16]

1932 წლის 26 თებერვალს შანზელიზეს სალონებში ასოციაციამ საქართველოს საღამო ჩაატარა. ესწრებოდნენ უცხოელებიც. შამპანურს ყიდდნენ ქალბატონები: მ. კოსტი, მ. ერისთავი და ყარაბაღელი ბ. ბაჟენოვა. უკრავდა შავკანიანთა ჯაზი. 2 თარის თანხლებით ლეკური შეასრულეს კერეფოვმა, ჯამბეტმა და ქ-ნ შკოვიმ. 7 მაისს ოტელში „გეორგ V“ უმუშევართა და ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დასახმარებლად, მომღერალ მიშელ დარიალის (მიხეილ ნანობაშვილი) მონაწილეობით, ასოციაციამ პრინცესა მიურატის დიასახლისობით დიდი ქართული საქველმოქმედო საღამო გამართა.[17]

1933 წლის 10 მარტს „საქართველოს მეგობართა ასოციაციამ“ ქ-ების ამირალ გეპრატისა და მაგდა მიურატის დიასახლისობით, რომელსაც ქართული კაბა ეცვა, პარიზის საუკეთესო დარბაზში ქართული საქველმოქმედო ბალი მოაწყო. შესრულდა ქართული და ევროპული ცეკვები, შემოსავალი კი ელენე აფხაზის მიერ დაარსებულ „ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოებას“ გადაეცა.[18] იმავე წლის 8 მაისს „ფრანს-ორნატის“ დარბაზში ასოციაციის თავმჯდომარემ ადმირალმა გეპრატმა წაიკითხა მოხსენება „ზღვა და მეზღვაურები“. იგი საქართველოს საკითხსაც შეეხო და ქართველი ახალგაზრდობის დახმარებისათვის თელიკო კოკე-ნიკოლაძეს მადლობა გადაუხადა. სიტყვით აკ. ჩხენკელიც გამოვიდა. მერე ფრანგულ ფლოტზე ფილმი აჩვენეს, თავმჯდომარის მოადგილის, ადმირალ მორნეის ხელმძღვანელობით მელო-დეკლამაციის ნომრები შესრულდა. მხატვრულ განყოფილებას ქ-ნი გეპრატი უძღვებოდა.[19]

საფრანგეთის კვალდაკვალ „საქართველოს მეგობართა ასოციაცია“ 1928 წელს ინგლისშიც შეიქმნა. ასოციაციამ 22 ნოემბერს პირველი ღონისძიება ჩაატარა. ლონდონის ხელოვნების აკადემიაში“ ახალგაზრდა მოგზაურმა და მწერალმა უილიამ ალენმა ლექცია წაიკითხა საქართველოზე. ალენი პირველად დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, 1918 წელს დაინტერესდა საქართველოთი, მარი ბროსეს წიგნებით შეისწავლა ქართული ენა, ისტორია, ლიტერატურა. 1925 წელს იმოგზაურა საქართველოში, 1928 წელს – ოსმალეთის საქართველოშიც. მსმენელებით სავსე აკადემიის დიდ დარბაზში, ქართული კოლონიის წევრების გარდა, ალენის (რომელიც „დედის მხრიდან ლორდი ბაირონის ჩამომავალია“) ლექციას ინგლისის მაღალი საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის, ალენის სიძე, გამგეობის წევრი, გამოჩენილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე ლორდი ლილეისი, ეგვიპტეში ყოფილი უმაღლესი კომისარი, „პალესტინის გმირი“ ლორდი ალენბი, ყოფილი უმაღლესი კომისარი საქართველოში ოლივერ უორდროპი და პარიზიდან – აკაკი ჩხენკელი.[20]

---

16 ქართული ემიგრაციის მიერ ჩატარებული ლიტერატურული საღამოებისა და შეკრებების მოსაწვევი ბარათები და პროგრამები, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 1992, გვ. 411.

17 ქართველები პარიზში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1932, N75-76, გვ. 16.

18 ქართული ბალი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1933, N87, გვ. 16.

19 ქრონიკა, გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1933, N64, გვ. 4.

20 მოხსენება საქართველოზე ლონდონში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1928, N35, გვ. 11.

მალე ასეთივე ასოციაციები პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაშიც შეიქმნა. ისინიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ქართულ კოლონიებთან, ერთმანეთთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლტოლვილთა ყველაზე დიდი ჯგუფი, საფრანგეთის შემდეგ, პოლონეთმა მიიღო, ძირითადად იუნკრები და ოფიცრები ოჯახებით. დამოუკიდებელმა საქართველომ გენერალ პილსუდსკის მეთაურობით პოლონეთის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები მიიღო და როგორც სტუმრები, მთელი წლის სასწავლო და დღიური ხარჯებისგან გაათავისუფლა. პრეზიდენტმა პილსუდსკიმ კი ლტოლვილ ქართველებს დახმარების ხელი გაუწოდა, თავშესაფარი მისცა და საუკეთესო პირობები შეუქმნა, საცხოვრებლით, მაღალანაზღაურებადი სამსახურით უზრუნველყო და საშუალება მისცა კვალიფიკაცია სპეციალიზებულ სასწავლებლებში და სპეციალური კურსებით აემაღლებინათ. პოლონეთის მთავრობისა და საზოგადოების ყურადღებით გარემოცული 80 ქართველი მხედარი მეორე სამშობლოდ ქცეულ ქვეყანას ერთგულად ემსახურებოდა. ვარშავის ქართული სათვისტომო ან „ქართული კომიტეტი“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. არსებობდა „ქართული კლუბი“, „ახალგაზრდული კავშირი“ და სხვა ორგანიზაციები. აქტიური იყო 1925 წლიდან არსებული საზოგადოება „პრომეთე“, რომელიც კავკასიელ ერებს აერთიანებდა. საფრანგეთის შემდეგ მელინ გამიჩ-პოლკანის ხელმძღვანელობით პოლონეთშიც დაარსდა „საქართველოს მეგობართა საზოგადოება“, „საქართველოს დამხმარე კომიტეტის“ პოლონეთის განყოფილება. ის ისეთი ქმედითი არ იყო, როგორც საფრანგეთში, თუმცა კი ქართული სათვისტომოს და „პრომეთეს“ აქციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. განსაკუთრებით ემიგრაციაში პოპულარილი 27 იანვარს „ნინოობის“, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისისა და 27 მაისს „კავკასიის დღის“ აღნიშვნაში.

ქართული ემიგრაცია დიდი ზეიმით და „ქართული ბალით“ აღნიშნავდა „ნინოობას“. პარიზის შემდეგ ყველაზე ხალხმრავალი ზეიმები ვარშავაში ეწყობოდა. 1928 წელს ნინოობა ვარშავაში ქალაქის თვითმმართველობის უზარმაზარ დარბაზში ჩატარდა, რომელიც ქართველებს, ასოციაციის შუამდგომლობით, უფასოდ დაუთმეს. ესწრებოდნენ: პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილე ბარტელი, სამინისტროებისა და უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. საღამო მხიარული და ხალისიანი გამოვიდა. ევროპული მუსიკის შემდეგ ქართულმა ტანსაცმელმა, ლეკურმა და ოპერის თეატრის ბარიტონის გიორგი სიხარულიძის გამოსვლამ პირდაპირ ფურორი მოახდინა. მეორე დღეს ყველას პირზე ეს საღამო ეკერა, ამდენი ხალხი არც ერთ საღამოს არ დასწრებია, მომავალში ალბათ მოკოტოვზე (აეროდრომი) მოუწევთ საღამოს ჩატარებაო,- აღნიშნავდა დამსწრე.[21]

ორი დღის შემდეგ, 27 მაისს იმავე დარბაზებში კავკასიის დამოუკიდებლობის ზეიმი პოლონეთის გამოჩენილმა მწერალმა, სენატორმა ანდრეი სტრუგმა გახსნა. პრეზიდიუმში ისხდნენ: სენატორი სედლიცკი, ყოფილი მინისტრი ხოდკო, უკრაინელი პროფესორი სმალტოცკი. სიტყვით გამოვიდნენ: აზერბაიჯანელები, ქართველები, მთიელები. საზეიმო კინცერტში მონაწილეობდნენ ვარშავის საოპერო და დრამის თეატრის მსახიობები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გიორგი სიხარულიძისა (ბარიტონი) და ბრუაგის (ტენორი) შესრულებით დუეტმა ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ („მურმან-მურმან შენსა მზესა“). საღამოს კავკასიის წარ-

21 წერილი ვარშავიდან, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1928, N27, გვ. 15-16.

მომადგენლებს აღმოსავლეთის ინსტიტუტმა „რაუტი“ გაუმართა, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეებთან ერთად მიწვეული იყო პრესაც. როგორც თვითმხილველი აღნიშნავდა, ამ ღონისძიებამ პოლიტიკური აქციის სახე მიიღო და კმაყოფილი საზოგადოება მხოლოდ ღამის 2 საათზე დაიშალა.[22]

1929 წლის 26 მაისს ვარშავაში ქალაქის თვითმმართველობის დარბაზებში წინა რიგებში ისხდნენ: მთავრობის, უმაღლესი მხედრობის, პოლონეთის საზოგადოების, კულტურული და პოლიტიკური ორგანიზაციების, პრესის წარმომადგენლები, „საქართველოს მეგობართა ასოციციიდან“ – მღვდელმთავარი როპი. 12 საათზე ზეიმი იოსებ სალაყაიამ გახსნა, შემდეგ მწერალმა სეროშევსკიმ ისაუბრა, პერენსკამ კი გაზეთ „გოლოს პრავდაში“ პოლონელ ქალთა სახელით დაბეჭდილი წერილი წაიკითხა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გ. სიხარულიძის მომზადებულმა საკონცერტო განყოფილებამ. ოპერის სოლისტებმა შეასრულეს ქართული რომანსები და დუეტი ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“. 26 მაისის შესახებ პოლონურ ჟურნალ-გაზეთებში წერილები დაიბეჭდა.[23]

1922 წელს მეტეხიდან გასახლებული ქართველები ჩეხოსლოვაკიამაც მიიღო. დაარსდა „ქართველ მოქალაქეთა (ლტოლვილთა) დამხმარე საზოგადოება“, ორი წლის შემდეგ იქ მცხოვრებ ქართველთა რიცხვმა 60-70 მიაღწია და 1924 წელს პრაღაში შეიქმნა „ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება“, „ქართველ სტუდენტთა კავშირი“. პრეზიდენტ მასარიკის წყალობით, ქართველებისთვის ეს ქვეყანაც მეორე სამშობლოდ იქცა. ქართველებს ახალი პრეზიდენტი ბენეშიც თანაუგრძნობდა. საქართველოს ჩეხოსლოვაკიაში მრვალი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც ქართულ კულტურას პოპულარიზაციას უწევდნენ. მათი ინიციატივით, სენატორებისა და დეპუტატებისაგან სენატის თავმჯდომარის ფრიდრიხ სოუკუპის ხელმძღვანელობით შეიქმნა „საქართველოს დამხმარე მეგობართა ასოციაცია“. „ნინოობა“ და „ქართული ბალი“ ჩეხოსლოვაკიაში არ ტარდებოდა, რადგან ქართველთა რიცხვი პრაღაშიც კი დიდი არ იყო, ამიტომ საქართველოს საკითხის გასახმაურებლად ასოციაცია დამოუკიდებლობის დღეს იყენებდა და ყოველ წელს აღნიშნავდა.

1927 წელს 26 მაისი ასოციაციამ პირველად აღნიშნა. დაესწრნენ სენატორები, დეპუტატები, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები.[24] 1928-1930 წლებში 26 მაისს პრაღაში ქართული ემიგრაციის სახლში „კოლხიდაში“ იხდიდნენ. ზეიმს სენატორები და ჩეხოსლოვაკიის სდმპ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სიტყვით გამოდიოდნენ ქართული საზოგადოების თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი და ასოციაციის ხელმძღვანელი ფრიდრიხ სოუკუპი. ქართველებს ულოცავდნენ უკრაინელები, სომხები, ბელორუსები, კაზაკები, მთიელები, რუსები და სხვები. ასრულებდნენ ქართულ და უკრაინულ სიმღერებს. გაზეთი „პრავო ლუდუ“ ქართულ ზეიმს წერილებს უძღვნიდა, ანგარიშები კი ჟურნალ „დამოუკიდებელი საქართველოს“ გარდა, სდმპს პარტიულმა გაზეთმა „ბძოლის ხმამაც“ გამოაქვეყნა.[25]

1931 წელს პრაღაში ქართული ზეიმის ჩატარებას წინ 24 მაისს გაზეთ „პრავო ლუდუში“ გამოქვეყნებული ანონსი უძღვოდა. 26 მაისის ზეიმიც უფრო მასშტაბურად ჩატარდა. „სმიხოვის სახალხო დარბაზს“ ნოე ჟორდანიას ყვავილებით

22 უცხოეთში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1928, N30, გვ. 14.
23 26 მაისის დღესასწაული, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, N42, გვ. 11-12.
24 ქართველები ჩეხოსლოვაკიაში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1927, N18, გვ. 4.
25 26 მაისი პრაღაში, გაზ. „ბძოლის ხმა“, პარიზი, 1930, VI, გვ. 4.

მორთული პორტრეტი და პრეზიდენტ მასარიკის ბიუსტი ამშვენებდა. მრავლად ესწრებოდნენ: ჟურნალისტები, ჩეხი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, ჩრდილო-კავკასიელი და რუსი პოლიტიკოსები. არზაყან ემუხვარმა შეკრებილთ ქართულად მიმართა, ემელიანე ლომთათიძემ – ჩეხურად. სდმპ-ს წევრმა, სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ლაბერმანმა ჩეხეთის ბედი საქართველოს შეადარა. გამოვიდნენ: ფ. სოუკუპი, უკრაინელი, რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების სტუმრები. ბოლოს უკრაინელმა მუსიკოსმა ქალმა ქართული ჰიმნი „დიდება“ შეასრულა.[26]

1930-იან წლებში ეკონომიკის აღმავლობამ გერმანიასა და საფრანგეთში, მუშახელზე დიდმა მოთხოვნილებამ, იმ ქვეყნებში ქართველთა ემიგრაცია გამოიწვია, ამიტომ 1936 წელს ჩეხოსლოვაკიაში მხოლოდ 20-მდე ქართველი დარჩა. ქართულმა ემიგრაციამ 1937 წლის „მიუნხენის შეთანხმებით“ შექმნილი მასპინძელი ერის მდგომარეობა გაითვალისწინა და ეს დღე უცხოელი სტუმრების გარეშე აღნიშნა,[27] ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიის ინვაზიამ დარჩენილი ქართველებიც აიძულა თავშესაფარი დასავლეთში ეძიათ.

1939 წელს II მსოფლიო ომის დაწყებამ არა მარტო ევროპის ქვეყნებში მოქმედი „საქართველოს მეგობართა ასოციაციების“, არამედ სხვა ქართული ორგანიზაციების საქმიანობაც შეწყვიტა.

ამრიგად, ინგლისში, შვეიცარიაში და ნიუ-იორკში შექმნილი საქართველოს დამხმარე ორგანიზაციების კვალდაკვალ საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად უდიდესი როლი შეასრულეს ჟენევაში, პარიზში, ლონდონში, ვარშავაში და პრაღაში ჩამოყალიბებულმა „საქართველოს მეგობართა ასოციაციებმა“. მათი მეშვეობით საქართველო ახალ მხარდამჭერებსა არა მარტო ევროპის სამთავრობო წრეებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენებშიც იჩენდა. ისე როგორც ერთა ლიგის კონგრესებისა და კონფერენციების, სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის „საქართველოს მეგობართა ასოციაციების“ განცხადებები და რეზოლუციები საქართველოს საერთაშორისო იურიდიულ სუბიექტად ტოვებდნენ, მაგრამ მას რუსეთიდან თავის დახსნაში ვერ შველოდნენ. ქართველთა და მათ თანამგრძნობთა აქტიურობა პრობლემას მაინც ვერ წყვეტდა – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება კვლავ შორეულ ოცნებად რჩებოდა.

---

26 26 მაისი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931, N66, გვ. 12.

27 26 მაისი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1937, N126, გვ. 11-12.

RUSUDAN DAUSHVILI

Georgian Friends Associations in Europe in 1920-1930

Summary

The article talks about the international organizations of Georgian auxiliary friends in Europe and America in 1921-30. In particular, the French section of the „French-Eastern Committee" on the „Georgian Auxiliary Committees" established in England, Switzerland and the United States. „Association of Friends of the Nations of the Caucasus, Turkmenistan and Ukraine"; Georgian Friends Associations established in Paris and London, similar societies were established in Czechoslovakia and Poland. Thanks to them, Georgia has shown new supporters and sympathizers not only in European and American governmental circles, but also in the wider society. The resolutions of these organizations left Georgia as an international legal entity, but they could not help to save Georgia from Russia. The activism of Georgians and their sympathizers did not solve the problem – restoring Georgia's independence and returning refugees to their homeland remained a distant dream.

დავით ყოლბაია, შორენა მურუსიძე

იოსებ სალაყაია (1881-1940) – საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენელი პოლონეთში. წერილები 1923-1931

ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იოსებ სალაყაია დაიბადა 1881 წელს, სენაკის მაზრის სოფელ თეკლათში. ახალგაზრდობის პერიოდიდან შეისწავლა და გაიზიარა მარქსისტული იდეოლოგია და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) წევრი გახდა. რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაში საქართველოც შედიოდა, რევოლუციური საქმიანობის გამო პოლიტიკურ დევნას განიცდიდა, ამიტომ იძლებული იყო ემიგრაციაში ეცხოვრა, ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი – ბელგიაში. უმაღლესი განათლება მიიღო ბელგიაში ყოფნის დროს, სადაც დაამთავრა ელექტროტექნიკის ინსტიტუტი. 1917 წელს რუსეთის იმპერიაში მომხდარი თებერვლის რევოლუციისა და მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა სამხრეთ კავკასიაში, სადაც უკვე ყოფილი რუსეთის იმპერიის რღვევის პროცესის პარალელურად, ეროვნული გაერთიანებები იქმნებოდა, რომელთაც ხელში უნდა აეღოთ ადგილობრივი მმართველობა. 1917 წლის 19-23 ნოემბერს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის წევრი გახდა იოსებ სალაყაიაც. 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებისა და რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის გავლენიანი პოლიტიკური პარტიები საბოლოოდ ჩამოშორდნენ რუსეთს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გზას დაადგნენ. 1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელმაც დიდხანს ვერ იარსება. მასში შემავალი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შეუთანხმებლობის გამო, 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა. იმავე დღეს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. საბჭოს თავმჯდომარემ და ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს სხვა პირებთან ერთად, ხელს აწერს იოსებ სალაყაიაც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921) იოსებ სალაყაია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით იყო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი: 1918 წლის განმავლობაში პარლამენტის, ხოლო, 1919 წლიდან დამფუძნებელი კრების წევრი. დეპუტატობის დროს იგი იყო საკანონმდებლო ორგანოს თვითმმართველობის, საბიუჯეტო-საფინანსო და გარეშე საქმეთა კომისიების წევრი. მას ასევე ეკავა, ერობათა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარის ამხანაგის და სენაკის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა.

იოსებ სალაყაია 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. ის ემიგრაციაში მყოფ მთავრობასთან ერთად აქტიურად იბრძოდა საქართველოს შელახული უფლებების აღსადგენად და ქვეყნის დეოკუპაციისათვის. იგი 1923-1933 წლებში იყო პოლონეთში ქართული კომიტეტის თავმჯდომარე და ემიგრაციაში მყოფი პირველი რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი პოლონეთში.[1] იოსებ სალაყაია 1926 წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ევგენი გეგეჭკორთან ერთად, მონაწილეობდა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონგრესის მუშაობაში, სადაც დააყენეს საქართველოს საკითხი და პოლონელ კოლეგებს მხარდაჭერა სთხოვეს. პოლონეთში ქართული კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს, იოსებ სალაყაია თანამშრომლობდა პოლონეთის მთავრობის ოფიციალურ პირებთან. პოლონეთში აკრედიტებულ სხვა სახელმწიფოს ელჩებს სთხოვდა დახმარებოდნენ ქართველ ემიგრანტებს. იოსებ სალაყაია პოლონეთში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, იქ მყოფი ქართველების შესახებ პარიზში საყურადღებო ცნობებს აწვდიდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის წევრებს.

1933 წელს იოსებ სალაყაიამ საკუთარი სურვილით დატოვა პოლონეთში ქართული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა და საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1940 წელს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ იოსებ სალაყაია საფრანგეთში, ქ. ანჟეში მყოფ პოლონეთის დევნილ მთავრობასთან საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად მიავლინა. როცა გერმანულმა არმიამ პარიზი დაიკავა, იგი პოლონეთის დევნილ მთავრობას ინგლისში არ გაჰყვა. მან 1940 წლის 14 ივნის ქ. ანჟეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იქვე დაკრძალეს. ომის დასრულების შემდეგ, 1948 წელს ქართველმა ემიგრანტებმა მისი ნეშტი გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.[2] ამ ფაქტს გამოეხმაურა პარიზში გამომავალი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს პერიოდული ორგანო „ჩვენი დროშა“, სადაც ქართველმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა სოსიპატრე ასათიანიმა იოსებ სალაყაიას წერილი მიუძღვნა. იგი მას ასე ახასიათებს: „მისი იდეალი: დემოკრატიით სოციალიზმის განხორციელება – საერთო ბედნიერების დამყარება, მისი საყვარელი ერის თანასწორი უფლებებით საერთაშორისო ოჯახის წევრად გახდომა – შეურაცხყვეს – და ისიც სასო-

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბილისი, 2016, გვ. 355.

2 სოსიპატრე ასათიანი, იოსებ სალაყაია (მისი ლევილში გადმოსვენების გამო), ჟურნ. „ჩვენი დროშა“, 1949, №1, პარიზი, გვ. 40-41.

წარკვეთილებამ მოიცო – ერის დაპყრობას დიდად განიცდიდა... უწინ მხიარული, საუკეთესო მომავლის იმედებით აღფრთოვანებული, შეუჩერებელი მებრძოლი, დაპყრობის შემდეგ, ძვირად ნახავდით მას მხიარულს, თვით ღიმილიც კი ხატავდა მის მწარე განცდებს. მიუხედავად ათეული წლების გასვლისა – ეს განცდები მასში არ შენელებულა!...“[3]

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია იოსებ სალაყაიას წერილები გაგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასთან, საფრანგეთში საქართველოს წარმომადგენელ აკაკი ჩხენკელთან, სოსიპატრე ასათიანთან, შინაგან საქმეთა მისნიტრს ნოე რამიშვილთან და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კონსტანტინე კანდელაკთან. დოკუმენტების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1923-1931 წლებს. წერილები გაგზავნილია ვარშავიდან პარიზში. იოსებ სალაყაიას საარქივო დოკუმენტები მნიშვნელოვანი წყაროა პოლონეთში ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლისა და პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით.

1. იოსებ სალაყაიას წერილი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანს[4]

კერძო წერილი
15/I 1923 წ. ქ. ვარშავა

ჩემო ჭიჭიკო![5]

მხურვალე სალამი. მაპატიე რომ ამდენი ხნის განმავლობაში გაჩუმებული ვიყავი, მაგრამ მერწმუნე ისეთ პირობებში ვცხოვრობდი და იმდენად ვარ დატვირთული, რომ ვერ ვიცლი. ერთი რამ მაინც მოვიშორე, დღეიდან ოთახი მაქვს, ამ მხრივ ნამდვილად ბედნიერი ვარ. ვერ წარმოიდგენ როგორ დავიტანჯე. სამი თვე გაყინულ ოთახში! ანი კი ვიმედოვნებ უფრო ხშირ-ხშირად მოგწერ. როგორ არის ჩემო ჭიჭიკო ჩვენი საქმე. ნუთუ კიდევ დიდი ხნით ვიქნებით განწირულნი. ვღებულობ შენგან აკაკის[6] მოხსენებებს. მადლობელი ვარ რომ რეგულარულად

---

3 იქვე, გვ.41.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 732, ფურც. 1-2.

5 სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი (1872-1971) – იურისტი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, საქართველოს სცოალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. რუსეთის იმპერიის პერიოდში ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას. 1919 წლიდან იყო პარიზის სამშიდობო კონფერენციაზე გაგზავნილი ქართული დელეგაციის მდივანი. 1921-1933 წლებში საფრანგეთში საქართველოს საელჩოს პირველი მდივნი. 1933-1947 წლებში იყო საქართველოს საელჩოს ნაცვლად შექმნილი „ქართული ოფისის“ დირექტორი. იყო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის წევრი. მონაწილეობდა ემიგრაციაში მყოფი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაში.

6 აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – სოციალ-დემოკრატი, დიპლომატი, იურისტი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ „ოზაკომის“ (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის) წევრი გახდა. 1917 წელს საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად დაინიშნა. მონაწილეობდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. 1918 წლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის და კომისარიატის წევრი. ხელმძღვანელობდა ამერიკავკასიის დელეგაციას ოსმალეთთან ტრაპიზონსა და ბათუმში გამართული მოლაპარაკეების დროს. 1918 წლინად

მიგზავნი. სამწუხაროდ თითქმის არაფერი მომდის სტამბოლიდან. ეს კი მეტად სამწუხაროა. ძლიერ გთხოვ ჩემო ჭიჭკო, თუ რამე ცნობებს საქართველოს შესახებ ღებულობთ გადმომიგზავნო. ხომ იცი პრესას მაინც თუ ვერ მივაწოდე დროგამოშვებით ცნობები, მთლად მიდუნდება აქ ჩვენი საქმე. ინფორმაციის მიწოდებაც ხომ აუცილებელია ზოგი დაწესებულებებისთვის. ვიმედოვნებ ამას შემისრულებ. ჭიჭიკო! მე თუ გახსოვს გთხოვდი მოგეწოდებინა ჩემთვის რამოდენიმე ეგზემპლიარი გამოსული ბროშურების საქართველოს შესახებ. მივიღე მხოლოდ თითო, რასაკვირველია ამისთვისაც ძლიერ მადლობელი ვარ, მაგრამ ძლიერ მჭირდება ზოგიერთი ბროშურების მიწოდება დაწესებულებებისთვის, ითხოვენ, მეც ვპირდები. გთხოვ შენი ჭირიმე მომაწოდე... მუშაობა მიხდება ჩემო კარგო აუარებელი. თავისუფალი დრო სულ არ მაქვს. მაგრამ რამდენიც უნდა იმუშაო, იმდენი ხალხი მოგვაწყდა შეიძლება შიმშილით ამომეხოცოს. პირდაპირ ვერ წარმოიდგენ რა მდგომარეობაა. მოხსენება გავუგზავნე მთავრობას. ახლა კიდევ აპირებს 25 კაცი ჩამოსვლას. არც ბინა, არც გროში. რა ვქნა არ ვიცი. თვით კომიტეტისათვის ვერ მიშოვია ბინა და სხვაგან დროებით სამჯერ კვირაში ვღებულობ. ეს ყოველივე იცი და არ შეგაწუხებ. სხვა შენ რას შვები. კაცო, არც ერთი წერილი თქვენიანებიდან, ხომ არ მიწყრებიან. მისწერე სარას რათ არ იწერება. ორჯერ მივწერე არცერთზე არ მიპასუხა. მომწერე როგორ არიან ან სად. ანტონი და მისი ოჯახობა როგორ არის. დიდი მოკითხვა. შენ რას შვები, როგორ არიან საერთოდ ჩვენები.

ჭიჭიკო კიდევ ერთი სათხოვარი. აკაკი[7] დამპირდა, რომ როცა ბინა გექნება, გაზეთებს გამოგიგზავნიო. ახლა დღეიდან ოთახი მაქვს, აკაკი კონფერენციაზეა შენ მისი მოადგილე ხარ, ასე რომ მისი დაპირება შენ უნდა შემისრულო ჩემო ჭიჭკო. ძლიერ გთხოვ მომაწოდო რამე გაზეთი, აქ ყიდვაზე ზედმეტია ლაპარაკიც, ჩემი ჯამაგირით, უფრთხი დილას ჩაიც დავლიო. ვალები კი, ოხ რომ იცოდე, როგორ ვისწავლე ვალების აღება. ვიმედოვნებ მალე მოიწერები და ჩემს სათხოვარსაც შემისრულებ. აწი გთხოვ ჩემთვის წერილები შემდეგი მისამართით გამოგზავნო:

J. Salakaia.
Chez Madame Słupska
ul. Emilji Plater 8, m. 8
Warszawa

კიდევ ერთხელ გისურვებ კარგად ყოფნას

შენი იოსები

ეკავა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921 წლიდან დაინიშნა საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად პარიზში, რომსა და ლონდონში. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1933 წლამდე იყო საფრანგეთში ქართული ლეგაციის ხელმძღვანელი. ემიგრაციაში ყოფნის დროს ეწეოდა დიპლომატიურ საქმიანობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, 1922 წელს გამართულ გენუის კონფერენციაზე ცდილობდა საქართველოს საკითხის დაყენებას, ადგენდა ნოტებს და მიმართვებს ბოლშევიკური ხლისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიების გასაპროტესტებლად. თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესასთან და აქვეყნებდა ანალიტიკურ სტატიებს. მის შესახებ იხ.: დ. ჭუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, თბილისი, 2018.

7 აკაკი ჩხენკელი

2. იოსებ სალაყაიას წერილი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანს[8]

10/II [19]23 წ.

ძვირფასო ჭიჭიკო

მხურვალე სალამი. მაპატივე რომ წერილი ასე დამიგვიანდა, მაგრამ ჩემო კარგო გადავყევი ლტოლვილების საქმეს და ვერ ვიცლი, თვით მეგობრებს ხშირად ვწერო. გაზეთებს ვღებულობ რისთვისაც დიდ, დიდ მადლობას გიძღვნი. მივიღე წიგნებიც. მეტად საჭირო იყო ჩემთვის. თუ თავი ყოველთვის არ გაახსენე წიგნებით მაინც, მივავიწყდებით ყველას. ჭიჭიკო როგორ არის ჩვენი მდგომარეობა? რაც დრო გადის მით უფრო ვშიშობ. პოლონეთში, სადაც ძლიერ კარგად გვიყურებენ, აქაც ხშირად გაისმის, რუსეთის დანგრევა არც ასე ადრე მოხდებაო, და მაშასადამე თქვენი საკითხიც, შეიძლება დიდხანს არ გადიჭრასო. ვშიშობ აქაც ერთგვარი ინდიფერენტიზმი არ დაიბადოს ჩვენს შესახებ. მე ჩემო კარგო თუმცა პოლიტიკური მუშაობისათვის დროც ცოტა მაქვს და ამის შეძლებაც არ არის, მაინც კვირაში ერთხელ, ორხელ მაინც ვინმეს გავახსენებ ჩვენს თავს. პრესასაც დრო გამოშვებით ვაწვდი ცნობებს. შეიძლება მეტის გაკეთება მომეხერხებინა, ცოტათი მდგომარეობა უკეთესი რომ იყოს და ლტოლვილებს არ ვყავდე გადაყოლილი. ამ თვის ბოლომდი კიდევ არის იმედი რომ ვარჩენ, შემდეგ ალაჰმა უწყის. წარმოიდგინე მეტად გაძნელდა ვინმესი მოწყობა. აქ წარმოუდგენელი კრიზისია. სიძვირე რა დღეებით, საათობით მატულობს. მთავრობა გამოსავალს ვერ ჰხედავს. სხვა როგორ არის პარიზში საქმე. კაცო რამეს თუ გვპირდებიან? მოიწერე თუ ძმა ხარ წერილი; მომიკითხე ყველა. სარასაგან ეს ორი დღეა რაც წერილი მივიღე, უზომოდ გამიხარდა. რათ არაფერს იწერები ანტონზე. „პაჩოტნი“ ბილეთები რომ გამომიგზავნეთ, მარკების ხარჯი მაინც დაგეფარათ. მეორეჯერ თუ დაგპატიჟოთ...

საღამომ[9] მილიონამდე მოგვცა, მაგრამ როცა 40.000 მანეთის მარტო პურია საჭირო ლტოლვილებისთვის, ეს უკვე გამოილია. მგონი ლტოლვილები მარტში დაღრჩობას დამიპირებენ. ჯერ მშვიდობაა. წერილს უსათუოდ ველი.

შენი იოსები

---

8 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 732, ფურც. 6.

9 „ქართული კომიტეტი პოლონეთში“ ყოველწლიურად ატარებდა ქართულ საღამოებს/ბალს, საიდანაც შემოსული თანხით იხდიდნენ ვალებს, ყიდულობდნენ წიგნებს, ემიგრანტულ პერიოდიკას, ეხმარებოდნენ ხელმოკლე ოჯახებს. კომიტეტის თავმჯდომარე ფინანსების განკარგვის შესახებ ანგარიშს აბარებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს კონსტანტინე კანდელაკს.

3. იოსებ სალაყაიას წერილი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანს[10]

7/IV 1923 წ. ქ. ვარშავა

ძვირფასო ჭიჭიკო!

მხურვალე სალამი. მაპატივე რომ ამდენხანს ვერაფერი მოგწერე, მაგრამ აქაურ მდგომარეობის შესახებ დაწვრილებით გაგაცნობთ კარლო[11]. ჩემო კარგო ახლა წარმოუდგენლივ გართული ვარ საქმეებში. აქ მეტად არასაიმედო პირები ამოსკუპდნენ, იხარჯება დიდძალი ფული, ერთი სიტყვით წყალს ამღვრევენ. კომიტეტის[12] არჩევნები[13] დგება და ეს იწვევს ბნელი ძალების დარაზმვას. მე ვიმედოვნებ ამას ბოლოს მოვუღებ, და მაშინ ვრცელ მოხსენებას გავუგზავნი ბ. ა[კაკი] ჩხენკელს, მანამ კი მოვიცლი. არჩევნები დავნიშნე 27 მაისისთვის. გვინდა 26 მაისიც ვიდღესასწაულოთ. ერთის სიტყვით ყოველივეს თვის ბოლოს შეგატყობინებთ. აქვე გიგზავნი წერილს და ძლიერ გთხოვ გადააგზავნო ლონდონში, რაც შეიძლება დაჩქარებით, მე მისამართი არ მქონდა. გადაუგზავნე ჩემო ჭიჭკო წარმომადგენელს. თუ ძმა ხარ მოიწერე იქაური ამბავი, სარა და ბავშვები სად არიან?

მოკითხვა ყველას. შენი იოსები

---

10 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 732, ფურც. 8r-v.

11 ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) – ქართველი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1921 წლიდან წავიდა ემიგრაციაში და ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას. თანამშრომლობდა ევროპელ სოციალ-დემოკრატებთან. იხ.: „ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე – მემორიალური ალბომი, თბილისი, 2016 კარლო ჩხეიძე 1923 წელს იმყოფებოდა ვარშავაში.

12 გულისხმობს „ქართულ კომიტეტს პოლონეთში“, რომლიც 1920 წლის 1 მარტს დაარსდა. კომიტეტის დაარსება განაპირობა პოლონეთში მყოფი ქართველების რთულმა მდგომარეობამ, მათი ინტერესების დაცვის აუცილებლობამ. მათი დახმარების მიზნით, სერგო ყურულიშვილმა დააარსა „ქართული კომიტეტი პოლონეთში“. პოლონეთში საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის დაარსების შემდეგ კომიტეტის ფუნქციები მისიამ შეითვისა, ამიტომ კომიტეტმა არსებობა შეწყვიტა. თუმცა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 6 ნოემბერს, „ქართული კომიტეტი პოლონეთში“ აღდგა და საქმინობა გააგრძელა. გაერთიანების მიზანი იყო პოლონეთში მყოფი საქართველოს ქვეშევრდმების ინტერესბის დაცვა და დახმარება; ჟურნალ-გაზეთებისა და ბროშურების გამოცემა, რომელიც პოლონურ საზოგადებას გააცნობდა საქართველოს ისტორიას, კულტურას. ასევე, ეწეოდნენ პროპაგანდისტულ საქმიანობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. კომიტეტს თავმჯდომარეობდნენ: 1921-1922 წლებში სერგო ყურულიშვილი, 1923-1933 წლებში იოსებ სალაყაია და 1934-1939 წლებში კოტე იმნაძე.

13 იოსებ სალაყაია ქართული კომიტეტის თავმჯდომარეა 1923 წლიდან. პერიოდულად ტარდებოდა კომიტეტის თავმჯდომარის ხელახალი არჩევნები. აქ საუბარია კომიტეტის თავმჯდომარის მორიგ არჩევნებზე, რომლის შედეგებით იგი კვლავ დარჩა თავის პოზიციაზე.

4. იოსებ სალაყაიას წერილი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანს[14]

27/VI 1923 წ.

ძვირფასო ჭიჭკო!

მხურვალე სალამი და ბევრი, ბევრი კოცნა. ბოდიშს გიხდი, რომ ამდენ ხანს ვერაფერი მოგწერე, მაპატივე ჩემო კარგო. მე მეტად ბევრი სამუშაო დამაწვა, გარდა ამისა ბევრი უსიამოვნებანი, ბ-ნი ყურულიშვილის[15] წყალობით და ამან გამოიწვია შენი „დავიწყება“. ახლა ეს ყოველივე მოგვარდა. ამის შესახებ ოფიციალურად მოგწერეთ. ცოტა ამოვისუნთქე, თუმცა რომ მნახო ვერ მიცნობ, მაინც არ ვიყავი დოვლათი და სულ ძვალ-ტყავად ვიქეცი. ნერვებს კი ნუ იკითხავ. მოგწერეთ მთავრობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ... ახლა ჩემო ჭიჭიკო, თუ კაცი ხარ ნუ დაიზარებ და მოიწერე, როგორ არის ჩვენი საქმე. სანამ დავბრუნდებით მგონი ყველანი ამოგვიხოცონ. რა გვეხმარება არ ვიცი.

ჭიჭიკო! სად არიან შენები, მე დიდი ხანია არაფერი მიმიწერია. თუ ძმა ხარ მამცნე. სარა ალბათ უზომოდ მემდურის. მომწერე თუ დაბრუნდნენ. მშვენიერი მადლენი რას შვება. მინდა წერილი მივწერეო, არ ვიცი მხოლოდ სად არის, ცოტა არ იყოს მისი სიყვარული გულში ჩამრჩა. შენ არ გეწყინოს. გადაეცი მოკითხვა და კოცნა. არც ეს გეწყინოს. თუ ძმა ხარ უთხარი პოლონეთში ჩამოვიდეს, ნუ თუ ასე უნდა დავიწყებათქო? ანტონი და მისი ოჯახობა როგორ არის? მე ძლიერ, ძლიერ ვიხდი ბოდიშს, რომ აქამდე ვერაფერი მივწერე. ძლიერ გთხოვ მისი მისამართი შემატყობინო. მომწერე თუ მოეწყვნენ.

აქაურ გაჭირვებაზე ბევრი გწერეთ და შენ არას გწერ ამაზე. გავიგე რომ აკაკი[16] ლონდონში წასულა. თუ რამე სახეირო კეთდება? ერთი სიტყვით ველი შენგან დიდ წერილს. სახლიდან არავითარი ცნობები არ მომდის, რა ვქნა, არ ვიცი.

გაკოცებ ბევრს, ბევრს შენი იოსები

გთხოვ ყველას მოკითხვა გადასცე. ძლიერ გთხოვ გოგუაძეს ვიზა მოუწყო, ჩემი ჭიჭიკო თუ ხარ.

---

14 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 732, ფურც. 7.

15 სერგო ყურულიშვილი (1894-1925) – ჟურნალისტი, პოეტი და მწერალი. 1918 წელს პოლონეთში წავიდა. ვარშავაში დასახლებისთანავე დაიწყო აქტიური საქმიანობა იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა მცირე ჯგუფთან ერთად პოლონეთის საზოგადოებისათვის საქართველოს გაცნობის თვალსაზრისით. „ქართული კომიტეტი პოლონეთში“ დამაარსებელი. მისი ინიციატივით 1920 წელს დაფუძნდა „საქართველო-პოლონეთის კლუბი“. იყო პირველი, რომელმაც საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პოლონეთის საზოგადოებისთვის ქართული საკითხის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობა დაიწყო.

16 აკაკი ჩხენკელი

5. იოსებ სალაყაიას წერილი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანს[17]

23/I 1924 წ.

ჩემო ჭიჭიკო!

მხურვალე სალამი. მე აგერ თუთხმეტიოდე დღეა რაც ავად ვარ. გავცივდი, ახლა მახველებს და მეტად სუსტად ვგრძნობ თავს. ვინ იცის ეგებ საიქიოსკენ მიხმობენ. შენ და სარა რათ არ იწერებით წერილებს, განა ასე უნდა ძველი მეგობრის დავიწყება?

ჩემო ჭიჭიკო! ქართული საღამო იმართება 24 თებერვალს, აუცილებლად გთხოვ „L'image"[18]-ი გამომიგზავნო რაც შეიძლება მეტი ეგზემპლიარი. თუ საელჩოში საკმაო არ გაქვსთ, შეუკვეთე რაც შეიძლება მეტი და გამოაგზავნე. ფული რაც დაჯდება საღამოს შემოსავლიდან გამოგიგზავნი. ამას ძლიერ გთხოვ ჩემო ჭიჭკო რაც შეიძლება დაუგვიანებლად. თუ არის კლიშეები ისიც გთხოვ იყიდო და გამოაგზავნო. პასუხისმგებლობას მე ვიღებ ჩემს თავზე. მინდა სურათების გაყიდვა საღამოზე. (ალბათ ფული შემოვა). ორ თვეზე მეტია რაც დავიწყე საღამოსთვის მუშაობა და ახლა არ მინდა ჩაინგრეს. მინდა ცოტაოდნავ კომიტეტის მდგომარეობა გამოვასწორო, თორემ ძლიერ გლახათაა საქმე. გაკოცებ ბევრჯერ. ოფიციალურს ვერას გწერთ, ახალი არაფერია, გარდა იმისა, რომ ვიხრჩობით სიძვირით და სიცივით, მოკითხვა ყველას

შენი იოსები

ჭიჭიკო![19] აქ ხმა გავრცელდა რომ ნ. ჟორდანიას ქალიშვილი საქართველოში წავიდაო. გარდა ამისა გოგუაძეს მოუწერია ვილაც ამხანაგისთვის, რომ მთავრობის თავმჯდომარე ნ[ოე] რამიშვილი[20] არისო. ბევრ რამეს ავრცელებენ და ზოგნი იყენებენ ამას, გთხოვ შემატყობინო რამდენად ყოველივე მართალია. მიკვირს, რომ მე მემალება ის, რაც ქვეყანამ იცის. გთხოვ ა[კაკი] ჩხენკელს სთხოვო რომ ზოგიერთი გააფრთხილოს, გლახა სამსახურს გვიწევენ. ჯერ მშვიდობით. შენი იოსები. თუ მალე არ გავემგზავრე, კიდევ მოგწერ. ველი დღითი დღე შენგან პასუხს. გკოცნის შენი იოსები.

---

17 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 732, ფურც. 9-10.

18 საფრანგეთში გამომავალი ჟურნალი. ჟურნალის 1919 წლის ოქტომბრის ნომერი (№221) მთლიანად საქართველოს მიეძღვნა. მასში შედიოდა სტატიები საქართველოს ისტორიის, კულტურის, გეოგრაფიული მდებარეობის და ბუნებრივი რესურსების შესახებ.

19 იგივე წერილის (23/I 1924 წ.) გაგრძელება.

20 ნოე რამიშვილი (1881-1930) – სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე. 1917 წელს აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წელს იყო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი 1918 წლის 26 მაისიდან 24 ივლისამდე. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ დარჩა შინაგან საქმეთა მისისტრად. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კოორდინაციას უწევდა ანტისაბჭოთა წინაღმდეგობის მოძრაობას ემიგრაციაში.

6. იოსებ სალაყაიას წერილი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანს[21]

12/II 1924 წ. ქ. ვარშავა

ბ-ნ ს[ოსიპატრე] ასათიანს

თქვენ მიერ გამოგზავნილი ქაღალდი რამოდენიმე პირთათვის საგ[არეო] სამ[ინისტორს] მიერ გაცემული საფრანგეთში შესვლის ნებართვის შესახებ მივიღე. ჩვენ მივმართეთ ნაციათა ლიგას[22], რათა დახმარება გაეწია გადამგზავრებაში. ლიგის წარმომადგენელი მზად არის გაგვიწიოს დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წამსვლელი რიცხვი საკმაოდ დიდი იქნება. იგივე წარმომომადგენელი გვპირდება, რომ ყველა იქნება სამუშაოზე მოწყობილიო. რადგან ჩვენს კომიტეტში მთელ რიგ პიროვნებას ჰქონდა შემოტანილი თხოვნა საფრანგეთში გაგზავნისა, ჩვენ გადავწყვიტეთ ყველა ამ პირთა გადაგზავნა. მით უმეტეს რომ გვპირდებიან ყველას სამუშაოზე მოწყობას, და მაშასადამე არავინ მთავრობას არ შეაწუხებს. ყველას ხელწერილიც ექნება ჩამორთმეული, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიმართავენ დახმარებისთვის მთავრობას. წამსვლელთა რიცხვი იქნება დაახლოებით 30 სული. თუ ვიზები უფასო არ იქნა, რასაკვირველია ვერავის გადაგზავნას ვერ მოვახერხებთ. თუ ამდენი პირის გადაგზავნა გადავწყვიტეთ, ეს აიხსნება იმით, რომ აქ სამუშაოზე მოწყობა ყოვლად შეუძლებელი ხდება. მოსამსახურეთა რიცხვი 60%-ით შეამცირეს. წარმოებაშიდაც მეტად დიდი კრიზისია და ფაბრიკა-ფაბრიკაზე იხურება. ლიგის წარმომადგენლის მიერ კატეგორიული დაპირება რომ არ გვქონდეს, მაშინ რასაკვირველია ამდენი ხალხის გადმოგზავნას ვერ გავბედავდით. თუ როდის მოხერხდება გადმოგზავნა ძნელი სათქმელია. შესაძლოა ერთი თვის განმავლობაში. ვიმედოვნებ რომ ამ წერილის მიღებისთანავე ჩვენს გადაწყვეტილებას მთავრობას მოახსენებთ.

ღრმა პატივისცემით
ი. სალაყაია

7. იოსებ სალაყაიას წერილი სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანს[23]

12/III 1924 წ. ქ. ვარშავა

ძვირფასო ჭიჭიკო!

მხურვალე სალამი. მეტად დამიგვიანდა წერილის მოწერა და მაპატივე. ხომ იცი ჩემო კარგო როცა ბევრი სამუშაო გაქვს და ჯანმრთელობა გღალატობს მაშინ მეგობრებიც გავიწყდება. სამუშაო კი ყოველთვის ბევრია. რაც შეეხე-

21 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 732, ფურც. 13-14.

22 გულისხმობს ერთა ლიგას.

23 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 732, ფურც. 11-12.

ბა ჯანმრთელობას, ამაში ვერ დავიკვეხებ. ექიმები მეუბნებიან, რომ არაფერი ორგანული არ მაქვს, მხოლოდ აქაური ჰაერი მწამლავს. შენ მწერ, თუ როგორია ჩემი პერსპექტივები. მე საბოლოოდ გადაწყვეტილი მაქვს თქვენკენ წამოვიდე. ამის შესახებ არა ოფიციალურად ბ. ა[კაკი] ჩხენკელს მივწერე. ვიმედოვნებ გამათავისუფლებენ. მე მთელს იმედს იმაზე ვამყარებ, რომ რამე ადგილს ვიშოვი, იმედია შენ ამაში ძლიერ დამეხმარები. ჩემო ჭიჭიკო, შენ მომწერე ლტოლვილების გამოგზავნის შესახებ. ნაციათა ლიგა გვპირდება დახმარებას. წამომსვლელი, გარდა იმათი, ვის შესახებ ნებართვა არის, კიდევ საკმაო ბევრია. ლიგის წარმომადგენელი გვპირდება, რომ შუამდგომლობის აღძვრა არაა საჭირო, რომ ის მოახერხებს სხვების გაგზავნასაც. თუ რასაკვირველია ლიგა არ დაგვეხმარა, ერთი კაცის გაგზავნასაც ვერ შევძლებთ, რადგან მარტო პოლონეთის ვიზა 100 დოლარი ღირს (თითო კაცზე)! ბევრი გვპირდება დახმარებას. ვნახოთ რა გამოვა. თუ როგორმე ლტოლვილები გავისტუმრე, მერე მე თვითონ გამოვყვები მათ. თუ რასაკვირველია მთავრობამ გამომიგზავნა გზის ფული. ამ მხრივ შენ იქ მოელაპარაკე ჩვენებს ჩემო ჭიჭიკო. კოწია კანდელაკსაც ამის შესახებ მივსწერ. მე მთავრობა დიდად არასდროს შემიწუხებია. 400 ფრანკი ჩემო ჭიჭიკო, ოთახს ისტუმრებს და კვირაში ერთხელ ცეცხლი ოთახში! ასეთი ჯამაგირი პოლონეთში არ არსებობს ჩემო კარგო. აქაურ სიძვირემ გერმანიას გადააჭარბა. ნუ თუ გზის ფული მაინც არ მერგება. ჩემო ჭიჭკო შენ ალბათ წაიკითხე ჩემი წერილი ა[კაკი] ჩხენკელისადმი, ჩვენი საღამოს შესახებ. საღამომ ჩინებულად ჩაიარა. ასეთი საღამო აქ არ ახსოვთ. გაჭირვებამ საღამოს გამართვაც დამაწყებინა! საღამოდან ფულიც დაგვრჩა და საკანცელარიო ნივთები მინდა შევიძინო და ლტოლვილებსაც ცოტა მაინც დავეხმარო. ჯერ მშვიდობით. გაკოცებ ბევრს. თქვენებს დიდი, დიდი სალამი. არ ვიცი რათ დამივიწყა სარამ. შენი გოგუნათი აღტაცებულია მიქელაძის ქალი. ვეჩერისთვის ჩამოვიდა მამულიდან და კინაღამ მოკვდა, ისე ძლიერ შეიქმნა ავათ.

კიდევ ერთხელ მშვიდობით. წერილს ველი. შენი იოსები

მოკითხვა ყველა ჩვენებს დიდი, დიდი. მართალი გითხრა სამაგალითოდ მენატრება ყველასი ნახვა.

8. იოსებ სალაყაიას წერილი[24] აკაკი ჩხენკელს

31/VII 1925 წ. ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს
საფრანგეთში[25]

თქვენი მოწერილობა 15/VII. 25 თარიღით მივიღე რადგან თქვენი წერილის მიღებამდე მთავრობის თავმჯდომარის[26] წერილი მქონდა მიღებული, მე ბ. კ. კანდელაკის[27] სახელზე გადავაგზავნე თარგმანი იმ წერილის, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგოთ იყო მოთავსებული „კურიერ ვარშავსკ"-ში[28], აგრეთვე პასუხიც რომელიც „გლოს ვსხოდუ"[29]- ში იყო მოთავსებული. ვიმოდევნებ, თქვენ ამ

---

24 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 348, ფურც. 1-2.

25 1921 წ. 25 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ დღეს, ბოლშევიკებისადმი მტრულად განწყობილმა საფრანგეთის მთავრობამ, უკვე ფაქტობრივად არ არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს საელჩოს აკრედიტაცია მოახდინა. მხოლოდ საფრანგეთში შესრულდა აკრადიტაციის ყველა მიღებული წესი და ქართული საელჩოს დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად ჩარიცხვა. დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად აკაკი ჩხენკელი დაინიშნა. ეროვნული მთავრობის პარიზის ლეგაციის დიპლომატიური მუშაობის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. საერთაშორისო კონფერენციებზე და პოლიტიკურ წრეებში საქართველოს საკითხს ეროვნული მთავრობა იცავდა, ხოლო საელჩო, როგორც ოფიციალური დაწესებულება მას ეხმარებოდა, ის მიმდინარე მუშაობის ცენტრს წარმოადგენდა. საელჩოს მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საქართველოს გაცნობა და მისი არსებობის შესახებ ცნობების გავრცელება ევროპაში. 1933 წ. საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა თავდაუსხმელობის პაქტი, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, საფრანგეთის ხელისუფლებამ ქართული საელჩოს აკრედიტაცია გააუქმა.

26 ნოე ჟორდანია (1898-1953) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ქართული სოციალიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და განმხორციელებელი.1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წელს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორც მთავრობის თავნჯდომარე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიურად იყო ჩაბმული. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაშია წავიდა. ემიგრაციაში ყოფნის დროს დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას. ვრცლად იხ.: ვ. გურული, ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2018.

27 კონსტანტინე (კოწია) კანდელაკი (1883-1958) – ქართველი პოლიტიკოსი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. 1921 წლის მარტიდან, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, კონსტანტინე კანდელაკი ეროვნული მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა. პირველ ხანებში იგი სტამბულში დარჩა, რადგან დაინიშნა სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელად. განაგებდა მთავრობის მიერ საქართველოდან გატანილ ქონებას, მეთვალყურეობას უწევდა ლტოლვილთა კომისიას. მოგვიანებით საფრანგეთში გადავიდა. მორე მსოფლიო ომის დროს ებრაელებს ეხმარებოდა ნაცისტური რეჟიმიდან თავის დაღწევასა და გადარჩენაში.

28 პოლონური ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ვარშავაში 1821-1939 წლებში. მკითხველთა მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავდა. გაზეთმა არსებობა შეწყვიტა გერმანიის ჯარების მიერ ვარშავის ოკუპაციის დღეს, 1939 წლის 9 ოქტომბერს. ოკუპაციის დროს გამოიცემოდა პროფაშისტური „ნოვი კურიერ ვარშავსკი". 2006 წელს გამოიცემა ამავე სახელწოდების ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც ვარშავის თემებს ეხება.

29 სერგო ყურულიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი Głos Wschodu ("გლოს ვსხოდუ" – „აღმოსავლეთის ხმა"), რომელიც ძირითადად საქათველოს საკითხებს ეხებოდა. ყურ-

წერილებს გაეცანით. ყველა აფიცრებს[30] დაეგზავნა ის დადგენილება, რომელიც მთავრობის დელეგაციის მიერ იყო გამოტანილი. ზედ დაურთე ზოგიერთი განმარტებანი, რომელიც თქვენი უკანასკნელი წერილიდან ამოვიღე. ერთ ცალს აქ აფიცერთადმი დაგზავნილ დოკუმენტებსაც აქვე გაახლებთ.

ამ ერთი კვირის წინათ კომიტეტის[31] სხდომაზე დადგენილ იქნა არჩეულ იქნას კომიტეტის თამჯდომარე. თავმჯდომარეთ მე ვიქენი არჩეული.[32] ბ[ატო]ნ თუმანიშვილმა[33] თავის კანდიდატობაზე უარი განაცხადა. დამოკიდებულება ბ. თუმანიშვილსა და კომიტეტს შორის ჯერ არ არის ამოწურული. მთელი რიგი სხდომებისაა დანიშნული ამ დამოკიდებულების გამოსარკვევად და როცა საკითხი გამოირკვევა, მოგახსენებთ.

აქვე კომიტეტი თქვენს სახელზე გზავნის ქაღალდს, რომელშიდაც გთხოვთ, რათა პარიზიდან იქნეს ზეგავლენა მოხდენილი პრაღის კოლონიაზე.[34] ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პრაღაში შექმნილ ვითარებას, რომელიც არა ერთი დღეა გრძელდება.

გენ[ერალ] სერედა-ტეოდოროვსკისადმი[35] თქვენ მიერ გადმოგზავნილი მადლობის ქაღალდი[36], მხოლოდ გუშინ გადავეცი, რადგან სამსახურის გამო ვარშავაში არ

ლიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ იან (ვანო) ყურულიშვილმა 1925 წელს სცადა ჟურნალ "ვსხუდ ი პოლსკა"-ს გამოშვება. A. Woźniak, „Wschód i Polska" – przyczynek do dziejów emigracji gruzińskiej w Polsce w dwudziestoleciu międzywojennym", 2(1992) *Pro Georgia*, s. 52-57.

30 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედროები, რომლებიც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პოლონეთმა შეიფარა და სამხედრო განათლება მიაღებინა. ამის შემდეგ ისინი პოლონეთის ჯარში საკონტრაქტორი ოფიცრები გახდნენ.

31 გულისხმობს „ქართულ კომიტეტს პოლონეთში".

32 აქ საუბარია კომიტეტის თავმჯდომარის მორიგ არჩევნებზე, რომლის შედეგებით იგი კვლავ დარჩა თავის პოზიციაზე.

33 პავლე თუმანიშვილი (1872-1935) – ქართველი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინაძღოლი და გუბერნიის მარშალი. მისი პოლიტიკური მიმართულება ეროვნულ-დემოკრატიული იყო. მფარველობდა და შემწეობას უწევდა საქართველოს კათოლიკურ ეკლესიას. იგი საკმაოდ ახლოს იცნობდა რომის პაპს პიუს XII-ს და ხშირად სტუმრობდა ვატიკანსაც. დაჯილდოებული იყო წმ. სტეფანეს ორდენით, რომელიც პაპმა მას უკვე ემიგრაციაში უბოძა. მისი მეუღლე, პოლონელი დიდგვაროვანი იადვიგა შიშკო, პავლე თუმანიშვილმა პეტერბურგში გაიცნო და იქვე დაქორწინდა 1915 წელს. სამსახურის გამო ისინი მოსკოვში ცხოვრობდნენ, სადაც, 1916 წლის 21 ივნისს დაიბადა მათი ვაჟი – იეჟი თუმანიშვილი, შემდგომში პოლონეთის არმიის კონტრ-ადმირალი. 1924-1930 წლებში პავლე თუმანიშვილი იყო საქართველო-პოლონეთის საზოგადოების პრეზიდენტი. გარდაიცვალა პოლონეთის ქალაქ სუვალკში 1935 წლის 4 იანვარს.

34 პრაღის ქართული კოლონიის შესახებ იხ. L. Harbulova, "Gruzini w Pradze w okresie międzywojenny," 3(1993), *Pro Georgia*, s. 48-53.

35 აურელი სერდა-თეოდორსკი (1860 – 1942) – პოლონეთის არმიის დივიზიის გენერალი. განათლება მიიღო ტარნოვში. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა ვენასა და კრაკოვში. პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც დრაგონების პოლკის მეთაური იბრძოდა პოლონეთში. 1919 წელს ის იყო აღმოსავლეთის არმიის რეზერვების მეთაური ლვოვისათვის ბრძოლებში და ასევე გენერალ ლუციან ჟელიგოვსკის ოპერატიული ჯგუფის მეთაური. 1919-1920 წლებში სამხედრო მისიის მეთაური უკრაინის მთავრობასთან. 1922 წლის 22 სექტემბერს სახელმწიფოს მეთაურმა და მთავარსარდალმა ვარშავის უმაღლესი სამხედრო სკოლის მეთაურად დანიშნა.

36 ემიგრაციაში მყოფი მთავრობა მადლობის წერილებს უგზავნიდა მათ, ვინც მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ქართულ ემიგრაციას და მათ პოლიტიკურ საქმიანობას.

იმყოფებოდა. მის აღტაცებას და მადლობას საზღვარი არ ჰქონდა. საპასუხო მადლობის წერილს მისგან ამ დღეებში მიიღებთ.

მე თუ წერილის გამოგზავნა დამაგვიანდა, აიხსნება იმით, რომ ბრონხიტი დამემართა, რამოდენიმე დღე ვიწექი, ახლაც გლახათ ვგრძნობ თავს, მაგრამ საავათმყოფოთ არ მცალიან. მოკლე ხანში უფრო ვრცელ მოხსენებას გაგიკეთებთ.

ი. სალაყაია

9. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[37]

16/XI 1925 წ. ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში ბ[ატო]ნ ა[კაკი] ჩხენკელს

როგორც ტელეგრამებიდან გაიგებდით ბ[ატონი] გრაბსკის[38] მთავრობა გადადგა, თუმცა მისთვის სეიმს უნდობლობა არ გამოუცხადებია და სეიმში უმრავლესობა ჰყავდა. მის მიერ წარდგენილ სეიმში რამოდენიმე პროექტიც ეჭვს გარეშეა უმრავლესობის მიერ მიღებული იქნებოდა ზოგიერთი შესწორებებით. მთავარი პროექტები იყო. 1) სესხის და 2) ეკონომიური გაჯანსაღების. მას მხარს უჭერდა ორი დიდი ფრაქცია ნაციონალურ დემოკრატიული და ს[ოციალურ] დემოკრატიული, თუმცა მოსალოდნელი იყო ყოველდღე გრაბსკის მთავრობის გადადგომა, ასეთი იყო პოლიტიკურ პირთა აზრი, მაგრამ ახლა ეს მოხდა სრულიად მოულოდნელად. თუ მართალია, მასთან მისულან რამოდენიმე ფინანსისტები და განუცხადებიათ, რომ სანამ ბ[ატონი] გრაბსკი იქნება მთავრობის თავმჯდომარე, მანამ ევროპელები ან ამერიკა სესხს არ მოგვცემსო (ვითომ გრაბსკისთან მისულ ფინანსისტებს ეს განუცხადებიათ ამერიკელ თუ სხვა ფინანსისტთა დავალებით). ბ[ატონ] გრაბსკის გადადგომის პირველი დღიდან სცდილობენ პარლამენტალური მთავრობის შედგენას. ფართე კოალიციურ საფუძველზე მთავრობის შედგენა ვერ მოხერხდა. დღეს ბ[ატონ] სკშინსკის[39] მიანდვეს პარლამენტალური მთავრობის შედგენა. როგორც

37 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ.2, საქმ. 348, ფუც. 11-12.

38 ვლადისლავ დომინიკ გრაბსკი (1874-1938) – პოლონელი პოლიტიკოსი, ეროვნულ-დემოკრატი, ეკონომისტი და ისტორიკოსი, ფინანსთა მინისტრი და ორჯერ პოლონეთის მეორე რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, სავალუტო რეფორმის ავტორი. რის შედეგადაც 1924 წლის 1 მაისს მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ეროვნული ვალუტა – ზლოტი, რომლის კურსიც შვეიცარიული ფრანკის კურსის ტოლი იყო.

39 ალექსანდრე იოზეფ სკშინსკი (1882-1931) – პოლონელი იურისტი, პოლიტიკოსი, გრაფი, პოლონეთის მეორე რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი. ვლადისლავ სიკორსკის მთავრობაში (1923) საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მთავრობის დაცემის შემდეგ იგი ლონდონში დარჩა. 1924 წლის 27 ივლისს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად ვლადიშლავ გრაბსკის მთავრობაში. 1924 წლის 2 ოქტომბერს ჟენევაში ხელი მოაწერა ოქმს საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ, რომელის მიზანი აგრესიის თავიდან აცილება იყო. 1925 წლის 20 ნოემბრიდან პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა 1926 წლის 5 მაისამდე. მაისის გადატრიალების შემდეგ, დუელი გამართა გენერალ სტანისლავ სეპტიცკისთან, რომელიც მას გადატრიალების მომზადებაში ადანაშაულებდა. 1931 წლის 25 სექტემბერს ავტოსაგზაო შემთხვევის შედგეად დაიღუპა.

მოგეხსენებათ სკშინსკი თვითონ პარლამენტის წევრი არაა. იმედია რომ საღამომდე შეადგენს. ძნელი სათქმელია, რადგან ატმოსფერა მეტისმეტად გაღვივებულია. სამწუხაროთ ყველაფრის მოწერა არ შემიძლიან, თუ დავიჯერებთ, გადატრიალებასაც მოელოდენ.

ახლა მინდა მეტად არასასიამოვნო რამ მოგახსენოთ. გუშინ შტაბიდან ოფიციალურად გვაცნობეს, რომ გენერალურ შტაბის უფროსმა რეზოლუცია გამოიტანა, იმ უმაღლეს ოფიცრებზე, რომლებიც დაკანტრაქტებულნი არ არიან. ამ რეზოლუციით დაახლოვებით თექვსმეტი უმაღლესი ჩვენი ოფიცერი განთავისუფლებულნი არიან პოლონეთის ჯარიდან პირველ იანვრიდან. ამ დღიდან ყველა ეს ოფიცრები ქუჩაზე რჩება. მოტივი რეზოლუციისა ის არის, რომ თვით ამცირებენ თავიანთ ჯარს და მეორეს მხრივ ეკონომიკური კრიზისი. გენ[ერალური] შტაბი გვთხოვს, რათა დაუყონებლივ ეს გადაწყვეტილება, შევატყობინოთ ყველა დაინტერესებულ აფიცრებს. დაუყონებლივ შევკრიბოთ ვარშავაში მყოფნი და გამოუცხადოთ შტაბის გადაწყვეტილებას, ვინც ვარშავაში არ იმყოფება წერილობით შევატყობინოთ. ადვილად წარმოიდგენთ მდგომარეობას. მთხოვეს, რათა მივიღო ყოველი ზომები. თუ კიდევ რამე შველა არის ჩვენსას არ დავაკლებთ, მაგრამ რა მოგახსენოთ. სიაში მოხვდა ზაქარიაძიდან[40] დაწყებული ყველა თითქმის მაღალი აფიცერი.

ერთი რამ სათხოვარიც მაქვს, გთხოვთ პ. თუმანიშვილს გამოუგზავნოთ მანდატი წითელი ჯვრის წარმომადგენლობისა, როგორც აქ ვარჩიეთ, არ არის საჭირო, რომ იყოს აღნიშნული, თუმანიშვილი რომ კომიტეტის წევრია ან თავმჯდომარის ამხანაგი (ასეთი იყო აზრი კომიტეტის წევრების და პ. თუმანიშვილის).

ი. სალაყაია

10. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[41]

4/XII [19]25 ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

16 აფიცერთა მდგომარეობა, რომელთა შესახებ მოგახსენებდით უკანასკნელად ჯერ გამოურკვეველია. საგარეო სამ[ინისტრო] დამპირდა ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნოს სამხედრო მინისტრს, რათა ქართველი ოფიცრები, დატოვებული იქნან პოლიტიკური მოსაზრებით. გარდა ამისა მივმართე პარტიების

40 ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957) – დამოუკიდებელი საქართველოს არმიის გენერალური შტაბის უფროსი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, დივიზიის გენერალი. პოლონეთში 1922 წლის დეკემბერში ჩავიდა, იყო ჩინებული ოფიცერი, გასაოცარი სამხედრო განათლებით. ომამადელ პოლონეთში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებდა. გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის დროს ტყვედ ჩავარდნილი მალე გაათავისუფლეს. მას ვარშავიდან გასვლა აკრძალული ჰქონდა და გესტაპოს მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. 1957 წლის 12 მაისს პარიზში გარდაიცვალა.

41 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 348 ფურც. 13.

ლიდერებს, რათა დახმარება გაეწიათ ამ საკითხში, მათაც დამპირდნენ და ზოგიერთი ნაბიჯიც იქნა გადადგმული. მოლაპარაკების დროს ჩემთან ერთად გენ. ჭავჭავაძეც[42] იყო. არა ოფიციალურადაც ამ საკითხში ბევრი გვეხმარება. უცდით საგ[არეო] საქ[მეთა] მინისტრის ჩამოსვლას, მაშინ საბოლოოთ ყოველივე გამოირკვევა და მოგახსენებთ.

ი.სალაყაია

11. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[43]

15/XII [19]25 ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

აფიცრების საკითხი დგას შემდეგნაირად: ამ დღეებში ბ[ატონი] სკშინსკი და ორ დიდი პარტიათა ლიდერი მოელაპარაკა გენ[ერალ] ჟელიგოვსკის[44] (სამხ[ედრო]. მინ[ისტრი]) და სთხოვეს რათა გენ[ერალური] შტაბის უფროსის[45] რეზოლუცია აფიცერთა დათხოვის შესახებ გაებათილებინა. გუშინდელი ოფიციალური განცხადება გენ[ერალ] ჟელიგოვსკის არის შემდეგი: არავითარ შემთხვევაში აფიცრები ქუჩაზე არ დარჩებიან, მოელისთ მხოლოდ ჯამაგირების შემცირება, როგორც საერთოდ ყველას ეს მეტად და მეტად დამაკმაყოფილებელი პასუხია, ჯერ-ჯერობით მაინც, გენ[ერალ] ჟელიგოვსკი თვით მეტად კარგათ უყურებს ჩვენს საკითხს, ვიმედოვნებ საკითხი საკმაო კარგად მოგვარდება, თუმცა პრაქტიკულად მოგვარებას არა ცოტა ხანი სჭირდება. ცოტაოდენი სიმშვიდე დამყარდა აფიცრობაში, როცა გენ[ერალ] ჟელიგოვსკის სიტყვები გადავეცი.

თქვენ მწერთ კონტრაქტით აყვანილი აფიცრების შესახებ, ხომ მათაც არ მოელის განთავისუფლებაო. ხმები ასეთი უსათუოდ არის, მაგრამ ეს დაკავშირებული იქნება იმასთან, თუ იქნება გადაწყვეტილი ჯარის შემცირება. იმ ცნობებით, რომელიც მე მაქვს, თუ მოხდა შემცირება, უწინარეს ყოვლისა კონტრაქტით აყვანილებს და ავათმყოფებს დაითხოვენ. შემცირება თუ მოხდება, არავინ უწ-

---

42 სპირიდონ ჭავჭავაძე (1878-1952) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში (სარემონტო სექციის უფროსი). 1924 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა დანიშნა ანტისაბჭოთა აჯანყების მთავარსარდლად. აჯანყების მარცხის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად წავიდა ემიგრაციაში. 1930-იან წლებში იყო პარიზში „ქართული ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარე (ამ პოზიციაზე შეცვალა ალექსანდრე ასათიანი). 1947 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1951 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და მიუსაჯა 25-წლიანი პატიმრობა. გარდაიცვალა ციხეში.

43 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 348, ფურც. 14-15.

44 ლუციან ჟელიგოვსკი (Lucjan Żeligowski) (1865-1947) – პოლონელი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ცენტრალური ლიტვის რესპუბლიკის ხელმძღვანელი.

45 გენ. შტაბის უფროსი გადადგა. მდგომარეობა ისეთია, რომ ყველა მაღალ პოსტებზე ინიშნება პ[ილსუდს]კის მომხრენი. თავის თავად ცხადია, თუ რას ნიშნავს ეს ჩვენთვის (ი. სალაყაიას შენიშვნა).

ყის ჯერ-ჯერობით მაინც. შესაძლოა მოკლე ხანში ეს საკითხი აქტუალურ საკითხად გადაიქცეს და მაშინ მოგახსენებთ. ახლა ისევ აქაურ მდგომარეობაზე მინდა ცოტა რამ მოგწეროთ. ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, თითქმის კატასტროფულია. ზლოტის კურსი დღითი-დღე ეცემა, სიძვირე ამ თვის პირველი კვირის განმავლობაში 13% გაიზარდა. უმუშევრობა მატულობს. ფინანსთა მინისტრმა სამი დღის წინათ პირველად სეიმს ფინანსური ექსპოზე გაუკეთა. ქვეყნის ისეთი სურათი დახატა, რომ ყველა განურჩევლად მიმდინარეობისა საგონებელში ჩააგდო, ამ ექსპოზეს ბირჟამ იმავ დღეს ზლოტის 30-40%-ით კურსის დაცემით უპასუხა. ყველა დარგში ხარჯთა შემცირება, აი, ერთად ერთი ხსნა, მინისტრის სიტყვით. სესხის იმედი, მისი სიტყვით, ჯერ მაინც არ არსებობს. ამ მდგომარეობას დაუმატოთ ისიც, რომ დიდძალი ბოროტმოქმედებაა. გუშინ, მაგ[ალითად] ყოფილი ფინანსთა მინისტრი ლინდე დაატუსაღეს. ეს ხომ ათასში ერთია. ალბათ დიდი დრო გაივლის, სანამ ცოტაოდნავ მაინც მდგომარეობა გამოსწორდება. სურვილი კი დიდი აქვთ დღევანდელ მეთაურებს. სხვა საკითხებზე შევეცდები ამ დღეებში კიდევ მოგწეროთ. შეთანხმების ასლი მომივიდა. შეთანხმებას ბევრი აღტაცებით შეხვდა, მაგრამ არა ყველა. ეს სამსახურია. არის ისეთები, რომელთაც არ უნდათ შეთანხმება, ძალით ხომ ვერ შეითანხმებ. ალბათ ასეთები არა მარტო პოლონეთშია.

ი. სალაყაია

12. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[46]

11/IV 1926 წ. ქ. ვარშავა

ბ[ატო]ნო აკაკი!

პირველი მაისიდან ჩვენი აფიცრები რჩება ქუჩაზე. ყველა საშუალებები ამოწურულია. ერთად ერთი იმედი არის ის, რომ შესაძლოა მთავრობის მიერ გამოგზავნილ ტელეგრამამ მარშ[ალ] პილსუდსკის[47] სახელზე ან თუ შესაძლოა პრეზიდენტის სახელზე რამე გავლენა მოახდინოს. მე ტელეგრამა გავუგზავნე მთავრობას, ესეც არის, გთხოვთ, დაგვეხმართ რითაც შესაძლებელია, თორემ პირდაპირ წარმოუდგენელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ოცდაჩვიდმეტი სული სრულიად უსახსროდ რჩება.

თქვენი იოსები

---

46 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2 საქმ. 838, ფურც. 3.

47 იუზეფ პილსუდსკი (1867-1935) – პოლონელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მეთაური 1918-1922 წწ. პოლონეთის არმიის დამაარსებელი, პოლონეთის მარშალი.

13. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[48]

[1926 წ. ვარშავა]

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

თქვენი წერილი 13/IV.26 თარიღით მივიღე, მოგახსენებთ სიამაშვილის შესახებ. პოლკ. სიამაშვილი როგორც დანამდვილებით გადმომცეს, დაჰპირებია თავის მეუღლეს, ახლახან უშოვოს გზის ფული საფრანგეთში წასასვლელად, გარდა ამისა მისცეს სამი თვის სარჩენი წინასწარ (თვეშ 150 ზლოტის ანგარიშით). ამით მთლიან დაკმაყოფილებულა ქ-ნი სიამაშვილისა. მომავალშიდაც გაუგზავნის სარჩოს (იმდენსავე თუ არ ვცდები, რასაც პირველ სამ თვეში). მე ვფიქრობ ასეთი გადაწყვეტილება პოლკ. სიამაშვილის მიერ სრულიად დამაკმაყოფილებელად უნდა იქნეს. აქვე გაახლებთ გენ. ქუთათელაძის[49] დამარხვის[50] შესახებ გენ. ზ-ძის[51] წერილს. ვფიქრობ კარგი იქნება ეს მოთავსდეს გაზეთშიდაც, როგორც ხელმოუწერელი წერილი, და თუ საშიში არ იქნება რომ ჩვენი მტრები გამოიყენებენ.

აქვე გაახლებთ ვაცლავ სეროშევსკის (Wacław Sieroszewski)[52] წერილს გაზეთისათვის. გადავთარგმნეთ რუსულად, ქართულად ჩემზე უკეთ ვინმე გადათარგმნის და ამისთვის რუსულად გიგზავნით. კიდევ მაქვს დაპირებული ორი წერილი გამოჩენილი მწერალი სტრუგის[53] და ა. ლედნიცკის[54], ორივეს ამ დღეებში გამოგიგზავნი, რადგან ჯერ არ დაუწერიათ. (დღეს ტელეფონით შევეკითხე). ვიმედოვნებ მათი წერილებიც მოგისწრებთ, მაისის ნომრისთვის. ძლიერ გთხოვთ მადლობის წერილის გამოგზავნას ბ-ნ სეროშევსკისთვის. შემდგომ იქნება საჭირო ასეთივ წერილის გამოგზავნა სტრუგისათვის და ლედნიცკისათვის.

აფიცრების საკითხზე ჯერ რა მოგწეროთ. ყოველ მხრივ და მუდმივი დაპირება, მაგრამ უდიდესი რა შევძელით ეს რომ მაისში ჯამაგირი კიდევ მიიღონ, შემდეგ, თუ გამართლდა დაპირება შეიძლება ზოგიერთებს მოხელის ადგილი მისცენ და მინიმუმი საცხოვრებლისა. ამაზე ყოველ შემთხვევაში კიდევ მოგწერთ,

---

48 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2 საქმ. 838, ფურც. 4-5.

49 კირილე ქუთათელაძე (1861-1929) – გენერალ-ლეიტენანტი. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და პირველ მსოფლიო ომებში. პირველი რესპუბლიკის დროს არმიის გენერალ-მაიორი და სამხედრო საბჭოს წევრი. 1921 წლიდან ემიგრაციაში წავიდა. 1922 წლიდან შევიდა პოლონეთის ჯარში კონტრაქტორად. 1926 წელს გახდა პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი.

50 „დამარხვა“ აქ გადატანითი მნიშვნელობით არის გამოყენებული. იგულისხმება, გენერალ ქუთათელაძის წინააღდმეგ დაწერილი სტატია.

51 ალექსანდრე ზაქარიაძე.

52 ვაცლავ სეროშევსკი (1858-1945) – პოლონელი პოლიტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის გამო არაერთი წელი გაატარა გადასახლებასში. 1914 წელს გაწევრიანდა პილსუდსკის ლეგიონში. 1918 წელს დაინიშნა ინფორმაციისა და პროპაგანდის მინისტრად. 1935-1938 წლებში იყო პოლონეთის სეიმის წევრი.

53 ანჯეი სტრუგი (1871-1937) – ნამდვილი სახელი ტადეუშ გალეცკი. ფსევდონიმები: "ანჯეი სტრუგი", "ბორსუკი", "ავგუსტ კუდლატი". მწერალი, სცენარისთი და ჟურნალისტი, სოციალისტური და დამოუკიდებლობის მოძრაობის აქტივისტი.

54 ალექსანდრე ლედნიცკი (1866-1934) – პოლონელი საზოგადო მოღვაწე, იურისტი და ქველმოქმედი. კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის რესპუბლიკის სოფლის კავშირის პრეზიდენტი 1930 წელს.

რადგან დღეს მთავრობა დაეცა და ხვალ რა იქნება არავინ უწყის. კრიზისი ისეთი დიდია როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური რომ ყოველგვარ შესაძლებლობას უნდა მოველოდეთ. ხვალ-ზეგ რა დატრიალდება ამის თქმა არავის შეუძლია. ჩვენი საკითხისათვის შესაძლოა მეტად მძიმე მომენტები დადგეს და დროებით შესაძლოა ცდის ტაქტიკა ვაწარმოვოთ. მეტი რა შემიძლია ჯერ მოგახსენოთ, თუ რამე გამოირკვევა პოლიტიკურ სფეროში მაშინვე მოგახსენებთ.

ი. სალაყაია

14. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[55]

9/V [19]26 წ. ქ.ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

მოგახსენებთ აფიცრების მდგომარეობის შესახებ. მაისის ჯამაგირი მთლიან მისცეს ყველა აფიცრებს. გვაქვს დაპირება, რომ ყველა აფიცრები ქუჩაზე არ დარჩებიან, ან ზოგიერთებს მოაწყობენ როგორც მოხელეებს და ვინც კი მოხელის მოვალეობას ვერ შეასრულებს, მას ერთგვარ თვიურ დახმარებას მისცემენ ეს არის ერთი გამოსავალი. მეორე გამოსავალი რომლის შესახებაც დაპირება გვაქვს შემდეგია: პოლკოვნიკების დაკონტრაქტებას შეეცდებიან როგორც პოდპოლკოვნიკების და გენერლების (რამდენადაც შესაძლებელი იქნება) პოლკოვნიკებად. როგორც ერთი ისე მეორე ჩვენთვის მისაღებია, და ვიმედოვნებ ამ დაპირების შესრულებას შეეცდებიან. ყოველ შემთხვევაში ერთი მაინც ჰქნეს, ჯერ-ჯერობით ერთი პოლკოვნიკი (ბაგრატიონი[56]) როგორც მოხელე ჩარიცხეს და მუშაობს აგერ ერთი კვირაა. ბევრია იმაზედაც დამოკიდებული, თუ როგორი მთავრობა იქნება. მთავრობა კი ჯერ ვერ შედგა. მიანდეს ორჯერ ბ[ატო]ნ ვიტოსს[57], მან ვერ შეძლო მემარჯვენეების მთავრობის შედგენა, რადგან მემარცხენეები ასეთ მთავრობას უსასტიკესს ომს გამოუც-

---

55 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 838, ფურც. 6-7.

56 ალექსანდრე ბაგრატიონი (1877-1955) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოდპოლკოვნიკი. 1923 წელს მონაწილეობდა რემბერტოვის IV სამხედრო საწვრთნელ ცენტრში პოლკის მეთაურთა კურსებზე. 1923 წელს ვარშავის უმაღლეს საინტენდანტო სასწავლებელში სწავლობდა. სწავლის დამთავრების შემდეგ პოლონეთის არმიის პოდპოლკოვნიკი, საკონტრაქტო ოფიცერი გახდა. აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში – პოლონეთის ქართულ კომიტეტში მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებდა. ვარშავის კაპიტულაციის შემდეგ კოლდიცის გერმანელების ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდა. ბანაკიდან გათავისუფლებული დიდ ბრიტანეთში გადავიდა. მისი მეუღლე ბარბარე, 1930 წელს ვარშავაში „პრომეთეს“ კლუბის ქალთა სექციის აქტიური წევრი იყო, ხოლო ქალიშვილი მარიამი, მე-17 ქალთა სატრანსპორტო კომპანიისა და 218-ე კომპანიის II საველე კორპუსში მსახურობდა. ომის დამთავრების შემდეგ „რადიო თავისუფლებაში“ სტენოგრაფთა უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. 1955 წელს ალექსანდრე ბაგრატიონი ლონდონში გარდაიცვალა. დასაფლავებულია მეუღლესთან ერთად ბრომპტონის სასაფლაოზე.

57 ვინცენტი ვიტოსი (1874-1945) – პოლონელი პოლიტიკოსი, სახალხო მოძრაობის აქტიური წევრი, სამჯერ პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი (1920 წლის 24 ივლისიდან – 1921 წლის 13 სექტემბრამდე; 1923 წლის 28 მაისიდან -1923 წლის 14 დეკემბრამდე და 1926 წლის 10 მაისიდან -1926 წლის 14 მაისამდე).

ხადებენ. მერე მიანდეს სოციალისტებს – ამ უკანასკნელებმა მარშალ პილსუდსკის სთხოვეს მთავრობის შედგენა, მან კატეგორიულად უარი განაცხადა. შემდეგ ამისა პრეზიდენტმა მიმართა ვლ. გრაბსკის. როგორც ეს არის გავიგე გრაბსკის ვერ მოუხერხებია მთავრობის შედგენა და ისევ ვიტოსისათვის მიუნდვია პრეზიდენტს. ალბათ საბოლოოდ ორიოდე დღეში ყოველივე გამოირკვევა. აქ უნდა დაუმატო, რომ მემარჯვენეთა მთავრობა, აქამდენაც შესდგებოდა რომ სკშინსკის კატეგორიული უარი არ განეცხადებინა, რომ მემარჯვენეთა მთავრობაში არ შევალო. ეს გასაგებია, რადგან სკშინსკის საგარეო პოლიტიკას მხოლოდ მემარცხენეები უჭერენ მხარს და ისიც მთლიანად. თუ მარტო მემარჯვენეებმა შეადგინეს მთავრობა ალბათ საგარეო პოლიტიკა შეიცვლება, რადგან როგორც იცით, დმოვსკის[58] პარტიის იდეალია შექმნა სლავიანთა უნიის, რაც მთლიან ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკას რომელსაც პოლონეთი დღემდის ატარებდა. მთავარი ბრძოლა შეიძლება არა ყველასთვის თვალსაჩინო სწორეთ ამას ირგვლივ სწარმოებს. ყოველშემთხვევაში ამ დღეებში ბევრი რამ გამოირკვევა. რომ არ დამავიწყდეს აქვე აღვნიშნავ, რომ თუ ჩვენი აფიცრობა დღეს ქუჩაში არ არის ეს პ[ილსუდსკ]ის და მისი მეგობრების მეტად დიდი დახმარების წყალობით. თქვენი დოკუმენტი მივიღე, ვუცდი ლევიცკის[59], მოელიან ყოველდღე მაგრამ არ სჩანს. თუ რას ვიზამთ მხოლოდ მისი ჩამოსვლის შემდეგ შემიძლიან მოგწეროთ.

გთხოვთ სეროშევსკის[60] წერილი მისწეროთ, სხვებმა ჯერაც ვერ შემისრულეს დაპირება. დღეს ვმართავთ ქართულ საღამოს[61], ვიმედოვნებ ცოტა შემოსავალი გვექნება, გაჭირვება მატერიალური დიდი გვაქვს.

ახლა ეს არის გავიგე, ბ[ატო]ნი ჩოლოყაშვილი[62] ჩამოდისო, არ ვიცი რამდენად მართალია. რამე დავალებით ხომ არ მოდის, გთხოვთ ამის შესახებ მომწეროთ.

ი.სალაყაია.

---

58 რომან დმოვსკი (1864-1939 წწ) – პოლონეთის პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნული დემოკრატიის ლიდერი.

59 ანდრი ლევიცკი (ლივიცკი) (1879-1954) – უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 1919-1920 წლებში და პრემიერ-მინისტრი 1920-1921 წლებში. სიმონ პეტლიურას მკვლელობის შემდეგ (1926 წლიდან) ემიგრაციაში უკრაინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი. კოორდინაციას უწევდა უკრაინის ემიგრაციის საქმიანობას. იყო პოლონეთის არმიის გენერალურ შტაბთან მრავალწლიანი თანამშრომლობის ინიციატორი. 1939 წლამდე ლივიცკი ვარშავაში პოლონეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა. გერმანელების მიერ პოლონეთის დაპყრობის შემდეგ დარჩა ოკუპირებულ ქალაქში. 1944 წელს წითელი არმიის პოლონეთში შემოსვლამდე, გერმანიაში გადავიდა. გერმანიის დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინის ეროვნული კომიტეტის აჯანყების მთავარი ორგანიზატორი. იხ. R. Potocki, *Idea restytucji Ukraińskiej Republiki Ludowej (1920–1939),* Lublin 1999; Idem, *Polityka panstwa polskiego wobec zagadnienia ukrainskiego w latach 1930-1939,* Lublin 2003.

60 ვაცლავ სიეროშევსკი. იხ კომენტარი 52

61 იხ. კომენტარი 9

62 ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი (1888-1930) – სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკი. საქართველოს ეროვნული გმირი. იბრძოდა I მსოფლიო ომში. გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვებული იყო ოქროს ხმლით. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართულ ჯარში მსახურობდა. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობა. კახეთში შეადგინა მცირე რაზმი „საქართველოს შეფიცულები", იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ბოლშევიკების წინააღმდეგ დაგეგმილი 1922 წლის ხევსურეთის და 1924 წლის სახალხო აჯანყებისა. მარცხის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და პარიზში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა 1930 წელს. 2005 წლის 20 ნოემბერს ლევილიდან მისი ნეშტი გადმოასვენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს. R. Chikhoria, "Pułkownik Kakuca Czolokaszwili, gruzińska prawica oraz władze polskie", 7(2015) *Nowy Prometeusz,* s. 201-218.

15. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[63]

28/VI [19]26 წ. ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

კ[არლო] ჩხეიძის სიკვდილმა ყველას თავზარი დაგვცა. ჩვენს განუსაზღვრელ უბედურებას ესეც დაემატა. აქ თითქმის ყველა გაზეთში იყო ტელეგრამები კარლოს ტრაღიკულად გარდაცვალების შესახებ. წერილებიც დაიბეჭდა. ჩვენ პანაშვიდი გადავიხადეთ. დაესწრნენ უწყებათა წარმომადგენლები, დეპუტატები, საზოგადო მოღვაწენი და სხ. ვფიქრობ აკადემია გავმართოთ, კარლოს პირად პატივმცემლებთან ერთად, თუმცა დრო მეტად უხერხულია, რადგან ხალხი სოფლადაა გასული. ბ. სეროშევსკის თქვენი და ბ. გობეჩიას[64] სამადლობელი წერილები გადავეცი. მეტად ნასიამოვნები დარჩა და დიდ მადლობას გითვლით. მეტად კარგია რომ ნ[ოე] რამიშვილი სტამბოლში წასულა, როგორც ღ-კომ[65] მითხრა, თვითონაც ამ ერთ კვირაში წავა. მას იქაურ წამომადგენელთან კარგი დამოკიდებულება აქვს და ვიმედოვნებ მუშაობაში დაგვეხმარება. ღ-მ მითხრა რომ ის კარგ განწყობილებაშია ინგლისში მყოფ წარმომადგენლობის მრჩეველთან. გვარი მისი ლოსი (Los). [...][66] თვეა რაც დანიშნეს. დიდი კავშირები ჰქონია. შეუძლიან ჩვენს წარმომადგენელს მუშაობაში ხელი შეუწყოს. ძლიერ გთხოვ მისწეროთ ბ-ნ სუმბათაშვილს[67] და ბ-ნ გვარჯალაძეს[68] თუ იქ არის, რომ ელაპარაკონ ღ-კოს სახელით და ბევრ-

---

63 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 838, ფურც. 8-11.

64 იოსებ გობეჩია (1879-1962) – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციური პარტიის (ესერების) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი ესერთა პარტიიდან. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში დარჩა. ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას საქართველოს კომუნისტური რეჟიმისაგან განთავისუფლების და დეოკუპაციისთვის.

65 პოლონელი სახელმწიფო მოღვაწე, სეიმის დეპუტატი, პრომეთეისტური მოძრაობის მხარდამჭერი, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ტადეუშ ჰოლუვკო (Tadeusz Hołówko). მას ქართველი ემიგრანტები პირად წერილებში და პერიოდიკაში გამოქვეყნებულ სტატიებში ღოლუვკოდ მოიხსენიებენ. ჰოლუვკო იბრძოდა ჩაგრულ ერთა განთავისუფლებისათვის. იგი 1931 წელის 31 აგვისტოს მოკლეს. მას განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა ნოე რამიშვილთან. სასამართლო პროცესის დროს ადვოკატმა სტანისლავ შურლეიმ ერთმანეთს დაუკავშირა ტადეუშ ჰოლუვკოს, ნოე რამიშვილის და უკრაინის რესპუბლიკის მეთაურის, ემიგრაციაში უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სიმონ პეტლურას (Symon Petlura) (მოკლეს 1926 წელს პარიზში) მკვლელობა. რადგან ისინი ერთი მიზნისთვის იბრძოდნენ. იხ.: 1. ტადეუშ ღოლოვკო, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველოს“, პარიზი, №69, 1931, გვ. 12-13; 2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, ანაწ. 1, საქმ. 330, ფურც. 17; 3. ღოლუვკოს მკვლელთა პროცესი, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, №94, 1933, გვ. 13-14.

66 ფურცელი მოხეულია.

67 მიხეილ სუმბათაშვილი – ქართველი დიპლომატი, ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის მომხრე. 1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი შვეიცარიაში (ბერნში).

68 კონსტანტინე გვარჯალაძე (1884/83-1969) – სოციალ-დემოკრატი, პოლიტკოსი. 1917-1918 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიაციას. 1917 წელს გახდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იყო საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი. 1918 წელს იყო საქართველოს საგა-

ში დაეხმარება. აქ ცხოვრება მთლიან კალაპოტში არ არის ჩამდგარი, მაგრამ იმედია ნელ-ნელა კრიზის მოერევიან. პოზნანის და პომერანიის ერთი ნაწილი თუმცა ჯერ კიდევ გამდგარათაა, მაგრამ სჩანს ნელ-ნელა ნიადაგი ეკარგებათ. მთავარი რასაც მოითხოვენ განსაკუთრებული წესების მოხსნას და ადმინისტრაციის უცვლელად დატოვებას. პირველი თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა, ხოლო მეორეზე უარი განუცხადა. მთავრობასა და პარლამენტს შორის დამოკიდებულება მთლიანად არ არის ნორმალური. კიდევ გუშინ კრიზისს მოელოდნენ. არ მოხდა. ალბათ სამიოდე კვირა გაგრძელდება პარლამენტის ამა სესიის მუშაობა. და თუ მთავრობამ ყველა კანონპროექტები გაატარა, ნორმალურ პირობებში მუშაობას დაიწყებენ. არც იმის თქმა არ შეიძლება ჯერ-ჯერობით პარლამენტს დაშლიან თუ არა. მემარცხენე რადიკალური ელემენტები მოითხოვენ დაუყოვნებლივ სეიმის დაშლას, სწორეთ დღეს მთელს სახელმწიფოში დანიშნულია მიტინგები პარლამენტის დაშლის მოთხოვნით. შედეგს მომავალი გვიჩვენებს. ცვლილებები სახელმწიფო აპარატებში დიდი ხდება. იწყება მთელი აპარატების ნაკლებ რთულ აპარატებად გადაქცევა, რომ ხარჯების შემცირებას მაინც მიაღწიონ. განსაკუთრებით ცვლილებები სამხედრო უწყებებში ხდება. მთავრობა ჰფიქრობს, რომ ერთი წლის განმავლობაში ნორმალური (საკმაოთ რასაკვირველია) პირობები დადგება. ერთი საშიშროება მაინც არსებობს, სიღატაკე იმდენად ძლიერია მუშათა მასებში, რომ დღეს აუარებელ ადგილებში გაფიცვებია, თუმცა მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე. და უმუშევართა რიცხვიც მეტად დიდია, რაც საკმაოდ ხელს უწყობს ბოლშევიკების მუშაობას. მაგრამ რადგან პილსუდსკისადმი განუსაზღვრელი ნდობა არსებობს (ეს არ ითქმის მის მთავრობის სხვა წევრებზე), ყველა დარწმუნებულია, რომ ის სასწაულს მოახდენს და სახელმწიფოს, როგორც არა ერთხელ, იხსნის.

არსებულ პირობებში ჩვენი მუშაობა აქ უფრო ადვილი გახდა. ამას უკვე ვატყობ. ახლა სულ ახალი პიროვნებებია და მათთან კავშირის გაბმა დავიწყე. მეგობრები გვემატება. შესაძლოა რეალურად ჯერ რამეს გაკეთება შეუძლებელი იქნეს სრულიად, მაგრამ მომავალში გამოყენება ახალი მეგობრების შეიძლება. ერთი კი არის სამწუხარო, ჩენი ძველი მეგობარი ლუკასევიჩი[69] გადადგა. (აქ პირადული ელემენტებია ჩართული), ის ლატვიაში დანიშნეს წარმომადგენლად. ეს დიდი დაქვეითებაა. ჩვენი აფიცრების საკითხი სრულიად დარწმუნებული ვარ მოეწყობა. ამას ყველა გვპირდება, მაგრამ მიუხედავად ყველა ცდისა ჯერ ჩვენთვის არ სცალიათ. ეს ადვილი წარმოსადგენიცაა.

დაახლოვებით ყოველივე ის, რისი მოხსენებაც მინდოდა. თუ რამე განსაკუთრებული იქნა, თავის დროზე მოგახსენებთ.

ი. სალაყაია

რეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაება. 1921-1924 წლებში იყო ემიგრირებული მთავრობის რწმუნებული თურქეთში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სოციალისტური ინტერნაციონალის საქმიანობაში. სტატიებს აქვეყნებდა ემიგრანტულ პრესაში. 1935-1940 წლებში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს პერიოდული ორგანოს „ბრძოლის ხმის“ მთავარი რედაქტორი.

69 პოლონელი დიპლომატი, დესპანი. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1924 წელს ერთა ლიგის პოლონეთის დელეგაციის წევრი. 1925 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში პოლიტიკურ და ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა. 1926 წლის გახდა პოლონეთის ელჩი რიგაში, შემდეგ 1934-1936 წლებში მოსკოვში, 1936-1939 წლებში – პარიზში.

16. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[70]

15/XI [19]26 წ. ქ. ვარშავა

საქართველოს წარმომადგენელს საფრანგეთში

მე დიდათ ბოდიშს ვიხდი რომ ამდენი ხნის განმავლობაში მოხსენება არ გამომიგზავნია. ბევრი რამ არ მქონდა მოსაწერი და ამისთვის გაჩუმებული ვიყავი. ახლა მინდა მოგახსენოთ შემდეგი. თქვენ გაიგებდით რომ იანიკოვსკი[71] დაინიშნა რომის პაპისთან წარმომადგენლობის მრჩეველად. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მასე მხურვალედ ჩვენს საკითხს ვეჭვობ თუ ვინმე ეკიდებოდა. ორ თვეში ის გაემგზავრება და ეჭვს გარეშეა ჩვენს წარმომადგენელს მუშაობაში ძლიერ დაეხმარება. ბ. კნოლიც[72] რომში დაინიშნა. ვიმედოვნებ ისიც ხელს შეუწყობს ჩვენს წარმომადგენელს მუშაობაში. ძლიერ გთხოვთ თუ ჩვენი წარმომადგენელი იქ არის მას მისწეროთ, რომ ორივეს გაეცნოს. ამ დღეებში აქ იყო ლოსი (მრჩეველი ინგლისში) ვინახულე. დამპირდა, რომ ჩვენებს რითაც შეუძლიან დახმარებას გაუწევს. ამასთანავე მას სურს ახლო გაეცნოს „ლაბურ პარტიის“[73] ხელმძღვანელებს, რადგან მისი აზრით ესენი სათავეში მოექცევიან. გვარჯალაძეს[74] შეუძლიან, როგორც თვითონაც სთქვა დაახლოვება მოახდინოს. გთხოვთ ძლიერ გვარჯალაძეს ამის შესახებ მისწეროთ. ლონდონშივე დაინიშნა პირველ მდივნად ვშელაკი.[75] ის ჩვენს საკითხს იცნობს. გთხოვთ სუმბათაშვილს[76] და გვარჯალაძეს ამის შესახებ მისწეროთ. საერთოდ აქ საგარეო უწყება ჩვენი მეგობრებიდან დაიცალა, სულ ახალი პირები

---

70 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 348, ფურც. 16-18.

71 სტანისლავ იანიკოვსკი (1891-1965) – დიპლომატი, და ეტრუსკოლოგი, 1927 წლის 1 მარტიდან პოლონეთის საელჩოს წმიდა საყდართან მრჩეველად დაინიშნა.

72 რომან კნოლი (1888-1946) – პოლონელი პოლიტიკოსი და დიპლომატი. 1922 წელს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კავშირის დამფუძნებელი. 1920 წლის პოლონეთ-ბოლშევიკების ომში იბრძოდა როგორც მოხალისე. რიგაში საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს იყო პოლონეთის დელეგაციის გენერალური მდივანი. 1922 წლის 16 დეკემბრიდან 1923 წლის 30 დეკემბრამდე იყო პოლონეთის მისიის ხელმძღვანელი რსფსრ-ში დროებითი რწმუნებულის რანგში. 1924 წლის 25 ივნისიდან – პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი ანკარაში. 1926 წლის მარტში დაბრუნდა პოლონეთში, საგარეო საქმეთა სამინისტროში. მონაწილეობა მიიღო მაისის გადატრიალების მზადებაში. 1926 წლის 13 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. შემდეგ დაინიშნა ელჩად რომში (1926-1928) და ბერლინში (1928-1930). მეორე მსოფლიო ომის დროს 1945 წლის თებერვლამდე ხელმძღვანელობდა პოლონეთის მთავრობის დელეგატურის საგარეო ურთიერთობათა განყოფილებას. გარდაიცვალა 1946 წელს.

73 შრომის პარტია – პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც 1925 წელს შეიქმნა, როგორც საპარლამენტო კლუბი. პარტია დაარსდა პოლიტიკოსების მიერ, რომლებმაც საპარლამენტო კლუბი (PSL Wyzwolenie) პროტესტის ნიშნად დატოვეს. 1926 წელს შრომის პარტიამ მაისის გადატრიალების დროს იუზეფ პილსუდსკის მომხრეებს მხარი დაუჭირა. პარტიის მმართველი ლუდვიკ იუზეფ ევერტი გახდა. წამყვანი აქტივისტები იყვნენ იულიან პოჩენტოვსკი, კაზიმიეჟ ბოგაცკი, კლემენს ვისოცკი ჰენრიკ ოლსიენკევიჩი.

74 კონსტანტინე გვარჯალაძე.

75 იან ვშელაკი (1894-1965) – პოლონელი ეკონომისტი, დიპლომატი, პოლიტოლოგი. სწავლობდა მოსკოვისა და პარიზის უნივერსიტეტებში. მუშაობდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მაღალი თანამდებობები ეკავა დიპლომატიურ მისიებში. 1927 წლის 1 იანვრიდან 1933 წლის 31 დეკემბრამდე ლონდონში პოლონეთის საელჩოს მდივანი იყო.

76 მიხეილ სუმბათაშვილი.

მოევლინა, რომელთა შესახებ ჩვენს საკითხში ბევრი რამ არ ითქმის. მემორანდუმი, რომელიც გამომიგზავნეთ, გადითარგმნა და ბროშურად დაიბეჭდა გასავრცელებლად. გარდა ამისა შევისყიდეთ გოძიაშვილის[77] წიგნაკი[78], (მან წიგნაკი გამოუშვა საქართველოზე) და დიდძალი გავავრცელეთ. დამოკიდებულებები, რომლის შესახებ მწერთ, მაქვს ზოგიერთთან ან პირდაპირ ან სხვების საშუალებით (თუმცა უნდა გაგიტყდეთ დამოკიდებულების ქონება ჩვენს პირობებში არც ასე ადვილი საქმეა). ჩვენი საკითხი საკმაო შორეული მომავლის საკითხად მიაჩნიათ. ისე აქვსთ წარმოდგენილი, რომ სოვდეპია[79] ევოლუციის გზას დაადგება და ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ამ ვეება სახელმწიფოსთან სურთ რაც შეიძლება ადრე რაიმე სავაჭრო დამოკიდებულება იქონიონ. თვით აქაური მეგობრები ძნელად იჯერებენ იმას, რომ შეუძლებელია სოვდეპიის სტაბილიზაცია. (უფრო ვფიქრობ, მათი სურვილია სოვდეპიამ კიდევ წლები იბოგინოს, სანამ თავის მდგომარეობას არ გამოასწორებენ). ჩვენ ცოტათი დაგვეხმარა ამერიკის ახმაურებამ ჩვენი საკითხის ირგვლივ. აქ პირველად არვის არც სჯეროდა. მე ძლიერ მადლობელი ვიქნები, თუ ორიოდე ეგზემპლიარს კიდევ გამოაგზავნიებთ, ძლიერ აინტერესებთ.

აქურ ჩვენს შინაურ ცხოვრებაზე ბევრს ვერას მოგახსენებთ. აქედან ვისტუმრებთ ლტოლვილებს საფრანგეთში, რადგან უმუშევრობა დიდია, და ჩვენებს ხომ ადგილზე მოწყობა არ შეუძლიათ. უმუშევრების რჩენა მეტად გვიძნელდება, რადგან ძლიერ და ძლიერ ძნელია თვით ცოტა თანხების შოვნაც. თავიც მეტად მოვაბეზრეთ და ეს იყო მთავარი, თუ რისთვის ვისტუმრებთ აქედან ლტოლვილებს. სულაძე, რომლის შესახებ მწერდით, ცოტა არ იყოს სამუშაოს გაურბის, ისე კი ურიგო ყმაწვილი არ უნდა იყოს. აქ დარჩა ცოლი და შვილი, მეტად უმწეო მდგომარეობაში და გვაქვს თუ არ გვაქვს, უნდა მარჩინოთო. სამწუხაროთ, არვინ იკითხება იმას, რა შეძლების პატრონები ვართ.

მხურვალე სალამი ი. სალაყაია

---

77 ალექსანდრე გოძიაშვილი (1897-194?) – ქართველი მეწარმე, ჟურნალისტი, სამხედრო პირი, საერთაშორისო სამართლის დოქტორი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ და საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა. ომის დასრულებისას პოლონეთში აღმოჩნდა, სადაც მუსტაფა ახმეტოვიჩის სახელობის თათარ ულანთა სამხედრო პოლკში როტმისტრად მსახურობდა. ომის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტად მუშაობდა. პოლონეთში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო სამხედრო საქმე მიატოვა და კერძო ბიზნების დაიწყო. გახსნა მეუღლისათვის მზითვად მიცემულ სავაჭრო ობიექტი, რომელსაც „ყავისა და ჩაის სარეალიზაციო სპეცმაღაზია – ალექსანდრე გოძიაშვილი“ უწოდა. მისი მაღაზიები ვარშავის მთავარ ქუჩაზე, მარშალოვსკაზე მდებარეობდნენ. იგი ითვლება ვარშავაში ყავის ბარების ერთ-ერთ პირველ დამაარსებლად. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. J.I. Godzjaszwili, “Wspomnienia o moim ojcu,” 1(1991) *Pro Georgia,* s. 53-55; D. Kolbaia, *Under Polish Wings. The Georgian Emigration in Poland 1921-1939,* Warsaw 2016.

78 ალექსანდრე გოძიაშვილის ნაშრომი „საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე“ 1926 წელს ვარშავაში წიგნად გამოიცა. ამჟამად ნაშრომი დაცულია ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

79 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ)

17. იოსებ სალაყაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს[80]

26/I [19]27 წ.

ძვირფასო კოწია!

მხურვალე სალამი. 200 ზლოტის[81] ჩეკი მივიღე, ხელწერილს აქვე გიგზავნი. ერთი დიდი სათხოვარი მაქვს, და თუ შესაძლებელი შეიქნა იმედია შემისრულებ. ეს არის მივიღე წერილი გენ[ერალ] ჩხეიძისგან,[82] რომელიც პოლონეთში იმყოფება, მწერს რომ კვინიტაძე[83] ძლიერ ავათ არისო, (კვინიტაძე მისი ახლო ნათესავია) და მთხოვს, რადგან ფულის გადაგზავნა აქედან მეტად ძნელი არისო, თუ შესაძლებელი შეიქნაო შენი სარგოდან მას გადაეგზავნოსო სამასი (300 ფრ) ფრ. ვიცი ჩემო კოწია, რომ იქ მუდამ უფულოდ ზიხართ, მაგრამ თუ კასაში რამე გაგაჩნია, ძლიერ და ძლიერ გთხოვ 300 ფრ[ანკი] გენერალ კვინიტაძეს გადუგზავნო და მე ეს თანხა ჩემი თებერვლის სარგოდან გამომიკლო. ამ ფულს გენ[ერალ] ჩხეიძე მე გადმომიგზავნის. კიდევ ერთხელ გთხოვ, ეს შემისრულო. მაპატივე, რომ ასე გაწუხებ. ნ[ოე][84] აქ არის. თუ რამე გაკეთდა მოგწერ დაუყონებლივ. მე სამწუხაროთ ხშირად ავათმყოფობ, ახლა კი სამუშაო ბევრი გვაქვს, ვაწყობ საღამოს და არჩევნებიც გვაქვს.

ჯერ მშვიდობით მარად შენი იოსები

---

80 BDIC – Bibliotheque de documentation internationale contemporaine (Nanterre). Microfilms des archives du gouvernement georgien, mfm 881, bobine 133. (თანამედროვე დოკუმენტების ბიბლიოთეკა. მიკროფირები საქართველოს არქივიდან.)

81 პოლონეთის ფულადი ერთეული 1919 წლიდან.

82 ალექსანდრე ჩხეიძე (1873-1941) – პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, გენერალი. 1921 წელს ბოლშევიკებისა და წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ საქართველო დატოვა. 1922 წელს კონსტანტინოპოლიდან პოლონეთში გადავიდა. 1922-1923 წლებში სამხედრო სასწავლებელში პოლკის მეთაურთა კურსებზე ასწავლიდა. 1923 წელს გრუჯიონძის ცხენოსანთა პოლკის ინსტრუქტორი გახდა, ხოლო 1924-1926 წლებში სამხედრო სკოლისა და მე-16 ქვეითი დივიზიის ინსტრუქტორი. 1927-1931 წლებში იყო პოზნანის მე-14 ქვეითი დივიზიის მეთაური. 1931 წელს კონტრაქტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად ლვოვში გადავიდა, სადაც 1939 წელს ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. ბრალად ედებოდა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა, საქართველოს დამოუკიდებელი არმიისა და პოლონეთის არმიაში საკონტრაქტო სამსახური, ვარშავის ქართული კომიტეტის წევრობა. 1940 წელს კიევში, ხოლო შემდეგ სპეციალური ბადრაგით მოსკოვში გადაიყვანეს, სადაც სავარაუდოდ, 1941 წელს დახვრიტეს. ყოლბაია დ. რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939, ვარშავა, 2019. გვ. 229.

83 გიორგი კვინიტაძე (1874-1970) (გიორგი ჩიქოვანი) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, საქართველოს ეროვნული გმირი. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში. დიდი დამსახურება აქვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ჩამოყალიბებაში და სამხედრო სკოლის დაარსებაში. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის (1921 წლის თებერვალი-მარტი) დროს იყო მთავარსარდალი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, ცხოვრობდა საფრანგეთში. უცხოეთში ყოფნისას აქვეყნებდა სტატიებს. დაწერილი აქვს მოგონებები. გარდაიცვალა ემიგრაციაში. მისი ნეშტი საფრანგეთიდან თბილისში გადმოასვენეს და 2021 წლის 26 მაისს მთაწმინდის მიწას მიაბრეს.

84 საუბარია ნოე რამიშვილზე, რომელიც ამ პერიოდში ვარშავაში იმყოფებოდა. იგი ხშირად ჩადიოდა პოლონეთში „პრომეთეისტური“ მოძრაობის საკითხებთან დაკავშირებით.

18. იოსებ სალაყაიას წერილი ნოე რამიშვილს[85]

10/III [19]27 წ. ქ. ვარშავა

ძვირფასო ნოე

მხურვალე სალამი. ეს არის შენი წერილი გადმომცეს. უნდა გაგიტყდე ძლიერ ვიყავი დაშინებული და მეტად მოხარული ვარ, რომ დიდი მოგზაურობის შემდეგ მაინც უხიფათოდ ჩამოსულხარ. სულთანოვი ეს უკანასკნელი ხანები აქ ბრძანდება, როგორც გადმომცეს ის დღეს მიემგზავრება სტამბოლში. აქ უთქვამს მოკლე ხნითო, რომ ისევ ვარშავაში დავბრუნდეო. ისე ჩვენს წინააღმდეგ გამოუყენებია აიოლას გამოსვლა, უთქვამს ქართველი სოც[იალ] დემ[ოკრატები] ორმაგ როლს თამაშობენო, ევროპისკენაც იცქირებიან და რუსეთისკენაცო. იმ რეზოლუციას, რომელსაც აიოლომ ხელი მოაწერა მე დაწვრილებით არ ვიცნობ, მაგრამ ეჭვს გარეშეა მეტად გვავნო. ეს სხვებმაც გამოიყენეს, რომ ჩოლოყაშვილის სკანდალით ერთგვარად გააბათილონ. მე რასაკვირველია ზოგიერთი ნაბიჯები უკვე გადავდგი, რასაც შენ იწერები ამას მოხერხებულ დროში შევასრულებ.

აფიცერთა მიერ გამოტანილ რეზოლუციების პასუხი უკვე მივიღე. პასუხი ისეთია, როგორიც ჩვენ გვინდოდა. ცირკულარულად დაეგზავნა აფიცრებს. არჩევნებზე სრული გამარჯვება. ჩოლოყაშვილი-ასათიანის ჯგუფმა თუმანიშვილის კანდიდატურის გარდა, სხვისი ვერავისი წამოაყენეს. ისიც დამარცხდა. ჩოლოყაშვილის დაჭერის შემდეგ ძლიერ დაბნეულები არიან, თუმცა თავის დაღუნვას არ აპირებენ და ცდილობენ გაამართლონ საზოგადოების თვალში. მათ ჯგუფმა ახალ აიოლას გამოსვლას წააპოტინა ხელი და ამით უნდათ ზიანი მოგვიტანონ. მე ამაზე დღეს მთ[ავრობის] თავმჯდ[ომარეს] ვწერ და იმედია იქიდან მალე ოფიციალურ პასუხს მივიღებ, რადგან თვით ღ-კოც ძლიერ ღელავს. შეიძლება ამას დაუკავშირა მან ფულის გაგზავნის საკითხიც სტამბულში თუ მართლია გუშინ წინ გააგზავნეს, რაც შეეხება პარიზს, მხოლოდ 500 გააგზავნა. დამპირდა ერთ კვირაში 1500-ის გადაგზავნას. იმით ხსნის, რომ არაფერი გამაჩნიაო. ყოველ შემთხვევაში აიოლამ ძლიერ გვავნო. ამ მოკლე ხანში კიდევ მოგწერ. ვიმედოვნებ მდგომარეობა თანდათან გამოსწორდება. მოკითხვა ჩვენებს.

მარად შენი მორჩილი
ი. სალაყაია

85 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2130, ანაწ. 1, საქმ. 39, ფურც. 1-2.

19. იოსებ სალაყაიას წერილი ნოე რამიშვილს[86]

11/X [19]27 წ. ქ. ვარშავა

ძმაო ნოე!

მხურვალე სალამი. შენი წერილი 2/IX 27წ. თარიღით გამოგზავნილი მივიღე. ძლიერ დამაგვიანდა პასუხის მოწერა, რადგან ყველა დავალებების შესრულებამ საკმაო დრო წამართვა, განსაკუთრებით ფულის უქონლობის გამო. ზოგ საკითხზე მოხსენებას მთავრობის თავმჯდომარეს ვუგზავნი, და მაშასადამე აქ არ გავიმეორებ. გამოგზავნილი პირების ჩამოსვლის შემდეგ ერთი კვირის შემდეგ გავაგზავნე, ცოტა გაგვიჭირდა, ყოველშემთხვევაში იმდენი გავატანე, რომ სტამბოლში ჩავიდნენ. აქ რამოდენიმეჯერ მთხოვეს, რათა, როცა ვინმეს ვაგზავნით ერთი თვით ადრე უნდა ვიცოდეთო, რომ გადავწყვითოთ შევძლებთ თუ არა გაგზავნასო. ძლიერ გთხოვ რათა მომავალში თუ გადასწყვეტთ ვინმეს გაგზავნას ერთი თვით მაინც ადრე შემატყობინოთ. წასულებიდან წერილი არ მიმიღია და არც ვიცი როგორ ჩავიდნენ. მაქვს მეორე სათხოვარიც წერილს ფოჩტით ნუ გამოგზავნი, ძლიერ ადევნებენ თვალ-ყურს წერილებს, ეს დანამდვილებით გავიგე. გამოაგზავნე საელჩოს საშუალებით, ან ვინმე რომ წამოვა. რასაც მწერ რასაკვირველია ყოველივე ჭეშმარიტებაა. წერილების გამოქვეყნების შემდეგ, აქ ერთი ამბავი შექნეს, განსაკუთრებით ბ-ნ კანდელაკმა[87]. იყო დიდი მუქარები, აუარებელი ჭორი და სხ. მე ხომ კანდელაკი ხმას არ მცემს, როცა დამინახავს თავს დაღუნავს და ისე გაიარს. გენ. ჩხეიძე[88] უფრო თავშეკავებული იყო, თუმცა ისიც მითხრა ან თავი უნდა მოვიკლა ან ვინმე მოვკლაო. ახლა ვითომდა მდგომარეობა უფრო შენელებულია. ეჭვს გარეშეა ზოგიერთებზე გავლენას ახდენენ; შესაძლებელი კი არის ნ[აციონალ] დემოკრატების[89] საშუალებით ზოგიერთი მაინც საერთო ფრონტის მოწინააღმდეგე არ იყოს. ამის მოხერხება შენ შეგიძლია. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ გენ. ჩხეიძეზე მოქმედებას შესძლებენ. ამას უსათუოდ მნიშვნელობა ექნება. ხომ იცი მისი გავლენა ახალგაზრდებზე.

ზოგიერთი კი როგორც მაგ. კანდელაკი და ყიფიანი ყოველთვის შეგვიშლიან ხელს მუშაობაში, ეს ჩემი ღრმა რწმენაა. ისინი მთლიანად პარიჟის გავლენის ქვეშ არიან. მათთან ყოველკვირეული მიწერ-მოწერა აქვთ.

ერთი უნდა ავღნიშნო იმ აფიცრების შესახებ, რომლებიც ჩვენდამი ლოიალურნი არიან. ამათ სამწუხაროდ ან ნაკლებ აინტერესებთ ჩვენი საკითხი, ან ხშირად შიშს განიცდიან. არა ერთხელ მქონია ლაპარაკი მათთან, მაგრამ ერთი არის რასაც მე მელაპარაკებიან და მეორე თუ როგორ იქცევიან შემდეგ. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ფაქტია. მათი სულისკვეთება ჩემთვის გაუგებარი რჩება.

ახლა ერთ რამეზე მინდა გთხოვო ნოე. მე აქ როგორც სჩანს თვალყურს მადევნებენ, ეს დიდი ხნის საქმე უნდა იყოს, შესაძლებელია დოკუმენტების მოპარვა უნდათ. მე მინდა ყველა დოკუმენტი მოვსპო, თან ყველა მიწერ-მოწერა. მხოლოდ

---

86 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2130, ანაწ. 1, საქმ. 83, ფურც. 1-2.

87 კონსტანტინე კანდელაკი.

88 გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე.

89 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

მთავრობის ნება დაურთველად ამას რასაკვირველია ვერ ვიზამ. ძლიერ კარგი იქნება ამ საკითხს დასვამდე და შედეგს შემატყობინებდე.

ამასთანავე ძლიერ გთხოვ როგორც ლევიცკი[90] ისე სალსკი[91] ნახო. აქაურ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ისინი მოგელაპარაკებიან. აი ჯერ-ჯერობით ყოველივე ის, რისი მოწერაც მინდოდა. პირადათ ჩემზე მინდა მოგწერო, რომ სულ ავათვმყოფობ, საშინელ კუჭის ტკივილებს განვიცდი, ვექიმობ, ჯერ ვერაფერს მშველიან. შესაძლოა სააპერაციო შევიქნე. ჩვენი მდგომარეობა ცოტა გამოსწორებულიყო მე თქვენკენ რამოდენიმე ხნით მაინც დავაპირებდი წამოსვლას და ამის შესახებ შუამდგომლობის აღძვრას მთავრობის წინაშე, მაგრამ ახლა ვიცი მდგომარეობა და ამისთვის აქ სიკვდილს ვარჩევ, ვინემ მუშაობის მიტოვებას.

ჯერ მშვიდობით, მომიკითხე თქვენი ოჯახობა.

მარად შენი იოსები

20. იოსებ სალაყაიას წერილი აკაკი ჩხენკელს[92]

23/II [19]28 წ. ქ. ვარშავა.

დიდათ პატივცემულო ბ[ატო]ნო აკაკი!

მხურვალე სალამი. ამ წერილს გწერთ არაოფიციალურად. ვიმედოვნებ ჩემი მოხსენება მიიღეთ. მას შემდეგ მთავრობის თავმჯდომარესაც გაუგზავნე მოხსენება, რომელსაც ვიმედოვნებ წაიკითხავდით, და მაშასადამე არ გავიმეორებ. მარტის შუა რიცხვებში პარიზში ჩამოდის თ[ადეო]ზი[93]. რასაკვირველია გნახავთ; სხვა საკითხთა შორის ძლიერ გთხოვთ მოელაპარაკოთ ახალგაზრდების მიღების შესახებაც. მას ახლა დიდი გავლენა აქვს და ბევრის გაკეთებასაც შესძლებს, შესაძლოა მიღების საკითხიც წერტილიდან დაიძრეს. პოლონეთში ახლა მთელი ყურადღება არჩევნებისკენაა მიქცეული მეტად ძნელია არჩევნების შედეგი როგორი იქნება რამესი თქმა. აქ პოლიტიკურ მოღვა-

90 ანდრი ლევიცკი (ლივიცკი) იხ. კომენტარი 59

91 ვოლოდიმირ სალსკი (1883-1940) – უკრაინის სახალხო არმიის გენერალი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მიღებული ჰქონდა არერთი მაღალი ხარისხის სამხედრო ჯილდო. უკრაინის სახალხო რესპუბლიკის წლებში იკავებდა სხადასხვა სამხედრო თანამდებობას. 1920 წლიდან ემიგრაციაში წავიდა და ცხოვრობდა პოლონეთში. 1924-1940 წლებში ემიგრაციაში მყოფი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი. წერდა სტატიებს სამხედრო ისტორიის შესახებ. პოლონეთის არმიის გენერალურ შტაბთან მრავალწლიანი თანამშრომლობის ინიციატორი. ეს თანამშრომლობა დაიწყო უკრაინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის, ანდრი ლივიცკის და მისი საიდუმლო მემორანდუმით, 1926 წლის 4 აგვისტოს, რომელსაც იუზეფ პილსუდსკისთან მოლაპარაკება მოჰყვა. მემორანდუმის საიდუმლო ნაწილი ითვალისწინებდა უკრაინის არმიის, როგორც პოლონეთის მოკავშირის, მომზადებას პოლონეთ-ბოლშევიკების ომის შემთხვევაში. იხ. В. Сальський, Енциклопедія історії України: Т. 9. Редкол.: В. А. Смолій (голова), Київ 2012, „Наукова думка"; A. Kolańczuk, *Ukrainscy generalowie w Polsce, emigranci polityczni w latach 1920-1939. Slownik biograficzny,* Przemyśl 2009.

92 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 348, ფურც. 24-25.

93 პოლონელი ოფიციალური პირი, მისი ვინაობა დაშიფრულია.

წეთა შორის იმდენი სხვა და სხვა აზრია, რომ რამესი დასკვნა შეუძლებელია. პირადათ კი ვფიქრობ, რომ მთავრობის ბლოკი დიდ ძალ ხმებს მოიპოვებს. უკიდურეს მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარცხენეთა ხარჯზე (კომუნისტთა) აქ არის ხმები, რომ მთავრობისთვის მიუღებელი შედეგები მოყვა არჩევნებს, სეიმი ისევ დაიშლებაო. ვფიქრობ ეს ასეც მოხდეს. ფართე აგიტაციას ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამი მიმდინარეობა აწარმოებს: მთავრობის ბლოკი, სოციალისტები და უკიდურესი მემარჯვენეები, თუმცა ოცდათოთხმეტი სიაა გამოცხადებული.

26 ამ თვეს ჩვენი კოლონიაც აირჩევს ახალ გამგეობას. ვიმედოვნებ არჩევნები კარგათ ჩატარდება. შედეგებს დაუყონებლივ გაცნობებთ. ახლა მინდა ორიოდე სიტყვა მორჩაძის[94] შესახებ მოგწეროთ. მე ვფიქრობ არჩევნების გათავების შემდეგ (თუ რასაკვირველია არჩევნებმა კარგათ ჩაიარა) კომიტეტიდან მას დახმარება ასი ზლოტი მივსცე, ამას კომიტეტში გავატარებ და ფულს გამოვაგზავნი თქვენს სახელზე. ძალამს გრთხინთ მითინქ ვაგეგას, ვარა ომჭკომუნა.[95] აქ დიდძალი წერილი მომდის, დახმარების შესახებ. სამწუხაროთ ეს შეუძლებელია, რადგან დიდის წვალებით ვახერხებ გროშების შოვნას, რომელიც ადგილობრივ უმწეო ემიგრანტთა და კომიტეტის შესანახად მიდის. საღამოდან შემოსული ფულიდან ერთი ნაწილი გადაიდო ქართულ წიგნების შესაძენათ, ფული უკვე გაიგზავნა. აქ როგორც ვიწერებოდი, დაარსდა ქართველ ემიგრანტთა დამხმარე კომიტეტი, მას მუდმივი კავშირი ექნება ჟენევასთან. ამ კომიტეტს გადაუგზავნე სამასი ზლ[ოტი]. თუ კიდევ აღმოგვიჩნდა წყაროები, კიდევ გადუგზავნი. დამხმარე კომიტეტი უკვე ამოქმედდა, მან 12 გაზეთში, მოწოდება გამოუშვა რათა პოლონელებმა თავისი წვლილი გაიღონ სხვა და სხვა ქვეყნებში დაფანტული, მეტად გაჭირვებულ გმირ საქართველოს შვილებისთვის. კომიტეტის შემადგენლობა საუკეთესოა, სხვათა შორის: არქიეპისკოპოსი როპი,[96] მწერლები სტრუგი,[97] სეროშევსკი, დემბიცკი,[98] იანუშ რადზივილი,[99]

---

94 საუბარია ყოფილ იუნკერზე დავით მორჩაძეზე, რომელიც ტაბახმელას ბრძოლებში დაიჭრა. იხ. ალექსანდრე ჩხეიძე, სამხედრო სკოლა. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ლელა სარალიძემ, თბილისი 2018, სქოლიო 132, pp. 103-104.

95 მეგრულად: „ძალიან გთხოვთ არავინ გაიგოს, თორემ შემჭამენ“.

96 ედვარდ ფონ როპი (გერმ. Eduard Michael Johann Maria Baron von der Ropp; 1851-1939) – კათოლიკე ეპისკოპოსი, ტირასპოლში (1902-1903), ვილნიუსის ეპისკოპოსი (1903-1917), მოჰილევის მთავარეპისკოპოსი (1917-1926).

97 ანჯეი სტრუგი. იხ კომენტარი 53.

98 ზჯისლავ კლემენს დემბიცკი, ფსევდონიმი დემბი, კ. ზებჟიდოვსკი (1871-1931) – პოლონელი პოეტი, მწერალი და ჟურნალისტი.

99 იანუშ რაძივილი (1880-1967) – პოლონელი პოლიტიკოსი, კონსერვატორი. 1928-1935 წლებში პოლონეთის სეიმის წევრი, ხოლო 1935-1938 წლებში სენატორი. მას მემკვიდრეობით ერგო დიდძალი ქონება და ფულადი თანხა. მას ეკუთვნოდა სასახლე ვარშავაში (დღეს დამოუკიდებლობის მუზეუმის შენობა).

პოტოცკი[100] – მარშლის მეგობრები. თავმჯდომარეა ლედნიცკი[101] და ბევრი სხვა მეტად გამოჩენილი პიროვნებანი, ვიმედოვნებ მომავალში მორალურად მაინც დიდათ დაგვეხმარებიან. მე არ ვიცი რა ბედი ეწია ჩემს შუამდგომლობას. ჯანმრთელობაზე მუდამ წერით ალბათ თავი მოგაბეზრეთ, ისე კი მართლაც არაფერი ეშველა ჩემს ჯანმრთელობას.

მოვიკითხავ ღრმა პატივისცემით ქ[ალბატო]ნ მაკრინეს.[102] მხურვალე სალამი.

თქვენი იოსები

21. იოსებ სალაყაიას წერილი ევგენი გეგეჭკორს[103]

30/VIII [19]29 წ ქ. ვარშავა

საგარეო საქმეთა მინისტრს ბ[ატო]ნ ე[გვენი] გეგეჭკორს[104]

მთავრობის დადგენილება, რომელიც შეეხება აფიცერთა საკითხს (გამოგზავნილია 24/VIII [19]29 წ./ თარიღით) მივიღე. იმ განცხადების თანახმად, რომელიც უკანასკნელად მივიღეთ, ჯერჯერობით გარკვეულად კიდევ არ ვიცით თუ ვის დაითხოვენ; ვფიქრობთ და ოფიციალურ პირებს განცხადებული აქვთ, რომ დათხოვა შეეხება ხნიერ და ავადმყოფ ოფიცრებს, ისე როგორც ხდება ეს პოლონეთის ჯარში. დათხოვნის მიზეზების გამორკვევა მეტად ძნელია, მაგრამ თუ საკითხი დაისვა, პირველ წერილშიდაც გწერდით, ალბათ იმიტომ რომ რამოდენიმე ათასი თავიანთი ხალხი დაითხოვეს, ეჭვს გარეშეა სხვა მიზეზებიც არსებობს, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენ.

---

100 იერჟი იოზეფ ჰენრიკ პოტოცკი (1889-1961) (Jerzy Józef Henryk Potocki) – კავალერიის კაპიტანი და დიპლომატი. 1919 წელს მიიღეს პოლონეთის არმიაში, მსახურობდა გენერალურ შტაბში და იყო სამხედრო ატაშე ბუდაპეშტში. 1933 წლიდან დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა, იმავე წელს იგი დაინიშნა ელჩად იტალიაში. 1933-1936 წლებში იყო პოლონეთის ელჩი თურქეთში, ხოლო 1936-1940 წლებში პოლონეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი დასახლდა ლიმაში, პერუს დედაქალაქში. K. Jankowiak, "Jerzy Potocki o Józefie Piłsudskim w listach do matki", *Mazowieckie Studia Humanistyczne,* Nr 2, 2002, s. 267-279.

101 ალექსანდრე ლედნიცკი. იხ კომენტარი 54.

102 მაკრინე სიმონის ასული თურქია – აკაკი ჩხენკელის მეუღლე.

103 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2121, ანაწ. 1, საქმ. 45, ფურც. 30-31.

104 ევგენი გეგეჭკორი (1881-1954) – პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატი. 1907-1912 წლებში იყო რუსეთის იმპერიის მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. 1917 წლის 14 ნოემბრიდან ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე გახდა. მოგვიანებით კი, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხდაების შემდეგ 1918 წლის 2 ივნის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა. 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წაიდა, სადაც აქტიურად იღწვოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და საქართველოს ინტერესების დასაცავად მსოფლიო ასპარეზზე. იყო სხვადასხვა პოლიტიკური ემიგრანტული ორგანიზაციის აქტიური წევრი და ლიდერი.

რაც შეეხება კონტრაქტებს – ჩვენ ოფიცრებს ყოველ ნახევარ წელიწადში კონტრაქტის ვადა უთავდებათ და ხელახლა ავტომატურად აგრძელებენ. ქართველ ოფიცრებზე არავითარი კანონი არ ვრცელდება, ისინი აქ იმყოფებიან, ეგრეთ ვთქვათ, სტუმრად და ყოველ წამს მათი დათხოვნა შესაძლებელია, (პოლონელებისთვის არსებობს დროებითი კანონი 1930 წლამდე, რომლის ძალით მთავრობას უნდა მოიცილოს უმეტესი ნაწილი, თუ არა მთლიანად ძველი, სხვადასხვა ჯარებში სამსახური აფიცრები.)

თავდაპირველად თანახმად მათი პირადი თხოვნისა იყო აღძრული შუამდგომლობა გენ. ყაზბეგზე[105], რომელსაც შეუსრულდა 69 წელიწადი და გენ. ბაქრაძეზე[106], (რომელსაც შეუსრულდა 61 წ.) რათა ისინი განთავისუფლებული ყოფილიყვნენ სამსახურიდან და მისცემოდათ მათ დაკმაყოფილება (უნდა აღვნიშნო, რომ თანახმად არსებულ კანონისა, უკანასკნელი ვადა სამსახურისა ბრიგადის გენერლისთვის პოლონეთში არის 59 წელიწადი, დროებითი კანონის მიხედვით კი 52 წელიწადი). ამის შემდეგ მოთხოვნილ იქნა სია ყველა ოფიცრებისა, აღნიშვნით სხვათა შორის, რომელ წელშია დაბადებული, რა ჩინში იყო რუსეთსა და საქართველოს ჯარში და როგორია მათი ოჯახური მდგომარეობა. ამის შემდეგ მოგვცეს დაპირება, რომ მატერიალურად იქნებიან უზრუნველყოფილნი. თუ როგორ და რა ფორმით, ამის ირგვლივ გვაქვს მუშაობა, საბოლოოდ ამ საკითხს რამდენათაც ჯერჯერობით ვიცით გადაწყვეტს მთავრობა. გვპირდებიან რომ, უზრუნველყოფის უფლება ექნებათ ოფიცრებს, რომელთაც 40 წელიწადი შეუსრულდათ ანდა ავად არიან. ჩვენ შევეცადეთ, რათა ეს არ იქნეს იძულებითი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პოლონეთის წლოვანების კანონში არ შედის. ბევრი საკითხებია კიდევ გამოსარკვევი. ჩვენ ცდას არ ვაკლებთ და არც დავაკლებთ, რათა მაქსიმუმს შესაძლებლობისას მივაწიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი აფიცერი განსაკუთრებით, ჩემსა და გენ. ზაქარიაძის წინააღმდეგ არიან ამხედრებულნი.

მარად თქვენი ი. სალაყაია

---

105 ივანე ყაზბეგი (1860-1943) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, მსახურობდა რუსეთის იმპერიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის (ოფიცერის რანგში) არმიებში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და პირველ მსოფლიო (1914-1918) ომებში. 1916 წელს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ქართველ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად შევიდა პოლონეთის ჯარში, სადაც მსახურობდა კონტრაქტით. პოლონეთის არმიაში მიიღო ბრიგადის გენერლის სამხედრო წოდება. 1931 წლის 31 აგვისტოს, კონტრაქტის დასრულების გამო, არმიიდან დაითხოვეს.

106 ზაქარია ბაქრაძე (1868-1938) – ქართველი გენერალი. მონაწილეობდა 1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომში. მიღებული ჰქონდა „წმინდა გიორგის“ IV და III ხარისხის ორდენები. ასევე, რუსეთის იმპერიის შემდეგი ორდენები: „წმინდა სტანისალავის“ III (მახვილებითა და ბაფთით, 1900 წ.) და II ხარისხის ორდენები (მახვილებით), „წმინდა ვლადიმერის“ IV ხარისხის ორდენი (მახვილებითა და ბაფთით), „წმინდა ანას“ III (მახვილებითა და ბაფთით, 1901 წ.) და II ხარისხის (მახვილებით, 1905 წ.) ორდენები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში თავდაცვის სამინისტროში მაღალი რანგის თანამდებობაზე მსახურებდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. 1922 წლის ნოემბერში პოლონეთში გადავიდა და 1923 წლის 13 თებერვლიდან ქ. რემბერტოვოს ექსპერიმენტულ სასწავლო ცენტრში პოლკის სამეთაურო კურსები გაიარა. შემდეგ ქ. ტორუნუს იარაღის ცენტრალურ სკოლაში გადიოდა ქვეითთა დ არტილერიის სამეთაურო კურსებს. სავალდებულო პრაქტიკის დასრულების შემდეგ 1926 წლის სექტემბრიდან 1931 წლის 30 ივნისამდე მსახურობდა მე-15 ქვეითთა დივიაზიაში, სადაც იყო ქვეითთა მეთაური, პენსიაზე გასვლის შემდეგ ქ. ბიდგოშჩში ცხოვრობდა.

22. იოსებ სალაყაიას წერილი ნოე ჟორდანიას[107]

11/X [19]29 წ ქ. ვარშავა

საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს ბ[ატო]ნ ნ[ოე] ჟორდანიას

საკმაო ხანია, რაც შელახული ჯანმრთელობის წყალობით დიდის ტანჯვით თავს ვატან, რომ ამ დრომდე შემესრულებინა მთავრობის მიერ ჩემდამი დაკისრებული მოვალეობანი. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, იმდენათ დასუსტებულად ვგრძნობ თავს, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად, რომ საბოლოოდ გადავწყვიტე მთავრობისთვის მომეხსენებინა, რათა განთავისუფლებული ვიქნე დავალებული მოვალეობიდან, რაც ჩამოსვლისას მოვახსენე, საგ[არეო] საქ[მეთა] მინისტრს ბ. ე[ვგენი] გეგეჭკორს, რომელმაც დაუშვებლად მიიჩნია ასეთ პირობებში დავტოვო პოსტი; მიუხედავათ ამისა დაჟინებით ვსთხოვ მთავრობას, რათა ჩემი თხოვნა იქნეს დაკმაყოფილებული. ვიმედოვნებ მთავრობის გადაწყვეტილება მეცნობება მოკლე ხანში.

მარად თქვენი მორჩილი
ი.სალაყაია

23. იოსებ სალაყაიას წერილი ევგენი გეგეჭკორს[108]

3/VI [19]30 წ ქ. ვარშავა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბ[ატო]ნ. ე[გვენი] გეგეჭკორს

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, გიდგენთ მოხსენებას, თუ რა გაკეთდა ჩემს მიერ უკანასკნელ თვის (მაისის) განმავლობაში. წლეულს დამოუკიდებლობის დღის დღესასწაული და საერთო დღესასწაული კავკასიელებთან[109] ვერ მოხერხდა, მთავარში შემდეგი მიზეზების გამო: უკანასკნელი ორი თვეა, რაც ოპოზიცია თავს ესხმის მთავრობას, რომ ეს უკანასკნელი ომისთვის ემზადება რუსეთის წინააღმდეგ, გაკვრით იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ პოლონეთში ბლომად მოიპოვება ისეთი ელემენტები, რომელნიც აგრესიული პოლიტიკის მოტრფიალენი არიან ასეთ წერილების და განსაკუთრებით ყუმბარის, რუსეთის საელჩოში აღმოჩენის შემდეგ მდგომარეობა რუსეთსა და პოლონეთს შორის მეტად გამწვავდა. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ დაახლოებით ოცი მაისის შემდეგ უნდა მოეწვიათ სეიმი და არვინ იცოდა თუ რა მოჰყვებოდა სეიმის მოწვევას შედეგად, თათბირის შემდეგ, რომელსაც დაესწრნენ დამოუკიდებელი კომიტეტის წევრები და მე გადავწყვიტეთ,

---

107 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, ანაწ. 1, საქმ. 329, ფურც. 1.

108 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2121, ანაწ. 1, საქმ. 45, ფურც. 34-35.

109 P. Libera, *Il Rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego, Tom 4,* Warszawa 2013, s. 40-41.

რათა წლეულს დღესასწაული არ გაგვემართა. (ამ თათბირს დაესწრო რამოდენიმე ჩვენი მეგობარი).

პოლიტიკურ ხასიათის შეხვედრები უკანასკნელ თვეს მქონდა მთელ რიგ პირებთან ბ. ლუკასევიჩთან,[110] იაპონიის სამხ[ედრო] ატაშესთან, უცხოელ გაზეთების თანამშრომელ ბ. დიმმერთან, გუმერუსთან[111] (ფინლანდიის პროფესორი), ამ უკანასკნელთან შეხვედრა მქონდა ბ. მდივანთან ერთად, ბ. გალათთან (ერთა ლიგის წარმომადგენელთან). ამათ გავაცანი როგორც საერთო მდგომარეობა საქართველოსი, ისე უკანასკნელთ მოძრაობა კავკასიაში, განსაკუთრებით აზერბაიჯანში. ამ მიზნით მქონდა შეხვედრა რამოდენიმე რედაქტორთან: ველოპოლსკასთან (კურიერ პორანის რედაქ[ტორი]), ოტმარ-ბერსონთან[112] (გაზეტა პოლსკას რედაქტორთან) და სხ. ამ ორ მწერალმა მშვენიერი სტატიები უძღვნეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.[113] გადადგმული იქნა მთელი რიგი ნაბიჯები, მაგ. აღმართული მაქვს შუამდგომლობა, რათა ქართული ენის კათედრა იქნას გახსნილი, ამაში ბევრნი მეხმარებიან, როგორც პროფესორები: ჰანდელსმანი,[114] პონიატოვსკი, კოტარბინსკი,[115] შომერი და სხვა. ისე საგ. საქმეთა სამინისტრო და ბ. სუხოდოლსკი (განათ[ლების] სამინ[ისტროს] დეპარტამენტის დირექტორი).

აღვძარი შუამდგომლობა სოლოვკიდან[116] გამოქცეულების პოლონეთში ჩამოსაყვანად, ამის შესახებ ყოველ ორი დღე მიხდება სამინისტროში სიარული, დაპირება მაქვს, მაგრამ ვიზები ღირს (950 კრონა). უკანასკნელი ოცი დღე ათინაში პროსომორის კრებაზე ქართველ დელეგატის გაგზავნის საკითხს მოვანდომე. ამაზე ვწერ ჩხენკელს და აქ არ შევჩერდები. ჩემი ცდა, რომ რამე ვიშოვო ლტოლვილებისთვის

---

110 იულიუშ ლუკასევიჩი. იხ. კომენტარი 69

111 ჰერმან გუმერუსი (1877-1948) – ფინელი მემარჯვენე პოლიტიკოსი, დიპლომატი. 1926-1947 ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორი.

112 იან ბერსონი (ფსევდონიმი: იან ოტმარი) (1903-1946) – პოლონელი ჟურნალისტი და სოვეტოლოგი, *Głos Prawdy*-ს და *Gazeta Polska*-ს რედაქციის თანამშრომელი. 1932-1935 წლებში იყო პოლონეთის ტელეგრაფიული სააგენტოს მუდმივი კორესპოდენტი მოსკოვში (გააძევეს 1935 წელს). ავტორი სამი წიგნისა სსრკ-ს შესახებ, ხელმოწერილი იან ოტმარის ფსევდონიმით. იან ბერსონის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წიგნი საბჭოთა ზნეობრივ დანაშაულზე. მეორე მსოფლიო ომის დროს მან პოლონეთი დატოვა და ლიეტუვას გავლით შვედეთში გადავიდა. იყო კორესპონდენტი 1939-1940 წლებში საბჭოთა-ფინეთის ომის დროს.

113 L. Piątkowski, "Gruzja w publicystyce polskiej lat dwudziestych XX w.," *Pro Georgia*, 3(1993), s. 27-32

114 მარცელი ჰანდელსმანი (1882-1945) – ებრაული წარმოშობის პოლონელი იურისტი და ისტორიკოსი, მედიევისტი, ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიკოსი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიისაა და საფრანგეთის მორალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. იყო პოლონეთში XX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ისტორიკოსი. 1944 წლის 14 ივლისს იგი გესტაპომ დააპატიმრა და გაგზავნეს გროს-როზენის საკონცენტრაციო ბანაკში. შემდეგ გადაიყვანეს დორა-ნორდჰაუზენში, სადაც 1945 წლის 20 მარტს გარდაიცვალა.

115 ტადეუშ კოტარბისკი (1886-1981) – პოლონელი ფილოსოფოსი, ლვოვ-ვარშავის ლოგიკური სკოლის წარმომადგენელი. შემეცნების თეორიის, ლოგიკისა და ეთიკის საკითხებზე დაწერილმა მისმა შრომებმა დიდი როლი ითამაშეს პოლონეთში ლოგიკისა და ფილოსოფიის გავრცელებისა და შესწავლის საქმეში. ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, ლოძის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პოლონეთის ფილოსოფიის საზოგადოების თავმჯდომარე (1927 წლიდან).

116 სოლოვეცკის სპეციალური იძულებითი შრომითი ბანაკი, მათ შორის ორი გადაცემისა და განაწილების პუნქტები არხანგელსკში და კემში, ორგანიზებული იყო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ (სახალხო კომისართა საბჭოს სხდომის მე-15 ოქმი, 1923 წლის 13 ოქტომბერი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე – რიკოვი).

ჯერჯერობით უნაყოფოა, ამაზე მოგახსენებდით. ჩვენი საკითხის გასაცნობად, აქ მთელი რიგი ლექციები იქნა წაკითხული (ნაკაშიძე,[117] ქავთარაძე,[118] ნანუაშვილი[119]) აღმოსავლეთ ინსტიტუტში,[120] რომელზედაც საკმაოდ დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

---

117 დოქტორი გიორგი ნაკაშიძე (1894-1990) – ქართველი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი, პრომეთეს მოძრაობის აქტივისტი, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე თბილისში. ქუთაისში გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში. 1922 წელს იგი დააპატიმრეს და თბილისის მეტეხის ციხეში ჩასვეს. საქართველოს ელჩმა ბერლინში, ვლადმერ ახმეტელმა ევროპელი პოლიტიკოსების ზეწოლის შედეგად, 62 პატიმარი გაათავისუფლა და მან მიიღო ემიგრაციაში გასვლის ნებართვა. სწავლობდა სამართალსა და ფილოსოფიას ჰაიდელბერგის, შემდეგ პრაღის უნივერსიტეტში. მიიღო დოქტორის ხარისხი სამართალსა და ფილოსოფიაში. 1930 წელს ჩაიბარა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში. იგი წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. იყო ვარშავის აღმოსავლეთის ინსტიტუტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის მკვლევარი. კითხულობდა ლექციებს ვარშავის უნივერსიტეტში. 1927 წელს გახდა ვარშავის პრომეთეს კლუბის ვიცე-თავმჯდომარე. 1940 წელს მან შეცვალა გრიგოლ ალშიბაია პროგერმანული კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარედ. თანამშრომლობდა ბერლინის საქართველოს ეროვნულ კომიტეტთან. ვარშავის აჯანყების დროს (1944 წელს) გადაარჩინა ქართველები, პოლონელები და ებრაელები. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა მიუნხენში, შემდეგ კი არგენტინაში. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1948 წელს საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. კითხულობდა ლექციებს ჰარვარდის უნივერსიტეტში. 1960-1966 წლებში იყო ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი. თავის გამოსვლებში მან ღიად გამოხატა ანტიბოლშევიკური შეხედულებები (გამოვიდა ამერიკის კონგრესში 1960 წელს), გააკრიტიკა სსკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშოვის პოლიტიკა საქართველოს მიმართ 1956 წელს. 1974-1978 წლებში შეადგინა ჰარვარდის უნივერსიტეტის არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დოკუმენტების კატალოგი. გიორგი ნაკაშიძე გარდაიცვალა 1990 წელს, 96 წლის ასაკში. დაკრძალეს ნიუ იორკში. (D. Kolbaia, *Pro Georgia*, 22 (2012), s. 287).

118 ივანე ქავთარაძე (1897-1944) – პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცერი, ისტორიკოსი. 1929 წელს პოლონურ ენაზე საქართველოს ისტორიის შესახებ გამოსცა წიგნი „საქართველო ისტორიულ ჭრილში“ მარცელი ჰანდელსმანის წინასიტყვაობით. 1944 წლის 2 აგვისტოს ვარშავის აჯანყების დროს, მეუღლესთან ერთად დახვრიტეს.

119 ვანო ნანუაშვილი (1902-1974) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლონეთის არმიის ოფიცერი, პოლიტიკური ემიგრანტი. 1921 წლის იმყოფებოდა სტამბოლში, შემდეგ, 1922 წლამდე ათენში, საბერძნეთის სამხედრო აკადემიაში, ხოლო 1923-1925 წლებში ვარშავაში, პოლონეთის სამხედრო აკადემიაში ირიცხებოდა. 1928 წელს მან სხვა ემიგრანტებთან ერთად საქართველოს ოფიცერთა ასოციაცია დააარსა, რომლის მდივანი იყო ცხრა წლის განმავლობაში. ვანო ნანუაშვილი საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ჟურნალის "მხედარის" რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა. 1939 წელს, როგორც პოლონეთის არმიის წევრი, იბრძოდა გერმანიის წინააღმდეგ. 1939-1944 წლებში იმყოფებოდა გერმანიის სამხედრო ტყვეობაში, საიდანაც 1944 წელს გაქცევა მოახერხა. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ იბრძოდა იტალიაში. ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა ლონდონში, ხოლო 1951 წლიდან გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვანო ნანუაშვილს ინგლისურ ენაზე დაწერილი აქვს სამხედრო-პოლიტიკური ნარკვევები. მან 1956 წელს ბოსტონში გამოსცა ნაშრომი "საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე", ხოლო 1973 წელს ნიუ-იორკში გამოაქვეყნა წიგნი "რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ".

120 1926 წელს აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლისა მიზნით პოლონეთში დაარსდა ვარშავის აღმოსავლეთის ინსტიტუტი, რომელიც ეხმარებოდა ქართველ ემიგრანტებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული პროგრამების განხორციელებაში. პოლონეთის ხელისუფლება ზრუნავდა ახალგაზრდა ემიგრანტების განათლებაზე, კერძოდ, მათი მიზანი იყო ემიგრაციის ახალგაზრდა თაობა მოემზადებინა პოლიტიკური საქმიანობისთვის. ამისთვის, 1929 წელს აღმოსავლეთის ინსტიტუტთან დაარსდა ახალგაზრდა ორიენტალისთა წრე. I. Maj, *Działalność Instytutu Wschodniego w Warszawie 1926-1939*, Warszawa 2007.

აღმოსავლეთის ინსტიტუტში ვაპირებთ კავკასიის საზოგადოებას[121]. მაისის დამლევს ზაფხულის დადგომის გამო დაიხურა როგორც აღმოსავლეთის ინსტიტუტი ისე პრომეთეოსი.[122] ეს უკანასკნელი უკანასკნელ ხანია ვერ იჩენს სათანადო აქტივობას. აი მოკლედ რისი მოხსენება შემიძლია ჩემი მუშაობის შესახებ. ზაფხულის თვეებში მუშაობა ნაკლები ტემპით მიდიოდეს იქნება, თუმცა ბევრი კონკრეტული საკითხების გამო მე ალბათ ვარშავაში მომიხდება დარჩენა და რამდენითაც შემეძლება მუშაობას განვაგრძობ.

მხურვალე სალამი მარად თქვენი ი. სალაყაია.

24. იოსებ სალაყაიას წერილი ნოე რამიშვილს[123]

უთარიღო

უკანასკნელ შენს წერილის შესახებ ვიყავი ლევიცკისთან.[124] ისიც ბევრი რამით ძლიერ უკმაყოფილოა. რაც შეეხება სიეზდის საკითხს ისიც არ არის მთლიანად კურსში. მე ჯერ სმალსტოცკის[125] უნდა მოველაპარაკო. როგორც გუშინ პირველად მისგან

---

121 გულისხმობს კავკასიის საზოგადოების დაარსებას.

122 1924 წლის შემოდგომიდან მარშალ იუზეფ პოლსუდსკის მომხრეებმა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და გენერალურ შტაბში დაიწყეს პრაქტიკული ღონისძიებების გატარება კავკასიის ერების ერთ პლატფორმაზე კავკასიის კონფედერაციაში გაერთიანებისათვის. მათი საქმიანობის შედეგად, კონსტანტინოპოლში, 1926 წელს, შეიქმნა კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი. მასში შედიოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის ემიგრაციის წარმომადგენლები. კომიტეტის მიზანი იყო კავკასიის განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან. კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტმა 1926 წლის ნოემბერში პარიზში დაიწყო ფრანგულენოვანი ჟურნალის „პრომეთეს" გამოცემა. ჟურნალის გამოცემით დაარსდა პრომეთეისტული მოძრაობა, რომელსაც შემდგომში შეუერთდა სსრკ-ის მიერ დაპყრობილი სხვა ერების ემიგრაცია. P. Libera, *Il Rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego,* Tom 4, Warszawa 2013, s. 43-47; idem, The International of the Conquered' – The Promethean Movement and Polish Authorities During 1926-1939, *„History"* (Bulgarian Journal of Historical Education), Sofia, 2018, vol. 26, number 6.

123 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2130, ანაწ. 1, საქმ. 39, ფურც. 3-4.

124 ანდრი ლევიცკი (ლივიცკი). იხ. კომენტარი 59.

125 რომან სტალ სტოცკი (1893-1969) – უკრაინელი ენათმეცნიერი, დიპლომატი, პოლიტიკოსი, პრომეთეისტული მოძრაბის წევრი. სწავლობდა ვენაში, ლაიფციგსა და მიუნხენში. პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ავსტრია-უნგრეთის არმიაში, მოგვიანებით უკრაინის განმათავისუფლებელი კავშირის აქტიური წევრი გახდა. 1917 წლიდან მუშაობდა ბერლინის დიპლომატიური სამსახურის უმაღლეს სკოლაში. 1918 წელს გახდა ბერლინის ორიენტალისტური სემინარიის ასოცირებული პროფესორი. 1919 წლიდან იყო დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკისა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ბერლინში, ხოლო 1921-1923 წლებში წარმოადგენდა უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ემიგრაციაში. 1926-1939 წლებში გახდა ვარშავის უნივერსიტეტის სლავისტიკის ფაკულტეტის პროფესორი. იყო ემიგრაციაში მყოფი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-პრემიერი. 1930-1939 წლებში ვარშავის უკრაინის სამეცნიერო ინსტიტუტის მდივანი. 1939-1945 წლებში იყო პრაღის თავისუფალი უკრაინული უნივერსიტეტის პროფესორი. ომის წლებში ეხმარებოდა ვარშავის უნივერსიტეტის თანამშრომლებს. 1945 წლის მაისიდან გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში გადავიდა, 1947 წლიდან დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გარდაიცვალა ვაშინგტონში.

გავიგე, თურმე სიეზდის მოსაწყობად ფული უნდა ეშოვნათ ნაწილობრივ მაინც ლატვიაში, ესტონეთში და ფინლანდიაში და ამისთვის თადეოზს იქ სმალსტოცკი გაუგზავნია, მაგრამ იქ ისეთი ატმოსფერო დახდომია, რომ ფულის შესახებ კრინტიც არ ამოუღია საერთოდ. მე არ ვიცი თუ იქნება სიეზდი, და თუ იქნა ყოველივე ისე მალულად ეწყობა, რომ ძნელი წარმოსადგენიც არის. ახლა ლევიცკი აქედან სხვაგან მიდის და შემდეგ ისევ მექნება მასთან ლაპარაკი. ნოე ხედავ როგორია აქ მდგომარეობა, დღიღი დღე უარესი. გავიგე რომ პირველს ამერიკიდან წამოვიდა დუმბაძე[126] და თუ ახლაც იქიდან არავითარი შველა არ იქნება, რასაკვირველია ჩვენი ასეთი მდგომარეობა პოლონეთში ნუ თუ დიდხანს უნდა გასტანოს? ძლიერ გთხოვ ძვირფასო ნოე შემატყობინე თუ რა გააკეთა დუმბაძემ. აქვე ორიოდე სიტყვა ბ-ნ ვექილოვზე[127] მან დაბრუნებისას აქ დასთესა ვითომ მთლიანობა დაინგრა, რომ ყოველივეში მთავრობაა დამნაშავე და სხვა. ასეთია ჩვენი მეზობლების საქციელი, მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალური ლოიალობას მათდამი ვიჩენთ. ამ მოკლე ხანში კდევ მოგწერ. ძლიერ და ძლიერ გთხოვ დუმბაძის შესახებ მომწერო, ის აქაც უნდა ჩამოვიდეს და მეტად მადლობელი ვიქნები თუ შემატყობინებ თუ როდის იქნება ის ვარშავაში.

მეგობრული სალამით მარად შენი
იოსებ სალაყაია

25. იოსებ სალაყაიას წერილი ნოე ჟორდანიას[128]

10/X [19]31 წ ქ. ვარშავა

საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს
ბ[ატო]ნ ნ[ოე] ჟორდანიას

თქვენმა ავათმყოფობამ ჩვენ აქ ყველა მეტის მეტად შეგვაწუხა. როგორც მომწერეს, ორი კვირის განმავლობაში მეტად დიდი სიცხეები გქონიათ. მადლობა ღმერთს, რომ ახლა უკეთ ხართ, თქვენს თავს დიდი მოვლა სჭირდება, თორემ ის ღა გვაკლია, რომ თქვენ დიდი ხნით იავათმყოფოთ. უზომო მადლობელი ვიქნები, როგორც რომ მოკეთდებით თქვენგან წერილს მივიღებდე.

---

126 ვასილ დუმბაძე (1882-1943) – ეკონომისტი და დიპლომატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი და ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე აშშ-ი. ცდილობდა საქართველოს საკითხით დაეინტერესებინა ამერიკის მთავრობა. ეწეოდა ქველმოქმედებას, ეხმარებოდა ქართველ ემიგრანტებს.

127 მუსტაფა-ბეი ნადირ-აღა ოღლუ ვექილოვი (1896-1965) – აზერბაიჯანელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი და დიპლომატი. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი და აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრი. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ თავი თბილისს შეაფარა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის დროიდან ემიგრაციაში წავიდა თურქეთში. ემიგრაციაში იზიარებდა და იცავდა პანტურქიზმის იდეას. სტამბულში იყო მუსავატის საგარეო უწყების წევრი. 1920-იან წლებში საცხოვრებლად პოლონეთში დამკვიდრდა. 1928 წლის ბოლოს ვარშავის კლუბ „პრომეთეს“ თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე გახდა. სტატიებს აქვეყნებდა ემიგრანტულ და პოლონურ პრესაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ცხოვრობდა გერმანიაში. გარდაიცვალა ანკარში.

128 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, ანაწ. 1, საქმ. 329, ფურც. 1.

მოხსენების გამოგზავნა დამიგვიანდა. არჩევნების საკითხის ირგვლივ იყო მუშაობა და ამის გამო მოხსენების გამოგზავნა შევაჩერე. დაწვრილებითი მოხსენებას ს. მდივანი[129] გაგიკეთებდათ, მაგრამ მე მაინც მინდა ჩემი აზრი მოგახსენოთ. არჩევნები დავნიშნეთ 29 მარტისთვის, დაახლოებით ათი დღით ადრე არჩევნებამდე აქ ჩამოვიდა ბ. ალშიბაია[130]. მოვიდა ჩემს სანახავად და დაახლოვებით მელაპარაკა შემდეგი: რამოდენიმეჯერ ე. გეგეჭკორიდან და ა. ჩხენკელიდან მივიღე წერილებიო, მთხოვდენო, რომ ვარშავაში ჩავიდეო და გავიგოვო, თუ რას შვრება ეს ხალხიო, (სახეში ვყავდით მე, ს. მდივანი და ა. ზაქარიაძე). თურმე ჩვენ ვცდილობთ ერთიმეორეს გადავკიდოთ კოლონიის წევრები, გათიშვა გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ, ჩვენის წყალობით გადაუსახლებიათ მეტად სახელოვანი პირები, რომელნიც არავითარ ოპოზიციას არ აწარმოებდნენ და არ აწარმოებენ, არამედ მთავრობასთან შეთანხმებას ცდილობენ, რომ ამას არ გვაპატიებს არც ისტორია და არც საქართველო, რომ ჩვენ ვსარგებლობთ ზოგიერთი გავლენიანი პირებით და ვაკეთებიებთ იმას, რაც გვინდა, რომ არაა შორს ის დრო, როცა მდგომარეობა შეიცვლება და შემეკითხა მაშინ რას აპირებთო, ხომ ყველაფერი თავზე დაგატყდებათო, რადგან ყოველივე ის, რაც მ. ალშიბაიამ გადმოშალა არა ერთხელ მითხრა, რომ თურმე ჩემს გადასახლებასაც აპირებთო, ამას რასაკვირველია ადვილად მოახერხებთო, მაგრამ ისევ ახლო მომავლით დამემუქრა. ჩემს შემდეგ ორჯერ ინახულა სიმონი, მასთან ლაპარაკი უფრო რბილი კილოთი ჰქონია და ბევრ რამეს, რასაც ჩემთან შეეხო, მასთან არ ულაპარაკია. (მაქვს საბუთი ვიფიქრო, რომ მას ერთმა გავლენიანმა პოლონელმა ურჩია, რომ იყოს უფრო თავშეკავებული, თორემ ეს მას ავნებს) სიმონს მთელ სიგრძე-სიგანით გადაუშლია სურათი, ამას თვით მოგახსენებდათ.

მქონდა ცნობები, რომ ჩამოვიდა არჩევნების[131] წინ ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად, თავდაპირველად გადაწყვეტილი ჰქონიათ მთელი სიმკაცრით თავზე დაგვცემოდნენ არჩევნების დღეს, მხოლოდ შემდეგ ისევ დაიბნენ. თუმცა ოპოზიცია დაიბნა, და ვიცოდი აშკარა გამოსვლას ვერ გაბედავდა, ახალ ხერხს მიჰყო, ჩვენი ხალხის თავის მხარეზე გადმოსათრევად, სახელდობრ, რომ იმერლებმა ყოველივე ჩაიგდო ხელში და აღმოსავლეთი საქართველო მუდამ იყო დაჩაგრული, რომ ამას ვხედავთ ემიგრაციაშიდაც, განსაკუთრებით გურულ-მეგრელები მოგვაჯდა თავზეო, რომ ვითომ ოპოზიციას ცნობები აქვს, რომ აღმოსავლეთი საქართველო არ იზიარებს ნ. ჟორდანიას გეზს და სხ. ამ პროვოკაციას სამწუხაროდ გასავალი მიეცა ჩვენს მომხრეებში. იყო მომენტი, როცა აღმოსავითლების ოპოზიცია გაგვიჩნდა, შიგ ჩვენს წრეში, რაც რასაკვირველია დიდ ზიანს მოგვიტანდა კოლონიაში. სია კანდიდატთა იმ ნაირად შევადგინეთ, რომ

---

129 სიმონ (სვიმონ) მდივანი (1876-1937) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტი, დიპლომატი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. კრების თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ-ის ერთ-ერთი ლიდერის, ბოლშევიკ ბუდუ მდივნის ძმა. ემიგრაციის წლებში სვიმონ მდივანი თურქეთისა და საფრანგეთის გარდა, როგორც დიპლომატი, მოღვაწეობდა პოლონეთშიც. მან მონაწილეობა მიიღო „კავკასიის კონფედერაციის პაქტის“ შედგენაში, იდგა „პრომეთეისტული“ მოძრაობის სათავეებთან, იყო კავკასიის ერთიანობის აპოლოგეტი და იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა ანტიბოლშევიკური გაერთიანების წევრი (ვარშავის „პრომეთეს კლუბი“, „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“, „ხუთთა მეგობრობის კომიტეტი“).

130 გრიგოლ ალშიბაია (1881-1957) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ექიმი, დიპლომატი, ეროვნულ-დემოკრატული პარტიის წევრი, 1920-1921 წლებში იყო საბჭოთა აზერბაიჯანში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი, 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრნტი. თანამშრომლობდა პარიზში გამომავალ ემიგრაციულ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარის მიერ ვარშავის დაკავების შემდეგ, 1939 წელს აქ დაარსებული კავკასიის კომიტეტის „Kommisarische Verwaltung“ ხელმძღვანელი გახდა.

131 საუბარია „ქართული კომიტეტი პოლონეთში“ გამგეობის წევრების არჩევნებზე.

ხალხი დაშოშმინდა. ეს სია გავიდა მთლიანა: ორი აღმოსავლეთიდან, სამი დასავლეთ საქართველოდან. სარევიზიო კომისიაში ორი აღმოსავლეთ საქართველოდან, ერთი დასავლეთ საქართველოდან. მაპატიეთ რომ ამაზე მოგახსენეთ მაგრამ ჩვენს ემიგრანტულ ცხოვრებაში კუთხურ საკითხმა ისეთი დიდი ადგილი დაიკავა, რომ მომავალშიც შესაძლოა ბევრი არა სასურველი შედეგებიც მოყვეს. აი ყოველივე ის, რაც უნდა მომეხსენებინა არჩევნების შესახებ. სხვა საკითხებზე დაწვრილებით მოგახსენებდათ ს. მდივანი და აქ არ შევჩერდები.

ამ კვირაში ორჯერ მქონდა შეხვედრა თადეოზთან. ბევრ საკითხებს შევეხეთ, რადგან ის საკმაო ხანია არ მინახავს. ის ყველა საკითხების კურსშია, დიდად მომხრე არის მაგარი კურსის. ოპოზიციის წარმოუდგენელი უკმაყოფილოა. ვისაც საქართველოსთვის მუშაობა უნდაო, ყველა ნ[ოე] ჟორდანიას ირგვლივ უნდა შემოკრებოსო. მის მსჯელობას ჩემზე არასდროს ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მე ამ შეხვედრით უზომოდ კმაყოფილი დავრჩი.

ღრმა პატივისცემით მოვიკითხავ თქვენს ოჯახობას.

მარად თქვენი მორჩილი და
ერთგული ი. სალაყაია



საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო.
ვარშავა, 1927 წლის 26 მაისი. (ფოტო დავით ყოლბაიას არქივიდან)



ქართული კოლონია ვარშავაში. სურათზე დგანან: მეოთხე რიგში, მარცხნიდან პირველი: პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, ნიკოლოზ ვაჩნაძე, ვანო ქავთარაძე, ალექსანდრე ბაგრატიონი. მაიორი ველი ბექ იედიგარი, ნიკოლოზ კანდელაკი, ცენტრში: იოსებ სალაყაია. მარჯვნიდან პირველი: პავლე თუმანიშვილი, ვერა ავალოვა და სხვები. პირველ რიგში: როტმისტრი სავლე ბალახვანელი.
ვარშავა 1931 წელი.

DAVID KOLBAIA, SHORENA MURUSIDZE

Ioseb Salakaia (1881-1940) – Representative of the Georgian emigration government in Poland. Letters 1923-1931

Summary

The National Archives of Georgia preserves letters sent by Ioseb Salakaia, the representative of the Government of Georgia in Poland and the chairman of the "Georgian Committee in Poland", to the Chairman of the Government of the Democratic Republic of Georgia – Noe Zhordania; to the Minister of Foreign Affairs – Evgeni Gegechkori; to the Representative of Georgia to France – Akaki Chkhenkeli; to Sosipatre Asatiani; to the Minister of Internal Affairs – Noe Ramishvili

and the Minister of Finance and Trade and Industry Konstantine Kandelaki. The chronological framework of the documents covers the years from 1923 to 1931. The letters were sent from Warsaw to Paris. Ioseb Salakaia's archival documents represent a significant source for studying the history of Georgian emigration to Poland and Polish-Georgian relations. In particular, the letters contain information about: the activities of the Georgian Emigration Organization of Poland – "Georgian Committee in Poland"; Georgians trapped in concentration camps as a result of World War I and the Russian Civil War; Introduction of the Georgian issue to the Polish society; Georgian emigration activities in Poland; The biography and activities of Ioseb Salakaia.

During the first years of the occupation of Georgia, members of the Georgian Committee, on the instructions of the Prime Minister in Exile Noe Jordania and Ambassador Akaki Chkhenkeli, sought to clarify Poland's political interests and establish contacts with Polish official circles, with the help of Poles. The Chairman of the Georgian Committee in Poland systematically sends reports to the members of the Georgian Government in Paris and provides information on the activities of the Committee, the situation of Georgian emigration, and Poland's domestic and foreign policies. Most of the documents are confidential and encrypted. Ioseb Salakaia received instructions from the head of the government of the Democratic Republic of Georgia and was accountable to him.

ალექსანდრე სულხანიშვილის მიმოწერიდან ახალი მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის

პუბლიკაცია მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო
ლალი ცომაიამ

ალექსანდრე სულხანიშვილი შედიოდა ქართველ ოფიცერთა იმ ჯგუფში, რომელიც 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად აქტიურად ჩაება საქართველოს გათავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში. მან პირნათლად მოიხადა თავისი მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე და უკვე ემიგრაციაში, სიცოცხლის მიწურულს მნიშვნელოვანი ცნობებიც დაგვიტოვა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის შესახებ.

მწერლობის პრეტენზია არასოდეს ჰქონია, 85 წლის ასაკში შეისწავლა რემინგტონზე ბეჭდვა, რათა მომავალი თაობისათვის გადაეცა ის, რამაც მის თვალწინ გაიარა და რაც იცოდა. ავტორია წიგნებისა: „ხმა სიმართლისა – წითლების მოქმედება ნიუიორკის ქართულ სათვისტომოში“ (ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა, მიუნხენი, 1962 წ.,); „ჩემი მოგონებანი“ (სან-ფრანცისკო, 1981 წ.); „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“ (სან-ფრანცისკო, 1985 წ.); „ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს“ (სან-ფრანცისკო, იანვარი, 1987 წ.); „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წლის ნოემბრიდან“ (სან-ფრანცისკო, 1987 წ.). ასევე, მის კალამს ეკუთვნის 1978 წლის 21 ოქტომბერს რუსულ ემიგრანტულ გაზეთ „Новое русское слово“-ში „Сандро Арагвели“-ს ფსევდონიმით დაბეჭდილი პუბლიკაცია „Открытое письмо грузинского националиста“ და სხვ.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, გავცნობოდით პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმში დაცულ ალექსანდრე სულხანიშვილი არქივს. მისი შესწავლის შემდეგ, სხვა მრავალ საინტერესო მასალასთან ერთად აღმოჩნდა ელიზბარ მაყაშვილის, ალექსანდრე ბადურაშვილის (ბადურა), ალექსანდრე (საშიკო) კარგარეთელის და ალექსანდრე სულხანიშვილის მიმოწერა და ალექსანდრე სულხანიშვილის ერთ-ერთ წერილს დართული კიდევ ერთი უცნობი თხზულება: „ლელო ჩიქოვანის საქციელი რაზმის წინაშე“.

ეს არის ძვირფასი მასალა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ისტორიის შესასწავლად და დასაზუსტებლად. გარდა ახალი ცნობებისა საკუთრივ შეფიცულთა რაზმის შესახებ, ერთ-ერთი წერილი შეიცავს დღემდე სრულიად უცნობ ინფორმაციას პაოლო იაშვილის პარიზში ყოფნის თაობაზე 1929-1930 წლებში. ეს წერილები პირველად შემოდის სამეცნიერო მომოქცევაში, თუმცა ზოგიერთი მათგანის რამდენიმე მცირე ფრაგმენტი პაატა ნაცვლიშვილს გამოყენებული აქვს მის წინასიტყვაობაში ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნისათვის „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ („შენი მოგონება ოქროზე უკეთესია“, „მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი ხალას ოქროთ მივიღოთ“... გამომცემლობა „არტანუ-

ჯი“, თბ., 2007 წ.). წერილების ავტორის სტილი, მართლწერა და პუნქტუაცია დაცულია. გასწორებულია მხოლოდ უხეში კორექტურული შეცდომები და კალმისმიერი ლაფსუსები

ელიზბარ მაყაშვილი – ალექსანდრე სულხანიშვილს

[3 იანვარი, 1982][1]

ჩემო ძმაო საშა![2]

კარგა ხანი არის, მივიღე შენი მოგონებები და შენი საშობაო მოლოცვა. პასუხი დაგიგვიანე მრავალი მიზეზების გამო. შენი წიგნი წავიკითხე ოთხჯერ, თუ ხუთჯერ. კარგი არის, ისტორიულიც, მაგრამ საუბედუროდ, ეს უფრო ჰგავს შენს პირადს „თავგადასავალს“, ვიდრე ქაქუცას და მის შეფიცულების გმირულ მოქმედებას. ბევრი რამე გაქვს გამოტოვებული: ხევსურეთის აჯანყება და იქ ბრძოლა. მოკლედ, თითქმის უმნიშვნელოდ არის აღწერილი ეს დიდი აჯანყება, სადაც შემოსეულმა მტერმა დაჰკარგა ბევრად მეტი მსხვერპლი, ვიდრე მთელი საქართველოს აჯანყებამ. გაქვს გამოტევებული თქვენი ბრძოლები და შემთხვევები, როგორც მაგ., წინანდალზე, ღამით კომუნისტურ პარტიაზე დაცემა, იმათ სათეატრო საღამოზე და 6 თუ 7 რუსის ჯალათის გატაცება, მამია ერისთავის მოკვლის ამბავი, კომუნისტთა გადაწყვეტა 18 მძევლის დასახვრეტად და პატარა ქაქუცას შვილის — ციცნას[3] ჩამარხვა მამიასთან ერთად (იმ მძევლებს შორის მეც ვიყავი). საბედნიეროდ, ეს მათ ვერ შეასრულეს. წინანდლის რკინის გზის სადგურზე დაცემა, იქიდგან კომუნისტების ხაზინიდგან ფულის გამოტაცვა და სხვა მრავალი. სამაგიეროთ, დიდ დროს ანდომებ შენ პირად მოქმედობაზე, შენს კარგ და მარჯვე სროლაზე, კარაბინით ჰკლავ გაქცეულს კურდღელს, მაღლა-მაღლა გაფრენილს ქორს და სხვა. ეს ყველაფერი მჯერა, ვიცნობდი შენს სიცქვიტეს და მარჯვე სროლას, მაგრამ ზედმეტი იყო.

გაქვს შეცდომები, ალბად, უვნებლიეთი და დავიწყებული. პირველი თქვენი მტერთან შეჯახება ახმეტის თავზე მოხდა, როგორც გწერდი, იქ ვიყავი. თქვენგან მოკლული იქმნა კომკავშირის ხელმძღვანელი და არა კომისარი, ან ჩეკის[4] უფროსი, სახელად ვანო ჩეკურაშვილი, რომელიც ცხოვრობდა ტყის პირას და შორიდგან შეამჩნია იარაღიანი ხალხის მოძრაობა. გამოიქცა, შეჰყარა მილიცია, პარტიულები და დაგასხათ თავზე. მას ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

ქერიმას[5] და ქარუმას[6] ამბავიც მართალია. აღწერილი გაქვს სუსლიკა ანდრონიკაშვილისგან ჯალათ შულმანის დაჭრა. ეს ამბავი მოხდა თბილისში, როდესაც სუსლიკა მიჰყავდათ დასახვრეტად. მან კედლიდგან გამოძრობილი ლურსმით ღრ-

---

1 თარიღი მიწერილია ალექსანდრე სულხანიშვილის ხელრთვით.

2 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ალექსანდრე სულხანიშვილის არქივი, გვ. 1-5.

3 თამარ (ციცნა) ჩოლოყაშვილი.

4 ЧК (чрезвычайная комиссия по борьбе с контрреволюцией и саботажом (1818-1922) — ჩეკა. (კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო კომისია (1918-1922) (რუს.).

5 ქისტი, გვარი უცნობია.

6 ქარუმა მაძღარაშვილი (მაძგარაშვილი).

მათ დასჭრა შულმანი. სუსლიკასთან ერთად იყო და ეხმარებოდა სუმბათაშვილი. ორივენი დახოცეს ადგილობრივ. გვერდი №48.

მე-50 გვერდზე გაქვს აწერილი ეკლესიის გუმბათის მოხსნის დროს, რუსი ჯალათის მოკვლა. თუ არ ვცდები, ეს ამბავი მოხდა სოფ. მატანში და არა სოფ. წინანდალში (შეიძლება ვცდები). ეს ყველაფერი წვრილმანი შეცდომები არის და მოგონებისათვის არა სავნებელი.

ერთი რამ კი ვერ გავიგე, მე-79 გვერდზე ამბობ, ქაქუცას ძმა — შაქრო და ჩემი ძმა — ბიძინა ამოვიდნენ თქვენთან, თითქოს მოსალაპარაკებლად მთავრობის დავალებით და მის შემდეგ, აღარც შაქროს და აღარც ბიძინას, ფეხი არ მოუკიდნიათ ჩვენთან (არ ვიცი, ეს დასწერე განგებ, რომ ბიძინას შვილი, რომელიც ცოცხალია, არ შეაწუხოს მთავრობამ, თუ არ იცი?!). ბიძინას და მთელს ჩემს ოჯახს მისვლა მოსვლა და მატერიალური დახმარება ჰქოდა ქაქუცას და მის რაზმთან მის დაპატიმრებამდე.

გაქვს ერთი დიდი შეცდომა: შეფიცულთა ზურგის პირველი გამცემი იყო ჩხეტიანი და არა რამან ყანჩაველი. ჩხეტიანმა გასცა ყველა და მათ შორის ბიძინა და მე (თუმც, მე არ მიცნობდა). ბიძინას ნაჩუქარი ხალათი ზედ ეცვა ჩხეტიანს. რაც შეეხება ანეტა ჩოლოყაშვილს, ეს უმწიკვლო ქართველი ქალი, გასცა ჩხეტიანმა. დაპატიმრებული საცოდავი ქალი ფეხით ჩამოიყვანეს სოფ. მატნიდგან ქ. თელავში, იმავე საპატიმროში, სადაც ვიყავით ყველა ჩხეტიანის მიერ გაცემულნი.

მე-88 გვერდზედ ასწერე შენ თქვენს მიერ ჩვენ ოჯახში მოსვლა. კარები გაგვიღო (ამბობ შენ) სიკო მაღალაშვილმა. ეს სიკო კი არ იყო, ეს იყო მიტო მაღალაშვილი, რომელიც სცხოვრობდა ჩვენს სახლში, იარაღის ოსტატი, რომელმაც შეაკეთა თვით ქაქუცას კარაბინი (რომელიც, თუ არა ვსცდები, სწიხლავდა ზედმეტად და ქაქუცას ძველ ჭრილობას ავნებდა). ეს შეკეთებული კარაბინი წაიღო, კარგად აღარ მახსოვს, გაბომ[7] თუ ბათირამ?![8]

ბადურის[9] აზრი, რომ მეტისმეტად ამაიმუნებ ლელოს,[10] ეს სხვების აზრიც არის, ვინც კი წაიკითხა შენი მოგონება. მე პირადათ, მჯერა, რომ ეს შენ დროს გასატარებლად (როგორც შეეხება შენს მხიარულს ბუნებას) იყო, მაგრამ ჩემის აზრით, ზედმეტი და ან ხაზ-გასმით არ უნდა გეხსენებია. აგრეთვე რაფო[11] და ელიზბარის,[12] ყოველ შემთხვევაში, ეს სამივე ოფიცერი იყო და პასუხის მგებელნი საქმის. მიხა ხელაშვილის ლექსი, რომელიც შენის აზრით, მიუძღვნა ელიზბარს, ქაქუცას წილის ხინკლის შეჭმაზე, მან მიუძღვნა სოსო ლაცაბერიძეს[13] და არა ელიზბარს. ყველა ეს არაფერი არ არის, უბრალო რამეა და დიდ შეცდომად არ ჩაითვლება.

93 გვერდზე სწერ, რომ სოფ. მატანში, ბათირასთან დასტვირთეთ ფქვილით ტომრები, მართალი არის. ეს ფქვილი მოგროვილი იყო, ყოველ შემთხვევაში, ერთი დიდი ნაწილი, სოფ. ახმეტაში გლეხი სოსო ხითარაშვილის და გატანილი მატანში ჩემს მიერ, მღვდელ დალაქიშვილის შვილის ოჯახში, სადაც შემახვედრეს ბათირა.

---

7 გაბრიელ (გაბო) ოზიაშვილი.
8 ალექსი (ბათირა) ფეიქრიშვილი.
9 ალექსანდრე (ბადურ) ბადურაშვილი.
10 ლევან (ლელო) ჩიქოვანი.
11 ნუგზარ-რაფიელ (რაფო) ერისთავი.
12 ელიზბარ ვაჩნაძე.
13 იოსებ (სოსო) ლოსაბერიძე.

გვერდი 98. თქვენი შეჯახება ახმეტის რევკომის[14] უფროსთან და მასთან შეიარაღებულ მილიციასთან. ეს რევკომის უფროსი კი არ იყო, ის იყო პარტიული კომიტეტის უფროსი ეფრემ კვეტერაშვილი. ის არას დროს არ ჩავარდნილა თქვენს ხელში. უნდა გითხრა, ჩემო ძმაო, რომ მე, ჩემის მხრივ, მიმიძღვის პატარა მოღვაწეობა ქაქუცას და მისი რაზმის მოქმედებაში. თუმც, მე თოფი არ ამიღია თქვენს გვერდით, მაგრამ ზურგში ყოფნა და ყოველ მხრივ თქვენი დახმარება, მეტის მეტ საშიშ მდგომარეობაში გვამყოფებდა. თუმც, თბილად ვიწექით და გვეძინა, მაგრამ ვაი, ამ ძილს, ყოველ წამს ველოდით დაპატიმრებას და ხელებ შეკრული დახვრეტას. ეხლაც თვალწინ მიდგა, ჩემი საწყალი ძმა — ბიძინა, როდესაც ძალიან გაგვიჭირდა დევნა და გადავწყვიტეთ თქვენთან სამუდამოდ წამოსვლა, ბიძინამ მიმართა თხოვნით ქაქუცას, რომ აღარ გვედგომება და მე და ელიზბარმა[15] გადავწყვიტეთ თქვენთან სამუდამოდ წამოსვლა. ქაქუცას პასუხი იყო: „ბიჭო, ბიძო, სულ ყველა ტყეში გამოიქცეთ, ვინღა გაგვიწევს დახმარებას, ვიღა გვაცხოვრებსო?! ცოტაც მოითმინეთ და ღმერთის მადლით, მალე დავახწევთ თავს ამ ჯოჯოხეთს, საქართველო განთავისუფლდება და თქვენი შრომაც დაფასდებაო“. ეს იყო ბრძნული პასუხი ქაქუცასი.

მე მგონი, არ გეწყინება ეს რამოდენიმე შენიშვნა ისე, როგორც მე არ მეწყინა შენი კრიტიკა ჩემს ისტორიულ ნოველაში „შეფიცული“[16] გალამაზებული და გარომანებული, სადაც მყავდა გამოყვანილი გმირები სხვა, გადასხვაფერებული სახელებით და თვითეულ გმირში გამოყვანილი მყავდით თქვენ. მაგრამ ისტორიული ფაქტები, როგორც ხევსურეთის აჯანყება, მთელი საქართველოს აჯანყება, შეფიცულთა ურთერთს შორის განწყობილება, მათი გმირობა, მოგროვილი ნაამბობები მყავდა გამოყვანილი ისტორიულ ფაქტით. შენ ეს ვერ გაიგე, გამიწიე კრიტიკა და მისწერე შენი აზრი ზოგიერთს მეგობარს,[17] რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა შეფიცულთა მოქმედებასთან. ეჭვიც კი შეგეპარა, რომ მე მივითვისე მიხა ხელაშვილის ლექსები. მე ეს არ მეწყინა. ვიცანი შენი შეცდომა, მაგრამ გიცნობდი როგორც მახლობელს, მედგარ მებრძოლს, ქაქუცასადმი შენს სიყვარულს და მის პატივისცემას. მაშ, მოდი, ნურც შენ გეწყინება, ჩემი ულმობელი და უვნებელი კრიტიკა და დავრჩებით ძველებურად ძმა-მეგობრად. წინათაც გწერდი, რომ ლელოსზე ეს სასტიკად მოქცევა და ძმათა მოღალატედ გამოყვანა საჯაროდ არ იყო საჭირო. მართალიც რომ იყო (ალბად, მართალი ხარ), საკმარისი არის ჩხეტიანის, ყანჩაველის, შაშვიაშვილის, ჭავჭანიძის ღალატი.

ესე, ჩემო საშა, ამას ყველას, რასაც კი გწერ, ეს შინაური ამბავია, ჩვენში რჩება, კარში არ გამაქვს. მივიღე სოშოდგან დათიკო დუიშვილის წერილი, რომელსაც მიუღია ამერიკიდგან თავის ძმის წულის წერილი, რომელიც ყოფილა შენთან. დიდი პატივი გიცია, ძალიან ნასიამოვნები არის „მისთანა სუფრა, როგორც ბატონმა სულხანიშვილმა გაგვიშალა, დიდი ხანი არის არ მინახავს. ძალიან ყოჩაღი და ვაჟკაცი მოხუცი არისო“, ამბობს შენზედ. შენთან ყოფილან სხვა ქართველებიც — ვანო მაჩაბელი, სანდრო მანველიშვილი და სხვა. გედეეცი ჩემი მეგობრული სალამი.

---

14 **Ревком (революционный комитет)** რევკომი (რევოლუციური კომიტეტი) *(რუს.)*.

15 ელიზბარ მაყაშვილი.

16 ელ. მაყაშვილი, შეფიცული, ჟურნ. „კავკასიონი“, №XV, პარიზი, 1971 წ., გვ. 5-35.

17 ვლადიმერ რუხაძე.

ეხლა, ჩემო საშა, გილოცავ მომავალ შობა-ახალწელს! გისურვებ ჯან-მრთელობას! შენი ნაწერი კარგი არის, მაგრამ როგორც ზევით გითხარი, ეს უფრო არის შენი პირადი თავ-გადასავალი. შენი წიგნების გაყიდვა, როგორც გავიგე, თურმე ძნელი არის, რადგან შენ მეტის მეტად აკრიტიკებ მენშევიკებს და საერთოდ პოლიტიკურ პარტიებს, რაშიაც სრულიად მართალი ხარ და მეც გეთანხმები პირადათ, მაგრამ საუბედუროდ, ნახევარზე მეტი საფრანგეთის ემიგრაცია ადგა ამ ძველებურ გაფუჭებულ პოლიტიკას და დახმარებას იმისთანა თავ-დადებულ ქართველისთვის, როგორც შენ ხარ, არ კისრულუბენ. ესე, ჩემო საშა, კიდევ ერთხელ გთხოვ, ნუ გეწყინება ჩემი შენიშვნები.

რაც შეეხება რამან ყანჩაველს, ეს მეორე მოღალატეა, დააჭერინა ბევრი ხალხი, გახდა ჩეკის ჯალათი, დაახვრეტინა და იცი, დახვრიტა მრავალი ჩვენი კუთხის მამულიშვილნი. გაკოცებ ბევრს.

შენი ელ. მაყაშვილი

ალექსანდრე სულხანიშვილი — ელიზბარ მაყაშვილს

სან-ფრანცისკო
4 იანვარი, 1982 წ.

ძვირფასო ძმაო ელიზბარ![18]

მივიღე შენი ვრცელი წერილი. ძნელია ამ წერილის მთლიანი პასუხის მოცემა, მაგრამ ვეცდები, ყველაზე გიპასუხო. უნდა გითხრა, მე არ მიყვარს ვთქვა ან დავწერო, რაც მე ნამდვილად არ ვიცი და არც შემიძლიან ჭორებს ავყვე, ან გავადიდო მეტისმეტად, თუ დავამცირო ვინმე, თუ მათ არ ეკუთვნით ასეთი.

ჯერ დავიწყოთ აქედან: ძალიანა ვწუხვარ, რომ წინანდლის საქმე და მამია ერისთავის საქმე გამომრჩა გადაწერის დროს და როდესაც დასაბეჭდად ვგზავნიდი, ისე ვჩქარობდი, რომ უარი არ მითხრას დამბეჭდავმა მეთქი, რომ წიგნი აღარ გადავათვალიერე და ისე გავგზავნე დასაბეჭდათ. ეხლა როგორმე უნდა გამოვაკეთო. მათ გარდა, სხვებიც დამრჩა დასაწერი და იმისათვის ჩემ წიგნის ბოლოში ვწერდი, რომ ჩემი მოგონება ვრცელი არ არის მეთქი. რაც შეეხება წინანდლის საქმეს, იქნებ დამწამეთ კიდეც შენ და საშიკომ[19] და ბადურმა, რომ მე განგებ გამოუშვი, მაგრამ მიშა ქავთარაძის საპასუხოთ ხომ მაქვს ის აწერილი. მე ამას რიგიანათ აღვწერ. პირში მიყვარს თქმა, ჩემო ელიზბარ, და არ უნდა გეწყინოს. შენ, ალბათ, გექნება გაგონილი ასეთი ქართული თქმულება: ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს უყვებოდაო. ასეა შენი საქმე! თურმე, შენ უკეთ გცოდნია, რაც ჩემ თავზე გადაიარა! მაგალითად, მწერ, რამან ყანჩაველმა კი არ გაგცათ, არამედ ჩხეტიანმაო. რამანმა ჩემი ნათესაობის მეტიწილი აწყურიდან გასცა 2 თუ 3 იანვარს 1923 წ. ჩხეტიანმა უფრო მოგვიანებით, აპრილის ბოლოში, 1923-ში. წინანდლიდან, თეატრის შემდეგ, ნადიმიდან იყვნენ წამოყვანილი ოთხი ჩეკისტი. ერთი მათგანი იყო სომეხი, მის მამას კარგად ვიცნობდი, მგონი, კირაკოზოვი იყო, სახელათ ფირუზა. სოფლებში ფართალი დაჰქონდა გასაყიდად. ესენი იქმნენ დახვრეტილი, მაგრამ ჩვენ ხმა დავყარეთ, რომ დაღისტანში გვყვანდა ტყვეებათ.

18 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ალექსანდრე სულხანიშვილის არქივი, გვ. 1-15.
19 ალექსანდრე (საშიკო) კარგარეთელი.

ფირუზამ მე მომიგზავნა კაცი, შენი ჭირიმე, იქნებ ჩემ შვილ უჭირს რამე, გაუგზავნიო.

წინანდლიდან წაყვანილნი ერთი რუსიც არა ყოფილა, ეს სუ ჭორებია. მამია ერისთავის მოკვლის შემდეგ რომ მძევლები უნდა დაეხვრიტათ და ციცნა მამიას საფლავში ჩეეტანებინათ, ეს ჩვენ კარგათ ვიცოდით, მაგრამ ვინ იყვნენ ნამდვილათ მძევლები, ჩვენ ზუსტად არ ვიცოდით. რათქმაუნდა, ვინც იმ ხანებში ჰყავდათ ჩვენ საქმეზე დატუსაღებული, მათ დახვრეტდნენ. მაგრამ ერთი მითხარ, ვინ გადაარჩინა ციცნა ან ის მძევლები? ფულის წაღებაც თურმე კარგადა გცოდნია, საიდამ წავიღეთ. ეს იყო თელავის სადგური და არა წინანდლის. ახმეტის ბოლოს რომ მოვკალით 1922 წ. დაახლოვებით აპრილში, რა მნიშვნელობა აქვს კომისარი იყო, თუ კომკავშირელი, ერთი ძაღლნი არ არიან?! ჩვენ მატანში ერთი კაციც არ მოგვიკლავს, ეს ხომ ჭორებია. ეს მოხდა კისისხევის და ქვემო ხოდაშნის რაიონში — ეკლესიაზე ზულიაშვილის მოკვლა. მწერ, 79 გვერდზე გიწერია, თითქო მოსალაპარაკებად ამოვიდნენ შაქრო, ქაქუცას ძმა და ბიძინაო. თითქო რასა ნიშნავს, მაშ, ნახევრათ ტყუილი დამიწერია, არა?! ის, რაც მე დავწერე ასი პროცენტით მართალია. და თუ ის დავწერე, რომ მის შემდეგ შაქრო და ბიძო ჩვენთან აღარ მოსულან, ესეც მართალია და თუ ერთმანეთს შაქროს და ბიძოს კავშირი ჰქონდათ, ეს სხვა არის, ან მატერიალური დახმარება თქვენი ოჯახიდან. მაგრამ მამაშენი,[20] შაქრო და ბიძინა რაზმში აღარ ამოსულან ჩვენთანა. ხომ მაქვს აწერილი, რომ თქვენთან ოჯახში ვიყავით მთელი დღე 8 იანვარს 1923 წელში. ამის გარდა, რათქმაუნდა, ვფთხილობდი კიდეც, რომ ჩემ ნაწერით ზიანი არ მივაყენო ბიძოს შვილს. ამისთვი შეგეკითხე, რომ ავწერო მეთქი, თუ არა, რომ თქვენთან ვიყავით 8 იანვარს. შენი პასუხი იყო, რომ დაწერეო. მწერ, ვერ გამიგიაო, განგებ არ დასწერე, რომ ჩემ ოჯახს მუდმივი კავშირი ქონდა, თუ არ იცოდიო?! ერთმანეთში ნუ ურევ კავშირს და რაზმში მოსვლას ჩვენთან ტყეში.

შენ მწერ, რომ მაქვს ერთი დიდი შეცდომა, რომ შეფიცულთა გამცემი პირველი იყო ჩხეტიანი და არა რ. ყანჩაველიო. შენ დიდათა სცდები, რომ არ იცი და სხვას ამტყუვნებ. როგორც ზევითა გწერ, რ. ყანჩაველმა 2 თუ 3 იანვარში, 1923 გაგვცა და ჩხეტიანმა ამავე წელში, აპრილის გასულს. რამანმა რომ გაგვცა, ჩხეტიანი რაზმშიც კი არ ყოფილა. მე ვცდები, თუ შენ?! ჩხეტიანი ჩვენთან მთლად ერთი, ან თვენახევარი იყო. მას არ უნახავს ბიძინა და მრავალი ვინმე. ის, სადაც მიიყვანეს, კედელზედ აწერდა ხოლმე თურმე და თუ რაზმელები შემთხვევით ლაპარაკობდნენ გაუფთხილებლობით და ჩხეტიანი ყველაფერს იხსომებდა, ეს შესაძლებელია. ამ მოკლე ხანში ჩხეტიანს არა ჰქონდა საშუალება ყველანი ენახნა. ჩხეტიანი ჩვენ მოვკალით ცხრა დღის შემდეგ, როდესაც გავიგეთ, რომ გაგვცა და რაზმი შეუქმნეს. არც ის არის მართალი, რომ ჩხეტიანმა გასცა ანეტა, რომელიც მას არ უნახნია. ანეტას შესახებ რამანმა იცოდა, რადგან წამლებს და იარის შესახვევ მასალას გვიგზავნიდა და როგორც კომუნისტების სისტემა იყო, ჯერ არ ატუსაღებდნენ და ალბათ ყარაულობდნენ, რომ უფრო დიდ რამეს წაავლონ ხელი და თუ ანეტა დაატუსაღეს მის შემდეგ, რომ ჩხეტიანი გავიდა ჯაშუშათ, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ჩხეტიანმა გასცა. ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, რომ ანეტა იყო გაცემული რამანის მიერ. უცნაურია, რომ მე ბრმა გამოგყევარ და მიმტკიცებ იმას, რაც მართალი არ არის. მე სიკო მაღალაშვილს წინათაც ვიცნობდი, რომე-

20 გიორგი მაყაშვილი.

ლიც პარიჟშიაც[21] კი მაყვედრიდა, შე, ბანდიტო, გული გამიხეთქეო, მაყაშვილის სახლშიო. შენ კი დაბეჯითებით მიმტკიცებ, რომ ის სიკო კი არ იყო, მიტო იყოო, რომელსაც მე არ ვიცნობ და თავისდღეში არ მინახნია.

რაც შეეხება ქაქუცას თოფს, მას არავითარი შეკეთება არა სჭირდებოდა, ნამეტან ავათ თუ სწიხლავს; რადგან ყოველი თოფი სწიხლავს მაშინ, როდესაც კარგად არ გიჭირავს მხარზე მიდებული ან ვაზნებია ძალიან ძველები და დანესტიანებული. მე არ მახსოვს, რომ ქაქუცას თოფი როდისმე გამოვგზავნეთ შესაკეთებლათ. რაზმში თუ ვისმე იარაღი გაუფუჭდებოდა, რაც ძალიან იშვიათი იყო და თუ რამის გაკეთება შეიძლებოდა ტყეში, მე უსწორებდი. აი, მაგალითად, ლაშქარაშვილი რომ ჩვენთან მოვიდა, მას მაუზერი ჰქონდა, მაგრამ მის მაგივრათ რომ ჩაქუჩი ეტარებინა, ისა სჯობდა. ჩაჟანგული, გაოხრებული და რაც უფრო მთავარია, შვილდი არ ვარგოდა. მე მქონდა მარქაფა შვილდი, გამოვცვალე, გაუწმინდე და იარაღად იქცა. მე მუდამ ცოტა იარაღები მუდამ მქონდა, რომ ვისმე დასჭირებოდა შესწორება. ქაქუცას თოფსაც მე უვლიდი მუდამ.

ადამიანმა ნამდვილათ თუ არ იცის, არ უნდა თქვას, ან დაწეროს რამე საქმე. მაგალითად, შენ მწერ ისეთი კილოთი, რომ ასე გავიგე, ეგენი სამივენი ოფიცრები იყვნენო, შენ ვინა გდიხარო! ყოჩაღ, შენ და საშიკოს თურმე ოფიცრობაზე წარდგენა შეგძლებიათ, არ ვიცოდი. ლელო, არამც თუ ოფიცერი, ზემდეგიც კი არა ყოფილა თავისდღეში. ლელო ჩვენთან იყო ცხენოსან დივიზიონში ერთხანს. ყველას სასაცილოთა ჰყავდა აგდებული. რ. ყანჩაველი დედას უგინებდა, ის კი იღრიჭებოდა. ლელოსთან თუ რამეს ვხუმრობდით, ეს განა, დასაძრახია! ან საწყალ რაფოზე, რომლის ოჯახს მე კარგა ვიცნობდი — მამას, დედას, უფროს დას — რომელიც თითქმის ტოლები ვიყავით, ის და მე. ან ელიზბარზე რაზე გააზვიადეთ?! ჩემ წიგნში მაქვს ნათქვამი, მართალია, მრავალ გაჭირვებაში ვიყავით, მაგრამ ხუმრობას და სიცილს მაინც არ ვიშლიდით მეთქი. რატომ იმას ყურადღება არ მიაქციეთ?! შეიძლება მე შევცდი და მიხას ლექსი, სოსოზედ დაწერილი, ბელადს ხინკლებსა ჰპარავსო ელიზბარზედ გადავიტანე. მაგრამ მე რომ დავწერე ელიზბარზე, ეს მართლა მოხდა და ამიტომ მე მივმართე ელიზბარს, რა ღმერთი გაგიწყრა, რათ შეჭამე ქაქუცას ხინკლები?! მან გაიცინა თავისებურად და მითხრა, მე მეგონა, შენი იყოო. ჩვენ ხშირათ ვაკეთებდით რაზმში ხინკალს. მართალია, სოსომაც იცოდა ასეთი რამე, მაგრამ ელიზბარიც რომ გაუმაძღარი იყო, ესეც ხომ მართალია! განა ჭკვათამყოფელმა ადამიანმა უნდა დამწამოს, რომ ეს სახუმარო შემთხვევები განგებ დავწერე, რომ ვითომ რაფოს და ელიზბარის დამცირება მინდოდა?! ელიზბარი ერთხელ ასოთი ბუჩქზე მივაბი და განგაში მოვახდინე. დაიხოცნენ სიცილით შეფიცულები, ქაქუცას მუცელი ეჭირა ხელით, იმდენს იცინოდა. მაშ, ამას ხომ არ დავწერდი?!

ლელო ჩიქოვანს ბევრი სისაძაგლე აქვს ჩადენილი ჩვენ წინაშე. მე ეს არ დავწერე ჩემ წიგნში, არ მინდოდა, რომ ჩვენი რაზმელთაგანი გამეშავებინა. მაგრამ ყველაფერის დამალვა ხომ არ შეიძლება, რადგან ის ექვსი შეფიცული ცოცხალნი არ არიან და არ შაუძლიანთ სთქვან სინამდვილე. ჩვენ ცოცხალნი ვინცა ვართ, მოვალენი ვართ, მათი ხსენება სპეტაკად დავიცვათ. რაც შეეხება ჩვენ დახმარებას, ასეთია: იმ მაზრებში, სადაც ჩვენ ვტრიალებდით, დაწყობილი ქიზიყიდან გორის მაზრამდინს, მეტიწილი ქართველობა გვინახავდა, სუყველა როგორ აღვწერო?!

---

21 ამ ტოპონიმს ალექსანდრე სულხანიშვილი „ჟან“-ისა და „ზენ“-ის მონაცვლეობით ხმარობს.

ძია ვანოს[22] ოჯახმა, ესე იგი, სულხანის[23] მამის ოჯახმა, რაც გადაიტანა, ბევრს არ გადაუტანია თქვენი ოჯახის მეტს და კიდე სხვა ოჯახებსაც, ჩემ ნათესაობას, მაგრამ ვერ ამიწერია და თუნდაც აღვწერო, ამას ვერ გამოვაქვეყნებ, მანამ ეს დასაღუპი რეჟიმი არსებობს. მაგრამ როდესაც დავწერ, შენ წაგაკითხებ. ჩემო ელიზბარ, შენი და ბიძოს წამოსვლის სურვილი ჩვენთან წამოსვლისა, მე ვიცოდი და რაც შემოგითვალათ ქაქუცამ, ისიც ვიცოდი და განა მარტო თქვენ იყავით იმ გარემოებაში? ძნელი იყო ბევრი ხალხის შენახვა, ჩვენ ხომ რომელიმე სახემწიფო არ გვეშველებოდა, როგორც ფრანგებს. იარაღის გარდა და სანოვაგისა, შოკოლადებს და პაპიროზებს უყრიდნენ პარაშუტით ამერიკელები და მრავალ სხვასაც: ტანისამოსს, საცვლებს. ზოგმა ფრანგებმა ამერიკულ ტანისამოსში და ფეხსაცმელში ფული გააკეთეს, ესეიგი, ჰყიდიდნენ...

მე შენთვის კრიტიკა წერილობით თავის დღეში არ გამიკეთებია და თუ საშიკოს მოვწერე, რო შამილი[24] მეტის მეტად გაადიდა მეთქი, ეს რა საწყენია. არა, მე არა მწყინს, როდესაც ვინმე სამართლიანათ შეცდომას შემისწორებს, ისე კი არა, როგორც შენ, ყანჩაველმა კი არა, ჩხეტიანმა გაგცათო. ეკლესიაზე რომ მოკალი კომუნისტი, ის მატანში იყოო და არა წინანდლის და კისისხევის რაიონშიო და მრავალი სხვა, რომელიც არ გცოდნია და მე მიმტკიცებ, ასე იყოო. შენი წერილიდან და საშიკოს წერილიდან ჩანს, თქვენ რიგიანა მოგილაპარაკნიათ ჩემ წინააღმდეგ. შენ მრავალ რამეში დამწამე არა სისწორე. Eესე იგი, შენ არ იხმარე სიტყვა სტყუიხარო, მაგრამ საშიკომ, ბევრი ტყულებიც დაწერეო. მაგის წიგნაკი წავიკითხე, ძალიან კარგი უქნია, რომ ის სურათები შეუნახნია და ქაქუცას წერილები. ეგ სურათები ყველა მეც მქონდა შენახული და ქაქუცას წერილები, მართლა ძვირფასი, ისეთი კი არა, როგორც საშიკოს სუხარი არ გამომიგზავნოო. საუბედუროდ, ჩემი, ჩემოდნებს გაჰყვა... ის მართლა საქმის და ძვირფასი წერილები. საშიკოს თუ ქაქუცას წერილები შერჩა, ისიც ჩემი მეოხებით და აი რათა: ვიროფლეში[25] ჩვენ ბინაზე ვცხოვრობდით, ჩვენ შემდეგნი: ელიზბარი, სერგო,[26] ი. ქარუმიძე, ძია ვანო, თელაველი ფოტოგრაფი ბარკალაია, რომელმაც მომძებნა და მას შემდეგ ჩემთან ცხოვრობდა და მე. ჩვენს გარდა რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ შემდეგნი: ბადური, რაფო, საშიკო და ორი ჯავრიშვილები — შალიკო და ლევანი. ამ ხუთ კაცს ვამზადებდით ტაქსის შოფრებათ, რომ მაგათაც ჰქონოდათ ცხოვრების რიგიანი საშუალება. ვმუშაობდი მე მარტოკა, ამოდენა ხალხს შენახვა არ უნდოდა?! ღმერთმა შეარგოთ, მე არავისთვის დამიყვედრებია. ძია ვანო და სერგოს მეტი, ყველა პაპიროზსაც ეწეოდა. ამის გარდა, სახლს უნდოდა შენახვა: გაზი, ელეკტრონი, სახლის ქირა, ერთი სიტყვით, გამიჭირდა, პარიჟში ვმუშაობდი და ვიროფლეში ვცხოვრობდი. ბევრი დრო მეკარგებოდა მგზავრობაში და ოთხი საათიღა მრჩებოდა დასაძინებლათ. ამისათვის, რადგან მე დრო აღარ მქონდა, რომ ქაქუცასთან წერილები მეწერა, თვითონ მე დავსვი ეს საკითხი, რომ როგორც ყველაზედ უმცროსმა, საშიკომ იქონიოს მიწერ-მოწერა ქაქუცასთან. ყველამ მხარი დამიჭირა და ამნაირათ, საშიკომ იქონია მასთან მიწერ-მოწერა, რომლითაც საშიკო ეხლა ძალიან ყოყლოჩინობს. მაგრამ საწყალ ქაქუცას რომ

22 ივანე (ვანო) საყვარელიძე.
23 სულხან საყვარელიძე.
24 შამილ იქაიძე.
25 Viroflay – ვიროფლე, ვიროფლეი *(ფრანგ.)*.
26 სერგო მაისურაძე.

გაუჭირდა და დეპეშა გამომიგზავნა რომ წავსულიყავი, რადგან ამოდენა ხალხს არაფერი ჰქონდათ თავის სარჩენი და გახურებულნი სწავლობდნენ პარიზის რუქას, ვიფიქრე, მოდი, სერგოს გავგზავნი, რომელიც მუდამ მას უვლიდა. უყიდე ბილეთი და გავგზავნე, მაგრამ ქაქუცამ მეორე დღესავე უკან დააბრუნა, თუმც სერგო იქ უნდა დარჩენილიყო. სერგო მობრუნდა, მაგრამ ხელმეორეთ დეპეშა გამოგზავნა ჩემთან, რომ დაუყონებლივ წავსულიყავი მასთან. რაღას ვიზავდი, უნდა წავსულიყავი. ფულიც არა მქონდა, ვალი ავიღე, ზოგი ბიჭებს დაუტოვე, ზოგით მე წავედი საწყალ ქაქუცასთან. რომ მივედი გამწყრალი დამხვდა, მე შენ მოგწერე, რომ მოსულიყავ, შენ კი სერგო გამოგზავნეო. მე ძალიან მიყვარს სერგო, მაგრამ მან რა უნდა გამიკეთოს?! აი, ჩემო ელიზბარ, როგორცა ხედავ, ქაქუცამ არც საშიკო დაიბარა, არც ელიზბარი და არავინ. ამას უნდა ანგარიში გაუწიო. ქაქუცა ჩემი უფროსი იყო, ამის გარდა, ჩემი ახლო მეგობარი იყო და რაზმის შექმნაში მეც ერთი წვლილი მიმიძღვის. საქართველოში პირველი ჩვენი და ქაქუცას ოჯახი იყო დარბეული; ერთ დღეს დაანგრიეს ქაქუცას თუ იმი სიმამრის და ჩემი. აბა, ერთი მითხარი, ვისი სახლები დაანგრიეს კიდე?

აი, ჩემო ელიზბარ, ყველაფერს ანგარიში უნდა გაუწიო. ელიზბარი და მე ერთად შეზრდილნი ვიყავით, მე იმის მტერი კი არ ვიყავ, არამეთ მე ის მიყვარდა თავის თავისებურობით — ელიზბარი ჩვენთან მოვიდა დაგვიანებით და რათა? ის არ იყო იდეურათ გამოსული. მან თავისი ასეულის მეექვსე ათასეულიდან, რომელიც თელავში იდგნენ, მთელი ასეულის ზეწრები დაყიდა და რათქმაუნდა, საქეიფოთ. ამისათვის იძულებული გახდა, რომ ჩვენთან გამოქცეულიყო. ელიზბარი იყო დაუფასებელი ბრძოლაში, რკინის ნერვების პატრონი, მაგრამ დანარჩენში ცხოვრებაში, აზროვნებაში, ან რაიმე საქმის მოწყობაში, არაფრად ვარგოდა, ხელით სატარებელი იყო. ამისათვის მრავალ მაგალითებ შორის, მოვიყვან ერთ მაგალითს, ლაგოდეხში ტრიალის დროს, სადაც ქაქუცას ძმა სიკო და გორის მაზრიდან ახალგაზრდა ბიჭი ბაღდუა[27] მოკლეს, ქაქუცამ გადაწყვიტა რაზმი შუა გაყოს, ქიზიყელები დასტოვოს სიღნაღის მაზრაში და თითონ დანარჩენი რაზმით წამოვიდეს თელავის მაზრაში. აი, სწორეთ ამ ხანში მიუვიდა ჩემი გაგზავნილი კაცი, სადაც ვატყობინებდი, რომ ვიმყოფები პანკისის ხეობაში და ჭრილობიდან გამორჩენილი შ. კანდელაკიც ჩამოვიყვანე ხევსურეთიდან. ეს მოხდა 1922 წ. დეკემბერში, დასაწყისში. ქაქუცამ ქიზიყელ რაზმელებს უფროსად დაუნიშნა ელიზბარი იმ აზრით, რომ თავიანთ მხარეში უფრო კარგა შეინახავდნენ თავს. ელიზბარმა ვერ შეძლო მათი მოვლა, რაზმელებმა აბუჩად აიგდეს და ერთ მშვენიერ დღეს, თავი მიანება რაზმს და გამოიქცა. მიუხედავათ იმისა, რომ ელიზბარი იცნობდა მრავალ ჩვენ კავშირებს, სიღნაღის მაზრიდან თელავის მაზრაში ვერ ამოვიდა და თავიანთ სახლის სხვენში იჯდა რამდენიმე თვე და როდესაც თვითონ ჩვენ მივაგენით და შევიერთედ, ქაქუცამ უთხრა, ბიჭო, რამ გაგაძლებინა რამდენიმე თვე სხვენშიო. ასეთი იყო ელიზბარი.

საწყალი რაფო რამდენიმე თვის დაგვიანებით შევიერთედ. ისიც მეექვსე ათასეულში მსახურობდა და არ მახსოვს კარგათ, როგორ მოუხდა გაქცევა ათასეულიდან. მგონი, რომ პოლიტრუკთან[28] თუ სამხედრო კომისართან მოუხდა შეტაკება და იმისათვის გაიქცა, რომ არ დაეჭირათ. მაგრამ აღარ მახსოვს, რანაირათ მოუ-

27 ბაღდუა (ბაღდო) კახუაშვილი.

28 Политрук (Политический руководитель) – პოლიტხელი (პოლიტიკური ხელმძღვანელი) *(რუს.)*.

ხდა ვიღაც გარეკახელ ბიჭთან შეერთება, თუმცა, რაფომ მიანბო. ეს გარეკახელი ბიჭი თურმე ნამდვილი ყაჩაღი ყოფილა და უნდოდა, რაფოც ხალხის ცარცვაში ჩეეთრივნა. თურმე ამის თაობაზე მოსდიოდათ ჩხუბი და რაფო რომ დროზე არ მოშორებოდა იმ ყაჩაღს, აუცილებლად მოკლავდა მძინარეს. აბა, საწყალი რაფო როგორ იკისრებდა ხალხის ცარცვას?! ჩვენ გავიგეთ ეს ამბავი, მაშინვე დაუწყეთ ძებნა. სოფელ ქისტაურში, ესე იგი, რაფოს სოფელში ცხოვრობდნენ სამი ძმანი არისთოვები. მათი საშუალებით, როგორც იყო, ვიპოვეთ საწყალი რაფო. ესეც შეგვიერთდა ორი თუ სამი თვის მოგვიანებით, რაზმის შექმნის შემდეგ.

ელიზბარ, შენ, გულღრძუი და მატრაკვეცა საშიკო მწერთ ერთსა და იგივეს. შენ მოგონებაში რაზმის მოქმედება კი არა გაქვს აწერილი, არამედ შენ თავზე სწერ მეტ წილსაო. მაშ, რაც მე გადამხდა, ვისთვის უნდა მიმეწერა?! რათ დაინახეთ შენ და საშიკომ მარტო ის, რომ კურდღელი მოვკალი ხახმატის ჯვრობას ხევსურეთში; რო საწყალმა ქაქუცამ ძალათ გამაბედინა, რომ შეჯიბრებაში — ნიშანში სროლაში მონაწილეობა მიმეღო, რადგან ხევსურებმა მოითხოვეს, რომ ჩვენ, რაზმელებსაც გვესროლა; რატომ ის არ მოიგონეთ, ან დაინახეთ, რომ მაღაროსკარში, სკოლის ეზოში სულ სამმა თუ ოთხმა კაცმა მივიღეთ პირველი მათი შეტევა და ყორეს ამოფარებულმა კომუნისტებმა რამდენჯერაც თავი ამოყვეს, იმდენი ხვდებოდათ ჩემი თავში ან მკერდში; რატომ ის არ დაგახსოვდათ ქიზიყში უზუნდარის ბრძოლების აღწერვა; რატომ არ დაგახსოვდათ ხევსურეთის ბრძოლა რომ აღვწერე; რატომ იმას არ იგონებთ, ჩემ გაგზავნას ქაქუცას მიერ ჩეჩნეთში 1922 წელში, აგვისტოს მიწურულში, ან მეორეთ გაგზავნა ჩეჩნეთში, რომლის შემდეგაც თვით ქაქუცას გადმოსვლა მოვაწყე ბარის ჩეჩნეთში. ეს რა არის, ამას რაზმის მოქმედებას არ უწოდებთ?! რომ მაყვედრით, შენ თავზე ბევრსა ლაპარაკოფ, ვიდრე რაზმის მოქმედებაზეო. როგორცა ვხედავ, თქვენ არ წაგიკითხიათ, თუმცა მწერ, რომ სამჯერ წავიკითხეო. მაშ, არ გინდა, რომ დაინახო, რომ რაზმის და მის მოქმედებაზე მთლიანათ ჩემ მოგონებაშია აღწერილი. ნათქვამია, ადამიანს თუ დანახვა არ უნდა, რიყეზე ისე გადაივლის, რომ ქვას არ დაინახავსო. შენი და საშიკოს საქმე სწორეთ ასეთია.

ელიზბარ, მეგონა, შენ უფრო დინჯი და შორმჭვრეტელი იყავი. თურმე მე მოვტყუვდი, საშიკოს როგორ ასდევ! მაყვედრით ჩემ სროლას, მაგას თუ არაფერი გეეგება, შენ მაინც იცი ჩეჩნების და საერთოდ მთიელების ხასიათი. მათ მოსწონთ და პატივსა სცემენ კარგი შეხედულობის ვაჟკაცს, კარგად შეიარაღებულს, კარგ მსროლელს და კარგი ცხენის პატრონს. მართალია, ისეთი კარგი შეხედულობისა არ ვიყავ, მაგრამ არც გონჯი ვიყავი. შეიარაღებული ვიყავი საუკეთესოთ, კარგი ცხენი მყავდა, ჩაცმული ვიყავი კოხტათ. მაკლდა, რომ მათთვის სროლა მეჩვენებინა, რომელიც რიგიანათ ვაჩვენე კიდეც. განა, ეს დასაძრახია ან სასირცხვილოა?! ჩემი ამისთანა ქცევით მათში, მთიელებში დავიმსახურე უფრო მეტი პატისცემა; თუმცა, ისედაც პატივსა მცემდნენ, როგორც ქაქუცას კაცს.

საშიკო გულღძუია და მატრაკვეცა. მან საძაგელი წერილი მისწერა თავის სკოლის ამხანაგს ირაკლი მენთეშაშვილს ნუიორკში[29] ჩემ შესახებ. მან თავის მხრიდგან აჩვენა სინჯიკაშვილს, რომელმაც გამოიყენა ჩემ წინააღმდეგ. ეს შეგიძლიან ჰკითხო ბადურს. საშიკომ თბილისში რომ იყო, ნახა ქაქუცას უფროსი შვილი და დაარწმუნა, რომ ქაქუცას მთავარი მომლელი და მეგობარი ეგ იყო და ჩემზედაც

29 New York – ნიუ-იორკი *(ინგ.)*.

ცუდათ ატრაკუნა. ერთი სიტყვა არ უთქვამს, რომ მე მასთან, ესე იგი ქაქუცასთან, უკანასკნელი მისი 25 დღე მასთან დავყავი და ჩემ მკლავზე გადაიცვალა. მე ეს ყველაფერი ვაპატიე. იმდენათ ინტრიგანი და მატრაკვეცა გამოდგა, რომ მე მიმალამდა, რომ თავის მოგონებასა[30] სწერდა. რა დასამალი იყო?! მე მომწერა, ეხლა მოგონებასა სწერ, ჩვენც უნდა გვკითხოვო... რა უნდა ვკითხო მაგას, რა ეშმაკი იცის?! მე კი მწერს და ტყულების დაწერასა მწამებს, თითონ კი არა დაუჯერებელ ტყულსა სწერს, რაფომ ტყვიამფრქველი დაშალა და გადაყარაო. იმოდენა დურაკია, ტყვიამფრქველი რომ ჩაგვარდნოდა ხელში, როგორ გადავაგდებდით, ან ვინ შედგა კაზარმაში[31] ფეხი?! ალბათ, საშო ყოფილა ყაზარმაში. ასეთი ცოცხალი ტყუილი სად გაგონილა?! ხევგძელაზე დიდი ბრძოლა თურმე საშიკოსა ჰქონია. მერე შეფიცულების გვარები რომ ჩამოწერა! დავით რევაზიშვილი, გაბო ვერბიჭაშვილი,[32] ვასო მარჯანიშვილი, ეს ნაგავი ქართველები. ამათში, ესე იგი, გორის მაზრიდან, მარტო საწყალი სიკა[33] იყო, რომ კაცობა ეთქმებოდა, ზაქარაც[34] არა უშავრა. რატო ვინც დასაწერი იყო, ისინი არ დაწერა?! სურათი, სადაც ვართ გადაღებული ქაქუცა, გენერალი,[35] საშიკოს ალბათ უნდოდა, ის სურათი მოეთავსებინა, რომლიდანაც მე ამომჭრა ლელომ. ამისათვის ცალკეა ჩემი გვარი და მერე მიწებებული. მატრაკვეცაა...

მანგლისში სულ ცოტა ხანი გვქონდა სროლა, ოცი ან ოცდახუთი წუთი. ერთ ჩვენთაგანს არ შეუდგამ კაზარმაში ფეხი. ერთი კითხე საშიკოს, საიდან წაიღო რაფომ ტყვიამფრქველი?! საწყალი რაფო რომ ცოცხალი იყოს, მაგას გალანძღავდა, რაზე სწერ ჩემზე ტყუილებსაო?! ის ისეთი კაცი იყო. იმოდენად დურაკია, რომ ისიც არ ესმის, ტყვიამფრქველი რომ ჩაგვარდნოდა, როგორ გადავაგდებდით?! როგორ შეგვეძლო კაზარმაში შესვლა, მათ რაკეტა აუშვეს და დღესავით განათდა და მეამბოხეები კინაღამ თაგვისოროში ძვრებოდნენ, ჩვენ კი წინა ხაზზე დავრჩით. ჩემა თათრებმა კინაღამ მომკლეს, უკან გაიქცნენ, ხეებს ამოეფარნენ და მე წინ დავრჩი. როგორ შეიძლებოდა კაზარმაში შესვლა, სადაც ხუთასი კურსანტი იდგა და მათ გარდა, იქავე ახლო, განგაშის დროს მდგომი წითელი არმიელები 1200 კაცი, მზად იყვნენ საბრძოლველათ. მანგლისზე დაცემა დიდად დააზარალა პრიუტის მატრაკვეცა ლელოს ოპერაციამ, სადაც ორი მილიციონერი იყო, კომისარი გოლა პავლიაშვილმა მოკლა თავის კუდალათოფით. პრიუტის გამო, მანგლისში უკვე გაფთხილებულნი იყვნენ და ჩვენ რომ დავეცით, ისინი არ დაიბნენ და მაშინვე ინიციატივა აიღეს ხელში.

ელიზბარ, შენ უნდა იცოდე, პარიჟში მრავალჯერ ეცადნენ ჩემ დამცირებას ყველანაირათ. განსაკუთრებით ცდილობდნენ, რომ ჩვენ შეფიცულთა შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო, ვითომ მე მეტოქეობას უწევ ელიზბარს. რა უნდა შემშურებოდა ელიზბარისა?! ეს, რათქმაუნდა, მოდიოდა ჩვენი მტრებიდან. ელიზბარი, საწყალი, პარიჟში სულმთლად წახდა, ყველანაირათ ვცდილობდი, გამემხნევებინა. შოფრობაც კი შევთავაზე, მოგამზადებ, ტაქსიზე დაიწყე მეთქი მუშაობა. ერთხან ვითომ დაიწყო სწავლა პარიჟის რუქისა, მაგრამ მის თავში ვერაფერი

30 ალ. კარგარეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1982 წ.

31 ამ სიტყვას ალექსანდრე სულხანიშვილი „კან“-ისა და „ყარ“-ის მონაცვლეობით ხმარობს.

32 გიორგი (გაბლა) ბერბიჭაშვილი.

33 სიმონ (სოლომონ, სიკა) ალიმბარაშვილი.

34 ზაქარია (ზაქარა, ზაქრო) ალიმბარაშვილი.

35 სპირიდონ ჭავჭავაძე (ჭავჭავაძევი).

შედიოდა, არც უნდოდა სწავლა. კნიაზ ვაჩნაძეს როგორ ეკადრებოდა შოფრობა?! ალალი იყოს, ვინ ინახავდა, საშიკო თუ მე რამოდენიმე წელიწადს?! ჩვენმა მტრებმა მიახწიეს, რომ ჩვენში უთანხმობა ჩამოვარდა. საშიკომ იმდენად აიგდო თავი, რომ მწერს, ტყულებს სწერო. საწყალი ელიზბარი, ბოლო წლებში მთლათ ძნელი გასაძლისი გახდა. ქაქუცა ვეღარ უძლებდა და როდესაც მეორეთ სანატორიუმში მიდიოდა,[36] ამიყვანა თავის ოთახში და მითხრა, აი, ამ ჩემ ოთახში შენ იცხოვრეფო, არავინ არ დაწვეს შენ მეტიო. ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ ყველას გეეგო, ვინც იქა ცხოვრობდნენ, მხოლოთ არ დაწვე ჩემ ოთახში, მანამ დიზიფექცია არ გააკეთოო. მშვენიერი დიდი ოთახი იყო ქაქუცას ოთახი და რიგიანათაც მოწყობილი. საწყალმა გივი ღამბაშიძემ გააკეთა ამ ოთახში დიზიფექსია[37] და მის შემდეგ ამ ოთახში ვცხოვრობდი. იქავე მეკიდა კედელზე ცხონებული ქაქუცას იარაღები.

იმ ხანებში თბილისიდან თუ მოსკოვიდან ჩამოდიოდნენ ქართველი კომუნისტები. მათშორის იყო ერთხელ ჩამოსული პაულო იაშვილი,[38] დიდი მეგობარი ნესტორ ერისთავისა. პაულო იაშვილი კარგა ხანს დარჩა პარიჟში. მთელმა ქართველობამ იცოდა მისი იქ ყოფნა. რათქმაუნდა, ელიზბარმაც გაიგო. ნესტორ ერისთავი ძალიან მეგობრობდა ქაქუცას და აგრეთვე, ჩვენც, შეფიცულებს. რომ გაუგია ელიზბარს, ნესტორის მეგობარია პაულოო, მაშინვე მივარდნილა ნესტორთან და შეხვეწნია ნესტორს, რომ პაულოსთან უშუამდგომლოს, რომ საქართველოში წასვლა მოუწყოს ელიზბარს. ნესტორს უთქვამ, ბიჭო, რას ამბოფ, ქაქუცას თანაშემწე ხარო, ეგ როგო გიფიქრიაო, ვინ რას იტყვის, შენ რომ დაბრუნდეო?! ერთხანს დაუშოშმინებია ბევრი ლაპარაკის შემდეგ, მაგრამ მაინც არ მოუსვენა ნესტორს, მალმალე მივა და ეხვეწება, რომ მოუწყოს პაულოსთან შეხვედრა, წასვლა საქართველოში. ნესტორმა ერთ ხანს თურმე ატყუა ელიზბარი, რომ ვერ შევხვდი პაულოს, ძალიან დაკავებულია, ხან რა უთხრა ხან რა, მაგრამ არ მოუსვენა ელიზბარმა. იცოდა, რომ ნესტორს ამის გაკეთება შეეძლო და რომ მეტის მეტად შეაწუხა, ნესტორმა დამიბარა თავის ბინაზე და მთელი ერთი საათი მელაპარაკა, საშა, აი, ეს კაცი გადამეკიდა და აღარ მისვენებს, მთხოვს, რო პაულოსთან მოუწყო, რო საქართველოში დაბრუნდეს; ელიზბარს ბევრი ველაპარაკე, ბევრი აუხსენი, მაგრა მაგის თავში არაფერი შედის, ისიც კი უთხარი, ბიჭო, ამოდენა სახელი გაქვთ, როგორ უნდა გაიჭუჭყიანო თავი და მთელი რაზმიო?! და ბოლოს, უთხარიო, კაცო, ასე კარგა გიჭირავს თავი, ქაქუცას იარაღებს ინახავ, იმას რაღას უშვებითქო?! შენ მოაწყე წასვლა და ქაქუცას იარაღებისა მე ვიციო. აი, საშა, ამისათვის დაგიბარე, ვიცი, რომ შენ ამხანაგებს უვლი, რამე მოიფიქრეთო. მე პაულოსთან არაფერს მოუწყოფ, მაგრამ შეიძლება, ელიზბარმა სხვა გზა გამონახოსო და პაულოსთან მივიდეს, ის მოუწყობს წასვლასა, მას შეუძლიან და იცოდე,

---

36 1929 წლის ნოემბერში ფილტვზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჯანმრთელობა გაურესდა და მეგობრებმა, ოტსავუას რეგიონში, პრასკუდანის სანატორიუმში გადაიყვანეს.

37 ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოთახში დიზინფექცია გივი ღამბაშიძის მიერ 1929 წლის ნოემბერის შემდგომ ანუ მისი პრასკუდანის სანატორიუმში გადაიყვანისთანავე უნდა ჩატარებულიყო (ცნობილია, რომ გივი ღამბაშიძემ 1930 წლის 13 მაისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა).

38 ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე უცნობი იყო, რომ პაოლო იაშვილი ამ პერიოდში სტუმრობდა პარიზს. ამ პასაჟის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ პოეტი პარიზში იმყოფებოდა 1929 წლის ბოლოს ან 1930 წლის დასაწისში.

ქაქუცას იარაღსაც წაიღებს ელიზბარიო. აი, ჩემო საშა, ეხლა შენ იციო. ყველაფერი რომ გავიგე, უთხარი განსვენებულ ილიკო ქარუმიძეს მხოლოდ. მეორე დღესვე ჩამოვხსენი ქაქუცას იარაღები კედლიდან, ჩავალაგე ქაქუცას ჩამოდანში და წავიღე გენერალ საშა ერისთავის სახლში. კარგა ხანს იქა მქონდა შენახული მთელი ქაქუცას იარაღები.

უკანასკნელი 25 დღე რომ დავყავი სანატორიუმში ქაქუცასთან, ჯერ ვაპირებდი მის უფრო კარგ სანატორიუმში გადაყვანას დაოსში, მაგრამ მისი დაძვრა ადგილიდან არ შეიძლება ეხლაო; მერე თითონ მოინდომა, რომ სახლში წამომეყვანა, მამწყინდა სანატორიუმში ყოფნაო, წამიყვანე სახლშიო, მაგრამ მისწერე ელიზბარს იქიდან გადავიდეს, სახლის ქირას მე გადუხდიო, არ შემიძლიან მასთან ცხოვრებაო. მე ძალიან შევწუხდი ამის წინადადებაზე, ქაქუც, მე რომ მივწერო ელიზბარს, სუმთლად მე დამაბრალებს... და აღარ ვიცოდი რა მექნა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ გადავწყვიტე, რომ მივწერო ი. ქარუმიძეს, ის ჭკვიანი და დინჯი კაცი იყო და ის მოახერხებდა უმტკივნეულოთ რო ელიზბარი პარიჟში გადასულიყო. საწყალმა მაინდომა ვახტანგ ღამბაშიძე ჩამომეყვანა. მაშინვე დაურეკე განსვენებულ ვახტანგს, უთხარი, რომ ქაქუცამ მოინდომა, რომ თქვენა ნახოთ და ძალიანა გთხოვთ, რომ ჩამობრძანდე. მან მიპასუხა, დღესვე, საღამოთივე ავიღეფ მატარებელსაო და წამოვალო. უნდა ვთქვა, რომ განსვენებულ ვახტანგს ძალიან უყვარდა ქაქუცა; მეორეს მხრივ, ქაქუცა დიდ პატივსა სცემდა ვახტანგს. მეორე დილით, ვახტანგი მართლა ჩამოვიდა. ქაქუცას ძალიან გაუხარდა მის ჩამოსვლა, რაღაც იმედი მიეცა, იმდენად ენდობოდა მას. რათქმაუნდა, ვახტანგიმ ნახა ექიმები, რომლებიც ქაქუცას უვლიდნენ და ქაქუცას წაყვანაზე მითხრა, რომ ამის მგზავრობა ეხლა არ შეიძლებაო, ცოტა უნდა მოვაღონიეროთო, რომ პარიჟში შეიძლებოდეს წაყვანაო. ვახტანგი რომ ჩამოვიდა, პირველ დღეს ეს ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, რომ ქაქუცა უნდა მოვაღონივროთ პარიჟში წასაყვანათ. საწყალი, თითქმის არაფერსა სჭამდა და ვახტანგმა უთხრა, ქაქუც, უნდა სჭამოო, ესე არ შეიძლებაო. ეს დღე ასე დაღამდა. ჩემ ოტელში აუღე ოთახი ვახტანგს. მეორე დღეს დილიდანვე ქაქუცასთან ვიყავით, ბევრი ვილაპარაკეთ, ხან ვიხუმრე, თორმეტ საათზე ცოტა შეჭამა. საათის ორზე თუ სამზე მე და ვახტანგი წავედით საჭმელათ. ძალიან ჩქარა დავბრუნდით. რომ შევედით ქაქუცამ თითქო წამოიწია. მივარდი მაშინვე, თავი წამოუწიე, მეორეს მხრით ვახტანგმა რაღაცა შეასუნთქა, ნემსი გაუკეთა, მაგრამ არაფერმა უშველა... ჩემ მკლავზე დალია სული განსვენებულმა.

ელიზბარ, დააკვირდი, ასეთ გრძელ წერილს რომ გწერ, იმისათვის, რომ გაიგო ის, რაც არა გცოდნია. დააკვირდი ჩემ წარსულს: მის შემდეგ, რაც რაზმი შეიქნა, მე მუდამ ერთნაირად მივყვები ჩვენ ამოღებულ მიზანს. ქაქუცას შემდეგ მე ვიყავი მზრუნველი რაზმის კეთილ-დღეობისათვის. ნამეტნავათ მის შემდეგ, რაც რამდენიმე ქიზიყელი ბიჭები დაიღუპნენ. რაზმში მე რამდენიმე კაცი მყავს მოყვანილი. მარტო დიმიტრი ჭინჭარაული, რომელიც ქაქუცას თავის დღეში არ ენახა. მისი სიტყვა ჩვენ რაზმში აღდგომა დღეს, ხომ შედევრია ქართული ისტორიისათვის. ეხლა სინდისის ქვეშ უნდა იფიქროთ და ბადურს შეეკითხე, საშიკომ რა ეშმაკი იცის, ვის შეეძლო ჩვენი რაზმელებიდგან ჩეჩნეთში გადასვლა და მოეწყო, რომ ჩეჩნები დაგვხმარებოდნენ?! ვის შეეძლო მეორეთ, 1923 წელში გადასვლა ბარის ჩეჩნებამდე, ურუსმათანში[39] და მოწყობა ქაქუცას შეხვედრა წარჩინებულ

39 Урус-Мартан (чеч. Хьалха-Марта) – ურუს-მართანი *(რუს.)*.

პირებთან, რომლის შემდეგაც გიორგი წინამძღვრიშვილი ჩავიდა გროზნაში[40] და ხელშეკრულება დადო ჩრდილოეთ კავკაზიელებთან?! შეიძლება კვეხნაში ჩამომართოთ შენ და საშიკომ, მაგრამ ჩვენი რაზმიდამ, ჩემს გარდა, შეეძლო ამისთანა რთული საქმეების მოწყობა ს. ლოსაბერიძეს, განსვენებულ პირველ ქაქუცას თანაშემწეს – შ. პავლენიშვილს,[41] მეორე თანაშემწეს – ი. კახაშვილს. ეს ორი ოფიცრები იყვნენ ცხენოსან ქართული ათასეულისა. შეეძლო კიდე ი. იაშვილს, ესეც ყოფ. თანაშემწე ქაქუცასი. ესენი ცოცხლები არ არიან. მაგრამ ლოსაბერიძე, მაშინ მე რომ გამგზავნა ქაქუცამ პირველათ და მეორეთ ჩეჩნეთში, ცოცხალი იყო, მაგრამ ქაქუცამ მე ამომარჩია. რათა?! მეორეთ რომ ვიყა გაგზავნილი ჩეჩნეთში, ვიყავ როგორც ქაქუცას მეორე თანაშემწედ. ამის შესახებ კარგი წერილი მისწერა ქაქუცამ ათაბეი უმაევს. მან ცოტა ქართული იცოდა, მაგრამ კითხვა არ იცოდა და ეს ჩემი წერილი, როსტომმა, ჩემმა თარჯიმანმა წაუკითხა ათაბეის, რომელიც აღბთოვნებით უგდებდა ყურს. მე რაზმი თვის თვეობამდე შემინახია ჩემი ოჯახის მხრივ და ჩემი მეგობრების მხრივ. არც ერთ შეფიცულს არ მიუძღვის ჩემოდელა შრომა რაზმის წინაშე, როგორც მე. ვიმეორებ, ვისაც არაფრის დანახვა არ უნდა, შეიძლება კვეხნაში ჩამომართონ, მაგრამ ჩემი სინდისით სამშობლოს წინაშე წმინდად მიმაჩნია თავი და თუ ვინმეს სურს გამაჭუჭყიანოს, მე ისინი ფეხებზე მკიდია. მე ვერავინ ვერ გამაჭუჭყიანებს, თავში რომ ქვა იხალონ.

ელიზბარ, მიაქციე ყურადღება, ემიგრაციაშიაც მე ვასულდგმულებდი რაზმს. ბევრ ინტრიგებს მიწყობდნენ ჩვენი მტრები და ზოგიერთი უვიცი ჩვენი ჯგუფიდანაც. მრავალი ჩემი შრომიდან რაზმის წინაშე, რომლის აწერასაც არ ვაპირებდი, მაგრამ ვხედავ, იძულებულსა მხდით, რო სუყველა საჯაროთა ვსთქვა, რომელიც ჩემ გეგმაში არ იყო. მე როდესაც მოგონების წერა დავიწყე, ბადურს და საშიკოს მოვწერე, მოიგონეთ ზოგიერთი ეპიზოდები, ერთად დაწერეთ და ჩემ წიგნში შევიტან მეთქი. ყურადღება არცკი მომაქციეს. ის, რაც საშიკომ მოიყვანა თავის ბროშურაში სურათები, წერილები სუყველა მქონდა მეც, მაგრა ჩემ ჩამადნებთან და ჩემ მშვენიერ იარაღთან დაიღუპა ყველაფერი. ეს ძალიან კარგი გააკეთა, მაგრამ ბევრი ძალიან ცუდი და არა საპატიებელი. მრავალი ტყული დაწერა. მაგას გონია, მაგით გაადიდა. ან კიდე, როგორ გაბედა გაბლა ვერბიჭაშვილი მოიხსენია შეფიცულებში. ეგ იქ არ ეგდო, რომ ვერბიჭაშვილი იყო მთავარი მაჩვენებელი, რომ ენიშნებინა ჩასაფრებული ხალხისათვის, რომ მე შემოვდივარ ეზოში, რომლის შემდეგაც დამეხვივნენ 22 კაცი.[42] როგორ გაბედა ვერბიჭაშვილის გვარის იქ მოყვანა?! მაგრამ დავრწმუნდი, რომ საშიკო გულღრძუი ყოფილა და მატრაკვეცა. ზევითა მაქვს ნათქვამი, მაგან საშინელი ცუდი წერილი მისწერა მენთეშაშვილს, ეს წერილი გამოიყენა მიტო სინჯიკაშვილმა. საქართველოში საძაგლათ ილაპარაკა ქაქუცას უფროს შვილთან და მრავალი სხვა. მე ეს ვაპატიე, არცკი შევამჩნევინე, რომ მე ეს მეწყინა. ეხლა კიდე ყველაფერი ჩემი ჯიბრით და ჩემ საწინააღდეგოთა აქვს გაკეთებული და ამისთანა მის საქციელს, შენც კვერს უკრავ. ის დაავიწყდა მაგას, რომ ეხვეწებოდა ბოლშევიკებს, რომ გეეშვათ საქართველოში. არ გაუშვეს, რა ეშმაკათ უნდათ?! მე ჩამიდგა ჯიბრში და იმდენად უზრდელია, რომ არცკი ესმის, რომ ადამიანს ადამიანურათ უპასუხოს. საახალწლო მილოცვის ბარათი

40 Грозный (чеч. Sölzha-Glala) – გროზნო *(რუს.)*.

41 შალვა (შალიკო) ფავლენიშვილი.

42 ლაპარაკია 1925 წელს ქ. ოდენკურში სოციალ-დემოკრატების ჯგუფთან მომხდარ კონფლიქტზე.

მივწერე წესიერათ, რიგიანათ, მაგან კი უზრდელათ ერთი სიტყვით, მომილოციაო! რა ჩემ ფეხებათ მინდა მაგის მოლოცვა?! ერთი ჰკითხე, ვინ დაუბეჭდა მაგის ბროშურა, მე მგონი, ჩემმა მტერთაგანმა, ვინმე სოც. დემოკრატებმა ან ქავთარაძემ. თუ ეს მართლია, დიდი დანაშაულია, რომ ჩემ მტრებს დააბეჭდინა. ასეთი უნდილები, ინტრიგანები ვართ მთელი მემარჯვენე ქართველები. ჩემი წიგნი ხუთ წიგნსაცავში შეიტანა ინგლისში არა მემარჯვენემ,[43] რომლითაც არის ახტაცებული[44] და თქვენ კი, აურზაური ასტეხეთ, დურაკმა საშიკომ ტყულებიც დამწამა. თუ დამპირდები, რომ არავის აჩვენებ, მოგწერ მის წერილს. ჩემი წიგნი უკვე გაიგზავნა საქართველოში.

მე დამავალა ჩვენმა ბელადმა ჩვენი წარსულის მოგონება. მე მგონი, სხვისთვის არავისთვის დაუვალებია. მე მგზავნიდა, თუ რამე სერიოზული საქმე იყო გასაკეთებელი. მე ვამზადებდი თბილისში ჩვენ ცხენოსან ათასეულში მასიურ გასვლას, როდესაც ქაქუცა შემატყობინებდა, ცხენებით, ხალხით, ტყვიამფრქევლებით, არა ნაკლები სამოცი ან სამოცდაათი კაცით. საუბედუროთ, გამცეს. რომ არ გევეცი, ხომ მარტის გასულს ან აპრილში 1922 წ. ხომ გავიდოდით?! რადგან მე ბევრსა ვნადირობდი, ძალიან კარგად ვიცოდი ჩვენი ტყეების მდებიარობები, ნამეტნავათ თელავის, თიანეთის მაზრებში, სადაც ყველაზე მაგარი ტყეებია საქართველოში. მე ვიყავ მაჩვენებელი ჩვენი ბაზებისა და ბინებისა, სადაც ყველაზე მაგარი და მიუვალი ადგილები იყო. განსვენებული ქაქუცა მე რაზმის ბურჯს მიწოდებდა, იმისათვის, რომ ის ყველას გვიცნობდა და ყველას ფასი იცოდა.

და ბოლოს, რათ იყო, რომ ქაქუცამ მოინდომა უკანასკნელი მის დღები მასთან გამეტარებინა, განა ეს შემთხვევითია?! შეიძლება, ენა მატანტალა ქართველებმა კვეხნად მიიღონ ჩემი ნათქვამი, მაგრამ ეს ნამდვილია. ქაქუცას ნამდვილი მესაიდუმლე მე ვიყავ და თავის უფროსი ძმა – სიკო და ჩვენ ორივეს, ნამეტნავათ თავის ძმას, ყველაზე მკაცრათ გვექცეოდა, რო სხვა რაზმელებს არ ეფიქრათ, რო ჩვენ რაიმე უპირატესობას გვაძლევს. მე ვხედავ, რომ ამ ყველაფრის აღწერვა საჭიროთა ხდება და კიდე მრავალი სხვის, რომ რიგიანათ გეერკვიოს ყველა და ბეცივით არ უყურებდეს ყველა ჭორაკანების ნათქვამს, ან ტყულების ნაწერს.

ა. სულხანიშვილი

სან-ფრანცისკო
4 იანვარი, 1982 წ.

ლელო ჩიქოვანის საქციელი რაზმის წინაშე[45]

ლელოს მიერ მრავალი უკულმართობიდან მთავარი, რაც გააკეთა ჯერ ისევ საქართველოში, ასეთია: 1923 წ. დასაწყისში ჩვენი რაზმი ტრიალებდა დუშეთის მაზრაში. ერთხელ მოინდომა დედასთან წასვლა ორიოდე დღით. წავიდა. ჩაიყლაპა და აღარა ბრუნდება. ჩვენ არ გვესიამოვნა მისი ასეთი საქციელი, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არ მივეცით, რადგან ვიცოდით მისი ჩერჩეტის ამბავი. ვფიქრობდით, ალბათ, ნათესავებში გეება და დაბრუნდებაო. გავიდა თითქმის ორ კვირაზე მეტი. ეხლა კი

43 აკაკი (კაკი) რამიშვილი.
44 ამ სიტყვას ალექსანდრე სულხანიშვილი „ხან“-ისა და „ღან“-ის მონაცვლეობით ხმარობს.
45 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ალექსანდრე სულხანიშვილის არქივი, გვ. 1-8.

ხუმრობა აღარ არის. მაშ, გაიქცა და აღარ დაბრუნდება. მაშ, უნდა ვიპოვნოთ და მოვკლათ. ამ ყოყმანში რომ ვიყავით, ქაქუცას მოუვიდა მთიულებიდან გამოგზავნილი კაცი. მან უანბო ქაქუცას, ლელო დადის მთიულების სოფლებში და ახალგაზდობაში ეძებს რაზმელებსაო, რაზმის შედგენა უნდაო, აღარავის ერიდებაო. დღისით დადის სოფლებში შეიარაღებული, მოგვაშორეთ, თორე დაგვღუპავსო. ამ ამბავმა სუმთლად გადაგვაწყვეტინა მის მოკვლა. ეს ამბავი გაუგია მის დედასაც და კაცი გამოუგზავნა ქაქუცას დიდის ხვეწნით, რომ შეხვედროდა ერთ საიმედო ოჯახში. ქაქუცამ შეიწყნარა დედის თხოვნა და წავიდა შესახვედრათ. თან ახლდნენ – გაბო ოზიაშვილი, ს. მაისურაძე და მესამე არ მახსოვს. შესვლის უმალვე ლელოს დედა მიეგება ქაქუცას, დაუჩოქა, მუხლებზე მოეხვია და ტირილით შესძახა, შენიჭირიმე, ბელადო, შვილი გადამირჩინეო. რათქმაუნდა, მასაც გაგებული ჰქონდა, რომ ლელო რაზმს ადგენდა. ქაქუცამ წამოაყენა დაჩოქილი ლელოს დედა, დაამშვიდა და უთხრა, ქალბატონო, დამშვიდდით და მიანბეთ, რა მოხდა, რისთვის გაიქცაო?! დედამ განმეორებით შეეხვეწა, აპატიეთო, ხომ იცით, მაგის ჩერჩეტი ხასიეთის. მოკლე ლაპარაკის შემდეგ ქაქუცამ უთხრა, უთხარით, რომ მოვიდეს, ამას ყველაფერს დავივიწყეფო, მხოლოდ გააფთხილეთ, რომ ასეთი სისულელე აღარ ჩაიდინოსო. მეორე დღეს მობრძანდა ღრეჭით, თითქო საქეიფოთ იყო და არაფერი მომხდარაო.

როდესაც გადავწყვიტეთ, საქართველო უნდა დავტოვოთ, ჩვენ ვტრიალებდით აღბულაღის ტყეებში, რომელიც იცოდა ლელომ და რომელიც წავიდა დედასთან გამოსათხოვებლათ და თანაც, დუშეთის მაზრაში დარჩენილი ორი ჯგუფი – სამ სამ კაცისათვის უნდა შეეტყობინებინა ლელოს და მოეყვანა ჩვენთან. პირველ ჯგუფში იყვნენ: გაბო ოზიაშვილი, მალაქია და კოხტაშვილი, მეორეში – ქიმბარი,[46] მიშა ნაცვლიშვილი და კურდღელა.[47] ლელოს უნდა შეეტყობინებინა გაბოსთვის; გაბომ იცოდა მეორე ჯგუფის ადგილი და ესენი ყველა ერთად უნდა მოსულიყვნენ აღბულახში[48] ჩვენთან. ლელომ იცოდა ჩვენი ბინა. გავიდა ორ კვირაზედ მეტი და ლელო არ ჩანს. დადგა საკითხი – წავიდეთ, თუ კიდე დავიცადოთ?! ძალიან საფთხილო იყო იქ ტრიალი, რომ იქ სროლა მოგვხდენოდა ჩვენი გადასვლა სამზღვარზე უკვე ძალიან ძნელი შეიქმნებოდა და ამისათვის გადავწყვიტეთ, ცდა აღარ შეიძლება, დაღამებისას უნდა წავიდეთ! კიდე კარგი, რომ იმ საღამოთი მოჩერჩეტდა ორი კვირის დაგვიანებით საშიკო კარგარეთელი და კიდე ვინ მასთან ერთად, აღარ მახსოვს. ექვსი კაცი ნამდვილი შეფიცულები კი იქ დაყარა. იმისათვის, რომ გულღრძუი იყო და საშინლათ ეჯავრებოდა გაბო, ძალიან თავი არ გაიცხელა მის ძებნაში.

ეხლა დავაკვირდეთ მის საქციელს თვით საფრანგეთში. ერთ ხანს პარიჟში შეიქმნა პოლიტიკური გაერთიანებული ფრონტი, ესეიგი, ეროვ. დემოკრატების ერთი ნაწილი: ს. ზალდასტანიშვილი, რ. გაბაშვილი, დანაჩენები არ მახსოვს, სოციალ დემოკრატებთან ერთად მაშინ ფიქრობდნენ, დიდი რამის გაკეთება შეიძლებოდა საქართველოში და გაერთიანებულმა ფრონტმა გადაწყვიტა, რომ საქართველოში კაცები გაგზავნონ, ამისათვის მოიხმარონ შეფიცულები.[49] აი, ამისათვის გამონახეს ეს ორი, რომლებიც მუდამ დაეძებდნენ, რომ რაღაცა დიდი გაეკეთებინათ

46 იოსებ (ქიმბარ) ქიმბარიშვილი.

47 გიორგი (კურდღელა) ბიძინაშვილი.

48 ამ ტოპონიმს ალექსანდრე სულხანიშვილი „ხან“-ისა და „ღან“-ის მონაცვლეობით ხმარობს.

49 ლაპარაკია ყალბი „ჩერვონეცების“ მოჭრის გახმაურებულ საქმეზე.

– ლელო და შალიკო ნებიერიძე. აბა, მაშ, ჭკვათამყოფელი რომელი წავიდოდა ამისთანა მატრაკვეცულ საქმეზე?! შალიკომ და ლელომ, თავის მხრით, გამონახეს საწყალი შამილი, რადგან იცოდნენ, რომ შამილს საშინლათ უნდოდა საქართველოში დაბრუნება და რომ მართლა დაბრუნებულიყო, ის მაშინვე მათ თავს დაანებებდა და წავიდოდა მთაში – თუშებში ან ჩეჩნებში. ეს მათი გამგზავრება საიდუმლოთ კეთდებოდა, რომ ქაქუცას და შეფიცულებს არ გაეგოთ,[50] რადგან იცოდნენ, რომ შამილი მე საერთოდ არაფერს მიმალავდა, რადგან ის ძალიან ახლო იყო ჩემთან, დაარიგეს და სიტყვა ჩამოართვეს, რომ მე არაფერი გამაგებინოს, თორემ ჩაგვიშლისო ყველაფერსაო. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოაწყეს და უკანასკნელ დღეს რომ უნდა წავიდნენ, შამილს უთქვამს, მართალია, მივდივართ, მაგრამ ბელადის და საშას უნახავად არ შემიძლიან წამოსვლაო. მე ამ დროს ვიყავ წასული ნიცისკენ. მე ვერა ვნახე შამილი, მაგრამ ეს სამივენი მივიდნენ ქაქუცასთან, გააგებინეს, რომ საქართველოში მიდიან, გაერთიანებული ფრონტი გზავნის მათ. ქაქუცამ უთხრა, ჩვენ გამოვედით საქართველოდან, რადგან ხელისუფლება ჩვენ რომ ვერაფერს გვიშვრებოდა, ხალხს აწიოკებდენ და სტანჯამდნენო. ხალხის ტანჯვას ვერ გაუძელით, იმისათვის გამოვედითო. ეხლა თქვენ მიდიხართ და ხალხი ისევ უნდა აწიკოთო?! მე არა გზავნით, მაგრამ თქვენ თუ ფიქრობთ, რომ კარგ რამეს გააკეთებთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთო. მე არა მგონია, რომ ეხლა რამე სასიკეთოს გაკეთება შეიძლებოდეს ქართული საქმისათვისაო,

ან ვინც თქვენა გზავნიან, ისინი ნუთუ ამაზე არა ფიქრობენო?! ამგვარათ, ეს სამი კაცი წავიდნენ თურქეთში – სტამბოლში – მანამ მოუწყობდნენ გასვლას საქართველოს სამზღვარზე. ლელომ თავისებურათ დაიწყო ტანტალი კაფეებში, საკანდიტროებში... შეამჩნიეს. ეს, ვიღაც დარდაკია, უცხო კაცი. ეს სამივენი დაატუსაღეს.[51] მოგვივიდა ამბავი, რომ ესენი დატუსაღებულნი არიან, როგორც ჯაშუშები. გაერთიანებულმა ფრონტმა ყურიც არ გაიბერტყა მათ დატუსაღებაზე. გაუხდა თავში საცემათ ისევ ქაქუცას. ამას ხარჯი სჭირდებოდა. საწყალმა, როგორც იყო, იშოვა ფული და დაიხსნა ეს სამი კაცი. ამაში დიდი შრომა გაიღო შალვა ბერმა[52] ქაქუცას დავალებით. ჩამობრძანდნენ პარიჟში ლელო და შალიკო, როგორც კახპა ქალები, თითქო არაფერი მომხდარაო. მაგრამ შამილმა აღარ იცოდა, სად წასულიყო, იმდენად სტანჯავდა თავის თუშური სიამაყე. მე კარგად ვიცოდი მისი ხასიათი და ყველანაირადა ვცდილობდი, ეს ყველაფერი გამექარწყლებინა. რომ შევხვდი, სახეზე ველარ მიყურებდა, უთხარ, შამილ, ეგ არაფერი, შეცდომა ყველას მოგვდის, მე ვიცი, ამაში ვინც არიან დამნაშავენი. ჯერ ისინი, ვინც შენ ამისთანა საქმე გაკისრებინეს – ლელო და შალიკო; მეორეს მხრით, გაერთიანებული ფრონტის ეროვ. დემოკრატები. ამ პატარა საუბრის შემდეგ წავიყვანე, ვისადილეთ, ვცდილობდი სულ სხვა

---

50 ლელო ჩიქოვანი, შალვა ნებიერიძე და შამილ იქაიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის უშუალო დავალებით მიემგზავრებოდნენ საქართველოში (სულხანიშვილმა, როგორც ჩანს, ეს არ იცოდა).

51 სინამდვილეში, ლელო ჩიქოვანმა უარი განაცხადა საქართველოში წასვლაზე, რის გამოც სერიოზული უსიამოვნება მოუვიდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან. მის ნაცვლად საქართველოში 1926 წლის დეკემბერში გაემგზავრნენ სამსონ ყრუაშვილი და ელიზბარ ვაჩნაძე, რომელთაც კონკრეტული დავალების გარდა, ტყეში დარჩენილი შეფიცულების ემიგრაციაში გამოყვანაც ევალებოდათ. თუმცა, ყრუაშვილის და ვაჩნაძის საქართველოში ჩასვლამდე, ზოგი რაზმელი უკვე მოეკლათ, ზოგი „შეერიგებინათ“ და ვიდრე ელიზბარ ვაჩნაძე მათ რამეს შეატყობინებდა, ჩასაფრებულმა ჩეკისტებმა დანარჩენებიც ჩახოცეს. საბოლოოდ, ჩაიშალა ყალბი „ჩერვონეცების“ საქმეც და შეფიცულთა გამოყვანაც.

52 შალვა ვარდიძე.

რამეზე გველაპარაკნა, მაგრამ ის მაინც იმ წასულ არა სასიამოვნო ამბავს იგონებდა, სწუხდა და ხშირად ამოიოხრებდა ხოლმე. ერთხელ, კარგა სიჩუმის შემდეგ ძლივს ამოილუღლუღა, ამისთანა გიჟებს რომ აჰყვები, კარგი როგორ დაგემართებაო?! იმ დღისით ასე დავშორდით. დავნიშნეთ ადგილი და დრო, სადაც უნდა შევხვედროდით მეორე დღეს. მივედი დანიშნულ ალაგას და შამილი აღარ მოვიდა. მალე გავიგე, მე რომ აღარ შემხვდა, თურმე მისულა ლეჟიო ეტრაჟის[53] შტაბში, ჩაწერილა და მაშინვე გაუგზავნიათ აფრიკაში. ძალიან მეწყინა, აგრეთვე ქაქუცას და შეფიცულებს, მაგრამ რა შეგვეძლო გვეშველა?! იმ ხანად ლეგიონში მსახურობდა დავით შალიკაშვილი, მაშინვე ქაქუცამ მიწერა დავითს, რომ შამილი იპოვნოს და თავისთან იყოლიოს. რათქმაუნდა, დავითმა მიიყვანა თავისთან. ერთხანს იყო მასთან, დიდხან ვერ გასძლო. გაიქცა. უნდოდა საქართველოში გასულიყო როგორმე, მაგრამ სამზღვარზე დაიჭირეს და დააბრუნეს. დავითმა დაიხსნა და ისევ თავისთან იყოლია. საწყალი, დიდ ხანს ველარ გაჩერდა, ისევ გაიქცა და ეხლა წაიღო დავითის პარაბელუმი. სამზღვარზე მოუხდა სროლა, ერთი ჯარისკაცი დასჭრა და შამილი დაატუსაღეს. ეხლა უკვე მძიმე საქმე ჰქონდა — მეორეთ გაქცევა და ჯარისკაცის დაჭრა. სუდზე თარჯიმანათ იყო დავითი. სუდია შეეკითხა, ეს მეორეთ გაიქეციო, კაცი დასჭერიო, რა მიზეზით გაიქეციო?! შამილმა უთხრა, ბატონო დავით, რასაც გეტყვი, ყველა გადაურგმნეო. შამილის სიტყვა: მე პატარა ქვეყნის შვილი ვარო, საქართველოსი. რუსეთს ვებრძოდი, რომ გვახჩობს და ყველაფერს გვართმევს, ამას ყველაფერს ვერ გაუძელი და მოვედი საფრანგეთში. გაგებული მქონდა, რომ თავისუფალი ქვეყანა არისო. აქ ჩამომიყვანეთ და მაყურებინებთ იმ უსამართლობას, რასაც გამოვექეციო. რა გინდათ ამ საწყალ, ღარიბი ხალხისაგან რომ ყველაფერს ართმევთ და აწიოკებთო?! სუდიამ პირი დააღო, ეს ვინა ყოფილაო! ძალიან არ ესიამოვნათ მათ კოლონიაში ასეთი ლაპარაკი. არ ვიცი, რა გადაუწყვიტეს, მაგრამ ამის შემდეგ დაიკარგა საწყალი შამილი, რომელიც ძმასავით იყო ჩემთან, ჭკვანაკლები ლელოს მეოხებით. რათქმაუნდა, ფრანგებმა ის დახვრიტეს. მე კიდე კარგათ აღარ მახსოვს შამილის სიტყვა, მაგრამ როგორც დავითმა გვიანბო, დიდი შთაბიჭდილება იქონია ფრანგებზედაო.

მეორე პატიოსანი საქმე ჩადენილი ლელოსაგან პარიჟში: სურათი, რომელიც არის მოთავსებული ჩემ წიგნში, ეგრეწოდებული ქაქუცას შტაბიო. არიან შემდეგნი: ქაქუცა, გენერალი, ელიზბარი, რაფო, ლელო და მე. ამ სურათის გადაღება თვით თურქის ოფიცერმა მოსთხოვა ქაქუცას, თქვენი შტაბი მინდა გადავიღოვო. ქაქუცამ დაასახელა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ამ სურათში. მაშინ ლელო არ იყო დასახებული ქაქუცასაგან, მაგრამ როდესაც დაგვაყენეს სურათის გადასაღებათ, გამოიქცა და დადგა ჩვენთან, როგორც მუდამ მატრაკვეცა იყო. საწყალი ქაქუცა ლმობიერი კაცი იყო, არ უნდოდა თურქის ოფიცერთან დაემცირებინა და გაეგდო ლელო. თურქის ოფიცერმა არ იცოდა ვინ დაგვასახელა ქაქუცამ და ამნაირად დარჩა სურათში ლელო. ეს ერთად ერთი სურათი მოგვცა თურქის ოფიცერმა. ელიზბარი ინახავდა „ვითომ“ ამ სურათს და ისე დაამტვრია და წაახდინა რომ ძლივსღა გაარჩევდით, ვინ იყვნენ სურათზე. ჩემი წიგნისათვის ძლივს შევაკეთებინე, მაგრამ მაინც ეტყობა წახდენა. ამ სურათიდან ლელომ მე ამომჭრა, გაამრავლა და მისცა რამდენიმე ქართველს, იმდენათ გულღრძუი იყო. ერთ დღეს პარიჟში შევხვდი ანდრია რეხვიაშვილს, მან მითხრა, ლელომ კარგი სურათი მიფეშქაშაო, ქაქუცას შტაბისაო. მე რაღაც ეჭვი შემეპარა და უთხარი, ჰო, მეცა ვარ მაგ სურათში მეთქი.

53 Légion étrangère – უცხოური ლეგიონი *(ფრანგ.)*.

არაო, შენ არ ყოფილხარ ამ სურათშიო. მე უთხარი, ეგ სურათი იყო ერთად ერთი, რომელშიაც მეც ვიყავი. არაო, დაცინვის კილოთი მითხრა, შენ იქ არ ყოფილხარო. წამიყვანა და მაჩვენა. მართლა არა ვარ! მაშინ მივხვდი, რაც მოხდა და უთხარი რეხვიაშვილს: მაშ, ლელომ ამომჭრა ამ სურათიდან, ისე გადაიღო და მოუცია შენთვისა. რეხვიაშვილი ცოტა ჩაფიქრდა, მაგრამ მაინც მიმტკიცებდა, თურმე შენ არ იყავი ამ სურათშიო. ს. კარგარეთელმა რომ წიგნაკი გამოუშვა, დააკვირდით, ალბათ, უნდოდა სწორეთ ის სურათი მოეთავსებინა, რომლიდანაც მე ვარ ამოჭრილი და იმისათვის არის, ჩემი გვარი მერეა ჩაკერებული. როგორც ეტყობა, მოგვიანებით მოვიდა ჭკვაზე. უკანასკნელათ რომ ვიყავ საფრანგეთში ლონდონზე გავიარე. იქ ვინახულე ჟორჟიკა ფაშალიშვილი. აი, რა მიანბო მან, ეხლა წასული საქმეა და გიანბოფო. თურმე, ლელოს უყიდნია რეოლვერი და მეძებს, უნდა მომკლას. ამ ძმებისათვის უთქვია, საშა უნდა მოვკლაო. საწყალი ალექსანდრე და ჟორჟიკა მივარდნიან, რათაო, შენ ხომ არ გაგიჟდიო და მერე რასა ფიქროფ, შეფიცულები შენ ხომ ცოცხალს არ გაგიშვებენო?! მას თუ ჩემი მოკვლა უნდოდა, რაღა ალექსანდრეს და ჟორჟიკას ეუბნებოდა, ან რა დიდი ძებნა სჭირდებოდა ჩემი?! მაგრამ მას არაფრის შნო ჰქონდა, მაგრამ უნდოდა დიდ კაცათ ეჩვენებინებინა თავი. ჟორჟიკას უთხარი, მერე რატომ მაშინვე არ მითხარით?! არ გითხარი იმასათვის, რომ უფრო არ გართულებულიყო საქმეო და ჩვენ მას უთხარით, რომ ეგ არ გააკეთო, თორე შეფიცულები შენ ცოცხალს არ გაგიშვებენო. ის ჩაფიქრდა და ჩვენ მივხვდით, რომ ეს სულ მისი კვეხნა იყოო და ვიცოდით, რომ ის, ვერ გაბედავდაო შენ მოკვლასაო. აი, ასეთი ჭკვანაკლული იყო ლელო და ვინც მას იცნობდა და ვერ მიუხვდა მას უჭკობაში, არც ისინი ყოფილან დიდი ჭკვის პატრონები.

რაზმში მე დავარქვი დოლაპროჭა. ასეთი იყო სოფელ ხოდაშენში — აწყურის რაიონში ჭორაკანა მაჭანკალი — შუა ხნის დედაკაცი და მეორე სახელათ რაზმში ლელოსთვის ხშირათ ხმარობდნენ ამ მეორე სახელს. ეს იმისათვის, რომ ლელო რომ მოკავშირეებს ჰხვდებოდა, მოუყვებოდა, თუ რა მოხდა და რას ვლაპარაკობთ რაზმში. ერთხელ ქაქუცამ უთხრა ლელოს, როდესაც ის მიდიოდა მოკავშირეებში, ეე, შენ, დოლ-პ-ჭავ, ენა დააყენე და ნუ უანბოფ ყველაფერს, რაცა ხდება რაზმშიო.

გულახდილათ უნდა ვსთქვა, მის შემდეგ, რაც შამილი დაღუპა ლელომ ნებიერიძის დახმარებით, მე ყველაფერი ვიცი, რომ მთავარი მომწყობი საქართველოში წასასვლელათ, ლელოს უტვინო თავის საქმე იყო. ამის შემდეგ ლელო შემჯავრდა. სუყველაფერი ერთად დაგროვდა — საქართველოში ქაქუცას მეტოქეობა, საქართველოში ექვსი შეფიცულის დარჩენა. ამას დეემატა ჩემი სურათიდან ამოჭრა, თურმე, მოკვლასაც მიპირებდა! მე ლელო რაზმიდან გავაძევე. იმისათვის წავიდა პოლონეთში, სულ რაღაცა სიდიდეს დაეძებდა. მივიდა გერმანელებთან, უთხრა, ჩოლოყაშვილის რაზმიდანა ვარო, კომუნისტებს ვებრძოდიო. მათ დაუჯერეს. აიყვანეს. გაგზავნეს დავალებით რაღაც საქმეზე. ლელო წავიდა. თავისებურათ ერთხანს იჩერჩეტა, მიბრუნდა გერმანელებთან და მოუყვა ტყუილი ამბავი. გერმანელებს, თურმე, სხვა ჯაშუში მიუჩენიათ ლელოსთვი და რომ დარწმუნდნენ გერმანელები რომ ლელომ მოატყუა, გაიყვანეს და დახვრიტეს.

აი, ასე დაამთავრა თავისი ცხოვრება ლ. ჩიქოვანმა. მუდამ ძებნაში, რომ დიდი რამე გეეკეთებინა, მაგრამ მას არავითარი საქმის გაკეთება არ შეეძლო და არც სამისო ჭკვა ჰქონდა. ერთი ქართველი[54] მწერს, ლელო ხომ ოფიცერი იყოო, მა-

54 ელიზბარ მაყაშვილი.

გაზე როგორ ამბობ ცუდსაო?! ეს ერთგვარი ავადმყოფობა, როდესაც არ იციან და გიმტკიცებენ არა მართალს. ლელოს მოხარშულს ვიცნობდი, თავისდღეში ოფიცერი არა ყოფილა, საიდან გამოიღეს, არ ვიცი. მეორე ქართველი[55] მწერს შემდეგს, შენი წიგნი კარგიაო, მაგრამ ლელოზე ცუდსა სწერო და იცი, ამის ამოღება შეიძლება, ერთი წამალია, იმას წაუსვამ და ამოშლიო... ასეთი უვიცობა სად გაგონილა, წიგნიდან ამოშალო რაღაცა წამლით თითქმის ნახევარი გვერდი?! ლელოზე კარგათ დაწერეს გაზეთშიო. არ ვიცი, რა დაწერეს გაზეთში, მაგრამ ეს კი ვიცი ნამდვილათ, ხალხი მასაა, მუდამ აზვიადებს, ადიდებს მომხდარ საქმეს. ამისთანა შემთხვევები მრავალი მოგვიხდა რაზმის ცხოვრებაში. ათ კაცს რომ გვნახამდნენ, ოცდაათი ვნახეთ — ქაქუცას რაზმიო. ერთ ღამეს ჩემი სოფლის — აწყურის ბოლოზე გავიარეთ ღამე მინდვრებზე თუმცა, შარაგზა მიდის ჩემი სოფლის ბოლოზე, რო ხალხმა არა გვნახოს, ამისათვის ვარჩიეთ უგზოთ. ვიყავით ოცდახუთი კაცი, ერთი ცხენი გვყავდა აკიდებული. წარმოიდგინეთ, მაინც შეგვამჩნიეს, კარგა დაგვზვერეს, გააგდეს ხმა, რომ ქაქუცამ გამოიარა, სამოცი კაცი იქნებოდა აკიდებული რამდენიმე აქლემითაო. აქლემები საიდან გამოიღეს?! თავისდღეში კახეთში აქლემი არავის უნახავს!

ლელო პრიუტში დასაცემათ არ იყო გაგზავნილი და სულ სხვა საქმეზე, მაგრამ რაკი ის მოხდა და იქაური კომისარი მოკლა გოლამ, ვთქვით, რომ დასაცემათ იყო გაგზავნილიო და როგორც ზევითა მაქვს ნათქვამი, ეს ამბავი დიდად გააზვიადეს გაზეთებმა. მეორეს მხრივ, დიდათ დააზიანა პრიუტის უსაფუძვლო საქმემ ჩვენი, კურსანტების კაზარმაზე დაცემა. აი, ეს მრავალი სისაძაგლე ლელოს მიერ ჩემ წიგნში არ დავწერე, იმას გარდა, რომ საქართველოში ექვსი კაცი დაგვიღუპა. არ დავწერე ეს სუყველაფერი, რომ არ მინდოდა, ჩემი ნაწერი დარჩენილიყო, რომელიმე შეფიცულის უკუღმართობა გამომემჟღავნებინა. ეხლა კი ვხედავ, ეს უნდა დავწერო და გამოვაქვეყნო, თორემ უვიცმა ხალხმა არ იცის სინამდვილე და ათასნაირ სისაძაგლეს მე მაკერებენ თავიანთ გაუგებრობით.

ა. სულხანიშვილი

ზევითა ვწერ, რომ ლელო, თურმე, მოსაკლავათ დამდევდა. რომ ეს სინამდვილეა, ამისათვის გიგზავნით ჟორჟიკა ფაშალიშვილის მისამართს, რომ შეგეძლოთ შეკითხვა, თუ მე მართალი ვარ: Mr. George Pashalishvili. W. 12. London. Great Britain.

ლელო რომ არანორმარი იყო, ეს ფაქტია. მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლება ამის დასამტკიცებლათ. ლელო ჩვენთან მოვიდა ერთი ოთხი თუ ხუთი თვის დაგვიანებით. წინანდლის ტყეებში ვიდექით. მე ვიდექ ყარაულათ. გავიხედე, ვიღაც მოდის პირდაპირ ჩემზე. დაუძახე, გაჩერდი, ვინა ხარ? მაინც შურდულივით მოდის ჩემზე. ავწიე თოფი და კიდე დაუძახე, გაჩერდი მეთქი. მაშინ ამოიღო ხმა, ეე, ლას მიქალამ, არ მესროლოო. მანამ ახლო არ მოვიდა, ვერ ვიცანი. რანაირათ ვიცნობდი, ჩემ სიცოცხლეში არ მინახნია ვიზედმე ჩაცმული ასეთი დაკონკილი შინელი, იქნებოდა შედგენილი და დაკონკებული ალბათ, სამოცდაათ ნაჭრისაგან. სად იშოვნა ასეთი შინელი, გასაკვირველია?! თურმე, მშვენიერი პალტო ეცვა, გაუხდია და გაუცვლია ერთი წყემსისათვის, რომ ამისთანა სისულელით დაემტკიცებინა, რომ ტყეშია გასული. მივიყვანე ბინაში. ქაქუცა მას არ იცნობდა,

55 ალექსანდრე (ბადურ) ბადურაშვილი.

არც სხვა რაზმელები, სერგოს მეტი და ამნაირათ დავტოვეთ ჩვენ რაზმში. რა კარგია, როდესაც ადამიანი არის დაკვირვებული და წარამარათ არ დაგიწყებს მტკიცებას, რაც ნამდვილათ არ იცის და ჭორების საშუალებით უნდა დაგაჯეროს არა მართალი. ესეც ერთგვარი ავადმყოფობა არის...

ა. სულხანიშვილი

აი, ეს რაც ზევით მაქვს დაწერილი, ჩემ წიგნში არ დავწერე. პატივი ვეცი ჩვენი რაზმის მოგონებას; არ მინდოდა, რომ ჩვენი წრიდან ვინმე გამომეყვანა არა ღირსად რომელიმე რაზმელი ჩვენი მოძრაობის წინაშე. მაგრამ ვხედავ, რომ ამის გამოქვეყნება, თურმე საჭირო შეიქნა, რომ უვიცმა, არამცოდნე და ჭორაკანა ხალხმა თვალები გაახილოს და ისე გაუწიონ კრიტიკა იმას, ვინც მაგათზე უკეთესათ იცის და მათ თვალწინ გაიარა ამ სუყველაფერმა. ვერავინ მასწავლის, რაც მე უკეთ ვიცი.

ა. სულხანიშვილი

ელიზბარ მაყაშვილი – ალექსანდრე სულხანიშვილს

A. Soulkhan
145, Terra Vista
S.F. Calif. 94115
U.S.A.

12.2.82

ძმაო საშა![56]

მივიღე შენი მეტად გრძელი წერილი. ვერ მესმის და ან რამ აგაღელვა მასე? მე ჩემს სიცოცხლეში წინააღმდეგი ვიყავ პოლემიკის და ურთ ერთ შემოხლის. ამაყობ მით, რომ სიმართლის და პირში თქმა გიყვარს. არა მგონია, ჩემზე მეტად გიყვარდეს სიმართლე, და მგონი, ეს ყველამ იცის. მე შენი მოგონების კრიტიკა არ გამიწევია და პირიქით, ვიცავდი მას ყველას წინაშე. მაგრამ გიმეორებ, რომ ჩხეტიანი გამოცხადდა ყანჩაველზე წინ, 1923 წელში. მან გასცა მთელი ზურგი — აწყური, ახმეტა და მატანი, მათ შორის, ჩოლოყაშვილი ანეტა, რომელიც ჩემის თვალით ვნახე თელავის მილიციაში ჩემთან ერთად დაპატიმრებული. ყანჩაველი მოჰყვა მას, დააჭერინა მამა ჩემიც. გახდა ჩეკისტი, მიიღო თელავის პოლიტ ბიუროში ქართველების დახვრეტაში მონაწილეობა. ეს არის სრული სიმართლე და რა არის აქ საწყენი, 80 წლის მოხუცს შეგეშალოს?! ვინ მოჰკალით ახმეტის ტყეში კომსომოლის[57] უფროსი, თუ ჩეკის უფროსი, ან სად მოჰკალით, ჯვრის მოსახსნელად ასული კაცი მატანში, თუ კისისხევში, არ აქვს მნიშვნელობა. თქვენ მოჰკალით ერის მოღალატე და სხვა არაფერი. ამას, მე შენ შინაურულად გწერდი, რომ კავშირი ჩემი ძმის და მთელი ოჯახის

56 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ალექსანდრე სულხანიშვილის არქივი (ასლი), დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, გვ. 1-3.

57 Комсомол (Коммунистический Союз Молодежи) – კომკავშირი (ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი) (რუს.).

არ გააფართოვე, ესეც მივხვდი რად, არ გინდოდა, ბიძინას შვილის გამო.

რაც შეეხება საშიკოს, არ ვიცი, რა მოგწერა, არც მქონია მასთან შენზედ წინასწარი მოლაპარაკება. მე საშიკო გავიცანი პარიზში, ისიც თქვენგან. პარიზში რომ ვიყავი, მაჩვენა ქაქუცას ხელით ნაწერი წერილები. მე მაშინ უთხარი, რომ ისტორიული საბუთები უნდა დაიბეჭდოს მეთქი. იგი დამთანხმდა. წასულ ზაფხულს ჩამოვიდა რამოდენიმე დღით ჩემთან. მაჩვენა თავის ხელთნაწერი — მოგონებები აჯანყების დღეებში და მთხოვა, პატარა წინა სიტყვაობა დამეწერა. მეც დაუწერე.[58] ეს არის და ეს. არც ვიცი, მისი ამბავი, არ ვიცნობდი. მას შემდეგ ლაპარაკი არ ყოფილა და თუ მის აქ ყოფნის დროს, რამე ითქვა შენზედ, არ მახსოვს, რამე ცუდი რომ ეთქვა, დარწმუნებული იყავ, რომ დაგიცავდი. გიცნობდი დიდი ხანი არის, შენც და შენს ოჯახსაც. რომ გწერ, შენი მოგონება უფრო შენს თავგადასავალს ჰგავს მეთქი, ესეც არ არის საწყენი. მესმის, რომ რაზმის მოქმედებას ვერ ასწერ დეტალებით, როგორც შენ ამბობ, ვიდრე რუსები პარპაშობენ ჩვენში.

რაც შეეხება სიკო მაღალაშვილს, ესეც მართალი არის, რომ მას ჩვენს სახლში არ უცხოვრია. მას ბინა ჰქონდა იმავე საწყობში, რომლის გამგეც იყო, ესე იგი, ახმეტის ბოლოს, ჟალურად წოდებულის; ჩვენ კი ვცხობრობთ ახმეტის თავში — უტოში — სამი ვერსის დაშორებით მისგან. ჩვენს სახლში ცხოვრობდა მიტო მაღალაშვილი, ჰყავდა ფშაველ თეგერაშვილის ქალი შახვეტილიდგან, ცხვრის ფარით და ცხენის ჯოგით განთქმული მთელს რაიონში. ეს იყო იარაღის ოსტატი და მანვე შეაკეთა ქაქუცას თოფი. კარებიც გაგიღოთ მან. არ ვიცი, რად დასჭირდა სიკოს, ჩემი ძმის წულის ნათლიას, არა სიმართლის თქმა.

ჩემო საშა, როგორც ზევით გითხარი, მე პოლემიკის და დავის მტერი ვარ, განსაკუთრებით, შენთან; არც ვეკუთვნი სინჯიკაშვილებ-ცომაიებს და სხვ. ინტრიგან პოლიტიკოსებს. შენი ნაწერები და პასუხები ქავთარაძის ნაწერებზე და ჩვენი ყოფილი მთავრობის მოქმედებაზე, მომწონდა თავის სისწორით და არც დამიმალავს არავისთვის, ეს საშიკომაც იცოდა და მეთანხმებოდა კიდეც. შენ კი, ჩაგიდვია თავში, რომ ეს წინად მომზადებული და ჩაწყობილი საქმე იყო, საშიკოსთან ერთად.

რაც შეეხება ლელოს, ელიზბარს, რაფოს, მხოლოდ შენმა სიმკაცრემ გამაკვირვა. მე ლელოს არ ვიცნობდი, მგონი, ერთხელ ვნახე პარიზში. ალბად, ისიც გაგიკვირდა, რომ საშიკომ მომათავსა შეფიცულთა სიაში, მე მისთვის არ მითხოვნია. გააკეთა და დაბეჭდა თავის სურვილით. ყოველ შემთხვევაში, რაც მე შენ მოგწერე, ეს არავინ იცის და ეს ჩემი საკუთარი აზრი არის.

შენი წერილიდგან სჩანს, რომ შენა ჰყოფილხარ ბევრი რამ ომში, ჭირში და ლხინშიაც. სასიამოვნო არის, არ მეპარება ეჭვი შენი ქაქუცასადმი ერთგულებაში, მაგრამ ქაქუცა იყო მხოლოდ ერთი.

ისე, ჩემო საშა, ძალიან საწყენი არის, რომ ჩემი წერილი მიიღე სხვანაირად. მწერ, რომ ჩემი ნაწერების შესახებ, რომ შენ მისწერე სხვებსაც ვლ. რუხაძეს, რომელიც მიუხედავად, რომ ჩემი კარგი მეგობარიც არის, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ქაქუცას მოძრაობასთან.

ესე, შემო საშა, ვათავებ ჩემ წერილს. ჩემს თავს ვგრძნობ მართლად და ჩემი დარდიც მეყოფა, რომ ვიფიქრო ინტრიგანობაზე.

იყავი კარგად და ბედნიერად.

შენი ელ. მაყაშვილი

---

58 ალ. კარგარეთელი, *ქაქუცა ჩოლოყაშვილი*, პარიზი, 1981 წ. გვ. 7-8.

Makachvili
Maulézan 30350
Lédignan
France

საძიებელი და კომენტარები

ალიმბარაშვილი სვიმონ (სოლონ, სიკა), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ალიმბარაშვილი ზაქარია (ზაქარა, ზაქრო), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ანდრონიკაშვილი მერაბ (სოლომონ, სუსლიკა) სოლომონის ძე (1896-1922), სოლომონ ანდრონიკაშვილისა (1859-1896) და ნადეჟდა ერისთავის (გურიისა) (1875-1965) ვაჟი. სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის როტმისტრი, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. დახვრეტილია 1922 წლის დეკემბერში.

ბადურაშვილი ალექსანდრე ზაქარიას (შაქრო) ძე (თიკუნი: ბადური) (1903-1982), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ბარკალაია ივანე (ვანო), თელაველი ფოტოგრაფი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ბერბიჭაშვილი გაბრიელ (გაბლა, გაბო), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ბიძინაშვილი გიორგი (კურდღელა), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი.

გაბაშვილი რევაზ (რეზო) ალექსანდრეს ძე (ფსევდ.: რ. გ., რაე, ღამურა, დამსწრე,ჲყველგან დამსწრე და სხვ.) (1882-1969), ელექტროინჟინერი, ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1917) ჟურნალ „კლდეს“ (1912-1915) ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1918). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში; იყო საქართველოს ინტერპარტიული ცენტრის ე. წ. „საერთო ფრონტისა“ (1925-იდან) და „კავკასიის“ ჯგუფის (1936-1939) შემადგენლობაში, ჟურნალ „კავკასიის“ (ქართული სექცია) (1937-1939) პასუხისმგებელი რედაქტორი. ავტორი მოგონებათა წიგნის „რაც მახსოვს“ (1959).

დალაქიშვილი (სახელი უცნობია), სოფ. მატანის მღვდელი.

დუიშვილი დავით (დათიკო), სოშოში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ერისთავი ივანე (მამია) ნიკოლოზის ძე (1888-1923), არაგვის ერისთავთა შთამომავალი. ნიკოლოზ ერისთავისა (1858-1910) და ელენე (ნენე) მაყაშვილის (1862-?) ვაჟი. 1923 წელს ღალატისათვის მოკლა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა.

ერისთავი (ერისთოვი) **ალექსანდრე** (საშა) ნიკოლოზის ძე (1873-1955), ქსნის ერისთავთა შთამომავალი. სამხედრო პირი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1915-იდან), გენერალ-ლეიტენანტი (1917-იდან), რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და პირველი მსოფლიო (1914-1918) ომების მონაწილე, კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსის 1-ლი გვარდიის საკავალერიო დივიზიის მეთაური (1916-1917). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ერისთავი (ერისთოვი) **ნესტორ** დავითის ძე (1875-1961), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის პორუჩიკი, I მსოფლიო ომის (1914-1918) მონაწილე. ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი.

ერისთავი ნუგზარ-რაფიელ (რაფო) (1901-1977), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ლეიტენანტი, 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ვარდიძე შალვა (შალვა ბერი), მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, სასულიერო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მოღვაწეობდა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში ფერიქოის უბანში დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა მონასტერში. 1914-1918 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“. 1921 წლიდან დიდ დახმარებას უწევდა ქართულ ემიგრაციას სტამბოლში. 1945 წლიდან რეპრესირებული შალვა ვარდიძე ქ. ბეირუთთან ახლოს მდებარე ლიბანის ქრისტიანული კერების ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა და კითხულობდა ლექციებს ბეირუთის სან-ჟოზეფის უნივერსიტეტში. არაბულ ენაზე დაწერა და გამოსცა საქართველოს მოკლე ისტორია, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი თხზულება – „დიდი საქართველოს პატრონი“, რომელშიც არაბულ სამყაროს გააცნო საქართველოს ოქროს ხანა. მისი თარგმანებიდან აღსანიშნავია: ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში“ (1921) და რ. ჟანენის – „ქართველები იერუსალიმში“ (1921).

ვაჩნაძე ელიზბარ გიორგის (გრიგოლი) ძე (1895-1958), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პორუჩიკი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და ერთ-ერთი თანაშემწე, ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე (1936-1937), „კავკასიის“ ჯგუფის მიერ საბჭოთა ტერიტორიაზე შეგზავნილი სადაზვერვო ექსპედიციის წევრი (1938-1939).

ზალდასტანიშვილი (ზალდასტანოვი) **სოლომონ** (სოლიკო) კონსტანინეს ძე (1891-1941), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო კო-

მისიის“ წევრი და 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ავტორი მოგონებისა „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“ (თბილისი, 1989).

ზულიაშვილი (სახელი უცნობია), წინანდლის, ქვემო ხოდაშენისა და კისისხევის რაიონის კომისარი.

იაშვილი ილარიონ (ილიკო), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის კაპიტანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და ერთ-ერთი თანაშემწე.

იაშვილი პაოლო (პაულო) ჯიბრაილის ძე (1892/1894-1937), პოეტი, ცისფერყანწელი.

იქაიძე შამილ, 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

კანდელაკი შალვა (შალიკო; თიკუნი: შულმანი) (1906-?), საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. ელიზბარ ვაჩნაძის ცნობით, რაზმში 16 წლის მისულა, შესახედავად პატარა ტანის ყოფილა, მაგრამ გულადობით გამორჩეული. კაცის კვლაზე ისე იწევდა, როგორც მგელი. ერთ-ერთი შეტაკებისას შალვა კანდელაკს დიდი ქვით გაეჭეჭყა თავი მომხვდური მტრისათვის. ამ ამბის შემდეგ, რაზმელები მას მეტსახელად შულმანს (აბე შულმანი – სისატიკით განთქმული მეტეხის ციხის კომენდანტი) ეძახდნენ.

კარგარეთელი ალექსანდრე (საშა, საშიკო) (1899-1983), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

კახაშვილი იოსებ (სოსო) (?-1923), საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. დაიღუპა ბოლშევიკებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1923 წელს.

კახუაშვილი ბაღდუა (ბაღდო) (?-1922), საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. დაიღუპა ლაგოდეხის ტყეში ბოლშევიკებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1922 წელს.

კირაკოზოვი ფირუზ, სოფ. წინანდლის მკვიდრი, ფართლეულით მოვაჭრე.

კვეტერაშვილი ეფრემ, ახმეტის რაიონის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელი.

კოხტაშვილი მიხეილ (მიშა), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი.

ლაშქარაშვილი მიხეილ (მიშა) (1884-1952), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის უნტერ-ოფიცერი (1918), სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, სახალხო გვარდიის საველე სასამართლოს თავმჯდომარე, სახალხო გვარდიის შტა-

ბის რწმუნებული ჯერ ახალქალაქში, შემდეგ გორში (1919-1921), სოციალ-დემოკრატთა ანტისაბჭოთა პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი ქართლში (1922). 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ლოსაბერიძე იოსებ (სოსო) (?-1922), ცხენოსანი ათასეულის ყოფილი მოლარე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და ერთ-ერთი თანაშემწე. დაიღუპა ბოლშევიკებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1922.

მაისურაძე მალაქია (მალაქი), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი.

მაისურაძე სერგო (1901-1936), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1936.

მანველიშვილი ალექსანდრე (სანდრო) სტეფანეს ძე (ფსევდ.: ანდრო დოლიძე, ჟამთა-აღმწერელი და სხვ.) (1904-1996), ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი, 14 წიგნის და მონოგრაფიის ავტორი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, არაერთი ჟურნალ-გაზეთის („მომავალი“, „ერის დიდება“, „Nation Georgienne“ და სხვ.) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

მარჯანიშვილი (მარჯანიძე) **ვასილ** (ვასო), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

მაღალაშვილი დიმიტრი (მიტო), ახმეტელი იარაღის ოსტატი.

მაღალაშვილი სვიმონ (სიკო), ახმეტაში მკვიდრი. საწყობის გამგე.

მაყაშვილი გიორგი, ელიზბარ და ბიძინა მაყაშვილების მამა. 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის მეკავშირე. დახვრეტილია 1924 წელს.

მაყაშვილი ბიძინა (ბიძო) გიორგის ძე (1903-1924), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის მეკავშირე. დახვრეტილია 1924 წელს.

მაყაშვილი ელიზბარ გიორგის ძე (1905-1991), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის მეკავშირე. 1927-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

მაჩაბელი ივანე (ვანო), სანფრანცისკოში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

მაძღარაშვილი (მაძგარაშვილი) **ქარუმა** (ქიზიყელი ბიჭი) (?-1922), საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. დახვრეტილია 1922 წელს.

მენთეშაშვილი ირაკლი (1912-1982), ინჟინერი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნიუ-იორკში.

მელვინეთუხუცესი ნინო (ნინა) ილიას ასული (1898-1970), ილია მელვინეთუხუცესისა (1866-1924) და ანეტა ავალიშვილის ქალიშვილი, ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის (1888-1930) მეუღლე, თამარ (ციცნა) (1916-1988) და ქეთევან (ქეთია) (1918-1994) ჩოლოყაშვილების დედა.

ნაცვლიშვილი მიხეილ (მიშა), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის კაპიტანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და ერთ-ერთი თანაშემწე.

ნებიერიძე შალვა (შალიკო) ალექსანდრეს ძე (1903-1942), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1931 წელს სათავეში ჩაუდგა ქართველი ემიგრანტებისაგან ჩამოყალიბებულ დრამწრეს, შემდეგში მუდმივ დასს, რომელიც ფინანსური პრობლემების მიუხედავად წარმოდგენებს საფრანგეთის სხვადასხვა თეატრების სცენაზე მართავდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მოხალისედ შეუერთდა გერმანელების მიერ შექმნილ საჰაერო-სადესანტო ნაწილს („თამარ I“), რომელსაც დივერსიული მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განეხორციელებინა და მოსახლეობა ანტისაბჭოთა აჯანყებისათვის მოემზადებინა. 1942 წელს მათე კერესელიძის მეთაურობით საქართველოს სხვადასხვა რაიონში გადმოსხმულ დივერსანტთა უმეტესობა დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა. შალვა ნებიერიძე ჰაერში მოკლეს.

ოზიაშვილი გაბრიელ (გაბო), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი.

პავლიაშვილი გიორგი (გოლა) (1882-?), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

რამიშვილი აკაკი (კაკი) ნოეს (ნაუმ) ძე (1916-1999), ექიმი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

რევაზიშვილი დავით (დათიკო), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

რეხვიაშვილი ანდრია, პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

როსტომი, ალვანელი თუში. ალექსანდრე სულხანიშვილის გამყოლი და თარჯიმანი ჩეჩნეთში.

რუხაძე ვლადიმერ, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

საყვარელიძე ივანე (ვანო), სოფ. ხორხელის მკვიდრი. ალექსანდრე სულხანიშვილის მეგობარი და ნათესავი.

საყვარელიძე სულხან ივანეს (ვანო) ძე, სოფ. ხორხელის მკვიდრი. ალექსანდრე სულხანიშვილის მეგობარი და ნათესავი.

სინჯიკაშვილი (სინდიკელი, სინჯიყელი, შინჯიკელი, შინჯიკაშვილი) **დიმიტრი** (დიტო) ალექსანდრეს ძე (ფსევდ.: ივერიელი, ტფილისელი, ორბელი და სხვ.) (1907-1976), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში; იყო ჟურნალ „ახალი ივერიის“ ერთ-ერთი რედაქტორი (1927-1939). მეორე მსოფლიო ომის დროს გაწვეული იყო ფრანგულ ჯარში, ტყვედ ჩავარდა და გერმანული არმიის „ქართულ ლეგიონს“ შეუერთდა. ომის შემდეგ იტალიაში ცხოვრობდა, საბოლოოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვირდა. ნიუ-იორკში ქართული სტამბა დაარსა (1955), გამოსცემდა ყოველთვიურ გაზეთს „ქართული აზრი“ (1955-1974). დიმიტრი სინჯიკაშვილის სტამბაში ასევე იბეჭდებოდა გაზეთი „ქართველი ერი“, ჟურნალი „კრებული“ და არაერთი ქართული წიგნი. ასევე იყო ქართული ემიგრაციის ინგლისურენოვანი ჟურნალის „თჰე Vოიცე ოფ ჭრეე ჩეორგია“ (1953-1957) სარედაქციო კოლეგიის წევრი.

სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა) კონსატანტინეს (სეხნა) ძე (Aლეხანდერ შოულკჰან; ფსევდ.: ალი სულთანი, სანდრო არაგველი; თიკუნი: ყურბანა, შუშუ) (1896-1990), სამხედრო პირი, პუბლიცისტი, მემუარისტი. მსახურობდა თბილისის ქართულ „დრუჟინაში“ (1916), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ლეიტენანტის ჩინით ირიცხებოდა ეროვნული გვარდიის კავალერიაში, მონაწილეობდა ოსთა ამბოხების (1920 წლის 8 მაისი – 23 ივნისი) ჩახშობაში, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში იბრძოდა ლორეს რაიონში, პატარა ლილოსთან, ხაშურისა და სურამის მისადგომებთან; იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და ერთ-ერთი თანაშემწე, 1922 წლის ფშავ-ხევსურეთისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე, 1922 წლის აგვისტოში აწარმოებდა მოლაპარაკებას ჯარეგოს ჩეჩენ თავკაცებთან, ხოლო 1923 წლის აპრილიდან იმყოფებოდა კავშირის დასამყარებლად ჩრდილო კავკასიის ლიდერებთან – ათაბეი უმაევთან და ალი მიტაევთან. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; იყო შალვა ნებიერიძის ქართული თეატრალური დასის წევრი (1931-იდან), სხვადასხვა პოლიტიკური მისიით, „კავკასიის“ ჯგუფის დავალებით იგზავნებოდა თურქეთში, იუგოსლავიაში, იტალიაში, გერმანიაში, პოლონეთში და სხვ., მეორე მსოფლიო ომის დროს სწავლობდა შტეტინის (პოლონეთი) სამხედრო სკოლაში, მსახურობდა გერმანიის არმიაში, აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ტყვეების გამოყვანაში; ომის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (1949); ივანე ნანუაშვილთან, გიორგი ღოღობერიძესთან, ვახტანგ აბაშიძესთან, გივი კობახიძესთან, ისიდორე გაჟონიასთან და სანდრო ბარათელთან ერთად დააარსა პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ (1952), რომლის მიზანი საქართველოს რუსთა ოკუპაციისაგან გათავისუფლება იყო. ავტორია წიგნებისა: „ხმა სიმართლისა – წითლების მოქმედება ნიუიორკის ქართულ სათვისტომოში“ (მიუნხენი, 1962), „ჩემი მოგონებანი“ (სან ფრანცისკო, 1981), „რა

ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“ (სან-ფრანცისკო, 1985), „ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს“ (სან-ფრანცისკო, 1987, „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წლის ნოემბრიდან“ (სან-ფრანცისკო, 1987) და სხვ.

სუმბათაშვილი (სახელი უცნობია), დახვრეტილია 1922 წლის დეკემბერში.

ქიმბარიშვილი იოსებ (ქიმბარ), დუშეთის მკვიდრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი.

უმაევი ათაბეი (?-1925), პანკისელი ქისტი. ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ალი მიტაევის მეკავშირე. დახვრეტილია 1925 წელს.

ფავლენიშვილი შალვა (შალიკო) (?-1922), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის როტმისტრი, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და ერთ-ერთი თანაშემწე. 1922 წლის 20 ნოემბერს, თბილისში, გუნიბის ქუჩაზე მოულოდნელად ჩეკისტები დაესხნენ თავს, ფავლენიშვილმა ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ამჯობინა და თავი მოიკლა.

ფაშალიშვილი ალექსანდრე, ლონდონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ფაშალიშვილი გიორგი (ჟორჟიკა), ლონდონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ფეიქრიშვილი ალექსი (თიკუნი: ბათირა) (1897-?), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ქარუმიძე ილია (ილიკო) (1891-?), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ქავთარაძე მიხეილ (მიშა) (1906-2008), პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. 1927-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. პარიზში გამომავალი ჟურნალის „ივერიის” რედაქტორი.

ქერიმა (გვარი უცნობია) (?-1922), ქისტი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს ტყვედ ჩავარდა. „ჩეკამ“ სათანადო დამუშავების შემდეგ სცადა მისი თავის სასარგებლოდ გამოყენება, მაგრამ შეფიცულებმა ღალატი არ აპატიეს და დახვრიტეს 1922 წელს.

ღამბაშიძე გივი ვახტანგის ძე (1902-1930), ვახტანგ ღამბაშიძის ვაჟი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1930 წლის 13 მაისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ღამბაშიძე ვახტანგ დავითის (დარისპანი) ძე (ფსევდ.: მამულის შვილი) (1872-1951), ექიმი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ცემის საბავშვო სანატორიუმის დამაარსებელი (1904), პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. გატაცებული იყო ფოტოგრაფიით, ცნობილია ილია ჭავჭავაძის და სხვა

საზოგადო მოღვაწეთა მის მიერ გადაღებული ფოტოები. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ყანჩაველი რამან, „ჩეკას“ მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში შეგზავნილი ჯაშუში, რომლის მოღალატურმა ქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეკავშირეების, ისე შეფიცულთა რაზმის ოჯახის წევრებს.

შალიკაშვილი დავით იოსების (სოსიკო) ძე (1886-1940), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკი, საფრანგეთის უცხოური ლეგიონის კაპიტანი, პირველი (1914-1918) და მეორე (1939-1945) მსოფლიო ომების მონაწილე. იოსებ (სოსიკო) შალიკაშვილის (შალიკოვი) (1847-1904) შვილი, დიმიტრი შალიკაშვილის (1896-1978) უფროსი ძმა.

შაშვიაშვილი (სახელი უცნობია), „ჩეკას“ მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში შეგზავნილი ჯაშუში, რომლის მოღალატურმა ქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეკავშირეების, ისე შეფიცულთა რაზმის ოჯახის წევრებს.

შულმანი აბრაამ (აბე) ბენის ძე (1897-1944), სისასტიკით განთქმული მეტეხის ციხის კომენდანტი. ტუსაღებმა მას „სიკვდილის კომენდანტი“ შეარქვეს, რადგან თავად ხვრეტდა სიკვდილმისჯილებს.

ჩეკურაშვილი ივანე (ვანო), ახმეტის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. დაიღუპა შეფიცულებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს.

ჩიქოვანი ლევან (ლელო) (თიკუნები: ასტანა, ასტეინა, დოლაპროჭია), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ჩოლოყაშვილი ანეტა (?-1942), ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიძაშვილი. მედიკამენტებით და სახვევი მასალით უზრუნველყოფდა შეფიცულთა რაზმის წევრებს. 1923 წელს დაპატიმრებული ანეტა ჩოლოყაშვილი მეტეხის ციხეში დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ 1941 წელს შუა აზიაში გადასახლებული, შიმშილით გარდაიცვალა 1942.

ჩოლოყაშვილი თამარ (ციცნა) ქაიხოსროს (ქაქუცა) ასული (1916-1988), ქაქუცა ჩოლოყაშვილისა (1888-1930) და ნინო მელვინეთუხუცესის (1898-1970) უფროსი ქალიშვილი.

ჩოლოყაშვილი ზაქარია (შაქრო) იოსების ძე, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის უფროსი ძმა.

ჩოლოყაშვილი სვიმონ (სიკო) იოსების ძე (1887-1922), ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის უფროსი ძმა. საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. დაიღუპა ლაგოდეხის ტყეში ბოლშევიკებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1922 წელს.

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) იოსების ძე (1888-1930), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის კავალერიის ოფიცერი. პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მონაწილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკი

(1919), სომხეთ-საქართველოს (1918) და რუსეთ-საქართველოს (1921) ომების მონაწილე, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული პარტიზანული ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (1922-1924). 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ჩხეტიანი ტარასი, „ჩეკას“ მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში შეგზავნილი ჯაშუში, რომლის მოღალატურმა ქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეკავშირეების, ისე შეფიცულთა რაზმის ოჯახის წევრებს.

წინამძღვრიშვილი გიორგი (?-1925), პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთთან“ არსებული „სამხედრო კომისიის“ წევრი, „დამკომის“ წარმომადგენელი ჩეჩნეთში საერთო კავკასიურ ამბოხში მთიელთა მონაწილეობის საკითხებზე მოსალაპარაკებლად. დახვრეტილია 1925 წელს.

ჭავჭავაძე (ჭავჭავაძევი) **სპირიდონ** მიხეილის ძე (1878-1952), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი (1916), რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და პირველი მსოფლიო (1914-1918) ომების მონაწილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალ-მაიორი (1918-იდან), გენშტაბთან არსებული სარემონტო სექციის უფროსი (1918-1921), 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მთავარსარდალი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1947 წელს დაბრუნდა სამშობლოში. 1951 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და 25 წელი მიუსაჯა. გარდაიცვალა ტყვეობაში 1952 წელს.

ჭავჭანიძე (სახელი უცნობია), „ჩეკას“ მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში შეგზავნილი ჯაშუში, რომლის მოღალატურმა ქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეკავშირეების, ისე შეფიცულთა რაზმის ოჯახის წევრებს.

ჭინჭარაული დიმიტრი (თიკუნი: ბაბო), სოფ. აშროშანის ხევისბერი, საქართველოს ისტორიისა და ესპერანტოს ჩინებული მცოდნე. ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის მეკავშირე.

ხელაშვილი მიხეილ (მიხა) (1900-1925), პოეტი, 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი.

ხითარაშვილი იოსებ (სოსო), ახმეტელი გლეხი.

ჯავრიშვილი ლევან, 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ჯავრიშვილი შალვა (შალიკო) ტარიელის ძე (1896-1946), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის კავალერიის ოფიცერი, 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

From the correspondence of Alexander Sulkhanishvili
New materials for the history of Georgian emigration

Prepared by LALI TSOMAIA (Edition, preface, footnotes and personalities)

Summary

This part of Alexander Sulkhanishvili's correspondence, which is published for the first time and is kept in Paata Natsvlishvili's Biblioseum, is an important acquisition for researchers of the history of Georgia and the history of Georgian political emigration.

The letters, dated 1982, are written by Elizbar Makashvili to Alexander Sulkhanishvili and back and reflect the differences of opinion that followed the publication of Alexander Sulkhanishvili's book, „Memoirs of the Band of Sworn Men (შეფიცულთა რაზმი)" in San Francisco in 1981.

მაია ცერცვაძე

აკაკი ბელიაშვილის არქივიდან – ამერიკული შეხვედრების ფოტომატიანე

1960 წელს ცნობილმა ქართველმა მწერალმა და კინოსცენარისტმა აკაკი ბელიაშვილმა (1903-1961) კინემატოგრაფისტთა საკავშირო დელაგაციასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმოგზაურა. მას ახლდნენ კოლეგები – კინორეჟისორი კონსტანტინე (კოლია) პიპინაშვილი (1912-1969) და კინოოპერატორი ფელიქს ვისოცკი (1909-1982).

სამშობლოში დაბრუნებულმა მწერალმა დაწერა ამ მოგზაურობის ამსახველი მოგონებები, რომელიც პირველად 1964 წელს მის თხზულებათა მეორე ტომში დაიბეჭდა სათაურით „მოგზაურობა ამერიკაში“. 2015 წელს მოგონებები – „ამერიკაში პარიზზე გავლით“ უცვლელად გამოსცა წიგნად გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა (რედაქტორი და წინათქმის ავტორი პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე), სადაც ამჟამად არის დავანებული აკაკი ბელიაშვილის არქივი. ეს არქივი თავისი ემიგრანტი ბიძების – მკვლევარ ლადო ბელიაშვილისა (1906-1961) და პოეტ გიორგი (გუგული) გამყრელიძის (1904-1974) არქივებთან ერთად დასახელებულ მუზეუმს გადასცა მწერლის ერთადერთმა ქალიშვილმა მანანა ბელიაშვილმა (1931-2014).

ჩემს ოჯახს ჰქონდა პატივი ემეგობრა ქალბატონ მანანასთან და მის ვაჟთან, აკაკი ბელიაშვილის შვილიშვილთან, მხატვარ გიორგი ციბაძესთან (1958-2015), რომელთაგან სხვა მრავალ ისტორიასა და ამბავთან ერთად მოსმენილი მაქვს ბევრი საინტერესო მოგონება მათი ემიგრანტი წინაპრების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენთვის ძვირფასი ეს ადამიანები დღეს ცოცხალნი აღარ არიან. მეგობრობის ნიშნად მათ გვისახსოვრეს რამდენიმე უნიკალური ფოტო, რომლებსაც დღეს პირველად ვაქვეყნებთ.

ფოტოები გადაღებულია პოლაროიდის ფოტოაპარატით აკაკი ბელიაშვილის ამერიკაში მოგზაურობის დროს და ასახავს დასახელებული დელეგაციის შეხვედრის ეპიზოდებს იქ ემიგრირებულ ორ ცნობილ ქართველთან. ესენი არიან: პროფესიონალი მოჭიდავე, მოჭადრაკე და მსახიობი ნიკოლოზ (კოლა) ქვარიანი (1903-1980) და მწერალი და მოქანდაკე, ავტორი ცნობილი ბესტსელერისა „Anything Can Happen“ (1944) ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი (1898-1978).

როგორც აკაკი ბელიაშვილი იგონებს, ნიუ-იორკში ყოფნისას ის და მისი თანამგზავრები ტელეფონით დაუკავშირდნენ კოლა ქვარიანს, რომელმაც ისინი მეორე დღეს შინ მიიპატიჟა. იგი მეუღლესთან სიდონია ნოვაკთან ერთად სასტუმრო „შოტლანდის“ ოცდამეორე სართულზე, ოროთახიან ნომერში ცხოვრობდა. სწორედ ამ სასტუმროში შეხვედრის მომენტებია ასახული წარმოდგენილ ფოტოსურათებზე.

აი, როგორ აღწერს მწერალი კოლა ქვარიანთან ვიზიტსა და მის საცხოვრისს: „როდესაც ზარი დავრეკეთ, კარი გაიღო და ვხედავთ, ჩვენს შესახვედრად

მობაჯბაჯებს ნამდვილი გოლიათი და ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს, როგორ არ იჭედება იგი ამ თავისი ბინის ვიწრო დერეფნებში... დავსხედით, მიმოვიხედეთ, მთელი კედლები მოფენილია მხატვართა ნამუშევრებით, და თაროები გაჭედილია წიგნებით. მაგიდაზედაც წიგნები, მათ შორის რამდენიმე ქართული".

შეხვედრისას აკაკი ბელიაშვილს უკითხავს კოლა ქვარიანისათვის, ხომ ვერ შეძლებდა მისთვის გიორგი პაპაშვილის ცნობილი წიგნის შოვნას. ამის პასუხად მასპინძელს ტელეფონისთვის ხელი დაუვლია, გიორგი პაპაშვილისთვის დაურეკავს, რომელიც იმხანად პენსილვანიაში ცხოვრობდა და მისთვის ქართველი სტუმრების შესახებ მოუხსენებია. პაპაშვილს თანამემამულეები თავისთან მიუწვევია, თუმცა მათგან უარი მიუღია უდროობის გამო – ისინი მეორე დღეს მოფრინავდნენ უკან. ამის შემდეგ გიორგი პაპაშვილი მეუღლესთან ჰელენთან ერთად თავადვე დაძრულა საკუთარი მანქანით ნიუ-იორკისკენ და მალე სასურველი შეხვედრაც შემდგარა.

„გიორგი პაპაშვილი საშუალო ტანის, ხმელი აგებულობის შავგვრემანი კაცია, ტიპიური მთიული. მისი მეუღლე ელენე კი მაღალი, თეთრად ჩასუქებული ამერიკელი ქალია, საოცრად ჭკვიანი თვალებით", – ასე გადმოგვცემს ცოლქმარ პაპაშვილების გარეგნობას და იერსახეს აკაკი ბელიაშვილი.

სტუმარ-მასპინძლებს დრო, ბუნებრივია, მეტად ემოციურად გაუტარებიათ – სამშობლოსა და თანამემამულეთა გახსენებაში, მწერლობაზე, საგამომცემლო საქმიანობაზე, ჰონორარებზე, გიორგის წიგნებსა და ქანდაკებებზე და სხვა მრავალ აქტუალურ თემაზე უსაუბრიათ. კოლიამ, რაც ამ ოცდაცამეტი წლის განმავლობაში ქართული სიტყვა არ ეთქვა, სუყველას თქმა ახლა მოინდომა. ხმა არ ამოგვაღებია. გვკითხავდა რამეს და მაშინვე თითონ განაგრძობდა ლაპარაკსო, იგონებს მწერალი. შემდეგ კოლა ქვარიანს სტუმრები ბერძნულ რესტორანში მიუპატიჟებია. მათი შეხვედრა გვიან ღამით დასრულებულა. „მოკითხვა ჩემს ქუთაისს, ჩემს თბილისს, ჩემს მიწაწყალს..." – გვეუბნებოდა იგი გამოთხოვების წინ და როდესაც გავხედე მიმავალს, ასე მომეჩვენა, თითქო მისი გოლიათური ზურგი დარდისაგან მოხრილიყ"-ო – ასრულებს თხრობას აკაკი ბელიაშვილი...

ეს უნიკალური ფოტოსურათები, რომელთა ავტორი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, საუკეთესო ილუსტრაციაა ამერიკაში აკაკი ბელიაშვილისა და მისი თანამგზავრების ცნობილ ქართველ ემიგრანტებთან ამ ფრიად საყურადღებო შეხვედრისა, რომელიც მწერლის აწ უკვე წიგნად გამოცემულ მოგონებებში არის აღწერილი. ვფიქრობთ, მას სიამოვნებით გაეცნობა ქართველი მკითხველი.



აკაკი ბელიაშვილი



მარცხნიდან: ფელიქს ვისოცკი,
კოლია პიპინაშვილი, კოლა ქვარიანი.



მარცხნიდან: გიორგი პაპაშვილი
(ზურგით), აკაკი ბელიაშვილი, კოლია
პიპინაშვილი, კოლა ქვარიანი,
ჰელენ პაპაშვილი.



მარცხნიდან: აკაკი ბელიაშვილი,
კოლია პიპინაშვილი, კოლა ქვარიანი.



მარცხნიდან: კოლია პიპინაშვილი,ფელიქს ვისოცკი,
გიორგი პაპაშვილი (ზის ზურგით), კოლა ქვარიანი,
ჰელენ პაპაშვილი;



კოლა ქვარიანი

კონსტანტინე გამსახურდიას წერილები თამარ და აკაკი პაპავებს

დასაბეჭდად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პაატა ნაცვლიშვილმა

თამარ და აკაკი პაპავებისადმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან გაგზავნილი ათეულობით წერილი მათმა შთამომავლებმა 1997 წელს გამომატანეს არგენტინიდან საქართველოში. ეს მდიდარი და მნიშვნელოვანი ეპისტოლური მემკვიდრეობა დღეს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. სხვადასხვა დროს ჩვენ ცალკე წიგნებად გამოვეცით ამ მემკვიდრეობის ნაწილი: ექვთიმე თაყაიშვილის (2009), გრიგოლ რობაქიძის (2009), სამსონ ფირცხალავას (2012), მიხაკო წერეთლის (2012) წერილები თამარ და აკაკი პაპავებს. ამას გარდა პრესაში გამოვაქვეყნეთ კიტა ჩხენკელისა (2000) და იოსებ გრიშაშვილის (2001) წერილები და ვიკტორ ნოზაძის (1998) ერთი წერილი თამარ და აკაკი პაპავებს. მალე ვიქტორ ნოზაძის პაპავებისადმი გაგზავნილი წერილები ცალკე წიგნად გამოიცემა.

აკაკი პაპავა (1890-1964) და მისი მეუღლე თამარ გოგოლაშვილი-პაპავა (1888-1976) ჯერ გერმანიაში ცხოვრობდნენ, შემდეგ – არგენტინაში. ორივე მათგანი ქართული ლიტერატურისა და კულტურის დაუღალავი მოღვაწე იყო, ორივემ ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრებისას გაითქვა სახელი. გარდა იმისა, რომ შესამჩნევი ფიგურა იყო სამწერლო ასპარეზზე, აკაკი პაპავა გამოირჩეოდა პოლიტიკური თუ საზოგადო საქმიანობითაც. იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის აქტიური წევრი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარე. რაც შეეხება თამარ პაპავას, იგი ძალზე ახალგაზრდა გამოჩნდა ლიტერატურულ თუ თეატრალურ ასპარეზზე, წერდა, თარგმნიდა, თანამშრომლობდა იოსებ იმედაშვილის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. თამარ და აკაკი პაპავებმა უცხოეთში თავიანთი არაერთი წიგნი გამოსცეს, არგენტინაში ქართული სათვისტომო ჩამოაყალიბეს და ქართული ჟურნალი დააარსეს. მათი სახლი ბუენოს-აირესთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ლომას-ლე-ზამორაში ქართული კულტურის მძლავრი კერა იყო და ცოლ-ქმარი, მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა, აქტიურად იყო ჩაბმული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებაში. დღე არ გავიდოდა, მათ არგენტინულ მისამართზე წერილი არ მოსულიყო ან მათ არ გაეგზავნათ.

თამარ და აკაკი პაპავების კორესპონდენტები ძირითადად ქართველი ემიგრანტები არიან. მიმოწერა საქართველოში მცხოვრებ ნათესავებთან თუ ნაცნობ-მეგობრებთან მათი ემიგრანტული ცხოვრების განმავლობაში გართულებული იყო – აქაურები ამ მხრივ ძალიან შეზღუდულები იყვნენ, იქაურები კი შიშობდნენ, მათ წერილებს საფრთხე და პრობლემები არ შეექმნათ საბჭოთა საქართველოში მცხოვრებთათვის.

იმ მცირერიცხოვან კორესპონდენტთა შორის, ვინც პაპავებთან მიმოწერა გაბედა საქართველოდან, სახელოვანი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაც (1893-1975) იყო. პაპავების არქივში დაცულია თბილისიდან არგენტინაში გაგზავნილი მისი ხუთი წერილი.

ხუთიდან ოთხი წერილი თარიღიანია, ერთი წერილის თარიღის დადგენა კი საფოსტო შტემპელის მიხედვით ხერხდება.

წერილები გაგზავნილია 1963 წლის 7 სექტემბერს, 18 ოქტომბერს (საფოსტო შტემპელის მიხედვით), 1964 წლის 4 მარტს, 6 ივნისს და 14 ივნისს.

ხუთივე წერილს ახლავს კონვერტიც, რომლითაც თითოეული მათგანი გაიგზავნა. პირველი ორი წერილი აკაკი პაპავას სახელზეა, დანარჩენი სამი – თამარ გოგოლაშვილის სახელზე. ხუთიდან ოთხ კონვერტს გამგზავნის მისამართად „გალის ქუჩა № 13“ აწერია, ერთს – „გალის ქუჩა № 15“. გამგზავნის მისამართები ხუთიდან ოთხ წერილზეც არის აღნიშნული: პირველ ორზე – „გალის ქუჩა 15“ და ბოლო ორზე კი – „გალის ქუჩა № 13“. ერთ წერილზე მხოლოდ „კოლხური კოშკი“ წერია უმისამართოდ. საკუთრივ წერილისა და შესაბამისი კონვერტის მისამართები სამ გზავნილში ერთმანეთს ემთხვევა, პირველ გზავნილში კი სხვადასხვაა. როგორც ჩანს, „კოლხურ კოშკს“ ორივე ეს მისამართი ჰქონდა.

კონსტანტინე გამსახურდიას პირველი წერილი 1963 წლის 7 სექტემბრის არის დათარიღებული და მისი შინაარსით ირკვევა, რომ ეს ძველი მეგობრების პირველი შეხმიანებაა ბოლო შეხვედრიდან მთელი 40 წლის შემდეგ. ერთმანეთი რომ გაიცნეს, ისინი ახალგაზრდა, დამწყები მწერლები იყვნენ. ბოლოს რომ ნახეს ერთმანეთი, აკაკი 34 წლისა უნდა ყოფილიყო, კონსტანტინე – 31-ისა. ურთიერთობის განახლებისას ისინი უკვე ხანდაზმული მოღვაწეები იყვნენ, ოღონდ განსხვავებული ბედისა და მდგომარეობისა. კონსტანტინე გამსახურდია აღიარებული და დაფასებული მწერალი გახლდათ სამშობლოში, მისი სახელი რუსეთსა და უცხოეთშიც გასულიყო, ხოლო ემიგრაციაში მყოფ აკაკი პაპავას სამშობლოს ნოსტალგია ჰკლავდა და საბჭოთა საქართველოში მისი სახელიც ხსენებაც კი აკრძალული იყო.

კონსტანტინე გამსახურდიას წერილებიდან ჩანს, რომ არსებობდა თამარ და აკაკი პაპავების პასუხებიც მათზე, რომლებიც კოლხურ კოშკში უნდა ყოფილიყო დაცული და, სავარაუდოდ, ხანძარს ემსხვერპლა.

ქართული ემიგრაციის თუ ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი კონსტანტინე გამსახურდიას წერილებში ბევრ საინტერესო და სახასიათო მომენტს, ეპოქის არაერთ თვალსაჩინო გამოვლინებას შენიშნავს. რა ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ კონვერტებზე კონსტანტინე გამსახურდია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ის, ანუ წერილის გამგზავნი, აკადემიკოსია. ეს ალბათ ერთგვარი დამატებითი გარანტია იყო იმისა, რომ წერილს ადრესატამდე მიეღწია. და, რაც მთავარია, წერილებში კონსტანტინე გამსახურდიას ერთგვარი ავტოპორტრეტია დახატული მისი პირადი, ოჯახური თუ მწერლური ცხოვრების ფონზე.

ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა 40 წლის შემდეგ განახლებული ეს ურთიერთობა, აკაკი პაპავა მოულოდნელად რომ არ გარდაცვლილიყო 1964 წლის 28 ივნისს. ეს რომ არა, იქნებ სუხიშვილ-რამიშვილის ანსამბლის ქართველი მოცეკვავეები ან არგენტინაში 1978 წელს ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტები კი არა, სწორედ კონსტანტინე გამსახურდია და მისი მეუღლე ყოფილიყვნენ საქართველოდან ჩასული პირველი სტუმრები პაპავა-ჭეიშვილების ოჯახში. იქნებ კონსტანტინე გამსახურდიას წიგნი ბუენოს-

აირესშიც გამოეცათ და აკაკი პაპავას ამ წიგნის ჰონორარით ნაყიდი „ვილისი“ გამოეგზავნა ძველი კოლეგისა და მეგობრისათვის, როგორც ამას კონსტანტინე გამსახურდია თბილისიდან სთხოვდა.

კონსტანტინე გამსახურდია თავის წერილებში ბევრ ისეთ ამბავს ატყობინებს აკაკი პაპავას, რაც მისთვის ისედაც კარგად იყო ცნობილი. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირში მცხოვრები მწერალი ფიქრობდა, რომ საქართველოს ამბები ქართული ემიგრაციისათვის ისევე დაფარული და უცნობი იყო, როგორც საქართველოში მალავდნენ და კრძალავდნენ ნებისმიერ ინფორმაციას ქართული ემიგრაციის შესახებ.

კოლხური კოშკიდან ლომას-დე-ზამორაში გაგზავნილი ბოლო, მეხუთე წერილის ადრესატი მხოლოდ თამარ პაპავაა და მასში აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება და თანაგრძნობაა გამოხატული.

საყოველთაოდ ცნობილია კონსტანტინე გამსახურდიას სტილი და მისეული მართლწერისა თუ ორთოგრაფიის თავისებურებანი. ავტორის სტილი, მართლწერა და ორთოგრაფია მის ამ წერილებშიც, რა თქმა უნდა, დაცულია. გასწორებულია მხოლოდ ერთი-ორი კალმისმიერი ლაფსუსი.

წერილი პირველი

ტფილისი, 1963, 7, IX
გალის ქ. № 15
კოლხური კოშკი

ძვირფასო და სანახავად სანატრელო ძმაო აკაკი!

დიდი ხანია წერილის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ აქამდის ვერ გადავწყვიტე. ამდენი ხანია არ მინახავხარ და როგორ განმცო ის გულისტკივილი, რომელსაც უშენოდ განვიცდი. ეჰ, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ რაც შენ განვგშორდი, თითქმის არც ერთი ჩვენი მეგობარი ცოცხალი არ არის. მე გადავურჩი სიკვდილსა და ჟამთა სიავეს. ამას წინად შენი „სოლეილდორი“[1] გადავიკითხე და გავიზარე ჩვენი ტკბილი მეგობრობის მოგონებითა. თუ ძმა ხარ მალე მომწერე რამე. რას აკეთებ, რას აპირებ, როდის ჩამოხვალ? გეყოფა ახლა უცხოდ ყოფნა, ჩამოდი შენს სამშობლოში. მე კარგად ვიცი ხანდაზმულ ადამიანისათვის, ისიც შენისთანა პატრიოტისათვის რა ძნელია ეს ყოველივე. ახლა ჩვენში ძლიერ კარგი პირობებია ინტელიგენტისათვის, ამდენი შთაბეჭდილებითა ხარ ალბათ დატვირთული. დასწერ ბევრ რამეს და გაგვახარებ.

ჩემს ამბავს ნუ იკითხავ, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე თორემ სხვა არაფერი დამკლებია. 1953 წლამდის არა ერთხელ ვიყავი რეპრესირებული, მხოლოდ ამ წელს მომეცა მუშაობის კარგი პირობები. ალბათ გაიგებდი ბარე ხუთი ტომი ჩემი ნოველლებისა, რომანებისა და ესსეებისა გამოვიდა. VI ტომი ამ დღეებში

1 აკაკი პაპავას ვრცელი მოთხრობა „სოლეილდორ“ 1918 წელს გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალ „პრომეთეში“.

გამოვა. სამი თუ ოთხი კიდევ უნდა გამოვიდეს, რუსულად ექვსტომეული იბეჭდება. ჩემი დიდოსტატის მარჯვენა საფრანგეთში გამოვიდა, მისი ადაპტაცია ორ წელს იბეჭდებოდა გაზეთ ლიუმანიტე დიმანშში[2], დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის გამოსვლას, რა თქმა უნდა მე გამეხარდა ბალზაკისა და ანატოლ ფრანსის ქვეყანაში ასეთ დაფასებას რომ მიაღწია ამ წიგნმა. იგივე გამოვიდა ჰინდის ენაზე, გარდა ამისა, ლიტვის, რუმინეთის ენაზე, სომხურადაც გამოქვეყნდა.

ინგლისურად ითარგმნა და გამოიცა დიდოსტატი. ახლა ვწერ ჩემი ბობოქარი ცხოვრების ამბებს, ამ წიგნს ჰქვია „ლანდებთან ლაციცი“[3]. იგი ჯერ ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდება და მერმე ტომეულებში შევა.

თუ ჯანმრთელობამ არ მიღალატა, ერთი დიდი რომანის დაწერას ვაპირებ თამარის ეპოქაზე[4]. საერთოდ ჩემი ქმნილებების რჩეული ტომები შეიცავენ ბარე 400 სასტამბო ფორმას. ცხადია, ეს არ იყო ადვილი.

ჩემი მეუღლე[5] მეუბნება: გეყოფა, დაისვენეო, მაგრამ რა დამასვენებს? იმდენი ვიტანჯე და იმდენი იდეები მაწუხებენ, საროტაციო მანქანები არ მეყოფა. ამ ბარათს სასინჯად გიგზავნი. თუ გინდა ინგლისურად გამოგიგზავნი დიდოსტატს. თუ არ შეწუხდები, ურიგო არ იქნება, თუ ჩემი რომანებითა და ნოველლებით დაინტერესებ იქაურ გამომცემლებს. თუ ასეთი რამ მოახერხე, შესაძლოა მე და ჩემი მეუღლე ჩამოვიდეთ. ტფილისში და საერთოდ მთელს საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა. ტფილისი გაიზარდა, გალამაზდა. ნამდვილი სატახტო ქალაქია. შემომითვალე ჩვენს ლიტპრესსას ღებულობ თუ არა? თუ არ ღებულობ, გამოგიწერ. რას აკეთებს ჩემი დაიკო, ქალბატონი თამარი. ხელზე აკოცე ჩემს მაგივრად. ალბათ მასაც ძლიერ ენატრება სამშობლო.

ვიმეორებ: გეყოფა უცხოდ ყოფნა. შენ ხომ მთავრობის ნებართვითა ხარ წასული და უბატონოდ ვინ გაგცემს ხმას.

ამ რამდენიმე წლის წინად მე მაგზავნიდნენ უცხოეთში მყოფ კულტურ ქართველების ჩამოსაყვანად, მაგრამ სამწუხაროდ თავი შევიკავე. ალბათ გაიგებდი უბედური გრიგოლ რობაქიძე[6] გარდაცვლილა. საოცრად იტანჯებოდა თურმე.

მოსაწერი ბევრი მაქვს, მაგრამ ყველაფერს, რასაც ვგრძნობ, ან როგორ მოგწერ. ღამის სამი საათია, მარტო ვარ ჩემს ვილლაში[7] და შენზე ვფიქრობ.

---

2 ფრანგ კომუნისტთა გაზეთის საკვირაო დამატებაში L'Humanité Dimanche 1957 წლის დეკემბერში ანონსით დაიწყო და 1958 წლის განმავლობაში გაგრძელებებით იბეჭდებოდა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ საგაზეთო, ადაპტირებული ვარიანტი. რომანი რუსული ტექსტიდან თარგმნა რენე დომაკმა და წიგნად გამოსცა „ფრანგ მწერალთა გაერთიანებამ“. საგაზეთო პუბლიკაციას ერთვის ჟან დორვილის ილუსტრაციები.

3 ამ წერილის დაწერამდე ერთი კვირით ადრე „ლანდებთან ლაციცის“ პირველი ფრაგმენტი გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1963 წლის 30 აგვისტოს ნომერში.

4 რომანი „თამარ“ კონსტანტინე გამსახურდიას დაუსრულებელი დარჩა; ქართული ლიტერატურულ პრესაში მისი რამდენიმე ფრაგმენტი გამოქვეყნდა.

5 იგულისხმება მირანდა (მათიკო) ფალავანდიშვილი (1916-1970) – კონსტანტინე გამსახურდიას მეორე მეუღლე, თამარ და ზვიად გამსახურდიების დედა.

6 გრიგოლ რობაქიძე (1882-1962) – გერმანიასა და შვეიცარიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მწერალი, ნობელის პრემიის პირველი ქართველი ნომინანტი (1933), აკაკი პაპავას მეგობარი. ჩვენ 1998 წელს გამოვეცით პაპავების არქივში აღმოჩენილი მისი ეროტიკული ნოველა „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავასადმი“, 2009 წელს კი – მისი წერილები თამარ და აკაკი პაპავებისადმი.

7 იგულისხმება „კოლხურ კოშკად“ წოდებული გამსახურდიების ოჯახის საცხოვრებელი სახლი თბილისში, გალის ქუჩის № 13-ში და გალის ქუჩა № 15-ში.

სხვათა შორის თავი გავწირე და მშვენიერი კოლხური კოშკი ავიშენე, ბარე მილიონ ნახევარი დამიჯდა. მთელი ჩემი დანაზოგი დავხარჯე, ეს სახლი ავაშენე აგურის ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე. საუცხოვო ვენახი და ხილის ბაღი მოვაწყვე. მაშინ მატერიალურად ძლიერ მიჭირდა, თავათ ვთოხნიდი.

ამ ვილლას ერთი ასი ათასი მანეთი კიდევ დასჭირდება, მაგრამ ღმერთი მოწყალეა.

თუ მოთხრობები გაქვს, გამომიგზავნე, აქ ჩემს გემოვნებას ანგარიშს უწევენ და უთუოდ დავაბეჭდვინებ.

ველი შენგან პასუხს

მარადის შენი ერთგული კონსტანტინე გამსახურდია

P.S. ამას წინად შენი სიძე[8] შემხვდა, კარგად არიან.

ტფილისი,
გალის №15
კოლხური კოშკი
ჩემო ძვირფასო ძმაო აკაკი!

შენმა წერილმა ფრიად გამახარა. ასე გაუხარელად გაირბინა ნახევარმა საუკუნემ. ჩვენი მეგობრები თითქმის ყველანი დაიღუპენ. ე. წ. „კულტის ეპოქაში“ დახვრიტეს ქრისტეფორე[9], ვახტანგი[10], ციმბირში მოკვდა სამსონი[11]. მოკლეს მიშა[12]. შენისთანა კეთილშობილი და ტკბილი მეგობარი ჩვენ ვინა გვყავდა. შენ ასე შორსა ხარ. მოგვიკვდა აკად. ს. ჯანაშია[13]. მოკვდა პროფ. გ. ნიკოლაძე[14], მოკვდა პროფ. ჯ. იოსელიანი[15].

---

8 ავტორს ალბათ ეშლება. აკაკი პაპავას ორივე სიძე – ლეონიდე ჭეიშვილი (1905-1990) და ალექსანდრე ჭეიშვილი (1905-1991) ჯერ დასავლეთ ევროპაში და მერე არგენტინაში ცხოვრობდა და არც ერთი მათგანი ემიგრაციაში წასვლის შემდეგ საქართველოში არ ყოფილა.

9 უნდა იგულისხმებოდეს ლიტერატორი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე ქრისტეფორე რაჭველიშვილი (1894-1937).

10 უნდა იგულისხმებოდეს მწერალი, პედაგოგი, ფოლკლორისტი და მოქანდაკე ვახტანგ კოტეტიშვილი (1893-1937).

11 იმის მიუხედავად, რომ ავტორი წერს, ციმბირში გარდაიცვალაო, უნდა იგულისხმებოდეს 1948 წელს ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი სამსონ ფირცხალავა (1872-1952), რომელიც ცნობათა ერთი წყებით (მაგ. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ენციკლოპედია-ლექსიკონი“, 2018) შუა აზიაში გადაასახლეს და იქვე გარდაიცვალა, ხოლო ცნობათა მეორე წყებით („საქართველოს დამფუძნებელი კრება“, 2016; ვიკიპედია) გარდაიცვალა თბილისის ციხეში.

12 შეიძლება იგულისხმებოდეს მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937).

13 აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია (1900-1947) – ისტორიკოსი.

14 პროფესორი გიორგი ნიკოლაძე (1888-1932) – მათემატიკოსი, მეტალურგი, მთამსვლელი, ტანმოვარჯიშე და სპორტის ორგანიზატორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთერთი დამფუძნებელი, ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) ერთადერთი ვაჟი.

15 ძნელი დასადგენია, ვის გულისხმობს ავტორი.

მე ისე დავმარტოვდი, მუშაობით რომ არ ვერთობოდე თავს მოვიკლავდი. ღამეებს ვათენებ და ამით ვიკლავ დარდს. როგორ მართალი ყოფილა ნიკო ბარათაშვილი[16]: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“. თურმე განვლილი ტანჯვა პერმანენტურ ზეგავლენას ახდენს ჩვენს სულზე.

ჩემს სიყმაწვილეში რამდენი მიტირია როცა ვკითხულობდი: ცოტნე დადიანს[17] მონღოლებმა თაფლი წაუსვეს და ბუზები აწუხებდნენო.

მე ხუთი წელი რეპრესირებული ვიყავი, ბაღლინჯოები და მკბენარები მჭამდნენ, დანარჩენ დროს სულ დახვრეტას ველოდი. მხოლოდ 1954 წელს ვეღირსე უშიშარ ცხოვრებას. უნდა ითქვას დიდი პატივისცემა დამიმოწმა ჩვენმა მთავრობამ და ხალხმაც. ხომ დიდი ბედნიერებაა დიდი სახელი მრავალრიცხოვანი ერის მწერლისა, იგი შემაწუხებელია მცირე რიცხვოვან ერის წრეში.

მე არ შემიძლია რესტორანში შესვლა, მომცვივდებიან და დამიწყებენ კოცნას. სადმე ღვინოს, ან თუთუნის ქარხანაში მინდა რაიმე ვაყიდინო ჩემს შოფერს, მუქთად მიგზავნიან ყველაფერს.

მე დავწერე ერთხელ და კიდევ ვიმეორებ: მე ჩემი სტილის, წერის მანერის მიხედვით ეგზომ დიდად პოპულარული არ უნდა ვყოფილიყავ სიცოცხლეში, მაგრამ იმ „კულტის ეპოქაში“ იმდენი მტანჯეს, იმდენს მებრძოლენ, მაკრიტიკეს, უცნაური პოპულარობა შემექნა როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და რუსეთში. შარშან ეშმიაძინში[18] წირვას დავესწარი. ნაწირევევს კათალიკოსმა[19] შუბლზე მაკოცა, მერმე დამესია ხალხი და ხელზე კოცნა დამიწყეს. საქართველოში მგზავრობის დროს რესტორანის დირექტორები ფულს არ მახდევინებენ.

ჩემი დიდოსტატი ითარგმნა ბენგალურად, სომხურად, რუმინულად, ჩეხურად, ლიტვაში გამოვიდა ჩემი „ვაზის ყვავილობა“. მოსკოვში ბრწყინვალე ილლუსტრაციებით გამოვიდა გუშინ ჩემი დიდოსტატი. არც ერთ ქართველ მწერსლა ჩემოდენა ტირაჟი არა ჰქონია, „ზარია ვოსტოკა“ პარალელურად სცემს ჩემს ექვს ტომეულს 40.000, ხოლო მოსკოვში 250.000 ბეჭდავს.

ასეა ჩემი საქმეები. ახლა შენსას მივუბრუნდეთ, მე მჯერა რომ შენ დიდი მწერლის ნიჭი გაქვს, ოღონდ ნუ დააყოვნებ. ამდენი იტანჯე, ამდენი ნახე, გამომიგზავნე შენი მოთხრობები, მე აქ ვიქნები მათი რედაქტორი.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი[20] და პ. ინგოროყვა[21] დამპირდნენ წიგნებს გავუგზავნითო. ამ დღეებში გიგზავნი დიდოსტატს ინგლისურად. სულ მალე მე შევუდგები თამარის ეპოქის პოეტიზირებას. ამისთვის მესაჭიროება ვილისი[22]. ვილისი მაჩუქა მე ამ ათი წლის წინად ა. მიქოიანმა, ახლა ხელახლა რომ ვთხოვო ფულს არ გამომართმევს. შენ თუ შესძელი ჩემი წიგნის იქ გამოქვეყნება, მინდობილობას გამოგიგზავნი, ჰონორარი აიღე და ერთი ვილი-

---

16 პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845).

17 ცოტნე დადიანი (XIII ს.) – ქართველო დიდგვაროვანი, უმეფობის ხანაში დასავლეთ საქართველოს გამგებელი, კოხტასთავის ანტიმონღოლური შეთქმულების (1245) მონაწილე.

18 ეჩმიაძინი (1945 წლამდე – ვაგარშაპატი) – ქალაქი სომხეთში, სადაც სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის საკათედრო ტაძარი მდებარეობს.

19 უნდა იგულისხმებოდეს ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I (1955-1994).

20 სიმონ ყაუხჩიშვილი (1995-1981) – ბიზანტიოლოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

21 პავლე ინგოროყვა (1893-1983) – ისტორიკოსი, რუსთველოლოგი, გამომცემელი; კონსტანტინე გამსახურდიას მეგობარი.

22 ვილისი (Willys MB) მაღალი გამავლობის მქონე ამერიკული სამხედრო ავტომობილი, რომლის სერიული წარმოება მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო.

სი მიყიდე და გამომიგზავნე. (ჩემი ვილისი დაბერდა და წყობიდან გამოვიდა). „ვოლგა“[23] ორი მაქვს, მაგრამ კავკასიის მთიანეთში ამ მანქანებით მგზავრობა შეუძლებელია. თუ ამ საქმიდან რამე გამოვიდა, სათადარიგო ნაწილებიც უნდა შემაძენინო.

შენი არ იყოს მეც დიდი ოჯახი მაქვს. 16 სულს ვარჩენ. ორი ძმა დამიღუპეს 37 წელს, ორი სიძე მომიკვდა, ძმისწული მომიკლეს, ამათ ყველას დღესაც ვპატრონობთ. მე და ჩემს ცოლს, მირანდას ორი სამი კოსტიუმის მეტი არაფერი გაგვაჩნია. ჩემი კოშკი ბაღიანად ერთი მილიონი დამიჯდა, კიდევ ბევრი რამ აკლია. ქვის პერანგი მინდა ჩავაცვა, თუ შევძელი. მთავრობას არ ვაწუხებ. იგი ამ უნიჭო მწერლების არმიას ვერ აუდის. ჩვენს კავშირში 450 „მწერალია“, ამდენ უნიჭოს რჩენას, მხოლოდ ჩვენი მთავრობა თუ გაუძლებდა. მალე გამოვაგზავნინებ თავიანთ ლექსებს: გ. ლეონიძეს, ი. აბაშიძეს, გ. აბაშიძეს, ა. კალანდაძეს, ი. ნონეშვილსა[24] და სხვათა.

შენ შეგიძლია დიდი საქმეები გააკეთო ჩვენი მწერლობის პოპულარიზებისათვის. სასიამოვნოა, თამარიც რომ თარგმნის. გამომიგზავნეთ რასაც გამოსცემთ თქვენი შრომებიდან. მე აქ ბიბლიოგრაფიებს დავწერ.

დიდოსტატი მარტო ინგლისურად და ფრანგულად ითარგმნა. რაკი ევროპასა და ამერიკასთან ჯერ კონვენცია არ არის, ჰონორარი არ მიმილია. მოკლე ხანში მე და მირანდა პარიზს ვაპირებთ ჩასვლას, შეიძლება იქ მომცენ ჰონორარი. თუ ეს მივიღე, ამას მე ჩვენი არხიტექტურის ძეგლების შესაკეთებლად მოვიხმარ. შენ მეკითხები ჩემს კოშკში ვინ ცხოვრობსო? ჩემი საყვარელი შვილიშვილი კონსტანტინე[25] – „კოკო“ 2 წლისა და 3 თვის ბიჭი. ჩემი ვაჟი ზვიადი[26] 24 წლისა, რძალი[27] 21 წლისა, დედა მისი – ჩემი მზახალი[28], ჩემი ქალი თამარი[29] და მისი ქმარი გურამი[30]. მეტად სტუმრიანი

---

23 „ვოლგა“ – იგულისხმება საშუალო კლასის საბჭოთა ავტომობილი ГАЗ-21, რომლის წარმოება გორკის ავტოქარხანამ 1956 წელს დაიწყო და რომელიც ყველაზე პრესტიჟული იყო საბჭოთა კავშირში და ცოტას თუ ჰყავდა კერძო მფლობელობაში.

24 გიორგი ლეონიძე (1900-1966), ირაკლი აბაშიძე (1909-1992), გრიგოლ აბაშიძე (1914-1994), ანა კალანდაძე (1924-2008), იოსებ ნონეშვილი (1918-1980) – 1960-იანი წლების დასაწყისში პოპულარული ქართველი პოეტები.

25 კონსტანტინე („კოკო“) გამსახურდია (დ. 1961) – აღმოსავლეთმცოდნე, დიპლომატი, პოლიტიკოსი, საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი, 2009-2011 წლებში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე, კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილი, ზვიად გამსახურდიას შვილი.

26 ზვიად გამსახურდია (1939-1993) – მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992), საქართველოს ეროვნული გმირი.

27 იგულისხმება დალი ლოლუა (1940-2008) – ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლე (1960-1973) – მუსიკოსი, ავტორი წიგნისა „13 წელი კოლხურ კოშკში“ (თბილისი, 2018), კონსტანტინე („კოკო“) გამსახურდიას დედა.

28 იგულისხმება დალი ლოლუას დედა, ქეთევან გამყრელიძე (1919-1992) – ბიოლოგი, ემიგრანტი ქართველი პოეტის გიორგი გამყრელიძის (1903-1975) უმცროსი და.

29 თამარ გამსახურდია (1937-1973) – კონსტანტინე გამსახურდიას უმცროსი ქალიშვილი, ზვიად გამსახურდიას და – ისტორიკოსი.

30 გურამ მინაშვილი (1936-2015) – კონსტანტინე გამსახურდიას სიძე, თამარ გამსახურდიას მეუღლე – კალათბურთელი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი (1960), მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1963), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1957, 1969, 1963) საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1961-62) თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში.

ოჯახი გვაქვს მე და ჩემს ცოლს. ორი მოსამსახურე და ერთი შოფერი ვერ აუდიან. ჩვენსას ჩამოდიან ევროპიდან, მოსკოვიდან, ერევნიდან, ინდოეთიდან მწერლები და მეცნიერები სტუმრად.

შენი ნაწერების გამო ჯერ ვერაფერს მოგწერ, რადგან აბაშელი[31], ფაღავა[32] მოკვდნენ. ახმეტელი[33] დაიღუპა 37 წელს. არც მიწიშვილია[34] ცოცხალი. შავები თუ გაქვს, გამომიგზავნე და ყოველივეს გავაკეთებ[35].

მე დამავიწყდა დიდი მადლობა მეთქვა, 29 წელს გამოგზავნილი დახმარებისათვის[36], მაშინ სადილის ფულიც არა მქონდა. აი ეს იყო ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო. ჩვენს ფოტოებს მალე გაახლებ. თქვენი, მთელი ოჯახისა გამოგვიგზავნე და ჩემს კაბინეტში გამოვფენ.

ფაშალიშვილსა[37] და გრიშაშვილს[38] სკლეროზი სჭირთ. ასე რომ მათგან ვერაფერს გაიგებს კაცი. ფაშალიშვილს შევეკითხები და მოგწერ.

არ დამავიწყდეს: ალ. წერეთელი[39] გაათავისუფლეს და კარგადაა.

და გარდაიცვალნენ: კ. კეკელიძე[40], ი. ჯავახიშვილი[41], ე. თაყაიშვილი[42],

---

31 იგულისხმება ალექსანდრე აბაშელი (ისაკ ჩოჩია, 1884-1954) – პოეტი, კონსტანტინე გამსახურდიას მეგობარი.

32 იგულისხმება აკაკი ფაღავა (1982-1967) – რეჟისორი, თბილისის თეატრალური სტუდიის და საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელი.

33 იგულისხმება სანდრო ახმეტელი (1986-1937) – რეჟისორი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

34 იგულისხმება ნიკოლო მიწიშვილი (ნიკოლოზ სირბილაძე, 1896-1937) – მწერალი, გამომცემელი.

35 შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკაკი პაპავამ თავისი გაფანტული ნაწერების მოძიებაში დამხმარეებად კონსტანტინე გამსახურდიას აქ ჩამოთვლილი ოთხი პიროვნება დაუსახელა.

36 1929 წელს აკაკი პაპავა მეუღლესთან და შვილებთან ერთად უკვე გერმანიაში ცხოვრობდა.

37 იგულისხმება სიკო ფაშალიშვილი (1894-1970) – პოეტი, სატირიკოსი, კინოფილმ „ქეთო და კოტეს“ ავტორი.

38 იოსებ გრიშაშვილი (მამულაშვილი, 1889-1965) – საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი. 20-იან წლებში მიმოწერა ჰქონდა აკაკი პაპავასთან (იხ. გაზ. „სამშობლო“ № 31, ოქტომბერი, 2001).

39 იგულისხმება ალექსანდრე (ალიოშა) წერეთელი (1889-1967) – მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი; იყო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო წევრი, 1917-1919 წლებში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხელს აწერს საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტს. 1919-1921 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის ამხანაგი (მოადგილე); 1935-1955 წლებში გადასახლებული იყო შუა აზიაში.

40 კორნელი კეკელიძე (1879-1962) – სასულიერო მოღვაწე, ფილოლოგი და თეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

41 ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) – ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი წევრი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

42 ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953) – ისტორიკოსი, არქეოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე), 1921-1945 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის მცველი, რის გამოც კონსტანტინე გამსახურდიამ „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა; 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შეარაცხა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელით. 2013 წელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება.

კ. ჭიჭინაძე[43], შ. დადიანი[44], გ. ტაბიძე[45], გ. ქიქოძე[46]. ლ. ქიაჩელი[47] ავადაა და გარედ არ გამოდის.

შენმა ბარათმა ყველანი გაგვახარა. ჩვენებს წაკითხული აქვთ შენი „სოლეალდორი“. ჩემი ზვიადი ინგლისურში დასპეცდა. (თარგმნა ო. ვუალდის[48] ნოველები. რამდენიმე ინგლისელი და ამერიკელი პოეტი. მე ვთარგმნე ამას წინად ჰამლეტის I აქტი, იმასაც გაახლებ.

ასე მიდის ჩემი ცხოვრება რომაელები რომ იტყოდნენ: in orare et laborare[49]. სიბერეს ჯერ არა ვგრძნობ. გული და წნევა ჯერაც ჭაბუკური მაქვს. ვნადირობ. ცხენოსნობას ვეწევი. მალე მე და ჩემი ბიჭი დათვზე სანადიროდ წავალთ.

P.S.

ფაშალიშვილი სოფელში წასულა. როგორც კი გამოჩნდება, ყოველივეს დავაზუსტებ და გაცნობებ.

დიდი სალამი და ხელზე კოცნა ჩემს დობილს თამარს, მთელი ოჯახი გკოცნით შენ და გისურვებთ წარმატებასა და ბედნიერებას. მალე მიპასუხე.

გკოცნის შენი კონსტანტინე გამსახურდია

ტფილისი, 1964, 4, III
კოლხური კოშკი
ჩვენო საყვარელო მეგობრებო თამარ და აკაკი!

ჩვენ ჭეშმარიტად დამნაშავენი ვართ თქვენს წინაშე, რომ აქამდის ვერ გიპასუხეთ თქვენს უკანასკნელ წერილზე, მაგრამ მე ნადირობის დროს გავცივდი, წერილი დავწერე ბარე ორჯერ, მაგრამ არ მომეწონა. მოგეხსენებათ პირადი ბარათის წერა არაა ადვილი, რა თქმა უნდა, თუ იგი გულისხმიერად არაა დაწერილი. ასეთი რამ ძლიერ ემარჯვებოდათ მე XVIII და მე XIX საუკუნეთა მწერლებს. ამ დღეებში მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი საახალწლო საჩუქარი – მშვენიერი ბლოკნოტი. ამ რამდენიმე თვის წინად მივიღეთ თქვენი ფოტოსურათი, იგი გამოვფინე ჩემი ბიბლიოთეკის სტენდზე. გიგზავნით ჩვენს ფოტოსურათს. იგი გადაღებულია ჩემს სამუშავო ოთახში. მარცხნიდან პირველი, გახლავთ ჩემი მეუღლის მირანდას მამიდა ოლგა[50], რომელიც ამას წინად გარდაგვეცვალა, ჩვე-

43 კონსტანტინე ჭიჭინაძე (1891-1960) – პოეტი, მთარგმნელი, მკვლევარი, რუსთველოლოგი.
44 შალვა დადიანი (1874-1959) – მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი.
45 გალაკტიონ ტაბიძე (1891/92-1959) – საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი.
46 გერონტი ქიქოძე (1888-1960) – მთარგმნელი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი კომიტეტის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.
47 ლეო ქიაჩელი (შენგელაია, 1884-1963) – მწერალი და საზოგადო მოღვაწე.
48 იგულისხმება ინგლისელი მწერალი ოსკარ უაილდი (1854-1900).
49 In orare et laborare (ლათ.) – ლოცვითა და შრომით.
50 ოლგა ფალავანდიშვილი (გარდ. 1963) – კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლის მამიდა.

ნი შვილების აღმზრდელი და ჩვენი ოჯახის მეგობარი, შემდეგი ჩემი ერთადერთი ვაჟია – ზვიადი, შემდეგ მე, ჩემს გვერდით, ჩემი მეუღლე – მირანდა, შემდეგ – ჩემი ძმისწული, ჩვენს მიერ აღზრდილი სვიმონი[51], ბოლოს ჩემი ქალი – თამარი. აქვე გიგზავნით ჩვენი ოჯახის კერპს, პატარა კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც თავის თავს დაარქვა „კოკო“.

გიგზავნით რამდენსამე წიგნს.

გულახდილად მოგახსენოთ, მე ისე დაქანცული ვარ, მეშინია ეს პირადი ბარათი არ გამოვიდეს თქვენი საკადრისი. ამ წლების მანძილზე გამოვიდა ექვსი ტომი ჩემი რჩეული ნაწერებისა ქართულად, სამი – რუსულად, დიდოსტატი როგორც გწერდი ფრანგულად და ინგლისურად. იგივე რომანი გამოქვეყნდა სომხურად, ჩემი რომანი „ვაზის ყვავილობა“ – ლიტვურად, დიდოსტატი გამოქვეყნდა რუმინულად, მზადდება ჩეხური გამოცემა. ინგლისურად ითარგმნა და მალე გამოქვეყნდება ჩემი დიდი ნოველლა „ხოგაის მინდია“, იგივე ნოველლა ითარგმნა ფრანგულად. ეს უკანასკნელი ჩემი ქმნილებები თუ დაგაინტერესებს, ეგებ გამოაქვეყნოდ გინდ ბრაზილიაში[52], გინდ ჩ. ამერიკაში.

ჩემი პირადი მდგომარეობა ალბათ გაინტერესებს და იგი ასეთია. 1944 წელს მე ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ჩვენი ხელისუფლება ყურადღებით მექცევა. ვამზადებ მე VII და მე VIII ტომს ქართულად, რუსულად გამოვა ამ ორი წლის მანძილზე IV და V, VI ტომები. მცირე ხანს ზღვაზე დავისვენებ და შევუდგები დიდი რომან-ეპოპეის წერას, იგი ეხება გიორგი III და თამარის საქართველოს. თუ ჯანმრთელობამ არ მიღალატა, ვაპირებ ანტიური ეპოქის კოლხეთის შესახებაც დავწერო.

შესაძლოა ამ ზაფხულში ევროპაში წამოვიდეთ მე და ჩემი მეუღლე და ჩვენი ოცნებაა არგენტინაშიაც ჩავიდეთ და თქვენ გინახულოთ.

აკაკი! შენ მწერდი შენი ნაწერების გამო. ქრისტეფორე 1937 წელს დაიღუპა, სიკო ფაშალიშვილს ვკითხე, მაგრამ მას და გრიშაშვილს ისეთი მძიმე სკლეროზი სჭირთ, მათგან ადამიანი ვერაფერს გაიგებს. საერთოდ თუ რაიმეს გამოქვეყნება გინდათ ქართულად, გამომიგზავნეთ და მე ყოველივე ზომას ვიხმარ. საერთოდ ახლა როგორც ვიცით, გაიოლებულია უცხოეთში მყოფ ქართველთათვის სამშობლოში ჩამოსვლა, ეგებ სცადოთ და ტურისტული საშვებით ჩამოხვიდეთ, აქ ჩვენ დაგიხვდებით მასპინძლებად.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ძლიერ კარგი პირობებია. ეგრედ წოდებული „კულტის“ დროინდელი ამბები მოისპო, ვმუშაობთ, ხელისუფლება ყოველნაირად ხელს გვიწყობს. ემიგრაციიდან დაბრუნებულთა შორის მრავალი უნივერსიტეტსა და უმაღლეს ინსტიტუტებში მუშაობს. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს თუ როგორ გენატრებათ ჩვენი ქვეყნის ნახვა, ტფილისსა და სხვა ჩვენს ქალაქებს ვეღარც იცნობთ.

გადიდდა ჩვენი გამომცემლობების საქმე. ჩემი რომანები იბეჭდება ასი ათასობით, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების სხვა და სხვა ენებზე, ამ წლებში მილიონზე მეტი ცალი დაიბეჭდა.

---

51 სვიმონ გამსახურდია (1929-2006) – საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

52 აქ ალბათ არგენტინა იგულისხმება (როგორც ჩანს, კ. გამსახურდია ამ წერილს მართლა გადაღლილი წერს).

ასე და ამ გვარად ვცხოვრობთ და ვშრომობთ. ერთ-ერთი მიზეზი გულის წუხილისა ესაა საუკეთესო მეგობრები დამელუპენ. რა სიხარული იქნება ჩემთვის, ერთ ორ კვირას შენთან ვისტუმრო, ან შენ და თამარი გვეწვიოთ.

გიძღვნით სალამს.

თქვენი ერთგული ძმა და მთელი ჩემი ოჯახი.

კონსტანტინე გამსახურდია

P.S. გიგზავნით რამდენსამე წიგნს.

[სხვა კალიგრაფიით] ძვირფასო მეგობრებო ბატონო აკაკი და ქ-ნო თამარ! გიგზავნით ჩვენი ბაღის სურნელებას, ბედნიერი ვიქნები თუ გაგიცნობთ – თუმცა დიდი მანძილი გვაშორებს!! დიდი სიყვარულით დამიკოცნეთ თქვენი ოჯახის ყოველი წევრი. თქვენი მირანდა გამსახურდია.

ტფილისი, 1964, 6, VI

გალის ქ. №13

ტელეფონი 3.25.39.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო

თამარ და აკაკი! დღეს მივიღეთ თქვენი წერილი. ხვალ ქალაქიდან მივდივარ და ამიტომ გწერთ მოკლედ. მაინტერესებს რამდენ დღეში მოგივა ეს ბარათი. მიღებისთანავე მიპასუხეთ. ვამზადებთ ამანათს თქვენთვის, გვაინტერესებს ამიტომაც.

ჩვენთან ყოველივე უცვლელადაა. აგარაკს ვიშენებთ ბიჭვინთაში და ამან დიდძალი დრო წაიღო. ახლა შევუდგები გიორგი III-ს და თუ ჯანმა არ მიღალატა, ალბათ ერთ წელს დავასრულებ. ეს ბარათი ვერაა ისე ბრწყინვალე როგორც თქვენი, მაგრამ ვეცდები შემდეგი უფრო გულისხმიერი მოგწეროთ.

გკოცნით ორივეს

მირანდა და კონსტანტინე

გამსახურდია

P.S. ველით პასუხს.

კ· გ·

ტფილისი, 1964, 14, VI[53]
გალის ქ. №13
ძვირფასო დაო თამარ!

ჩვენ შეგვზარა იმ საშინელმა დეპეშამ, რომელიც ამ ათიოდე დღის წინად მივიღეთ. ჩვენ ეს არ გვჯეროდა და ავიოთი გამოგიგზავნეთ წერილი.

განუზომელად დამწუხრებული ვართ, გვიპასუხეთ, რა მოხდა და როგორ დაიღუპა ჩვენი ძვირფასი აკაკი? სიტყვა არა გვყოფნის ამ მწუხარების გამოსახატავად.

გევედრებით, გვიპასუხეთ.

გკოცნით და-ძმური სიყვარულით

კონსტანტინე

და

მირანდა გამსახურდია.

Konstantine Gamsakhurdia's letters to Tamar and Akaki Papava

Prepared for printing, introduction, and notes attached by PAATA NATSVLISHVILI

Summary

The letters of the Georgian classic writer Konstantine Gamsakhurdia were sent from Georgia to Argentina in 1963-1964 to his compatriots Akaki and Tamar Papava living there. These famous writers and a founding couple of the Georgian community in Argentina were actively involved in the political, social, or cultural life of Georgian emigrants scattered in different countries.

In the letters of Konstantine Gamsakhurdia, a researcher of the history of Georgian emigration and Georgian literature, in general, will notice many interesting and characteristic moments, and numerous visible manifestations of the epoch.

The letters are accompanied by the publisher's introductory essay and notable explanations.

53 უნდა იყოს VII. აკაკი პაპავა 24 ივნისს გარდაიცვალა.

ქართული ემიგრაციის ისტორია კარგა ხანია იქცა საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილად. ბოლო 30-35 წლის განმავლობასი ამ დარგს საკუთარი პროფესიონალი მკვლევრებიც გაუჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი დიდი არ არის, მაინც ბევრი რამ მოესწრო და გაკეთდა: დაცულია სადისერტაციო ნაშრომები, გამოქვეყნდა მონოგრაფიები თუ სხვა პუბლიკაციები. საქართველოს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ისწავლება საგანი „ქართული ემიგრაციის ისტორია“, თუმცა ახალგაზრდა ისტორიკოსები ამ თემატიკით ჯერაც ნაკლებად ინტერესდებიან.

ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ ავტორთა წრის გაფართოებისა და მომავალ მკვლევართა მორალური სტიმულირების მიზნით, სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა, გახსნას რუბრიკა „სტუდენტური დებიუტი“. იგი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ, შესაბამისი პროფილის საუკეთესო მოხსენებებს და ასევე, ახალგაზრდა მეცნიერთა გამოუქვეყნებელ სტატიებს დაეთმობა.

წინამდებარე ნომერში ვბეჭდავთ ოთხ ასეთ მასალას. მათი ავტორები ლიკა ბუჩუნტელი, ლუკა ლოლუა, სალომე საცერაძე და თეკლე ჩხაიძე „გურული დღიურების“ ფონდის მიერ დაწესებული გურამ შარაძის სახელობის სტიპენდიანტები არიან.

სალომე საცერაძე

სიდამონ-ერისთავების ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ბოლშევიკური ოკუპაციისა და ქვეყანაში შექმნილი საბჭოთა რეჟიმის გამო საქართველო ემიგრაციის პირველმა დიდმა ტალღამ დატოვა. მათ რიცხვს მიეკუთვნება სიმონ სიდამონ-ერისთავი და მისი ოჯახიც. სიმონ სიდამონ-ერისთავი ქართულ საზოგადოებას ქართული ემიგრაციის ცნობილმა მკვლევარმა გურამ შარაძემ გააცნო გივი კობახიძის წერილის – „ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში“ მიმოხილვისას,[1] მისი ვაჟის კონსტანტინეს შესახებ კი სტატია რუსულდან დაუშვილმა გამოაქვეყნა.[2]

სიმონი იყო ნიუ-იორკში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მისი თაოსნობით დაარსდა დასასვენებელი სახლი „ალავერდი“ – ქართველი და კავკასიელი ემიგრანტების თავშეყრის ადგილი.[3] ამას გარდა, სიდამონ-ერისთავების ოჯახს დიდი წვლილი მიუძღვის როგორც ამერიკელების, ასევე ქართველების დახმარების საქმეში.[4]

სიმონს 3 შვილი ჰყავდა, თუმცა განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ვაჟის, კონსტანტინეს მოღვაწეობა, რომელმაც უამრავ ქართველსა და ამერიკელს თავი ბევრ სფეროში საქმიანობით დაამახსოვრა. კონსტანტინე (კონი) სიდამონ-ერისთავი დაიბადა 1930 წელს მანჰეტენზე, სწავლობდა მილბრუკის სკოლაში, დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტი სამთო ინჟინრის პროფესიით. იმსახურა არმიაში, მონაწილეობა მიიღო კორეის ომში და სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. პრეზიდენტი კენედის მკვლელობის შემდეგ, გადაწყვიტა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა და რესპუბლიკურ პარტიას შეუერთდა. ნიუ-იორკის მერის 1965 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა გაიმარჯვა, რომლის წინასაარჩევნო კამპანიას სწორედ კონსტანტინე ხელმძღვანელობდა. მერმა გამარჯვების შემდეგ კი საავტომობილო მიმოსვლის დარგში კონი თანაშემწედ დანიშნა.

ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის შთამომავალმა გზა გაიკვალა ამერიკულ პოლიტიკაში და ნიუ-იორკის მერის თანაშემწიდან ნიუ-იორკის სატრანსპორტო გაერთიანების თავმჯდომარე გახდა. იყო ამავე ორგანიზაციის უძრავი ქონების კომიტეტის თავმჯდომარეც.[5] პოლიტიკურთან ერთად, ეწეოდა იურიდიულ საქმი-

---

1 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, 1993, გვ. 225-307.

2 რ. დაუშვილი, კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი, რეიგანის ადმინისტრაციის მხარდამჭერი – რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა, თსუ, 2005, გვ. 44-48.

3 კ. ინასარიძე, „ალავერდი“ – კავკასიელთა დასასვენებელი სახლი ნიუ-იორკთან, ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში, კრ. III, მიუნხენი, 1977, გვ. 32-35.

4 რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბ. 2014, გვ. 181-183.

5 მ. გაბრიჭიძე, კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი – ნიუ-იორკის ყოფილი ვიცე მერი https://www.kvirispalitra.ge/2011-03-31-07-00-04/11282-konstantine-sidamon-eristhavi-niu-iorkis-yofili-vice-meri.html მოძიებულია 19.12. 2020.

ანობასაც. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნების მიმართ მისი დამოკიდებულება იყო. კონის ბუნების დაცვითი პროგრამები აკონტროლებდა ჰაერისა და წყლის დაბინძურებას, სამრეწველო ნარჩენებს, ტოქსიკურ ნივთიერებებს, პესტიციდებს, ოკეანის დაბინძურებას, საშიშ ნარჩენებს. იმის მიუხედავად, რომ მისი ცხოვრება ამერიკული საქმიანობით იყო დატვირთული, ის ქართულ ადათებს არ ივიწყებდა და ქართული სათვისტომოს ღონისძიებებს ყოველთვის ესწრებოდა და ხშირად ჩოხაში გამოწყობილიც კი. ამერიკელი საზოგადოებისთვის საქართველოს გასაცნობად, დააარსა ჰუმნიტარული ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“, რომელიც დღესაც დიდ დახმარებას უწევს ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას. მანვე დააფუძნა „საქართველოს მეგობართა ფონდი“, რომლის აღმასრულებელ დირექტორად პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი მარუსია ჭავჭავაძე დანიშნა. ფონდის მიზანი იყო დახმარებოდა ძეგვის ბავშვთა სახლს, ონკოლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილებას.

კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი დაქორწინებული იყო ენ პიპსზე, რომელთანაც 3 შვილი – სიმონი (საიმონი), ენდრიუ და ელიზაბეთი შეეძინა. 2012 წელს კონტანტინე 81 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია ნიუ-იორკში.[6]

ჩემთვის ძალიან საყურადღებო აღმოჩნდა საქართველოს, ქართველებისა და ამერიკელების მოყვარული და მათთვის პატივსაცემი პიროვნების ოჯახი, საინტერესოა, რამდენად ინარჩუნებდნენ ამ ოჯახის წევრები საქართველოსადმი სიყვარულს კონსტანტინეს სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ. ფონდმა 2019 წელს ნიუ-იორკში ამერიკის უკრაინულ ინსტიტუტში საგაზაფხულო მიღება გამართა, სადაც საქართველოში განხორციელებული პროექტები შეაჯამეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მარუსია ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ ფონდმა შეძლო საქართველოში დახმარებოდა იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ნამდვილად სჭირდებოდათ. ამ საქმიანობას აგრძელებენ და კვლავაც გააგრძელებენ. „საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ აღმასრულებელმა დირექტორმა ლენა კილაძის სიტყვებით, საჭიროა საქართველოში ფილანტროპის კონცეფციის გაცოცხლება, რასაც ეს ორგანიზაცია ემსახურება. მიღებაზე „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტთან საიმონ სიდამონ-ერისთავმა ორგანიზაციის შექმნის მიზნებზეც ისაუბრა, რომ მას სურდა დახმარებოდა ქართველ ხალხს. მან სრული მზადყოფნა გამოთქვა, კიდევ მეტი ადამიანის დამხრებისთვის და სიამაყით განაცხადა, რომ ამ საქმეს საფუძველი მამამისმა ჩაუყარა. კონსტანტინეს ძველმა მეგობარმაც შენიშნა, რომ ეს არაჩვეულებრივი საქმეა და ისინი უნდა დაეხმარონ ბავშვებს საქართველოში.[7]

კონსტანტინეს მეუღლე ენ პიპსი, როგორც ქართველის მეუღლე, ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ ზეიმებზე ქმარს ყოველთვის თან ახლდა. ენ პიპსი ენდრიუ კარნეგის პარტნიორის, ჰენრი პიპსის შვილიშვილია. ის არის ნიუ-იორკში არსებული ბუნების ისტორიის ამერიკული მუზეუმის საბჭოს წევრი. აქტიურადაა ჩართული WORLD WILD LIFE პროგრამაში. თავიდან მას „მსოფლიოს ველური ბუნების ფონდი“ ერქვა, რაც დღემდე ოფიციალურ სახე-

6 Bruce Weber Constantine Sidamon-Eristoff, Environmental Advocate, Dies at 81 https://www.nytimes.com/2011/12/30/nyregion/constantine-sidamon-eristoff-environmental-advocate-dies-at-81.html?_r=1&src=tp&smid=fb-share მოძიებულია 5.12. 2020

7 Kalbian & Hagerty LLP https://kalbianhagerty.com/team/simon-sidamon-eristoff/ მოძიებულია 5.12. 2020

ლად რჩება აშშ-სა და კანადაში. იმოგზაურა ბრაზილიაში, ბოლივიაში, კოლუმბიაში, ტაილანდში, ეკვადორში, გვატემალაში, სამხრეთ აფრიკაში, ანტარქტიდასა და ალასკაზე. 2014 წელს სამხრეთ აფრიკაში იმოგზაურა შვილიშვილთან – საიმონის ქალიშვილ ლიზისთან ერთად. სოციალურ ქსელში ლიზის თავის გვერდზე ენის არა ერთი ფოტო აქვს ატვირთული. ბლოგზე დეტალურად მიმოიხილავს მათ მოგზაურობას და საუბრობს ბებიაზე, – როგორ გრძნობს ის თავს მოგზაურობაში.

კოსტანტინესა და ენის 3 შვილიდან უფროსმა საიმონმა პრინსტონის უნივერსიტეტისა და კოლუმბიის სამართლის სკოლის დამთავრების შემდეგ კარიერა დაიწყო უძრავი ქონების საკითხებში ნიუ-იორკის იურიდიულ ფირმაში Lord, Day & Lord-სა და Coudert Brothers. უფროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში მოღვაწეობდა როგორც ენერგეტიკის მინისტრის სპეციალური თანაშემწე ენერგიის დაზოგვისა და განახლების საკითხში. ის ასევე იყო გენერალური მრჩეველი American Farmland Trust-ში და პერსონალის ადვოკატი Trust for Public Land and Rails-to-Trails Conservancy. ახლა საიმონი ვაშინგტონში გარემოს დაცვით სფეროში ადვოკატია. ის აღიარებული ექსპერტია მიწის კონსერვაციის, ასევე მიწებისა და უძრავი ქონების ტრანზაქციების საკითხებში. იყო მსოფლიო ოკეანეების დაცვა-განახლების საერთაშორისო ორგანიზაცია „ოკიანას“ დირექტორატის საბჭოს მდივანი, შემდეგ კი – თავმჯდომარე.[8] საქართველოსადმი სიყვარული მამამ საიმონსაც ჩაუნერგა, სწორედ ორგანიზაციის „საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ საშუალებით. საიმონმა კარგად იცის ორგანიზაციის დანიშნულება, მიზნები. მამის სიკვდილის შემდეგ მან მზაობა გამოთქვა ამ საქმიანობის გასაგრძელებლად. ამერიკაში დაბადებული ქართველი გენის მატარებელი ბიჭი მამასთან ერთად საქართველოში იყო, მოინახულა წინაპრების სასახლე ანანურში და საქართველოზე მოგონებებით დაუბრუნდა მეორე სამშობლოს. საიმონი მამაზე საუბრისას ამბობს, რომ კონი ოჯახშიც განსაკუთრებული ტაქტითა და სითბოთი გამოირჩეოდა: „მამა საკუთარ რჩევას არასოდეს გვახვევდა თავს, თუმცა დახმარებისთვის ყოველთვის მზად იყო. შვილები რომ მეყოლა, მხოლოდ იმის შემდეგ მივხვდი, თუ რა ძნელია რჩევის მიცემისგან თავის შეკავება“.[9]

კონსტანტინე ამბობდა, რომ „რჩევას ყველაზე უფრო მაშინ ითვალისწინებ, როცა თვითონ ითხოვ დახმარებას“. საიმონს 3 შვილი ჰყავს – ლიზი, კატრინა და სუზანა. გოგონები ასევე ჩართული არიან „საქართველოს მეგობართა ფონდის“ საქმიანობაში. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო ლიზი, როცა საქართველოში ჩამოვიდა, ზაფხული გაატარა და ბავშვთა სახლში რამდენიმე თვე მოხალისედ იმუშავა. ლიზი ჩართულია WORL WILD LIFE-ის პროგრამაში და მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო.[10]

ძალიან საინტერესო და ყურადსაღებია კონსტანტინეს მეორე ვაჟის ენდრიუს პიროვნება, რომელსაც მამისგან რესპუბლიკური პარტიისადმი სიყვარული და პატივისცემა ერგო და განსაზღვრა კიდეც მისი საქმიანობა. ენდრიუ ამბობს, რომ მამის დამსახურებით, ბავშვობიდანვე მაღალ თანამდებობებზე მყოფი ხალხი გაიცნო და სწორედ იმ დროიდან იცოდა, რომ მთავრობის წევ-

8 ამერიკის ხმა https://tv25.ge/news.php?lang=ge&id=12563 მოძიებულია 10. 12. 2020

9 Elisabeth “Elise” Sidamon-Eristoff blog http://esidamoneristoff.blogspot.com/

10 იქვე.

რი უნდა გამხდარიყო, თუმცა ეს მხოლოდ მაშინ დაამტკიცა, როცა უშუალოდ ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. ენდრიუ, დაიბადა 1963 წელს, დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტი და ჯორჯთაუნის სამართლის ცენტრში მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი. ენდრიუ 1993-1999 წლებში არჩეული იყო ნიუ-იორკის საკრებულოს წევრად, სამჯერ – მანჰეტენის აღმოსავლეთ ნაწილის წარმომადგენლად. თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებს. მან წარადგინა ისეთი კანონპროექტები, როგორებიცაა „ტაქსის მძღოლების უფლებები“ და ასევე კანონი ბანკომატებთან ახლოს ფულის თხოვნის აკრძალვაზე. ენდრიუ გახდა საბჭოს წამყვანი ექსპერტი ტექნოლოგიების საკითხში და მალევე სამუშაო ჯგუფის პირველ რესპუბლიკელ თავმჯდომარედ აირჩიეს. 1999 წელს ნიუ-იორკის მერის, რუდი ჯულიანის მმართველობის დროს, ენდრიუ ნიუ-იორკის ფინანსთა კომისიის წევრი იყო და იმსახურა 2002 წლამდე. იმ პერიოდში მისი მოღვაწეობა გამოირჩეოდა მენეჯმენტის სტატეგიული დაგეგმვით, ტექნოლოგიების და ხარჯების შემცირებით, ასევე გააუმჯობესა მომსახურების სფერო. 2002 წელს გუბრენატორმა ჯორჯ პატაკმა ენდრიუ დანიშნა ნიუ-იორკის საგადასახადო და ფინანსთა დეპარტამენტის წარმომადგენლად, ასევე სახელმწიფო შემოსავლის ადმინისტრაციის აღმასრულებელ დირექტორად, ყოველწლიურ სახელმწიფო და ადგილობრივ შემოსავლებზე პასუხისმგებლად. 2010 წელს ნიუ ჯერსის გუბერნატორმა კრის კრისტიმ წარადგინა სახელმწიფო ხაზინადრად და კარგადაც ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. მან დიდი წვლილი შეიტანა საპენსიო და ჯანმრთელობის შეღავათების რეფორმების შემუშავებაში, ასევე მეთვალყურეობდა ფინანსური მენეჯმენტის რეფორმებს. ენდრიუ საინტერესო ადამიანია და მას ამერიკელები უწოდებენ „რესპუბლიკელს, რომელიც გისმენს“.

ოჯახზე საუბრისას ენდრიუ აღნიშნავს, რომ ის ისეთ ოჯახში გაიზარდა, სადაც საზოგადოებრივი საქმეები უმნიშვნელოვანესად ითვლებოდა და თუ კი ვინმეს აქვს დრო ამისთვის, უნდა დაუთმოს კიდეც. ენდრიუს ჰყავს მეუღლე კეტრინი, რომელსაც 1994 წელს შეხვდა ნიუ-იორკში. კეტრინმა დაამთავრა დიუკის უნივერსიტეტი, მუშაობდა კერძო მომხმარებლების მომსახურების ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტად Morgan Stanley & Company-ში. 32 წლის იყო როდესაც იქორწინა ენდრიუზე. კეტრინი ახლა მოხალისედ მუშაობს პენსიონრების დასახმარებლად. მათ ჰყავთ 3 შვილი, ორი ვაჟი – ჯორჯი (გიორგი) და ენდრიუ, რომლებიც სწავლობენ კონეკტიკუტის სკოლაში და გოგონა ანა, რომელიც კოლეჯში სწავლობს.

მამაზე საუბრისას ენდრიუ აღნიშნავს: „ის იყო მოქალაქე, რომელიც მნიშვნელოვნად იყო ჩართული მრავალ კომიტეტსა და კომისიაში, მე გავიზარდე მასთან საუბარში ამ საკითხებზე. ის არ იყო ეზოში მოთამაშე კაცი, მაგრამ თუ გსურდათ გესაუბრათ სახელმწიფო ადმინისტრაციაზე ან პოლიტიკაზე, ეს სფერო მისთვის ღია იყო, თავად კი ფანტასტიკური მსმენელი“.[11]

რაც შეეხება კონსტანტინეს ქალიშვილ ელიზაბეთს, – მან ძმებისგან სრულად განსხვავებული გზა აირჩია: დაამთავრა იელის უნივერსიტეტი, ასევე,

11 D. Richard Smith Andrew Sidamon-Eristoff: a reasonable Republican who really listens -https://communitynews.org/2016/12/27/andrew-sidamon-eristoff-a-reasonable-republican-who-really-listens/ მოძიებულია 28.11. 2020

სკოუჰეგანის ხელოვნების სკოლა, სადაც შეისწავლა მხატვრობა და შემოქმედებით გზას დაადგა. ელიზაბეთი მხატვარია. თუმცა ისიც აქტიურად მონაწილეობს ბუნების დაცვაში – არის იელის უნივერსიტეტის ბიოკონსერვაციის საბჭოს წევრი. ხატვით კი ბავშვობიდანვე ყოფილა გატაცებული. 1991 წელს ჩამოვიდა საქართველოში და ბევრი რამ ნახა. მოინახულა ხევსურეთი და სვანეთი. 25 მაისს თბილისში, მხატვრის სახლში გაიხსნა ელიზაბეთისა და ამერიკელი მხატვრის ჯონ დელაპის გამოფენა. მისი მეუღლე ჰანტერ ლუისია – ცნობილი ფილოსოფიურ და ეკონომიკურ საკითხებზე დაწერილი წიგნების ავტორი.

შეიძლება ითქვას, რომ ერისთავებმა მამისგან მემკვიდრეობით პროფესია, ინტერესები, ბუნებისა და სპორტისადმი სიყვარული მიიღეს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საიმონს საქართველოს შესახებ ბევრად მეტი ისტორია აქვს მოსმენილი. მან იცის, რომ მისი სამშობლო არის საქართველო და ცდილობს, მამამისის მიერ შექმნილი ორგანიზაციით საქართველოსთან კავშირიც შეინარჩუნოს.

კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი ქართული საზოგადოებისთვის პატივსაცემი პიროვნებაა, ის იყო ემიგრანტი, რომელმაც საქართველო არ დაივიწყა, ეხმარებოდა ქართველებს, ესწრებოდა ქართულ ღონისძიებებს. მან შექმნა ქართული ოჯახი ამერიკაში. მასზე საუბრისას ამერიკელები ამბობენ: „მხოლოდ რამდენიმე ადამიანია საყოველთაოდ ისე აღიარებული და პატივცემული, როგორც კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი. ჰკითხეთ ყველას, ვინც იცნობდა მას და სავარაუდოდ პირველი, რასაც კონიზე იტყვიან არის ის, რომ ის ნამდვილი ჯენტლმენი იყო. ასევე მოისმენთ საუბარს მის ერთგულებაზე ბუნებისადმი, მის გარემოს დაცვით ხელმძღვანელობაზე, მის ინტეგრაციასა და საჯარო სამსახურში ხანგრძლივ მუშაობაზე მთავრობასა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მაგრამ უფრო მეტად საუბრობენ მის წესიერებსა და თავაზიანობაზე“.[12]

ძალიან მნიშვნელოვანია სიდამონ-ერისთავების ოჯახის ქართული საზოგადოებისთვის გაცნობა და პოპულარიზაცია, – ოჯახისა, რომელიც საქართველოსგან მოშორებით ემიგრაციაში ცხოვრობდა, არასდროს ივიწყებდა ქართულ ტრადიციებსა და ადათ-წესებს. ამერიკელი საზოგადოებისთვის საქართველოს გასაცნობად, დააარსა ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“ და „საქართველოს მეგობართა ფონდი“, რომელიც დღესაც დახმარებას უწევს ძეგვის ბავშვთა სახლს, თბილისის ფერისცვალების მონასტერთან არსებულ მიუსაფარ ბავშვთა სახლს, ონკოლოგიური ცენტრის ბავშვთა განყოფილებას. ფონდი ბევრ ბავშვს დაეხმარა და ამას მომავალშიც გააგრძელებს. კონსტანტინეს შვილები დღესაც განაგრძობენ მამის დაწყებულ საქმიანობას და ხელს უწყობენ მის მიერ დაარსებულ ორგანიზაციას.

12 https://www.georgianjournal.ge/discover-georgia/30008-constantine-sidamon-eristavi-new-yorks-georgian-high-official.html მოძიებულია 29. 11. 2020

SALOME SATSERADZE

The Sidamon-Eristoff family in the United States

Summary

The article discusses the family of Simon Sidamon-Eristoff, one of the prominent representatives of Georgian emigration. The activities and family of Simon's son – Constantine (Connie) Sidamon-Eristoff are reviewed. Constantine was an important political figure in America, a successful lawyer and defender of nature. He did not forget his love and respect for Georgia and constantly expressed it during his visits to the celebrations held by the Georgian community. He founded the humanitarian organization "American Friends of Georgia", which still enjoys great support in both American and Georgian society. Also, the "Friends of Georgia Foundation" founded by him under the leadership of Marusia Chavchavadze provides great assistance to the children's department of the Oncology Center and the Dzegvi Orphanage. His children Henry, Simon and Elizabeth do not forget the activities started by his grandfather and father. Relations with Georgia are very important for them. The Sidamon-Eristoff family has made a great contribution to helping both Georgians and Americans. With their support, Georgia has gained and continues to gain new friends and supporters throughout America.

ლიკა გუჩუნტელი

ვასილ დუმბაძე

საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები დღეს საერთო ღირებულებებსა და ინტერესებზე დამყარებულ სტრატეგიულ თანამშრომლობას ეფუძნება. სოციალურ-ეკონომიკურის გარდა, მოიცავს პოლიტიკურ, უსაფრთხოების, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებს, თუმცა ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის ყოველთვის ერთგვაროვანი არ ყოფილა. საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის თავისი სტრატეგიულობისა და დამოუკიდებლობის ლეგიტიმურობის დამტკიცება ისეთ დროს მოუწია, როცა ქვეყანა საბჭოთა რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, მთავრობა კი საკმაოდ რთულ პირობებში – ემიგრაციაში განაგრძობდა საქმიანობას საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად და საქართველოს საკითხის გასააქტიურებლად. საქართველოს ისტორიის იმ ეტაპზე სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი გავლენიანი აქტორის პოლიტიკური მხარდაჭერა, როგორიც ამერიკაა. იმ დროს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს საბჭოთა რუსეთთან ნებით შეერთებულ ქვეყნად მიიჩნევდა, ამიტომ საბჭოთა კავშირთან დაპირისპირების გამწვავებას და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას ერიდებოდა.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა საქართველოს პირველი წარმომადგენლობის ისტორია აშშ-ში და ის პროცესი, თუ როგორ და ვისი მონაწილეობით ხდებოდა საქართველოს საკითხის გაცნობა და პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება.

საკითხის განსახილველად შევისწავლეთ ვასილ დუმბაძის, როგორც აშშ-ში საქართველოს პირველი დიპლომატიური წარმომადგენლის ბიოგრაფია და საქმიანობა. ვასილ დუმბაძის მოღვაწეობის ანალიზი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებაში მის მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასდროს ყოფილა. მას ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც „აფერისტ დუმბაძეს“. იმავდროულად, სწორედ მას უკავშირდება ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს დაარსება და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოს საკითხის გააქტიურება. ეს საკითხები კი პირველად რუსუდან დაუშვილმა შეისწავლა სტატიებში[1] და წიგნში „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“.[2]

ჩემთვის აღნიშნული თემა საინტერესოა, რადგან ისტორიის იმ მნიშვნელოვან და რთულ პერიოდს მოიცავს, როცა ამერიკის პოლიტიკური თანადგომა იმ-

---

1 რ. დაუშვილი, ვასო დუმბაძე – მითი და სინამდვილე – გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2001, 23-26 III, N10, გვ. 4; რ. დაუშვილი, გურული აზნაურის საოცარი ისტორია და თავგადასავალი აშშ-სა და რუსეთის იმპერიაში, 2012, 22 VIII, www.kvirispalitra.ge/.../13487-guruli-aznauris-saocari

2 რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბ., 2014, გვ.114-116; რ. დაუშვილი, ო. ჯანელიძე, გიორგი მაჩაბელი, თბ., 2019, გვ. 103-104.

დროინდელ გეოპოლიტიკურ რეალობაში გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა (შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად, მხოლოდ 1992 წელს აღიარა). ვასილ დუმბაძის საქმიანობამ კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შესახებ ამერიკის პოლიტიკური წრეების ინფორმირებაში. მეტიც, ვფიქრობ, სწორედ მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად განაპირობა შეეთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკაში საქართველოს საკითხის ეტაპობრივი პრიორიტეტიზაცია და ხელი შეუწყო საქართველო-აშშ-ს შორის სტრატეგიული, ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

დუმბაძე სამშობლოში ცნობილი იყო, როგორც მორგანთა ბანკის თანადამფუძნებელი და მთავრი ფინანსისტი.[3] იგი ასევე იყო I მსოფლიო ომის დროს ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა საზოგადოების წევრიც, აღნიშნული ორგანიზაცია 20 ათასამდე დაჭრილ მეომარს დაეხმარა. მისმა საიდუმლო დიპლომატიურმა საქმიანობამ და სამხედრო შეკვეთებმა კი იგი მიხეილ ჯავახიშვილის პირველი რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთავარი გმირის პროტოტიპად და ცნობილ ავანტურისტად აქცია.[4]

მას შემდეგ, რაც დუმბაძემ 1914 წელს რუსეთის სამხედრო მინისტრ ვ. სუხომლინოვის შესახებ აპოლოგეტური წიგნი გამოსცა და მისი ნდობა მოიპოვა, სამხედრო შეკვეთები სწორედ დუმბაძის ხელში აღმოჩნდა. იგი რუსეთის სამხედრო სამინისტროს მომარაგების სამსახურის სათავეში მოექცა და I მსოფლიო ომის დასაწყისში სხვადასხვა ფრონტის საბრძოლო მასალებით მომარაგებაც სწორედ მას დაევალა. მისი ზედმეტსახელი – „აფერისტი დუმბაძე“ სწორედ ამ ამბავს უკავშირდება. კერძოდ, რუსეთის სამხედრო უწყებამ ამერიკაში 15 მილიონი ოქროს მანეთის ყუმბარების შეკვეთა დუმბაძეს მიანდო, მან კი, გიორგი მაჩაბელთან ერთად, რომელთანაც ილია ჭავჭავაძის დაწყებული საქმის დაგვირგვინებას და საქართველოს თავისუფლებას ცდილობდა, გერმანიის დაზვერვასთან საიდუმლო თანამშრომლობით, სხვა კალიბრის ჭურვები შეუკვეთა, რაც რუსულ ქვემეხებს არ მოერგო. შედეგად, დაიწყო რუსეთის არმიის კატასტროფული უკანდახევა და აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის წარამატება. ამის გამო დუმბაძე დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა დროებითი მთავრობის დროს თავდებით გამოუშვეს.

ვასილ დუმბაძის მოღვაწეობა აშშ-ში იწყება 1924 წელს[5], როდესაც საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, სხვა მრავალ ქართველთან ერთად ემიგრაციაში აღმოჩნდა. ამერიკაში ჩასვლიდან მალევე ინგლისურ ენაზე გამოსცა წიგნი სახელწოდებით – „კავკასიის რესპუბლიკები: პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა“.[6] წიგნი იწყება კავკასიის რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოკლე აღწერით. მასში ასახულია, რა მნიშვნელობა აქვს ამ სახელმწიფოების დემოკრატიას ამერიკისათვის, ასევე აღწერილია: ბუნებრივი სიმდიდრეები, სტრატეგიული მნიშვნელობა, საქართ-

---

3 რ. დაუშვილი, გურული აზნაურის საოცარი ისტორია და თავგადასავალი აშშ-სა და რუსეთის იმპერიაში, 2012, 22 VIII, www.kvirispalitra.ge/.../13487-guruli-aznauris-saocari

4 იქვე.

5 Forgotten Famous Georgians That Found Fame Abroad https://georgiastartshere.com/forgotten-famous-georgians-that-found-fame-abroad/

6 V. Dumbadze, The Caucasian Republic, New-York. 1925.

ველოს ბრძოლები, რუსეთთან ურთიერთობა და გაანალიზებულია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის საკითხი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დუმბაძის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს მისი ქმედითი მონაწილეობით ჩამოყალიბებულ იურისტთა კომისიის მიერ მიღებული დადგენილება, საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებისა და ევროპაში გახიზნული მთავრობის კანონიერების შესახებ. სწორედ ვასილ დუმბაძის თაოსნობით, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა და დიპლომატების ჰენრი და ლეონ ვილსონების თავმჯდომარეობით, დაარსდა ორი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია: „ამერიკული საზოგადოება კავკასიისთვის“ და „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“, რომელთა მიზანიც ამერიკის საზოგადოებისთვის კავკასიის რესპუბლიკების გაცნობა იყო. მათი მცდელობით, ამერიკის კონგრესში საქართველოს საკითხის რამდენჯერმე განხილვა მოჰყვა. 1926 წლის 10-11 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატასა და სენატში ვირჯინიის დეპუტატმა ს. კოპლენდმა და სენატორმა რ. ვალტონ-მურმა ერთდროულად შეიტანეს წინადადება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

კონგრესმა მაშინ დუმბაძის დანიშვნასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა და მისი ოფიციალური დანიშვნა მხოლოდ 1929 წელს მოხერხდა. ამის მიუხედავად, ვასილ დუმბაძეს საშუალება მიეცა აშშ-ს კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებისა და ევროპაში გახიზნული მთავრობის კანონიერების საკითხი დაესვა, რომლის მოსმენის შემდეგაც კონგრესმა 1926 წელს, სხდომათა ოქმებით – 22 დანართით, 17 ფოტოთი, სახელმწიფო ხარჯით, საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა.

წინამდებარე ტექსტზე მუშაობისას მოვიძიეთ ეს წიგნი, სახელწოდებით „საქართველოს ეროვნული რესპუბლიკა“ და 1945 წელს, კონგრესში ლეო დუმბაძის გამოსვლის შედეგად მომზადებული სპეციალური „რეპორტი“.

1926 წელს კონგრესის მიერ გამოცემული წიგნი „საქართველოს ეროვნული რესპუბლიკა“ დღემდე დაცულია კონგრესის ბიბლიოთეკაში. წიგნის დასაწყისში აღნიშნულია, რომ საქართველოს სამეფომ მრავალი საუკუნის მანძლზე შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებელი არსებობა, ენა, სახელმწიფო ინსტიტუტები და წინააღმდეგობა საკუთარ ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის, თითქმის მუდმივი, შემოჭრის მიმართ. ასევე ნათქვამია, რომ 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით იგი ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ რესპუბლიკად. ნათქვამია, რომ, მიუხედავად 1920 წელს (7 მაისის ხელშეკრულებით) საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებისა, საბჭოთა რუსეთი უკანონოდ შეიჭრა ქვეყნის ტერიტორიაზე, რის გამოც ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობა იძულებული გახდა საქმიანობა გადაეტანა ჯერ „ტიფლისიდან“ ბათუმში, შემდეგ კი საფრანგეთში, საიდანაც ქვეყნის ოფიციალური პირები ფუნქციონირებას აგრძელებენ. მომზადებული ანგარიშით უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენდა მასში ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კონგრესის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოხატოს უკმაყოფილება რუსეთის მთავრობის უკანონო მოქმედების გამო და თანადგომა გამოუცხადოს საქართველოს რესპუბლიკას, ამისათვის კი საჭიროა კანონით დამტკიცდეს თანხა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლისთვის.

წიგნის დანართები, 67-152-ე გვერდები, მოიცავს საქართველოსა და კავკასიის მინერალური რესურსების განხილვას, სადაც ადგილი აქვს დათმობილი დავით ღამბაშიძის მიერ 1919 წელს ლონდონში გამოაქვეყნებულ 200-გვერდიან ნაშრომს სახელწოდებით „საქართველოსა და კავკასიის მინერალური რესურსები – მარგანეცის ინდუსტრია საქართველოში“. წიგნში დეტალურადაა აღწერილი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და გეოლოგიური მახასიათებლები. ასევე ნათქვამია, რომ ქართული ცივილიზაცია 3.000 წლიანი არსებობის ისტორიის მიუხედავად, სათანადოდ ცნობილი არ არის, რადგან 1801 წელს საქართველოს სამეფომ დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა. რუსეთის იმპერიამ 1783 წლის ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატი) დარღვევით მისი იძულებითი ანექსია მოახდინა, რის შემდეგაც ქართულ საზოგადოებას აღარ მისცემია შესაძლებლობა საკუთარი თავი გარე სამყაროსთვის გაეცნო.

წიგნში შესულია საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილების ფოტოები. 171-179-ე გვერდებზე დართულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია, საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება და განხილულია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა 1924 წლის მონაცემებით.[7]

მეორე დოკუმენტს – 1945 წელს მომზადებულ რეპორტს თან ერთვის ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს მაშინდელი თავმჯდომარის ლეო დუმბაძის კონგრესში გამოსვლის დანართები. იგი საქართველოს შესახებ მოკლე ისტორიულ მიმოხილვასთან ერთად საუბრობს 1926 წელს, ვასილ დუმბაძის თაოსნობით, ამერიკის წარმომადგენლობით პალატაში ქართული საკითხის შესასწავლად შექმნილ სპეციალურ კომიტეტზე, რომლის გადაწყვეტილებითაც განისაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უფლებამოსილება, გაეხსნათ პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლობა ამერიკაში, მაშინ როდესაც ამას მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

დოკუმენტში მნიშვნელოვანია ერთი ადგილი, როდესაც ლეო დუმბაძეს უსვამენ კითხვას – „როგორ დაარსდა საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918 წელს და მსოფლიოს რომელმა ერმა აღიარა იგი?“ პასუხად დუმბაძე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამოთვლის იმ ქვეყნებს, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარეს. ასევე მას სთხოვენ უფრო ვრცლად ისაუბროს 1926 წელს კონგრესის მიერ გამოცემულ წიგნთან დაკავშირებით. ამ დროსაც ლეო დუმბაძე საუბარს იწყებს ვასილ დუმბაძეზე და ამბობს, რომ ის იყო ამერიკაში საქართველოს წარმომადგენელი, რომლის ერთადერთ მიზანსაც სენატისგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება წარმოადგენდა.[8]

---

7 Providing for the appointment of the a diplomatic representative to the National Republic of Gerogia Washington. 1926 – https://books.google.ge/books?id=-YsjAAAAMAAJ&pg=PA358&lpg=PA358&dq=1926+Us+senate+about+republic+of+georgia+dumbadze&source=bl&ots=3tcWkau2KT&sig=ACfU3U0To8mEpoawomRz8yw49YnVSNZlrg&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjcmuK2pNvtAhUaPOwKHaXPAtIQ6AEwA3oECAUQAg#v=onepage&q&f=false

8 Special Report of the Select Committee on Communist Aggression – (აშშ-ს პირველი მხარდამჭერი რეპორტი საქართველოზე). https://books.google.ge/books?id=XV1bAAAAcAAJ&pg=RA3-PA183&lpg=RA3-PA183&dq=1926+Us+dumbadze&source=bl&ots=HrD4vJYd26&sig=ACfU3U0d4AJlSl3kNJ5uqua9cEvp7XPolQ&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwiFvLfBptvtAhUODOwKHcDHAg8Q6AEwEnoECBEQAg#v=onepage&q=1926%20Us%20dumbadze&f=false

1933 წელს საფრანგეთმა საბჭოთა კავშირი აღიარა, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ლეგაცია გაუქმდა. შეწყდა საელჩოებისა და საკონსულოების უფლებამოსილებაც. თუმცა ვასილ დუმბაძე კიდევ დიდხანს იყო საქართველოს არაოფიციალური ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოს საკითხით ამერიკის ხელისუფლების დაინტერესებას ვასილ დუმბაძე დიდი მონდომებით ცდილობდა მაშინაც, როცა აღარ იყო საქართველოს ლტოლვილი მთავრობის ოფიციალური წარმომდგენელი, ხოლო ევროპულ სახელმწიფოებს შორის დიდი დაპირისპირება მომწიფდა მეორე მსოფლიო ომის სახით და შეერთებული შტატების ადმინისტრაციას საქართველოსთვის აღარ ეცალა.

დუმბაძე საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტებული ელჩის როლში განაგრძობდა საქმიანობას, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ 1924 წლის აჯანყების ჩახშობის, 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის – „დიდი დეპრესიის“ და 1932 წელს იაპონიის მიერ განხორციელებული მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, ამერიკაში ემიგრანტად ბევრი ქართველი ჩავიდა, დუმბაძე კი მათ იურიდიულ და ფინანსურ დახმარებას უწევდა.

ვასილ დუმბაძე 1943 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია ნიუ-იორკში. მას მემკვიდრე არ დარჩენია, ხოლო ანდერძი, რომლის მიხედვითაც ოჯახს 27 მილიონს დოლარს უტოვებდა, დედამისის სახელზე ფოსტით მივიდა სოფელ შემოქმედში, თუმცა მეორე დღეს ანდერძი მილიციის უფროსმა წაიღო და ოჯახს ფული არ მიუღია.

საბჭოთა საქართველოს მთავრობამ დუმბაძის მამა დახვრიტა, თავად მას კი ყოველთვის უარყოფით ასპექტში წარმოაჩენდა. მაშინ, როცა ვასილ დუმბაძე აშშ-ში საქართველოს აღიარებისათვის იღწვოდა და 1926 წლის მარტ-აპრილში წარმომადგენელთა პალატა და სენატი საქართველოს ოკუპაციის საკითხს ინხილავდა, გაზეთმა „მუშამ“ ამავე წლის აპრილში მას წერილი მიუძღვნა სათაურით „აფერისტი ვასილ დუმბაძე“.[9]

LIKA BUCHUNTELI

Vasil Dumbadze

Summary

The article describes the beginnings of US-Georgia bilateral diplomatic relations and the activities of Georgia's first diplomatic representative in the US – Vasil Dumbadze. The process by which he became interested in the US politics on the issue of Georgia at a time when it was quite difficult considering the geopolitical reality of that time.

9 აფერისტი ვასილ დუმბაძე – გაზ. „მუშა“, 1926, აპრილი.

By the initiative of Vasil Dumbadze, the discussion regarding to the Soviet occupation of Georgia in the US House of Representatives played an important role in informing American politicians about the violent Sovietization of Georgia.

Vasil Dumbadze was the first who raised the issue of Georgia's right to independence and the legitimacy of a government based in Europe in the US Congress, in order to open a diplomatic mission of the Georgian government to the US and to determine the state expenses for him.

While working on the article, we found the book "National Republic of Georgia" published by the Congress in 1926. And in the article we discussed the special "report" prepared as a result of Leo Dumbadze's speech in the Congress in 1945.

გივი გაბლიანი

ემიგრაცია ყველა ქვეყნისთვის მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკისმცოდნეობის მაგისტრატურის I კურსზე იკითხება ქართული ემიგრაციის ისტორიის კურსი, რომელიც არაერთ საინტერესო პიროვნებაზე და მათ საქმიანობაზე გვაწვდის ინფორმაციას. გივი გაბლიანის შესახებ სწორედ ამ კურსის საშუალებით შევიტყვე. მიუხედავად იმისა, რომ მასზე აქამდე არაფერი მსმენოდა, ამ ადამიანმა მალევე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ყველაზე მეტად დავინტერესდი იმით, რატომ ახასიათებდნენ მას სხვადასხვაგვარად და რა იყო ამის მიზეზი. ვფიქრობ, გივი გაბლიანი ქართული ემიგრაციის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა მის დისკრეტიზაციას, რაც კარგად არის ასახული წიგნში „ვერმახტის საიდუმლო საქმე“, რომელშიც გაბლიანი „მოღალატედაა“ გამოცხადებული. მაგრამ როგორი იყო რეალობა? იყო კი გივი გაბლიანი მოღალატე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია მის ბიოგრაფიას და მოღვაწეობას გავეცნოთ.

გივი გაბლიანი დაიბადა 1915 წელს. გივი რეპრესირებული ოჯახიდან იყო, მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი მაინც გახდა. სწავლის დროს, ბოლო 3 წლის განმავლობაში, პატარა შემოსავალი გაუჩნდა. როგორც მისი წიგნიდან – „ჩემი მოგონებები“ ხდება ცნობილი, ღამ-ღამობით უნივერსიტეტის საავადმყოფოში მუშაობდა, ზაფხულობით კი ალპურ ბანაკ „დევდორაკში“ – ექიმად და სპორტულ ინსტრუქტორად. 1939 წელს სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გივი ასპირანტად დატოვეს ქირურგიისა და ენდოკრინოლოგიის განხრით. მალე მას ჯარში წასვლა მოუწია.

გივის ჯარში 1939-1941 წლებში მსახურობდა, 1939 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, 1941 წელს კი – ე. წ. „სამამულო ომი“. იმ დროს გივი კურკსში იმყოფებოდა, წინა ხაზზე აღმოჩნდა და ტყვედაც ჩავარდა. მაშინ ყველამ იცოდა, რომ ტყვედჩავარდნილი ადამიანი განწირული იყო. მას თავი უნდა მოეკლა, თუ არა – დახვრეტდნენ ან ციმბირში გადაასახლებნენ, ამიტომ ბევრი ტყვედჩავარდნილი სამშობლოში აღარც დაბრუნებულა. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ 5 წლის განმავლობაში გივი არსად ჩანდა და დედამ არ იცოდა, სად იყო ან ცოცხალი იყო თუ არა. 1950 წელს გივის დედა, ვერა თევზაძე ყაზახეთში გივის გამო გადაასახლეს და მაშინ გაიგო, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო. ვერა მხოლოდ 1956 წელს, ხრუშჩოვის მიერ სტალინის ბოროტმოქმედებათა დაგმობის შემდეგ, გაათავისუფლეს, მაგრამ მას უკვე გადაადგილებაც აღარ შეეძლო.

ბერლინში არსებული „ქართული საკავშირო შტაბის“ და მისი ხელმძღვანელის, მიხეილ კედიას ძალისხმევით, გივი ტყვეობიდან გამოიხსნეს და შტაბის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს. მას უნდა აღენუსხა ტყვეთა ბანაკებში გაფანტული ქართველები და გაეთავისუფლებინა ისინი, წესრიგში მოეყვანა

გერმანელების მიერ ბანაკებიდან გამოყვანილი, სამხედრო ერთეულებად ქცეული 40 ათასამდე ქართველი და განესაზღვრა მათი იურიდიულ-ლეგალური მდგომარეობა.

გერმანული სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ გივიმ ობერლეიტენანტის წოდება მიიღო. შტაბის დავალებით, გამოჰყავდა ტყვედჩავარდნილი ქართველები და ეხმარებოდა ქართულ სამხედრო დანაყოფებში გაწევრიანებაში. ეს დანაყოფები გერმანულ ჯარებს უნდა შეჰყოლოდნენ საქართველოში და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაეცვათ ქვეყანა. გერმანიის დამარცხებამ ქართველთა გეგმები ჩაშალა. ომის შემდეგ გაბლიანი, გერმანიის მხარეზე მებრძოლ სხვა ქართველთა მსგავსად, საბჭოთა მხარეს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატის ქ. ქუინსში გადასახლდა, სადაც ექიმად მუშაობდა. იმავდროულად სტატიებს წერდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში. 1987 წელს პენსიაზე გასვლის შემდეგ თავისი ჩანაწერების მოწესრიგებას და ინგლისურ ენაზე წიგნის წერას შეუდგა.

გივი გაბლიანის მოგონებათა წიგნის ქართული თარგმანის ორ ტომად საქართველოში გამოქვეყნება 1998-2000 წლებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.[1] II მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობა მხოლოდ ერთი – საბჭოური პოზიციებიდან შუქდებოდა. საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა ქართველ ემიგრანტთა მონაწილეობაზე ევროპის იატაკქვეშა წინააღმდეგობის ან ანტიფაშისტური მოძრაობის არასოციალისტური ფრთის პარტიზანულ ჯგუფებში.[2] გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართველები კი მოღალატეებად იყვნენ გამოცხადებულნი.[3] ყველა მხარეს მებრძოლი ქართველებისათვის ომი დიდი ეროვნული ტრაგედია იყო: მრავალი შეეწირა. მრავალი ტყვედ ჩაუვარდა გერმანულ ან საბჭოთა მხარეს და ტყვეთა ბანაკებში დაასრულა სიცოცხლე.

როგორც ექიმი, გივი გაბლიანი წიგნში წერს, რომელი დაავადებები სჭარბობდა რუსეთის სოფლებიდან ჩასულ ახალწვეულებში. ისინი ძირითადად რესპირატორული და კუჭ-ნაწლავის დაავადებებით იტანჯებოდნენ, უმრავლესობას კი ტილები ჰყავდა. ამის მთავარი მიზეზი აბაზანების მოუწესრიგებლობა იყო. მართალია, ზაფხულის პერიოდში სიტუაცია იცვლებოდა, მაგრამ ეს პრობლემა მაინც გადაულახავ დაბრკოლებად რჩებოდა. კურკსის რკინიგზის სადგურში მიღებულ ახალწვეულებს სანიტარულ ინსპექციას უტარებდნენ. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ტიფი ფაქტობრივად მთლიანად აღმოიფხვრა.

დიდი ხნის შემდეგ გივი მის ცნობილ გერმანელ მეგობართან ჰანს ფონ ჰერვარდთან საუბრისას ყვებოდა, როგორ ფიქრობდა გამუდმებით ბოლშევიკური ტირანიისგან თავის დაღწევაზე. დარწმუნებული იყო, რომ დასავლეთში, რაც არ უნდა დახვედროდა, მაინც აჯობებდა საბჭოთა ტირანიას და მის იმდროინდელ ყოფას. მაგრამ მაინც ვერ გაბედა დის და დედის დატოვება. ჰანსის თქმით, კარგიც იყო რომ ვერ შეძლო ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან დიდი ალბათობით, „რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის“ საფუძველზე გერმანელები უკან დააბრუნებდნენ, ეს კი სიკვდილის ტოლფასი იყო.[4]

---

1 მ. გაბრიჭიძე, ობერლეიტენატი გივი გაბლიანი – მოღალატე თუ გმირი? გაზ. „კვირის პალიტრა“, 2011, 24 ივნისი.

2 რ. დაუშვილი, გივი გაბლიანი – კაცი ლეგენდა, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2001, 9-16 მარტი, N10, გვ. 4.

3 რ. დაუშვილი, ლეგენდა რჩება (გამოთხოვება გივი გაბლიანთან) – გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2001, 6-13 ივლისი, N27, გვ. 3.

4 გ. გაბლიანი, ჩემი მოგონებები, ქუთაისი, ტ. I, 1998; ტ. II, 2000.

გივი გაბლიანი მოგონებებში იხსენებს ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკის ისტორიასაც. აღწერს როგორ დადეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი 1918 წლის მარტის დასაწყისში. სწორედ იქ გაფორმდა გერმანია-უკრაინის ხელშეკრულებაც, რითიც საგრძნობლად შემცირდა რუსეთის უფლებები და ახალ მმართველებს მრავალ დათმობაზე მოუხდათ წასვლა, მათ შორის საქართველოს ნაწილი – ქალაქი ბათუმი და, ზოგადად, აჭარა გადასცეს ოსმალეთს და დათმეს ყარსის ოლქიც.

ვერ მოვახერხეთ გაბლიანის ოჯახთან დაკავშირება, ამიტომ ინტერვიუ ჩავწერეთ ცნობილ მეცნიერთან, გეოლოგ, გეოგრაფ და ჟურნალისტ ივანე ჯაფარიძესთან.[5] მან ბევრი საინტერესო ფაქტი მოგვაწოდა გაბლიანებზე.[6] როგორც ბატონი ივანე იხსენებს, გივი გაბლიანთან ურთიერთობა მის ოჯახს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა. ბატონი ივანეს მამის უფროსი ძმა 1900-იანი წლების დასაწყისში სწავლობდა გივი გაბლიანის მამასთან ეგნატე გაბლიანთან ერთად პეტერბურგში აღმოსავლეთმცოდნეობას. სწორედ იმ პერიოდიდან იცნობდნენ ერთმანეთს. 1905 წელს გარდაიცვალა ბატონი ივანეს ბიძა. თუმცა, ურთიერთობები არ გაწყვეტილა. გივის დედა – ვერა თევზაძე და ივანე ჯაფარიძის მამიდა ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელმაც ბატონი ივანე გაზარდა, მეგობრები იყვნენ. მათ ერთმანეთი ქუთაისის გიმნაზიაში გაიცნეს და ეს ნაცნობობა, დროთა განმავლობაში, ოჯახურ ურთიერთობებში გადაიზარდა იმდენად, რომ თურმე შუა აზიაში გადასახლებულ ვერას ალექსანდრა ფულს მალულად უგზავნიდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ალექსანდრა ჯაფარიძე ლეგენდად იქცა მას შემდეგ, რაც 1934 წლის 31 აგვისტოს, ქალთა შორის პირველმა შედგა ფეხი მწვერვალ უშბაზე. გივი რუსეთში, ჯარში წასვლის შემდეგაც არ კარგავდა კავშირს მეგობრებთან: ლეგენდარულ მთამსვლელ ალიოშა ჯაფარიძესთან და მის დასთან ალექსანდრასთან, მათ დედასთან ლიდასთან, პროფესორ ვადიმ ჩხენკელთან და სხვებთან.

რასაკვირველია, დახვრეტილი მამის შვილს ბოლშევიკები არ უყვარდა. ბატონი ივანე იხსენებს გივის დის – ეთერის ისტორიასაც და მის ტრაგიკულ სიკვდილს. ვერას აკლდა კიდევ ორი შვილი. 1938-1939 წლებში ალექსანდრა ჯაფარიძე „დევდორაკის“ ალპინისტური ბანაკში მუშაობდა. იქ ჩადიოდნენ მთასვლელები და ის ადამიანები, რომლებსაც ალპინიზმის შესწავლა სურდათ. სწორედ ალექსანდრამ დააწყებინა გივის მუშაობა ამ ბანაკაში. ბატონი ივანე იხსენებს, რომ „დევდორაკის“ ალპინისტური ბანაკში იყო პროფესორი ვლადიმერ ჩხენკელი, რომელმაც იქ გატარებული დღეები პოემებში აღწერა. ამ წიგნში ლექსად არის დახატული გივის პორტრეტი და მთასვლელების ამბები. გივი მოგონებებში ახსენებს მას და სწორედ წიგნიდან გახდა ცნობილი, რომ ტყვეობაში ჩავარდნილმა ვლადიმ ჩხენკელმა თავი მოიკლა.[7]

1991 წელს თბილისში გამოდიოდა რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული გაზეთი „მამული“ და ერთხელ ამ გაზეთში აღმოჩნდა ნაწყვეტი გაბლიანის წიგნიდან „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“, რომელსაც წინ უსწრებდა ლიტერატორის, პროფესორ გოგი გაჩეჩილაძის შეფასება. გოგი მიიპატიჟა გივი

---

5 არმური, ივანე ჯაფარიძე, 09.11.2008. მოძიებულია 26.11.2020. https://armuri.georgianforum.com/t757-topic

6 თ. ჩხაიძე, ინტერვიუ ივანე ჯაფარიძესთან, პირადი არქივი, 2. 12. 2020.

7 იქვე.

გაბლიანმა და გამოატანა „მეორე მსოფლიო ომი და საქართველოს“ ანოტაცია, რომლის ბეჭდვაც დაიწყო გაზეთ „მამულში“. სადაც სულ სხვანაირად ჩანს ისტორიის ეს მონაკვეთი.

გოგი გაჩეჩილაძის საშულებით ბატონი ივანე დაუკავშირდა გივის და გაუგზავნა მის ოჯახში არსებული ფოტოები და თან მიაყოლა ბარათი, რომელშიც აღწერდა მათი ოჯახების ურთიერთობებს. გივიმ საპასუხოდ წერილი გამოუგზავნა ბატონ ივანეს. ეს ყველაფერი ახლა ემიგრაციის მუზეუმში ინახება. ამ წერილებში ბევრი ინფორმაცია იკვეთება: მაგალითად, 1945 წელს ალექსანდრას ძმის, ალიოშა ჯაფარიძის მიერ ორგანიზებულ ექსპედიციაში გივისაც უნდა მიეღო მონაწილეობა, თუ საქართველოში იქნებოდა.[8]

როგორც ბატონი ივანე გვიამბობს, სპელოლოგი ჯუმბერ ჯიშკარიანი (პრომეთეს მღვიმის აღმომჩენი) აპირებდა ამერიკაში წასვლას. ბატონმა ივანემ გაატანა გივის მისამართი და წერილი მასთან. ის ახალჩასულებს ეხმარებოდა, როგორც შეეძლო. თუმცა ჯუმბერ ჯიშკარიანის ჩასვლის შემდეგ გივი მალევე გარდაიცვალა. მისი მეზობლისგან გაიგო, რომ ცოლი რუსუდან ალშიბაია თავშესაფარში იყო და მიაკითხა, თან ქართული სიმღერები წაიღო. შეხვედრა ემოციური გამოდგა. ჯ. ჯიშკარიანის თქმით, ქალიშვილი უფრო გავდა ქართველს, ვიდრე ვაჟი. ჯიშკარიანი მივიდა გივის საფლავზე და წესი ქართულად აუგო.

ბატონი ივანე გვიყვება, რომ გივი არაერთხელ ჩამოსულა დედასთან სხვადასხვა პასპორტით თუ გრიმით. ვერას გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ ჩამოსულა და დედამისის საფლავი უნახავს. ვერა კი, რომელსაც „კაკებში“ დაკითხვებზე იბარებდნენ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით, რომელიც საუკეთესო მასწავლებლის ტიტულთან ერთად გადაეცა.

საბჭოთა იდეოლოგიის წყალობით, საზოგადოების ნაწილმა მართლაც დაიჯერა გივის მოღალატობა. ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა ყვებოდა იდეოლოგიის ძალაზე, რამდენად დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს მან ადამიანზე. ამის კარგი მაგალითია სტალინის შესახებ მისი მოგონება: ორპუტის ტყეში, ხე-ტყის დასამზადებლად მყოფი პოლიტპატიმრები აუგად იხსენიებდნენ სტალინს, მაგრამ, როცა 1953 წლის 5 მარტს სტალინის სიკვდილის ამბავი გაიგეს, თავზარი დაეცათ. ეგონათ მეორე დღეს „მზე არ ამოვიდოდა“.[9] სწორედ, ამ იდეოლოგიით და რეპრესიებით გაანადგურეს ის განათლებული თაობა, რომელსაც შემდგომში ქვეყნისთვის უნდა მოევლო.

ჩემი აზრით, გაბლიანი ფიქრობდა თავის ქვეყანაზე და იმაზე, რომ საქართველოს მომავალი ნათელი და საბჭოთა კავშირისგან თავისუფალი ყოფილიყო. მან არაერთი თანამემამულე ემიგრანტი თუ ტყვედჩავარდნილი ადამიანი გადაარჩინა, თუმცა, თავად სიცოცხლე სამშობლოსგან ძალიან შორს ქუინსში, 2001 წლის 27 აპრილს დაასრულა. დაკრძალულია გრინმაუნთის სასაფლაოზე. გივის მეუღლე, რუსუდან ალშიბაია 2006 წელს გარდაიცვალა, დარჩათ 3 შვილი გრიგორი, ეთერი, ვერა და ორი შვილიშვილი კირა და ალექსანდრა გაბლიანები.

---

8 თ. ჩხაიძე, ინტერვიუ ივანე ჯაფარიძესთან, პირადი არქივი, 2. 12. 2020.

9 იქვე.

TEKLE CHKHAIDZE

Givi Gabliani

Summary

The article describes the work of Givi Gabliani, one of the most important and interesting people in the history of Georgian emigration. The interest is intensified by the fact that one calls him a "hero" and the other a "traitor". What caused it? Why did the Soviet government try to portray him as a "traitor" in the book „The Secret of the Wehrmacht"? We tried to answer these questions according to various sources and his book – "My Memories". In the article we included an interview with the famous scientist, geologist, geographer and journalist Ivane Japaridze, who provided us with many interesting facts about the family of Gabliani from his personal archive. Givi Gabliani saved the lives of many emigrants or captives during World War II, and died in America, far from his homeland. He made sure that Georgia's future was bright and free from the Soviet regime.

გიორგი ლოლუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულებაზე სწავლის პროცესში ერთ-ერთი გამორჩეული საგანი ჩემთვის იყო „ქართული დიასპორის ისტორია“. კურსის ფარგლებში აღმოვაჩნე, რომ ჩემი მოგვარე, პროფესიით ინჟინერ-ელექტრიკოსი და პოეტი გიორგი ლოლუა კანადაში ცხოვრობდა თავის დიდ ოჯახთან ერთად. ძალიან დავინტერესდი მისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, რადგან მისი საქმიანობა ქართული ემიგრაციის ისტორიაში მნიშვნელოვანია.

გიორგი ლოლუა, როგორც ძუკუ ლოლუა, სოფელ ქვალონში დაიბადა. ქვალონი ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. მისი სახელწოდება მეგრული სიტყვიდან „ქუალონი“ მომდინარეობს და ნიშნავს „ქვიან ადგილს“. თავდაპირველად „ქუალონი“ ეწოდებოდა შედარებით მცირე ტერიტორიას, შემდგომ კი მისი ფართობი იმდენად გაიზარდა, რომ ის მე-19 საუკუნის ბოლოს 3 სოფლად გაიყო: ქვემო, შუა და ზემო ქვალონად.[1] სწორედ ზემო ქვალონში აქვს გატარებული ბავშობა გიორგი ლოლუას, სანამ თბილისის პირველ გიმნაზიაში გააგრძელებდა სწავლას.

გვარი „ლოლუას“ წარმოშობა დაზუსტებით არ არის ცნობილი, რადგან ლოლუა შენობის სახურავზე ან ხის ტოტებზე წარმოქმნილ გრძელ, წვეტიან ყინულთან ასოცირდება. ძველი ვერსიით, ლოლუა იყო თითივით გრძელი პური, რომელსაც სამეგრელოში აცხობდნენ და, სავარაუდოდ, გვარის წარმომავლობაც ამ ფაქტს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გრძელი პურები დღესაც იყიდება ქართულ სუპერმარკეტებში და ის „ლოლუას“ სახელწოდებას ატარებს.

1990 წელს პირველად პროფესორმა გურამ შარაძემ გაგვაცნო კანადაში მოღვაწე გიორგი ლოლუა.[2] 1993 წელს გამოცემული სამტომეულის „უცხოეთის ცის ქვეშ“ მე-2 ტომში მეცნიერმა უფრო ვრცლად მიმოიხილა მისი ბიოგრაფია, პოეზია, ოჯახი, წერილები და ა.შ.[3] აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გივი კობახიძეს, რადგან სწორედ მან გამოუგზავნა გურამ შარაძეს თავისი ნაშრომები გიორგი ლოლუას შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გივი კობახიძე არასდროს შეხვედრია გიორგის, მათ ინტენსიური სატელეფონო კავშირი ჰქონდათ და წერილებსაც სწერდნენ ერთმანეთს. ამ მეგობრული ურთიერთობების წყალობით მოაღწია ჩვენამდე ინფორმაციამ გიორგი ლოლუას შესახებ.[4]

გიორგი ალექსანდრეს ძე ლოლუა დაიბადა 1919 წლის 9 ივნისს. გიორგის მამა ალექსანდრე ლოლუა კრასნოდარში ცხოვრობდა და ქარხნის დირექტორად მუშაობდა. სამწუხაროდ, ის მალევე, 1920 წელს გარდაიცვალა და გიორგი დედამ –

---

1 პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, თბ., 2007, გვ. .

2 გ. შარაძე, გიორგი ლოლუა – გაზ. „სამშობლო“, 1990, N14, გვ.4-5, N15, გვ. 6.

3 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993, გვ. 308-336.

4 ვ. ნოზაძე, (კომენტარი გიორგი ლოლუას ლექსებზე), ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1952, N5, გვ. 135.

მინადორა ფანცულაიამ მარტო გაზარდა. 1936 წელს გიორგიმ დაამთავრა თბილისის N1 საშუალო სკოლა (წინათ გიმნაზია), რომლითაც მუდამ ამაყობდა, რადგან ძალიან ბევრი წარმატებული და გამოჩენილი კლასელი ჰყავდა. 1941 წელს დაასრულა საქართველოს ინდუსტრიული ისტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტი ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით. აღსანიშნავია, რომ გიორგიმ დიპლომის აღებაც კი ვერ მოასწრო, რადგან 1941 წელს ომში მოუწია წასვლა. დიპლომი მერე, გურამ შარაძის დახმარებით, მას კანადაში გაუგზავნეს.[5]

1941 წელს გიორგი ლენინგრადის ფრონტზე მოხალისედ წავიდა. მალევე ტყვედ ჩავარდა და იქამდე მოუწია ტყვეობაში ყოფნამ, სანამ ქართველმა ემიგრანტებმა არ გამოიხსნეს და ქართულ ბატალიონში არ ჩაწერეს. 1944 წელს მისი ნაწილი გერმანელებმა ჩრდილოეთ იტალიაში გადაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გიორგის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

დამარცხებულ გერმანიას ომის შემდგომ საბჭოთა მხარემ მოსთხოვა ტყვეებისა და ლეგიონერების გადაცემა. ტყვედ ჩავარდნილებს თავს უყრიდნენ საოკუპაციო ბანაკებში და იქიდან პირდაპირ გადასახლებაში, ციმბირში გზავნიდნენ. ამიტომ გიორგი ლოლუა იტალიაში დარჩა თავის მომავალ მეუღლესთან და შემდგომ იქორწინა კიდეც მასზე. გიორგი ლოლუამ მრავალი წელი გაატარა ტყვეობაში სხვადასხვა ქვეყანაში. თანამემამულე ემიგრანტების დახმარებით გარკვეული პერიოდი პარიზში იცხოვრა და შემდგომ სხვა ქართველებთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა.

გიორგი დედისერთა იყო. მამა, როგორც ვთქვით, ადრე გარდაეცვალა და საქართველოში მას მხოლოდ დედა ჰყავდა დარჩენილი. გიორგის ამერიკაში გამგზავრების შემდეგ, დედამისი, მინადორა აზიაში გადაასახლეს. მგლოვიარე დედა, რომელსაც 15 წლის განმავლობაში არ ჰქონდა შვილზე ინფორმაცია, სიხარულით წავიდა გადასახლებაში: „ჩემი შვილი ცოხალი ყოფილა, ისე ხომ არ გამასახლებდნენო“. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, გიორგის დედამ ნიკო ნაკაშიძის დისთვის გამოგზავნილი წერილიდან შეიტყო შვილის შესახებ. გიორგი დედას წერდა, რომ კანადაში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. ბოდიშს უხდიდა ამდენი წლის განმავლობაში რომ ვერ მისწერა წერილი მგლოვიარე დედას და თავისი შვილების შესახებ უამბობდა.[6]

გიორგი ლოლუა კანადაში ქალაქ ჰამილტონში ცხოვრობდა. თავისი პროფესიით 33 წლის განმავლობაში მთავარ ინჟინრად იმუშავა ერთ-ერთ უდიდეს მეტალურგიულ ქარხანაში. სანიმუშო მუშაობის შემდეგ გიორგი პენსიაში დიდი პატივითა და ჯილდოებით გააცილეს.

გიორგი ლოლუა პოლიგლოტი იყო. ის თავისუფლად საუბრობდა მრავალ ენაზე. მიუხედვად იმისა, რომ საკუთარი სიცოცხლის ნახევარზე მეტი ინგლისურენოვანი კანადის ნაწილში გაატარა, ინგლისური მისთვის მე-5 ენად ითვლებოდა. ის კარგად საუბრობდა ქართულად, რუსულად, გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად. იცოდა ბავშვობაში შესწავლილი მეგრული ენაც.[7]

იტალიაში ის შეხვდა მისი შვილების დედას ნატალია (ლია) დელლა პიეტრას. მიუხედავად იმისა, რომ ნატალიას მამას გიორგი არ მოსწონდა და მას „რუსს“ (რუსკის) უწოდებდა, ნატალიას დედა სიმპათიით იყო განწყობილი ახალგაზრდა კაცის მიმართ. საცეკვაო დარბაზიდან დაწყებული ურთიერთობა კანადაში გაგრძელდა.

---

5 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993, გვ. 308-336.

6 გ. შარაძე, გიორგი ლოლუა – გაზ. „სამშობლო“, 1990, N14, გვ.4-5, N15, გვ. 6.

7 ლ. ლოლუა, ინტერვიუ ლეილა ლოლუასთან, პირადი არქივი, 12. 12. 2020.

გიორგი ლოლუას მეუღლე ნატალია პროფესიით ტანსაცმლის დიზაინერი, ციურიხში, თეატრში მუშაობდა, როდესაც გიორგის კანადაში გადასვლაზე დათანხმდა. ისინი ბოლოს ერთმანეთს იტალია-შვეიცარიის საზღვარზე შეხვდნენ. გიორგი 4 წელი აგროვებდა ფულს იმისთვის, რომ ნატალია კანადაში ჩაეყვანა. დაეხმარა მას საბუთების მოწესრიგებაში და თვითმფრინავის ბილეთიც შეუძინა, 1955 წელს კი კანადაში შეუღლდნენ. შეეძინათ 3 შვილი: სანდრო 1956 წელს, ლეილა – 1957 წელს და სანდრა 1959 წელს. სავარაუდოდ, გიორგიმ შვილს სანდრო მამის, ალექსანდრეს პატივსაცემად დაარქვა, ხოლო ლეილა მისი დაღუპული მეგობრის სახელია, რომელიც ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. გიორგის შვილები აქტიურად არიან ჩართული კანადის სახელმწიფო თუ საჯარო სტრუქტურებში და ცდილობენ ისევე ღირსეულად ემსახურონ ქვეყანას, როგორც ეს გიორგი ლოლუამ გააკეთა.

1990 წლის 21 დეკემბერს გიორგი ლოლუა უკურნებელი სენით, კიბოთი გარდაიცვალა.[8] მისი მეუღლე კი დღემდე ცოცხალია და ვაჟთთან, სანდროსთან ახლოს ცხოვრობს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გიორგი მუშაობდა ავტობიოგრაფიაზე. გიორგი თავის ნაწერებში მოგვითხრობს ომზე და ასევე ხშირად საუბრობს საქართველოზე, ქართველებზე, ქართულ ტრადიციებსა და მოგონებებზე. აღსანიშნავია, რომ სიკვდილის წინ მას ყველა ენა დაავიწყდა და მეუღლეს თხოვდა, მხოლოდ ქართულად დალაპარაკებოდა.

გიორგი ლოლუა ომში წასვლამდე ლექსებს წერდა. მისი პირველი კრებული, რომელზეც ელო ანდრონიკაშვილის წარწერაა გაკეთებული, 1940 წლით თარიღდება.[9] 1941-1942 წლებში კი გაზეთებში „კომუნისტი“ და „თბილისი“ მისი რამდენიმე ლექსიც დაიბეჭდა. მისი ლექსები გამოქვეყნდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებშიც: ბერლინში – ჟურნალ „ქართველ ერში“ და გაზეთ „საქართველოში“. ამასთან, ლოლუას ლექსები მოხვდა ნინო და კალისტრატე სალიების ჟურნალში „ბედი ქართლისა“ და ვიქტორ ნოზაძის ჟურნალში „მამული“, რომელიც ბუენოს აირესში გამოიცემოდა. 1944 წელს ნოზაძისთვის გაგზავნილმა ორმა ლექსმა – „ტფილისური ნატურმორტები“ და „ქართველი ჯარისკაცის სიმღერა“ პოპულარობა მოუტანა და გრიგოლ რობაქიძის ყურადღება მიიქცია. „გავიხარე როგორც მწერალმა და როგორც ქართველმა“, – ასეთი შეფასებით დააჯილდოვა რობაქიძემ გიორგი ლოლუას ლექსი.[10]

გიორგი ლოლუამ 1939-1990 წლებით დათარიღებული ხელნაწერი ლექსების კრებული გურამ შარაძეს გამოუგზავნა. ეს შესანიშნავი ლექსები პატრიოტული მოტივითაა გამსჭვალული, „კვლავ საქართველოს ველ-მინდვრის და ლურჯი ცის ტყვე ვარ“, – წერს იგი. გიორგი თავის პოეზიაში ეხებოდა ისეთ თემატიკას, როგორიცაა: საქართველოს დამოუკიდებლობა და რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსია. „შენს ცაზე ქუფრი დაბინდდა ჩრდილი და შენს მიწაზე ისევ – ზამთარი“, – ასე აფასებს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ლოლუა. მან ლექსები მიუძღვნა მისთვის შთამაგონებელ და საყვარელ ადამიანებს: „დრო გაირბენს, საათები მოგიტანენ გათენებას“. გიორგი მუდამ აღიარებდა გალაკტიონის გენიალურობას და როგორც ამ სტრიქონში ჩანს, მის ლექსებზე ფიქრი არ აძინებდა: „ძილი გატყდა, ამდენ ფიქრებს დავემონე თუ ვეწამე, თუ უძილოთ ვტეხავთ ღამეს მე, ღამე და „მე და ღამე“.

---

8 გ. შარაძე, გიორგი ლოლუა, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993, გვ. 308-336.

9 გ. შარაძე, გიორგი ლოლუა, გაზ. „სამშობლო“, 1990, N14, გვ.4-5, N15, გვ. 6.

10 გ. კობახიძე, ქართველები კანადაში , გაზ. „თბილისი“, 1990, 9 მაისი, გვ. 6, 14-16 მაისი, გვ.6, 17 მაისი, გვ. 4.

გიორგიმ კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა სერგო ზაქარიაძის სიდიადე და მისი ტალანტი, რომელსაც თან მისი ფიზიკური მომხიბვლელობა ემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის კარგი გარეგნობის და საკმაოდ მაღალი იყო, ის სერგო სერგო ზაქარიაძესთან შედარებით, საკუთარ თავს თოჯინას ატოლებს. „გულის სიღრმიდან გაწოდებს ბგერებს, თვითნ მღერის და შენც აგამღერებს",- ასე აფასებს გიორგი სერგო ზაქარიაძის პიროვნებას.

15 წლის განმავლობაში გიორგის შაოსანი დედა გლოვობდა შვილს. ტყვეობაში ყოფნის გამო გიორგიმ ხმა ვერ მიაწვდინა მშობელ დედას, რომ ემცნო – ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. დიდი სევდა და და მონატრება ჩანს დედისთვის მიძღვნილ ლექსებში: „თბილისისკენ მიმავალო ლეგა ღრუბელო: უთხარ დედაჩემს ცოცხალი ვარ და უვნებელი".[11]

გიორგი ლოლუას სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს სამშობლოს სიყვარული, მშობლიური ენა, ქართული „ნატურ-მორტები" და ცდილობდა ხატოვნად გადმოეცა თავის გრძნობები.

სოციალური ქსელებით დავუკავშირდით გიორგი ლოლუას ქალიშვილს ლეილა ლოლუას და ჩავიწერეთ მასთან ინტერვიუ.[12] მან გაგვიზიარა მოგონებები მამასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 30 წელი გავიდა გიორგის გარდაცვალებიდან, შვილები დღემდე თბილად იხსენებენ მამის ღვაწლს და ენატრებათ იგი. ლეილამ ის დაახასიათა, როგორც კარგი ქმარი, მამა და მეგობარი. გვითხრა, რომ გიორგი მუდამ შვილებთან ერთად ატარებდა დროს და ყოველთვის ცდილობდა მამობრივი მზრუნველობა არ მოეკლო მათთვის. გიორგი არასდროს საუბრობდა ომზე და საჩუქარს უწოდებდა ომის შემდგომ ცხოვრებას, რადგან ომს შეეძლო შეეწირა მისი სიცოცხლე.

ლეილა იხსენებს, რომ ის სიცოცხლის ბოლომდე ამაყად ატარებდა ქართველის სახელს და როდესაც მას რუსად მოიხსენიებდნენ, ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ქართველობას.

ლეილას იხსენებს იმ ნობათსაც, რომელსაც ბებია მინადორა მათ საახალწლოდ უგზავნიდა. გოზინაყით, ჩურჩხელებით, აჯიკით, ტყემლით, სულუგუნითა და ტკბილეულით სავსე შეკვრების ასაღებად მისულ ლეილას დედას, ნატალიას, ხშირად უხდებოდა ახსნა-განმარტებები ფოსტის მოსამსახურეებისათვის თუ საიდან იყო ეს უცხო სახის საკვები. გიორგის კანადაში დედის ჩაყვანაც უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა: საბჭოთა ხელისუფლება დედამისს ქვეყნის დატოვებაზე იმ პირობით თანხმდებოდა თუ ის უკან აღარ დაბრუნდებოდა, ამიტომ ქალბატონმა მინადორამ სამშობლოში დარჩენა არჩია.

ლეილა ლოლუამ მოგვაწოდა საინტერესო ფაქტები სხვა ემიგრანტ ქართველებზეც. გიორგი 4 წელი ცდილობდა თანხა შეეგროვებინა მომავალი მეუღლის კანადაში ჩასაყვანად. იმ დროს ქართველი დიმიტრი გოგიშვილი იმყოფებოდა კანადაში მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. დიმიტრის სამსახურის შოვნა უჭირდა და მას ფეხზე დადგომაში გიორგი დახმარებია მეუღლისთვის გადანახული თანხით.

განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი ლოლუასა და კოტე აფხაზის ვაჟის – ნიკოლოზ აფხაზის შეხვედრის ისტორია. როგორც ლეილა ლოლუა გვიყვება, – მამამისი ტელევიზორში გადაცემას უყურებდა ბაღების შესახებ და იქ ნახა ნიკოლოზ აფხაზის შესანიშნავი ბაღი. ტელეფონით მალევე დაუკავშირდა მას და არაერთხელ ესტუმრა კიდეც თანამემამულის ბაღს ოჯახთან ერთად ქართული სამზარეულს დასაგემოვნებლად.

---

11 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993, გვ. 308-336.

12 ლ. ლოლუა, ინტერვიუ ლეილა ლოლუასთან, პირადი არქივი, 12. 12. 2020.

გიორგი ლოლუა სახლში არ ივიწყებდა თამადობის ქართულ ტრადიციას, ასევე ცდილობდა ქართული კერძების მომზადების ტრადიცია შეენარჩუნებინა ოჯახში.

ლეილა ლოლუა 2012 წელს ეწვია მამის მშობლიურ მხარეს. აღფრთოვანებული დარჩა საქართველოს სილამაზით. მოინახულა ემიგრაციის მუზეუმი, გაიგო, რომ იქ მამამისის ლექსების 2 კრებული ინახება და რომ გიორგი ლოლუა მშვენიერი პოეტია. ლეილამ დიდი სურვილი გამოთქვა – ითარგმნოს მამის ლექსები ინგლისურად და თუ ვინმე დაინტერესდება მსგავსი შემოთავაზებით – მზადაა დააფინანსოს იგი. ლეილა ლოლუამ გაგვაცნო ინგლისურ ენაზე შესრულებული მამის დაუსრულებელი ავტობიოგრაფია, ბავშვობის ფოტოები და გამოთქვა სურვილი, რომ ხელმეორედ ჩამოვიდეს საქართველოში.

გიორგი ლოლუა მართლაც ღირსეული ქართველი იყო, რომელიც არასდროს ივიწყებდა თავის ქვეყანასა და ოჯახს. არასდროს ივიწყებდა ქართულ ფესვებს, მუდამ ეკონტაქტებოდა იმ მცირერიცხოვან ქართველებს, რომლებიც იმ დროს კანადაში ცხოვრობდნენ და მათ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც. მან კანადაში 33 წელი იმუშავა ინჟინრად მეტალურგიულ ქარხანაში და ქვეყნის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა.

სამწუხაროა, რომ გიორგი ლოლუამ ვერ მოახერხა ავტობიოგრაფიის დასრულება. მისი ნაწერების თარგმნა საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი გავიგოთ ემიგრანტი თანამემამულის მოღვაწეობისა და პოეტური შემოქმედების შესახებ. ინგლისურ ენაზე გიორგის ლექსების თარგმნაც არანაკლებ ინტერესს გამოიწვევს მის შთამომავლებში, რომლებიც მან კანადაში დატოვა. მისი ნაშრომებისა და ლექსების ერთ წიგნად გაერთიანება და გამოცემა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ქართული ემიგრაციის ისტორიის შესასწავლად.

LUKA LOLUA

Giorgi Lolua

Summary

The article tells about the life and work of Georgian emigrant Giorgi Lolua. His biography began in a small village in Samegrelo and ended in Canada. During the Second World War, Giorgi Lolua went through many trials and tribulations, he was captured many times. He escaped death with the help of Georgian emigrants and continued to live in Canada from 1951. Worked for 30 years in Canada. Head of Division of Metallurgical Plant in Hamilton. He discovered creative talent, writing poems. It has also been published in several emigrant presses. He also has memoirs written in English about World War II. Giorgi Lolua died of cancer with incurable disease and never returned to Georgia. George's Italian wife and three children live with their families in Canada and bear the surname Lolua. George's daughter Leila Lolua came to Georgia and saw a manuscript collection of her father's poems at the Emigration Museum. I contacted Leila through the internet and in the article I included the life memories or facts about her father that she remembered during the interview.

კარლო ჩხეიძე

ვარლამ ჩერქეზიშვილის ხსოვნას

როგორც მაგონდება, ეს იყო 1900 წ. მაშინ ბათუმში ვცხოვრობდი. ღამის ათი საათი იქნებოდა სახლში რომ მივედი, მითხრეს ვარლამ ჩერქეზიშვილი გვესტუმრაო. შევედი, მივესალმე ვარლამს (ეს პირველი შეხვედრა იყო). მან ხელი მომცა და ზედ დაატანა: „ოხ, თქვენი ტუგანი (ბარანოვსკი)! მარქსი! რას შვრებით, რას ჩადიხართ მარქსისტებო“ – გთხოვთ, ბატონო, დაბრძანდეთ. ჯერ დაისვენეთ, დაღლილი იქნებით და მერე ვილაპარაკოთ ამაზე მეთქი, დავაპირე მეთქვა, მაგრამ ამაოთ: აღელვებული ვარლამი თავისას განაგრძობდა. პირველივე მისი სიტყვებიდან და ლაპარაკის კილოდან მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ ის ევროპიდან საქართველოში სწორეთ იმიტომ წამოსულა, რომ ჩვენ წინააღმდეგ კამპანია აწარმოოს. რამოდენიმე დღე დაჰყო მან ჩემსას (რასაკვირველია, ის მაშინ არალეგალურათ ცხოვრობდა) და მთელი ეს დღეები ჩაატარა ჩვენთან გაუწყვეტელ ცხარე კამათში. შემდეგ ეს პოლემიკა, როგორც მახსოვს გაგრძელდა ლანჩხუთში, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა: ვერც ლანჩხუთში აღმოჩნდა საერთო რამ ბაკუნინსა და მარქსის მოძღვრებას შორის.

იმ ხანათ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, როგორც შეურიგებელი მოწინააღმდეგენი, და ასევე დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ მოწინააღმდეგემ ჩემში დასტოვა მისდამი დიდი სიმპატია და პატივისცემა.

მეორეთ ვარლამი ვინახულე 1919 წლის დამდეგს პარიზის კონფერენციაზე წამოსვლის წინეთ, მახსოვს მაშინდელი მისი დრტვინვა. ვაი თუ სავსებით ამოწურული ვერ იქნეს ასეთ დროს მთელი მნიშვნელობა იმ ფაქტის, რომ ჩვენ რუსეთთან ხელშეკრულება გვქონდა, რომ რუსეთმა ეს ხელშეკრულობა დაარღვია; ახლა რუსეთი უკვე დაირღვა და ჩვენი უფლება აღდგენილია. ბევრი მწვავე საკითხი გვიდგა მაშინ დღის წესრიგში, მაგრამ ვარლამის მთელი არსება საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრით იყო მოცული.

უკანასკნელათ ვ. ჩერქეზიშვილს შევხვდი 1921 წლის ნოემბერში ლონდონში. მისი სიტყვები, რომელიც მე ძლიერ ხშირად მაგონდება იყო: „ჩვენ გაგვათავისუფლებენ“.

რაოდენი რწმენა, იდეალიზმი და ქართველი ხალხისადმი სიყვარული მომესმა მე ამ სიტყვებში, რაოდენათ ღრმად სწამდა მას, რომ სიმართლე, მართალი საქმე გაიმარჯვებს, რომ განათლებულმა კაცობრიობამ საქართველოს თავისუფლება უნდა აღუდგინოს: რომ ქართველმა ხალხმა თავისუფლება დაიმსახურა და მას ამაში უარს ვერავინ ეტყვის.

დიახ, უღრმესი სიყვარული თავის ქვეყნისადმი, შეურყეველი რწმენა, რომ კაცობრიობა წინ მიდის და მასთან ერთად იქნება ქართველი ხალხი. აი რა ასულდგმულებდა განსვენებულ ვ. ჩერქეზიშვილს.

რევოლიუციის დროს ჩემ სოფელში ჩავედიო, მითხრა მან ერთხელ. აქ ჩემი ხნის გლეხმა მოიგონა დიდი ხნის წარსული და სხვათა შორის მითხრა: „ვარლამ, ხედავ; აი ეს შენი მიწაა, ის შენი ვენახია“... მახსოვს ვარლამის გაღიმება, როცა ამას ამბობდა: ეს ღიმილი მე მეჩვენება იმის მოთხრობათ, რომ მან, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, დიდი ხანია დასტოვა თავისი მიწის ნაჭრები იმავ გლეხისათვის და პირად კეთილდღეობას ამჯობინა საქვეყნო საქმის სამსახური და იდეალისათვის ბრძოლა. ამას შესწირა მან უნაკლულოთ თავის ხანგრძლივი ცხოვრება; ამას გვასწავლიდა აწ განსვენებული.

თავის ხალხისადმი მხურვალე სიყვარულის მატარებელი და მისი ბედნიერებისთვის დაუღალავი მუშაკი, ის სრულიად თავისუფალი იყო შოვინიზმისა და მასზე აშენებული ანგარიშებისა და კომბინაციებისაგან, მოკლებული სამშობლოში მუშაობის საშუალებას, ის სხვაგან, სხვის ქვეყანაში, სხვა ხალხებში სთესდა სიყვარულს და ნდობას ქართველი ხალხისადმი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ვერ მოესწრო საქართველოს განთავისუფლებას, მაგრამ მან დაგვიტოვა ურყევი რწმენა, რომ საქართველო განთავისუფლდება. მას ხალხი არ დაივიწყებს, და მის ანდერძს განახორციელებს.

ჟურნალი „ბრძოლა“, პარიზი, სექტემბერი, 1925, №3.

ვარლამ ჩერქეზიშვილი

მოგონება

ეს იყო ნისლიან შემოდგომას 1909 წ., ლონდონის ერთ უსუფთაო უბანში უაიტ-ჩეპლში, სადაც პირველათ შევხვდი ვარლამ ჩერქეზიშვილს: ის იქ მოსულიყო, როგორც მე, თავის მეგობარ კროპოტკინთან ერთათ, რუსეთის ემიგრანტთა ერთ-ერთ კრებაზე. ორ „თავად-ანარქისტს“, როგორც მათ ინგლისელები უწოდებდენ, უფრო მეგობრულათ, ვინემ ირონიით, საპატიო ადგილი ეჭირათ კრებაზე.

გათავდა მოხსენება, დაიწყეს დისკუსია. ვნახოთ, ვარლამი სიტყვას იღებს. ლაპარაკობს ცოტას, მოჭრით, ფიცხობს, მაგრამ ამ სიფიცხეში ადვილათ არჩევთ დიდ გრძნობას, სითბოს. ვერ მოესწრო გათავება, რომ მე მის გვერდით გავჩნდი. როგორ? თქვენ ლონდონში ხართ და მე არ მნახეთ, მიუტევებელია! – მომმართა ვარლამმა; ჩაიწერა მისამართი და მაშინვე წარუდგინა ჩემი თავი კროპოტკინს.

მეორე დღეს ვარლამი უკვე ჩვენსას გაჩნდა მეუღლითურთ, გაუფრთხილებლათ, რასაკვირველია. ისე მოგვეპყრენ ორივე, როგორც კარგ ნათესავებს. გამოგვკითხეს როგორ მოვეწყვეთ, რას ვაკეთებდით. ვერ ვასწრებდით პასუხს, რომ მყისვე ვიღებდით მათგან რჩევა-დარიგებას. გავათავეთ იმით, რომ მე ინგლისურის გაკვეთილები ვარლამის მეუღლესთან ამეღო და ამისათვის კვირაში ორხელ უნდა მევლო მათთან. ამის შემდეგ ჩვენ ძალიან ხშირათ ვხვდებოდით ერთმანეთს თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. სანამ ლონდონს დავტოვებდით.

ამ გაკვეთილების დროს მე დავინახე, თუ რა დიდ განძს წარმოადგენდა ვარლამისთვის მისი შედარებით ახალგაზრდა მეუღლე ტომით ჰოლანდიელი, ხოლო გულით ნამდვილი ქართველი, ის დიდ დახმარებას უწევდა ქმარს, ან უკეთ – მეგობარს სამწერლო ასპარეზზე. ჩინებულათ მცოდნე სამივე ევროპიულ დიდი ენისა, ქ-ბ ფრიდას სწრაფათ გადაჰქონდა ქაღალდზე ვარლამის ნაკარნახევი, და თან გზა და გზა შეჰქონდა მას თავისი წვლილიც როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით.

მთავარ წყაროს არსებობისა ვარლამი იღებდა მაშინ შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან, რომელსაც ის აწოდებდა სახელდახელო ცნობებს მსოფლიო ბაზრის ფასებზე, და აგრეთვე ურდგენდა მას წლიდან წლამდე სტატისტიკურ კრებულს იმავე საგანზე.

ვარლამი დაბადებული პროპაგანდისტი იყო ქართული საქმისა უცხოეთში. მან იქ მოუპოვა საქართველოს მრავალი გულწრფელი მეგობარი, და ყოველ დალხინება-გაჭირვების დროს, ყოველ ამოძახილზე საქართველოდან, ის უხვათ სარგებლობდა მეგობრების თანაგრძნობას და დახმარებას საქვეყნო საქმისთვის.

სრულიად განსაკუთრებული იყო ვარლამის მეგობრობა ქართველთა უანგარო მოამაგე და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპთან. ამ მეგობრობას, იმედია, უფრო მცოდნე აღმწერი აღმოუჩნდება. ვერ ავუვლი მხოლოდ გვერდს შოთას მთარგმნელის დასაფლავებას, რომელსაც დავესწარით 1910 წ. ზამთარში სევე-

ნოკში (შვიდი მუხა), უორდროპების სოფელში. არ დამავიწყდება სურათი, როცა ვარლამი უშვებდა განსვენებულის საფლავში ჩვენს გვირგვინს. მარჯორის თვითონ დაებარებია ანდერძად, ვინცობაა ქართველებმა მოიტანონ გვირგვინი, საფლავში ჩამატანეთო.

ვარლამი ნამდვილი პიონერი იყო ჩვენი საქმისა უცხოეთში. მან დააყენა იქ პირველათ ჩვენი საკითხი პოლიტიკურათ: მე ვგულისხმობ პეტიციას, ქართველ ერის სახელით წარდგენილს ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე 1907 წელს. ვარლამს უყვარდა ხოლმე ამ ნაბიჯზე ლაპარაკი. ერთს მშვენიერ დღეს – მიამბობდა ვარლამი ღიმილით – როცა სხდომა გაიხსნა, კონფერენციის ყველა დელეგატებს, მათ შორის მეფის დელეგატს და თავმჯდომარეს, პეტიცია წინ მაგიდაზე ედოთ! ამ ფაქტმა სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა და გამოხმაურებაც ჰპოვა პრესაში, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ნიკოლოზის გავლენას, რომელიც იყო მომწვევი თვით კონფერენციისა, პეტიციას განხილვა არ ღირსებია.

აქ საჭიროა ითქვას ორიოდე სიტყვა პეტიციის შინაარსზე, სავსებით დაყრდნობილზე იმ ტრაქტატზე, რომელიც ერეკლე მეორემ და ეკატერინე მეორემ დასდეს 1783 წ. ხშირათ მსმენია, უმეტესათ ირონიით, ვარლამი ტრაქტატის ფანატიკოსიაო. ეს მართალია, ვარლამი თვითონაც სწერდა და სხვებსაც სულ იმას ჩასჩიჩინებდა არ დაევიწყნათ ტრაქტატის გამოყენება. დღეს, ვფიქრობ, ამდენი ამბების მოწმენი, არ ვსაჭიროებთ იმის მტკიცებას, რომ ვარლამი უაღრესათ მართალი იყო. ჩაგვჩიჩინებდა იმიტომ, რომ ხედავდა, რა უდარდელათ, მეტი რომ არ ვსთქვა, ვექცეოდით ჩვენს წარსულს საზოგადოთ და ამ დოკუმენტს კერძოთ.

ადვილათ წარმოსადგენია, რამდენათ აუცილებელი იყო ვარლამისთვის ტრაქტატის მომარჯვება მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა არამც თუ დამოუკიდებელი არსებობა, არამედ თვით სიტყვა საქართველოს კონვერტზე წარწერაც აღკვეთილი იყო! ვარლამმა კარგათ იცოდა უცხოელის ფსიქოლოგია. მარტო ის ფაქტი, რომ დიდათ წოდებულმა ეკატერინემ საერთაშორისო ხელშეკრულება დასდო ერეკლესთან, სულ სხვა ელფერს სდებდა საქართველოს საკითხს, მის წარსულსა და აწმყოს.

მაგრამ ვარლამის მოღვაწეობა მარტო ამაში როდი მდგომარეობდა. ის აცნობდა უცხოეთს საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, ხელოვნებას, რამდენათაც ეს მარტოხელა და ღარიბ ემიგრანტისათვის მისაწდომი იყო. ის, ჩვენი ლონდონში ყოფნის დროს, სისტემატიურათ თანამშრომლობდა ნიუ-იორკის ერთ დიდ გაზეთში და ხშირათ გვაჩვენებდა მის ფურცლებზე წერილებს საქართველოს შესახებ, რომელსაც ზედ დართული ჰქონდა ჩვენი დაბა-ქალაქების, ციხე-მონასტრების, ტიპების ნახატები.

მეორეს მხრით, აღსანიშნავია ვარლამის მოკლე და ცოცხალი წერილები „რედაქციისადმი“, რომელიც დრო და დრო თავსდებოდა სხვა დიდ გაზეთებში, როგორიცაა „ტაიმსი“, „მანჩესტერ გარდიან“ და სხვ. ინგლისში წერილები რედაქციისადმი პუბლიცისტიკის ცალკე დარგს ეკუთვნის; ამ საშუალებას მიმართავენ ხოლმე ცნობილი მწერლები და სახელმწიფო მოღვაწენი და ასეთი წერილები დიდ ყურადღებას იპყრობს. ვარლამიც ასე იქცეოდა, როგორც ვთქვი, და არც ერთი რედაქცია არ შეკადრებდა მას გაწბილებას, ისე პატივსადები იყო მისი სახელი.

ვარლამი თავის ერის ნამდვილი მოჭირნახულე იყო. მისი გრძნობიარე აგებულება მთლათ აღიგზნებოდა ხოლმე ქართველთა როგორც ჭირის, ისე ლხინის გაგონებაზე. მრავალ და მრავალ წლობით სამშობლოსაგან დაშორება მას გულს უკლავდა. ამიტომ, როგორც კი დადგა 1905 და 1906 წლები, ის მიექანება იქითკენ

და იღებს მონაწილეობას მოძრაობაში. მას თან ახლდა, ქ-ბ ფრიდას გარდა, ჩვენი დიდი მეგობარი, ტომით ირლანდიელი, ქ-ბ დრაჰორსტ, რომელიც ჩამოატარა მთელ საქართველოში. იმავ დროსვე ის გზავნის საყურადღებო კორესპონდენციებს ინგლის-ამერიკის გაზეთებში.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ ისევ გარბის ინგლისში და ცეცხლს აფრქვევს მტარვალთა წინააღმდეგ, რომელთაც ააოხრეს დასავლეთი საქართველო. აარსებს ქართველ ქალთა მეგობრების საზოგადოებას და აგროვებს ფულს უმწეოთ დარჩენილ ჩვენი ქვრივ-ობლებისათვის. უფრო გვიან ის აარსებს ქართულ კომიტეტს (ჯორჯიან კომიტიი) ბ. მორისის და ქ-ბ დაჰორსტის მეთაურობით.

ვარლამი გაუსწორებელი ოპტიმისტი იყო. არ შემხვედრია ერთი ქართველიც, ვისაც ისე სწამდა საქართველოს მომავალი, როგორც მას. ეს იყო არა მარტო რწმენა, არამედ სარწმუნოება მისთვის. არ დამავიწყდება ერთი გრძელი და ცხარე კამათი ვარლამთან. ქ-ბ ფრიდა თავაზიანათ მთხოვდა მეორე დღეს ასეთი რამე არ განმეორებულიყო: კიდევ ერთი ასეთი კამათი და ვარლამი ზედ გადაყვებაო – მიხსნიდა ის.

ვარლამის დებულება მდგომარეობდა შემდეგში: რუსეთის იმპერია ჩქარა დაინგრევა (კამათი იყო 1910 წ.), როგორც ძველი რომის იმპერია და მაშინ საქართველო განთავისუფლდებაო. მე ეს არ დავიჯერე, ან უკეთ – ვერ დავიჯერე და აი რომ აირია მონასტერი, დამავიწყდა უბრალო უმცროს-უფროსობაც, ვიმაღლებდი ხმას, ვაწყვეტინებდი. ვარლამიც ჩემზე მეტათ ცხარობდა, მაგრამ მას ეს შვენოდა. მისი ბრალიც იყო! ის ისეთი გულჩვილი და თავდაბალი იყო, რომ ბალღსაც კი გამოეკამათებოდა. მეც ამან გამათამამა.

მეორეხელ ვარლამი უკვე თავისუფალ საქართველოში ვნახე 1920 წ. შეხვედრის უმალ ჩვენ თვალი თვალს გავუყარეთ და თავში ლონდონის კამათმა გაგვიელვა, ენა კი არ დაგვიძრავს: მე ვარლამის სახეში ვკითხულობდი გამარჯვებას, ის კი ჩემსაში დამარცხებას...

მამა დავითის აღმართზე თქვენ დაინახავდით ერთ სოფლურ ქვიტკირის ოდას; მეორე სართულზე მიმავალი კიბე ფრთხილათ უნდა აგეცლოთ, რომ არ დამტრეულიყავით, და იქ იხილავდით ვარლამს და ქ-ბ ფრიდას ორ ოთახში – მთელს სართულში მეტი არც იყო. ესეც ნათესავს ეთხოვებია მათთვის. მეტათ უჭირდათ მათ ყოველ დღე ქალაქში დაშვება და ამოსვლა, ისინი ხომ აქაც თავის შრომით ირჩენდენ თავს, თან სადილიც დაბლა უნდა ეჭამათ. ბევრი ეცადენ ბინის გამოცვლას, მეგობრებიც ეხმარებოდენ, ვერას გახდნენ; ვარლამი შერჩა თავის ოდას სამშობლოს დამხობის შემდეგაც მთელი ერთი წელი.

ასე გაუმასპინძლდა ვარლამს თავისუფალი საქართველო! ცხოვრობდა გაცილებით უარესათ, ვინემ ლონდონში. მიუხედავად ამისა, ვერც გაიგონებდით მისი პირიდან საყვედურს ვისმეს, ან რისმეს მიმართ. მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება მართველებზე მასზე არ მოქმედებდა. არაფერია, მიხთრა მან ერთხელ, ახალი სახელმწიფოა, ჯერ გამოუცდელი არიან, უნდა მოვითმინოთ; თავი და თავია გარეშე მტერმა არ გაგვსრისოს, თუ ამას გადავურჩით, თან და თან გამოსწორდება ყველაფერიო.

1922 წ. გენუაში ვიყავით, როცა ევროპაში ახლათ დაბრუნებულ ვარლამისაგან მქუხარე წერილი მივიღეთ, ჩიჩერინისადმი მიმართული. იქ ის ამხელდა ახალი მტარვალების დაუჯერებელ უტიფრობას, ვითომ ქართველ მშრომელ ხალხს თვითონ შემოეყვანოს რუსის ურდოები თავის მიწა-წყალზე. წერილმა მოიარა მთელი პრესა და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ერთი თვე დაჰყო ვარლამმა პარიზში და შემდეგ ისევ ლონდონში გადავიდა საცხოვრებლათ. მას ოდნავათაც არ გასტეხია გული, მისი იმედები ეხლა უფრო ძლიერი იყო, ვინემ ოდესმე. მუშაობდა დაუღალავათ თავის საყვარელ საქმისთვის. ერთხელ მან განმიცხადა, რომ ფიქრობს საქართველოში წასვლას: დეე, რაც უნდა მიყონ, ერთი გული მოვიჯერო მათი საჯაროთ გამათრახებითო, მაგრამ მას უკვე ეტყობოდა სახეზე, რომ ამას ვერ შესძლებდა ფიზიკურათ, იმდენათ მოქანცული და დაავადებული იყო.

არაჩვეულებრივი იყო ვარლამის სიკვდილი, ისე როგორც მთელი მისი ცხოვრება. მან ენა აიდგა! ასქმე იმაშია, რომ ვარლამი ბავშვობიდან რუსეთში იზრდებოდა, არ ეხერხებოდა ქართული, თუმცა ესმოდა და სწერდა კიდეც. ჩემთან იყო ეკა ჩერქეზიშვილი, ვარლამის ძმის ქალი, და მან გადმომცა, რომ ვარლამი სიკვდილის წინ მარტო ქართულათ და ისიც გასაოცრათ წმინდათ ლაპარაკობდაო: თვით ბიცოლა ფრიდასაც არ ელაპარაკებოდა სხვა ენაზე და მიხდებოდა მისთვის თარგმნაო. ვარლამი, იმავე ეკას გადმოცემით, თავს საქართველოში გრძნობდა, ებაასებოდა თურმე იქ დარჩენილ მეგობრებს, იგონებდა ბავშვობას, ერთი სიტყვით, ოცნებაში სცურავდა.

ვარლამი დასწვეს, მხოლოდ ფერფლიღა დაგვრჩა – რამდენათ გაადვილებულია მისი გადატანა ჩვენში! ეგეც სიმბოლურია ჩვენთვის. ვარლამმა შესწირა მთელი თავისი არსება ქართველ ხალხს და სიკვდილს ჟამსაც იმაზე იზრუნა, რომ მას, ხალხს, არ გაძნელებოდა წმინდა მოვალეობის მოხდა დაუვიწყარ მოჭირნახულეს მიმართ.

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“,
პარიზი,1938 წ., თებერვალი, №143.

ვარლამ ჩერქეზიშვილი

წერილი ჩიჩერინს

გაზ. „პეპლში“ მოთავსებულია მხცოვან ქართველ რევოლიუციონერის ვარლამ ჩერქეზიშვილის ღია წერილი, რომლითაც მან მიმართა გენუაში მყოფ მოსკოვის საგარეო საქმეთა კომისარს ბ-ნ ჩიჩერინს, მოგვყავს იგი სრულათ!

„მოწყალეო ხელმწიფევ!

საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, თქვენის პირით, რომ რუსეთის ეკონომიური კრიზისი, განსაკუთრებით, გამოწვეულია უცხოელ ჯარების ინტერვენციით რუსეთის საბჭოების საშინაო ცხოვრებაში. თავისთავათ ცხადია, რომ უცხო სახელმწიფოების შეიარაღებული ინტერვენცია რომელიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოს საშინაო ცხოვრებაში არის შელახვა საერთაშორისო სამართლიანობის პრინციპებისა.

განათლებულ კაცობრიობას და, განსაკუთრებით დემოკრატიას არა ერთხელ დაუგმია ყოველი ცდა ერის წმინდა უფლების გათელვისა, თავისი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მოწყობისათვის. მეცხრამეტე საუკუნის ისტორიამ სასტიკათ გაჰკიცხა რუსეთის დესპოტის ნიკოლოზ პირველის მოქმედება, რომელმაც ავსტრიის იმპერატორის მოწოდებით რუსის ჯარი შეასია რევოლიუციონერ ჰუნგრეთს კოშუტის დროს 1849 წელში.

მე ვიმეორებ, რომ თქვენ მართალი ხართ, როდესაც პროტესტს აცხადებთ უცხოელთა ინტერვენციის გამო მთელი მისი გამანადგურებელი შედეგების.

მაგრამ ამავე დროს, რისთვის გაიმეორა თქვენმა მთავრობამ, ტროცკის ინიციატივით, იგივე ბოროტ-მოქმედება საქართველოს მიმართ?

რისთვის შეასია ომის გამოუცხადებლათ თქვენმა მთავრობამ მეფის ყოფილი გენერლის გეკერის სარდლობით ასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი პატარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის დამოუკიდებლობა ოფიციალურათ იყო ცნობილი არა მარტო ევროპის სახელმწიფოთაგან, არამედ თვით რუსეთის მიერ?

რისთვის შეესია ეს ჯარი საქართველოს როგორც დაპყრობილ ქვეყანას და მეთოდიურათ ანადგურებს მის სიმდიდრეთ ორთქლმავლებისაგან და ტრამვაის ვაგონთაგან დაწყებული, უკანასკნელ ქინძის თავამდე?

რისთვის იქნა ეს ნადავლი გაგზავნილი რუსეთში ასეთი ცინიკური წარწერით: „წითელ რუსეთს, საჩუქრათ წითელ საქართველოსაგან?“

რისთვის შემოილო დაუყონებლივ ამ ჯარმა „ჩეკა“ – ეს შედევრი საბჭოთა რეჟიმისა და მისი საშუალებით მოსპო სიტყვის, პრესის, კრების და ყველა სხვა თავისუფლებანი, რომელნიც ევროპის დემოკრატიამ მხოლოდ საუკუნეთა ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვა?

რისთვის შემოათრიეთ ჩვენში ამ ჯართან ერთად, როგორც თქვენი კომისრები რეაქციონერები, როგორც ბრეხნიჩევი, პოტაპოვი, ევრეევი და სხვანი, რომელნიც მეფის დროს, „შავრაზმელთა“ თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო ეხლა სისტემატიურათ ანადგურებენ საქართველოს ეროვნულ და დემოკრატიულ დაწესებულებებს.

როდესაც თქვენი ჯარი საქართველოში შემოვიდა, რუსეთმა განაცხადა, რომ, როგორც კი საბჭოებს აირჩევენ, იგი დაუყოვნებლივ უკანვე იქნება გაწვეული, რუსეთის ჯარები არამც თუ არ წავიდნენ, 14 თვის ოკუპაციის შემდეგ, ისინი კიდევ უფრო მედგრათ ავიწროებენ საქართველოს ხალხს. საქართველო განიცდის უმძიმეს პერიოდს პო-

ლიტიკური შევიწროებისა და ეკონომიური განადგურების, რომლის მსგავსი მონგოლთა შემოსევის დროსაც არ განუცდია.

და კიდევ ერთხელ გეკითხებით! რისთვის?

მისთვის რომ – განაცხადა მოსკოვმა – რუსები მიწვეულ იქმნენ თვით საქართველოს მიერ!

ეს არის აშკარა სიცრუე და მე ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ამის წინააღმდეგ. მე ვიყავი ამ დროს საქართველოში და როგორც რევოლიუციონერი, რომელიც 50 წლის განმავლობაში რუსეთსა და იმპერიალიზმისაგან ტანჯულ ერთა თავისუფლებისათვის იბრძოდა, გარწმუნებთ რომ ქართველ ხალხისაგან მე არ მსმენია სურვილი უცხო ჯარის მოწვევისა, მთავრობის დამხობის და ახალი წყობილების დამყარებისა რუსეთის ხიშტების საშუალებით, არც საქართველოს პარლამენტს და არც ერთ მუშათა, ან გლეხთა ორგანიზაციას არასოდეს არ მოუწვევია მოსკოვის ჯარები. შეიძლება მოსძებნოთ მხოლოდ ექვსიოდე, თქვენს სამსახურში მყოფი, ქართველი ვიგინდარა, რომელნიც პირადი ინტერესის გამო, მზათ ყოფილიყვნენ საკუთარი სამშობლო გაეწირათ და თქვენ და თქვენი ჯარი საქართველოში მოეწვიეთ.

მაგრამ თვით ქართველი ხალხი მთელი ერთი თვის განმავლობაში გმირულათ იბრძოდა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ და უკვე დაპყრობილი, განაგრძობს წინააღმდეგობის მანიფესტაციის, გაფიცვების და აჯანყებების გზით.

ამის საპასუხოთ, თქვენ ათასობით ქართველნი ჩაყარეთ ციხეებში, დაანგრიეთ მუშათა ორგანიზაციები და რეკვიზიციების საშუალებით ისე გაანადგურეთ გლეხობა რომ, ამერიკელთა დამხმარე საზოგადოების ოფიციალური რწმუნებით, საქართველო უკვე შიმშილს განიცდის.

თქვენი მსხვერპლნი გახდენ, უმთავრესათ, თქვენისთანავე სოციალისტები და მარქსისტები, მაგრამ რომელთაც უყვართ თავისუფლება ეროვნებისა და პიროვნების; ეს ხალხი თქვენ ჩაყარეთ ბინძურ და აუტანელ სარდაფებში, სადაც სიცოცხლეს გამოესალმა მრავალი პიონერი რუსეთის რევოლიუციისა.

თქვენ მოსპეთ ქართველი ხალხის დედა-ენის ხმარება და დაწესებულებები აავსეთ რუსებით და სხვა ეროვნებათა ნაძირალებით; შეიძლება, თამამად ითქვას, რომ საქართველო ისრისება დღეს უცხოელთა მილიტარისტული ბიუროკრატიის ქვეშ.

და ამას უწოდებთ თქვენ „მეგობრულ მოპატიჟებას?“

ეს ბარბაროსული შემოსევა საქართველოში, მისი ეკონომიური განადგურებით, პოლიტიკური შევიწროებით და კომუნისტური წყობილების იძულებითი დამყარებით, შავ და საშინელ ფურცლათ დარჩება ბოლშევიკების ისტორიის ანალებში – ეს არის თქვენი გარდამწყვეტი ნაბიჯი მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის გზაზე.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა თქვენ უნდა იცოდეთ, რომ საქართველო არასოდეს არ ყოფილა რუსეთის პროვინცია – ეს იყო სახელმწიფო დაკავშირებული მასთან ხელშეკრულებით, როგორც ნორვეგია შვეციასთან, ან ჰუნგრეთი ავსტრიასთან.

ჯერ კიდევ არის დრო გადავარჩინოთ და დავიცვათ ცოტა რამ მაინც რუსეთის რევოლიუციის იდეალებისაგან, რასაც შეეწირენ საუკეთესო რუსნი და ქართველნი: რასაც თქვენ ეძებთ გენუაში რუსეთისათვის, ნუ წაართმევთ სხვა ერებს: გაიყვანეთ თქვენი ჯარები საქართველოდან და აღუდგინეთ ქართველ ხალხს უფლება იცხოვროს და იმუშაოს თავისუფლების და მშვიდობიანობის პირობაში.

ჟურალი „თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი, 1922, # 22, 21 მაისი, გვ. 12-14.

როსტომ ჩხეიძე

ბედისწერის დანაღმულ ველზე

(ქეთევან ტომარაძე – მეგზურად კატი დადეშქელიანისა)

რას წარმოვიდგენდით, თუ ქართველი ავტორი შეიძლებოდა მოხსენიებულიყო ჯერომ ჯერომის, სომერსეტ მოემის, ერნესტ ჰემინგუეისა და სხვა მწერალთა გვერდით.

არადა აგერ თავისუფალი ენციკლოპედია სათაურით „პირველი მსოფლიო ომის დროს საველე ლაზარეთის ორგანიზატორთა ნუსხა" გამოაქვეყნებდა ჩამონათვალს, რომელშიც ომის მონაწილე სახელოვანი ადამიანები პროფესიული ნიშნით გაერთიანდებოდნენ და მათ შორის გამოჩნდებოდა ქართული გვარ-სახელიც.

– ბევრი ამერიკელი მწერალი მოგვიანებით დაკარგულ თაობასთან გაიგივდა, – დასძენდა სტატიის ავტორი და ასეთი განწყობით გააცნობდა მკითხველს პიროვნულ და მწერლურ ღირსებას... კატი დადეშქელიანისა, დასავლეთში ერთი ყველაზე პოპულარული ავტორისა, რომლის მემუარებსაც – უფრო ნიშანდობლივი განსაზღვრით კი ავტობიოგრაფიულ რომანს – „თავადის ქალი მუნდირში" ახლაღა უნდა შემოეღწია ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო", 2021).

ინგლისურიდან უნდა გადმოეღო და ვრცელი ნარკვევიც – „მამაცი და გონიერი, უიღბლო და მშვენიერი კატი" – დაერთო ქეთევან ტომარაძეს და ჩვენამდეც მოეტანა მღელვარებითა და დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალი პირველი მსოფლიო ომის დროს დასავლეთის წინა ხაზზე „ველურ დივიზიაში" მებრძოლი, მამაკაცის მუნდირში გამოწყობილი მშვენიერი ქართველი ქალისა, რომელიც სწორედაც მეომრად და არა მოწყალების დად მონაწილეობდა ომში, რომელიც თავისი ულმობელობითა და სისხლიანობით აჭარბებდა ყველა მანამდე გადახდილ ომს მსოფლიო ისტორიაში.

კატი დადეშქელიანის მემუარები ფრანგულად დაიწერებოდა, მაგრამ გავრცელებით გავრცელდებოდა მისი ინგლისური ვერსია, მომზადებული არტურ ეშტონის მიერ და დასავლელი მკითხველის თვალსაწიერში შემოტანილი ბრედლის სააგენტოსაგან, რომლის კლიენტთა შორისაც შეხვდებით ისეთ აღიარებულ მწერლებსა და მკვლევარებს, როგორებიც არიან: მედოქს ფორდი, ჯეიმზ ჯოისი, ერნესტ ჰემინგუეი, გერტრუდა სტაინი, რიჩარდ რაიტი, ანდრე მალრო თუ სხვანი.

ამ სააგენტოს არქივში, რომელიც მოიცავს 36 მილიონ ხელნაწერს, ინახება კატი დადეშქელიანის მემუარების ხელნაწერიც, რომლის მოპოვებაც და ტექსტის ინგლისურ თარგმანთან შედარებაც მართლაც რომ მრავალ საგულისხმო ნიუანსს გამოავლენს, რაც კიდევ უფრო დააინტერესებთ მკვლევარებს მის შესასწავლად როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით.

მითუმეტეს, რომ:

წიგნის ერთიანი სტრუქტურა თუ ცალკეული ეპიზოდები ქეთევან ტომარაძეს გაუჩენდა ეჭვს, არტურ ეშტონმა კუპიურებით ხომ არა თარგმნა ქართველი ქალის მემუარები მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტისათვის მეტი ექსპრესიის მისანიჭებლად ან სხვა რამ მიზეზით, რაც დღესდღეობით ჩვენთვის უცნობიაო?

ამ სახით კი, რაც ხელთ გვაქვს, ამ ავტობიოგრაფიულ რომანს ასე შეაფასებდა:

მკითხველს კარგა ხანს გაჰყვება მახვილი მწერლური თვალით დანახული და შეფასებული ეპოქის ნიშანდობლივი მოვლენები; მოიხიბლება დიდი თავშეკავებით აღწერილი ფაქტებით, თხრობისა და აზროვნების პრაგმატული მანერითა და წერის ლაკონიური სტილით; შეძრავს ისტორიული კატაკლიზმების ფონზე განვითარებული, ერთიან მოზაიკურ პანოდ აკინძული დადეშქელიანთა ოჯახის ტრაგედია; ცოცხლად აღებეჭდება გონებაში მძიმე, უჩვეულო გადაწყვეტილება პიროვნებისა, რომელიც მამაკაცის მუნდირში გამოეწყო და, მრავალი განსაცდელის მიუხედავად, არ გატყდა, სამხედრო მუნდირსა და ქალურ ღირსებას არ უღალატა და ბედისწერის დანაღმულ ველზე ამაყად თავაწეულმა, გმირული შემართებით იარაო.

ამ წიგნს სათავისოდ ცნობდნენ ქალთა ემანსიპაციისა და გენდერული თანასწორობისათვის მებრძოლი ჯგუფები, კატი დადეშქელიანი ჯემალ დადეშქელიანად რომ მონაწილეობდა გრანდიოზულ ტრაგედიაში – და ამ მემუარების კვალობაზე რომ შეიქმნებოდა ლიტერატურული ვერსიები, ისინი სრულიად გაცდებოდნენ ავტორისეულ ჩანაფიქრს და ინოვაციური წაკითხვითა და სუბიექტური აღქმით სუბკულტურის წიაღში გადაინაცვლებდნენ.

აშკარა გახლდათ:

ამ ახალი ვერსიების ავტორები დროს შეუწყობდნენ ფეხს და, ანდროგენული რევოლუციისა და გენდერის თეორიით წახალისებულები, წიგნის ბაზარზე იოლად დამკვიდრებას შეეცდებოდნენ.

ამის თაობაზეც ვრცლად გვამცნობდნენ მოგონებებისათვის დართულ ნარკვევში, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენდა „მუნდირში თავადის ქალის" ღირსეულ მნიშვნელობას ჩვენი მემუარული ლიტერატურისათვის.

მართლაც რომ ღირსეულს, და იმიტომაც:

გმირი ქალის მიერ აღწერილი, კავკასიის ხალხთა ერთიანობის განცდით აღბეჭდილი რეალური ამბები ბიძგს მისცემს ჩვენი მოძმე, მონათესავე კავკასიელი ხალხების ისტორიის, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიისა და იმდროინდელი ხედვის გააზრებას; დადებით მუხტს შესძენს ჩვენი ქვეყნის წარსულის კიდევ ერთი საბედისწერო პერიოდის შესწავლას, საინტერესოდ წარმოაჩენს ომში ქართველთა გმირობასა და თავდადებასო.

ასეთ შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ რომანს კი სწორედაც რომ ასეთი შესანიშნავი ნარკვევი უნდა დართვოდა, ენციკლოპედიური ყაიდისა, ქეთევან ტომარაძე მთელს გალერეას რომ გადაგვიშლიდა თვალწინ მემუარების პერსონაჟთა პორტრეტებისა, ზოგი რელიეფურად რომ წარმოჩნდებოდა მოგონებათა ფურცლებზე და ზოგიც გაიელვებდა; და ნარკვევს უნდა შეექმნა შესაფერისი ფონი, რათა მკითხველს

გაადვილებოდა ისტორიის იმ დრამატულ და ტრაგიკულ ტალანებში გზის გაგნებაც და უფრო კანთიელადაც შეეცნო ავტორის სახება – ბალს ქვემო სვანეთის, ეცერისა და ბეჩოს დადეშქელიანთა მცირე საგვარეულო შტოს გამგრძელებლისა და უკანასკნელი მმართველის – თენგიზის – შვილიშვილისა, ვისაც საგვარეულო გადმოცემა ასე ჩაებეჭდებოდა, რომ:

დადეშქელიანებს არაბი წინაპრები ჰყავდათ და სათავეს ყურეიშიტთა იმ ძლევამოსილი შტოდან იღებდნენ, საქართველოში ჯვაროსანთა ეპოქაში რომ დამკვიდრებულიყვნენ.

და სიყმაწვილისას ძილის წინ კარვის ღიობიდან ცის პაწია ნაგლეჯს რომ მიაჩერდებდა, მოელანდებოდა ის მომთაბარე მწყემსები, რომელთაც არაბეთის დაბლობის გაშლილ მინდვრებზე ჯოგები გაჰყავდათ საძოვარზე და რომელთა შთამომავლადაც ეგულებოდა თავი.

დადეშქელიანთა წინაპრების არაბულ წარმომავლობაზე ხალხური ეტიმოლოგიაც რომ მიანიშნებდა, რაც არაერთ მოგზაურსა და ეთნოგრაფს ჩაეწერა, ქეთევან ტომარაძე საგულდაგულოდ ჩაეძიებოდა ამ დიდებული გვარის წარმომავლობის ახსნას და ყველაზე მართებულად მიიჩნევდა რამაზ შენგელიას განმარტებას, ზანურს რომ დაუკავშირებდა და წარმართულ პანთეონს, ქრისტიანობის ხანაშიც დიდხანს რომ გააგრძელებდა სიცოცხლეს, რადგან სამეგრელოს მთავართა თანამდებობრივ ტერმინად იქცეოდა.

ლინგვისტურ ანალიზს ასე უნდა გაეფართოვანებინა კვლევის არეალი და ანალოგიების დაძებნითა და გენეალოგიური ძიებებით საკმაოდ საიმედო პერსპექტივაც გადაეშალა.

ქეთევან ტომარაძეს უნდა გაეთვალისწინებინა უკანასკნელ წლებში პოპულარული გენეტიკური კვლევის მიღწევებიც და ანგარიშგასაწევად მიეჩნია, მეცნიერები ყურეიშიტთა არაბულ წარმომავლობას ეჭქვქვეშ რომ აყენებენ და ამტკიცებენ:

ისმაილიტები, მუჰამედის ხალხი – როგორც ყურეიშიტებს უწოდებენ – არაბები არა ყოფილან, არამედ ეს ის ხალხია, რომელმაც არაბული ენა ისწავლაო.

კვლევის გაგრძელება ამ მიმართულებით, ვინ იცის, მართლაც რა საიდუმლოებას ახდის ფარდას, საერთოდ კი ქეთევან ტომარაძე ისე ჩაულრმავდებოდა ცალკეულ გარემოებებს და ისე შორს გაჰყვებოდა არაერთ კვალს, კიდევ ერთხელ დაადასტურებდა იმ აუცილებლობას, რომ:

ისტორიული სურათები, მოვლენები, ამბები, ისტორიულ პერსონაჟთა ცხოვრებისეული დეტალები უნდა გაირკვეს და ვიცოდეთ უკანასკნელ წვრილმანებამდე.

და კატი დადეშქელიანის მოგონებანი, გარდა თავისთავადი მხატვრულ-დოკუმენტური მნიშვნელობისა, გზამკვლევის როლსაც რომ ასრულებს, ამიტომაც გამოიყენებდა მთარგმნელი და მკვლევარი ამ ავტობიოგრაფიულ რომანს არაერთი ისტორიული და ყოფითი დეტალისა თუ რეალიის დასაზუსტებლად თუ უფრო კანთიელად წარმოჩენისათვის, სხვათა მოგონებებსა თუ გამოკვლევებში რომ შეინიშნებოდა; სხვათა მოგონებებსა თუ გამოკვლევებს კი მოიხმობდა ამ მემუარებში გაპარული უზუსტობების გასასწორებლად, რათა ოდნავ, სულ ოდნავადაც არ შეეშალოს ხელი მოვლენებისა თუ ეპიზოდების აღქმა-გააზრებას – მასშტაბურობამ ამათუიმ ამბავ-მოვლენისა არ უნდა მიგვაფაროს თვალთაგან წვრილმანები და ნიუანსები.

მასშტაბურობა კი ნიშანდობლივია არამარტო პირველი მსოფლიო ომის პერიპეტიებისათვის, არამედ აგერ თუნდ დადეშქელიანთა საგვარეულოსათვის, რომლის

ცალკეული ეპიზოდებიც მზამზარეული სიუჟეტური ქარგანია მხატვრულ ქმნილებათათვის.

რით არ არის შექსპირული სულისკვეთებისა დადეშქელიანთა საგვარეულოს ორ შტოს შორის წლობით გაგრძელებული მტრობის ის შემზარავი გამოვლენაც, თათარყანი თავისი ძმის ცოლს დიგორხან გარდაფხაძეს საგვარეულო კოშკში რომ გამოწვავდა, რასაც კატი, თათარყანის უშუალო შთამომავალი, ამაზრზენად და მიუღებლად მიიჩნევდა, და რაც ამ ამბავს მოჰყვებოდა, ღვთისაგან მოვლენილ რისხვად აღიქვამდა, საგვარეულო წყევლად, რაც ორივე შტოს შთამომავლებზე გადავიდოდა და დადეშქელიანთა მთელს საგვარეულოს გადაშენების საშიშროების წინაშე დააყენებდა.

ანდა რით არ არის შექსპირული სულისკვეთებისა კატის მამის – ალექსანდრეს – მკვლელობა, რაშიც მისი ძმა თენგიზი გაერეოდა, ამასაც რომ არ იკმარებდა და შეთხზავდა სასიყვარულო სამკუთხედის ამბავს და ამ მკვლელობას დააბრალებდა ალექსანდრეს ცოლს – ბაბილინა ერისთავსა – და ოჯახის მეგობარს უჩა დადიანს, შუა საუკუნეების რაინდს რომ ადარებდნენ და იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დაცვის უფროსობაც მოუწევდა.

ბაბილინას მალე გამოუშვებდნენ საპატიმროდან, უჩა დადიანს კი – მხოლოდ ოთხი წლის თავზე, რის ვაივაგლახით რომ დაამტკიცებდა თავის უდანაშაულობას.

აქ აღარ გავყვები კონსტანტინე დადეშქელიანის მიერ ქუთაისის გუბერნატორის ალექსანდრ გაგარინის მკვლელობის ამბავს, თემურ ამყოლაძე მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნს რომ მიუძღვნიდა, რომლის ხელმეორე გამოცემისას ცალკეული დეტალების დასაზუსტებლად უთუოდ წაადგება კატი დადეშქელიანის მემუარები.

ნარკვევის ერთ-ერთ პასაჟში რომ აღინიშნებოდა: ბალტიისპირეთის ბარონებს, იქსკიულებსა და მეიენდორფებს, საქართველოსთან ნათესაური კავშირები ჰქონდათო, – მიედევნებოდა, რომ:

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ეს ურთიერთობა ორი უმშვენიერესი თავადის ქალის – ბაბო შარვაშიძისა და კატო დადეშქელიანის – ბარონის ვაჟებზე ქორწინებით დაგვირგვინდა.

და რომ:

ბაბო შარვაშიძის მოგონებები უაღრესად საგულისხმო ამბავს გვაწვდის ცოლქმრის საინტერესოდ განვლილი ცხოვრებიდან.

საგულისხმოა, რომ უკვე ხელთა გვაქვს ბაბო შარვაშიძის მემუარების წიგნიც, დაწერილი ინგლისურად, რომელსაც ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში შემოიტანდა მაია ცერცვაძე და შესანიშნავ მხატრულ-დოკუმენტურ თხზულებას ასევე შესანიშნავ კომენტარებსა და ექსკურსებს დაურთავდა.

ხოლო ქართული მემუარული ლიტერატურა ივსება და ივსება ახალ-ახალი მონაპოვრებით, არქივებიდან თუ მიყრუების საუფლოდან ამომზევებული ავტობიოგრაფიული წიგნებით, ბევრგვარად მნიშვნელოვანი და სანდო გზამკვლევებით, რადგანაც არ განვიცდით პროფესიონალი მკვლევარებისა და მთარგმნელების სიმცირეს, ქეთევან ტომარაძის გარჯა ამ მხრივაც რომ თვალსაჩინოა.

და სავსებით მოსალოდნელია, რომ მისი მრავალმხრივი ნიჭიერებისა და ინტერესებით მქონე მკვლევარმა ბიოგრაფიული რომანის ჩინებული ნიმუშიც შეგვიქმნას, აგერ თუნდ კატი დადეშქელიანის მემუარებზე დართული ნარკვევიც რომ დაუდოს საფუძვლად და პირველი მსოფლიო ომიც კანთიელად და შთამბეჭდავად შემოიტანოს ჩვენს რომანისტიკაში.

ROSTOM CHKHEIDZE

On the minefield of destiny
(Ketevan Tomaradze – as a guide to Katie Dadeshkeliani)

Summary

This is a review of Kati Dadeshkelian's book "The Princess in the Uniform". Translated from English and accompanied by an essay by Ketevan Tomaradze (Tbilisi, 2021, “Nodar Dumbadze Publishing House and Literary Agency”). Kati Dadeshkeliani is a popular author in the Western world. Her work reviewed here is a text of a memoir nature, which can also be called an autobiographical novel.

The book, which entered the Georgian linguistic and cultural space for the first time, is preceded by an extensive essay by the translator – "Brave and wise, unlucky and beautiful Kati." Georgian readers will get acquainted with the amazing adventure of a fellow noble person, fighting in the "Wild Division" during the First World War, who is a beautiful woman disguised in a man's military uniform.

ვაჟა შუბითიძე, ედიშერ ჯაფარიძე, იგორ კვესელავა, ევროკავშირის შექმნა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბილისი, 2020.

ანა ყურშავიშვილი, მზია გაგაძე-კანდელაკი, ქართველი ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბილისი, 2021.

კატი დადეშქელიანი, თავადის ქალი მუნდირში. ინგლისურიდან თარგმნა და ნარკვევი დაურთო ქეთევან ტომარაძემ, თბილისი, 2021.

ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი პირველი დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია. პროგრამა და მოხსენებები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

მიხეილ თამარაშვილი 160, შემდგენლები მურმან პაპაშვილი და ნოდარ ხითარიშვილი, თბილისი, 2021.

აკაკი ჩხენკელი. დღიურები, წიგნი პირველი. 1918-1921, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

ჟურნალის ავტორები

ლიკა ბუჩუნტელი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი

ბელა გზირიშვილი – თბილისის 108-ე საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

ნოდარ გრიგორაშვილი – იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორი

რუსუდან დაუშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დიანა ზადურა – პოლონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ქართველოლოგი, კულტურული ანტროპოლოგიის მაგისტრი

ლუკა ლოლუა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი

პაატა ნაცვლიშვილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტი პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსუდან ნიშნიანიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

შორენა მურუსიძე – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი

სალომე საცერაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი

პაატა სურგულაძე – ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

დავით ყოლბაია – ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

მაია ცერცვაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

ლალი ცომაია – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

თეკლე ჩხაიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი

როსტომ ჩხეიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი